სიმონ ქვარიანი

დიდი მუშაკები

სახელგამი თბილისი
1949

I. კახეთში

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ალაზნის ველი წარმოადგენდა მჭიდროდ დასახლებულს, აყვავებულ მხარეს. ასი ეკლის მანძილზე გადაშლილ ველს სიგრძისად რწყავდა XII საუკუნის გასულს დიდი თამარის მიერ აგებული დედოფლის უზარმაზარი არხი, მდინარე ალაზნიდან გაყვანილი; იგი უხვად ანოყიერებდა ველის მარჯვენა მხარეს — კახეთს, ქიზიყს და უერთდებოდა ისევ ალაზანს შირაქის ბოლოს.

შემოდგომა იწყება. დიდი ხნის მომკილია პურის ყანები. ხორბლის, ფეტვისა და ქერის უხვი მოსავლით სავსეა დაბა-სოფლების ბეღლები. კიდევ მოიპოვება ბაღებში კახეთის განთქმული ნესვი და საზამთრო. ბაღებში კი ბლომადაა მსხალი, ვაშლი, ლეღვი და ატამი. ალაზნის ორივე მხრივ სიგრძისად ფერდობ-დაფენებაზე გადაჭიმული მებატონეთა ვრცელი ზვრები უხვად დატვირთულა მწიფე რქაწითლით, საფერავით, მწვანით, თავკვერითა და ბუდეშურით.

რთველი დაწყებულა. დიდ-პატარიანად შესევიან შინაყმები მწიფე ყურძენს კალათ-გოდრებით და გალესილ დანებით. გამალებული კრეფაა, სიმღერა და ოხუნჯობა. შორიახლოდან მათ დასტრიალებს მოურავის სასტიკი თვალი, ისმის მისი მჭექარე ხმა და მუქარა. გოდრებით მოტა-

ნილ ბუნების უხვი ნობათით ივსება უზარმაზარი ნავ-საწ-ნახლები; შიგ ჩამდგარან ფეხდაბანილი დაკარწახებული მარჯვე ბიჭები და წნეხენ ყურძენს, ტკბილი ფართო ღარებით ჩადის დიდრონ ჭურებში დასადუღებლად.

იქვე ზვრებში მაგარ ბოძებზე ნაჭით დაკიდებული სარახე ქვაბებით გლეხის მოახლე-დედაკაცები ადუღებენ სქელსა და თაფლივით ტკბილ თათარას, ავლებენ შიგ ნიგვზის, თხილის, ჩირისა და ჩამიჩის მოგრძო აცმებს და აკეთებენ მსუქან კახურ ჩურჩხელებს. აქვე ფუსფუსებენ პერანგა ბავშვები და ხარბად ლოკავენ თითებით ჭოგრებზე დაკიდებულ ჩურჩხელათა ტკბილ ნაღვენთებს.

იმავე ზვრებში, უზარმაზარ კაკლებქვეშ ფართოდ გაშლილ ნოხ-ფარდაგებზე ფეხმოკეცით სხედან ან მუთაქა-ბალიშზე მხარ-თეძოზე წამოწოლილან დიდი ბატონები თავისი ცოლშვილითა და სტუმრებით. შეექცევიან გაშლილ სუფრაზე ნაირ-ნაირ სასმელ-საჭმელს. იქვე ოდნავ მოშორებით შუშხუნებს პრიალა ცეცხლის პირას ხის შამფურებზე აგებული თხის ან ცხვრის მსუქანი მწვადები. ადრე დაწურული შუშხუნა მაჭრით ივსება ვერცხლის ბადიაზარფეშები და ჯიხვის ყანწები. სასმისები მარდად გადადის ხელიდან ხელში. ისმის სმურები, მოსწრებული ზმები, კაფია-შაირები, სუფრული და კახური მრავალჟამიერი. ამათ ეცილება თარის მკვნესარე ჰანგები ან დაირას ხმაური და მათზე აყოლებული სევდის მომგვრელი სპარსული შიქასტა-ბაიათი. დროგამოშვებით დასცხებენ დოლ-დიპლიპიტოს, ტაშით და ტურულა-სალამურის ტკბილი ხმებით შეზავებულს, და ფეხმარდი, მოხდენილი ქალ-ვაჟნი უვლიან იქვე მოლზე მხიბლავი ნარნარით მირზაიას, ლეკურს, ჩეჩნურსა და დავლურს.

ჩაღდება ქეიფი, მთვარის ციატა სხივებით გაშუქებული. გულუხვი მასპინძლები მგზავრებსაც კი არ უშვებენ. გზის პირას გუშაგად მდგარი ფარეშები ეპატიჟებიან მათ. ვაი მას, ვინც არ ეახლება ქეიფში შესულ დიდ ბატონებს.

რთველია, რთველი გაჩაღებული! ლხინობენ კახეთის დიდი ფეოდალები, ღვინით აღზრდილნი, ღვინით დამთვ-

რალნი, წითელი ღვინით ნაზიარებნი. დინჯი ალაზანი მდორედ მოდენის მოშავო ზვირთებს და შირაქის ქვემოთ გულში იხუტებს თავის უმცროს ძმას, იორს.

იქ, ჩრდილოეთით, ალვანის ვრცელ მინდორზე ობლად აწვდილა ალავერდის მაღალგუმბათიანი თეთრი ტაძარი, ქვის გალავანშემოვლებული და სქელბურჯებიანი. იგი ამაყად დასცქერის მიდამოს.

მზე გადახრილა. მთებიდან დაქანებული შარაგზები სავსეა ცხენოსნებით, ქვეითა მგზავრებითა და ჩარდახიანი ურმებით. ეშურებიან ალავერდის დღეობასა და ბაზრობაზე, რომლებიც იწყება ცამეტ სექტემბერს საღამოდან და გრძელდება თითქმის მთელი კვირა. მოსული ხალხით ივსება ალვანის მინდორი. მთისა და ბარის ხალხი, ქალი თუ კაცი, ყრმა და მოხუცი, მოდიან აქეთ, რათა მოილოცონ წმ. გიორგის ხატი, მოიღონ შესაწირავი, დაკლან საღვთო ტარიგი, იღრეონ, ილხინონ, გაჰყიდონ ზედმეტი რამ, იყიდონ, რაც ეჭირვებათ, ნახონ მტერ-მოყვარენი და ფრიად ნასიამოვნები თავისი ჯალაბით დაბრუნდნენ შინ.

მოდიან თუშნი, ფშავნი, ხევსურნი, მთიელნი, მოხევენი; მოდიან ოსნი, ქისტნი და ჩეჩნები; მოდიან თავ-თავის სამოსით, გრძელი ხანჯლებით — კალდიმებით და მუზარადფარ-შუბ-ჩაჩქნებით. ზოგიერთს კიდევ მხარს უმშვენებს ყირიმის გრძელლულიანი თოფი, სათუთად გახვეული ნაბდის ბუდეში. ზოგს წელზე ჰკიდია მოგრძო დამბაჩა, ხმალი, კალდიმი. მთებით ჩამოსულ დიაცთა შორის თავის მშვენებით, ნაზი მიმოხვრით ირჩევიან ქისტის ქალები, მათ თავს ჰბურავთ გრძელი მანდილი.

მოეშურებიან სამხრეთით და აღმოსავლეთით კახნი, ლეკნი, ინგილო, ქიზიყელნი, ჯავახნი, ქართლელნი. მოდიან სავაჭროდ სომეხნი, თურქნი, ირანელნი, თათარნი, ებრაელნი. მოდიან გრძელი ქარავნები, საქონლით ტვირთულნი. მოდიან ზერდაგნი, ჯორი და აქლემნი. შორითვე ისმის ცათი ეკვნების, ზანზალაკების ჟღარუნ-წკარუნი. ქარავნები ბინავდება ცალკე უბნებად. ალაგებენ საქონელს ადრევე აგებულ ხის ფარდულებში.

იქ, მოშორებით, ოდნავ ფერდობზე, ერთგულ შინაყმებს ვრცელი მიდამო მოუფენიათ ბამბის, შალის და ფარჩის ფერად-ფერადი კარვებით; ისინი თანდათან ივსება ცოლ-შვილით ჩამოსული თავადაზნაურებით. მათ შუაში კი აუმართავთ ჟოლოსფერი ფარჩის ვრცელი კარავი, ძვირფასი ორხო-ხალებით მოგებული. მის წინ ფრიალებს წმ. გიორგის ვარდისფერი სამეფო დროშა, მაღლად აწვდილი.

სწორედ ამ დროს გრემში, კახეთის მეფის დიდებული სასახლის ზემო სართულის გრძელ-განიერ აივანზე, საიდანაც იშლება საოცნებო სურათებად კახეთის საკმაოდ დიდი ნაწილი, სხედან ოთხნი დარბაისელნი, ორი მათგანი უკვე ხანში შესული. ესენი არიან: ადამ ანდრონიკაშვილი, აბელიშვილად წოდებული, კახეთის განთქმული სპასპეტი, და შარმაზან ჩოლოყაშვილი — დიდი ფეოდალი, კარისკაცი და თეიმურაზ ბატონიშვილის ლალა. ორიც ჯერ ისევ ჭაბუკნი: სახელოვანი სარდლები დავით ჯანდიერი (ასლანიშვილი) და ნოდარ ჯორჯაძე. ესენი ვერ ეწყობოდნენ თავის მოხუც მეფე ალექსანდრეს, — უდარდელს, მოქეიფეს, მუდამ ნადირობაში გართულს. ნატრობდნენ იმ დროს, როცა მამის ადგილს დაიჭერდა ტახტის მემკვიდრე, ბატონიშვილი დავით, კაცი მამაცი, მხნე, ნიჭიერი და ქვეყნის ერთგული.

— ბატონო შარმაზან! თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ამჟამად ირანის ტახტზე ზის შაჰ-აბაზი, კაცი ფრიად ცბიერი და უნდობელი. მან უკვე ორ-სამ ბრძოლაში ზედიზედ დაამარცხა ოსმალთ სულთანი სელიმ, — ეს ბებერი მელა, დაიბრუნა მამის დროს წართმეული ქურთისტანი და ერევნის სახანო. ამთავითვე სჩანს რომ შაჰ-აბაზ მალე გახდება დიდი მბრძანებელი და სპარსეთის ძალთა განმამტკიცებელი. ხოლო ასეთ კაცთან ჩვენ, ქართველებს, გვმართებს რიდი, მეგობრული კავშირი და არა მისი გაღიზიანება, მით უმეტეს, რომ ის არის, თურმე, დედით და ბებიით ქართველი, იცის ჩვენი ენა,

ზნე და ადათი. ამიტომ ვფიქრობ, რომ კარგად მოგვეპყრობა, თუ ჩვენ ვაჩვენებთ ერთგულებას.

— მართალი ბრძანებაა, ბატონო ადამ. სწორედ მეც ამას ჩავჩიჩინებ მეფეს, მაგრამ ვერას გავხდი. სულ თოვლიან მთების გადალმა, იქ, ჩრდილოეთით, იცქირება მსგავსად თავის განსვენებულ მამა ლეონისა. ასე ჰგონია მეფეს, რომ შორეული მოსკოვი იხსნის ერანის შაჰის ბრჭყალებისაგან.

— შემცდარი გუმანია, ბატონებო, — ჩაერია საუბარში დავით ჯანდიერი. — აბა რა დახმარებას გაგიწევს შორეული მფარველი!

— მართალი ბრძანებაა, ბატონო დავით, — მოუჭრა სიტყვა ნოდარ ჯორჯაძემ. ბევრად აჯობებს არ გავაბრაზოთ მეზობლები, მეგობრული ურთიერთობა ვიქონიოთ სპარსოსმალეთთან და მთის ხალხებთან. მართალია, ისინი მტრები არიან ქრისტეს ჯვარისა, ხოლო იმავე დროს ეს ვეშაპები — სპარსეთი და ოსმალეთი — დიდად მტრობენ ერთიმეორეს. სწორედ ასეთი რამით უნდა ვისარგებლოთ და ვაღვივოთ მათ შორის მტრობის სახმილი, სანამ რუსეთი გაძლიერდებოდეს. ამასთან ერთად, თუ ერთობა გვექნა ქართველ ტომებს, ლეკნი, ოსნი, ქისტნი, ჩეჩნები და საერთოდ კავკასიონის მთის ხალხები ვერას დაგვაკლებენ, ვერ გაგვიბედავენ ჩვეულებრივ თარეშს.

— ისემც კარგი დაგემართოს, რომ ეგ კეთილი საქმეა, — ქართველ ტომთა ერთობა! — დაიწყო შარმაზანმა, — მაგრამ სადღაა ეს ჩვენი ერთობა?! ისედაც მცირე მესხეთ-კოლხეთი და ივერია რვა სამეფო-სამთავროდ არის დაყოფილი. ქართლი კახეთს ეომება, იმერეთი — გურია-სამეგრელოს, სამცხე და აფხაზეთი კი ყველას. დიდი თავადები ხომ დაერევიან ერთიმეორეს და ჟლეტენ... ამ კინკლაობით იწრიტება და იღუპება ჩვენი უბედური სამშობლო... აბა სადღაა დავით აღმაშენებლის, დიდი თამარის და გიორგი ბრწყინვალეს დიდებული ხანა, როცა საქართველო წარმოადგენდა ზარდამცემ სახელმწიფოს მთელ წინა აზიაში და როცა ჩვენი ნივთიერი კეთილდღეობა და სულიერი გა-

ნათლება აოცებდა ბრწყინვალე ბიზანტიას და მთელს ევ-
როპას?! მონღოლთა შემოსევის, მეტადრე ბიზანტიის და-
ცემისა და საქართველოს დაქუცმაცების დროიდან ჩაესვე-
ნა მესხეთ-კოლხეთ-ივერიის დიდების მზე, დადგა ჩვენთვის
გლოვისა და გაჭირვება-ტანჯვების შავბნელი ხანა. ამიე-
რით ძმა აღარ ინდობს ძმას და მამა შვილს. ხომ გახსოვთ,
ბატონებო, რა საშინელი შური და მტრობა იყო ამ ჩვენს
მეფე ალექსანდრესა და ქართლის განსვენებულ მეფეს დიდ
სვიმონს შორის, რომლებიც იყვნენ ურთიერთის ახლო მო-
ყვარენი, ან რა სამარცხვინო საქმეებს სჩადიოდა ჩვენი ბა-
ტონი! ბოლოს შერიგდნენ ესა და ქართლის ახალი მეფე
გიორგი. აგერ ორი დღეა, რაც გვეწვია იგი დიდი ამალით
და ამ დილით ადრიან ჩვენმა მეფემ გაიტაცა სანადიროდ.

— ნეტა რას მივაწეროთ გიორგი მეფის მობრძანება? —
იკითხა ჯანდიერმა.

— ამბობენ, თითქო ორივე მეფე მოსკოვს გზავნის დეს-
პანთ დიდი არმაღანით და რუსეთის ხელმწიფეს სთხოვენ
მფარველობასაო, — უპასუხა ადამ აბელიშვილმა.

— ეჰ, — წამოიძახა ნოდარმა. — მაგათ მიმოწერას ადვი-
ლად გაიგებს ცბიერი შაჰი აეშაგთა მეოხებით, ისინი ხომ
ბლომად ჰყავს როგორც აქ, ივერიაში, ისე მოსკოვის ხელ-
მწიფის კარზე, და ვიცი ხეირს არ დაგვაყრის. ხომ იცით,
ბატონებო, როგორ ღალატობდა მეფე სვიმონს მისი მესა-
იდუმლე კახაბერ ყორღანაშვილი; მაგრამ მოღალატეს თავ-
ზე დაატყდა რისხვა ზეცისა: ის გადაჩეხა გელიყარის
კლდეზე საჩინო ბარათაშვილმა ამ სიტყვებით: „უკეთუ
კეთილ არს ღალატი მეფისა, აწ იხმიე შენცა“.

— სრული ჭეშმარიტებაა, ბატონო ნოდარ, — ჩამოართ-
ვა სიტყვა ადამმა, — მე და შარმაზან უკვე მოვხუცდით,
იქნებ ვეღარ მოვესწროთ, ხოლო თქვენ, ჭაბუკნი, იხილავთ
რა საშინელი რისხვა დაატყდება თავზე ამ პოლიტიკის
წყალობით და აეშაგთა ენატანიობით ქართლის სამეფოს და
ჩვენს აყვავებულ კახეთს! ოჰ, რამდენის ცოლ-შვილი და-
ობლდება, რამდენის დედა ატირდება! რაღაც ცუდად გმი-
ნავს ეს ტიალი გული. მაინც ნატრობს ჩვენი მეფე ალექ-

სანდრე კახეთის აოხრებას, რათა გაუმრავლდეს სანადირონი, და ვიცი, აუხდება კიდეც ეს ნატვრა, თუ ცოცხალი დარჩა... იცოდეთ, ბატონებო, შურს იძიებენ ჩვენზე ცბიერი შაჰ-აბაზ და ოსმალთ სულთანი, აგრეთვე მთის ხალხებიც. ამათ ყველას ფრიად აშინებს დიდი რუსეთის მეზობლობა, რუსის ჯარების ჩვენში შემოყვანა.

— ნეტა რას ბრძანებს ამის შესახებ ჩვენი ნუგეში, ტახტის მემკვიდრე დავით? თქვენ კარგად გეცოდინებათ, ბატონო შარმაზან, როგორც ახლო პირსა და მისი ვაჟის ლალას, — შეეკითხა ფრთხილად ჯანდიერი.

— დავით ბატონიშვილი დიდი წინააღმდეგია მეფეთა ასეთი საქციელისა და აპირებს კიდეც შესაფერი ზომების მიღებას. ხოლო მეუღლე მისი ქეთევან, ეს ბრძენი და სათნო ადამიანი, ეურჩება მის ასეთ ზრახვებს.

— ნეტა რა უნდა იყვეს ეს ზომები, ბატონო ჩემო? — შეეკითხა წყნარად ნოდარ.

— რა გაეწყობა! გეტყვით, რადგან ყველანი მეგულვით ფრიად საიმედონი. დავითს ნებავს მამის გადაყენება და თავად ასვლა სამეფო ტახტზე, რათა შესაფერისად განაგოს ქვეყანა, — თქვა დაბალი ხმით შარმაზანმა.

— ღმერთმა ხელი მოუმართოს მაგ კეთილ საქმეში! — მიაძახა სამთავემ ერთხმად. — ჩვენც მზადა ვართ ალმოვუჩინოთ ბატონიშვილს შესაფერი დახმარება; მხედრობაც და დარბაზის ყმანიც ჩვენთან არიან.

— წინასწარ ვგრძნობდი, რომ ღირსეული მამულიშვილი ამას მეტყოდით. დიდად გმადლობთ, ბატონებო! ტახტის მემკვიდრე არ დაივიწყებს თქვენს ერთგულებას, — დაამთავრა შარმაზანმა.

— ნეტა რად ეურჩება ქმრის ასეთ კეთილ ზრახვას ბრძენი ქეთევან? — იკითხა ნოდარმა.

— იგი ბრძანებს, — განაგრძო შარმაზანმა, — რომ მამის წინააღმდეგ წასულს არავის გაემარჯვაო. მას მოჰყავს მაგალითები ებრაელთა წარსულიდან და „ქართლის ცხოვრებიდან“.

ამ დროს გაისმა ბუკის ძლიერი ხმა. აჩქარებით მიუახლოვდა სასახლეს რამდენიმე ასეული ცხენოსანი. იმათ წინ მოუძღოდენ სანადიროდ მოკაზმულნი და საუკეთესო ბედაურებზე მსხდომნი მაღალი ტანის ჭარმაგი მოხუცი, კახეთის თეთრწვერა მეფე ალექსანდრე, მისი საშუალო ვაჟი გიორგი და მისი დისწული, საშუალო ტანის, გამხდარი გიორგი მეათე, ქართლის მეფე. ის სრულებით არ ჰგავდა თავის ღირსეულ მამასა და პაპას. ამათ მოსდევდა დიდი ამალა.

ფართოდ გააღეს ალაყაფის კარები. ახლად მოსულთ შეეგებენ ტახტის მემკვიდრე დავით თავის მეუღლით, სეფეწულნი და დარბაზის დიდებულნი; ჰკადრეს მეფეებს მდაბალი სალამი და მიულოცეს მშვიდობით მობრძანება; შემდეგ უშველეს მეფეებს ცხენიდან ჩამოხტომა.

— ალბათ ბევრსაც ინანებ, რომ არ წამოხველ ჩვენთან სანადიროდ, შვილო დავით, — ბრძანა მეფემ. აი, ნახე, რაოდენი ნანადირევი მოვკრიბეთ. თუმცა შორს არ წავსულვართ და ხალხითაც მჭიდროდ გაშენებულა ის მხარე, მაგრამ მაინც საკმაოდ ვხოცეთ კურდღელი, ხოხობი, დურაჯნი და ნიამორნიც-კი. ხოლო ყველაზე უფრო ძვირფასი ნანადირევია ის ფრიად მშვენიერი ფრინველნი. ისინი ვიხილეთ ალონის მინდვრად და დავიჭირეთ ცოცხლები ქორგავაზებით და შევარდნებით, რათა მოვაშენოთ და ვიყოლიოთ თვალის საამოდ. ბაადურ! მოასხი აქ ეგ უცხო ფრინველნი! აჩვენე ისინი ჩვენს საყვარელ შვილსა, მშვენიერ რძალს ქეთევანს და ქებულ სარდლებს.

ბაზიერთუხუცესმა ბაადურ მაყაშვილმა გასცა ბრძანება და მოაყვანინა თვრამეტამდე დედალ-მამალი ფარშევანგი. ისინი ალბათ, მოფრენილიყვნენ, ირანის მხრიდან და შემოსულიყვნენ კახეთის ბოლოს. მათი აფერადებული ტანი და მეტადრე გაშლილი ბოლოები ლაპლაპებდა გადახრილი მზის სხივებზე, ხოლო მათი უსიამოვნო ყივილი ბზარავდა სმენას.

— სწორედ რომ ბედნიერ ფეხზე გვესტუმრა ჩვენი საყვარელი მეფე გიორგი! — განაგრძო ალექსანდრემ. — ასეთი კეთილი ნადირობა ფრიად იშვიათია. ამიტომ ყველა ნანადი-

რევიდან, უფრორე ამ უცხო ფრინველთაგან, ნახევარი მიწილადებია შენთვის, ჩემო ძვირფასო დისწულო.

ამ სიტყვებთან ერთად მოხუცი ალექსანდრე გადაეხვია გიორგი მეფეს. მან მიუძღვნა შესაფერი მადლობა და ეამბორა ბიძას სპეტაკ წვერებზე.

— აბა გაშალეთ სუფრა აქვე, წალკოტში! დავნაყრდეთ მცირედ და გავსწიოთ ალავერდისკენ. ხომ იცით, მიტროპოლიტი გველოდება, უჩვენოთ არ შეუდგება ლოცვას! ეჰ, კარგია მცირე დავანება და წაქეიფება ნადირობის შემდეგ! — წამოიძახა ალექსანდრემ და ბაიათის ღიღინით წაუძღვა სტუმრებს გიორგი მეფესთან ხელჩაკიდებით. მათ მიჰყვა მთელი კრებული. ყველანი დასხდნენ მდიდრულ ნოხებსა და აბრეშუმის მუთაქა-ბალიშებზე ჭადრების ქვეშ ფართოდ გაშლილი სუფრების წინ.

გაიმართა კახური ლხინი და ქეიფი გრძელი სუფრულებით და მრავალჟამიერით. მზე ჩასვლაზე იყო, როცა აიშალნენ სუფრიდან, შესხდნენ ბედაურებზე და გასწიეს ალავერდისკენ მხედრული სიმღერებითა და ცხენის ჭენებით.

ღამდება. შორს გაისმის მაღალ სამრეკლოდან ზარების რეკა. მღვდლებითა და ბერ-მონაზვნებით ივსება ალავერდის ვრცელი ტაძარი. ზეიმითა და გალობით შემოჰყავთ კახეთის მიტროპოლიტი, რომელსაც მოჰყვებიან ეპისკოპოსნი—ბოდბელი, იყალთოელი და გარეჯელი. მლოცველებით ივსება ტაძრის დიდი გალავანი. თუმც უკვე დროა, მაგრამ არ იწყებენ ლოცვას: ელიან მეფეებსა და სეფეწულთ.

ამ დროს გაისმა ბუკისა და ყვიროსტვირის მჭექარე ხმა, ნიშანი მეფეთა მობრძანებისა. ალავერდელი თავისი კრებულით შეეგება მეფეებს ტაძრის კარებთან, მოულოცა მშვიდობით მობრძანება, ზეიმით შეუძღვა ტაძარში და დაობრძანა სამეფო სევანებზე. ამავე დროს მგალობელთა გუნდმა საამოდ დასძახა: „კახეთის დიდებულ მეფეს ალექსანდრეს და ქართლის დიდებულ მეფეს გიორგის მრავალ არიან წელნი“.

შეუდგნენ საზეიმო ლოცვა-ლიტანიას. მეფე-დიდებულნი და სამღვდელოება ანთებული კელაპტრებით ხელში უვ-

ლიან ტაძარს გალობით. ამათ წინ მიუძღვით ქალებისა და ვაჟების გუნდი. ისინი გალობენ: „დიდება და ღმერთსა, დიდება! წმინდა გიორგი ცხოველო, შენს სანახავად მოველო“...

გათავდა ლიტანია. შედგნენ მეფე-დიდებულნი, სამღვდელონი და მლოცველი ხალხი. ყველანი მოწიწებით შესცქერიან თეთრად მოსილ მოცეკვავე ქალწულს. ის გატაცებით როკავს, რადგან „მონაა წმ. გიორგისა და ხატი აცეკვებს“.

ამის შემდეგ ხალხის შუაგულიდან გამოვარდება ვაჟი აბურძგნული თმით და არეული ბრიალა თვალებით. დაეცემა წმ. გიორგის უზარმაზარი ხატის წინ. ის ხელთ უპყრიათ ზორბა ბერებს. ვაჟი დაიკრუნჩხება უცნაურად, გადმოსდის პირიდან დუჟი აზნიანივით, შემდეგ წამოიჩოქებს და იწყებს არეულ ბოდვა-ქადაგს.

შიშითა და მოწიწებით შესცქერის ამ „წმინდანის მოციქულს“ ერთ ალაგას გაკმენდილ-გაქვავებული დაჩოქილი ხალხი, გულდასმით ისმენს მის თითოეულ სიტყვას. ხალხს სჯერა, რომ ამ შეშლილის პირით ქადაგებს თვით წმ. გიორგი და წინასწარ აუწყებს, თუ რა მოელის ქვეყანას.

ქადაგმა არეული სიტყვა-აზრებით ამცნო ხალხს, რომ მომავალ წელს იქნება პურ-ღვინის დიდი მოსავალი, ცხვარისა და ძროხის სიმრავლე, მტერზე გამარჯვება; ხოლო ხალხის დაავადება სახადით. ქადაგის პირით წმ. გიორგი თხოულობდა უხვ შესაწირავებს ტარიგისა და განძის სახით. მორწმუნე ხალხიც, მიწაზე დამხობილი, მხურვალე ლოცვით მადლს სწირავდა „მფარველ“ წმ. გიორგის და აღუთქვამდა დიდ შესაწირავს.

გაისმა ზარების სამხიარულო რეკა. ხალხმა და დიდებულებმა გაიღეს უხვი შესაწირავი. აივსო ალავერდის სალაროს კარადა-კიდობნები შეწირული ოქრო-ვერცხლით, თვალ-მარგალიტით, ოქრომკედით, აბრეშუმის ქსოვილებით. იქვე გალავნის გადაღმით ასობით დაიკლა საღვთო ტარიგი: თოხლ-ჭედილები და ერკემალ-დეკეულები. ზვარაკთა საუკეთესო ნაწილები, თანაც უამრავი ყველი, ერბო, პური, ხაბიზგინები, ღვინო, ლუდი, არაყი, ნარმა და შალის

საჩოხეები უხვად გადადიოდა გაუმაძღარი მღვდელ-დიაკვნებისა და ბერ-მონაზვნების ხელში, რის ნაცვლად ხალხს ურიგდებოდა თითბრისა და ვერცხლის „ნაკურთხი“ პაწია ჯვრები, ზოგსაც კიდევ ავგაროზები და „ნაწილებიანი“ პაწაწა ხატები.

უკვე მაღალი ვახშმობაა. ალვანის გრძელ მინდორს ზემოდან დაჰნათის კაშკაშა მთვარე. კარვებ-ურმებთან აქა-იქ პრიალებს ცეცხლი, დის შემწვარ-მოხარშულის საამო სუნი. მეფე-დიდებულთა კარვების წინ გაშლილი სუფრებიდან ისმის სიმღერა-ბაიათები, ჩანგისა, თარისა და დუდუკის ნაზ-მკვნესარე ხმებით შეზავებული. ბლომად გაშლილა ურმებთან ლურჯი სუფრები, გაჩაღებულა ღრეობა და ქეიფი.

ღამისთევაა, ნაცნობ-ნათესავთა შეხვედრა, მასლაათი და სიხარული.

ღრეობენ, მხიარულობენ მთისა და ბარის მეზობელი ხალხები, დღეს ჩამოსულნი ცოლ-შვილიანად და ძმად შეყარილნი ალვანის მინდვრად.

მეორე დღეს ხატობამ უფრო საზეიმო სახე მიიღო. წირვის შემდეგ ვრცელ მინდორზე გაიმართა სხვადასხვა შეჯიბრება: ბურთი, დავლური, ფარიკაობა, ჯირითი, ყაბახი, მარული და ჭიდაობა. შემდეგ გაიშალა სუფრები და დაიწყო ისევ გაუთავებელი ლხინი, ქეიფი, სიმღერა, ზმა-შაირები და ცეკვა-შუშპარი.

ამავე დროს ვაჭარ-ხელოსანთა უბანში იყო გახურებული ვაჭრობა და საქონლის გაცვლა. შორეულ კუთხეთაგან მოსულნი ეშურებოდნენ დაეცალათ ხელი, შეეძინათ რაც სურდათ და გასდგომოდნენ გზას შინისაკენ. ამ დღესვე იყო გასათხოვარ ქალთა და საცოლო ვაჟთა სინჯვა, შუამავლობა და შარნის მიცემა. თვით დღეობა, ვაჭრობა და ხალხის ღრეობა გაგრძელდა კვლავ რამდენიმე დღეს, რასაც ხელს უწყობდა საუცხოო ამინდები...

მესამე დღეს გრემის სასახლის ერთ მომცრო დარბაზში დილაადრიან ჩაკეტილიყვნენ მეფე ალექსანდრე, მისი ვაჟი გიორგი და ქართლის მეფე გიორგი თავის ერთგული

ვეზირებით, გაემართათ საიდუმლო თათბირი და დაესკვნათ მიმართონ მოსკოვის ხელმწიფეს, აუწყონ შაჰ-აბაზის ოინები, სთხოვონ მფარველობა და ჯარებით დახმარება.

იმ დღესვე ალექსანდრესა და გიორგის საიმედო ელჩები თიანეთის გზითა და დარიალის ხეობით მიეშურებოდნენ მოსკოვისაკენ დიდი არმაღანით დატვირთულნი და დარაიაში ხვეული მეფეთა პატრუცაგით, რასაც უფროსი მათგანი სათუთად ინახავდა უბის ჯიბეში რუსეთის მეფისადმი მისართმევად. ხოლო, რასაც ასე სასტიკად უმალავდნენ შინაურთ, არ დარჩა ფარული შაჰაბაზის ჯაშუშებს. იშავ საღამოს კახეთის მეფის მასხარა ჯეჯა გურგენა ზაუტაშვილი ჩუმად გარბოდა თელავისაკენ, რათა თავის ძმის მეოხებით ემცნო განჯაში მყოფ შაჰაბაზის სარდლისათვის, რა „საამო ნობათს“ უმზადებდნენ ყეენს ქართლ-კახეთის მეფენი მოსკოვთან მიმოწერით და რუსის ჯარების მოწვევით ივერიაში.

II. კავკასიონის მთებში

ლალი და წარმტაცია ცად ატყორცნილი კავკასიონი, მარადიული თოვლით რომ დაფარულა. მშვენიერია იგი დილით ან საღამო ჟამს, დიდი მნათობი სპეტაკს ღაწვებს რომ ულაპლაპებს; მაღალ მწვერვალთა შორის ობლად ამართულა მხარბეჭიანი მყინვარი. ამაყად დაჰყურებს იგი დარიალის ბნელ პიტალოებს, დაჰყურებს გიჟივით მყვირალ ქაფმორეულ თერგს, კლდეებს რომ ებრძვის, დაჰყურებს ბროლის ჩანჩქერებს, იქ შავს უფსკრულში რომ იმსხვრევიან, დაჰყურებს მარად მღიმარე ხავერდოვანს ველს.

მშვენიერია ზაფხულობით კავკასიონი! თოვლით ფარული მისი მწვერვალნი, მისი კლდეები, — ჯიხვთა სავანე, არჩვთა, ნიამორთ და არწივების. მისი კალთები მრავალჯიშიან ტყით არის დაბურული. დღითა და ღამით საშიშარია დარიალის ბნელი ხეობა შავი ლოდებით, ციცაბო კლდეებით. ისმის იქიდან შეშლილი თერგის ღრიალი... საოცნებოა არაგვის ველი, მწვანე, ხასხასა და გადაშლილი ფრიალოები.

ზაფხულის მიწურულია. კრიალა ცა, გრილი, მსუბუქი ჰაერი. ვრცელი ფრიალო გოროზად დასცქერის ანანურს, ნუგზარ ერისთავის ციხე-სასახლეს. ყვავილებით აფერადებულ მწვანე ბალახზე თეთრად გაშლილა უამრავი თუშური ცხვარი და ხარბად ძოვს ნოყიერ ბალახს. აგერ ცელქად დანავარდობენ მსუქანი ბუწი, აზმანი და შაშაგი;

ხარბად დასწაფებიან ნოყიერ ბალახს ნერბი, ჭედილა და ერკემალი. მათ შორის დაძრწის მოუსვენრად ქარაბიჭა.

ჭაბუკი მწყემსნი შექუჩულან წყაროსთან კუნელის ქვეშ, ერთობიან შაირ-ზღაპრებით და მასლაათით. ერთი მათგანი წევს ოდნავ მოშორებით და სიყვარულის ჰანგებით აკვნესებს ლერწმის პაწია სალამურს. ეს ტკბილ-მწვავე ხმები ექსოვება გადახრილი მზის ხასხასა სხივებს და ეფინება შორეულ მთებს.

ამ მხიარული ჯგუფიდან საკმაოდ მოშორებით მაღალ ბალახში ჩაწოლილა თვრამეტი წლის მწყემსი ქალი და მისცემია უცნაურ ფიქრებს. ქალის მარჯვენა ხელი უნებლიედ ეალერსება იქვე მწოლარეს ლუშ ნაგაზ მურას. ის გუშაგობს ცხვარს ბრიალა თვალებით. მწყემსი ქალის გონება ამ დროს განშორებია საყვარელს მთებსა და გარს ევლება მთელ საქართველოს. ფრიად აწუხებს მას ირანელ-თურქთა თარეშით ილაჯმოხდილი, რვად დაფლეთილი კოლხეთ-ივერი, ერთ დროს მთლიანი, მძლავრი, დიადი და შემოსეულ მტერთა თავზარდამცემი. ქალს თვალწინ ეხატება მუდმივი ბრძოლა სვიმონ მეფის დროს, ხალხის გაღატაკება და ბოლოს ქართლის დიდებულთა ურთიერთშორის შფოთი, კინკლავი. განდიდების ან შურისძიების მიზნით ზოგი მათგანი ეპოტინება თურქეთის სულთანს, ზოგიც კიდევ ირანის შაჰს. ამ დიდ თავადებს თამაშად უჩანთ მშრომელი ხალხის კვნესა-ვარამი. სისხლით დაწრეტილ ქვეყანას ნუგეშად მოვლენია დიდი მოურავი გიორგი საკაძე. ხალხის წიაღიდან გამოსული, ხალხისთვის თავდადებული ოცდასამი წლის მთავარსარდალი.

უეცრივ წამოვარდა მურა, დაჰყეფა ბოხი ხმით და სწრაფად დაეშვა ბილიკისაკენ, სადაც ამოდიოდა იარაღასხმული მაღალი უცხო ჭაბუკი და მოჰყავდა შეკაზმული ცხენი. მიუახლოვდა თუ არა ძაღლი, ალერსიანად დაუწყო ლოკვა მგზავრის ხელებს. ქალმაც მალე მიაშურა მას, რაკი იცნო ახლად მოსულში თავისი უფროსი ძმა, მამაცობით გაჩთქმული ლომი ჩრდილელი, დიდ მოურავის ძმად შეფიცული, მესაიდუმლე და მარად თანმხლები.

ერთმანეთის ნახვით უზომოდ გახარებული და-ძმა გრძნობით ჩაეკვრნენ გულში ერთიმეორეს.

— ხომ კაი ამბავი მოგდის? საიდან მოხვედ ამჟამად? — შესძახა ქალმა აღტაცებით.

— ჩემო მშვენიერო ცაროვ! განა შენ მარტო აძოვებ აქ ცხორსა?! სად არის ბაბაი, ქალაუ?

— ბაბაი ავადაა ცხროთი და წევს ლოგინად. დედა უვლის. აქიმი მგელუკაი ამბობს, მალე მორჩებისო. უმ-ცროსი ძმა ვაჟა ძაუგს გაგზავნეს რაღაც საქმეზე; ვფიქ-რობ, ხვალ დაბრუნდეს. მეღაი დავრჩი ცხორის სამწყესად.

ამ სიტყვებით ქალი გაუძღვა ძმას იქვე თავის ბინისაკენ, მოურბენინა წყაროდან ხელადით ცივი წყალი, გაუშალა სუფრა, დაალაგა პური, ყველი, მაწონი, ცივი ხინკალი, აგ-რეთვე მიაწოდა რახი, რასაც სიამოვნებით დაეწაფა მთიელი. შენაყრდნენ ორივენი.

ლომიმ უამბო დას, რომ დიდი მოურავის დავალებით ის ამოვიდა მთაში ჯარების შესაკრებად, რადგან ელოდე-ბიან ამავე წელს თურქთა ლაშქრის შემოსევას ახალციხი-დან და ქართლის აოსრებას. ამიტომ სოფ. ლამისყანასთან და ტირიფონას ველზე მოურავი წვრთნის გლეხობას საომ-რად, ამავე დროს ითხოვს დახმარებას თუშ-ფშავ-ხევსურ-ეოხევეთაგან. „ხვალ დილითვე უნდა შევუდგე საქმეს და, ვფიქრობ, ხუთი-ექვსი დღე მაინც მომიხდება მთაში დარ-ჩენა, — დაუმატა ლომიმ.

ცაროს სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი. წასვლამდე ხში-რად ნახავდა ძმას და ეჭნებოდა საბაბი ესაუბრა ომებსა და ღიდ მოურავზე. ის ამ ქალის თვალში გამხდარიყო უძლევ ბლაპრულ გმირად.

მცირე შესვენების შემდეგ ლომი მივიდა ახალგაზრდა მწყემსებთან, მიესალმა მეგობრულად, უამბო სხვადასხვა ამბავი და მოსალოდნელი ომი თურქებთან.

ამასობაში დაღამდა კიდეც. ცარომ მიაქუჩა ცხვარი, შე-ლალა ფარეხში და გუშაგად მიუყენა ფხიზელი მურა, თვი-თონ კი მიწვა ბულულზე იქვე დადგმულ ჭამბარაში, — უც-დიდა ძმას. ქალი კვლავ გაიტაცა ფიქრებმა სამშობლოს

შესახებ. მას უკვე დაებადა აზრი ჩაეცვა ვაჟურად და ხლებოდა დიდ მოურავს. მაგრამ რარიგ შეესრულებინა ეს? ცხვარს ხვალ-ზეგ დაუბრუნდებოდა უმცროსი ძმა ვაჟა; მამაც მალე მორჩებოდა. მაშ ცაროს შეეძლო წასულიყო ჯარში. მაგრამ მოუწონებდა კი ამ გაბედულ აზრს „ბაბაი“ ან უფროსი ძმა?

— თუმცა ქალი ვარ, საუბედუროდ, მარა განა ქალებიც არ იბრძვიან გაჭირვების ჟამს?! განა ცოტაა ამის მაგალითი ბარად და მთაში?! ქისტ-ლეკნი რომ დაგვესხმიან ხოლმე, განა ქალები ვაჟებზე ნაკლებ ვიბრძვით?! განა ცოტა საგმირო საქმენი ჩაიდინეს ქალებმა ძველად და ახლა?! განა ცოტაღა ლექსია მათზე თქმული?! მაშ მე რაღაი დავაშავე?! ვაჟებზე ნაკლები არ მაქვს ძალ-ღონე, მათზე ცუდად არ ვისვრი თოფსა ნიშანში, არ ვიქნევ ხმალსა დ კალდიმსა. მაშ როდისღა გამომადგების ყველა ესენი, თუ არა ეხლა, როს ოსმალეთ ლაშქარი ემუქრის ივერს, დიდი მოურავიც აგროვებს ჯარებს! მაშ ახლა დროა და მეც უნდა შევუდგე საქმეს!

ასეთ ფიქრებში გართულ ქალს მიეძინა კიდეც. მისი ოცნება შეცვალა საამო სიზმრებმა ომის შესახებ. ცარომ ვერ გაიგო, როგორ შემოვიდა მისი ძმა, როგორ წაახურა საბანი, თვითონ კი მიწვა იქვე ბულულზე გაუხდელი, გვერდით მიიდო ყირიმული თოფი და წაიხურა ნაბადი, რადგან ღამით საკმაოდ ციოდა იმ სიმაღლეზე.

მეორე დილით ადრე ამოვიდა ვაჟა და მოიტანა მამის უკეთ ყოფნის ამბავი, რამაც მეტად გაახარა და-ძმა. ამათ ჩააბარეს ვაჟას ცხვარი, თვითონ კი მგლური ნაბიჯით გასწიეს შინისაკენ.

მართლაც, ხუთ-ექვს დღეში ლომიმ სანაქებოდ შეასრულა თავის დავალებანი, დაემშვიდობა შინაურთ და გაუდგა გზას. ათიოდე ეჯის დაშორებით მას შეეფეთა ჯუბა-ჯავშანში მჯდარი, იარაღასხმული, შავჩაბალახწაკრული ვიღაც პირტიტველა ლამაზი ვაჟი შევარდნის თვალებით, ფარშუბით ხელში და გადაუღობა გზა ამ სიტყვებით:

— შესდეგ, რაინდო! ჩამოხვედ ცხენით!

— ვინ ხარ, თავხედო, სამტროდ მემუქრი?! განა ვერა მცნობ ლომი ჩრდილელსა?! — შესძახა ლომიმ მჭექარე ხმით და ცხენიდან გადმოხტა, ფარშუბი იძრო.

— გიცნობ უბადლო ვაჟკაცი ხარ. ამიტომაც გიწვევ დავლურში. მსურს შენზე ვცადო ჩემი ძალ-ღონე. დახვდი მამაცად შენს სამტროდ ჰოსულ მურთაზ ფალავანს, ქისტეთში განთქმულს.

ამ სიტყვებით აღმართა შუბი და ისე სწრაფად აძგერა იგი, რომ ლომიმ ძლივს მოასწრო ფარის შეგებება. მთიელმა იგრძნო: მურთაზ ფალავანი ძლიერი მეტოქეა. ის შეუდგა ფრთხილ თავგამოდებულ ბრძოლას. ლომიმ მოუქნია მურთაზს თავისი მაგარი შუბი. ჩეჩენმა აიცდინა იგი საარაკო სისწრაფით; ასევე აიცდინა მეორედ და მესამედ ნაძგერი, რამაც ფრიად გააბრაზა ჩრდილელი. მათ შეექნათ ფიცხელი ბრძოლა. შემდეგ ორთავემ გადისროლეს შუბნი და შეუტიეს ერთმანეთს ხმლებით. მაგრამ ხმლით დავლურმაც ვერ მიაღწია მიზანს. თუმცა ღონით სჯობდა ლომი ჩრდილელი, სიმარდით ბევრად სჯარბობდა მურთაზ ფალავანი. ამრიგად ისინი აღმოჩნდნენ თანატოლნი. დიდხანს ირკინეს. ორთავეს ღვარად სდიოდა ოფლი. გაცხარდა ლომი, გამეტებით მოუქნია ხმალი მეტოქეს. მურთაზმა ელვის სისწრაფით მიაგება მაგარი ფარი, ხოლო ვერ გაუძლო მძლავრად ჰოქნეულ ხმალს მეტოქის მკლავმა და მძიმე ფარი მაგრად ჰოხვდა თავს, გულწასული ჭაბუკი მკვდარივით დაეცა. მას მიეფუშა თავს წაკრული ჩაბალახი და შავი, ქუჩუჩა კულულნი მოეფრქვა მშვენიერ სახეს. ლომი დააცქერდა მას და... მრისხანე მურთაზ ფალავანში იცნო თავის და ცარო. ჩრდილელის გაოცებას არ ჰქონდა საზღვარი... ქალი ეგდო მიწაზე გულწასული. ლომი გაიქცა, მონახა წყარო, მოარბენინა მათარით წყალი, ასხურა ქალს და მოიყვანა გონს. წამოჯდა ცარო ფერწასული, შეასწრო თვალი ძმას და დარცხვენით ჩალუნა თავი. ლომი მიუჯდა გვერდით, მოხვია ხელი და მიიხუტა გულზე. ერთხანს ასე იყვნენ უსიტყვოდ. შემდეგ ლომიმ მიმართა საყვედურით, ამხილა, რომ ეგეთი შეუსაბამო ხუმრობა შესაძლოა ცუდად დამთავრებულიყო.

ქალი მოეხვია ძმას, დაუწყო ალერსი და სთხოვა პატიება. შემდეგ გადუშალა გული და აუწყა თავისი ფარული ზრახვანი. უთხრა, რომ მისი უდიდესი სურვილია ეახლოს ვაჟად ჩაცმული გიორგი საკაძეს, რათა მას ერთგულ სამსახურსა და სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში დალიოს სული. ის გრძნობს ამისად საკმაო ძალას. თავის გამოსაცდელად დახვდა კიდეც საყვარელ ძმას, მთაში უპირველეს ვაჟკაცს, ჩუბინს და მურთაზ ფალავანის სახით შემართა საომრად.

— ეს სამოსიცა და საჭურველიც მამასია. ესენი გავიტაცე შინიდან და შევიმოსე ტყეში; შემდეგ გამოგიდექ, მთის ბილიკებით გადაგიჭერ გზა — დასძინა ცარომ, — ჩემი გულითადი თხოვნაა წამიყვანო დიდ მოურავთან, გამხადო მისი განუყრელი მხლებელი.

ლომი ღრმად ჩააფიქრა ამ სიტყვებმა. მასზე იმოქმედა დის მუდარამ, მეტადრე ქალის იშვიათმა სიმამაცემ ბრძოლის დროს.

— მე როგორღაი გაგაცნო მოურავსა! ვინ არისო, რომ მკითხავს, რაიღა ვამცნო?!

— აუწყე, რომ ვარ შენი ბიძაშვილი გელა ჩრდილელი და მწადია მასთან სამსახური.

— მერე, ეგ ხომ ტყუილია, ქალაუ! აბა მთიელი როგორ იტყუებს! რაებსა როშავ!

— ეგ იქნება შენი პირველი და უკანასკნელი ტყუილი. ამით მიხსნი უდროოდ დაღუპვისაგან. და თუ არ შეისმენ ამ ჩემს მუდარას, გიფიცავ, ეხლავ ე იმ არაგვში გადავეშვები და თავს დავიტბობ, შინ კი არ მივალ გაწბილებული...

ცაროს ასეთმა სიმტკიცემ ღრმად ჩააფიქრა მთიელი. დიდი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა, რამაც უზომოდ გაახარა ქალი. აღტაცებული ცარო მივარდა ძმას, დაუწყო კოცნა სახესა და ხელზე.

ლომიმ ჩაიკრა გულში ეს უცნაური ქალი, აკოცა შუბლზე და დაულოცა სავალი გზა ახალ მძიმე სარბიელზე.

შემდეგ ლომიმ შეისვა ცარო ცხენზე და მზის ჩასვლამდე მიუახლოვდნენ ანანურს. იქ იშოვეს ცხენი. მეორე დღეს ეახლნენ დიდ მოურავს სოფ. ლამისყანაში.

III. ერის მოთავე

1

მცხეთიდან დაწყებული დაბა ცხინვალამდე მდ. ქსანით, მეჯუდით და ორივ ლიახვით დასერილა ქართლის შუაგული. ეს უზარმაზარი სივრცე, ადრევე მჭიდროდ დასახლებული, სვიმონ მეფის დროს თურქთა მრავალი შემოსევის გამო, უკვე მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისს წარმოადგენდა გაპარტახებულ მხარეს. ამ ნაყოფიერი ვაკე ადგილებიდან აყრილი ქართველი გლეხობა შეჰხიზნოდა მთებს, ვიწრო ხევებს და იყო დიდ ვასაჭირში. ბევრი მათგანი გაეყლიტათ ხანგრძლივ ომებში. ბევრიც კიდევ, უმთავრესად ლამაზი ქალ-ვაჟნი, წარეტაცათ ტყვეებად. ქალებს ყიდდენ მეტწილად ჰარამხანებში, ხოლო ტყვედ წაყვანილ ვაჟებს ძალით აღებინებდენ მაჰმადის სჯულს, მათგან ქმნიდენ შესანიშნავ სამხედრო რაზმებს, შაჰსევანებსა და იანიჩარებს, რომლებიც წარმოადგენდნენ სულთანის და შაჰის სანაქებო გვარდიას.

მიიღო თუ არა თბილის-ცხინვალის მოურაობა, რცდასაში წლის ჭაბუკი მთავარსარდალი გიორგი საკაძე მაშინვე შეუდგა შემოსეული მტრების ალაგმვას, შეხიზნული ხალხის გადმოყვანას მთა-ხევებიდან და ისევ ძველ ბინებზე დასახლებას. ამ მძიმე საქმის შესრულების მიზნით მოურავი ხელს უწყობდა გლეხებს სურსათ-საკვებით, სამოსით, ცხვარით, ხარ-კამეჩით, ხე-ტყით და მცოდნე ხელმძღვანელობით, ხშირად თვითონ მეთაურობდა ამ გადმოსახლებას, არ-

ჩევდა ხალხისათვის შესაფერ მიწა-წყალს და ამხნევებდა მათ.

მართლაც მალე გაჩაღდა მშენებლობა ამ ვრცელ არეზე, განადგურებული დაბა-სოფლების აღდგენა და დაყრუებული ნარწყავ არხების განახლება. დიდი მოურავის ასეთი თავდადებით და უძლეავი ხმლით გამხნევებული ხალხი აღტაცებით დაუბრუნდა ძველ მამა-პაპურ მიწა-მამულს, მედგრად შეუდგა შენებას და ახალი ცხოვრების მოწყობას. ამ უზარმაზარ სივრცეზე ყველგან სრულდებოდა საიაკაძის განკარგულება, ყველას ხედავდა მისი მახვილი თვალი. ყველგან ჩანდა შავ რაშზე მიმომფრინავი მთავარსარდალი. ყველას ამხნევებდა მისი ხმა, სიტყვა, მეგობრული კილო და მეტად საამო გმირული სახე.

დილის რიჟრაჟზე ოთხი ვაჟკაცი შეკაზმული ბედაურებით ელოდა ბელადს სოფ. კავთისხევთან, შარაგზის პირას. ესენი იყვნენ დიდი მოურავის ძმადფიცულნი და თანაბრძოლნი გლეხის შვილები: პაპუნა ჩივაძე, პაპუნა ვაშაყაშვილი, თამაზ ქარსიძე და გიორგი ქავთარაძე. ესენი ისხდნენ ხის ქვეშ დიდრონ ქვებზე.

— ნეტა რად იგვიანებს ჩვენი გიორგი? რას იტყვი, პაპუნა? — შეეკითხა თამაზ ჩივაძეს.

— განა რად არის გვიან! ცხრა ეჯის გამოვლა ნოსტედან არც ისე ადვილი საქმეა, ჩემო თამაზ... ხომ ხედავ, დღე და ღამ მოსვენება არა აქვს! სულ ხალხზე ზრუნავს, სულ საწყალი გლეხობა აკერია პირზე, მარად ჟამს იმის საცადშია, როგორ დააბინაოს ბარად ეს მთებში შეხიზნული და იქიდან ჩამოყვანილი ხალხი, როგორ შეუწყოს ხელი, როგორ დაიცვას შინა და გარე მტრებიდან. აი რას ნიშნავს გლეხის წრიდან გამოსული ადამიანი.

— მართლაც, რომ საარაკო კაცია. ეგ რომ არ გასჩენოდა ნუგეშად ჩვენს გლეხობას, რაიღა ეშველებოდათ უბედურთ! ხომ სულ ერთიან დაიღუპებოდენ ამ კლდე-ღრეებში ხეტიალით! — ჩამოართვა სიტყვა ვაშაყაშვილმა.

— ახლა ეს დიდი თავადებიც რომ გადიმტერა ამ გლეხთა ქომაგობით! საბატონო გლეხები, კარგახანს მთებში შე-

ფარებულნი, ჩამოიყვანა ბარად, დაასახლა ისევ ძველ მიწა-
მამულზე და სახაზინო გლეხებად შერაცხა; ბევრი მათ-
განი კიდევ აზატად აქცია; ამ სახით დიდ ბატონებს გამოა-
ცალა ხელიდან მეწველი ფურნი. ერთი დაკვრით ააფცქვნა
ყმა-და მამულიც. ეჰვს გარეშეა, ამით ხელი შეუწყო სამე-
ფო საქმეს, ხოლო დაუძინარ მტრებად გაიხადა დიდი თა-
ვადნი: ქაიხოსრო ჯავახიშვილი, ფარსადან ციციშვილი,
თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ანდუყაფარ ამილახვარი, ზაალ
მაჩაბელი, იასე ქსნის ერისთავი და მრავალი სხვანი, —
დასძინა გიორგი ქავთარაძემ.

— იქ, სასახლეში, ლუარსაბ მეფის ლალას, შადიმან ბა-
რათაშვილს, სისხლი სწყურია დიდი მოურავის. განა ვაჟ-
კაცობის აუგს კაცი დაივიწყებს! მაგან ხომ საცინრად აიგ-
დო მისი ხმალი და ვაჟკაცობა ერევნის ომში! მეტად გა-
თამამდა და ვშიშობ, ფეხი არ წაიმტვრიოს, თუმცა ფრიად
ჭკვიანი და უნარიანი კაცია, — დაამთავრა ჩივაძემ.

— ალბათ, თავის იმედი აქვს და მეფენიც დიდად სწყა-
ლობენ. ხომ იცით, ვაჟებო, ჩვენმა გიორგიმ თავი ისახელა
პირველად დიდი სვიმონ მეფის დროს. მაშინ ძლივს იქნე-
ბოდა თექვსმეტი წლისა. სწორედ ამ უბრალო გლეხის
შვილს, ველისციხელ შიოშ საკაძის საშუალო ვაჟსა, სვი-
მონ მეფემ მიუბოძა აზნაურობა, ყმა და მამული, ხოლო
გიორგი მეფემ ისე შეიყვარა ეს ჩვენი ძმადფიცული, მე-
ტადრე ერევნის ომის შემდეგ, რომ მიუბოძა თავადობა და
მთელი ჯარების უფროსობა. ამრიგად წამოასკუპა თავზე
ქართლის დიდ თავადებს და განა ასეთ დამცირებას დაივი-
წყებენ ისინი?! ესეც არ აკმარა მეფემ: მან ჩვენს გიორგის
მისცა მთელი ქართლის მოურაობა. ხალხმაც სამართლიანად
შეაფასა ეს იშვიათი სიმამაცისა და ნიჭის ჭაბუკი და უწო-
და დიდი მოურავი...

— კარგად ამბობ, ჩემო თამაზ, სწორედ ეგრეა, — მოუ-
წონა ქავთარაძემ, — ხოლო ასეთმა განდიდებამ სრულია-
დაც არ გააზვიადა იგი თავის მდაბიო მოძმეთა მიმართ,
პირიქით, რამდენადაც ამაყია ის დიდ თავადებთან, იმდე-
ნად თავდაბალია გლეხებთან. ეს ყველამ კარგად უწყით.

ამ საუბრის დროს მათთან ელვის სისწრაფით მიიჭრა შავ რაშზე მჯდომი ბეგთარმოსილი, იარაღჭურვილი რაინდი.

— ძმებს გაუმარჯოს, — მისვლის უმალვე შესძახა ვაჟებს და სწრაფად გადმოხტა ცხენიდან.

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოაკლოს ჩვენს დიდებულ ძმასა და ერის მოთავეს!—იყო პასუხი.

— გაცდევინეთ, ძმანო! შემაგვიანდა საქმეთა გამო. მაშ ასე: თქვენ ორნივ პაპუნა წადით ტირიფონაზე, დააჩქარეთ რუის გაყვანა დიდლიახვიდან. აუწყეთ ქუქანქთ, რომ ამ მომავალ გაზაფხულისათვის მზად უნდა იყოს. ხომ იცით, თუ ის დიდი ველი არ მოირწყა მთლიანად, ნაყოფს არ გამოიღებს და ხალხი შიმშილით ამოწყდება. ფუჭად ჩაგვივლის ესოდენი საცადი. ახლად დასახლებული სოფლები კვლავ გატიალდება. ხალხი ხომ გამოდის სამუშაო ბეგარაზე?

— ჰაი, ჰაი, რომ გამოდის დიდი ხალისით; შენი სახელის ხსენება საკმარისია. ხალხი ალმერთებს თავის მოთავეს, დიდსა მოურავს, მხოლოდ...

— რა მხოლოდ, ჩემო პაპუნა?

— უნდა გამოგიტყდე, ულუფამ იკლო. შესამჩნევად შემცირდა პურის მარაგი, მოზღვავებულ ხალხს სამუშაოზე სჭირდება საზრდო. ველით შენს ახალ განკარგულებას.

— ამცნეთ გორში ჩემს მაგიერ სურსათის გამგეს გენო ლომაურს შარშანდელი მარაგიდან მოგცეთ საჭირო პური. რამდენი კოდი გეყოფათ?

—ყინვების დაწყებამდე, ვფიქრობ საკმაო იქნება სამი ათასი კოდი.

— ეგრე აუწყეთ. რაზმელთა საქმე როგორ მიდის?

— სანაქებოთ. ხუთასამდე სულ რჩეული ბიჭებია, კარგად გაწვრთნილი სამხედრო საქმეში. ჩუმად დაზვერვა, უეცრად თავდასხმა, იერიშები, შუბ-ყალდიმის სწრაფად ხმარება, ხმლის ქნევა, თოფის ნიშანში სროლა და უცებ გატანა, — ასეთებში ბადალი არ ჰყავთ.

— კეთილი, ძმანო! ამ ორ დღეში ამოვალ მანდეთ და გამოვცდი ბიჭებს. თქვენ კი, თამაზ და გიორგი, გასწიეთ

ლამისყანაში, ავარჯიშეთ ბიჭები. ორ ჟამს შემდეგ მეც იქ ამოვალ, ხალხს უთხარით ახლავე შეუდგნენ ხენა-თესვას. ანეულები არ დარჩეთ დაუხნავი. მეც აქ კავთისხევს მივხედავ და გამოვწევ თქვენკენ, — ამ სიტყვებით გაძოესალმა თავის ძმადდაფიცულთ და გააქროლა მერანი კავთისხევისაკენ.

სწორედ იმავე დილით სხვილოს სასახლეში ანდუყაფარ ამილახორთან შეკრებილიყვნენ სააკაძის მტერი დიდი მემამულე თავადნი: ქაიხოსრო ჯავახიშვილი, ფარსადან ციციშვილი და ზაალ მაჩაბელი. ტახტზე ისხდნენ ფეხმოკეცილთ და ცხარე კამათი ჰქონდათ. ისინი არ აქცევდნენ ყურადღებას არც თვალწინ გადაშლილ მშვენიერ ბუნებას, არც გაშლილ სუფრას, რაზედაც ეღაგა ვერცხლის სურებით ატენის განთქმული ღვინო და ნაირ-ნაირი საჭმელები.

— ხომ ხედავთ, ბატონებო, როგორ დაგვამცირეს და რა დღეში ჩაგვყარეს ჩვენმა საკუთარმა მეფეებმა, ჯერ გიორგიმ და ახლა ლუარსაბმა! — დაიწყო დინჯად გრძელ ხალათში გახვეულმა მასპინძელმ მან გააბოლა ნარგილე და გადახედა სტუმრებს. — ყეინის მზემან, ბაგრატიონის გვარი ღირსი ალარაა ივერიის მეფობისა, ისე დაეცა და დაჩიოტდა, მეტადრე გიორგი მეათის შემდეგ. ყველანი ამას სჩივით, რომ ვიღაც უაზნო, ვიღაც მდაბიო, გლეხის ნაშიერი, ჯავახიანთ ყმა, ვიღაც სააკაძე დაგვისვეს თავზედაო, მისცეს ჯერ აზნაურობა, შემდეგ თავადობა, მთელი ჯარების მთავარსარდლობა და ახლა კიდევ თბილის-ცხინვალის, ანუ უკეთ მთელი ქართლის გამგეობა და მოურაობაო... ნეტა რას ნიშნავს ესა! ნუთუ ჩვენ, დიდ თავადებს შორის, ვერ მოინახა შესაფერი კაცი?! ამიტომაც, ბატონებო, ბევრად სჯობია ვაქციოთ ზურგი ასეთ მეფეებს და ვეყმოთ ჩვენს მწყალობელს ირანის შაჰ-აბაზს დიდსა, მხოლოდ მას შეუძლია დააფასოს ჩვენისთანა კაცები, — გაუტარა მეფეზე გულნაწყენ თავადებს ასეთი სიტყვა, დაუგო მახე მაჰმადის სჯულმოღებულმა და შაჰის მოკეთემ ცბიერმა ანდუყაფარმა.

— მართალი ბრძანებაა, ბატონო ანდუყაფარ, — ჩამოართვა სიტყვა ფარსადან ციციშვილმა. — აღარ გვწყალობენ ჩვენი მეფენი ამ ბოლო ხანებში. მაგათ ჩვენი შერცხვენა და დამცირება სწადიათ. ჩვენს წინაშე განადიდეს ვიღაც გლეხის ნაშიერი, ჩვენი ბატონი და ბრძანებელი გახადეს თავად ჯავახიშვილის ყოფილი ყმა. ხომ ასეა, ბატონო ქაიხოსრო?

— სრული სიმართლეა, ბატონო ფარსადან, სრული სიმართლე, — დაუკრა კვერი ჯავახიშვილმა, — გიორგი საakაძის მამა შიოში ჩემი გლეხი გახლდათ. ჩინებული გუთნისდედა იყო და თანაც კარგი ბაზიერი. ახლა თავსაც აღარ მიკრავს, ისე გათავხედდა. პირიქით, მამულებს მედავება კიდეც... ვაი, წამხდარო დროვ! — დაამთავრა სიტყვა მწარე ამოხვნეშით.

— ეს ჩვენი შადიმან რადა სდუმს ასე! რად არ მოქმედობს თავის გაზრდილ მეფე ლუარსაბზე, ამ ჩვიდმეტი წლის ძუძუმწოვარზე?! განა ასე მალე დაავიწყდა მოურავის სიტყვები, ერევნის ომში საჯაროდ ნათქვამი, პირში რომ მიახალა: შენს ხმალს ბატონო შადიმან, არა აქვს მკვეთრობაო. ამაზე უფრო გაქირდვა განა შეიძლება?! ეს ხომ თავის მოჭრაა ვაუკაცისათვის! — წამოიძახა მაჩაბელმა.

— ეჰ, ჩემო ზაალ! შადიმან ბარათაშვილი კარგი მელაა და გესლიანი მორიელი. ის არ შეარჩენს გიორგი საakაძეს ასეთ გაქირდვას. მისთანა დროს უკბენს და დაგესლავს, რომ არ მოელოდეს. შადიმან დიდი ოსტატი კაცია; მან იცის, როდის რა ჩაიდინოს. ახლა სდუმს, რადგან მოურავი საჭირო შეიქნა სამეფოსათვის, თანაც მეფეებს უყვართ იგი. ალბათ, რაღაც მოხერხებით შეაყვარა თავი. გიორგი მეფემ ხომ პირველ კაცად აქცია ეს ნოსტეველი გლეხის ბიჭი, ხოლო ლუარსაბს რომ თვალში ჩაუვარდეს, ხელს არ მოისვამს. ხშირად იწვევს სასახლეში და ისმენს მის რჩევა-დარიგებას, თითქო მის მეტს ჭკუა და მოსაზრება აღარ გვქონდეს... — გაათავა უკმაყოფილოდ ფარსადანმა და აზარფეშით შესვა წითელი ღვინო.

— მართალი თქვას კაცმა, ეგ სააკაძე ფრიად დიდი ნიჭის პატრონი ჭაბუკია, მეტად ჭკვიანი და საარაკო მამაცი. ეგეთი გამბედავი და მკვეთრი გონების კაცი არც ძინახავს და არცა მსმენია, თუმცა ორმოც წელს უკვე გადავცილდი! — დაიწყო ანდუყაფარმა, შესვა ღვინო და გააბოლა ნარგილე, — ყველას კარგად გახსოვთ, ბატონებო, რა სასწაული ჩაიდინა მან ერევანთან ომებში, სადაც ვახლდით გიორგი მეფეს შაჰ-აბაზის დასახმარებლად. როდესაც თურქთა სერასკირის ალი-ფაშას ჯარები რიცხვით ჩვენზე სამჯერ მეტი მოგვაწვნენ ორი მხრივ და გვიპირებდა განადგურებას ერანისა და ქართლის ჯარებს, როცა ყველანი შევშინდით და დავიბენით, როცა თვით შაჰი შეკრთა და ჩავარდა დიდ საგონებელში, ხოლო მისი სარდლები სამხედრო თათბირზე ცახცახებდნენ შიშით, მაშინ წამოდგა დინჯად რაზმის უფროსი ოცი წლის მოყმე გიორგი სააკაძე, თაყვანი სცა ყეინსა და გიორგი მეფეს, თავმდაბლად ითხოვა მათგან სიტყვა და ოდეს მიიღო ნებართვა, ხომ გესმით ყველას, თუ როგორ გადაშალა ბრძოლის ველის სურათი, გვამცნო ნათლად ადგილმდებარეობა მტრის ჯართა, ბანაკნი, საფარნი და წარმოადგინა თავის გეგმები, რითაც განცვიფრებაში მოგვიყვანა იქ დამსწრენი, უფროროე კი თვით შაჰ-აბაზი. გაოცებულმა შაჰმ მიიწვია თავის წინაშე ეს საარაკო ჭაბუკი დიადი ხახისა და ეამბორა შუბლზე, აჩუქა ათი სავსე ჭიქა, ანუ ათასი ოქრო, და მისცა მაშინვე მოწინავე ლაშქრის, ე. ი. ქართველი ჯარის მთავარსარდლობა. ერანის შაჰის ბრძანებით, ყოველივე მოეწყო სააკაძის გეგმის თანახმად და ხომ ნახეთ, რაც მოხდა! ბრწყინვალედ გავიმარჯვეთ, განადგურდა ოსმალთა დიდი ლაშქარი, თვით სერასკირი ტყვედ ჩაგვივარდა, მასთან მტრის მთელი ბანაკი, უამრავი განძი და ლარი დაგვრჩა დავლად. ხომ ნახეთ, რარიგ დააჯილდოვა გმირი სააკაძე შაჰაბაზ დიდმა და ჩვენც რა უხვად დაგვახაჩუქრა! რომ სააკაძე არ ყოფილიყო მაშინ, იცით, რაი მოგველოდა

ერანისა და ქართლის ჯარებს? ან ტყვედ ჩავარდნა, ან სრული განადგურება!

— ხომ ნახეთ, როგორ მიულოცა ირანის ლომმა გიორგი მეფეს, მიუთითა სააკაძეზე და უთხრა: „აი ეგ საარაკო ჭაბუკი არის სარდალი, დიდი ნებისა, დიდი ჭკუის ადამიანი და კარგად გაუფრთხილდით...“

— ეგ ყველაფერი მართალია, ბატონო ანდუყაფარ, — ხოლო რომ მოგვდგა თავადებს და ძალმომრეობს ჩვენზე, ეგ რაღაა! იმოდენა ყმა და მამული წაგვართვა და მიასაკუთრა სამეფო ხაზინას. შემდეგ კიდევ...

— მოგვითმინეთ, ბატონო ქაიხოსრო, ჯერ არ გამითავებია, — შეაწყვეტინა სიტყვა ჯავახიშვილს მასპინძელმა, — ჰო, იმას მოგახსენებდით, ერევნის ომის შემდეგ გიორგი მეფემ სამართლიანად მიუბოძა იმ საარაკო ჭაბუკს თავადის ხარისხი, სათანადო ყმა და მამული, გახადა მთელი ჯარების სპასპეტად. ლუარსაბ მეფემ მისცა თბილისი-ცხინვალის მოურაობა და ხომ იცით რატომ! კიდევ შარშან სააკაძე მცირე ჯარით შეიჭრა ჯერ ლეკეთსა და შემდეგ ოსეთში, აიღო მათი ციხე-სიმაგრენი, დაარბია მათი სოფლები, გამოიყვანა მათ მიერ ტყვედ წაყვანილი ხალხი, წარტაცებული ქონება და შეიტანა ისეთი შიშის ზარი ამ მთის ხალხს შორის, რომ ვფიქრობ, სამუდამოდ დაუკარგა მათ მადა ქართლ-კახეთში თარეშისა და ქვეყნის რბევისა. ხოლო რა საშინელ ზიანს გვაძლევდა თავადებსაც კი ეს ორი ონავარი ხალხი, ყველამ კარგად უწყით...

— ეგეც მართალია, ბატონო ანდუყაფარ, ხოლო ჩვენ რა სარფა გვაქვს, ჩვენ, თავადებს, რომელთაც გვართმევს ესოდენ ყმასა და მამულს?! — წამოიძახეს გაცხარებით ქაიხოსრომ, ფარსადანმა და წამოიჭრენ ზეზე, — ალბათ, შენ ნაკლებ დაისაჯე, ამიტომაც ასე გულარხეინად ბჭობ!

— სრულებითაც არა, ბატონებო, მთელი ტირიფონა წამართვა, ხოლო ზაალს კიდევ მეტი; მაგრამ დროებით მაინც უნდა ვსდუმდეთ და შევურიგდეთ ამაებს. ჯერ სააკაძე ძალაშია, მისი მზე ბრწყინავს, მისი ბამბაც კი ჩხრიალებს. ვაცადოთ დროსა და ჟამსა. გადიხრება დასავლეთით მისი

ძზეც და მაშინ... ჰო, მაშინ დავაცხროთ თავსა ზედან რისხვა ზეცისა. მანამდე კი ვითათბიროთ, ბატონებო, როგორ მოვიგოთ გული შაჰ-აბაზ დიდისა, ამ ერანისა და ივერიის ძბრძანებელისა და როგორ ავიცილოთ თავიდან ის დიდი საფრთხე, რასაც ამზადებენ ქართლ-კახეთის მეფენი მოსკოვთან დაკავშირებით. ყეინის მზემან, კარგს არას გვიქადის ჩრდილოეთისაკენ ხელის პოტინი! — ამ სიტყვებით ენაწყლიანმა მასპინძელმა ისევ შეაპარა ქართლის თავადებს თავის ფარული ზრახვანი.

გაიმართა ცხარე კამათი ამ ახალ საგანზე.

ამ დროს კი ხალხის მოთავე უკვე სოფელ ლამისყანაში ჩასულიყო და ავარჯიშებდა სამხედრო რაზმებს, ზრუნავდა ახლად დასახლებულ გლეხობაზე.

სწორედ ასეთი ზრუნვა-თავდადებისათვის შეიყვარა ხალხმა იგი უზომოდ და უწოდა დიდი მოურავი, რა სახელწოდებაც გადაეცა თვით ისტორიას.

ნეტა ვინ იყო ეს საარაკო პიროვნება, ასეთ მძიმე დროს მოვლენილი ივერიაში?!

„იყო კაცი ესე სრული საქმითა, ძლიერი განზრახვითა, გონიერი ყოველ საქმეში, ძლიერი, წარმოსადეგი, ტანადი, დიდი მებრძოლი, უძლეველ და ვისაც იგი ბრძოლას გაუმართავდა, მუდამ ჟამს ამარცხებდა მას და თავის მოპირდაპირე მხედრობას, ვითარცა მხალსა, აღხოცავდა და განფანტავდა დედამიწასა ზედა“, — ამბობს გიორგი სააკაძეზე მისი თანამედროვე სომხის ისტორიკოსი არაქელი.

„ფშვინავდა მრისხანების დროს, ვითარცა მებრძოლი ცხენი, და შესძახებდა, ვითარცა ლომი, ვითარცა გენიის ფშვინავი ვეშაპი“, — ამბობს იგივე არაქელი.

„გიორგი სააკაძის ერთი შეძახება არევდა და ფანტავდა ჯართა“, — ამბობს პოემაში იოსებ ტფილელი.

იმდროინდელი ევროპიელი მოგზაურის პეისონელის სიტყვით, სააკაძე იყო დიდი დიპლომატი და ღრმად მცოდნე ადამიანის გულისა და თვისებათა.

„გარდა ესე მოურავი გიორგი (საკაძე) იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემმართებელი უშიში“ — ამბობს ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი.

ასეთი იყო გიორგი საკაძე, თავგასულ ოვადთა ამლაგმველი და გლეხთა ქომაგი.

მზე ჩასვლაზე იყო, ოდეს ლამისყანას მიუახლოვდა ორი ცხენოსანი იარაღასხმული მთიელი. ესენი იყვნენ ლომი ჩრდილელი და ვაჟად ჩაცმული ცარო. ამათ დაინახეს ფერდზე ახლად აგებული სოფელი, უმთავრესად მიწური სახლებით, აქა-იქ იყო დარბაზებიც; მათ ბანებზე ფუსფუსობდნენ ქალები და ბავშვები, მზეზე აშრობდნენ გარეცხილ ხორბალს და აკეთებდნენ საოჯახო საქმეებს. ხოლო მეორე მხრივ ქსნის პირას გრძლად გაბმული რამდენიმე გუთნეული ხნავდა ანეულს. სახრის ტლაშანთან ერთად ისმოდა მეხრეთა ღიღინი. იქვე ახლოს ვრცელ მინდორზე ხდებოდა ჭაბუკ გლეხთა სამხედრო ვარჯიში. რაზმის წინ ცარომ დაინახა შავ მერანზე მჯდომი, იარაღასხმული, შავულვაშა, წვერმოპარსული ჭაბუკი. მისი გოლიათური აღნაგობა, დიადი სახე და არწივის თვალები იპყრობდნენ ადამიანს.

ქალი მაშინვე მიხვდა, ვინც იყო ეს კაცი და გადახედა ძმას. ორივენი გადმოხტნენ ცხენებიდან და ქვეითად ეახლნენ დიდ მოურავს.

— გამარჯობა, ლომი! ხომ კარგი ამბავი მოგაქვს? როგორ არიან მთის არწივნი? — შესძახა საკაძემ მთიელს.

— ნუ მოგაკლოს გამარჯვება ლაშარის ჯვარმან, ლომისის წმ. გივარგიმ ქვეყნის პატრონო! — უპასუხა ლომიმ. — მამაცად არიან მთიელი ვაჟნი შენი იმედით. ვიყავ ხევსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთს, ენახევი მათი ბელადნი: ვაჟაი, ბერდიაი, უჯო და გოგოთური. მზადა ჰყავთ სამი ათასი მამაცნი იარაღით. ნატრობენ ბრძოლას და ელიან შენს ნიშანს.

— კეთილი, შაბაშ შენს მხრეობას, ჩემო ერთგულო, რომ მცირე ხანში ბევრი შესძელ. ხომ არაფერი უჭირთ მთის გმირებსა? ქისტ-ჩეჩენ-ლეკნი ხომ არ ერჩიან?

— სოროში შემძვრალან შენი შიშითა, დიდო სარდალო, მთაში ახლა მშვიდობაა. ცხორი ბევრი ჰყავთ და ძროხა. ბლომად არის აგრეთვე ცველი, ერბო-კარაქი, მატყლი და ნადირის ხორცი. პური და ღვინო მოაქვთ კახეთით, ხოლო სჭირდებათ თოფი, დამბაჩა.

— დღესვე ვაცნობებ ქალაქში ზაზას, თოფხანის გამგეს, რათა საჩქაროდ გაგზავნოს მთაში აციასი თოფი და ათასი დამბაჩა. ვფიქრობ, ეყოფათ ამ პირველ ხანად. ბევრი ჩვენც არ გვაქვს.

— იცოცხლე მრავალ წელს ერის მოთავევ! ამ ჯერად სრულებით კმარის. დიდად გაახარებ მთის ვაჟებს ამ ნობათით. დენთსა და ტყვიას თვით აკეთებენ, აღმოაჩინეს მთაში მადანი, გოგირდი, გვარჯილა, ბრპენი.

— ეგ კარგი ამბავი მამცნე! მაშ ჩვენც შეგვიძლია ვისარგებლოთ მათ მიერ დამზადებული ტყვია-წამლით!

— რამდენიც გწადით; ათას ლიტრობით მოგაწვდიან, თუ კი უბრძანებთ.

ამ ბაასის დროს მოურავმა თვალი მოჰკრა შოლტივით აწვდილ, შავჩაბალახაკრულ ვაჟს. ის გვერდით ედგა ლომის და აფრთოვანებით შესცქეროდა დიდ მოურავს.

— ლომი, ვინ არის ეგ ვაჟი, გვერდით რომ გიდგას?

მოურავის უეცარ შეკითხვაზე დაიბნა მთიელი.

— ეს ჩემი ნათესავია... გელა .ქვია... ბიძაშვილია... ძალად წამამყვა... მეტად სწადია შენთან ხლება და სამსახური.

ძლივსღა წარმოსთქვა ლომიმ ეს სიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტად და სირცხვილით დახარა თვალები.

— სახეზე ვატყობ, მარჯვე ჭაბუკს ჰგავს. სიამოვნებით ვიღებ მხლებლად, მით უმეტეს, რომ შენი ნათესავია. ხომ კარგად ხმარობს თოფსა და ხმალ-შუბს?

— გადამეტებით, დიდო სარდალო! მე თითქმის მჯობნის. განთქმული ჩუბინია. ტყვიას არ აცდენს გაფრენილ ჩიტს. ხმალსა და შუბსა იქნევს მდევურად, თანაც სისწრაფით გელას ვერავინ შეედრების...

— ეგ შენი ქება საკმარისია. დიდად მიხარის. გივის გადაეც, რომ გელას მისცეს საუკეთესო ყირიმის თოფი,

ვერცხლის დამბაჩა თავის სიათით. მცირედ შეისვენეთ ბანაკში, შემდეგ ორთავე მოდით ჩემთან კარავში: ერთად ვივახშმოთ. მწადს გესაუბროთ საჭირო საქმეებზე.

— ჰო, შენი კვნესამე, გეახლებით.

ლომიმ და გელამ მძიმედ დახარეს თავი და ბანაკისაკენ გაემართნენ.

ამასობაში დაღამდა კიდეც. საკაძემ მოახდინა მცირე განკარგულება, დაშალა რაზმები და გაქუსლა ცხენი თავის კარვისკენ, შესასვენებლად მთელი დღის შრომის შემდეგ.

IV. სიყვარულის მორევში

უკვე ერთი თვეა, რაც მთების ნებიერი ასული, ვაჟად ჩაცმული, გელას სახელით მუდამ თან ახლავს საკაძეს. იშვიათი სისწრაფითა და სიზუსტით ასრულებს ყოველგვარ დავალებას, რითაც აღტაცებაში მოჰყავს დიდი მოურავი. ხოლო რაინდის ჯუბა-ჯავშნის ქვეშ ფეთქს უმანკო ქალწულის ჩვილი გული, სავსე სინაზით. საკაძის დიადი სახე, ახოვანობა, ბრწყინვალე წარსული და მოქმედებანი მეტად ხიბლავენ ამ გულს, აღვივებენ უზენაეს გრძნობას... დიახ, ცაროს შეუყვარდა დიდი მოურავი იმ სპეტაკი გრძნობით, რაც სჩვევიათ მხოლოდ რჩეულთ. გიორგი შეიქნა ამ ქალის ღმერთი, სათაყვანო კერპი. ამიერით ცაროს გრძნობა და ფიქრი მოიცვა სამშობლომ და დიდმა მოურავმა.

მაგრამ მთის ასულის ასეთ უზენაეს გრძნობას, საუბედუროდ ვერ ამჩნევდა ის, ვის მიმართ იყო აღგზნებული ეს დიადი ვნება. გმირი სარდალი მზერდა ცაროში უებრო ვაჟს, უზადო რაინდს, მამაც მთიელს გელა ჩრდილელს, და არ უწყოდა, რომ ამ მთიელის გული, ფიქრი, ოცნება და ნორჩი არსება მთლიანად ეკუთვნოდა მას, რომ ეს ქალი, ვაჟად გადაცმული, მზად იყო გაეწირა მისთვის სული და სიცოცხლე.

აი სად იყო ამ მთის ასულის საშინელი ტრაგედია, უსაზღვრო ტანჯვა და უიმედობა!

შემოდგომის თბილი, მზიანი დღე. კრიალა ცა, სუფთა საამო ჰაერი. გორის მიდამო. ქალაქის გვერდით გოროზად ამართული უზარმაზარი ციხე, შორით მოჩანს თოვლით დაფარული კავკასიონის მთები, მათ შორის ამაყად აწვდილა ბუმბერაზი მყინვარი. კარგ ამიდს გარეთ გამოუფენია მშრომელი ხალხი. ხნავენ ანეულს, თესავენ, გაჰყავთ რუები, ალაგ კიდევ კრეფენ ყურძენს და საგვიანო ხილს.

დიდი მოურავი შავ რაშზე მჯდომი მიეშურება ტირიფონისკენ; თან ახლავან ლომი, გელა და პაპუნა ჩივაძე. ამ დროს შორით გამოჩნდა მათკენ მომავალი ხუთი ცხენოსანი. წინ მოდიოდა კენარი ტანის ასული, მდიდრულად დარახტულ არაბულ თეთრ რაშზე მოხდენით მჯდომი. გვერდით მოჰყვებოდა ქულაჯიანი პირტიტველა ვაჟი იარაღასხმული. უცებ ბუჩქიდან გამომხტარმა კურდღელმა დააფრთხო ქალის ცხენი. ის გავარდა ელვის სისწრაფით და შორს მიატოვა თანამყოლნი. ისინი ჭენებით გამოუდგნენ მას. მამაცად იჯდა მიმფრინავ რაშზე ქალი და სწევდა სადავეს. დაინახა თუ არა ეს სურათი მოურავმა, ჰკრა დეზი თავის არაბულ მერანს და საოცარი სისწრაფით დაედევნა თეთრ ტაიჭს, რათა გადაერჩინა ქალი. მას გამოუდგნენ სხვებიც. მალე მიეფარათ თვალთაგან ორთავენი.

კარგახანს დევნის შემდეგ სააკაძემ, როგორც იქნა, დაუარა თავი, სწვდა სადავეს და თავისი გოლიათური ღონით შეაჩერა დაფეთებული ცხენი სწორედ იმ დროს, როცა იგი თავის მხედრითურთ უნდა გადაჩეხილიყო უფსკრულში. მოურავმა სწრაფად გადმოსვა გულწასული ქალი და დაასვენა ძეწნის ჩეროს ქვეშ, მტკვრის სიახლოვეს. შემდეგ მოარბენინა იქვე რუიდან მათარით წყალი და ასხურა შეღონებულ ქალწულს, რათა მოეყვანა გონს. რაინდი დააცქერდა მითვლემილ ქალს და მის გაოცებულ თვალებს დაესახა ჯერ უხილავი მშვენიერება. მოფუშოდა თავზე აბრეშუმის თეთრი სიფრიფა მანდილი და მის ნატიფ სახეს შესტრფოდნენ შავი ქუჩუჩა დალალნი. თეთრად ელვარე ღაწვებს ჩეროს ჰფენდნენ გრძელი წამწამნი.

ამ საოცნებო სანახაობამ უცნაურად აატოკა ჭაბუკის გული. აქამდე უცნობი სიტკბო და სიმწვავე იგრძნო მან. მთელ ტანში დაუარა რაღაც უჩვეულო ჟრჟოლამ და დააწყებინა უნებური ცახცახი.

ამ დროს წამოჯდა გონს მოსული ქალი, გაოცებით შეაჩერა რაინდის მამაც სახეზე სინაზით ეშხმიბნედილი ჟუჟუნა თვალები, საიდანაც კრთოდნენ ნაზი ალერსი, სიტკბო და ნეტარება. ამ ციურმა მზერამ ერთ ალაგს მილურსმნა გმირი სარდალი, წაართვა ენა და მოძრაობის უნარი. იდგა ის ქალის წინაშე გარინდული და მდუმარედ შესტრფოდა ზეციურ მშვენებას. ეტყობოდა, ქალიც მეტად მოეხიბლა ამ უცხო რაინდის დიდებულ სახეს, აფრთოვანებას და უსიტყვო ტრფიალს. ტკბილად ატოკდა ნორჩი ქალწულის უმანკო გული. მან დაინახა ვაჟის უკან ერთმანეთზე ლაგამგადაბმული ორი მერანი — შავი და თეთრი. შეიცნო თავის არაბულა, ქალს გაახსენდა უცებ ყველაფერი და შეკრთა საშინლად.

— ვინ ხარ, ვაჟკაცო, ან რად ვარ აქ მარტოდ? სადღა არიან ჩემი ძმა, ჩემი მხლებელნი?

ჩასწვდა მოურავის ყურს ქალის ნაზი, წკრიალა ხმები.

— შენი მონა ვარ მე ამიერით... შენზე მლოცველი... ქართლის მოურავი... შენ კი ვინა ხარ ეგზომ ტურფა და მშვენიერი? რად მაჯადოებს ეგ შენი სახე და ეგ თვალები?!

აღმოხდა ჭაბუკს ეს სიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

ქალს გაეღიმა და გაუბრწყინდა სახე ციური.

— „მაშ შენ ხარ თბილის-ცხინვალის დიდ-მოურავი, ქართლის სპასპეტი ფრიად განთქმული? მე შენი ქება ბევრჯერ მსმენია ჩემი ძმისაგან! ზურაბ ხომ შენთან შეფიცულია ძმად და მეგობრად!

— ახლა შევიგენ. შენა ყოფილხარ დიდი ნუგზარის, არაგვთ ერისთვის ასული, შენსა სიტურფეს სპარსთა აშუღნი და ივერიის მუტრიბ-მგოსნები თარსა, ჩანგურზე დამღერიან. მაშ შენ ხარ თამარ, ქართლის ცისკარი, რომლისა ხილვას მე ვნატრულობდი?! ვმადლობ განგებას, რამეთუ მომცა ეს შემთხვევა შენ გაგცნობოდი, მემზირა შენთვის

და მომესმინა ეგ ხმა ციური... ნეტარებს სული, მუსიკობს ენა, ოდეს გიცქერი, ტურფავ ციურო!

თქვა ეს გიორგიმ აფრთოვანებით.

— დაბრძანდით, გბირო! მაშ შენ ხარ ხიფათისაგან ჩემი დამხსნელი?! და რომ შენ არა, ხომ გადამჩეხდა ე იმ ჯურღმულში ის გიჟი ცხენი! ო, ამ წუთას მის ბნელ ფსკერზედა უსულო გვამად მე ვეგდებოდი?!

თქვა ეს ასულმა ალერსიანად და მოურავი გვერდით მოისვა.

— შენ ასწილ უკვე გადამიხადე, რომ შენი მზერის ღირსი გამხადე, გვერდს მომისვი, თანაც მასმინე ეგ ხმა ციური, ნაზი, საამო... ო, ვიქნებოდი მე ბედნიერი დიდად უსაზღვროდ, რომ ეგ თვალები, სახე-მშვენიერება ჩემდა სამზერად გაჩენილიყო! თამარ ციურო! შენს ახლო ყოფნით, მზერით, საუბრით ნეტარებას ვგრძნობ. ვგრძნობ ახალ სიცოცხლეს, ჯერ უგემებელს... შენი სიშორე, უნახაობა მომკლავს, მომიღებს ბოლოს... რაღაც თილისმამ, რაღაც გრძნობებმა სრულიად შეიპყრო ჩემი არსება... აი ამ გულში ხატად სვენია ეგ შენი სახე... იქნებ ეს არის ის დიდი გრძნობა, ტრფობას, სიყვარულს რომ ეძახიან?! არ განმიცდია დღემდე ეგ გრძნობა. სჩანს, რომ შეგიქენ ველად გაჭრილი შენი მიჯნური, ვით ტარიელი ტურფა ნესტანის... თამარ, მიყვარხარ, ვფიცავ შენს სახელს! ზეცას და ქვესკნელს შევებრძოლები! არვის დავუთმობ შენს თავს, მშვენებავ! შენ მე მეკუთვნი, მე შენი ვარ სამარადისოდ.

ეს სიტყვები დიდმა მოურავმა მეტად მღელვარედ წარმოსთქვა, მერე ერისთავის ასულს შეაშტერდა თავის მგზნებარე არწივის თვალებით.

ველარ გაუძლო ქალმა ამ მზერას, ცეცხლოვან სიტყვებს და მწვავე გრძნობებს; უხმოდ მოხვია კისერზე ხელი და გმირის მკერდზე ის მიესვენა... მათი ბაგენი უნებლიედ დასწვდნენ ერთმანეთს და ჩაეტმასნენ მწვავე ამბორით... ტკბილ-სანეტარო იყო ის კოცნა ორი მიჯნურის, ორი ტრფიალის, ზენარ გრძნობით შეყვარებულის. მათ ფიცი მისცეს ერთიმეორეს.

ამ სურათს მზერდა ბუჩქში მიმალვით ერთი არსება. თმებსა იგლეჯდა გამწარებული, იხოკდა სახეს, გულს უდაგავდა ცეცხლი უშრეტი. უსაზღვრო ტანჯვას ის განიცდიდა. ვნებამ და გზნებამ დაუბნელა საღი გონება. აღბორგდა იგი შურისძიებით, ხელი წააკლო კალდიმს ელვარეს, სწადდა ვეფხვივით გადამხტარიყო, გული გაეპო მისთვის, ვინცა მოსტაცა ტრფობის საგანი და ჩაუმწარა ნეტარება. გადადგა ბიჯი, მაგრამ უხილავმა ძალამ ერთი წამით ის შეაჩერა. ფიქრმა შეიპყრო... დაცხრა, დამშვიდდა. საღმა გონებამ და სათნოებამ მის არსებაში დაისადგურა. შორს გატყორცნა ბასრი კალდიმი, დაემხო პირქვე, მწარე ცრემლებით დაალტო მიწა...

კვლავ ალერსობენ შეყვარებულნი, არც კი უწყიან, თუ ორ ნაბიჯზე მათ სდარაჯობდა ვნება მღელვარე, შურისძიება, შავი სიკვდილი...

ამ დროს ბედნიერ ქალ-ვაჟს ესმათ ხმაური. მათ დაინახეს თავის მხლებელნი. პირველად მოვიდნენ ლომი და პაპუნა, შემდეგ კი ძმა დათუნა სამი თანმხლები აზნაურით. ხოლო მათ შორის არ ჩანდა გელა და ის არავის გახსენებია. დათუნასა და მის მხლებელთ სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი, ოდეს იხილეს თამარ ცოცხალი და უვნებელი. უსაზღვრო მადლი შესწირეს დიდ მოურავს.

საკაძემ შესვა თამარი ცხენზე და გააცილა მცხეთამდე. აქ კი შეყვარებულნი დაშორდნენ ერთმანეთს. და-ძმამ მიიწვიეს იგი ანანურს მამის სასახლეში, ხოლო მოურავი ვერ გაჰყვა მათ, აღუთქვა კი მისვლა ახლო მომავალში. უკანასკნელად გააყოლა თვალი თავის ღვთაებას და გასწია ტირიფონასკენ. გულის სიღრმიდან აღმოხდა მწვავე გმინვა, რაც შეამჩნიეს ლომიმ და პაპუნამ, ფარული ღიმილით გადახედეს ერთიმეორეს.

კარგა დაღამებული იყო, როცა გელა დაბრუნდა ბანაკში მწარედ დაქანცული და მაშინვე გაუხდელად მიწვა ლოგინზე. ის კვლავ გაიტაცა ფიქრებმა. ქალის შეევარდნის თვალებს და სწრაფ მერანს ვერ გაუსხლტნენ მზერიდან არაბული თეთრი ცხენი და უკან დადევნებული მოურავი.

გელამ ყველაზე ადრე მიირბინა მათთან, გადმოხტა ცხენიდან ცოტა მოშორებით ბაღნარში, მიაბა ხეზე ცხენი, თვითონ კი სწრაფად შეცოცდა ძეწნის სიახლოვეს ბუჩქებში, საიდანაც ხედავდა ორივე ქალ-ვაჟს და ესმოდა მათი საუბარი. ამან კი ცეცხლი მოუკიდა მთის ასულს და კინაღამ ჩაადენინა საშინელი მკვლელობა. ცარო მადლობდა ზენას, რომ არ გახდა ადამიანის მკვლელი და მით არ დაკარგა საუკუნოდ მოურავის მზერა.

— განა ბრალია მისი, რომ არ უყვარვარ?! მე ხომ ვაჟი ვარ, გელა, მის თვალში ვაჟად ჩაცმული. აბა რა იცის მან, თუ ამ ჯუბის ქვეშ ფეთქს ქალის გული, ამჟამად მწვავედ შეყვარებული! და თუ მართლაც მიყვარს ის, ქვეყნის დიდება, უნდა ვცოცხლობდე მისი ბედნიერებით. გმირს შეუყვარდა მის მიერ გადარჩენილი ნუგზარის ქალი, მშვენიერი თამარ, ქალსაც ხომ უყვარს იგი! ბედნიერია ორთავენი. მაშ ჩემი კერპის ბედნიერება არ უნდა მხდიდეს გიჟად და შმაგად, არ უნდა მავსებდეს შურისძიებით! ეს იქნებოდა ჩემი მხრიდან ნამდვილი ტრფობა. მე ხომ ჩავკალი ჩემს არსებაში ქალური გრძნობა იმ დღიდან, როცა ტანს გავიძვრე დიაცთა ლაბადა, თავს მოვიხადე თეთრი მანდილი და ვაჟად მოსილმა დავირქვი გელა. სწორედ იმ დღიდან ჩემი არსება, ჩემი პირადი ბედნიერება მთლიანად შევწირე ბედშავ ქვეყანას. აი იმ დღიდან ჩემი თავი სრულიად ეკუთვნის ხალხს და მის მოთავეს... მაშ ჩაკვდი გულში, წყეულო ვნებავ! ნუ მტანჯავ აგრე, ცეცხლს ნუ მიკიდებ!

წარმოსთქვა ყრუდ ეს მწვავე სიტყვები და ლამაზ თვალებს მოსკდა ცრემლები... უკვე ალიონი იყო, როს ძლივს წალულა თვალი და ჩაეფლო ღრმა ძილში. საბედნიეროდ, იმ ღამეს მთავარ ბანაკში არ მისულან მისი ძმა ლომი, არც მოურავი.

ტირიფონასკენ მიმავალი გიორგის ფიქრი და ოცნება გარს ევლებოდა მშვენიერ თამარს. მისი გული ეღერდა სიყვარულის ზევსურს. ამ დღიდან ნუგზარის ასული შეიქნა სააკაძის სათაყვანო კერპი, იმას ხედავდა თვალწინ დღითა და ღამით, მას უგალობდა მთელი არსება. ამავე ყოფაში

იყო იქ, ანანურის დიდ სასახლეში ერისთვის ქალიც. ამ ბედნიერ დღიდან მის განუყრელ ფიქრებს შეეცავდა ქართლის სპასპეტი. თეთრი კოშკიდან თამარი გასცქეროდა სამხედრო შარას, მოუთმენლად ელოდა მას, ვინც აღუთქვა მალე მისვლა. ხოლო არ ჩანდა იგი და ქალის ქუქუნა თვალებს ცვიოდა ცრემლი მარგალიტებად, რაც დიდ მწუხარებაში აყენებდა მის დედასა და გამდელს. ამათ არ უწყოდენ თამარის გულის საიდუმლო. ნუგზარის ასულს დაეკარგა ძილი და მადა...

დიდი ფიქრის შემდეგ მოურავმა გაანდო გულის საიდუმლო ორს ახლო მეგობარს, ქართლის ორ წარჩინებულ პირს, საუკეთესო სარდლებს, ზაზა ციციშვილს და აღათანგ ხერხეულიძეს. გაუგზავნა ისინი შუამავლად არაგვის ერისთავს და სთხოვა ქალი საცოლოდ. გულის ფანცქალით ელოდა ნუგზარის პასუხს.

შემოდგომის ხასხასა დილა. ლურჯად მოკამკამე არაგვის პირას სოფ. ანანურში მთის ფერდობზე ამართულა დიდი ნუგზარის ქვიტკირის ვრცელი სასახლე, თეთრი სვეტებით და ფართო წინგარდით ორივე მხრივ გარემოცული. სასახლის გვერდით მაღლა აწვდილა ლამაზი კოშკი. იქვე მოჩანს მაღალი ციხე. სასახლის ზედა სართულის გრძელ აივანზე ნოხებდაფენილ ფართო ტახტზე ფეხმოკეცით ზის არაგვის ერისთავი ნუგზარ, უკვე მოხუცი, ხოლო ფრიად ჭარმაგი, სწევს ჩიბუხს, რაღაც ღრმა ფიქრს მოუცავს მისი ამაყი და მრისხანე სახე. ნუგზარს თავს ადგია ერთგული ციხისთავი ედიშერ გოსტაბაშვილი, შესჩერებია ბატონს თვალებში, ელის ბრძანებას; ხანდაზმით გაჰხედავს მდინარის პირად მიმავალ სამხედრო შარას.

ამ დროს გზაზე გამოჩნდა ორი მხედარი ოთხი შეიარაღებული თანმხლებით. მალე მიუახლოვდნენ ისინი სასახლეს. ეზოს ბჭის კარებთან შეეგებნენ ნუგზარის გუშაგნი და დაეხმარნენ ცხენიდან ჩამოხტომაში. მათვე ჩაეგება ედიშერ, მისი პირით სტუმრებმა ამცნეს ერისთავს თავის ვინაობა.

ნუგზარმა მაშინვე მიიღო ისინი და პატივი სცა ფეხზე ადგომით ქართლის ორ განთქმულ სარდალს, — ზაზა ციცი-

შვილს და აღათანგ ხერხეულიძეს. ორთავენი მიიპატიჟა ტახტზე თავის გვერდით. მცირე მოკითხვის შემდეგ, სტუმრებმა მოახსენეს, რომ აქვთ საიდუმლო დავალება მთავარსარდლიდან და სთხოვეს მოსმენა დარბაისელი მეუღლის დიოფალ გულქანისა და ვაჟის ზურაბის თანადასწრებით. ნუგზარმა დაითხოვა ციხისთავი და გუშაგნი, იხმო მეუღლე და ვაჟი, ფეხზე ადგომით მიესალმენ მათ სტუმრები. მცირე მუსაიფის შემდეგ ზაზამ ჩაახველა წყნარად და დაიწყო:

— მთისა და არაგვის მბრძანებელო, ბატონო ნუგზარ! ჩვენ გახლავართ შუამავლად მოსულნი თქვენს წინაშე ქართლის სპასპეტისა და მოურავის მიერ. იგი თავდაბლად გთხოვთ მეუღლედ თქვენს მშვენიერ ასულს თამარს.

— ეს რა ესმის ჩემს ყურებს! როგორ! ვინ მიბედავს მოყვრობას! ნოსტელი გლეხის ნაშიერი, ვიღაც სააკაძე. მერე, ვინ მისცა მას ესოდენი კადნიერება?!.. — წამოისროლა ბრაზმორეულით ეს სიტყვები ნუგზარმა, წამოვარდა ზეზე და გააგდო ხელიდან ჩიბუხი.

— ან თქვენ, ბატონებო, ვინ არ იკისრეთ ჩემდა მიმართ ასეთი დამამცირებელი შუამავლობა?! — განაგრძო ისევ ერისთავმა და წყენით გადახედა სტუმრებს.

— .დამშვიდდით, ბატონო ნუგზარ! ნუ გავიწყდებათ, რომ გიორგი სააკაძე დღეს პირველი კაცია ჩვენს შორის. იგი მთავარსარდალია და თბილის-ცხინვალის დიდი მოურავი. ნუთუ ასეთი ადამიანი არ არის არაგვის ერისთავის მოყვრობის ღირსი?! — დინჯი კილოთი უპასუხა აღათანგ ხერხეულიძემ.

— ვინც უნდა იყოს! უწინარეს ყოვლისა, ის გლეხის შვილია, მდაბიო. ხომ ვიცით ყველამ, რომ იგი ჯავახიანთ ყოფილი ყმაა, დღეს შემთხვევით განდიდებული!

— არა შემთხვევით, ბატონო ჩემო, არამედ ქვეყნისთვის თავდადებით და საარაკო გმირობით ბრძოლის ველზე გაითქვა სახელი დიდ მოურავმა, — უპასუხა მშვიდად ზაზამ და დაუმატა:

— გიორგი სააკაძე დღეს ჩვენსავით თავადია, თანახმად მეფის სიგელისა, და ჩვენ შორის პირველი კაცია! ეს უზე-

ნაესი ხარისხი კი სამართლიანად დაიმსახურა მან ქართლის ორთავ მეფეთაგან თავის პირადი ღირსებით და ზღაპრული სიმამაცით.

მრისხანე ნუგზარ მცირე ხნით ჩააფიქრა ზაზას მტკიცე სიტყვებმა, შემდეგ ასწია თავი და უფრო დინჯად უპასუხა შუამავლებს:

— პატივცემულნო თავადნო და სახელგანთქმულნო სარდლებო! ვწუხვარ, რომ ვერ ვასრულებ, რაც გწადით! აუწყეთ თქვენს მომგზავნელს, რომ მთისა და არაგვის დიდი ერისთავი ნუგზარ ისე არ დაიმცირებს თავს, რომ სიძედ გაიხადოს ვიღაც უაზნო, გლეხის ნაშიერი გიორგი საკაძე, თუმცა პირადი ღირსებით ფრიად აღჭურვილი: ეს გახლავთ ჩემი უკანასკნელი სიტყვა და მას ვერ შეცვლის ძე ხორციელი.

წამოდგნენ შუამავლები, ამ პასუხით ფრიად შეწუხებულნი, ჰკადრეს ყველას სალამი და დააპირეს წასვლა. მათ უხმოდ შეჰყურებდა თვალცრემლიანი დიასახლისი გულქან, მკაცრი ქმრის მიერ დამუნჯებული. მას არ სწადდა თავის ჩარევით კიდევ უფრო გაებრაზებინა ნუგზარ, ხოლო უმწეოდ გადახედა ვაჟს.

წამოდგა მოურავთან ძმად შეფიცული ზურაბ, დიდი ვაჟკაცი და უპირველესი **სარდალი გიორგი** საკაძის შემდეგ; შეაჩერა სტუმრები ხელის დაქნევით და ცალ მუხლზე დაჩოქილმა მიმართა მამას:

— დიდო ბატონო მამავ! მუხლმოყრით გენუკვის თქვენი ვაჟი ზურაბ, ნუ გააწბილებთ ამ პატივცემულ თავადებსა და განთქმულ სარდლებს, ნუ გალანძღავთ დიდ მოურავს, ივერიის გმირ სპასალარს, ნუ გადიმტერებთ მას... ალბათ, მამავ, თქვენ არ უწყით, რომ ამ ხუთი დღის წინათ საკაძემ აშკარა სიკვდილს გადაარჩინა ჩვენი თამარ, ოდეს ის ბრუნდებოდა შინისკენ დათუნას თანხლებით ჩვენ ახლო ნათესავ ფარსადან ციციშვილის ოჯახიდან. პუჩქიდან უცებ გამომხტარმა კურდღელმა დააფრთხო არაბულა და მან გაიტაცა ქალი. თუ არა დიდი მოურავი, უძირო ხრამში გადაჩეხდა გაგიჟებული ცხენი თქვენს საყვარელ ასულს.

ი ამ შემთხვევამ გააცნო ერთმანეთს თამარ და გიორგი ხაკაძე, შეუყვარდათ ერთიმეორე და მტკიცე ფიციით არიან შეკრულნი.

გაოცებული ნუგზარ მისჩერებოდა ვაჟს მდუმარედ, მრისხანე თვალებით, შემდეგ წამოაყენა ზეზე და იხმო თამარ.

კარებთან მოფარებული ქალი ისმენდა ყველაფერს. იგი სწრაფად გავიდა აივანზე, სალამი ჰკადრა სტუმრებს და დაემხო მამის წინაშე.

— ძვირფასო მამავ! დიდ მოურავმა მიხსნა სიკვდილისაგან! ჩვენ გვიყვარს ერთიმეორე, ფიცი მივეცით. შეგვიბრალე ორთავენი! ნუ დაგვტანჯავ! შეიწყალე თქვენი ერთადერთი ასული...

გაბრაზებული ნუგზარ მივარდა ქალს.

— ვითარ გაბედე, შე ურცხვო, ფიცის მიცემა! აბა ვინ მოგცა ამის უფლება, ურჩო დიაცო! ახლავ დაგამწყვდევ ციხეში...

— რაც გწადით, ის ჩაიდინეთ! უიმისოდ ცხოვრება არ შემიძლია! მე მისი ვარ სამარადისოდ!

გაცოფებული ნუგზარ შემოჰკრავს ტაშს. შემოვლენ გუშაგნი.

— გაიყვანეთ ეს მამის ურჩი დიაცი და დაამწყვდიეთ ციხის მაღალ კოშკის ზედა სართულში! გაუფრთხილდით თვალის ჩინივით; არ გაგეპაროთ, ან ვინმემ არ გაიტაცოს, თორემ საკუთარი თავით აგებთ პასუხს! ხომ გესმით! გასწით!

გაფითრებულმა გუშაგებმა ფრთხილად გაიყვანეს თამარ.

საშინლად იმოქმედა ყველაზე ნუგზარის ასეთმა სიმკაცრემ, დუმდნენ ცოლი და ვაჟი, დუმდნენ სტუმრები. ფრიად ნაწყენი ზაზა და აღათანგ თავდახრით გაშორდნენ მასპინძელთ, დაეშვნენ ძირს მაღალ კიბიდან, მოითხოვეს ცხენები, შესხდნენ და გასწიეს გორისაკენ.

V. ქართველი დედის მანდილი

შეიტყო საკაძემ ნუგზარ ერისთავის უარი, გაქირდვა და თამარის დატუსაღება. შელახულმა თავმოყვარეობამ და ვაუკაცურმა სიბრაზემ შეიპყრო იგი. იდგა ერთხანს მდუმარედ, რადაც ღრმა ფიქრმა მოიცვა მისი არსება. მოურავის მახვილმა გონებამ გადაწყვიტა ქალის მოტაცება. ეს მძიმე საქმე აუწყა თავის ახლო მეგობრებს: ორივ პაპუნას, ლომის და გელას. შეუდგნენ თათბირს, როგორ გაეხორციელებინათ ეს ფრიად სახიფათო საქმე. ადვილი არ იყო ნუგზარზე თავდასხმა და ქალის გატაცება. ასეთი მოქმედება გამოიწვევდა დიდ მსხვერპლსა და სისხლის ღვრას, მით უმეტეს, რომ არაგვის ერისთავს ჰქონდა მაგარი ციხეები და შეეძლო თავის საყმოდან შეეკრიბა უცებ ათასამდე მეომარი. საჭირო შეიქნა ამ მძიმე გეგმის უსისხლოდ მოგვარება. ამის გამო წინასწარ უნდა გაეფრთხილებინათ თამარ და ჩუმად დასცემოდნენ ანანურს სწორედ იმ დროს, როცა ნუგზარ იქნებოდა სადმე წასული. აი ეს უნდა სცოდნოდათ ადრევე, ამის გაგება კი დაავალეს გელას, როგორც ყველაზე უფრო მოქნილსა და მოხერხებულს.

იმ ღამესვე მიაქროლებდა გელა მერანს ანანურისკენ საიდუმლო დავალებით. უბეში სათუთად ედო მოურავის უსტარი თამარისადმი.

მეორე დღეს შეღამებისას მიუახლოვდა გელა ერისთვის ციხე-სასახლეს, დამალა ცხენი ტყეში, თვითონ კი მივიდა წყაროსთან, დალია წყალი მათარით და შეისვენა მცირედ.

ამ დროს სპილენძის სარწყულით ხელში წყაროსთან გაჩნდა თორმეტი წლის გოგო. გელამ ჰკითხა ვინაობა. გოგო აღმოჩნდა თამარის გამდელის ბადიში. ამ შემთხვევით ისარგებლა გელამ და გაჰყვა ბებიასთან; გაიხმო განზე, აუწყა საიდუმლოდ თავისი ვინაობა და სთხოვა დახმარება. დიდ სიხარულს მიეცა ამის გამგონე გამდელი. მან აიღო ორი ნაზუქი, ერთში ოსტატურად ჩადო მოურავის უსტარი სიფრთხილისათვის, რადგან თამართან მისულთ, გარდა დედისა, გუშაგნი სასტიკად სინჯავდნენ ყველას. გამდელი ცდილობდა, მცველთ არ ჩავარდნოდათ ხელში სააკაძის უსტარი და მით არ ჩაფუშულიყო ქალის გატაცების გეგმა. ამიტომ თვითონ წაუღო გაზრდილს ნაზუქები და ხილი ციხის კოშკში. თამარმა გატეხა ნაზუქი, ამოიღო უსტარი, მიიკრა გულზე, აკოცა სამჯერ და მთვარის შუქზე ჩუმად წაიკითხა შემდეგი:

„გადავწყვიტე შენი გატაცება, მოვდივარ რჩეული რაზმით, მამცნე მანდაური ამბები. გეხვევა მარად შენი გიორგი“.

ერისთვის ასულს გაუბრწყინდა სახე. ის გაიტაცა უსაზღვრო სიყვარულმა. ქალმა კვლავ აკოცა უსტარს და სათუთად შეინახა დარაიის სიფრიფა კვართის ქვეშ უბეში, ავგაროზთან. შემდეგ მცირე ეტრატზე ფანქრით დაწერა პასუხად ორიოდ სიტყვა, ჩადო ნაზუქის ნატეხში და გადასცა გამდელს. ამან კი მშვიდობით გამოაპარა გუშაგთ ქალის პასუხი და გადასცა გელას; პირადადაც დააბარა, რაც იყო საჭირო. გელა მოახტა თავის მერანს და გამალებით დაეშვა ქვემოთ.

აფრთოვანებით ჩაიკრა გულში მოურავმა სატრფოს უსტარი და ეამბორა მოწიწებით. შემდეგ გახსნა და გულის ფანცქალით ამოიკითხა შემდეგი:

„მზად ვარ! გამიტაცე ჩემო ყველავ! მამა ამ დილით წავიდა მთაში სამი დღით ჯიხვებზე სანადირო, თან ახლავან გიორგი და ზურაბ. აქ მხოლოდ დედაა, დათუნა და ციხისთავი ასი გუშაგით... ჩაგეკვრის გულში მარად შენი თამარ“.

შეუძლებელი იყო დაყოვნება, გარემოება ხელს უწყობდა შეყვარებულთ. დრო კი არ ითმენდა. იმ ღამესვე შეკრიბა მოურავმა ორმოცამდე რჩეული ვაჟკაცი, გაჰყო

ოთხ ჯგუფად, თითოში ათ-ათი კაცი; სამი ჯგუფი ჩააბარა ლომის და ორ პაპუნას, ხოლო მეოთხე დაიტოვა თავისთან. გააცნო მოთავეებს თავისი გეგმა: დაავალა იმ ღამესვე წასვლა ფრთხილად და ცალ-ცალკე, რათა არ აეღოთ ეჭვი; დაუნიშნა შეკრების პაემანი. თვითონ კი ათი მხედრით და გელას თანხლებით წინასწარ გაქუსლა ანანურისკენ, თან წაიყოლა მარქაფად თამარისათვის დარახტული ბედაური.

მესამე დღეს, ცისკრის ამოსვლის ჟამს, როცა მთელ სოფელს ეძინა და თვით გუშაგებსაც მოსვლოდათ რული, ციხის გალავნის კარის წინ ნაბადში გახვეულ ორ მძინარე მცველს ფეხაკრეფით მიეპარა ორი შავად მოსილი მხედარი, ჩასჩარეს პირში ნარმის ნახევი, რომ არ ეყვირათ, შეკრეს მაგრად თოკით, შეეიდნენ ციხის გალავანში და სწრაფად გაჩნდნენ მაღალ კოშკთან უკანა კედრით. ამ დროს ფრთხილად მძინარე ნუგზარის ასულს ყურში ჩასწვდა ჰოტის ხმა. გააღო მყისვე კოშკის სარკმელი და ჩამავალ მთვარის შუქზე გამოჩნდა ქალის მშვენიერი სახე. გელას მოქნილმა ხელმა მარდად შესტყორცნა ტუსაღს საბელის კიბე. სწრაფად დაიჭირა იგი თამარმა, გაამაგრა სარკმელის ქვის ფიტონზე და ფრთხილად დაეშვა ძირს. აჰა, გმირმა მიჯნურმა გულში ჩაიკრა თავისი სატრფო. სამივე ფრთხილად გავიდნენ ციხის გალავნის კარიდან და სწრაფად შეეფარნენ ხშირ ტყეს, სადაც ჩაესაფრათ თავისი გუნდი და დაებათ ცხენები, მაშინვე შესხდნენ ცხენებზე და დაუშვნენ დუშეთისაკენ.

ამასობაში ერთმა გუშაგმა, როგორც იქნა, გაითავისუფლა თოკიდან ცალი ხელი, ამოიღო პირში ჩაჩრილი მჩვარი და მორთო ყვირილი. ამ ხმაურის გამო ციხის თავზე იყეფა ბუკმა. ბუკის ხმამ ფეხზე დააყენა ციხე, სასახლე და მთელი სოფელი. ციხისთავისა და გუშაგთ გამწარებას არ ჰქონდა საზღვარი, ოდეს სცვნეს, რომ საბლის კიბით კოშკიდან გაუტაცნიათ თამარ. ედიშერ მიხვდა მაშინვე, ვინც იქნებოდა ამის ჩამდენი. სწრაფად დაადევნა მოურავს მდევრათ ორმოცამდე მხედარი, ზოგიც მთის მოკლე ბილიკებით აფრინა დუშეთისაკენ, რათა იქაურმა ციხის რაზმმა

შეუკრას გზები. შემდეგ ედიშერ შევიდა სასახლეში უზომოდ შეწუხებული, წარუდგა დიოფალ გულეანსა და დათუნას. ამათ უკვე გაეგოთ ყველაფერი და იყვნენ დამშვიდებით, რადგან გულში თანაუგრძნობდნენ მიჯნურთ.

ამასობაში გათენდა კიდეც. მცირე ხნის შემდეგ შორით მოისმა ბუკ-ნაღარის ხმაური. ეს იყო ნუგზარ; ის ბრუნდებოდა შინ კარგი ნანადირევით. მაშინვე მისცეს ბუკითვე ციხიდან ნიშანი და გაეგებნენ დიდ ბატონს... დაღვრემილ სახეთა დანახვაზე ერისთავი მიხვდა, რა უბედურებაც დასტეხოდა თავს. მან გადახედა ამათ საშინელი რისხვით, შოახდინა ფიცხელი განკარგულება, საჩქაროდ შეეკრიბათ და მიშველებოდნენ ხუთასი მებრძოლით, თვითონ კი ასამდე მხედრის თანხლებით და ცხენის ჭენებით გამოუდგა მოურავის კვალს.

ამ სახით ორმა გარემოებამ, ე. ი. გუშაგის მიერ თავის აშვებამ და ნუგზარის ერთი დღით ადრე შინ დაბრუნებამ ჩაფუშა მოურავის გეგმა.

მთის მოკლე ბილიკებით გადასულებმა ჩაუსწრეს საკაძეს დუშეთში და შეუკრეს ყველა გზა. ეს აცნობეს მას ლომიმ და ორთავ პაპუნამ, რომლებიც დახვდნენ თავის ჯგუფებით დანიშნულ ალაგს, დუშეთის ზემოთ. ამრიგად, მოურავი თავისი მამაცი რაზმით მოემწყვდა შუაში, ახლა ან უნდა გადაეცა მამისთვის თამარ, ან ხმლით ხელში გაეკაფა გზა, რაც ითხოვდა უამრავ მსხვერპლსა და ძმათა შორის სისხლის ღვრას.

საჭირო შეიქნა სწრაფი მოქმედება. საჩქაროდ მოძებნეს ბაზალეთის ტბის ახლო მდებარე გორაკზე ბანაკად შესაფერი ალაგი. იგი დაჰყურებდა მიდამოს და ზურგით ებჯინებოდა პიტალო კლდეს, რომელშიაც შედიოდა საკმაოდ ვრცელი ბუნებრივი გვირაბი. გვირაბთან დააბინავეს ცხენები. შეაწყვეს შაგნით სურსათი. თვითონ კი ჩასაფრდნენ, სამი მხრივ დაიკავეს საზვერი ალაგები.

ამავე დროს მოურავმა აფრინა მცხეთისკენ გელა და დაავალა ორასამდე მეომრის სასწრაფოდ მოყვანა, ხოლო ფშავ-ხევსურეთისაკენ გაგზავნა ლომი სამასამდე საუკეთე-

სო მებრძოლის მოსაშველებლად. ამრიგად თვით ნუგზარ თავისი მხეცრობით ემწყვდეოდა შუაში.

ლომი და გელა გაუსხლტნენ ერისთვის მზეკრავთა რკალს და გავიღნენ სამშვიდობოს. თვით ლომად ქცეული მიჯნური იღგა გორაკის წვერზე და არწივის თვალებით ზვერავდა მიდამოს. გვერდით უდგა თამარ, მისი სიახლოვე უფრო ამხნევებდა დიდებულ სარდალს.

ამ დროს შორით მოისმა ბუკის ხმა და ანანურის მხრივ სამხედრო გზაზე გამოჩნდნენ მხედრები. მათ წინ საკმაოდ დაშორებით მოაქროლებდა წითელ მერანს გაცოფებული ნუგზარი. უკან მოსდევდნენ ზურაბ და ედიშერ ასამდე მხედრით. მათ უკვე დაინახეს გორაკზე მდგარი სააკაძე თავის პატრფოთი და შემოერტყნენ ალყაღ, ხოლო ადრევე დაბანაკდნენ არაგვის პირას ბუჩქნარმინდორში.

ნუგზარმა მიუგზავნა მოურავს ედიშერ და სისხლდაღვრელად მოითხოვა თავის ასული, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა გაჟლეტას მთელი რაზმით.

სააკაძემ შეუთვალა, რომ თამარსა და მას უზენაესად უყვართ ერთიმეორე. ფიცით არიან შეკრულნი და არ ძალუძთ ცხოვრება უერთმანეოოდ, ამიტომ უფრო ადვილად დასთმობს თავის სიცოცხლეს, ვიდრე თამარს. ბოლოს კვლავ თავდაბლად სთხოვს არაგვის დიდ ერისთავს. ნუ ეურჩება მათ კანონიერ წადილს, ნუ გახდება ძმათა შორის ბრძოლისა და უდანაშაულო ხალხის გაჟლეტის მიზეზი. ნუ დაიდებს თავზე მათი ცოლშვილის ცოდვას. — „შევრიგდეთ, ბატონო ნუგზარ, და დაგიმტკიცებთ, როგორი სიძე ვიქნები თქვენი“ — დასძინა გიორგიმ, — რაც შეეხება ჯარებით გარს შემორტყმას, ამით ნუ მაშინებთ, რადგან მიღებულია ზომები და მზის ჩასვლამდე მთელი არაგვის ერისთავი იქნება გარს შემორტყმული ქვემოდან ქართლის ჯარით, ხოლო ზემოდან ფშავ-ხევსურთა რჩეული რაზმებით. — დააბოლოვა თავისი სიტყვა მოურავმა. სააკაძის ასეთმა პასუხმა უფრო აანთო ბრაზმორეული ნუგზარ, ხოლო იმავე დროს ჩააფიქრა იგი. აშკარად მზერდა, რომ ეს შუღლი იღებდა ფრიად მძიმე სახეს. ზურაბ ემუდარებოდა

მამას, ურჩევდა მოურავთან შერიგებას, მაგრამ ვერაფერს გახდა. ნუგზარმა ხელმეორედ მიუგზავნა ედიშერ და გამოიწვია სააკაძე ხმალში.

მაშინვე ჩაეგება მოხუცს იარაღასხმული სააკაძე. ხელჩაკიდებით მიჰყვებოდა თამარ, უკან მისდევდნენ შეიარაღებული ორთავ პაპუნა ოცი ვაჟკაცით. ყველას სახეს ეჭდო სიდინჯე და განწირულება. მოურავი მიუახლოვდა ნუგზარს, ჰკადრა მამა-შვილს მდაბალი სალამი, აიხსნა იარაღი და დააწყო მათ წინაშე ამ სიტყვებით:

— არაგვის დიდო ბატონო ნუგზარ! არ შემფერის თქვენთან ხმალში გასვლა პირველ მით, რომ ხნოვანებით მამად შემფერით და პატივს ვსცემ თქვენს ჭაღარას, ხოლო მეორე მით, რომ მამა ბრძანდებით ჩემი სატრფოსი... არ შემფერის აგრეთვე ბრძოლა არც გმირ ზურაბთან, ვინაიდან ძმად ვართ შეფიცულნი და თანაც ძმაა თამარის. ესდებ ამ იარაღს თქვენდა წინაშე, მასდან გენუკვით შეგვირიგოთ და გვყოთ ბედნიერ მე და ასული თქვენი, ან იხმაროთ ძალა თქვენს წინაშე მდგარ უიარაღო მოკეთეს მიმართ.

თქვა ეს სიტყვები დიდმა მოურავმა და ვით მარმარის ლუში ქანდაკი, იდგა მდუმარედ მოხუცის წინაშე ხელდაჭდობილი.

ბრაზმორეულმა ნუგზარმა იშიშვლა ხმალი.

— არ შეგარჩენ, მოურავო, ჩემს შერცხვენას! თუ ვაჟკაცი ხარ, აიღე ხმალი და გავუსწორდეთ ერთიმეორეს!

ამ დროს მოხუც ნუგზარსა და სააკაძეს შორის უეცრივ გაიშალა ქართველი დედის თეთრი მანდილი *.

ქალის მანდილის დანახვაზე შეკრთა ბრაზმორეული ნუგზარ. მიმოიხედა ირგვლივ; მოხუცის მრისხანე თვალებს დაეხატა შემდეგი სურათი:

მის წინაშე დგანან დაჩოქილი, მანდილმოხდილი, ახლად მოსული მეუღლე და თვალცრემლიანი ასული; მათ გვერდით — ცალ მუხლზე დაჩოქილი ორთავე ვაჟი. ყველას სა-

* როცა ქალი მოიხდიდა მანდილს და გაშლიდა იარაღ ამოწვდილ მოპირდაპირეთა შორის, ესენი მაშინვე შეწყვეტდნენ ბრძოლას და ჩააგებდნენ იარაღს — ამას მოითხოვდა ქართველი ერის რაინდული წესი.

ხეზე კრთოდა ხვეწნა-მუდარა. ამათ უკან კი თავდახრილი იდგა გიორგი სააკაძე...

ვეღარ გაუძლო ზვიადმა ერისთავმა ამ მძიმე სურათს. მოლბა მოხუცის გული. მის თვალებს წასკდა ცრემლი. შორს გადაისროლა ხმალი. დასწვდა, ააყენა მეუღლე, შვილები და აქამდე განუცდელი გრძნობით ჩაიკრა გულში. შემდეგ მიჰგვარა მოურავს თავისი ასული და შეაერთა მათი ხელები. გადაეხვია ორთავეს თვალცრემლიანი, მშობლიური გრძნობით, დალოცა მის წინაშე მუხლმოყრილი შეყვარებულნი, ესენი კი გრძნობით ეამბორნენ მოხუცის მარჯვენს და აპკურეს უსაზღვრო სიხარულის ცრემლები.

ნუგზარმა მოხვია ხელი სიძე-ქალიშვილს, მიიკრა მკერდზე ორთავენი და საამო ცრემლთა ფრქვევით გასწია დუშეთის სასახლისაკენ. მათ გაჰყვნენ სხვებიც უსაზღვრო სიხარულით აღსავსენი.

არაგვის ერისთავმა მოახდინა განკარგულება და გადუხადა დიდი ქორწილი თავის საყვარელ ასულს და დიდებულ სიძეს.

ამრიგად, სამტროდ მოსულნი მოყვრად შეგროვდნენ ამ დიდ ნადიმზე. ილხენდა მასპინძელი ნუგზარ, ილხენდა დიდი მოურავის მაყრიონი — გიორგის მომხრე ქართლ-მთიელთა რაზმები. დაიკლა ასამდე ცხვარი და დეკეული, გამოცხვა უამრავი პური და ხაბიზგინები, ხოლო ტკბილ-მაგარი კახური საფერავი და რქაწითელი სამი დღე და ღამ ალხენდა მხიარულ სუფრას, რომელსაც ამკობდნენ ბედნიერი ნეფე-დედოფალი, მასპინძლები და ათასამდე დამხვდურ-მაყრიონი...

VI. შაჰ-აბაზი და ქეთევან დედოფალი

მეთექვსმეტე საუკუნის ნახევრიდან ირანის სამეფოს სათავეში მოექცა ადერბილერი თათარი ისმაილშაჰი. აქედან იწყება ირანში შიხის, ანუ სეფიდთა, ახალი დინასტია. ამას მოჰყვა მონღოლთაგან დაგლეჯილი, ირანის სახელმწიფოს გაერთიანება და შესამჩნევი გაძლიერება. ხოლო იმავე საუკუნის ბოლო ხანებში ირანის ტახტზე ადის ისმაილშაჰის შვილიშვილი შაჰაბაზ პირველი.

ავიდა თუ არა ტახტზე შაჰაბაზი, მხნედ შეუდგა თურქთა მიერ წართმეული სახანოების დაბრუნებას და ირანის საზღვრების გაფართოებას. ქართლის მეფე გიორგის და კახეთის მეფე ალექსანდრეს ფრიად აშინებდათ ასეთი გაძლიერება ირანისა, რომლის ერთგვარ ხელქვეითობაში იყო აღმოსავლეთ საქართველო, ამიტომ ევერიის მეფენი ჩრდილოეთით იშვერდნენ ხელს და მოსკოვის მეფისაგან ეძებდნენ დახმარება-მფარველობას.

ირანს არავითარი საფრთხე არ მოელოდა არც აღმოსავლეთით და არც სამხრეთით. დიდი ხანია დაემხო მონღოლთა ძლიერება და ურდონი. ერთ დროს მეტად მძლავრი ბაღდადის ხალიფატი იმჟამად ქცეული იყო თურქეთის უბრალო სახანოდ და ქიშპობის საგნად. ასეთივე ქიშპობის საგნად იქცნენ მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში მდებარე სომხეთის ყოფილი სამეფო ქურთისტანი და რვა სამეფო-სამთავროდ დაფლეთილი საქართველო.

ამ ოკეანასკნელის სამხრეთი ნაწილი, ანუ მესხეთი, თურქებს ეპყრა და ისინი თარეშობდნენ თავისუფლად, ამავე დროს ეძალებოდნენ კოლხეთს. ხოლო საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს, ანუ ივერიას, ირანი დაჰპატრონებოდა, ძალით შეჰქონდა იქ თავისი სჯული და ზნეჩვეულება. ირანის დასავლეთით კი, როგორც ვთქვით, მკვიდრობდა ძლიერი თურქეთი. მან დაამსხვრია მეთხუთმეტე საუკუნეში დიდი ბიზანტია, დაიპყრო მრავალი ქვეყანა და შიშის ზარს სცემდა დასავლეთ ევროპას.

ირანის ჩრდილოეთით კი თვალუწვდენ მინდორ-ველებზე, კასპის, შავი და ბალტიის ზღვებიდან ჩრდილო ოკეანემდე და ურალის ქედგადაღმით ციმბირის უსრულ სივრცეზე იყო გადაშლილი მოსკოვის სამეფო. იგი იმ ხანებში იკრებდა ძალებს და თავისი ფეინის ქვეშ აგროვებდა რუსისა და სხვა ეროვნებათა უამრავ ხალხს. აი ამ ქვეყნის სასწრაფო ზრდა და სამხრეთისაკენ ლტოლვა შიშის ზარს სცემდა როგორც თურქეთს, ისე ირანს. მაგრამ ირანს არ ეშინოდა „ურუსების", სანამ მისი საზღვრები იყო ყირგიზეთ-ბაშკირეთ-უზბეკისტანის უწყლო, ბიაბანი ვრცელი ველები, კასპის ზღვა და კავკასიონის მაღალი ქედი, რომლის გადმოსასვლელ კარებს იცავდნენ მამაცი ქართველნი და გამაჰმადიანებული მთიელები, ე. ი. ჩერქეზ-ოს-ლეკ-ჩეჩნები. და თუ ივერიის მეფენი გაუღებდნენ იმათ დარიალის კარებს, მაშინ წყდებოდა ირანის ბედიც, რადგან ქართლ-კახეთით უჩნდებოდათ რუსებს მოკლე და ადვილად სავალი გზა შუაგულ ირანისაკენ.

ამას საშინლად უფრთხოდა ვერაგი და მრისხანე შაჰაბაზი და ყოველივე ღონეს ხმარობდა, რომ ასეთი მარცხი არ მომხდარიყო. სწორედ ამავე აზრის იყო მისი მეტოქე თურქეთიც, ამასაც ფრიად აშინებდა და აბრაზებდა რუსეთის შეზობლობა შავი ზღვით და მისი შემოსევის საფრთხე ქართველ მეფე-მთავართა მეოხებით.

შეიტყო თუ არა ერთგულ ჯაშუშთა მეშვეობით ივერიის მეფეთა მიმოწერა მოსკოვის ხელმწიფესთან, შაჰაბაზი საშინლად განრისხდა და მაჰმად ფეჰამბარის წვერი დაიფიცა,

რომ შურს იძიებდა და საარაკოდ დასჯიდა ქართლ-კახეთის მეფეებს. ამისათვის კი შაჰი უცდიდა შესაფერ დროს. იმ ხანად არ ეცალა მას, რადგან ერევანთან ებრძოდა თურქთა სულთანს.

იმავე ხანებში მოხდა კახეთში დინასტიური გადატრიალება; დავით ბატონიშვილმა განახორციელა თავისი განზრახვა, მოაწყო შეთქმულება, შეიპყრო თავისი მამა მეფე ალექსანდრე და ძმა გიორგი, დაამწყვდია ორთავენი თორღას ციხეში და თვითონ გამეფდა. ხოლო გამართლდა ქეთევან დედოფლის წინათგრძნობა: ექვსი თვის შემდეგ მოკვდა დავით; ტახტზე ავიდა ისევ მოხუცი ალექსანდრე.

ეს ამბავიც მაშინვე ჩაუვიდა შაჰაბაზს. მან იმხანად გამარჯვებით დაამთავრა ომი თურქეთთან. შაჰმა იგრძნო, რომ დადგა შურის საძიებლად შესაფერი დრო, რადგან კახეთი ორ ბანაკად იყო გათიშული დინასტიური განხეთქილების გამო.

შაჰმა დიდად დააჯილდოვა საამო ამბის მომტანი შიკრიკი და შეუდგა საქმეს. იხმო მის კარზე აღზრდილი, ადრევე მძევლად წაყვანილი კახეთის მეფის საშუალო ვაჟი, გამაჰმადიანებული კონსტანტინე, მისცა ხუთმეტი ათასამდე საუკეთესო მებრძოლი და გაგზავნა კახეთში ამ სიტყვებით: — „წადი კახეთს, დაიპყარ იგი, მოჰკალ ფიცის გამტეხი მამაშენი და ძმა გიორგი, — და კახეთის სამეფო დამილოცნია შენთვის“.

კონსტანტინე ბატონიშვილი გაემართა კახეთს და მოკლე ხანში შეასრულა შაჰის დავალება. ის დაბანაკდა საინგილოში, დაიბარა მამა და ძმა ვითომდა სათათბიროდ.

ივნისის მიწურულია, კონსტანტინე ბატონიშვილი სპარსთა მხედრობით დაბანაკებულა ქიზიყის ბოლოს, სოფ. ბაზართან. ღამეა, თავის ბანაკში არ სძინავს შაჰის მიერ გამოგზავნილ ბატონიშვილს კონსტანტინეს, იგი ღრმა ფიქრშია წასული.

კონსტანტინემ ვერც კი შენიშნა, თუ როგორ შემოვიდა კარავში მისი ლალა გულბაათ ჭავჭავაძე, მშვენიერი სახის ახოვანი მოხუცი.

— შენა ხარ, ჩემო გულბაათ? რა იცი ახალი ამბავი? ხომ არ მოსულან გრემიდან დაბარებულნი? — შეეკითხა კონსტანტინე.

— არა ბატონიშვილო! ჯერ არ მობრძანებულა კახეთის მეფე ალექსანდრე.

მხოლოდ მეორე დილით ჩამოვიდა გრემიდან მოხუცი ალექსანდრე მცირე ამალით. მას ახლდა უმცროსი ვაჟი გიორგი. კონსტანტინე ბატონიშვილი მაშინვე მოეგება მამას და პატივით მიიღო თავის კარავში. აქ მამა-შვილს შორის ცხარე კამათი მოხდა — რუსეთთან დაახლოების გამო, შვილი არ იზიარებდა მამის მისწრაფებას და გმობდა მის საქციელს. არა ნაკლებ ცხარობდა მამაც. იგი ადიდებდა მოსკოვის მეფეს და ქირდავდა ვერაგ სისხლისმსმელს შაჰ-აბაზს. კონსტანტინე გამოვარდა გარეთ და მისცა მკვლელთ ნიშანი. ისინი შეცვივდნენ კარავში, მოკლეს მოხუცი მეფე ალექსანდრე, მისი შვილი გიორგი და გაქელიტეს მთელი ამალა. აღსრულდა ის, რაც სურდა ვერაგ შაჰ-აბაზს! შვილმა დაკარგა მამისა და ძმის სისხლი. კონსტანტინემ გამოაცხადა თავი კახეთის მეფედ.

ელვის სისწრაფით მოედო ეს საზარი ამბავი მთელ კახეთს და უზომოდ აღაშფოთა ხალხი. სცნო ეს საშინელი ამბავი ქეთევან დედოფალმა. ამავე დროს მიიღო შაჰისა და ძმის მკვლელის უსტარი; კონსტანტინე ურჩევდა გაჰყოლოდა მას ცოლად, წინააღმდეგ შემთხვევაში უქადდა სიკვდილით დასჯას. უსაზღვროდ ააშფოთა ეს სათნო ადამიანი კონსტანტინეს მხეცობამ და ურცხვმა თავხედობამ.

ქეთევანმა სასწრაფოდ შეკრიბა კახეთის მდაბიო ხალხის მეთაურნი და დიდებულნი და მიმართა მათ შემდეგი სიტყვით:

— კახეთის ერთგულნო! ხომ ყველას გესმით უღვთო კონსტანტინეს მიერ ჩადენილი მხეცური საქმენი: მის მიერ საკუთარი მამისა და ძმის, — მეფე ალექსანდრესა და ტახტის მემკვიდრე გიორგის, — ვერაგულად მოკვლა, მათი ამალისა და კახეთის მრავალ დიდებულთა გაქელტა! ესეც არ იკმარა კაენმა და იუდამ, მას სწადია ჩემი ცოლად შერ-

თვა და თქვენს სათაყვანო განსვენებულ დავით მეფის, ჩემი უბეღური ქმრის, სარეცელის წაბილწვა... როდემდე უნდა ვითმინოთ, ძმანო, საზიზღარ მტარვალის მიერ ესოდენ ძალმომრეობა, შერცხვენა და დამცირება! აივსო მოთმინების ფიალა! დროა, ძმანო, ვიპყროთ მახვილი ხელში და ვიძიოთ შური! დროა დავამხოთ გალაღებული მტარვალი და მივსპოთ მისი უსჯულო მხედრობა ერანიდან მოყვანილი! თუ ეს არ ჩავიდინეთ, იცოდეთ, მოგველის ოხრება, ტყვევნა და სიკვდილი. წყეული კაენი და იუდა, რომელმაც გასწირა საკუთარი მამა და ძმა, შეიღება ხელები მათ უმანკო სისხლში, ვითარ დაგზოგავთ თქვენ! უმჯობეს არს, სანამ იგი გამოილაშქრებდეს აქეთ, ჩვენ თვითონ დავასწროთ მას. ძმანო, მეც თქვენთან ვარ მებრძოლი, ვითარ შეფერის ქართველ დედებს ჟამსა განწირვის... მწამს, ძმებო, რომ დიდებული ღმერთი მოგვმადლებს ბრწყინვალე გამარჯვებას! წმ. გიორგი, თეთრ რაშზე მჯდომი, შუბით გაუპობს გულ-მუცელს პირდაღრენილ გველეშაპს, რომელიც მოგრაგნილა სპარსეთის მხრიდან და გვემუქრის ჩანთქმას...

— გაუმარჯოს ჩვენ გმირ დედოფალს! გაუმარჯოს ქართველ დედას! გაუმარჯოს ივერიის ღირსეულ ასულს!!

იგრიალა ერთხმად ხალხმა და აღტაცებით გარს შემოერტყა სახელოვან დედოფალს.

— ყველანი მოვდივართ საომრად! მოვდივართ ქვეყნისა და ქრისტეს მტერზე დიდნი და მცირენი! წყეულიმც იყოს, ვინც გვიღალატოს ამ წმინდა საქმეში, ვინც შედრეკს და უკან დაიხიოს! დაემხოს მას ოჯახი! — შესძახა კვლავ აფრთოვანებით ხალხმა.

— გაგვიძეღ, დედოფალო, წინ! ხელთ იპყარ ძლევის დროშა! სიკვდილი ხალხისა და სარწმუნოების მტერთ! სიკვდილი მტარვალთ!

შესძახეს აღტაცებით კახეთის საუკეთესო სარდლებმა: ქაიხოსრო ომანიშვილმა, დავით ჯანდიერმა, ნოდარ ჯორჯაძემ, ბებურ და ედიშა ვაჩნაძეებმა.

— მოვდივართ ყველანი! ან გავწყდეთ ერთიანად, ან მოვიპოვოთ გამარჯვება! — შესძახეს კვლავ სარდლებმა და შეკრიბეს ორ-სამ დღეში რვა ათასამდე საუკეთესო მებრძოლი. ამ ჯარს გაუძღვა თეთრ რაშზე მოხდენილი ჭაღდომი თვით გმირი ქეთევან. გაემართნენ ქიზიყისაკენ, სადაც იდგა ბანაკად მამა-ძმის მკვლელი კონსტანტინე თავისი მომხრეებით და ირანის ჯარით.

ბედით განწირული კონსტანტინე ბატონიშვილი ბრძოლის დაწყებამდე მცირე ამალით მიუახლოვდა კახთა ბანაკს ქეთევან დედოფალთან პირადად სასაუბროდ. ამ დროს უეცრად გადმოხტენ ბუჩქებიდან გზის ორივე მხრივ ჩასაფრებული დავით ჯანდიერი და ძმანი ვაჩნაძენი რამდენიმე საუკეთესო ვაჟკაცით, დაახალეს მამის მკვლელს დამბაჩები, გადმოაგდეს ცხენიდან და იქვე აკუწეს ხმლით მთელი ამალიანურთ.

კონსტანტინეს მოკვლით გამხნევებული ქეთევან თავის მამაცი რაზმით ეკვეთა ირანის მხედრობას და გააკლო მუსრი. კახეთი განთავისუფლდა ირანის თარეშისაგან და შვებით ამოისუნთქა. ეს ამბავი მოხდა 1605 წელს.

ეს ბრწყინვალე გამარჯვება ქეთევან დედოფალმა აუწყა შაჰაბაზს და კახეთის მეფედ მოსთხოვა ორი წლის წინ მძევლად გაგზავნილი ბატონიშვილი თეიმურაზ, რომელსაც ახლა თავისი ლალა შარმაზან ჩოლოყაშვილი.

შიილო რა შაჰაბაზმა ქეთევანის უსტარი, სცნო კონსტანტინეს დაღუპვა და სპარსთა მხედრობის განადგურება, მის ვაბრაზებას არ ჰქონდა საზღვარი, მაგრამ შეიკავა თავი და მშვიდობიანი გზით არჩია საქმის მოგვარება. მან დაიბარა 13 წლის თეიმურაზ, მიულოცა გამარჯვება და ცბიერად დაუმატა: სწორედ ამის ღირსი იყო მამისა და ძმის მკვლელი. მისცა შესაფერი დარიგება, დახურა თავზე სამეფო ჯიღა, ჩამოართვა ერთგულების ფიცი, დალოცა და უხვი საჩუქრებით გამოგზავნა კახეთის მეფედ.

გამარჯვებით გალაღებულმა კახეთმა ალფრთოვანებით მიიღო მეფედ ნორჩი თეიმურაზ პირველი, — ეს დავით მეფისა და გმირი ქეთევანის ერთადერთი ვაჟი და ტახტის

კანონიერი მემკვიდრე. საინგილოში შეეგებნენ მას დედა ქეთევან დედოფალი და კახთა დიდებულნი; ზეიმით მიიყვანეს გრემს და აკურთხეს მეფედ ალავერდის დიდ ტაძარში. მცირე ხნის შემდეგ მოჰგვარეს ცოლად ოდიშის მთავრის დადიანის ასული და ორმოცი დღე იყო მთელ კახეთში გაუთავებელი საქორწინო ზეიმი და ლხინი.

ამავე ხანებში მიიცვალა ქართლის მეფე გიორგი მეათე, რომელიც ადრევე გაიტყუა შაჰაბაზმა ქართველი მხედრობით ერევანთან დასახმარებლად და ნადიმის დროს მოაწამვლინა ნელი საწამლავით. რამდენიმე თვის შემდეგ ამ საწამლავმა იმსხვერპლა სუსტი აგებულების მეფე. ქართლის ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ლუარსაბ მეორე, გარეგნობით ფრიად ლამაზი და ახოვანი, ხოლო სუსტი ხასიათის და სხვისი სიტყვის დამჯერე.

VII. ორი გვირგვინოსანი

მაისის ბოლო რიცხვებია. აყვავებული კახეთი, ამწკანებული მთები, ზვრებითა და ხეხილის ბაღებით შემკული დაბა-სოფლები. ალაზნის გასწვრივ ბიბინებს ნიავზე პურის ყანები, ყაყაჩოებით შეწითლებული. ცივ-გომბორიდან და შილდა-ყვარელის მთებიდან გიჟმაჟად ჩამორბიან პაწია მდინარენი, ამირანის ცრემლებად მორაკრაკებენ მთების მკერდიდან ანკარა წყარონი. ტახტი დაუდგამს ფირუზ ცაზე დიდებულ მნათობს, ოქროთი ქარგავს კახეთის ტურფა ბუნებას. საამური ცილა იზიდავს გარეთ დიდსა და მცირეს. ბაღებიდან ისმის ბულბულთა ნაზი გალობა.

ამ დროს გრემის დიდებული სასახლის ვრცელ აივანზე მოჩანს ორი მიმზიდველი სახის მოყმე, მდიდრულად მორთულნი. ერთი უფრო ტანმორჩილი, ჯმუხი და პირტიტველი, 17 წლისა, მეორე-კი — წერწეტა ტანის, ნაზი, 20 წლისა, ახლადაკოკრილი ულვაშებით.

ისინი სხედან ფეხმოკეცით, ხალით მოგებულ ლბილ ტახტზე, დაუბჯენიათ მკლავები ოქრომკედით მოქარგულ ხაევრდის მუთაქებზე და ტკბილად მასლაათობენ.

— სწორედ რომ მშვენიერია ეს შენი კახეთი, ჩემო თეიმურაზ. გრძლად გაშლილი ველი, ზვრებით, ბაღებით, პურის ყანებით და სათიბებით აფერადებული, მთა-გორაკები ქოჩორა ტყით დაბურული, მდორედ მავალი დინჯი ალაზანი ხიბლავენ მზერას. და ეს ნოყიერი მიწა, დედოფლის

არხით დასერილი, იძლევა ჭირნახულის დოვლათს და სიუხვეს. მართლაც რომ სრულიად საქართველოს თვალია ეს ტურფა ქვეყანა. თვით კახეთის ხალხი, სიმამაცით განთქმული და ბრძოლაში უპოვარი, ლაღად და მსუყედ გრძნობს თავსა შენს სამეფოში. სწორედ რომ ბედნიერი ხარ, ბედნიერი, ჩემო თვისო და მეგობარო! სხვა რაიღა გწადს კიდევ, თეიმურაზ მეფევ? — წამოიძახა სტუმრად მოსულმა ქართლის მეფემ ლუარსაბმა და მოხვია ხელი მასპინძელს.

— ერთი რამ მწადს კიდევ, ჩემო ძვირფასო ლუარსაბ! ბოროტ შაჰაბაზის ბრჭყალებიდან დასხლტომა და მოწყალე ძლიერი მფარველის პოვნა.

— მერე, ვინა გყავს ეგეთი, ჩემო თეიმურაზ! თანაც არც ისე ადვილია ამ მხეცის ბრჭყალებიდან თავის დაღწევა...

— თავს კი დავაღწევ, თუ ძლიერი მფარველი და ბატონი მეყოლა, ჩემო ლუარსაბ.

— მერე, ვინ გეგულვის ასეთი?

— ვინა და დიდი რუსეთი, მოსკოვის ძლიერი მეფე.

— დიდი რუსეთი?! მოსკოვის მეფე?! — გაიკვირვა ლუარსაბმა, — როგორც ვხედავ, შენც პაპაშენის გზას ადგეხარ, ჩემო თეიმურაზ! ფრთხილად იყავ, ფრთხილად! ხომ კარგად იცი, რომ პაპაშენი, განსვენებული მეფე ალეკსანდრე, მაგ სახიფათო გზამ დაღუპა. — აბა, მამცნე, რით დაეხმარა მოსკოვის ხელმწიფე პაპაშენს, როცა გაბრაზებულმა შაჰმა ბიძაშენს კონსტანტინე ბატონიშვილს უბრძანა მოჰკალ ძმა და მამაშენიო, მანაც, ღვთისაგან წყეულმა, ჩაიდინა ეს უსაზღვრო ბოროტებანი! მოსკოვის ხელმწიფეს კიდეც რომ სწადდეს დახმარება, იმ სიშორიდან ვერ მოგვწვდება, ვერას გვიშველის.

— აბა ვიღას მივმართოთ, შენის აზრით, ჩემო ლუარსაბ? ოსმალეთი კიდევ უარესია ყიზილბაშზე. რვა ნაწილად დაფლეთილ საქართველოს ეს ორი აფთარი მოსდგომია აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით, ისინი გვიპირებენ სჯულისა და ზნე-ჩვეულების შეცვლას, დამონებას. დიდი მესხეთი ხომ წარიტაცა სულთანმა და შეუცვალა სჯული, გაათურქა, ახლა ამასვე უპირებს უბედურ კოლხეთს, ანუ

იმერეთ-გურია-სამეგრელოს და სვანეთ-აფხაზეთს. აქ კი ჩვენ მოგვადგა ლაქუცითა და კუდის ქნევით ვერაგი შაპაბაზი და სწადს მთლიანად ჩაგვიგდოს ხელში...

— ნუთუ სხვა გზაი არ მოიპოვება?

— აბა რა გზაი, ჩემო ლუარსაბ? დასავლეთი ევროპა კიდევ უფრო შორსაა ჩვენგან და ვერ მოგვწვდება, მასთან ჩვენსა და მათ შორის გარდუვალ ზღუდედ ჩამდგარა ძლიერი ოსმალეთი. მან ამ ას ორმოცდაათი წლის წინათ ღაამსხვრია ჩვენი მოკეთე და მოკავშირე განათლებული სახელმწიფო დიდი ბიზანტია, დაეუფლა მის ქვეყანასა და ამჟამად შიშის ზარს სცემს ევროპის სამეფოებს: იტალიას, ესპანეთს, საფრანგეთსა და ავსტრიას. აკი მიმართეს კიდეც მათ ჩვენზე ადრე კოლხეთ-ივერიის მეფე-მთავრებმა და სთხოვეს დახმარება! რა გამოვიდა! ჯარების ნაცვლად გამოაგზავნეს პატრები, კათოლიკე ბერები, ლაქუცა ენის მქონენი და ექიმბაშები... აი მათი დახმარება! სხვა ვიღაა კიდევ! ვის ძალუძს ჩვენი მფარველობა! არავის, გარდა თვინიერ რუსეთისა. რუსეთი დიდია, ძლიერია, ჩვენსავით მართლმადიდებელი ქრისტეანე, ამავე დროს ოსმალეთისა და სპარსეთის მტერია და მოქიშპე, ამიტომაც გვმართებს მასთან დაახლოება და მის ფრთებქვეშ შეფარება. აი ეს არის საქართველოს ერთადერთი გზა! სხვაგვარად კი ჩვენ მოვისპობით, გავნადგურდებით... ამასვე გირჩევ შენც, ჩემო ლუარსაბ. დღესვე დავწეროთ ვედრებითი უსტარი და გავუგზავნოთ დესპანთა ხელით მოსკოვის ახალ მეფე მიხეილს და დიდ ფეშქეშებთან ერთად ვსთხოვოთ დახმარება-მფარველობა.

ამ საუბრის დროს აივანზე გამობრძანდა თეიმურაზის დედა, ბრძენი ქეთევან, რაღაც გრაგნილით ხელში, მას გამოჰყვა ყურთმაჯებიანი ჩოხებით და მაღალყელიანი ჩექმებით ორი უკვე ხანში შესული დარბაისელი; ერთი მათგანი იყო თეიმურაზ მეფის ლალა და მესაიდუმლე შარმაზან ჩოლოყაშვილი, ხოლო მეორე — ლუარსაბ მეფის ლალა შადიმან ბარათაშვილი, ორთავენი ფრიად ცნობილნი ივერიაში თავიანთი ჭკუა-გონებითა და გამჭრიახობით...

დედოფლის დანახვაზე ნორჩი მეფენი სწრაფად წამოიჭრნენ და მდაბალი სალამი ჰკადრეს, ხელზე ეამბორნენ. დედოფალმა მშობლიური გრძნობით აკოცა ორთავეს შუბლზე და უსურვა დილა მშვიდობისა, შემდეგ დაბრძანდა ტახტზე და გვერდით მოისვა ორივე მეფე. დარბაისელნი კი ჩამოსხდნენ ტახტზე მათ პირდაპირ.

— ეგ რა გიპყრიათ ხელთა, საყვარელო დედავ? — შეეკითხა ალერსით თეიმურაზ და მიუთითა გრაგნილზე.

— ერანის ბატონის შაჰაბაზის უსტარია, ჩემო ძვირფასო შვილო. ამ დილით მოიღო სპარსეთის ელჩმა სარუხოჯამ, თანაც მოგართვათ ორთავე მეფეს ფეშქაშები.

— ნეტა რას გვამხელს ბებერი მელა?

— სუ! წყნარად, შვილო, ეგრე ნუ ახსენებ ერანის მეფეს. არავინ გაგვიგონოს და არ დაგვღუპოს. შაჰის ჯაშუშებითაა სავსე ეს ჩვენი სამეფო, — ამხილა თეიმურაზს ოდნავ წყენით და ნელი ხმით ქეთევანმა, თანაც ირგვლივ მიმოიხედა.

— უმჯობეს არს, დედოფალო, შევიდეთ საიდუმლო დარბაზში და იქ ვიმსჯელოთ, — ჰკადრა შარმაზანმა.

— სრული სიმართლეა, აგრე აჯობებს, ბატონო, დასძინა შადიმანმა.

ყველანი შევიდნენ ზომცრო დარბაზში და ტახტებზე დასხდნენ.

— რას იწერება ცბიერი ყაენი? — კვლავ შეეკითხა დედას დაბალი ხმით თეიმურაზ. — აბა წაგვიკითხე, ჩემო ლალავ, — მიმართა შარმაზანს და გადასცა გრაგნილი.

როგორც ქართველი დედის შვილმა, შაჰმა ჩინებულად იცოდა ქართული ენა. იგი ქართულად სწერდა ივერიის ორთავ მეფეს:

„მე სრულიად ერანისა, ერაყისა, ქურთისტანისა, რანშირვანისა და ივერიის დიდი ბრძანებელი შაჰაბაზ პირველი, მივუწერ ამა როჯიკსა ჩემს ერთგულ მეფეებს ქართლისასა ლუარსაბს და კახეთისას — თეიმურაზს, უსურვებ ორთავეს ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს თავიანთ მშვენიერ სამეფოითურთ.

ჩემო ერთგულო ლუარსაბ და თეიმურაზ! მე, აღმოსავლეთის დიდმა ბრძანებელმა, გადავწყვიტე თქვენ ორთავესთან დამოყვრება. მწადის თქვენ შორის ძმური და მეგობრული კავშირი. მსურს შევირთო ცოლებად თქვენი დები, დანი ორთავ მეფისა; მასთან ერთად დაგამოყვროთ ურთიერთშორის და მწადის ახლად დაქვრივებულმა თეიმურაზმა შეირთოს ცოლად ლუარსაბის მეორის და. ამ სახით, თქვენ, ივერიის მეფენი, გახდებით ჩემი ცოლისძმანი, ხოლო თეიმურაზი კიდევ ქვისლიც. ამიერით მე, შაჰაბაზ დიდი ვიქნები თქვენ ორთავე მეფის სიძე, მამა და მფარველი. თქვენ მიიღებთ ჩემგან დიდ ფეშქაშებსა და შეღავათებს. ჩვენ სამნი ერთად გავხდებით ურთიერთშორის მოყვრობით და მეგობრობით მტკიცედ დაკავშირებულნი, რითაც შიშის ზარს დავსცემთ სამნი ერთად ჩვენსა და თქვენს სამეფოთა მტრებსა და დუშმანებს.

ეს მაღალი აზრი მაგონეს დიდმა ალაჰმა და მისმა ფეჰამბარმა,— იკურთხოს უკუნისამდე მათი სახელი, და მწამს, რომ ორთავ მეფენი სიხარულით მიიღებთ დიდი ერანის მბრძანებლის მოყვრობას და მეგობრულ კავშირს“.

ამ უსტარის წაკითხვის შემდეგ მცირე ხნით ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. იქ დამსწრეებმა ერთმანეთს გადახედეს. სიჩუმე თეიმურაზმა დაარღვია.

— ხედავთ, ბატონებო, რა ხაფანგს გვიგებს ერანის ბებერი მელა? სწადს ჩვენი შებორკვა, ჩვენი ხელში დაჭერა. მას ფრიად აშინებს ივერიის დაახლოვება დიდ რუსეთთან, ჩვენი მეგობრული კავშირი მოსკოვის მეფესთან. ეს ადრევე ვიცოდი. ხომ გახსოვს ჩემო ლალავ, რა სიტყვით მომმართა, რა დარიგება მომცა შაჰმა, როცა დამადგა თავს გვირგვინი და მგზავნიდა კახეთის მეფედ; იყავ მუდამ ჩემი ერთგული და ერიდე იმ სახიფათო გზაზე სვლას, რამაც დაღუპა პაპა და ბიძაშენიო... ახლა მოყვრობას გვიპირებს. რათა გაგვიხადოს თავისი ერთგული, მონა-მორჩილნი.

— ნუ ცხარობ, შვილო! დამშვიდდი... ამჟამად ყველამ უნდა მოვიკრიბოთ გონება და დინჯად განვიხილოთ დიდი

ყეინის წინადადება, — წარმოსთქვა წყნარად ქეთევან დედოფალმა და გადახედა იქ დამსწრეთ. — აბა რას გვირჩევთ, ჩვენო ერთგულნო, სიბრძნით სავსენო შადიმან და შარეაზან? — შეეკითხა ქეთევან.

— თვით დიდო ბრძენო და გონებასრულო დედოფალო! ჩვენ რაიღა მოგახსენოთ, ოდეს თქვენ თვით უკეთ უწყით, რომ შაჰაბაზს უარი არ ეთქმის, უარით უზომოდ გავარისხებთ ერანის მეფეს და ჩვენს ქვეყანას დავატეხთ თავზე მის საშინელ რისხვას; — წარმოსთქვა დინჯად ბარათაშვილმა.

— ამას უნდა დავსძინოთ, რომ დიდებული შაჰის მოყვრობა და მეგობრობა ცუდი არ იქნება ქართლ-კახეთისათვის, — დაურთო თავის მხრივ ჩოლოყაშვილმა.

— მეც მაგ აზრისა ვარ, ბატონებო! ხოლო თქვენ რას იტყვით, ივერიის მეფენო? — შეეკითხა ქეთევან დედოფალი.

— ჩემი აზრი ასეთია: უსათუოდ უნდა მივიღოთ ერანის მბრძანებლის მომართვა და დავიმოყვროთ ორივე მეფემ. ხოლო რარიგად უნდა მოხდეს მე და თეიმურაზის დამოყვრება, ეს კი აღარ ვიცი: ჩვენ ხომ ნათესავნი ვართ ერთიმეორის! — წარმოსთქვა ლუარსაბმა.

— მართლმადიდებელი ეკლესია სცნობს ნათესაობას შვიდ მოდგმამდე, თქვენ კი ურთიერთშორის მეექვსე მოდგმამდე ხართ მოსულნი. მაშ შესაძლებელია დამოყვრება, თუ კათალიკოსი დაგრთავთ ნებას, — წარმოსთქვა შადიმმა.

ამ თათბირის დროს თეიმურაზ დუმდა, არ იყო უარს დამოყვრებოდა ქართლის მეფეს.

მცირე კამათის შემდეგ დაასკვნეს აწე: შაჰაბაზისათვის �ეზავნათ მეუღლედ დიდი მაყრიონითა და მზითვით ლუარსაბ მეფის უფროსი და ელენე (ლეილა) და თეიმურაზ მეფის უფროსი და გულსუნდა. ხოლო თეიმურაზს უნდა ეთხოვა ცოლად ლუარსაბის უმცროსი და ხორეშანი. რაც შეეხება მოსკოვთან მიმოწერას და დესპანთა გზავნას, დაადგინეს შეეჩერებინათ საქმე.

ყველანი საკმაოდ კმაყოფილნი გავიდნენ აივანზე, სადაც უკვე გაეშალათ ნაირ-ნაირი ნამზადებითა და საუკეთესო ღვინოებით აფერადებული სუფრა. სტუმრებს მასპინძლობდა ქეთევან დედოფალი, იგი იჯდა ოქროს სევანზე სუფრის თავში. მის გვერდით ისხდნენ ივერთ მეფენი: მარჯვნით ლუარსაბ, მარცხნით კი თეიმურაზი. აქვე მოიწვიეს და საპატიო ალაგას დასვეს შაჰაბაზის ელჩი სარუხოჯა, რომელმაც ჩინებულად იცოდა ქართული ენა. სუფრაზე ღედოფალმა აუწყა დესპანს, რომ ყველანი უზომო სიხარულით ეგებებიან ირანის შაჰის ამგვარ სურვილს და კმაყოფილნი არიან, რომ დაუნათესავდებიან შაჰაბაზს, ეგებ ამ გზით მაინც აღიკვეთოს მტრობა ირანისა ჩვენს მიმართ,—სთქვა დედოფალმა და სავსე ფიალით შესვა მისი სადღეგრძელო.

ყველანი წამოდგნენ და ყანწ-აზარფეშებით შესვეს წარმოთქმული სადღეგრძელო. ამ სადღეგრძელოს დაერთო კახური „მრავალჟამიერ“, ყარალაშვილთა მიერ შესრულებული, ამას მოჰყვა „სუფრული“, „მუმლი მუხასა“, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“. „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ და სხვა მრავალი გალობა. გაჩაღდა ლხინი, რასაც უწყობდა ხელს მხიბლავი მაისი და პატარძალივით მოკაზმული კახეთის მშვენიერი ბუნება, სუფრაზე მსხდომთ თვალწინ ფართოდ გადაშლილი.

ღვინით სავსე ფიალით წამოდგა ესოდენ პატივით წაქეზებული ირანის დესპანი სარუხოჯა, მძიმედ მოხარა ქედი დედოფლისა და ორთავ მეფის წინაშე, შეაქო ისინი მოთაფლული სიტყვებით ქართულ-სპარსულად, გადაუხადა მადლობა თავისი მბრძანებლის ნაცვლად, უსურვა სიკეთე, ბედნიერება და სიამით შესვა მათი სადღეგრძელო. ყველამ ფეხზე ადგომით ადღეგრძელა დედოფალი და მეფენი, რასაც დაერთო საამო ჰანგებად კახური „მრავალჟამიერ“ და ნაირნაირი სუფრულები.

გამხიარულდა სუფრა, სტუმარ-მასპინძელნი მოხდენით ესროდნენ ერთმანეთს ზმებს, შაირებსა და რუბაიებს, კაფიად თქმულებს. ამ ვარჯიშში ყველას სჯობნიდა ლექს-

შაირებში ფრიად დახელოვნებული თეიმურაზ, რაც დიდად ახარებდა ქეთევანს.

„ის ძვირფასი თვალი არის, შემკობილი მურასიო,
კახეთისა ტახტს ამშვენებს მეფე თეიმურაზიო“

ესროლა კახეთის მეფეს შადიმან ბარათაშვილმა.

„მოშაირედ ვარგებულა, ბრძოლაში ხომ ვაუკაცია!
მე კი ვიტყვი გულახდილად: შადიმანი მამაცია“.

უპასუხა კაფიად თეიმურაზმა.

დიდი აღტაცება გამოიწვია სუფრაზე ორივე ლექსმა, განსაკუთრებით თეიმურაზის შაირმა. შადიმან ბარათაშვილმა ამაყად ასწია თავი და გადახედა სუფრას. ნანობდა გულში, რომ ამ სუფრაზე არ იყო მისი ხმლის დამწუნებელი დიდი მოურავი და არ ისმენდა მეფის ბაგეთაგან თქმულს მის ქებას.

„გულადია და დინჯია, მეფის ლალა შარმაზანი,
გაჯიუტდა, — მას ვერ დასძრავს თვით ერანის ზარბაზანი“...

გადუსროლა თავის ლალას თეიმურაზმა კაფია ლექსი, რამაც გამოიწვია სიცილი და აღტაცება.

ამ შექებით გათამამებულმა თეიმურაზმა მიმართა თავის დედას — ქეთევანს და მეფე ლუარსაბს ასეთი შაირებით:

— ის ნაზია, მშვენიერი, ვით ვაზნარის ხეივანი,
ბაგეთაგან შარბათი სჩქეფს, ტკბილი სიტყვის შადრევანი,
ვერსალ ვპოვე მისი დარი, მოვევლე ერან-ერევანი,
სათნოების ემბაზია ბრძენთა-ბრძენი ქეთევანი.
„მსურს ვაქღერო ჩანგი, ქნარი და შევაქო ლუარსაბი,
სრულად... ქართლის ჩაუქ მეფეს მსურს შევასხა ხოტბა, რაბი...
გაჯურებულ ბრძოლაშია არ შეიხრის მისი წარბი,
ვერ გაუძლებს... იმას ომში
ვერც თურქი და ვერც არაბი“.

ამ ორმა შაირმა კიდევ მეტი აღტაცება გამოიწვია დამსწრეთა შორის. ითქვა კიდევ ბევრი ზმა და შაირი.

სარუხოჯაც არ ჩამორჩა სხვებს, მანაც წარმოსთქვა ორი რუბაია. შემდეგ დაუკრეს თარი, გაისმა სპარსული შიქასტა-ბაიათი, ბოლოს კი გაიმართა ლეკური, დავლური და მირ-ზაია; აცეკვღნენ თავადნი და თვით ჭაბუკი მეფენი.

განსაკუთრებით მოხდენილად ცეკვავდა წერწეტა ტანის ლუარსაბი.

ნადიმი სამხრობამდე გაგრძელდა და დამთავრდა ჯირი-თით, ნიშანში სროლითა და ჭიდაობით.

VIII. ცხირეთი და ტაშისკარი

გავარდა ხმა: თურქთა სულთანი დიდ ლაშქარს გზავნის ივერიაშიო. ამ ჯარებს უნდა დაეპყრო პირველად ქართლი. შემდეგ კახეთი, ამრიგად, სულთანს სწადდა მთელი საქართველოს ხელში ჩაგდება, რადგან დიდი ხნით ადრე მის მბრძანებლობაში იყო კოლხეთი და მესხეთი. ივერიას-კი, როგორც ვიცით, ეპატრონებოდა ირანი, ამ დიდმნიშვნელოვანი კუთხის ჩამოცლით-კი სულთანს სწადდა სამაგიერო გადაეხადა შაჰაბაზისთვის და დაესუსტებინა ირანი. ამ მიზნით მან გამოიყენა ყირიმის ბატონი სათარხანი. რომელიც ადრევე გაიწვია დიდი ჯარით ალეპოში ირანის წინააღმდეგ.

სწორედ ეს სათარხანი 30.000 საუკეთესოდ შეიარაღებული კაცით მოულოდნელად შეიჭრა ქართლში. ეს მოხდა 1609 წლის ზაფხულში.

აეშაგთა ჩვენებით, მტრის ჯარი ახალციხიდან უნდა შემოსულიყო ქართლში. გზების შესაკრავად საკმაო ჯარით გაგზავნეს კიდეც ორი სარდალი — ზაქარია და იარალი (მათი გვარები არ არის დაცული მატიანეში). ნამდვილად კი სათარხანი შემოიჭრა ყარსიდან, ხოლო მოწინავე რაზმები სასწრაფოდ გამოგზავნა თრიალეთის გეზით ცხირეთისაკენ, სადაც 'იმ დროს საზაფხულოდ იყო მეფე ლუარსაბი მცირე ამალით. ამ მოწინავე ჯარმა გადმოვლო საბარათიანო, მანგლისი და მიადგა სოფ. ქველთას. თათრები გზადაგზა აწიოკებდნენ ქართველ მოსახლეობას და ართმევდნენ სარჩოს.

საღამო ჟამს ქველთასთან მტრის მოწინავე რაზმებს შეეფეთა თევდორე მღვდელი. სტაცეს მას ხელი, და გაიგდეს წინ ეტიკად, ცხირეთისაკენ მოკლე გზის მაჩვენებლად.

მტრის რაზმებში მომწყვდეული თევდორე პირველად შეკრთა და დაიბნა, ხოლო მალე მოვიდა გონს და გაიმაგრა: გული. მან გადაწყვიტა გაეწირა თავი სამშობლოსათვის, გზა კვალი დაებნია შემოსული მტრისათვის, თუმც კარგად უწყოდა, რომ ასეთი ოინის გამო ტანჯვით სიკვდილი მოელოდა.

„ბევრ ღირსეულ ქართველს გაუწირავს თავი ქვეყნის საკეთილდღეოდ, დეე, მეც, უღირსი მონა ღვთისა, ვიყო ერთი მცირეღი მათ შორის! ნუ ამირევს გონებას მტრის სასყიდელი, ნუ გამხდის ლაჩრად შიში! ნუ გავხდები მეფისა და ერის მოღალატე! შევლალავ უღრან ტყეში ამ ურჯულოებს, ავურევ გზაკვალს, მანამ ჩვენებიც გაიგებენ ამათ შემოსევას და დახვდებიან მომზადებულნი“.

ასე ბჭობდა გულში ხალხის ერთგული თევდორე. მან გადახედა შემოსეულ მტრებს და შეუძღვა იქვე უსიერ ტყეში.

დიდხანს ატარა ეს დაუპატიჟებელი სტუმრები ტყესა და ღრეში კუნაპეტ ღამეს. ბევრი დრო დააკარგვინა მათ ამ ხეტიალში. ბევრს ეწვალნენ, მაგრამ ვერ გავიდნენ სწორ გზაზე. ტყეს ბოლო არ უჩანდა. მტერი მიუხვდა ღალატს თევდორეს, სტაცეს ხელი, საშინლად გვემეს თოფის კონდახებით, გაუხეთქეს თავპირი, დაცხრილეს წვეტიანი შუბებით, მოკლეს წამებით ეს ღირსეული მამულიშვილი. მისი უსულო გვამი ხევში გადისროლეს მგლებისა და ყვავ-ყორნების სახრავად.

ამრიგად ემსხვერპლა თავის სამშობლოს თევდორე; მოკვდა იგი წამებით ივერიის მტერთა მიერ. ხოლო ამ სიკვდილით მან ააცდინა მეფეს ტყვეობა, იხსნა აოხრებისაგან მთელი ქართლი და ათასობით ტყვეობა-გაყლეტისაგან თავისი მოძმენი.

მოწინავე ჯარმა, როგორც იქნა, დააღწია თავი უდაბურ ტყეს, გავიდა სამშვიდობოს, დაადგა სწორ გზას და

მიადგა ცხირეთს. თეზმის ხევიდან მტკვრამდე, თითქმის ოცი ეჯის მანძილზე, მთელ ვაკეს მოედო მტრის ჯარი. იგი თანდათან მატულობდა. მას ემატებოდა სათარხანის მთავარი ლაშქარი.

დილით ადრე ცხირეთში მეფის საზაფხულო სასახლის აივანზე გამოსული ორი დიდებული ზის ტახტზე და მუსაიფობენ.

— ბატონო შადიმან, ხომ არაფერი ცნობა გვაქვს იარალისაგან?

— ჯერ არაფერი, ბატონო ფარსადან. ვფიქრობ ტყვილა დაჰყარეს ხმები თურქთა შემოსევის შესახებ. ახლა იმათ ჩვენთვის არა სცხელათ. ალეპოს სულთანის აჯანყებას ნუ ეხუმრები. განა ასე ადვილად დააცხრობენ? შეუძლებელია.

— „შენ პირს შაქარი, ბატონო შადიმან. ხოლო რაღაც არ მჯერა, დაბეჯითებით ამბობენ, ყირიმის ხანმა სათარმა თავისი მამაცი ჯარით იერიშით აიღო ალეპოო და ახლა საქართველოზე მოდის ყარსით, რათა დაიპყროს მთელი ივერია, ხოლო აქედან სამხედრო გზით დაბრუნდეს ყირიმშიო.

— აბა ვინ მოიღო ასეთი უცნაური ხმები?

— ვინ და გასპარაშვილმა. მან ხომ ყველაფერი იცის, დიდი სოვდაგარია და სტამბოლთან აქვს მიმოწერა.

— შეუძლებელია, ჩემო ფარსადან! ლუარსაბ მეფის მასხარას განა რამე გამოეპარება! მისი მკვიდრი ძმა ახალციხის ფაშასთანაა და ის ატყობინებს ყველაფერს. იქიდან კი არაფერი მოსულა.

— აბა ვინ დაჰყარა ეს ხმები?

— არ ვიცი კარგად. შეიძლება განგებ ჰქნეს, რაიმე მიზნით, ეს კია, რომ სპასპეტმა მოურავმა სასწრაფოდ გაგზავნა დასაზვერავად და გზების შესაკრავად იარალი და ზაქარია ათასი კაცით.

ამ დროს მოირბინა იფრინდამ გულის ხეთქებით და ამოსძახა ქვემოდან:

— ბატონებო, თათრები თავს დაგვესხნენ. ცხირეთისაკენ მოდიან... თავს უშველეთ...

— ვინ გატყობინებს — შეეკითხა აღშფოთებით შადიმან ბარათაშვილი.

— ზაქარიამ და იარალიმ გამომგზავნეს, ბატონო. ორთავე სარდალი ფეხდაფეხ მოსდევს მტერს. თათრები თურმე სხვა გზით წამოსულან; გვერდით ჩაგვიარეს. ახლა თეზმის ხეობით მოდიან.

ამ დროს გამოვიდა აივანზე აბრეშუმის ჯუბის ამარა წერწეტა ტანის ჭაბუკი და შეეკითხა შადიმანს:

— რა ამბავია, ჩემო ლალავ? რა. ცნობა მოგიტანა მაგ მოყმემ?

— ვერ არის კარგი ამბის მომტანი, მეფევ! თათარი შემოპარულა ქართლის საზღვრებში... მტერი თავს გვესხმის. უკვე მოდიან ცხირეთზე თეზმის ხეობიდან...

მოახსენა ლუარსაბს გაფითრებულმა შადიმანმა.

— მართლა?! რა ვქნათ ახლა? რა გვეშველება?! — წამოიძახა ქართლის მეფემ.

ამ დროს აივანზე გამოვიდნენ ქვრივი დეღოფალი, ლუარსაბის დედა თამარ რამდენიმე დიდებულის თანხლებით. გაიხედეს თეზმისაკენ. მთელი ხეობა გავსებულიყო მტრის ჯარებით.

ამ სანახაობამ შიშის ზარი დასცა მეფესა და დიდებულთ. ყველანი გაფითრებულნი და ენაჩავარდნილნი შესცქეროდნენ ერთმანეთს.

ამ დროს სასახლის ეზოში შემოაჭროლა შავი მერანი გოლიათის აღნაგობის ვაჟკაცმა. იგი სწრაფად გადმოხტა ცხენიდან და ავიდა აივანზე.

— გვიშველეთ, მოურავო! გვიშველეთ ჩვენო დიდებულო სპასპეტო! მტრები შემოგვსეეიან! ვიღუპებით! გვიშველეთ! — ერთხმად მიაძახეს ახლად მოსულს მეფემ, ქვრივმა დეღოფალმა და დიდებულებმა.

— არხეინად ბრძანდებოდეთ, მეფევ, დეღოფალო და დიდებულნო! ღმერთია მოწყალე მშვიდობით დავაღწევთ თავს გაჭირვებას! ერთი საათით ადრე გავიგე ყველაფერი და მივიღე კიდეც საჭირო ზომები. უკვე ვაფრინე კაცები, სასწრაფოდ დავიბარე ჯარებით იასე და ნუგზარ ერისთავები, მეხრან ბატონი, ზაზა და ბაადურ ციციშვილნი, ამირა-

ჯიბ-ხერხეულიძენი და სხვა დიდებულნი. აქაც გვყავს ორ-სამდე გუშაგი. კავთისხევში კიდევ ხუთასამდე კარგად გაწვრთნილი გლეხთა ჭაბუკნი, ამდენივე ლამისყანასა და ტირიფონაზე. მალე შეგვიგროვდება ორიათასამდე მეომარი, ხვალ დილით კი მოგვეშველებიან დიდებულნი და აზატი გლეხნი ხუთიათასამდე საუკეთესო მებრძოლნი. ასეთი მამაცი რაზმით კი სასწაულებს ჩავიდენთ, — უპასუხა დინჯად გმირმა საკაძემ.

— აბა რას გვიზამს ეს ერთი მუჭა რაზმი მტრის ლაშქრის წინააღმდეგ, რომლის რაოდენობა თურმე ორმოციათას კაცს აღემატება!! — წამოიძახა შეშინებით ფარსადან ციციშვილმა.

— არხეინად ბრძანდებოდეთ, ბატონებო! ენდვეთ ჩემს სიტყვასა და გამოცდილებას, — უპასუხა დინჯად დიდმა მოურავმა.

— მტრის მოწინავე ჯარი ექვსიათასს აჭარბებს და შენ შვიდასი კაცით გწადს შეებრძოლო?! — შეეკითხა დაღვრემით ბარათაშვილი.

— დიახ, ბატონო შადიმან! როცა სხვა გზა არაა, შვიდასი კაცით უნდა შევუტიოთ და, იმედია ვძლევთ კიდეც.

— ეგ კი მეტისმეტია, ბატონო მოურავო! შვიდასი კაცით შვიდი ათასის წინააღმდეგ?! — წამოიძახა გაოცებით ჯავახიშვილმა.

— აბა სხვაგვარად როგორ მოვიქცეთ, ბატონო ქაიხოსრო! მტერი კარზე მოგვადგა ჩვენს ძილში და გასაქცევი გზებიც კი შეუკრავს. იარალიმ და ზაქარიამ ვერ შეასრულეს თავისი დავალება. მტერმა გზა უქცია. როგორღა უნდა მოვიქცეთ?! ხომ არ დავნებდებით ტყვედ! ცხვრებივით ხომ არ ჩაუვარდებით ხელში! ასეთ დროს გვმართებს თავგანწირული შეტევა. ან გამარჯვება უამრავ მტერზე, ან ნამუსიანი სიკვდილი!.. ხომ იცით, ბატონებო, რა ბრძანა დიდმა შოთამ:

„რა გაჭირდის, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“

აგრეთვე: „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“.

აი სწორედ ახლა გვიჭირს ჩვენა და ახლა გვმართებს გონებანი. სწორედ ახლა უნდა ვეკვეთოთ თავგანწირვით და ასმა უნდა ვძლიოთ ათასს! — უპასუხა შეშინებულ დიდებულთ საკაძემ და მიუბრუნდა ლუარსაბს:

— თქვენ-კი, მეფევ და დედოფალო, ოდნავაც ნუ შეკრთებით, მტერი ვერას დაგვაკლებს. ამ ორ საათში აქ ვარ გაჩენილი ხუთასი საუკეთესო მებრძოლით კავთისხევიდან.

ამ სიტყვებით ის შურდულივით დაეშვა აივნის კიბიდან, მოახტა თავის შავ მერანს და გააქროლა კავთისხევისაკენ.

მართლაც, ორ საათს შემდეგ დიდი მოურავი ხუთასამდე კაცით ეკვეთა მტერს. პირველად დაეცა თათრების მოწინავე ჯარს, რომელიც მიდიოდა ცხირეთისაკენ მეფის შესაპყრობად. დაამარცხა იგი და ცხვრის ფარასავით შერეკა უმთავრეს ურდოში, შიშის ზარი შეიტანა მტრის ჯარში.

ამ დროს მოეშველა საკაძეს 500 კაცით სახელოვანი ვაჟკაცი ზაზა ციციშვილი. მოვიდნენ თავისი რაზმით ზაქარია და იარალიც. ამრიგად შეგროვდა სულ ორიათასამდე მებრძოლი. ამ მცირე რაზმით მოურავი უნდა შებმოდა მტრის 30 ათასს მხედარს, თოფზარბაზნებით შეიარაღებულთ, ეს იყო რაღაც ზღაპრული, დაუჯერებელი ამბავი. ამ სურათმა გაამხნევა ჭაბუკი მეფე; ის მივიდა საკაძესთან და მის გვერდით დადგა საომრად.

დიდმა მოურავმა გადახედა მიდამოს, დაათვალიერა მტრის ბანაკი, მოისაზრა ყველაფერი. როგორ და რა მხრივ უნდა დასცემოდა მათ და შეუდგა საქმეს. მან რამდენიმე ნაწილად გაყო თავისი მცირე რაზმი და შეევარდენივით დაეცა თათრებს იმ მხრიდან, საიდანაც ისინი არ მოელოდნენ. საშინელება იყო ეს თავზე დაცემა. როგორც მშიერი ლომი, ისე ეკვეთნენ მამაცი ქართველნი მტრის ლაშქარს. საკაძის საარაკო გმირობამ და მედგარმა ბრძოლამ ყველას ჩაუდგა გმირული სული. დიდი მოურავის შეტევა და მჭექარე ხმა შიშის ზარს სცემდა მტრის რაზმებს. ისინი გარბოდნენ მის დანახვაზე. საკაძე ლომივით ბღვინავდა მტრის ლაშქარში, იქნევდა ხმალს და აყენებდა სისხლის ღვართქაფს. მის გვე-

რდით იბრძოდნენ ლუარსაბ მეფე და ზაზა ციციშვილი, მშვენივრად იქნევდნენ ხმალს და მიაპობდნენ მტერს.

შეიქნა მედგარი ხელჩართული ბრძოლა. ორიათასი ქართველი უმკლავდებოდა 30 ათას თათარს. ეს იყო უმაგალითო ომი. შედრკა მტერი, დაკარგა მხნეობა. ქართველთ კი ემატებოდათ ძალა და სიმამაცე. მათთან თანდათან მოდიოდნენ და მაშინვე უტევდნენ მტერს ქართლის დიდებულნი თავისი რაზმებით. მოვიდნენ ავრეთვე გლეხთა გაწვრთნილი რაზმებით ორი პაპუნა და ლომი ჩრდილელი. მოეშურებოდნენ დასახმარებლად ნუგზარ და ზურაბ ერისთავნი ორიათასამდე არაგველითა და თუშ-ფშავ-ხევსურით, სადაც სასწრაფოდ გაიგზავნა ცარო. მაგრამ არც მტერი იყო ლაჩარი. მას ჰყავდა შესანიშნავი სარდლები. მათ შორის ყველაზე უფრო ირჩეოდა თავისი სიმამაცით ოსმან ფაშა. იგი ყველაზე უკეთ აწყობდა თავის რაზმებს და მედგრად იბრძოდა. ეს შენიშნა საკაძემ და ზაზა ციციშვილს უბრძანა მისეოდა მას. ზაზა გაექანა ფაშისაკენ თავისი რაზმით. ფაშა მოეგება მას; შეიქნა დავლური ბრძოლა ამ ორ შესანიშნავ ვაჟკაცს შორის. დიდხანს იომეს თავგაბწირვით ზაზამ და ფაშამ. ორთავეს სწადდათ ჩაეგდოთ ხელში ერთი მეორეს თავი. ბოლოს ზაზამ აუკრა ხმალი, დაუქნია სწრაფად თავისი ლეკური და ფაშის თავი გაგორდა ძირს. ზაზამ აიტაცა მოკვეთილი თავი, დაიკავა კბილებით მისი წვერი, გააპო მტრის ჯარი და მიართვა მეფეს.

ამ დროს დიდი მოურავი ამხნევებდა თავის ჯარს, შავს არაბულაზე მჯდომი გადადიოდა ერთი რაზმიდან მეორეში, ახდენდა განკარგულებას, გზავნიდა მაშველ რაზმებს იქ, სადაც უფრო უჭირდათ ქართველთ და უტევდა იქ, სადაც უფრო მაგრად იდგა მტერი. ერთი სიტყვით, საკაძე თავისი გოლიათის აღნაგობით და ლომივით მჭექარე ხმით წააგავდა თვით ბრძოლის ღმერთს, მტრის რისხვად მოვლინებულს.

ახლა კი ვეღარ გაუძლო ქართველთა სიმამაცეს თათრის ჯარმა. ეს ამოდენა ლაშქარი დაიძრა გორისაკენ. მტერს სურდა ჩაეგდო ხელში გორის მაგარი ციხე, რათა ეთარეშა

მთელ ქართლში. ბრძოლით დაქანცულმა ქართველებმა ვეღარ შესძლეს მაშინვე უკან დადევნება. სააკაძემ აფრინა კიდევ კაცები ჯარის მოსაწვევად. მცირე შესვენების შემდეგ მოურავი დაედევნა მტერს, ხოლო ადრევე შეუკრა თბილისისაკენ წასასვლელი გზები.

გორისაკენ მიმავალ ლაშქარს წინ შეეფეთა ტერ-სააკა, გორელ სომეხთა ტერტერა. ამ გონიერმა ხუცესმა მაშინვე მოისაზრა, რა ხიფათში ვარდებოდა მთელი ქართლი, თუ ხიდზე გავიდოდა მტერი და გამაგრდებოდა გორის ციხეში.

ტერ-სააკამ გააქროლა ცხენი და აცნობა გორელთ საქმის ვითარება, შეკრიბა ხალხი და თითქმის მტრის თვალწინ აყარა ხიდის ფიცრები და ჩაუკრა ხარიხები. ამრიგად მოესპო მტერს მტკვარზე გადასვლის სახსარი.

ამ მოულოდნელმა ამბავმა თავზარი დასცა მტრის ლაშქარს. რა უნდა ექნათ? ახალი ხიდის გამართვა შეუძლებელი იყო, რადგან გორის ციხიდან გამოსული რაზმი არ მისცემდა ამის ნებას, უკანიდან ხომ თავისი მამაცი ჯარით აწვებოდა სააკაძე. ამიტომ უკან დახევა ვერ გაებედათ, უკვე იგემეს დიდი მოურავის ძალა.

თათრებმა იწყეს მტკვრის პირისპირ შეყოლა, იმ იმედით, რომ ან ხიდს ნახავდნენ, ან კარგ ფონს. ისინი შეჰყვენ ძარცვით საციციანოს სოფლებს და დაიკავეს ბრბონას ვიწროები ბორჯომის ხეობის სათავეში, ანუ ტაშისკარი. აქ გამართეს ფიცრული ხიდი სახლების ნანგრევებიდან და გავიდნენ გაღმა. აქედან კი აპირებდნენ ახალციხეში გაქცევას, თუ დამარცხდებოდნენ, თუ არა და ღია იყო გზა შუაგულ ქართლისაკენ.

ასე ფიქრობდნენ, ხოლო მათი ფიქრი და განზრახვა ჩაუშხამა სააკაძემ. დიდმა მოურავმა სწორედ განგებ მიდენა მტერი ისეთ ალაგას, სადაც სივიწროვის გამო არ შეეძლოთ გაშლა. აქ, ამ ვიწროებში, ადვილი იყო მტრის ჯარის სრული დამარცხება.

ამ დროს სააკაძეს შეუგროვდა უკვე ექვსიათასამდე კაცი. ამ შედარებით მცირე ჯარით ის აპირებდა მტერთან ხელმეორედ შებმას და მის სრულ განადგურებას. მან ადრევე

შეუკრა მტერს გასაქცევი გზები, თვითონ დაუარა ზემოდან თავი და ორი მხრივ დაეცა თათრებს.

თათრები გაებნენ მახეში. იმათ იწყეს თხრილებისა და სანგრების კეთება.

მიუხედავად ამისა, მტერი იმდენად ძლიერი იყო იარაღითა და რაოდენობით, რომ გამოცდილი საუკეთესო სარდლები: ნუგზარ და ზურაბ არაგვის ერისთავნი, შალვა — ქსნის ერისთავი, ზაზა ციციშვილი და სხვა მრავალნი, არ ეთანხმებოდნენ სააკაძეს და ვერ ბედავდნენ ექვსიათასი კაცით 30 ათასი მეომრისაგან შემდგარი მტრის წინააღმდეგ შებმას. მაგრამ დიდმა მოურავმა თავისი გაიტანა. მან დაუხატა მეფესა და სარდლებს თავისი გეგმა, აუხსნა საომარ ადგილთა მდებარეობა და ყველანი დაარწმუნა ქართველი ჯარის სრულ გამარჯვებაში.

მთავარსარდლობდა თვით სააკაძე. ის შეუდგა საქმეს. დილის რიჟრაჟზე აშალა ჯარი და ჩუმად მიიყვანა მტრის სანგრებზე. მოურავმა უბრძანა მეთოფურთ სროლა. სიომ თოფის კვამლში გახვია მტრის სანგრები. ამ კვამლს მიაყოლა სააკაძემ თავისი ჯარი, გადვიდა თხრილებზე მახვილით ხელში და დაერია მტერს.

ასეთ უეცარ თაედასხმას არ ელოდნენ. ისინი შეიპყრო შიშმა. ამავე დროს ეძგერენ მტერს სხვა ქართველი სარდლებიც თავისი რაზმებით. დასცეს ყიჟინა. შეიქმნა ხელჩართული ომი, ომი მედგარი და ულმობელი. მზის სხივებზე ლაპლაპებდა ქართველების ხმალი და შუბი, სიცოცხლეს უსპობდა შემოსეულ მტერს. სააკაძე გულდაგულ აპობდა მტრის რაზმებს და ახდენდა მათში არევდარევას. მის მკვეთარე მახვილს შეჰქონდა შიში და სიკვდილი.

შიშის ზარმა მოიცვა თათრების ლაშქარი. მან ვეღარ გაუძლო ქართველთა სიმამაცეს და იბრუნა პირი გასაქცევად. გარბოდნენ ფაშები, გარბოდა მტრის მთელი ჯარი; კაცი, ცხენი, ჯორი, აქლემი აირივნენ ერთმანეთში. მტრებმა უპატრონოდ დატოვეს მთელი ბანაკი, მთელი ქონება. გარბოდა ზარდაცემული მტერი, მაგრამ ყოველი გასაქცევი გზა და ბილიკი წინასწარ იყო შეკრული სააკაძის მიერ.

აქ საშინელი რისხვა დაატყდა მტერს, ისინი თითქმის მთლიანად გაიჟლიტნენ. ტყეებში შემალულ მტერს იპერდნენ მწყემსი ბიჭები და დედაკაცები. სამი დღის განმავლობაში ჟლიტეს და ატყვევეს თათრები, გადარჩა მხოლოდ 12 კაცი. მთელი მათი ბანაკი და ქონება დარჩათ ქართველებს.

ამას ბოგვითხრობენ იმ დროის მწერლები და ისტორიკოსნი. ამ უმაგალითო დამარცხებამ საშინლად გააბრაზა სულთანი; მან განიზრახა ეძია შური. ხოლო იმ ხანად არ ჰქონდა იმდენი ძალა, რომ კვლავ შემოსეოდა ივერს.

სააკაძის გენიალურმა გონებამ მყისვე გაჭვრიტა ყოველივე, ის ეძებდა ამ საქმეში მძლავრ მოკავშირეს. ასეთი იყო შაჰაბაზი, რომელსაც დიდი ომები ჰქონდა ოსმალეთთან. ამის გამო დიდმა მოურავმა აახლა დესპანი ირანის შაჰს, ძვირფას საჩუქრებთან ერთად გაუგზავნა დახოცილი ფაშების თავები და მიულოცა ბრწყინვალე გამარჯვება, თითქოს ეს გამარჯვება ყოფილიყოს შაჰის ხმლისა, რადგან ის იმ ჟამად ეპატრონებოდა ქართლსა და კახეთს.

ირანის შაჰს დიდად ეამა თათრების ჯარის ასეთი დამარცხება, ქართველთა ერთგულება, ხოლო იმავე დროს მის შორსგამჭვრეტ გონებას წარმოუდგა სულ სხვა სურათი. ის მზერდა ქართლში დიდებულ მეთაურს, საარაკო სარდალს, რომლის გენიით ძლიერდებოდა სუსტი ივერი და ხდებოდა საშიშარი. მან მოინდომა სააკაძის ხელში ჩაგდება, ისე როგორც ერთ დროს ჩაიგდო ხელში თეიმურაზ მეფის წყალობით კახეთის საუკეთესო სარდალი ადამ ანდრონიკაშვილი.

IX. დიდი მოურავის ნადიმი

ბრწყინვალე გამარჯვებამ ცხირეთ-ტაშისკართან და უამრავი მტრის განადგურებამ ფრიად შემატა სახელი და ღიდება ერის მოთავეს გიორგი სააკაძეს. პირადი მტრებიც-კი დუმდნენ მის მიმართ, ქართველი ხალხი ხომ აღმერთებდა თავის მხსნელს. ლუარსაბ მეფემ ისე დაიახლოვა „დიდი გიორგი", რომ უიმისოდ ერთ დღესაც ვერ ძლებდა.

სამი თვის შემდეგ მოურავმა მიიღო შაჰაბაზისაგან დიდი მადლობა თათრების ჯარების განადგურების გამო, თანაც უამრავი საჩუქარი: ოქრო, თვალ-მარგალიტი, ძვირფასი ხალათები და ნოხ-ფარჩეული. ხარობდა გმირის გული, იშვებდა მისი ბედნიერი ოჯახი. ხარობდნენ მისი მეგობარ-ძმადფიცულნი. ხოლო ყველაზე უფრო აღტაცებული იყო. უიმედოდ შეყვარებული მთიელი მამაცი ქალი ცარო — ვაჟად მოსილი, ის მუდამ თან ახლდა სააკაძეს და ფრიად ისახელა თავი ორთავ ბრძოლაში.

დამშვიდდა ქართლი; შეუდგა მყუდრო შრომასა და ცხოვრებას. ხალხმა გაშალა ფრთები გმირის წყალობით. ველარ აწუხებდნენ მას გარეშე მტრები და შინა მძარცველნი. ყირიმის ხანის დიდი ლაშქრის ერთი დაკვრით განადგურებამ შეაფრთხო სულთანი და ოსეთ-დაღესტანი, ფრიად ჩააფიქრა ირანიც.

ამ დიდი ბრძოლის შემდეგ გავიდა თითქმის ერთი წელი და დილითვე შეიქნა მზადება სოფ. ნოსტეს, გიორგი საა-

კაძის ოჯახში. მშვენიერ ბალში კაკლებქვეშ მწვანეზე გაეშალათ რამდენიმე წყებად გრძელი სუფრები; ორივე მხრივ დაეფინათ ნოხები; მათზე დაეწყოთ ხავერდის ბალიშ-მუთაქები.

სუფრის შუაში ყვავილნარით შემკული მარმარილოს აუზიდან ჩქეფდა წითელი ღვინის შადრევანი; იქვე ეკიდა ვერცხლის თასები და კულა-აზარფეშები. საჯალაბოში უხ-ვად ამზადებდნენ ნაირ-ნაირ საშმელებს ხელმარდი ხაბაზნი. აცხობდნენ თორნეებში შოთებსა და მამიჯვარის ლავაშებს. დიდრონი გოზაურებით ამოღებული ხიდისთავის განთქმუ-ლი ღვინო ციოდებოდა აუზებში. ყველაფერს სწვდებოდა ორივ დიასახლისის, რძალ-დედამთილის, გმირის დედისა და მეუღლის თვალი და გონება; მათი მეოხებით ჯარასავით ტრიალებდნენ ფარეშ-შიმუნვარნი.

მეტად მხიარული იყო დიდი მოურავი, ის იძლეოდა განკარ-გულებას, დიდებულ ნადიმს უმართავდა იშვიათ სტუმრებს.

თითქმის შუადღე იქნებოდა. მაისის ფირუზა ციდან მხია რული მზე დანათოდა გაშლილ სუფრას. ცქრიალა სხივები ლალისფრად აელვარებდნენ ღვინის შადრევნის შხეფებს.

კოხტად იყო მორთული ბაღის წინ ამართული ქვიტკირის ვრცელი სასახლე და შვიდსართულიანი თეთრი კოშკი, სა-იდანაც იშლებოდა საოცნებო სურათებად შუა ქართლი *.

ამ დროს მოისმა საშხედრო სიმღერა. გმირული ჰანგები გუგუნით ეფინებოდა ამწვანებულ მთა-გორაკებს და ზრია-ლებდა ჰაერში. თანდათან ახლოვდებოდა საამო ხმები. აჰა. გაიღო ალაყაფის კარები და სასახლის ეზოში მოხდენით შე-მოაქროლა თეთრი მერანი ერთმა ჭაბუკმა. იმის ლამაზ სა-ხეს ამკობდა ახლად აშლილი წვერ-ულვაში.

---

* ეს დიდი მოურავის მაღალი კოშკი და მის წინ მდებარე ფართო სიპი, ფიქრის ქვად წოდებული, ჩემი თვალით ვნახე 1913 წლის ივლისში.

იმჟამად ვიყავ მიწვეული გორის მაზრის ახალქალაქში ვასო თარხან-მოურავის მიერ რათა წამეკითხა ადგილობრივ კლუბში ლექცია დიდი მოუ-რავის შესახებ და წავიკითხე კიდეც.

...თარხან-მოურავები არიან გიორგი საკაძის შთამომავალნი.

ავტორი.

ეს იყო ლუარსაბ მეფე.

მხიარული მასპინძელი მიეგება იშვიათ სტუმარს და ორთავენი ძმურად გადაეხვივნენ ერთმანეთს. მეფე ლუარსაბს ახლდა ბრწყინვალე ამალა. ამათაც დიდი პატივით მიეგება გიორგი სააკაძე, სასახლის ფართო აივანზე შეუძღვა ქვირფას სტუმრებს. მათ შეეგებნენ დიასახლისნი და თავდაბლად მოიკითხეს. ყველანი დასხდნენ ნოხებით მოფენილ გრძელ მერხებზე. გაიმართა ტკბილი მუსაიფი.

სტუმრები თანდათან მოდიოდნენ. ეზოს გარემო აივსო მათი ცხენებითა და შინაყმებით. დიდი მოურავი უმართავდა ნადიმს მთელ ქართლს. აქ იყვნენ მოწვეული თავის ცოლშვილით ქართლის დიდებულნი. აქ იყო ცხირეთის გმირი ახოვანი ზაზა ციციშვილი, აქ იყვნენ განთქმული ვაჟკაცნი კახაბერ, აღათანგ და პაატა ხერხეულიძენი, ამირაჯიბნი, ამილახვრები, ქსნის ერისთავი იასე, მაჩაბლები, თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ციციშვილები, ჯავახიშვილები, ბარათაშვილები. აქ იყო ძველი ომების გმირი ნუგზარ ერისთავი თავისი მამაცი ვაჟებით. აქ იყვნენ აზნაურნი, საუკეთესო მამულიშვილნი. უხვ მასპინძელს მოეწვია მდაბიო ხალხი, გლეხნი.

მცირე ხნის შემდეგ სტუმრები ბაღში მიიწვიეს.

საუცხოო სურათს წარმოადგენდა ამ ვარდ-ხეხილით შემკულ ბაღში ეს ფერადი მაუდ-ხავერდის კაბა-ქულაჯებითა და აბრეშუმის ჯუბა-შარვლით დართული ვაჟები, ხოლო კიდევ უფრო წარმტაცნი იყვნენ ივერთ ასულნი.

ამ ქალებს მასპინძლობდნენ სააკაძის დედა და მეუღლე.

დასხდნენ სუფრაზე. გაჩაღდა ქართული ლხინი, ზმა და სიმღერა. მუტრიბნი სხვადასხვა საკრავზე შეწყობით გალობდნენ ქართულ ჰანგებს. იქ მოშორებით კვნესდა თარი და აღმოსავლური შიქასტა-ბაიათი. იქვე დუდუკის ხმები ატკბობდა ქეიფს. სუფრებს შორის დაქროდნენ მალხაზი მწდენი და მარდად აწვდიდნენ წვეულთ ღვინით სავსე სასმისებს.

გამხიარულდნენ სტუმრები. მასპინძლის აღტაცებას არ ჰქონდა საზღვარი. ყველაზე უფრო მხიარულობდა სუფრის

თავში მჯდომარე ჭაბუკი მეფე. მას გვერდით უსხდნენ: მარჯვნივ თვით მასპინძელი დიდი მოურავი, ხოლო მარცხნივ — ნუგზარ ერისთავი. ოქრო-ვერცხლის თასები, ყანწები და აზარფეშები გადადიოდა ხელიდან ხელში. თამადა მოსწრებულად ამბობდა სმურებს. გუგუნებდა ქართული „მრავალჟამიერ“ და სუფრულები.

ამ დროს აჟღერდა სინაზით სიმები და ჰაერში გაიწკრიალა ციურმა ხმებმა. უსაზღვრო სიტკბო და სინარნარე კრთოდა ამ საოცნებო ხმებში. უკრავდა და გალობდა მშვენიერი ცირა. უცებ შეწყდა სტუმართა საერთო მუსაიფი. შეწყდა სხვა საკრავთა ჟღერა და სიმღერა. ყველანი იქცნენ სმენად და მზერად. ქალწულის გრძნობით სავსე ხმები ყველას სწვდებოდა გულში, ბადებდა უსაზღვრო სიტკბოსა და ნეტარებას. მეფემ მიაპყრა თვალნი მომღერალ ასულს. მის წინ დაისახა იშვიათი მშვენიერება; აქამდე არ ეხილა ლუარსაბს ასეთი სიტურფე, სინაზე და სინარნარე. ატოკდა მძლავრად ჭაბუკი მეფის გული, მან იგრძნო აქამდე განუცდელი ტრფიალი.

აჰა, შეწყდა ზეცის ჰანგები! ხოლო კიდევ დიდხანს იყვნენ ჩუმად იქ დამსწრენი ამ საოცნებო ხმებით გარინდულნი! ბოლოს გაისმა ყოველი მხრიდან მგზნებარე ვაშა და მოწონება.

ნეტა ვინ იყო ეს ტურფა არსება? ვინ მოხიბლა სტუმრების გული? ეს იყო გიორგი სააკაძის და მაკინე. მისი საოცნებო სიმშვენიერე ცნობილი იყო მთელ ივერიასა და ირანში. მის სიტურფეს ამკობდნენ აღმოსავლეთის მგოსნები, მის მშვენებას დამღერდნენ აშუღნი და მუტრიბნი.

მეფემ მოისურვა მაკინეს ახლოს ხლება და ძისი ხელით ღვინის მირთმევა. მასპინძლის ბრძანებით ქალი ეახლა მეფეს, დაიჩოქა მის წინაშე მორცხვად და მიართვა ღვინით სავსე ოქროს ფიალა. ლუარსაბმა წყნარად გამოართვა თასი და დალია ქალის სადღეგრძელო, თანაც შესტრფოდა ამ ზეციურ მშვენიერებას. მაკინეს დაეხარა თავი, ტურფა სახეზე გაშლოდა ვარდებად მორცხვობის სიწითლე. ქალმაც მოჰკრა თვალი ჭაბუკ მეფეს. ატოკდა ქალწულის ნორჩი გული. მან იგრძნო აქამდე განუცდელი სიტკბო და ნეტარება.

ნადიმი დამთავრდა ნაირნაირი ცეკვა-შუშპარით. ლეკური, სამაია, მირზაია, დავლური და ჩეჩნური ცვლიდნენ ერთიმეორეს. მოხდენით დაქროდნენ ხავერდოვან მოლზე ხელგაშლილი ახალგაზრდები. საზანდრისა და დოლ-სალამურის ხმაზე სრიალებდნენ მათი ფეხები. აგერ უცებ შეინავარდა ეშხზე მოსულ ჭაბუკმა მეფემ. მის წერწეტა ტანს და მიმზიდველ სახეს დაშვენდა ლეკური. გაიწვია საცეკვაოდ მშვენიერი მაკინე. ვით ჯეირანი ყელმოღერილი, გაუსხლტა ქალი წინ და მომჯადოებელი სინარნარით იწყო გოგმანი. მოცეკვავე ცირას ეუეუნა თვალები და ოდნავ პობილი პაწა ბაგენი სახავდნენ ზეციურ ამულს. გრძნობით ატაცებული, ზარხოში მეფე შევარდენივით უვლიდა ქალს ირგვლივ და მოხდენით უსვამდა თეთრყელიან მესტებში გაკრულ ფეხებს.

გათავდა ცეკვა. მგზნებარე ტაში და მოწონება იყო პასუხად. აიშალნენ სუფრიდან. ისევ გაიშალა ბაღის სხვადასხვა ალაგს კაკლებქვეშ ბალიშ-მუთაქებით მობნეული ნოხ-ფარდაგები და მათზე დამსხდარ სტუმრებს მიართვეს ხმელი ხილი, ოქროს სურებით ცივი ვეჟინი და შარბათი.

ზოგნიც კიდევ ნუნუას მოტრფიალენი, ისხდნენ მოშორებით და შუშხუნა მწვადების მოლოდინში შესდგომოდნენ ახალ ქეიფს დუდუკის საამო ხმებზე. ხოლო სტუმართა დიდი უმეტესობა მიეზიდა სასახლის წინ ეზოში გამართულ ჭიდაობას ზურნით. ქართლის ზორბა ფალავნები დაეტაკნენ ერთიმეორეს; ღვინით შეხურებულნი არ ზოგავდნენ თავს და აუარება მაყურებელთა წინაშე ცდილობდნენ გამოეჩინათ თავისი ძალღონე, სიმარდე, ხერხი და ფანდები. გაკეთდა მოჭიდავეთა ირგვლივ ფართო წრე. ფალავნებს აქეზებდნენ მათი მომხრე თავადნი და უხვად აძლევდნენ ჯილდოს გამარჯვებულთ. ისმოდა გამხნევება-მოწონების ხმები. ყველანი, დიდი თუ მცირენი, გლეხი თუ თავადი, ერთრიგად შეეპყრო ამ სანახაობას. შეღამდა კიდეც, მაგრამ არ თავდებოდა ეს საამო ვარჯიში, ახალი ფალავნებით გაცხოველებული.

მხოლოდ ერთი ჭაბუკი არ იღებდა მონაწილეობას ამ საერთო გატაცებაში. ის ჩუმად განმორებოდა ამ წრეს, წასულიყო ბაღის ბოლოში და იქ, რუს პირად, ხის ქვეშ, ქორფა მდელოზე მხართეძოზე მწოლარე მისცემოდა რაღაც სანუკვარ ფიქრებს. მისი მგზნებარე ოცნება თავს ევლებოდა მშვენიერ ასულს. ვაჟის წინაშე თითქო გამქრალიყო ყველაფერი: ეს ტურფა ბუნება, რუს ჩქრიალი და თვით ბადრი მთვარე თავისი ნაზი სხივებით. არ ესმოდა არც იქვე ბუჩქში მჯდომ ბულბულის საამო სტვენა. ის გაეტაცა მხოლოდ ერთ ფიქრს, ერთ ოცნებას. ვაჟის გული ჩქროლავდა საამოდ. ნეტა რა იყო ეს? უბრალო გატაცება, თუ სიყვარული? ვერ გაერკვია ჭაბუკს. თვალწინ განუმორებლივ ედგა ქალის ღვთაებრივი სახე, მისი ნარნარა როკვა-შუშპარი; ვაჟის სმენას ახლაც აკრთობდა ტურფა ასულის ხმები. ამ დროს ჭაბუკმა მეფემ თვალი მოჰკრა ოოლოსფერ კაბას, რამაც გაიქროლა შორიახლოს და მიიმალა უსურვაზით დაბურულ თალარში. მან მყის შეიცნო ქალი, წამოდგა და გაეშურა მისკენ. მოუარა გვერდით და ფრთხილად შეიხედა ფოთლებ შორის. ქალი იჯდა მერხზე მდუმარე და შეტრფოდა გაბადრულ მთვარეს ცრემლიან თვალებით. თითქო სთხოვდა, თითქო ავედრებდა რაღაცას. მთვარის ციატა სხივები აშუქებდნენ ქალწულის სახეს და იხიბლებოდა უზომოდ. ეეღარ გაუძლო ჭაბუკმა მეფემ ამ მშვენიერებას და ფეხაკრეფით შეავიდა თალარში. ქალი შეკრთა, უნებლიედ შეჰკივლა ოდნავ და წამოდგა. მან დააპირა თალარიდან გასვლა. წინ გადუდგა ჭაბუკი მეფე ანთებული თვალებით.

— სად მიხვალ, მშვენიერო! ვერ გაგიშვებ, ჩემო მხიბლავო ანგელოზო! მიყვარხარ, ტურფავ! ჩემი გული შეუბორკავს შენდამი ტრფობას...

ამ სიტყვებით ლუარსაბმა სინაზით მოხვია წელზე ხელი დარცხვენილ მაკინეს.

— მიბოძეთ ნება გავიდე, დიდებულო მეფევ! ივერიის გვირგვინოსანს არ შეჰფერის ეგზომ დასცინოს თავის უბრალო მხევალს, — წარმოსთქვა ქალმა ოდნავ წყენით და

ფრთხილად გააშვებინა ხელი. ჭაბუკმა მეფემ მოიდრიკა ცალი მუხლი ქალის წინაშე.

— მიყვარხარ, მშვენიერო მაკინე, ვფიცავ ზენას! მიყვარხარ დიადი გრძნობით, არ ძალმიძს უშენოდ ამ ქვეყნად ყოფნა! მომაჯადოვა უცნაურად შენმა სახემ, შენმა თვალებმა, შენმა სიმღერამ. არ მსურს შენს მეტი ვინმე! შენ უნდა გახდე ჩემი მეუღლე და დედოფალი ივერიისა.

— აბრძანდით, მეფევ! არ შეგფერით მუხლმოყრით ყოფნა მხევლის წინაშე... ნუ მეხუმრებით, დიდო მეუფევ!

— არ გეხუმრები, ტურფავ, ვფიცავ შენს თავს, ასულთა შორის უნაზესო! არ გეხუმრები, ვფიცავ სამშობლოს, შენს თავს, ტურფა ჩემს ივერიას, არ გეხუმრები, ო, ვფიცავ, მზეო, დიდი დავითის, დიდი თამარის და სხვა დიდებულ ჩემ წინაპართა სულსა და ხსოვნას! მიყვარხარ და მწადს გამომყვე ცოლად! მწადს, რომ გაგიყო მეფის გვირგვინი...

— მეფევ, ლუარსაბ, სად ბრძანდებით! — უცებ დაარღვია მყუდროება, ვიღაც მოხუცის დანჯღრეულმა ხმამ.

— ღვთის რისხვა შენა! ერთ წუთს არ მაცლის, რომ მარტოდ დავრჩე, დავტკბე სიცოცხლით და სიყვარულით — წამოიძახა გაბრაზებით ჭაბუკმა მეფემ.

— ეგ ვისი ხმაა, ვინ გეძახის?—შეეკითხა ნელი ხმით მაკინე.

— შადიმანია, ჩემი ლალა, ჩემი ჯალათი... თან დამდევს ყველგან როგორც ლანდი, როგორც აჩრდილი!

— მეფევ ლუარსაბ! — ყვლავ მოისმა საკმაოდ ახლოს მოხუცის ხმა.

— აქ ვარ, მოვდივარ! — მიაძახა მეფემ, გამოეთხოვა ქალს სინაზით და გავიდა თალარიდან.

ქალი-კი კარგახანს დარჩა ფარულ ალაგას მძიმე ფიქრებით გარემოცული.

იმ დღიდან მეფემ მოუხშირა სიარულს მოურავის ოჯახში, აგრეთვე პატიუობდა თვით საკაძეს ოჯახობით, უმართავდა საგანგებო ნადიმებს. მეფის ასეთი დაახლოება შურით ავსებდა მოურავის მტრებს.

ლუარსაბ მეფე ებრძოდა თავის გულისთქმას, მაგრამ ვერას ხდებოდა. მას უფრო და უფრო იპყრობდა მძლე-

თა-მძლე სიყვარული. ამიერით მაკინე იქცა მის სალოცავ ხატად. მეფემ უარი თქვა ოდიშის მთავარ დადიანის ასულ-ზე, რომელზედაც იყო დანიშნული. ამ საქციელით ფრიად ააშფოთა თავისი დედა თამარ და ქართლის დიდებულნი. უახლოესი პირნი შეეკითხნენ მეფეს ამ უცნაური საქციელის მიზეზს. პირველ ხანებში ლუარსაბი იყო მდუმარედ და არ აძლევდა პასუხს არავის, თავის საყვარელ დედასაც-კი, რომელსაც სცემდა უსაზღვრო პატივს. ბოლოს გაუმჟღავ-ნა მათ გულის საიდუმლო, აუწყა გადაჭრით, რომ უყვარს მოურავის და მაკინე, უმისოდ სიცოცხლე არ შეუძლია.

ამ ამბავმა თავზარი დასცა ყველას. ბევრი უშალეს ჭაბუკ მეფეს მოეშორებინა თავიდან ეს უცნაური ფიქრი, რომ უბრალო აზნაურის ქალი არ არის მისი საკადრისი, რომ ამით იმცირებს თავს და არცხვენს მთელ სამეფოს. ყოველივე იყო ამაო. მეფის არსება მეტად შეეპყრო მწვავე გრძნობას. იგი ვერ სთმობდა მშვენიერ მაკინეს.

მაშინ შეუჩნდნენ მისი მესაიდუმლენი, შადიმან ბარათა-შვილი და სახლთუხუცესი ფარსადან ციციშვილი, ურჩიეს მეფეს საკაძის და აეყვანა ხასად და მით მოეკლა ვაჟური ვნება. ლუარსაბმა დიდად იუარა ასეთი უგვანო წინადადე-ბა და სასტიკად გაკიცხა ამის მთქმელნი. მას არ სურდა ამ სამარცხვინო მოქმედებით. უაღრესი შეურაცხყოფა მიეყე-ნებინა ივერიის დიდებული გმირის ოჯახისათვის, მასთან ხომ ფრიად დაახლოებული შეიქნა სულიერად. ლუარსაბმა გადაწყვიტა მაკინეს ცოლად შერთვა; ამის გამო გაუგზავნა საკაძეს მოციქულნი.

ამ ამბავმა უზომოდ შეაწუხა დიდი მოურავი. ის არ მო-ელოდა ამას. მეფესა და მას შორის ფრიად დიდი მანძილი იყო შთამომავლობით, რასაც უმთავრესი ყურადღება ექ-ცეოდა იმ დროს ყველგან. საკაძის ძლიერმა გონებამ უცებ განჭვრიტა საქმის ვითარება, აშკრად მზერდა, რა განხეთქი-ლებას წარმოშობდა ქართლში ასეთი შეუსაბამო დამოყვ-რება, ან რარიგ ისარგებლებდნენ ამ მოქმედებით მისი მტრები და აამხედრებდენ ქვეყანას მის წინააღმდეგ. დიდი მოურავი გრძნობდა, რომ ამას მოჰყვებოდა მისი ოჯახისა

და საკაძიანთ გვარის დაღუპვა. მან უარით გაისტუმრა მეფის მოციქულნი და აუწყა ამის საპატიო მიზეზებიც.

მოურავისაგან უარის შეთვლამ ფრიად გააცხარა ჭაბუკი მეფე. მან კვლავ გაუგზავნა დესპანები და შეუთვალა, რომ უზომოდ უყვარს მისი და, მაკინესაც უყვარს იგი, უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეუძლიათ, ამიტომ ნუ ურჩობს, ნუ აუბედურებს ორ შეყვარებულ ადამიანს! და თუ კიდევ უარი მივიღე, მაშინ ხმალმა უნდა გადაწყვიტოს საქმე, ან შენი სისხლი უნდა დაიღვაროს, ან ჩემიო.

მეფის ასეთმა შემოთვლამ კიდევ უფრო ააშფოთა მოურავი, იგი მიეცა ღრმა ფიქრს. მძიმედ უღელავდა გული დიდ მამულიშვილს. ეს გული კარგს არას ეუბნებოდა მას. რა უნდა ექნა?! ის ჩავარდა ორ ცეცხლ შუა: უარის თქმით მტრად იკიდებდა მეფეს, თანხმობით-კი მთელი ქართლის დიდებულნი ხდებოდნენ მისი მტრები. ორივ შემთხვევაში გმირს აღარ ედგომებოდა ქართლში. ის უნდა გასცლოდა თავის საყვარელ სამშობლოს. დიდი მოურავი გმობდა თავის უკეღმართ ბედს, კრულავდა იმ დღეს, ოდეს პირველად მოიწვია ნადიმზე ლუარსაბ მეფე და აჩვენა თავისი და. საშინლად სწუხდა საკაძე; მასთან ერთად წუხდა მთელი ოჯახი. მეფის მოციქულნი კი ურჩევდნენ დათანხმებას, რადგან უარის თქმით საუკუნოდ გადიკიდებდა ლუარსაბს.

დიდ ფიქრსა და ყოყმანს შემდეგ მოურავმა, როგორც იყო, გადაწყვიტა ეს ფრიად მძიმე საქმე და შეუთვალა თანხმობა, მხოლოდ წინასწარ მოსთხოვა დედა-შვილს, ე. ი. მეფესა და ქვრივს დედოფალს, ფიცის სიგელი, რომ ამ ქორწინებით არა-რა ევნებოდათ მას, მის ოჯახს და გვარეულობას, არც მის დას მაკინეს; რომ მოურავის პირად მტერთა ენის სისინი ვერ იმოქმედებდა მეფე-დედოფალზე და რაგინდ ღალატი შესწამონ საკაძეს, ლუარსაბ არ დაუჯერებს მათ.

გაგზავნილმა დესპანებმა ამცნეს მეფეს მოურავის თანხმობა და პირობა. ლუარსაბის სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი. მან მაშინვე გაუგზავნა საკაძეს ფიცის სიგელი და დაიწერა ჯვარი მაკინეზე ქვათახევის დედათა მონასტერში...

X. ღალატი

საშინელი თავზარი დასცა ლუარსაბ მეფის საქციელმა ქართლის დიდ თავადებს. მოურავთან მეფის დამოყვრება მათ მიიჩნიეს თავიანთ უზომო დამცირებად და სააკაძიანთ გვარის უსაზღვრო განდიდებად. განსაკუთრებით კი ბრაზობდნენ მათი ცოლები და ასულნი.

— როგორ, ქა! ვიღაც სააკაძის გომბიო ვიწამოთ დედოფლად?! უნდა ვეახლოთ და ვემთხვიოთ ხელზე?! ნუთუ ასე დაეცა ბაგრატიონთა დიდებული გვარი?! ნუთუ ასე დავკნინდით ქართლის დიდი თავადნი? ისიც აღარ გვაკმარეს, რომ ქართლის დიდებულთ თავზე წამოასკუპეს სპასპეტად ვიღაც გლეხი, მდაბიო გიორგი სააკაძე, ახლა კიდევ მისი და გახადეს ივერიის დედოფლად! ჰოი, ჩვენო შერცხვენავ! ჰოი, ქვეყნის დამცირებავ! თამარ მეფის ტახტზე ზის თურმე ვიღაც გლეხის ნაშიერი! ეს რაღაც დაუჯერებელი ამბავია! ეს ზღაპარია! — გაიძახოდნენ გამწარებით თავადის ქალები, აქეზებდნენ თავის ძმებს, ქმრებსა და მამებს ლუარსაბ მეფისა და დიდი მოურავის წინააღმდეგ.

ამ ქალთა თავმოყვარეობა უაღრესად შელახული იყო უმთავრესად მით, რომ ლუარსაბ მეფემ დაიწუნა ისინი, დაიწუნა ოდიშის მთავარ დადიანის ტურფა ასული და ითხოვა ცოლად „ვიღაც სააკაძიანთ გოგო“.

— ან ჩვენ, ან გიორგი სააკაძე და მისი და! ან ქართლის დიდი თავადნი, ან სააკაძიანთ გვარი! — გაჰკიოდნენ ისინი.

ქალების ასეთ უცნაურ განგაშს აჰყვა ქართლის თავად-აზნაურთა დიდი უმეტესობა. მათ მოახდინეს საიდუმლო შეთქმულება გიორგი სააკაძის წინააღმდეგ. ამ შეთქმულების სული და გული შეიქნენ დიდი მოურავის უძინარი მტრები შაღიმან ბარათაშვილი, ქაიხოსრო ჯავახიშვილი და ფარსადან ციციშვილი.

მოხდა საიდუმლო კრება და თათბირები. დაადგინეს: გააშვებინონ მეფეს, ნებით თუ ძალით, უღირსი მეუღლე და მოსრან სრულიად სააკაძიანთ გვარი. ეს სატანური გეგმა უნდა განეხორციელებინათ მას შემდეგ, როცა მეფე საკმაოდ მოიკლავდა ჟინს.

ამ თავადებს შორის იყვნენ თითო-ოროლა ისეთნი, რომლებიც ურჩევდნენ თავის მოძმეთ ხელი აეღოთ მოურავის ღალატზე, რადგან ამ დიდი ადამიანის დაღუპვით ისინი საშინელ განსაცდელში აგდებდნენ მთელ ქვეყანას.

— ფრთხილად, ძმებო! შესდექით! ნუ აყოლიხართ ქალების სიტყვას და ბრმა გულისთქმას! ნუ ჩაიდენთ ისეთ საქმეს, რაც უსაზღვრო ზიანს მიაყენებს ჩვენს სამშობლოს!.. ნუ ჩაიდენთ ხალხის საწყენ საქმეს! გიორგი სააკაძისთანა დიდი სარდალი და ქვეყნის ერთგული პიროვნება მხოლოდ ერთი იბადება მრავალ საუკუნეში. გახსოვდეთ, ძმებო, რომ ორი პირდაღრენილი ვეშაპი ემუქრება ჩანთქმას უბედურ საქართველოს: აღმოსავლეთით მძლავრი სპარსეთი, რომლის სათავეში სდგას შაჰაბაზ დიდი, ხოლო სამხრეთით და დასავლეთით კიდევ უფრო ძლიერი ოსმალეთი. შესდექით, ძმებო! ჩააგეთ ქარქაშში შურისძიებით ამოწვდილი მახვილი"!—ამბობდნენ ამ სიტყვებს შეგნებული პირნი.

ამაოდ ჩაიარა ამ გონივრულმა რჩევამ. გააფთრებული თავადნი, მეტადრე კი მათი ცოლშვილი უფრო და უფრო აღვივებდნენ შურისძიების სახმილს და თხოულობდნენ გიორგი სააკაძის სისხლს. ეს ბოროტი და ბეცი არსებანი არად აგდებდნენ ქვეყნის კეთილდღეობას, ოღონდ-კი ბინძური ღალატით აღედგინათ თავისი შებღალული ვიწრო პატივმოყვარეობა.

გადაწყდა დიდი მოურავის ბედი. გიორგი სააკაძის ღალუპვით მახვილი ესობოდა გულში მრავალტანჯულ ივერიას...

გავიდა მეფის ჯვრის წერიდან ათი თვე და შეუდგნენ მოქმედებას ბოროტი არსებანი, განსაკუთრებით კი შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი და ქაიხოსრო ჯავახიშვილი; ესენი ასისინდნენ ლუარსაბის წინაშე და არ აძლევდნენ მოსვენებას, იგონებდნენ დიდ მოურავზე ათასგვარ ჭორს, სწამებდნენ მეფის ღალატს და აძულებდნენ მის თავს. გაჭრა ბოლოსა და ბოლოს შხამიანმა ენამ; მათ ჩაიგდეს ხელში სუსტი ხასიათის ნორჩი მეფე და მოამზადეს ნიადაგი სააკაძის დასამხობად.

აგვისტოს მიწურული. კოჯორი. მეფის სასახლე. დილაა. შეყვარებულნი განმარტოებულან ბაღში, სხედან მერხზე და შესტრფიან მშვენიერ ბუნებას, რომელიც მომხიბვლელად იშლება მათ წინ. მიჯნურნი ხან ჩაეკვრიან ერთმანეთს მწვავე სურვილით, ხან ეფიცებიან მარადიულ სიყვარულს. ქალ-ვაჟის მშვენიერ სახეს აელვარებს უზომო ბედნიერების შარავანდედი.

— მიყვარხარ, ჩემო ყველავ! ჩემო მაკინევ! ვფიცავ, მეყვარები საუკუნოდ!

გრძნობით ეუბნება ვაჟი და მწვავედ უკოცნის ქალს მარჯნის ბაგეს და მომხიბლავ თვალებს.

— მიყვარხარ, ჩემო სამოთხევ, ჩემო სიცოცხლე ლუარსაბ! მიყვარხარ, ჩემო მეუფევ გვირგვინოსანო! ვფიცავ შენს თავს, მეყვარები, სამარადისოდ... მეყვარები, სანამ ბიდგია სული, სანამ ფეთქს ჩემი სიცოცხლის დამარი! — ეფიცება ქალი და სინაზით უკოცნის მეუღლეს ღაწვებს და აკოკრებულ ულვაშებს.

ხოლო არ უწყიან ნეტარების ბურუსში გახვეულ ქალვაჟთ, რა შხამიანი გველი გუშაგობს მათ. ის წამომჯდარა სასახლის აივანზე, თვალს არ აშორებს ორ შეყვარებულს. მისი მოღუშული სახე გაგონებს დემონს, გესლს ანთხევენ მისი ჭროღა თვალები.

— მალე წაგამწარებ, გლეხის გომბიოვ, მაგ ნეტარებას! მალე წაგამწარებ. მოურავო, ესოდენ თავხედობას, ფარფაშს, ბატონობას! არ შეგარჩენ ჩემს საჯაროდ შერცხვენას! უკვე დგება შენი და სააკაძიანთ გვარის განკითხვის ჟამი, — ფიქრობს გუნებაში ის და არ აშორებს თვალებს მეფეს და მის ტურფა მეუღლეს.

— სად არიან, ნეტა, ის ოხრები, ქაიხოსრო და ფარსადან! თითქო გუშინ სალამოს უნდა მოსულიყვნენ თავისი რაზმით, — გაიფიქრა კვლავ და გადახედა შარას. შორით გამოჩნდა ორი მხედარი, რომლებიც სწრაფად მოაგელვებდენ ბედაურებს. ის დააცქერდა კარგახანს. ამ ორ მხედარში იცნო, ვისაც ელოდა.

— მადლობა ღმერთს! მოდიან! — წამოიძახა აღტაცებით და ჩაეგება კიბეზე.

— ბატონ შადიმანს ვახლავართ! — წამოიძახეს ახლადმოსულებმა და გადმოხტენ ცხენებიდან; ისინი ჩამოართვეს გუშაგებმა და გაატარ-გამოატარეს, რათა შეშრობოდათ ოფლი.

— მარტოდ მოხვედით? — შეეკითხა წყნარად სისინა ხმით შადიმანი, როცა შეიწვია ისინი დაბლა სართულის მცირე სენაკში.

— არა, თან მოგვდევს ასი რჩეული ვაჟკაცი, იარაღჭურვილნი, წვრილ რაზმებად დაყოფილნი. ამ ღამით იქნებიან ყველანი ჩასაფრებულნი დანიშნულ ადგილებზე.

— კეთილი. ზაალ სადღაა?

— ვერ გეახლათ უქეიფობის გამო.

— ხომ არ იგონებს? იქნებ მოურავის ეშინიან?

— არა, ბატონო შადიმან. ნამდვილ ავად გახლავთ. ჩვენი თვალით ვნახეთ. თავის მხრივ გამოგვაყოლა ოცდახუთი კაცი. აქ როგორღაა საქმე, შადიმან, კიდევ ჯიუტობს მეფე?

— ფრიად. რარიგად არ შევუჩნდი, ვერას გავხდი, მეტად უყვარს ის შეჩვენებული დიაცი. ახლაც ბაღში სხედან და ალერსობენ.

— მაშ როგორღა მოვიქცეთ? როგორ გავაშვებინოთ ცოლი? რარიგ ჩავიგდოთ ხელში ჩვენი მტერი და შემარცხვენელი მოურავი? — შეეკითხნენ ისინი შეწუხებულნი.

— უნდა მივიტანოთ კვლავ საერთო იერიში, უნდა დავემუქროთ ტახტიდან გადმოგდებას.

— და თუ ამითაც ვერას გავხდით, მაშინ რაღა ვქნათ, მეტადრე თუ ყველაფერი აცნობა საკაძეს, ხომ დავიღუპებით ყველანი ცოლშვილიანად?

— არა ვგონებ, მანდამდე მივიდეს საქმე. ვც-დოთ კიდევ მედგარი იერიში მეფეზე და თუ კვლავ გაჯიუტდა, მაშინ...

— რა მაშინ? — შეეკითხნენ შადიმანს ორთავენი.

— ჰო, მაშინ... დავატუსაღოთ მეფე, მოვკლათ ნაძალადევი დედოფალი და ამოვწყვიტოთ სრულებით საკაძიანთ გვარი... ქართლის მთელი თავადობა ჩვენკენაა, ნუგზარ ერისთავის გარდა! ის, ეჰვი არაა, სიძეს დაუჭერს მხარს, — წარმოსთქვა ჩურჩულით შადიმანმა.

— არც ეგ თქვენი ბაკა ხერხეულიძეა საიმედო პირი.. ხომ იცით რაებს როშავდა ამასწინათ და გვეჩურჩულებოდა: ხელი არ ახლოთ მოურავსო, არ დაღუპოთ ქვეყანაო. მთელი ქართლის გადამრჩენიაო, უპირველესი ყარდალიო, მაგისთანა კაცი საუკუნეებში მხოლოდ ერთი იბადებაო და სხვა ამისთანები.

— ეგ მართალია, ჩემო ფარსადან, ბაკა არაა საიმედო, ეს მეც კარგად ვიცი, ხოლო ის ვერაფერს გვიზამს, თანაც არაფერი იცის ჩვენი შეთქმულებისა, — დაამშვიდა შადიმანმა.

ამ საიდუმლო საუბრის დროს ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა სენაკის კარი.

— ბატონო შადიმან! მეფე გეძახით, სასახლის აივანზე ბრძანდება, — მოისმა გარედან გუშაგის ხმა.

— ახლავე მოვალ, — მიაძახა შადიმანმა და გავიდა.

მძიმე ნაბიჯით ავიდა კიბეზე და ჰკადრა სალამი ტახტზე მარტოდ მჯდომ მეფეს. შემდეგ ჩამოჯდა იქვე მოფენილ სკამ-ლოგინზე..

— ჩემო ლალავ, რას იტყვი ახალს? — შეეკითხა მეფე მხიარულად.

— შენს მშვიდობასა და დღეგრძელობას, ქართლის მბრძანებელო! — იყო ბარათაშვილის პასუხი.

— რა ისმის სამეფოს კუთხეებიდან? რა ისმის დიდ-მოურავისაგან, ჩემი ცოლისძმისაგან?

— კარგი ვერაფერი, მეფევ! ქართლი კვლავ დრტვინავს შენს წინააღმდეგ. იგი დღემდე ვერ შერიგებია თავის ესოდენ დამცირებას, უგვარო დედოფალს. ხოლო მოურავს ლაღად აუწევია ქედი, დასცინის ქართლის დიდებულთ და მბრძანებლობს მთელ სამეფოში; ხალხი მას უსმენს, მხოლოდ მას ცნობს მეფედ და არა დიდებულ ბაგრატიონთა შტოს, კანონიერ გვირგვინოსან ლუარსაბ მეორეს! ლამის ნამდვილ მეფედაც ეკურთხოს; ხმები დადის ასეთი, — გაუტარა გესლიანად შადიმანმა.

— ჰე, დაიწყე ისევ შენებურად! ნუთუ ვერ გაძეხ კიდევ მოურავის მტრობით! განა რა დაგიშავა ასეთი! მხოლოდ ის იყო, რომ არ მოგიწონა მამაჩემის დროს ერევნის ომში ხმლის მკვეთრობა... მას შემდეგ რამდენი დრო გავიდა, რამდენმა წყალმა ჩაიარა, ხოლო შენი გული არ დაცხრა და კვლავ ბორგავს შურისძიებით... აბა რას აუტყდი ქვეყნისთვის თავდადებულ ადამიანს! — მიახალა წყენით ლუარსაბმა და წამოდგა.

— არა, მეფეო, ჩემთვის შვილზე უძვირფასესო და ესოდენ ზრუნვით აღზრდილო! სცდებით. მათქმევინებს ამაებს შენს წინაშე არა სააკაძისადმი მტრობა და შური, არამედ შენდამი სიყვარული და ერთგულება. როგორც ლალა, მამობილი და იმავე დროს ქვეშევრდომი, ვალდებული ვარ მოვახსენო მეფეს სრული სიმართლე, ვამცნო, რა ხდება ირგვლივ იმ ბედნიერ დღიდან, ოდეს განსვენებულმა მამაშენმა მეფე გიორგიმ და ბრძენმა დედოფალმა თამარმა მცვნეს ყველაზე სანდოდ, კეთილ ინებეს და გადმომცეს აღსაზრდელად შენი თავი, შვიდი წლის ყრმა, დიახ, იმ ბედნიერი დღიდან მივეცი ფიცი თავსა ჩემსა ვიყო მარადის შენი გუშაგი, შენი თვალი და ყური... და აჰა, მეფევ, მას შემდეგ პირნათლად ვასრულებ ჩემს უზენაეს მოვალეობას, ვფიცავ შენს მზესა! — წარმოსთქვა გრძნობით შადიმანმა და ხელმანდილით მოიწმინდა თვალებზე მომდგარი ცრემლი.

გველის დაშაქრულმა სისინმა და ნიანგის ცრემლებმა უნებლიედ იმოქმედა ჰაბუკ მეფეზე და მოულბო გული. ის შეეკითხა ლალას უფრო დამშვიდებით.

— განა დასაჯერია, რომ დიდმა მოურავმა ჩაიდინოს რაიმე ცუდი ჩემს წინააღმდეგ!?

— დიდო მეფეო, აბა ყური ამ ლექსს. აი რას გვამხელს იგი:

„როცა უგვანი ამაღლდეს, სამრად დაიყბედებსა,
კარებსა დასცემს, თემს შესჭამს გლეხთა გადასცვეთს
ქედებსა“...

განა ამ სიტყვებში არ არის გამოსახული დიდი სიბრძნე და სიმართლე? ამაღლდა კაცი იგი უგვანი, გიორგი სააკაძე, ისახელა თავი ომებსა შინა, დასცა და დაჩაგრა დიდგვაროვანი პირნი, თავადნი ქართლისანი, ჩაიგდო ხელთა მთელი სამეფო, ხოლო გადასცვითა ქედნი გლეხთა ზედმეტი შრომითა ხიდ-ბოგირების და შარაგზების კეთებით, აგრეთვე ჯებირების აგებით მდინარეთა გასწვრივ...

— დიახ, ჩემო ძვირფასო ლალავ, ამაღლდა კაცი იგი სარდალი თავის პირადი ღირსებით, თავის უზენაესი ნიჭით, გმირობის, მხნეობის და შრომაუნარის მეოხებით, ისახელა თავი ომებსა შინა თავის საარაკო მამაცობითა, აჯობა ფრიად ამა უგვარომან ყველა დიდგვაროვანთა ქართლისათა, მოდრიკა მათი ამაყი ქედი მეფისა ტახტის წინაშე, იხსნა უსაზომო ხიფათისაგან ერი ივერიისა სათარხანის შემოსევის ჟამსა, ოდეს შეკრთნენ და დაიბნენ ყველა დიდგვაროვანნი ქართლისანი, ექვსი ათასი კაცით გაანადგურა მან შემოსეული მტრის ორმოცი ათასი მებრძოლი და მთელი მათი ქონება დაასაკუთრა სამეფო ხაზინას. დასცა შიშის ზარი ივერიის მტაცებელთა — ოსებსა, ლეკებსა და მოდრიკა ისინი ჩვენსა წინაშე; გადმოიყვანა მთებსა და ვიწრო ხევებში შეხიზნული ხალხი, ყოველმხრივ შეუწყო ხელი და დააბინავა ისინი ქართლის გაპარტახებულ მიწა-მამულსა ზედა. ბოლოს ვიღასთვის აგებს კაცი იგი უგვაროი გზებსა, ხიდებსა და მდინარეთა ჯებირებსა, თუ არა იმავე ხალხისთვის, თუ არა მთელი სამეფოს განსადიდებლად?! და აი

ასეთი კაცის აუგს კადრულობს მეფის ლალა, ტახტის ერთგული შადიმან ბარათაშვილი! ჩემო კარგო მამობილო, გაგეგონება ისიც, თუ რას ამბობს ხალხი ბრძნულ ლექსში:

— „ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა,
თუ კაცი თავად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“.

აი უზენაესი სიბრძნე! ამ ლექსით ხალხმა გვარიშვილობაზე ათწილ მაღლა დააყენა ადამიანის პირადი ღირსებანი, რითაც ღმერთმა თუ განგებამ ასე უხვად დააჯილდოვა შენგან აწუნებული, ხოლო ქვეყნისთვის თავდადებული და მდაბიო ხალხის მიერ უდიდეს გმირად სახული მოურავი გიორგი საკაძე, მდაბიოთა წრიდან გამოსული.

ჭაბუკი მეფის ასეთმა სიტყვებმა ენა ჩაუგდეს მგესლავს. შადიმან დუმდა კარგახანს, დაიბნა, აღარ იცოდა რა ეთქვა. ღრმა ფიქრებმა შეიპყრო იგი. შემდეგ აღახვნა ბაგენი.

— ისმინე, მეფევ, დიდ გონიერო, რომ ეგეთი კაცი არ შესდგება შუაგზაზე, ქართლის მეფეთა უხვი წყალობით იგი სრულიად ახალგაზრდა შეიქნა ქართლის სპასპეტი, მთელი ჯარების მთავარსარდალი, სამხედრო ვეზირი და თბილის-ცხინვალის მოურავი; ის არ შესდგა ამა დიდების საფეხურზე: მან მოიწადინა მეფესთან დამოყვრება და აჰა შეიქმნა ქართლის გვირგვინოსნის ცოლისძმა, მან თავისი და მაკინე დასვა ივერიის დედოფლად... და განა აქ მაინც შეჩერდება ეგ პატივ-დიდების მოყვარე ადამიანი?! არა, მეფევ! არ დაიჯერო... მას სხვა სწადია, სულ სხვა რამ...

— რაღა სწადია კიდევ ამაზე მეტი?—შეეკითხა მეფე ცნობისმოყვარეობით და ოდნავ შეკრთომით.

— დიახ, მეფეო, იმას სწადია სულ სხვა რამ, — გაიმეორა შადიმანმა და გადახედა ლუარსაბს.

— აღარ იტყვი, ადამიანო, რაღა სწადია კიდევ?! — შეეკითხა მეფე ნაწყენი კილოთი.

— ვერ მოგახსენებ, მეფეო! საუბედუროდ ჩემდა, უკვე დავკარგე შენს თვალში რწმენა. მეფის ლალას შადიმან ბარათაშვილს ამიერით აეხადა პატივი, ხოლო მის სიტყვას ნღობა... დღეს ქართლის დიდებულნი, ბაგრატიონთა ტახ-

ტის ერთგულნი ბერჯნი და ფარნი დაჩრდილა მდაბიო შიოშის ნაშიერმა, ჯავახიანთ ნაყმევმა გიორგი საკაძემ... ღელ'ს ჩვენი კაკალი სდუმს, მაგის ბამბაც კი ჩხრიალებს... ჩვენ ვილა ვართ, ივერიის თავადნი!

— რას ნიშნავს, შადიმან ჩემო, ეგეთი საუბარი! რა საჭიროა ეგეთი მიკიბულ-მოკიბული სიტყვები! სთქვი, ადამიანო, თუ რაიმე იცი!

— მე არას მოგახსენებ, მეფევ! რა საჭიროა! სულერთია, არ დაიჯერებ... დეე იმათ მოგახსენონ, ვინც გვეწვიენენ ამ ერთი საათის წინათ.

— მართლა, ვეღარ გკითხე, ვინ არიან ისინი? თვალი მოვკარი ბაღიდან.

— ისინი გახლავან ქართლის უპირველესი თავადნი და ტახტის ფრიად ერთგულნი, ფარსადან ციციშვილი და ქაიხოსრო ჯავახიშვილი. ისწრაფიან შენს ნახვას და ელიან ბრძანებას; იმათ ბევრი რამ იციან და მოგახსენებენ.

— სთხოვე ორთავეს აქვე, აივანზე.

სწრაფად დაეშვა კიბეზე მოხუცი შადიმან და მცირე ხნის შემდეგ ამოუძღვა ორივე თავადს. ამათ შორიდანვე ჰკადრეს მეფეს მდაბალი სალამი.

— ჩემს ერთგულ ფარსადანსა და ქაიხოსროს გამარჯვება! — მიაძახა მეფემ ახალმოსულთ.

— გამარჯვება ნუ მოაკლოს ღმერთმა და წმ. გიორგიმ ივერიის მეფე ლუარსაბს! — იყო პასუხი ორთავესგან.

მეფემ თავაზიანად მიიღო ისინი, დასვა თავის სიახლოვეს და მოიკითხა მათი ცოლშვილი. შემდეგ შეეკითხა, რა ამბები ხდება შუაგულ ქართლში.

— ვერაა კარგი ამბები, ბატონო მეფევ! შეურაცხყოფილი ერი ბორგავს, გულს იცრუებს თავის მეფეზე, არ მოსწონს მისი საქციელი, ჰკადრა ფარსადანმა.

— განა ასეთი რა დავაშვე ერის წინაშე?

— შფოთავს თავადი და აზნაური, გლეხი და სულიერი შამა, დიდო ბატონო! — დაიწყო ჯავახიშვილმა. — დღემდე ვერ მოინელეს ის ზღაპრული ამბავი, რაც მოხდა გასულ წელს. გავბედავ და მოგახსენებ, რომ ისინი დღემდე ვერ

შეეგუენ გლეხის წრიდან გამოსულ თავის ახალ დედოფალს...

— გავბედავ და მოგახსენებ, მეფეო, რომ ბევრგან უკვე დაიწყო საიდუძლო მიმოთქმა და შეთქმულებაც კი მეფის წინააღმდეგ, — გააწყვეტინა სიტყვა ჯავახიშვილს და ძოახსენა მეფეს ხმადაწევით ციციშვილმა.

— როგორ თუ შეთქმულება?! განა რას მიპირებენ?! — შეეკითხა ლუარსაბ შეშფოთებით.

— ფრიად ცუდ რასმეს, მეფეო!

— რასა? მოკვლას? ტახტიდან ჩამოგდებას?!

— დიახ, ტახტიდან ჩამოგდებას! ეს არის, მეფევ, ერის წადილი, მოახსენა გაბედვით ციციშვილძა — მოურავს კიდევ მთელი ოჯახობით უპირებენ სრულიად ამოჟლეტას. არ ინდობენ არც ახალ დედოფალს...

ამ მძიმე, უეცარმა ამბავმა გარინდა ლუარსაბი, იგი ღრმად ჩაფიქრდა გაფითრებული.

— ჩვენცა კიდევ ვალდებულად გავხადეთ თავი გხლებოდით აქ, კოჯორში, და მოგვეხსენებია ეს არასაამო ამბები ჯერ შადიმანისთვის და მერე თქვენთვის! — თქვა ორივემ. ამ დროს აივანზე გამობრძანდა ქვრივი დედოფალი თამარ, ლუარსაბის დედა, და მისი დედამთილი, დიდი სვიმონ მეფის ქვრივი დედოფალი გულშარა, — სამოცი წლის მხნე და ჭარმაგი მანდილოსანი, ორთავე ფრიად განათლებული იმ დროის მიხედვით, ხოლო გულშარა იყო მეტად განთქმული თავისი ენამჭევრობით და დიპლომატიური ნიჭით, ერთ დროს მისი პირით ხონთქარი მოლაპარაკებას აწარმოებდა ერანის შაჰთან. ეს ივერიის დედოფალი იყო გაგზავნილი სულთანის მიერ შაჰაბაზის წინაშე დიპლომატიური დავალებით.

ორივ დედოფლის დანახვაზე უცებ წამოდგნენ ყველანი და ჰკადრეს მდაბალი სალამი. მეფემ დაუთმო მათ თავისი ტახტი და დააბრძანა მოწიწებით. მცირე მოკითხვის შემდეგ ჩამოვარდა სიჩუმე. დუმილი დაარღვია ლუარსაბის დედამ.

— მაპატიეთ, ბატონებო! უცებ ყური მოვკარ თქვენს საუბარსა. ვინ ემუქრება ჩემს შვილს ტახტიდან გადმოგდებას, ფარსადან?

— ერის დიდი უმეტესობა, ჩემო ხელმწიფევ, დ·ღებულ თავადთაგან დაწყებული უბრალო გლეხამდე. აგერ ათი თვე გადის იმ საბედისწერო დღიდან და აქამდე ვერ შერიგებიან მეფის უფერო ქორწინებას. არ სცნობენ დედოფლად მღ.-ბიო ოჯახიდან გამოსულ მანდილოსანს. მოურავის და.. ერი შფოთავს და დრტვინავს; იგი ფრიად დამცირებულად გრძნობს თავს, — მოახსენა ციციშვილმა.

— ტაძრებშიაც მრავალ ალაგას წირვის ბოლოს ხუცები არ იხსენიებენ ახალ დედოფალს, თითქო მეფე ლუარსაბ უცოლო ბრძანდებოდეს, გიხსენიებენ მხოლოდ თქვენ ორთავეს, ჩემო ხელმწიფენო, — ჩაურთო სიტყვა ჯავახიშვილმა და გადახედა შადიმანს.

— მაშ როგორ მოვიქცეთ, ბატონებო? რა სალბუნი დავსდოთ ამ იარას?—შეეკითხა დინჯად გულშარა დედოფალი.

— თქვენ უკეთ უწყით, ბრძენო ხელმწიფე! — .ბოახსენა ორთავემ.

— ჩვენც შეიძლება ვიცოდეთ ამ სენის კურნება, ხოლო გვწადის ვისმინოთ თქვენს ბაგეთაგან ერის აზრი და ლტოლვა, — დინჯად წარმოსთქვა ისევ გულშარა დედოფალმა და მკვეთრად დააცქერდა ახლადმოსულ თავადებს, შემდეგ გადახედა შადიმანს, იგი დუმდა ამ საუბრის დროს. იმათ ვერ გაუძლეს ასეთ გამხვრეტ მზერას და ჩაღუნეს თავი.

— ერის ლტოლვა და სურვილი აშკარაა; ან მეფე ლუარსაბ და დედოფლად მისი შესაფერი მეუღლე, ან სხვა მეფე ბაგრატიონთა გვარიდან, — იყო ორთავეს პასუხი.

— მაშ სახუმაროდ ალარ ყოფილა საქმე! ჩანს, მზადდება შეთქმულება და აჯანყება! — წარმოსთქვა ცხარედ ლუარსაბის დედამ.

— სრული სიმართლეა, ჩემო ხელმწიფევ. რაღა დაგიმალოთ, ერის აღშფოთება მეტად სახიფათო სახეს იღებს, — უპასუხა ფარსადანმა.

— მერე, მოურავი რას შვრება?! ნუთუ ვერა მზერს ამაებს?! — შეეკითხა გულშარა.

— დიახ, ჩემო ხელმწიფევ, იგი მზერს ყველაფერს; კარგად იცის ყოველივე, ხოლო...

რა ხოლო? სოქვი, ნუღარ ფარავ. ჩემო ფარსადან! გვამცნე, გვამხილე ყოველივე მეფესა და დედოფალთ, ერთაულებაში ჩაგეთვლება! — წააქეზა ისევ გულშარამ.

— მიმძიმს თქმა ჩემო ხელმწიფევ, ფრიად მიმძიმს. შოთამ ბრძანა: ზოგან თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგან თქმითაც დაშავდებისო. ვშიშობ, ამ თქმით, ამ გამჟღავნებით არ გაწყენიოთ თქვენ და მასთან ერთად დიდი ზიანი არ მივაყენო ჩემს თავსა და ოჯახს. ჩემი მტერიც კი ნუ ჩაუგდოს ღმერთმა ხელში მძვინვარე მოურავსა! მომსპობს დედიან-ბუდიანად! მომსპობს! გამაქრობს!

— ნუ გეშინიან, ჩემო ფარსადან, სთქვი ყოველივე გულახდით! ნურას დაგვიფარავ! — გაათამამა თამარმა.

ფარსადან წამოდგა, მიიხედ-მოიხედა, სახეზე გამოისახა გამწარება, შემდეგ მიუახლოვდა მეფე-დედოფალთ და მოახსენა ფითქმის ჩურჩულით:

— ნება მიბოძეთ, ჩემო ხელმწიფენო, უფრო ფარულად მოგახსენოთ ყველაფერი! აქ, აივანზე, სვეტებსაც კი ყურები ასხია, თუ გაგვიგო, მე მარტო კი არა, თქვენც ვერ ასცდებით დიდ ხიფათს.

ყველანი შევიდნენ მეფის საიდუმლო სენაკში და ჩაიკეტეს კარები.

— ახლა სთქვი, ფარსადან, რაშია საქმე? — უბრძანა გულშარამ.

— უნდა მოგახსენოთ, ჩემო ხელმწიფენო, რომ ერის შფოთსა და ამბოხებას თვით მოურავი უწყობს ხელსა.

— როგორ თუ მოურავი? — გაიოცა მეფემ.

— დიახ, მოურავი! თავის მომხრეთა მეშვეობით, ის საიდუმლოდ აქეზებს თავადაზნაურთ მეფის წინააღმდეგ.

— ეგ შეუძლებელია. ცილისწამებაა! აბა რა სარფაა მოურავის მხრივ ჩემს წინააღმდეგ ამხედრება?! — წამოიძახა მეფემ.

— ალბათ, აქვს რაიმე მიზანი, ჩემო ხელმწიფევ! — ჩაერია საუბარში ჯავახიშვილი.

— აბა რა მიზანი უნდა ჰქონდეს გიორგი საკაძეს?! სხვა თუ არა, საკუთარ დას ხომ არ გასწირავს?!

— თავის პირად სარგებლობისათვის მოურავი მზად არის გასწიროს არამცთუ და და სიძე, არამედ თავის ცოლი და შვილებიც-კი! — დასძინა ციციშვილმა.

— ნეტავ რა მიზანს აღწევს მოურავი ასეთი საქციელით! — შეეკითხა გულშარა.

— იგი ამღვრევს წყალს, რომ თევზები იჭიროს, ჩემო ხელმწიფევ! — უპასუხა ქაიხოსრომ.

— რა თევზები! რატომ ეგრე მიკიბულ-მოკიბულად უბნობთ ორთავენი! — მიაძახა მეფემ წყენით, — სთქვით პირდაპირ საქმის ვითარება!

— საქმე შემდეგშია ჩემო ხელმწიფევ! სააკაძის ზრახვანი ფრიად შორს მიდიან, მას აღარ აკმაყოფილებს არც სპასალარობა, არც მოურავობა. მას, სწადია მეფის გვირგვინი... ის ხომ მეფეა უგვირგვინო, მდაბიო ხალხის თვალში! მაშ რაღა უშლის ხელს, რომ დღეს თუ ხვალ გვირგვინიც იკურთხოს სვეტიცხოვლის ტაძარში.

— ეგ ცილისწამებაა, ფარსადან! განა დასაჯერია მიღალატოს ჩემმა ცოლის ძმამ, ძმასავით საყვარელმა მოურავმან, რომელიც ასე დააწინაურეს ჩემმა პაპამ და მამამ?! ბულს არ ეკარება ეგ სიტყვები! — წამოიყვირა მეფემ და წამოვარდა.

— წყნარად, მეფევ! წყნარად, ბატონო! არავინ გაიგონოს, — გააფრთხილა შადიმანმა და დადუმდა ისევ ღრმა ფიქრებში ჩაფლული.

— ნუ გავიწყდებათ, მეფევ, რომ მთელი სამეფოს ჯარების უფროსი სააკაძეა! მის მიერ გადმოსახლებული აზატი გლეხობა და თუშ-ფშავ-ხევსურეთი მის მზეს ფიცულობენ, ბევრი თავადის, აზნაურის და სასულიერო პირთა გული მოიგო ცხირეთ-ტაშისკართან საარაკო გამარჯვებით. გარდა ამისა, მის გვერდით ბურჯად ამართულან მისი სიმამრი და ცოლისძმა ნუგზარ და ზურაბ ერისთავნი არაგველთა მხედრობით! მაშ რაღა უშლის ხელს?! იგი მზადაა! ხოლო უცდის დროსა და ჟამს. როგორც-კი აფრიალდება აჯანყების დროშა მეფე ლუარსაბის წინააღმდეგ ქართლის თავად-აზნაურთა მიერ და წარმოადგენენ მეფედ სხვა რომელიმე პირსა,

იმ წამსვე მოურავი აამოძრავებს თავის რაზმებს, ჩააქრობს აჯანყებას და გამოაცხადებს თავს ივერიის მეფედ. აი მისი ფარული ზრახვანი! — წარმოსთქვა დინჯად და ხმადაბლა ციციშვილმა.

— მეფე ლუარსაბსა და მის მეუღლეს რაღას უზამს? ან ჩვენ ქვრივ დედოფლებს სად გადაგვკარგავს?! — წამოიძახა გაოცებით ლუარსაბის დედამ.

— მოგახსენებთ, ჩემო ხელმწიფენო. მეფე ლუარსაბსა თვის მეუღლით და თქვენ, დედოფალო, მოურავი ადვილად ჩაგკეტავთ სამუდამოდ რომელიმე ციხეში ან მონასტერში. მადლი უფალს, ასეთები ხომ ბლომადაა ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში, — წარმოსთქვა ისევ დინჯად და ხმადაბლა ციციშვილმა.

ფარსადანის სიტყვებმა ფრიად დიდი გავლენა იქონია მეფე-დედოფალზე. ისინი დუმდნენ კარგახანს ღრმად ჩაფიქრებულნი. დუმილი დაარღვია მოხუცმა დედოფალმა.

— შენ რაღას იტყვი, ბრძენო შადიმან?! როგორ მოგწონს ეგ ამბები? რათ სდუმხარ, რად არ იღებ ხმას?!

— დიდო დედოფალო! მე რაღა მეთქმის! მადლი უფალს, თვით გაიგონეთ ყველაფერი სხვების ბაგეთაგან. ჩემს სათუთად გაზრდილს, ქართლის მეფეს აღარ მოსწონს ჩემი რჩევანი, ჩემი მხილებანი და გაფრთხილებანი; დავკარგე ნდობა მეფის წინაშე იმ დღიდან, ოდეს დაიახლოვა მოურავი და გახადა დედოფლად იმის და. ძოღან გამკიცხა სასტიკად, ოდეს ვკადრე და ეჭვი შევიტანე საკაძის ერთგულებაში. ღმერთმა ხომ იცის, ჩემგან არ იყო მოგონებული. არამედ მაუწყეს ყოველივე ამ დილით ქართლის ამ ორმა დიდებულმა, მეფისა და ტახტის ერთგულმა თავადებმა. ახლა რაიღა მოვაგვაროთ, მეც აღარ ვიცი... ნათქვამია: „წამხდარსა საქმეს რას არგებს მერე თითზედა კბენანი" — წარმოსთქვა მღელვარედ ბარათაშვილმა და მოიწმინდა თვალზე მომდგარი ნიანგის ცრემლები.

შადიმანის მღელვარე სიტყვებმა აუჩვილეს გული ორთავ დედოფალს. იმათ უმადურად გადახედეს ლუარსაბს; ამას ჩაექინდრა თავი და იყო გარინდული. ხანდაზმით აღმოხდე-

ბოლა ხოლმე გულიდან მძიმე ოხვრა. შფოთავდა ჭაბუკი ქეფე.

— აქ ნათლად ჩანს ყველაფერი. ეჭვის შეტანაც კი შეუძლებელია! მოურავი გვღალატობს, ეს აშკარაა. მას ხელში აქვს ძალაუფლება და რაცა სწადია, იმას ჩაიდენს. ახლა საჭიროა კარგად მოვისაზროთ, რა ზომები მივიღოთ თავადაზნაურთა და საერთოდ ქართლისა ერის დასამშვიდებლად. რას იტყვი ამის შესახებ, შადიმან, ჩვენო ბრძენო ვეზირო და მესაიდუმლევ? — წარმოსთქვა ლუარსაბის დედამ.

— მე ნურას მკითხავთ, დედოფალო! ისევ ამათ ჰკითხეთ, ბატონ ფარსადანსა და ქაიხოსროს, ისა სჯობია. ჩემმა რჩევამ უკვე დაკარგა ფასი მეფის თვალში.

— რა საჭიროა ამდენი თავპატიჟი, ჩემო შადიმან! განა შენმა გაზრდილმა მეფემ არ იცის შენი ერთგულება და ბრძნული რჩევანი?! აბა ვინ არის ქართლის ტახტის წინაშე უპირველესი ვეზირი, თუ არა შადიმან ბარათაშვილი, სამეფოს ერთგული გუშაგი და თავდადებული! გვამცნე, გვირჩიე რამე! — შეაქო გულშარა დედოფალმა.

— რაღად მეკითხებით, როცა თქვენ უკეთ იცით, ბრძენთა-ბრძენო დედოფალო, როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ პირობებში! — უპასუხა თავდახრით ბარათაშვილმა.

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლუარსაბ მეფემ უნდა გაუშვას ნაჩქარევად შერთული ცოლი, მდაბიო წრიდან გამოყვანილი, და ითხოვოს შესაფერი მეუღლე, რათა დააცხროს აშ საქციელით ერის აღშფოთება და ამბოხი,. ხომ ასეა?! — შეეკითხა შადიმანს მოხუცი დედოფალი.

— დიახ ჩემო ხელმწიფევ. სრული ჭეშმარიტებაა, ხოლო ეგ არ კმარა, საჭიროა კიდევ სხვა ზომების მიღებაც.

— აბა რა ზომებისა გვამცნე ბარემ, — შეეკითხა დედოფალი თამარ.

— როგორ გგონიათ, დედოფალნო. განა მოურავი მოუწონებს ლუარსაბს ეგეთ უპატიო მოქცევას მისი დისადმი? ნუთუ არ უწყით, რა მოჰყვება ამას?

— რა, ბრძენო შადიმან? მოურავის განდგომა და აჯანყება, არა? — შეეკითხა გულშარა.

— დიახ, დედოფალო! თქვენის ბაგენით ღაღადებს უზენაესი ჭეშმარიტება. მოურავი თავის ცოლშვილით უნდა შეეწიროს ბაგრატიონთა გვირგვინს და დიდებას; მასთან ერთად მთელი საკაძიანთ გვარი; ამას მოითხოვს ქართლის სამეფოს კეთილდღეობა! — წარმოსთქვა დინჯად და ხმადაბლა ბარათაშვილმა.

შადიმანის სიტყვებს კვერი დაუკრეს ქაიხოსრომ და ფარსადანმა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა მცირე ხნით. საშინლად ბორგავდა ჭაბუკი მეფის გული. ის ატანდა ძალას თავსა, რომ ბოლომდე მოესმინა შადიმან ჯალათის საშინელი განაჩენი.

— ვინ შეაბამს ეჟვანს კატასა? ვინ დაიჭერს ველად გავარდნილ ტაიჭსა, ვინ შესძლებს ფრთხილი და მძლავრი მოურავის ხელში ჩაგდებას?!

— მხოლოდ ის, დედოფალო, ვინც მას მიენდო და დაგმოყვრა. მოურავი უნდა მოიტყუოს აქ რაიმე საბაბით თვით მეფე ლუარსაბმა. აქვე უნდა დავესხათ თავზე მძინარეს და მოვუღოთ ბოლო. ამავე დროს უნდა გავქლიტოთ საკაძის ცოლშვილი და ახლო ნათესავნი; აგრეთვე უნდა ჩავიგდოთ ხელში ნუგზარ ერისთავიც მთელი ოჯახობით და ჩავალპოთ სადმე შორეულ ციხის ბნელსა ნესტიან ჯურღმულში, — თქვა ისევ შადიმანმა.

ახლა კი გაუწყდა მოთმინების ძაფი რაინდ მეფეს და წამოიჭრა ზეზე უსაზღვრო აღშფოთებით.

— როგორ? დავისხა თავზე ლაფი?! ვუღალატო ამ დიდებულ ადამიანს და ბოლოს მევე მხდით სამარცხვინო მზაკვრობის იარაღად?! მე, მეფე ლუარსაბმა, მოურავის სიძემ, უნდა მოვიტყუო იგი აქ, კოჯორში, და მოგაკვლევინოთ ვერაგულად, ამოგაჟლეტინოთ მისი ცოლშვილი?! ერთი მიბრძანეთ, ვინა გგონივართ? მეფე ივერიისა, ბაგრატიონთა დიდებული გვარის მემკვიდრე, თუ ვიღაც ბინძური, ცრუ, მატყუარა, მზაკვარი და საზიზღარი ჯალათი?! ან ჩემს აღმზრდელს, ლალა შადიმანს ვითარ აღმოხდა ბაგეთაგან ასეთი უწესო რამ?! ასეთ სამარცხვინო რამეს არ ჩავიდენ არასდროს.

—წინააღმდეგ შემთხვევაში შეს თვითონ, მეფევ, მთელი გვარეულით გახდები მსხვერპლი მოურავის ზვიადობისა, მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— არ მჯერა ეგ ზღაპრები! გულს არ ეკარება ეგ სიტყვები. მოურავი ერთგულია მეფისა და ერის! ის არ არის მოღალატე! მას არ იტაცებს პატივ-დიდება! იგი ზღაპრული გმირია, დიდი სარდალი და ქვეყნისათვის თავდადებული! ყოველივე ეს ღრმად სჯერა ამ ჩემს გულს! — წამოიძახა მეფემ გაცხარებით.

—მაშ ფიცი გნებავთ, მეფევ! აჰა, ქრისტეს ჯვარი და სახარება! ვფიცავართ სამნივე ამ წმინდა ჯვარსა და სახარებაზე, რომ რაცა ვსთქვით, მართალია ყველაფერი და თუ ტყუილს ვამბობდეთ, ვუგონებდეთ ასეთ რამეებს მოურავსა, მაშინ გვრისხავდეს ღმერთი და წმ. გიორგი, ასე დაგვიმხოს ოჯახი და ამოგვიწყვიტოს ცოლშვილი. — ამ სიტყვებით მოურავის უძინარმა მტრებმა ძირს დაამხვეს ქუდები მეფის წინაშე.

მორწმუნე ლუარსაბი უზომოდ გააოცა სამი დიდი თავადის ფიცმა, იგი გაშრა, გაშტერდა... ამ გულწრფელსა და კეთილ ადამიანს უცებ დაეკარგა ყველაფრის რწმენა, მის ქვეშ იწყო რყევა იატაკმა, ის ბარბაცით გამოვიდა ვარეთ და ღონემიხდილი მიჯდა აივნის კუთხეში. ეაბუკის თვალებს უნებლიედ წასკდა მწარე ცრემლები...

მეფეს გამოჰყვნენ ორთავე ღედოფალი.

ამრიგად ვადაწყდა დიდი მოურავის ბედი. მეფის სახელით იგი სასწრაფოდ დაიბარეს კოჯორში, ვითომ და სანადიროდ. გმირის სამივე მოსისხლე მტერი გამარჯვებულის სახით გავიდა მეფის დარბაზიდან. ისინი შეუდგნენ თავის ბნელ სამზაღისს.

ამავე დროს ფეხაკრეფით გავიდა მეორე პატარა ოთახიდან მეფის ფარეშთუხუცესი ბააკა (იგივე კახაბერ) ხერხეულიძე, დიდი მოურავის ერთგული პირი. ოქსინოს სალაფარდის უკან ფარულად მდგომი, იგი ისმენდა ყველაფერს.

— ოჰ, ბედშავო მოურავო! რაებს სჩადიან შენი მტრები! გაიფიქრა გულში და ლანდივით გაქრა ოთახიდან.

ქვეყნის დაუცხრომელ ზრუნვაში იყო დიდი მოურავი, როს ძიილო მეფის სახელით მოწვევის ბარათი. მან არ იცოდა არაფერი, რადგან ყოველივე მოხდა მის ჩუმად, თვით კოჯორში. იგი მაშინვე გაეშურა კოჯორს ერთი მხლებლით, მივიღა გვიან ღამით და მოისვენა თავის ბინაზე.

მეფეს აცნობეს სააკაძის მოსვლა. მტრები მოემზადნენ ოავზე დასაცემად. დილის რიჟრაჟზე ეცნენ თავისი რაზმებით მოურავის სადგომს, შემოერტყნენ გარს, დასცეს ყიჟინა, ღაუშინეს თოფები. ისინი იწვევდნენ გარეთ სააკაძეს უშვერი ლანძღვა-გინებით. ბინიდან არ ისმოდა ბაიბური. უცებ გაიღო კარი, გამოვარდა გარეთ მოურავის მხლებელი მამაცი პაპუნა ჩივაძე, სააკაძის ჯუბა-ჯავშნით და იარაღასხმული, მოახტა იქვე უბელო ცხენს, გააპო მტრის რაზმები და გაქუსლა ნოსტესაკენ.

მოღალატენი შეცვივდენ სახლში, მაგრამ იქ არ დახვდათ ის, ვისაც ეძებდნენ.

განთიადის ჟამს ვიღაცამ წყნარად დაუკაკუნა კარი. მუდამ ფრთხილი სააკაძე მაშინვე წამოვარდა და შესძახა:

— ვინა ხარ?

— გიორგი, თავს უშველე! მეფემ გასტეხა ფიცი... გიღალატეს. მოდიან მტრები შენს მოსაკლავად...

ძლივს მოასწრო მოკეთემ ეს სიტყვები და გაიჭრა სიბნელეში.

გმირმა ჩაიცვა უცებ ჯუბა, შემოირტყა ხმალი, ელვის სისწრაფით გამოვარდა გარეთ, მოახტა თავის მერანს და გააქროლა ცოლშვილისაკენ.

დიდი მოურავის მხსნელი იყო ღირსეული მამულიშვილი კახაბერ ხერხეულიძე.

გააფთრებული მტრები გამოუდგნენ სააკაძის კვალს. მათ ადრევე შეკრეს ყოველმხრივ გასაქცევი გზები, სურდათ ხელში ჩაეგდოთ მოსაკლავად ქვეყნის მხსნელი.

მზე ჩასვლაზე იყო, როდეს უზომოდ დაღლილი სააკაძე მივარდა შინ. ის იყო მთლიანად ოფლში გაწურული. სახეზე ალმური ასდიოდა. ტანისამოსი დაფლეთოდა ტყესა და ჯაგებში

ცხენის ჭენებით. ამ სანახაობით შეშფოთებული ცოლშვილი შემოეხვია გარს.

— თავს ვუშველოთ! მტრები მოგვდევენ ფეხდაფეხ... გვიღალატეს... მეფემ გასტეხა ფიცი! აუწყა მათ გიორგიმ ჰოლვარე ხმით.

— აბა მოემზადენით! ჩქარა შევეფაროთ ტყეს...

შეიქნა ფაცაფუცი. სააკაძის ღირსეული სახლობა უცებ მიხვდა ყველაფერს. მოემზადნენ საოცარი სისწრაფით და გასწიეს ტყისაკენ. მოურავმა მოახდინა განკარგულება თავის შინაყმებში და გამოუდგა ცოლშვილს.

კუნაპეტი ღამე იყო, როს ავარდა საშინელი ალი. ამ დროს იქვე მთაზე კლდის პირას იდგა დიდი მოურავი, ის დაცქეროდა ამ საზარელ სურათს. იქ, დაბლა იწვოდა მისი სასახლე და კარმიდამო, ცეცხლის ალში ინთქებოდა მის მიერ მონაგარი მთელი ქონება... უსაზღვრო სევდა და ბრაზი მოაწვა გულზე. გმირის თვალები ცრემლით აივსო. სააკაძე დიდხანს იყო ქანდაკივით გაქვავებული და უცქეროდა იმ მხარეს, სადაც ულმობელი სტიქიონი ნთქავდა მის სიყრმის შენაძენს, ამოიოხრა მწარედ...

— „რისთვის?! რა დავაშავე ასეთი?! განა ეს არის ჩემი ღვაწლის, ჩემი თავდადების სამაგიერო?!“

ფიქრობდა დიდი მოურავი და არ აშორებდა თვალს მძვინვარე ხანძარს.

ამასობაში ერთგულმა შინაყმებმა მოჰგვარეს ცხენები. სააკაძე, მისი ცოლშვილი და მხლებელნი შესხდნენ ცხენებზე და გაუდგნენ გზას. მაგრამ საით უნდა წასულიყვნენ, როცა ყველა გზა იყო შეკრული, თანაც მეფის სახელით გაეცა ბრძანება: ვინც დაიჭერდა დიდ მოურავს და მოუყვანდა მკვდარს ან ცოცხალს, მიეცემოდა ფრიად კარგი ჯილდო. გამოჩნდნენ მსურველნი. ისინი ჯგუფად ესაფრებოდნენ სააკაძეს და სურდათ მისი ხელში ჩაგდება. ფულმა გაიტაცა ჭრავალნი. ოქრომ დაუკარგათ სინდისი და ნამუსი.

სააკაძის გონებამ უცებ მოისაზრა ყველაფერი. მან კარგად იცოდა ყოველი გზა და ბილიკი. გასწია იმ გზით, სადაც

ნაკლებ მოელოდა მტრის შეხვედრას. ამრიგად მიადგნენ მცხეთას. ბნელი ღამე იყო, მოურავმა ჩაგზავნა კაცები და შეიტყო, რომ ხიდი მტრებს უკავიათ და ფრთხილად დარაჯობენ. ის მოერიდა პირდაპირ შებმას, მოძმეთა სისხლის ღვრას. მან არჩია ამ კუნაპეტ ღამეში განსაცდელში ჩაეგდო თავი, წვრილი ცოლშვილი და ფონით გასულიყო მტკვარში. მიადგნენ მდინარეს; იგი ფართოდ გაშლილიყო მათ წინ და მრისხანედ მიაგორებდა მოშავო ზვირთებს. საკაძემ გაამხნევა ყველანი. კაცებმა შეისვეს მხრებზე ბავშვები და შეუდგნენ გასვლას.

— ნუთუ დიდი მოურავის ცოლი უნდა შეუშინდეს რასმესე?!

შესძახა გმირულად ნუგზარის ასულმა და პირველმა შეაცურა ცხენი აზვირთებულ მდინარეში. მას მიჰყვნენ სხვებიც. ცხენები თითქმის დაიმალნენ წყალში. გონიერი პირუტყვნი ფრუტუნით მიაპობდნენ ზვირთებს და მიცურავდნენ წინ. რამდენიმე ხანიც — და ყველანი მშვიდობით გავიდნენ გაღმა თავით ფეხამდე დალუმპულნი. აღარ შეჩერდნენ აქ, გასწიეს საჩქაროდ, რომ არ მოესწროთ მდევრებს, რადგან მოატანა კიდეც გათენებამ. ათ ეჯს იქით იწყებოდა ნუგზარ ერისთავის სამფლობელო; იქ აღარ იყო საშიში.

გასცდნენ თუ არა საზღვარს, ჩამოხტენ მდელოზე არაგვის პირას, ააგზნეს დიდი ცეცხლი, გაიძვრეს სოველი ტანსაცმელი და ჩაიცვეს მშრალი. მთელი დღე-ღამის უშმელნი შეეჭცნენ მცირე საუზმეს. ამავე დროს მოურავმა აფრინა გელა ნუგზარ ერისთავთან და ამცნო თავზე დატეხილი საზარელი ამბები. გელამ გააქროლა თავისი სწრაფი მერანი დუშეთისაკენ, სადაც ამ დროს იყო ნუგზარ თავის ცოლშვილით.

სცნო თუ არა გელასაგან ეს საშინელი ამბები, მეფის მერ ფიცის გატეხა და სამარცხვინო ღალატი, არაგვის დიდმა ერისთავმა ფიცხლავ შეკრიბა თავის საყმოდან ორასამდე საუკეთესო ვაჟკაცი და თავის ორთავე ვაჟით, ზურაბ-დათუნათი შეეგება ლტოლვილთ.

მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს სიძე-სიმამრი და სიძე-ცოლისძმები, აგრეთვე მამა-შვილი და და-ძმანი. შემდეგ მოხუცმა დაკოცნა შვილიშვილები და ტკბილად მიესალმა მოურავის მხლებელთ, რომელთა შორის იყვნენ ორთავე პაპუნა, ლომი ჩრდილელი, გელა და რამდენიმე ერთგული ფარეში.

ყველანი დასხდნენ იქვე მდელოზე და გაიბეს საუბარ. მათ წინ მითამაშობდა გიჟმაჟად არაგვი და ეღიმოდა გაშლილ მიდამოს.

მაგრამ ეს ბუნების სიტურფენი სრულებით არ იზიდავდნენ ამ დროს იქ მსხდომთ; ისინი უგულოდ შეეჭცეოდნენ ნაირ-ნაირ სანოვაგეს, რაც უხვად ელაგა მათ წინ გაშლილ სუფრაზე ნუგზარის განკარგულებით. ყელშიაც არ გადასდიოდათ ვერცხლის კულა-აზარფეშებით მიწვდილი ცივი კახური. ყველანი მოეცვა უსაზღვრო ბოღმას და მწარე ფიქრებს. ბორგავდა მოხუცი ნუგზარ. იგი ფეხმოკეცით იჯდა გაშლილ სუმახზე სიძე-ასულს შორის, ხავერდის მუთაქაზე დაბჯენილი, და ქშინავდა. ვერ შერიგებოდა ასეთ საშინელ უმადურობას, გავლენიან თავადთა ბორიტებას, უხასიათო მეფის მუხანათობას, ვერ შერიგებოდა დიდი მოურავის მთელი ოჯახით სასიკვდილოდ გამეტებას, მისი ქონება-მონაგარის გაალაფებას და სახლ-კარის გადაბუგვას.

— განა ეს არის, ჩემო ძვირფასო სიძევ, შენი ამდენი შრომა-ამაგის, შენს გმირულ საქმეთა, ცხირეთ-ტაშისკარის ომთა, მეფის და ქვეყნის საარაკოდ გადარჩენის საზღავი?! ჯილდო-დიდების ნაცვლად შავი უმადურობა, ფიცის გატეხა და ღალატით მთელი ოჯახის ამოწყვეტის სურვილი?!.. რა გწადის ახლა, ჩემო შვილო?

— გაცლა, სამშობლოდან გარდახვეწა... სხვა გზაც არ მივის, ბატონო ჩემო. — უპასუხა ნაღვლიანი ხმით მოურავმა.

— როგორ?! ხუმრობ განა, თუ მართალს უბნობ, ჩემო სიძევ?!

— არა, ბატონო! მართალს მოგახსენებ... სხვა გზაა არ არის...

— როგორ, გიორგი?! განა მართლა აპირებ მოშორდე შენს ნაამაგარ ქვეყანას, გაექცე სამარცხვინო მტრებსა და მუხანათებს?! ეგ ხომ ლაჩრობაა! არა, ეგ არ შეგფერის ცხრეთისა და ტაშისკარის გმირს დიდ მოურავს!.. ნუთუ ასერიგად შეუშინდი უსუსურ მეფე ლუარსაბს, გესლიან გველთა და ჯაბანთა შადიმან ბარათაშვილს და ფარსადან ციციშვილს? მერე მე და ჩემი მამაცი შვილები დავიხოცენით, განა?! შენი გამეტება და შერცხვენა ხომ იმავე დროს დიდი არაგვის ერისთავის მთელი ოჯახის გამეტებაა და თავის მოჭრა! არა, ჩემო საყვარელო სიძევ, მაგას ნუ იქმ! ეგ არ შეგფერის! მე თამამად შევძლებ ჩემი საყმოდან გამოვიყვანო ორიათასამდე საუკეთესო მებრძოლი, თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან შეგვიძლია მოვიმხროთ სამიათასამდე მამაცი მეომარი, ისინი ხომ დიდად დავალებული არიან შენგან. ორიათას კაცამდე კიდევ შენცა გყავს ქართლში შენ მიერ საომრად გაწვრთნილი ნაამაგარ გლეხთა შვილები, რომლებიც თავს დასდებენ შენთვის. მაშ რაღა გინდა კიდევ! ეს შვიდიათასი საუკეთესო მხედარ-მეომარი ჩვენი სარდლობით უდრის ლუარსაბ მეფის ოციათას ჯარისკაცს. ქართლის მეფეს ხომ ასე უცებ ძლივს შეუძლია შეჰყაროს ხუთი ან ექვსი ათასი კაცი. მაშ ახლავე შევუდგეთ საქმეს, ვიბრუნოთ პირი გაცოფებული მტრისკენ, დავამხოთ ფიცის გამტეხნი და მოღალატენი! შევმუსროთ ბაგრატიონთა უღირსი ყლორტი და მისი ბოროტი ვეზირნი, ხოლო ივერთა ტახტზე დავსვათ სხვა უფრო ღირსეული! ხომ გესმის, ჩემო სიძევ! მაშ მომე ხელი და ახლავე შევუდგეთ საქმეს..

ნუგზარის სიტყვებს კვერს უკრავდნენ მისი მამაცი ვაჟნი ზურაბ და დათუნა, ორივენი აქეზებდენ საომრად გიორგი საკაძეს და თხოულობდნენ მუხანათთა სისხლის დაღვრას.

— არა, ჩემო სახელგანთქმულო მამავ და მამაცო ძმებო!—დაიწყო დინჯად მოურავმა. არა, ეგ არ ეგების და არ მოუხდების ჩვენს ივერს... ვერ ჩავიდენ მაგ მძიმე საქმეს... ვერ გადავკიდებ ძმებს ერთიმეორეს, ვერ დავღვრი მოძმეთა სისხლს... ვერ შევღებავ წითლად ქართველების სისხლით ჩემ მიერ გადარჩენილ სამშობლოს... მას ვერ გავუთხ-

რი სამარეს და ვერ გავხდი საფლეთად ყვავყორნებისა. ეგ ძმათა ბრძოლა უზომოდ გაახარებს და ფრთებს შეაცხამს ივერიის მტრებს: ოსმალთ, სპარსებს და ლეკებს, აღძრავს მათ უმაძღარ მადას ჩვენი ერის ჩასანთქავად... მერე ხომ მოისრა ქართლი და კახეთი! მესხეთ-ჯოლხეთი ხომ კარგახანია, რაც ჩაბღუჯული ჰყავს ოსმალეთს. ამრიგად ხომ მოისპო მთელი საქართველო! არა, ჩემო საყვარელო მამავ და ძმებო! ასეთ საქმეს არ ჩავიდენ არასდროს! მოწყალეულ გთხოვთ თქვენცა დაიცხროთ გული... უმჯობეს არს საკაძიანთ გვარი შეეწიროს ტურფა ივერს, ვიდრე ქართლ-კახეთი დაიმხოს გიორგი საკაძის მიზეზით! ეს არის ჩემი ურყევი აზრი.

მოურავის პასუხმა ფრიად ჩააფიქრა მოხუცი ნუგზარ და მისი ვაჟები. სუფრაზე ჩამოვარდა ხანგრძლივი დუმილი, ხოლო ამ დუმილს არღვევდა არაგვის ცელქი ჩქრიალი და ხის ფოთლებში შემალულ სირთა ლაღი ჭიკჭიკი.

— მაშ რა გწადს, შვილო გიორგი? სად გსურს წახვიდე? ვის შეეფარვი? შეეკითხა ნუგზარი ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ.

— სხვა გზაი არ მივის, მამავ, თვინიერ ერანისა. უნდა წავიდე სპარსეთს და შევეფარო შაჰაბაზს, რომელიც მიცნობს ერევნის ომის დროიდან და ახლა კიდევ ამ ორი წლის წინ დიდად მოვიგე მისი გული თათართა ჯარის დამარცხებით ცხირეთსა და ტაშისკართან.

— მაშ, თუ აგრეა, ჩემო შვილო, მეც შენთან ვარ მთელი ოჯახით! ამიერით მეც ვტოვებ ჩემს საყმოს, მამულს, ციხე-დარბაზებს, ამ მშვენიერ მთებს, ჭალებს, მდინარეს და ამ სიბერის დროს მოვდივარ შენთან ერანს შორეულს! ამიერით აღარ მწადს მორჩილად ვიყვე და ქედი მოვუხარო ფიცის გამტეხს, მუხანათ მეფეს და მის ქეშიკებს! ამიერით, დიდო გმირო ივერიისავ, შენთან დარჩება, მკვდარი თუ ცოცხალი, მოხუცი ნუგზარ თავის შვილებით... ვლოცავ, შვილო, შენ მიერ არჩეულ გზასა და შარას... კურთხეულ იყოს შენი განზრახვა, მამულისთვის თავდადებულო!

წარმოთქვა მღელვარედ ეს სიტყვები არაგვის ერისთავმა, გრძნობით ჩაიკრა გულში თავისი საამაყო სიძე და ეამბორა სახეზე თვალცრემლიანი... შემდეგ მოხუცი გადაეხვია თავის ასულს და ბავშვებს, ბოლოს კი თავის ვაჟებს. ასევე მოიქცნენ ზურაბ და დათუნაც. ნუგზარ ერისთავის ასეთმა ქცევამ აუჩუყა გული ყველა იქ დამსწრეს და აღვრევინა ცრემლი.

მზე ჩასვლაზე იყო, ოდეს აიშალნენ სუფრიდან ყველანი, შესხდნენ ცხენებზე და გაუდგნენ გზას ღუშეთისაკენ.

აქ მიეგება მათ დიოფალი გულქან და სიყვარულით ჩაიკრა გულში დიდი ხნის უნახავი ქალი, სიძე და ბადიშები.

ორი დღის შემდეგ მათ შეუერთდნენ სააკაძის დედა, დარბაისელი თამარ, და უფროსი ძმა ბეჟან მთელი სახლობით; ესენი გაუსხლტნენ მტრებს ფელის ციხიდან. ამათ მშვიდობით მოსვლამ დიდი სიხარული გამოიწვია.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. მტრები თანდათან მაგარ სალტეებით კრავდნენ მოურავის გასაქცევ გზებს, ემზადებოდნენ თავზე დასაცემად. მაშ ან უნდა ატეხილიყო სასტიკი ბრძოლა, ძმათა შორის სისხლის ღვრა, ან უნდა გასცლოდნენ დროით. ნუგზარმა მოახდინა განკარგულება საგზაო ნუზლის შესახებ, აგრეთვე ამცნო საქმის ვითარება და მისცა სათანადო დარიგება თავის უფროს ვაჟს გიორგის, რომელიც იმ დროს იყო ანანურს და აპირებდა იქვე დარჩენას. ნუგზარმა მოიწვია თავის საყმოდან თანმხლებად ათასამდე საუკეთესო ვაჟკაცი, კიდევ ორიოდე დღე და აჰა აიყარნენ მთლიანად და გაუდგნენ შორეულ გზას. ისინი თიანეთით უნდა გადასულიყვნენ კახეთში. აქედან კი უნდა გადაეჭრათ ქიზიყ-საინგილო, შემდეგ გადაივლიდენ რანშირვანს და ჯულფის გზით ჩავიდოდენ თეირანში, სადაც იმჟამად იმყოფებოდა შაჰაბაზი.

ასეთი იყო ლტოლვილთა გეზი.

დიღმა მოურავმა არ მოისურვა ენახა და გამომშვიდებოდა თავის მეგობარ მთის არწივთა და კახეთის განთქმულ სარდლებს. გმირის გულის ჭრილობა, უმადურობა — ღალატით გამოწვეული, იყო ფრიად მწვავე, არ სურდა მათი

ნახვით კიდევ უფრო მძაფრად ეგრძნო ეს იარა. ამიტომ ლტოტვილებმა საჩქაროდ გადავლეს მთა და გადასერეს კახეთ-ქიზიყი. მხოლოდ მცირე ხანს შეისვენეს ალავერდის ტაძართან და ბოდბეს მონასტერში, შემდეგ გადაჭრეს საინგილო და მიადგნენ მტკვარს, სადაც თავდებოდა ივერიის საზღვარი და იწყებოდა რანი, ანუ განჯის სახანო. შეჩერდნენ აქ და შეისვენეს მცირე ხნით. ხოლო მტკვარში ფონით გასვლამდე ლტოლვილი ქართველები მობრუნდნენ პირით ივერიისაკენ, დაიჩოქეს და სამჯერ ეამბორნენ სამშობლო მიწას. ნუგზარ ერისთავმა-კი აიღო პეშვით შავი მიწა, ჩაყარა ქისაში და ჩაიდო უბეში ამ სიტყვებით: „მოხუცი ვარ, იქნებ უცხო ქვეყანაში მომეღოს ბოლო, ვეღარ კიხილო ჩემი სამშობლო! დეე, ამ ერთ მუჭა მიწამ, კუბოში ჩაყრილმა, მისალბუნოს მიცვალებულს შორ ქვეყანას!“

ამ სიტყვებთან ერთად ნუგზარს მოადგა თვალზე „ცრემლები. მას მიბაძეს სხვებმა, ჩაიდვეს უბეში ნარმაში გახვეული სამშობლოს მიწა. შემდეგ შესხდნენ ცხენებზე, შეაცურეს წყალში და მშვიდობით გავიდნენ ფართოდ გაშლილ მტკვარზე, ხოლო ბარგი ნავებით გადაიტანეს. ლტოლვილნი დაადგნენ ირანის შარას და გამალებით გაქუსლეს ცხენები.

XI. ირანში

სამშობლოდან გადახვეწილი დიდი მოურავი ოჯახობითა და ნათესავ-მეგობრებით გასცილდა ჯულფას, ისინი შევიდნენ შუაგულ ირანში. გზადაგზა ქართველთა თვალწინ იშლებოდნენ მეტ წილად ტიტველა მთა-გორაკებით მოცული ვრცელი ტაშირნი, სადაც ნაირნაირი მცენარით ირანის ხალივით აფერადებულ სარწყავ ველ-მინდვრებს ცვლიდა ხრიოკ უდაბნოდ ქცეული ურწყავი ალაგები. თვალუწვდენ სივრცეზე მოჩანდა მხოლოდ მზით გადამწვარი ქვიშა და მოყვითანო კლდენი, რომელთა შორის აქა-იქ ზლაზნით მოქანაობდა ზანზალაკების წკარუნ-ჟღარუნით საქონელით დატვირთული აქლემთა გრძელი ქარავანი. შორითვე ჩანდნენ ამ უდაბნოს ცოცხალ ხომალდთა აწვდილი ყელნი და ქიმერის თავები.

ერთი თვის მძიმე მგზავრობის შემდეგ ივერნი მიუახლოვდენ ირანის დედაქალაქ ისპაჰანს, სადაც იმჟამად იმყოფებოდა ჰამადანიდან ახლადდაბრუნებული შაჰაბაზი. მან ადრევე გაიგო თავის ერთგულ აეშაგთა და განჯის ხანის მეშვეობით, რაც მოხდა ქართლში, სცნო ლუარსაბ მეფის მიერ ფიცის გატეხა, უდიდესი გმირის დევნა მოსაკლავად და მისი იძულებითი გადმოხვეწა ირანში. ამ ამბებმა გაახარა ვერაგი შაჰი. მას დიდი ხანია სწადდა როგორმე ჩაეგდო ხელში ეს დიდი სარდალი, რათა მისი მეოხებით ადვილად ვანეხორციელებინა თავისი ფართო ზრახვანი ირანის გან-

დიდების შესახებ. იმ ხანებში შაჰს ჰქონდა კიდეც დიდი ომები აღმოსავლეთით ავღან-ყანდაარსა და ჩრდილო-ინდოეთის მიმართ, ხოლო სამხრეთით ერაყში თურქთა წინააღმდეგ. არც ერთი მხრიდან შაჰაბაზს არ მოსდიოდა სანუგეშო ამბები. მისი ჯარები ვერ უძლებდნენ მტრების გაბედულ იერიშებს და ზედიზედ მარცხდებოდნენ. სულთანი ართმევდა შაჰს ქურთისტანს და მეტადრე ერაყს დიდ სავაჭრო ქალაქ ბაღდადით, ხოლო სინდნი და ავღან-ყანდაარნი უკრავდნენ გზას ინდოეთისკენ, რითაც საგრძნობ ზიანს აყენებდენ ირანის ვაჭრობა-მრეწველობას. ასეთი უამური ამბები საშინლად აბრაზებდა შაჰს და დიდ საგონებელში აგდებდა.

სწორედ ამ დროს შემთხვევამ მიაყენა კარზე ივერთა უძლევი გმირი გიორგი სააკაძე ას ოცამდე მამაცი ქართველით. ადვილი გასაგებია, რარიგ გაახარებდა შაჰაბაზს ეს ამბავი! მაშინვე შეაგება უპირველესი დიდებულნი, უხვი საჩუქრებით და უამრავი სურსათით, ათ ეჯზე მოახლოებულ დიდ მოურავს და იშვიათი პატივით შეიწვია ქალაქში.

ახლადმოსულ ივერთ საუკეთესო სახლები მიუჩინეს ბინებად, ხოლო მსახურად დახელოვნებული ყულნი.

მეორე დღეს-კი ირანის ბატონმა ინება და მიიღო სადარბაზოდ დიდი მოურავი და მისი თანმხლები სარდლები.

შაჰაბაზის ორსართულიანი დიდებული სასახლე ირანული სტილით აგებული. სასახლის წინ ვრცელი ეზო, უკან— დიდი უმშვენიერესი ბაღი. ხეხილ-ყვავილნარით და ანკარა შადრევნებით შემკული. სასახლის ქვედა სართულში უზარმაზარი თეთრი სარკოვანი დარბაზი, მდიდრული ხალებით მოგებული, მეტად ხელოვნური ჩუქურთმებით შემკული და ოქრო-ვერცხლით მოვარაყებული. ხოლო მაღალი ჭერი და კარ-სარკმელთა ჩარჩო-თაღები მოეკირწყლათ პატარა სარკეებით. ისინი უცნაურად ელვარებდნენ სარკმელებში შემოჭრილ მზის შუქზე.

შუა დარბაზში მომაღლო ამბიონზე დაედგათ ოქროს სამეფო ტახტი, ძვირფასი ქვებით მოოქვილი. მის ირგვლივ რამდენიმე წყებად იდგა მდიდრული სავარძლები და მომც-

რო ტახტები პატარა მაგიდებით. დარბაზის კედლებს ამკობდა ფერადი სურათები, საუკეთესო მხატვართა მიერ შესრულებული, ირანის ზღაპრულ გმირთა ბრძოლა-ნადირობის შესახებ, ძველი დროის დიდი მგოსნის ფირდოუსის „შაჰნამედან“. აგრეთვე აქა-იქ იყო ჩართული ირანის სამეფო დინასტიის შაჰინ-შაჰების დიდი ფრესკები და მინანქრები, იშვიათი ხელოვნებით შესრულებული. დარბაზის კუთხეებში კი მარმარის ჩუქურთმიან სვეტებზე იდგა ჩინეთ-ირანის ფაიფურის ძვირფასი ვაზები, სავსე ვარდ-ყვავილთა თაიგულებით, მათი საამო სურნელი ათრობდა დარბაზს.

ამ დიდებულ დარბაზს აერთებდა ეზოსა და სასახლის სხვა ოთახებთან დიდი კარი, რომელსაც ეფარა ოქსინოს ფარდა კრეტსაბმელით; ხოლო მეორე კარი იყო წინა ეზოდან შემოსასვლელი ვრცელი ელამონით, სადაც გუშაგობდნენ ეჯიბ-ამირი და ყულაღასარი შეიარაღებული რაზმებით. მესამე კარი კი იყო თვით შაჰის ოთახებსა და ბარლებში გასავალი. მას გუშაგობდნენ თვით ირანის დიდებულნი და შაჰსევანები, საუკეთესო იარაღით ჭურვილნი.

ამ დიდი დარბაზის ერთ კუთხეში პატარა ტახტზე იჯდა ფეხმოკეცით ირანის ორი დიდებული: ფეიქარ-ხანი და ამირგურ-ხანი, ათამაშებდნენ ქარვის აცმას და მასლაათობდნენ დაბალი ხმით ახლადჩამოსულ ქართველებზე. ორთავე მოსაუბრე ხანდაზმით ჩამოისვამდა მარჯვენა ხელს ინით შეღებილ გრძელ წვერზე, ჩაფიქრდებოდნენ ოდნავ და ისევ განაგრძობდნენ მუსაიფს. არ ახარებდა მათ „დიდი გურჯის“ შემოხიზვნა მამაცი ქართველებით. ისინი თითქო წინასწარ გრძნობდნენ რაღაც ხიფათსა და დამცირებას. დიდი მოურავის საგმირო საქმენი და სამხედრო გენიოსობა შიშსა გვრიდა ორთავ წარჩინებულ სარდალს, როგორც ესენი, ისე ირანის სარდლობის მეტი ნაწილი დიდ საგონებელში ჩაეგდო ამ ამბავს, მეტადრე შაჰაბაზის მიერ სააკაძის ასე დიდებით მიღებას, ხოლო თვით ირანის შაჰი არ იზიარებდა ამათ ფარულ ზრახვებს.

სწორედ ამ დროს მისცეს ნიშანი. ფართოდ გაიღო შიგა კარები და საზეიმოდ მორთული მრავალრიცხოვან ამალით

გარემოცული შემოვიდა ამაყი სახით და დინჯი ნაბიჯით ახოვანი შაჰაბაზი. იგი მოწიწებით დააბრძანეს სამეფო ტახტზე. ირგვლივ დასხდნენ დიდებულნი ხარისხის მიხედვით.

შაჰაბაზს ფართო შუბლი ჰქონდა, ოდნავ თეთრად სირმული შავი წვერი და დიდრონი ულვაშები. სიღრმიდან მჭვრეტი შავი თვალები თითქო ძვრებოდნენ ადამიანის სულში და იპარავდნენ მის ფარულ ზრახვებს. მზაკვრული გამოხედვა ჰქონდა შაჰაბაზს, ამ სისხლისმსმელ ტირანს. ამჟამად კი შაჰის სახე კმაყოფილებით აღსავსე იყო. მას თავს ეხურა ძვირფას თვლებით შემკული ოქროს თაჯი, რომლის წინა მხრივ შუა ალაგს ენთო დიდი ბრილიანტი. მისი კაშკაშა მოლურჯო სხივები ათას ფერებად ციალებდა მზის შუქზე; შაჰაბაზს ხელთ ეპყრა მსხვილი ფირუზ-მარგალიტებით მოოქვილი ოქროს სფერო და ფაენი. წელზე ერტყა იშვიათი თვლებით შემკული ოქროს ხმალი, ტანს ემოსა ბისონი. ზემოდან-კი ჰქონდა მოსხმული საფირონითა და ბივრილიონით შემკული სიასამურის სამეფო გრძელი აბა.

მყის შეწყდა ხმაური. ჩამოვარდა სამარის სიჩუმე. ყველანი განერთხნენ შაჰის წინაშე თაყვანის საცემად, შემდეგ წამოდგნენ და მოწიწებით შესცქეროდნენ ირანის ბატონის სახეს, ელოდნენ მის ბრძანებას. შაჰმა მოავლო დარბაზს თავისი მახვილი მზერა და უხმოდ მისცა ნიშანი ეჯიბ-ამირს.

ანაზდად გაიღო ეზოდან შემოსასვლელი კარები და დარბაზში შემოვიდა მწყობრად, მოხდენით, ფოლადის ჯუბა-ჯავშან-მუზარადში ჩამსხდარი და იარაღასხმული ორმოცამდე მხედარი, რომელთა მამაცი სახე, არწივის თვალები და ვოლიათის აღნაგობა შიშის ზარს დასცემდა მტრის რაზმებს. ამას წინ მოუძღოდა ყველაზე უფრო მამაცი და ბუმბერაზის აგებულების 29 წლის ვაჟკაცი. ეს იყო თვით დიდი მოურავი, ხოლო დანარჩენნი — მასთან გადმოხვეწილი რჩეული ივერნი. გმირს მარჯვნით მხარს უმშვენებდა ახოვანი მოხუცი. მის სუფთად მოპარსულ ღაჟღაჟა დარბაისელ სახეს ამკობდა თეთრი დიდრონი ულვაშები, ხოლო მარცხნით

მოჰყვებოდა ზორბა ტანისა და იშვიათი მოყვანილობის 27 წლის მამაცი ჰაბუკი, შევარდნის ელვარე თვალებით. ესენი იყვნენ არაგვის ერისთავი და მისი ვაჟი ზურაბ.

ქართველთა შემოსვლაზე ერთბაშად წამოდგნენ ფეხზე დაბრაზში მსხდომი ირანის დიდებულნი. დიდ მოურავსა და ივერიის განთქმულ სარდლებს ფეხზე ადგომით პატივი სცა თვით ირანის შაჰმა. ამ იშვიათმა სანახაობამ მიიპყრო ყველას მზერა. ისინი დიდად გააოცა ივერთა გოლიათურშა ტანადობამ, მამაცმა სახემ, ამაყმა მზერა-მიმოხვრამ და სამხედრო ჩაცმულობამ. ყველამ უნებლიედ იგრძნო მათდამი კრძალვა და პატივისცემა. განსაკუთრებით ვერ აშორებდნენ თვალს ქართლის ეროვნულ გმირს და მის სიმამრ-ცოლისძმას. ამავე დროს ოქსინოს სალაფარდებით ფარულ დარბაზის ზემო ქორედთაგან ნაზი წკრიალით გაისმა გაოცების და აღტაცების ხმები: ესენი იყვნენ შაჰის უტურფესი არიფნი, მათ ჰქონდათ უფლება ენახათ საზეიმო დარბაზობა და ქორედებში ჩამსხდართ ეცქირათ სალაფარდის მიჯვრიტებიდან. აი ეს ჰარემის კეკლუცნი უზომოდ მოხიბლა, გააოცა და საამოდ ააღელვა ივერიის მშვენიერ ვაჟკაცთა ხილვამ. ქართველები დინჯად მიუახლოვდნენ სპარსეთის ყეინს და ჰკადრეს მდაბალი სალამი. დიდმა მოურავმა მიაპყრო თვალნი შაჰაბაზს და მიმართა შემდეგი სიტყვებით: „თქვენ გეახელით ივერიიდან ლტოლვილი ქართველნი. თქვენს წინაშე შორი გზით მოვსულვართ მუხანათობითა და ბოროტებით სამშობლოდან დევნილნი და გენუკვით, სპარსეთის ბრძანებელო, თქვენს ჭერქვეშ შეფარებას, ხოლო ამის მუქაფად იძღვენით ჩვენი მარჯვენა და ბასრი მახვილი თქვენი მტრების შესამუსრავად!“

ამ სიტყვებით აღტაცებულმა შაჰაბაზმა მოხვია ხელი დიდ მოურავს, უბრძანა მადლობა და დასვა იქვე ტახტზე თავის სიახლოვეს. ასევე პატივით მოეპყრა ნუგზარს, ზურაბს და სხვა სახელოვან ქართველთ, მიუძღვნა ყველას ძვირფასი

ხალათები და მრავალი საუნჯე, აღუთქვა მათ თავის წყალობა და მფარველობა.

შაჰის ბრძანებით მოართვეს სტუმრებს და დამხვდურთ ოქროს სურებით ცივი შერბეთი და ოქროს სინებით სხვადასხვა ტკბილეული მომცრო მაგიდებზე, რომლებიც იდგა ტახტ-სავარძელთა წინ.

გაიმართა ტკბილი მუსაიფი ირანულ-ქართულად, რადგან შაჰაბაზმა, როგორც ქართველი დედის შვილმა, კარგად იცოდა ქართული ენა. შაჰი უმთავრესად დიდ მოურავს ესაუბრებოდა, ჰკითხავდა ივერიის ვითარებას და ცხირეთ-ტაშისკარის ბრძოლის ამბებს, სადაც საკაძემ გაუელიტა სულთანს 30 ათას მეომართაგან შემდგარი ლაშქარი. ეს გარემოება დიდად ახარებდა ირანის ბატონს, რის გამო ახლაც კიდევ განუცხადა პირადად თავისი გაოცება ასეთი საარაკო გმირობისათვის, მიუძღვნა მადლობა და დაჰპირდა დიდ წყალობას; შემდეგ შაჰი მიუბრუნდა ნუგზარს, ზურაბს და სხვა ქართველებს, ყველას მადლობა გადაუხადა აღნიშნულ ომებში მამაცად ბრძოლისათვის და აღუთქვა დიდი საგანძური.

დამთავრდა საზეიმო დარბაზობა, ქართველნი დიდი მადლობით გამოეთხოვნენ ირანის ბატონს. შაჰაბაზი წამოდგა ფეხზე, გადადგა წინ რამდენიმე ბიჯი და ამ სახით პატივი სცა იშვიათ სტუმრებს. ამავე დროს მან მიიწვია ყველა ქართველნი მათთვის საგანგებოდ გამართულ დიდებულ ნადიმზე სასახლის დიდ წალკოტში და უხვი მასპინძლობა გაუმართა.

იმავ საღამოს მთელი ქალაქი განათებული იყო ჩირაღდნებით. ქუჩებში გაისმოდა მოქეიფეთა ხმები, ხოლო მოედნებზე გაემართათ შუშხუნების სროლა და სმენას ატკბობდა ტკბილი საზანდარი, აშუღთა მიერ შიქასტა-ბაიათით შეზავებული.

გახარებულმა შაჰმა დიდი საბოძვარი გასცა გლახაკთა და ქვრივ-ობოლთათვის დასარიგებლად.

გავიდა ათიოდ დღე ლხინსა და ქეიფში. შაჰი არ ზოგავდა უხვ წყალობას გადმოხვეწილ ქართველთა მიმართ; განსაკუთ-

რებით უხვად აჯილდოებდა ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით დიდ მოურავს, რომლისგანაც მოელოდა შესაფერ გარჯასა და სამსახურს.

შაჰ-აბაზმა დაუთმო ქართველთ კეთილჰაეროვანი გრილი და ფრიად ლამაზი აგარაკი, დედაქალაქიდან სამიოდ ეჯის მანძილზე მდებარე. ეს აგარაკი თავისი ამწვანებული ველ-მინდვრით, ცქრიალა მდინარით, ანკარა წყაროებითა ღ> ტყით დაბურული მთა-გორაკებით მეტად წააგავდა ქართ-ლის ბუნებას, ხოლო კირით თეთრად შელესილ ერთ-ორ სართულიანი აგურის სახლები ფართო ბანებით, წინგარდე-ებითა და პაწია ბაღ-ყვავილნარით გარემოცულნი გაგონებ-დათ ირანს. აი ამ ჯანსაღ და მშვენიერ კუთხეში შაჰის ბრძა-ნებით დააბინავეს ოჯახობით დიდი მოურავი დ მისი ქართ-ველნი. შაჰმა მიუჩინა მათ უხვი ულუფა და უზრუნველჰყო ტან-ფეხით, სურსათ-სანოვაგით, ოთხფეხი საქონლით, აგ-რეთვე ყულებით, ე. ი. მხევალ-ფარეშებით. ქართველებმა მალე გააბეს ნაცნობ-მეგობრობა ირანის დიდებულთა შო-რის და ზოგიც დაემოყვრა კიდეც მათ, ე. ი. შეირთეს ცო-ლად მათი ქალები, რადგან მოურავის ამალაში ერივნენ უცოლონი. ქართველთა დაბინავების ათი დღის შემდეგ შაჰ-ბაზმა მოიწვია სასახლეში დიდი მოურავი, შეიხმო თავისი სასახლის მომცრო დარბაზში, ჩაკეტა კარები, მოისვა გვერ-დით ტახტზე, დაუყვავა ვერაგმა თავისი მოთაფლული ენით. ამცნო ფრთხილად ირანის ჯარების მძიმე მდგომარეობა ალმო-სავლეთით და სამხრეთით, გაახსენა დაპირება დახმარების შესახებ და უთხრა:

— ივერიის ქებულო გმირო! სწორედ ახლა მჭირდება შე-ნი და შენი მამაცი ქართველების ხმალი და ვაჟკაცობა. აბა თქვენ იცით, როგორ გაამართლებთ დაპირებას!

სააკაძეს აღრევე შეეტყო ირანთა ჯარების მრავალჯერ დამარცხება ავღან-ყანდაარსა და ერაყ-ქურთისტანში, ამი-ტომ დღითიდღე ელოდა შაჰისგან ასეთ საუბარს. ყეინის სიტყვების შემდეგ მოურავი წამოდგა, დაიდო ხმალზე მარ-ჯვენა ხელი და მოახსენა:

— ერანის მბრძანებელო! ჩვენ, აქ გადმოხვეწილი ქართვე-

ლები მზადა ვართ ვიბრძოლოთ თქვენს ჯარებში, შევასრულებთ, რასაც დაგვავალებ.

სააკაძის პასუხმა გაახარა შაჰი. ის მოეხვია მოურავს, ჩაიკრა გულში, აკოცა და შესძახა აღტაცებით: „იცოცხლე, დიდებულო გურჯო! შაბაშ მაგ შენ სიტყვას! იგი სალბუნად დაედო ამ გულის მძიმე წყლულსა და შთაანთო შიგ იმედის შუქი! აჰა, ალმართე, დიდებულო გურჯო, ეგ უძლევი ხმალი ერანის მტერთა მიმართ! დამიმარცხე ურჩნი და მბრძოლნი: ალმოსავლეთით ძლიერი სინდეთი და ავღანყანდაარი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით სპარსეთის ძველი მტერი და რისხვა ოსმალეთი! იძიე შური მათზე! დამიბრუნე წართმეული ქვეყნები: ერაყი და ქურთისტანი, გაანადგურე თავხედნი! აღადგინე გზა შუაგულ ინდოეთისაკენ, რათა მოითქვას სული სპარსეთის ხალხმა და ამრიგად, გმირო, ასახელე მთელ დუნიაზე ერანის დროშა! ამის მუქაფად კი, გურჯო ზღაპრულო, შენ გახდები ჩემს შემდეგ ერანში პირველი კაცი, ვეზირთბატონი, სპარსთა ჯარების დიდი სპასპეტი, შირაზ-ერაყის ძლიერი ხანი და თუ-კი გწადს, გახდი კიდეც მთელი ივერიის მეფედ, მბრძანებლად... ოღონდ განკურნე ამ გულის წყლული და აღადგინე შაჰაბაზის ძველი სახელი!“.

თქვა ეს სიტყვები ცბიერმა შაჰმა.

— ვფიცავ შენს მზეს, ირანის მეუფევ, რომ ამიერით თავს დავსდებ შენთვის! მოვიკრებ ძალას, რომ გასახელო, დავორგუნო შენი მოსისხლე მტრები და განვადიდო სპარსეთის დროშა! ვფიცავ ცოლ-შვილს, ვფიცავ საყვარელ ჩემსა სამშობლოს, ჩემს ივერიას, რომ შევებმი შენს ჭტრებს და დაგიმარცხებ! მთელ დუნიაზე ვასახელებ ერანის დროშას და განვადიდებ შაჰაბაზის სახელს ბრწყინვალეს! ყოველივე ამის მუქაფად არ მწადს დიდება, ვეზირთთავობა და სპასპეტობა სპარსთა ჯარების, არცა შირაზის და ერაყის დიდი ხანობა, არც ჩემი ქვეყნის მეფედ გახდომა, რაც არ შემფერის მცირე გვარის შვილს და რაიც დაბადებს ათეულ წლობით შუღლსა და მტრობას, ხალხთა სისხლის ღვრას, რაც დაასუსტებს ჩემსა სამშობლოს და აამხედრებს საწიწკნად მის მტრებს. არა, არ მწადის, შაჰო, მე ეს დიდება! მხო-

ლოდ გენუკვი: გებრალებოდეს ჩვენი ივერი, ერთ დროს ქე-ბული, მტერთა ზარმცემი... დღეს-კი უნიჭო მეფეთა ხელში ფეხქვეშ სათელი, დაკნინებული, დამცირებული!

ამცნო შაჰაბაზს ეს სიტყვები მხურვალე გრძნობით და ვმირის თვალებს დაეკიდა მწველავე ცრემლები.

— ვფიცავ ალაჰს, ქვეყნის გამჩენელს და მის ფეჰამბარს, დიდებულ მაჰმადს, რომ დავეხმარები ივერიას, შევებრძოლები მის მტერს და დუშმანს, გავუფართოებ საზღვრების ფარგლებს, თანაც აღვუდგენ წინანდელ სახელს, ძველს დიდებას! ავლაგმავ შიგნით ურჩსა თავადებს. გავცემ ბრძანებას, არ ახლონ ხელი იქ ქრისტეს სჯულსა, ტაძრებს, მონასტრებს: მოეპყრან ფრთხილად ხალხის ზნე-ადათს, ძალდატანებით არ ავრცელონ მუსულმანობა, აღარ ააგონ ჯამეები და მეჩეთები, მისცენ ქართველ ხალხს ყოველგვარი შეღავათები, სრულად მოუსპონ ჩემთვის ხარკი, გადასახადი: ფულად, საქონლად და ქალ-ვაჟებით... კვალად ვფიცავ დიდებულ ალაჰს და მის ფეჰამბარს, რომ ამ ჩემს სიტყვებს, ამ დაპირებას მე შევასრულებ. — წამოიძახა ვერაგმა შაჰმა, თუმცა მას გულში სულ სხვა ზრახვა ედო საქართველოს მიმართ, მაგრამ ახლა საკაძის გულის მოგება უნდოდა.

— გმადლობთ, ერანის მეფევ! გმადლობთ!

— დამაცა, შვილო! ხოლო ივერი კვლავ დარჩება ჩემ საფარველში, რადგან მეშინის თურქებმა არ გადასანსლოს ხელში ჩაგდებით და ამავე დროს არ გაიკაფონ გზა ერანისაკენ ჩემი ხალხისა საბედისწეროდ! არ შევეხები ივერთ სამეფოს შინაურ მართვას და გამგეობას, არც სჯულს, სამართალს და ქართულ ენას! ხოლო შევზღუდავ ქართლსა და კახეთს, რომ არა ჰქონდეთ იმათ უფლება ომის ატეხის, ან დაზავების სხვა ხელმწიფესთან ჩემ უკითხავად, ჩემ უნებურად! არცა დავუშვებ, ვინმე მძლავრი, მეგობრის სახით რომ მოიწვიონ.

ამით დამთავრდა ეს საიდუმლო ბაასი.

მცირე ხნის შემდეგ შაჰმა მოიწვია საკმაოდ დიდი ჯარი, ჩააბარა მოურავს და გაგზავნა ავღან-ყანდაარისა და სინდეთის წინააღმდეგ. სააკაძე სასწრაფოდ გაუდგა გზას, თან გაიყოლა თავისი მამაცი ქართველნი, ხოლო აგარაკში ცოლ-შვილის მზრუნველად დატოვა ხანში შესული თანმხლებნი.

სააკაძის საომრად გამგზავრებამდე თეირანში მოხდა ერთი საგულისხმო ამბავი.

ერთ საღამოს შაჰის დიდ წალკოტში ქაშანის აბრეშუმის ნოხ-მუთაქებზე ფეხმოკეცით ისხდნენ თვით შაჰაბაზი, დიდი მოურავი და ირანის რამდენიმე მთავარსარდალი, მიირთევდნენ ცივ შერბეთს, ხილსა და ტკბილეულს, თანაც შეექცეოდნენ „შირიმ მასლაათით“ (ე. ი. ტკბილი მუსაიფით), იგონებდნენ ომების ამბებს, აქებდნენ ამა თუ იმ პირის გულოვნობა-სიმამაცეს. ამ საუბრის დროს, შაჰი შეეკითხა სააკაძეს:

— გიორგი ხან! მოულოდნელი ხიფათის ჟამსა თავდასაცავად რა იარაღი სჯობია?

— ის, რაც იმ წუთას ხელში მოგხვდება, მეუფე! — იყო სააკაძის პასუხი.

ამ პასუხმა აღძრა შაჰის ცნობისმოყვარეობა: მან გადაწყვიტა დიდი მოურავის გამოცდა გულოვნობა-სიმამაცეში. ერთი კვირის შემდეგ ივერიის გმირი მარტოდ სეირობდა შაჰის დიდ მაღნარში; წელზე ეკიდა მხოლოდ მომცრო ხანჯალი. უცებ ხეივნის ორივე მხრიდან გამოვარდა ორი პირდაღრენილი ლომი და მივარდნენ გმირს შესაჭმელად. დიდი მოურავი არ დაიბნა ამ უეცარი საფრთხით, მან ელვის სისწრაფით ჩაჩარა პირში ერთ ლომს თავისი ქუდი, ხოლო მეორე ხელით ამოწვდილი ხანჯლით მყისვე გაუპო თავი მეორე ლომს. შემდეგ მოკლა იმავე ხანჯლით პირველი ლომიც. ეს მოხდა თვალის დახამხამებაში. გმირმა გაწმინდა ბალახზე სისხლიანი ხანჯალი, ჩააგო ქარქაშში და არხეინად განაგრძო სეირნობა.

ამ სურათს უმზერდა მაღალი კოშკიდან თვით შაჰაბაზი იმავე სარდლობის თანდასწრებით და მათ გაოცებას არ ჰქონდა საზღვარი.

ეს ხალხში დარჩენილი ლეგენდა მოწმობს დიდი მოურავის საარაკო ძალღონეს, სისწრაფესა და გულადობას.

ამის შემდეგ დიდი სარდალი საკმაო ჯარით გაუდგა გზას ავღანთა ქვეყნისაკენ.

ჩასვლისთანავე მოურავმა ზედიზედ დაამარცხა ხუთჯერ მეტი ავღან-ყანდაარის ჯარები, აიღო იერიშით მათი ციხე-ქალაქნი და სამ-ოთხ თვეში დაიპყრო ორთავე ქვეყანა, აიღო მათგან დიდი ალაფი და დაადო საგრძნობი ხარკი ირანის შაჰის სასარგებლოდ.

გამარჯვებული სააკაძე აქედან გადავიდა ინდოეთში, შეებრძოლა საზღვარზე სინდეთის დიდ ლაშქარს, სასტიკად დაამარცხა რამდენიმე ალაგს და შეიჭრა შუაგულ სინდეთში.

მოხდა დიდი ბრძოლანი, რამაც გასტანა რამდენიმე თვეს და დამთავრდა მტრის ჯარების დამარცხებით. ამრიგად, სინდეთის მმართველმა რაჯამ ქედი მოიხარა ირანის დროშის წინაშე, გადიხადა შაჰის სასარგებლოდ უამრავი ხარკი და გაუხსნა სავაჭრო გზები შუაგულ ინდოეთისკენ.

ენით აუწერელი სიმამაცე გამოიჩინეს ამ ომებში გადახვეწილმა ქართველებმა. დიდი მოურავის გმირობამ და სამხედრო გენიოსობამ ხომ გადააჭარბა ყველაფერს! იგი თავისი რაზმებით ელვასავით ჩნდებოდა ხან აქ, ხან იქ, ამარცხებდა ათჯერ მეტ მტრის ძალებს და იღებდა ციხე-ქალაქებს.

შვიდ თვეში ივერიის გმირმა ბრწყინვალედ დაამთავრა ეს დიდი საქმენი, უამრავი განძით, ალაფითა და სამხედრო ტყვეებით დაბრუნდა ერანში. შაჰაბაზის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ის უზომოდ გაოცებული იყო სააკაძის ასეთი უმაგალითო გმირობითა და სამხედრო ნიჭით; შაჰი მიხვდა, რომ სააკაძის სახით მან ძლიერი ძალა მიიმხრო. უხვად დააჯილდოვა მამაცი ქართველნი და უფრო-კი მათი მოთავე გიორგი სააკაძე.

დიდი მოურავის სახელი მოედო მთელ ირანს, მთელ აზიას. იგი შეიქნა მათ თვალში რაღაც უძლეველი ბუმბერაზი. ზღაპრული გმირი. მის ქება-დიდებას დამღეროდნენ აშუღნი და მგოსნები.

სააკაძის დაუჯერებელი ამბები ვრცელდებოდა საოცარი სისწრაფით და იპყრობდა ქვეყნის სმენას.

ახლა შაჰაბაზმა იწყო მზადება თურქთა წინააღმდეგ, ერაყისა და ქურთისტანის დასაბრუნებლად.

მან მალე გაგზავნა ჯარი გიორგი სააკაძის სარდლობით. შეიქნა სისხლისმღვრელი ბრძოლა ირან-თურქეთს შორის. აქაც დიდი მოურავის სიმარჯვემ სძლია ყველაფერს. მან ჩაიდინა ნამდვილი სასწაულები, თურქნი უკვე იცნობდნენ მას ცხირეთ-ტაშისკარის ბრძოლებიდან, ამიტომ საშინელი შიშის ზარი ეცემოდათ მის ყოველ დანახვასა და ხმის გაგონებაზე.

რვა თვის შემდეგ აქაც დამთავრდა ბრძოლა „დიდი გურჯის“ ბრწყინვალე გამარჯვებით, რომლის სამხედრო ოსტატობა ფართოდ გაიშალა აქ, შორეული აზიის დიდ საბრძოლო ასპარეზზე.

სააკაძემ აქაც შეასრულა თავისი დაპირება და მოდრიკა შაჰის წინაშე ამაყი სულთანი, თურქებმა გადიხადეს შაჰაბაზის სასარგებლოდ დიდი სამხედრო ხარკი, დაუთმეს მთელი ერაყი ქ. ბაღდადით და ქურთისტანი.

ამ საარაკო გამარჯვებით დიდი მოურავის სახელი კიდევ უფრო გაიზარდა და მთელ ქვეყანას მოეფინა. ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ აზიას არ ენახა ასეთი დიადი გმირი. არასდროს ირანი არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც იმ ჟამად. მის წინაშე თრთოდნენ თურქეთი და ინდოეთი, ავღანი და ყანდაარი.

XII. შაჰის ჰარემში

მთელ ირანს მოედო ხმები დიდი მოურავის საარაკო გამარჯვებათა შესახებ პირველ ხანებში ავღან-ყანდაარსა და ჩრდილო ინდოეთში, ხოლო შემდეგ თურქეთისაკენ. სულთანის ჯარების სასტიკმა დამარცხებამ, დიდ ქალაქ ბაღდადისა და მდ. ტიგრ-ეფრატის ვრცელი აუზის, ანუ ერაყის, დაპყრობამ ხომ უზომო აღფრთოვანება გამოიწვია ირანის ყველა კუთხეში. ირანის დედაქალაქ თეირანში -ამ ამბების გამო იმართებოდა საზეიმო დღეობანი ჩირაღდნებითა და შუშხუნებით.

მგოსან-აშუღნი თხზავდნენ ლექსებს და დამღეროდნენ თარზე დიდი მოურავის ზღაპრულ გმირობას. ეს სიმღერები შეიჭრა შაჰის ჰარემში და აღაფრთოვანა ირანის ბატონის ტურფა ცოლები, რომელთა შორის მრავლად იყვნენ ივერთ ასულნი. ამ საგმირო ჰანგებმა ყველაზე მეტად შეიპყრო შაჰბაზის უსაყვარლესი არიფი, ჩერქეზთ ბატონის ასული, 17 წლის მშვენიერი ლეილა, ორი წლის წინ მან თვალი მოჰკრა ივერიიდან ახლადმოსულ გიორგი სააკაძეს შაჰის დარბაზში ქორედის სალაფარდიდან, ამ ერთი დანახვით გმირის დიდმა სახიერებამ დაატყვევა ქალის გული. ახლა-კი ლეილას ესმის მგოსან-აშუღთა შიქასტა-ბაიათები დიდი მოურავის ზღაპრულ გამარჯვებებზე.

ამ ჰანგებმა დაანთო ქალის გულში სიყვარულის მწვავე ცეცხლი. მისი არსება მძაფრად შეიპყრო დიადმა ვნებამ. სიზმრად თუ ფხიზლად ლეილას ფიქრ-ოცნებანი გარს ეხვე-

ოდნენ „დიდებულ გურჯს“, როგორც ეძახდა იგი საკაძეს. ხშირად განმარტოებით დაძრწოდა ქალი შეღამების ჟამს ჰარემის დიდ წალკოტში და ვარდ-ყვავილების ბუჩქებში შეფარებული ბადრი მთვარის სხივებზე თეთრი მარმარის აუზის პირას მწარედ ოხრავდა.

გავიდა დრო. ბაღდადის მხრიდან მოქრის შიკრიკი, იგი ახარებს შაჰს გამარჯვებული ლაშქრის დაბრუნებას. ჯარს მოუძღვის მთავარსარდალი დიდი მოურავი. უზომოდ გახარებული შაჰბაზი ასაჩუქრებს შიკრიკს ოქროებით სავსე ქისით, ემზადება სწრაფად და მიდის შესაგებებლად მთელი ამალით, თან მიჰყავს ნაზი ლეილაც.

კუნაპეტი ღამე. გამარჯვებული ლაშქარი მოახლოვებია დედაქალაქს ათი ეჯის მანძილზე და დამდგარა ბანაკად. შორი მგზავრობით დაქანცული მხედრები ადრე მისცემიან ტკბილ მოსვენებას. დუმს მიდამო. მხოლოდ ხანდაზმით ისმის გუშაგთ ყივილი. ბანაკის შუა ალაგას კი დგას მოურავის ფარჩის დიდი კარავი.

ამ უზარმაზარი ბანაკიდან სამი ეჯის დაშორებით ჩირაღებით გაშუქებულ შესაგებებლად გამოსული შაჰის მდიდრული კარვები.

სძინავს ყველას საკაძის ვრცელ ბანაკში, არ სძინავს მხოლოდ მარად ფხიზელ დიდ მოურავს. მან ჩვეულებრივ დაიარა ბანაკი და დაზვერა გუშაგნი გელას თანხლებით; ახლა კი დაბრუნდა კარავში. გმირმა მოიხსნა ჯუბა-ჯავშანი და დააპირა ძილი. კარავში ბჟუტავდა პაწია ჩირაღი და მისი მცირე სინათლე ვერ სწვდებოდა კარვის კუთხეებს, სადაც ისე ბნელოდა, როგორც გარეთ. ამ დროს შავად მოსილი ორი არსება ფრთხილად შეიპარა მოურავის კარავში და შეეფარნენ ბნელ კუთხეს. ერთი მათგანი ფეხაკრეფით მიუახლოვდა საკაძეს და უცებ მოიხსნა შავი აჯილა. ჩირაღის შუქზე გმირის უზომოდ გაოცებულ თვალებს დაესახა დიაცის საოცნებო მშვენიერება.

— ვინა ხარ, ტურფავ! საიდან გაჩნდი ასე იჩქითად?! რამ მოგიყვანა ამ ბნელ ღამეში?!—შესძახა გაოცებით დიდმა მოურავმა.

— ვარ შაჰაბაზის სატრფო არიფი; ჩერქეზთ ბატონის ასული ვარ, მქვია ლეილა. ვარ შენზე მწვავედ შეყვარებული, გმირო ზღაპრულო! ჟამსა მარადის შენი მგონე, შენზე მლოცველი. ორი წელია, რაც მოიპოვე ამ ჩემსა გულში ტრფობის სავანე... არა, არ ძალმიძს ამ ქვეყნად ყოფნა უშენოდ! აქ მომაფრინა ფაქიზი ფრთებით შენდამი ტრფობამ.

შესძახა ქალმა მღელვარე ხმითა და დაიჩოქა გმირის წინაშე ცრემლთა დინებით.

ეს ნაზი ხმები, მწვავე გრძნობით ალად ნთებული, გულის სიღრმეში ჩასწვდა ვაჟკაცს და ნდომის ცეცხლით ის ააფეთქა.

— აღზდეგ, მშვენებავ! ზეცის მნათობო, ბადრულო მთვარევ! შენი სიტურფე, ჰაეროვნება თვით ანგელოზთაც კი შეშურდება. დამშვიდდი, ნაზო! შეიშვრე ცრემლი! არ ფერობს ასულს ჩერქეზთ ბატონის ეს დამცირება, თავდავიწყება. კარგად გაზომე და შეადარე შენ ვინ ბრძანდები, მე-კი ვინა ვარ! შენ მეუღლე ხარ შაჰის უპირველესი, უუნაზესი სატრფო-არიფი, დიდი რაინდის ჩერქეზთ ბატონის და იალბუზის ტურფა ასული, მე-კი... ოჰ, მე-კი ვიღაც ეული. საქართველოდან გადმოხვეწილი წვრილი ცოლშვილით, დღეს უბინადრო, ერანის ჰერქვეშ შეფარებული. შაჰის სიუხვით, დიდსულოვნებით მე შეტკბობილი, შეწყნარებული... გონს მოდი, ტურფავ! დაიცხრე გული...

და ამ სიტყვებით დიდმა მოურავმა ხელი მოხვია ნარნარ ლეილას, დასვა ტახტზე, თან მიაწოდა დასამშვიდებლად თასით შერბეთი.

— მხოლოდ ისურვე, ქვეყნის დიდებავ, და ხვალ დილითვე მეფე იქნები მთელი ერანის! მთელი სპარსეთი ფერხთ დაგეგება შენი გმირობით აღფრთოვნებული! მხოლოდ ისურვე, და ამ ღამითვე ჩემი მარჯვენა გულსა გაუპობს შაჰაბაზს! უსულო გვამად მას გადავაქცევ ბასრი მახვილის ერთი მოქნევით... ოღონდ ისურვე, ჩემო კერპო, ჩემო სიცოცხლევ! ოღონდ გიყვარდე მე უბედური, სამარადისოდ შენი მხევალი, შენი ლეილა!

თქვა ეს სიტყვები მწვავედ, მღელვარედ... ელვის სისწრაფით ის წამოიჭრა, ჩაეკრა გულში და გაშმაგებით დაუწყო კოცნა.

ატოკდა უცებ ვაჟკაცის გული, ესოდენ ხანი ომებში ნამყოფი, იფეთქა ვნებამ. დიაცის კოცნას მწვავეს, მხურვალეს, მის ვარდის ბაგეს მწვავე კოცნითვე მან უპასუხა... მაგრამ ეს იყო მხოლოდ წამი თავდავიწყების. მყის გონს მოეგო, მოიხსნა ქალი გულში ჩაკრული და მიაწვინა ტახტზე სათუთად. თვითონ განშორდა, დაიცხრო გული და საყვედურით მიმართა მაცდურს:

— გრცხვენოდეს, ტურფავ, ჩერქეზთ ასულო! თავაშვებულმა შენმა მოქცევამ მყის აშიშალა ჭაბუკის სისხლი; ლამის გამხადა მე მოღალატე; ფიცის გამტეხი ცოლის წინაშე... ვერა, ლეილავ, ვერ ვუღალატებ ნუგზარის ასულს, თამარს მშვენიერს, ჩემსა მეუღლეს, უზენაესი სიყვარულით შეკავშირებულს, ვერ ვუღალატებ ჭირსა და ლხინში ჩემსა მეგობარს, ჩემი შვილების დედას მოყვარულს, ოჯახის ფუძეს! ვერ ვუღალატებ, თუნდ მოვკვდე აქვე ბასრი მახვილით!..

— მაშ, თუ აგრეა, მოკვდი, წყეულო! ჩემო მტანჯველო! ჩემო ჯალათო! მოკვდი!

და ამ სიტყვებთან ლეილას ხელში იელვა რკინამ, უცებ უბიდან ამოღებულმა. სანამ გმირის მკერდს შეეხებოდა ბასრი ხანჯალი, მიპარვით უცებ გელას მარჯვენამ ის შეაკავა; გადაუგრიხა სწრაფად ხელი ქალს გააფთრებულს და გამოსტაცა მას სატევარი. დაეცა ქალი იქვე მიწაზე უსულო გვამად, მეტის სიბრაზით და მღელვარებით შეღონებული. ხოლო მოურავს განუშორებლივ ტანზე ემოსა მტკიცე ნაქსოვი რვალის პერანგი, ამიტომ იმას ქალის მახვილი, სუსტი ხელითვე ის მოქნეული, ვერას ავნებდა.

გონს მოიყვანეს ნელსაცხებით, მოასხეს ჩადრი, თანამხლებ მხევალს კუთხეში ფარულს ის ჩააბარეს და ბანაკიდან სამშვიდობოს მყის გააპარეს.

ღამის წყვდიადმა შეიფარა დიაცის ვნება და გული მ-სი შურისძიებით აღბორგებული...

გათენდა კიდეც... ორივ ბანაკში ზურნამ დაუკრა დილის საარი. გაისმა თანაც ბუკ-ნაღარის ხმა. მყის აიშალნენ ორივე მხრივ და მოემზადნენ ურთიერთშორის შესაგებებლად.

სააკაძის უზარმაზარი ბანაკიდან გამოვიდა მწყობრად ათასი ცხენოსანი ჯუბა-ჯავშნით, იარაღასხმულნი და გაემართნენ შაჰის ბანაკისკენ. მათ წინ მიათამაშებდა არაბულ შავ მერანს ირანის ჯარების მთავარსარდალი დიდი მოურავი. მისი გოლიათის აღნაგობა ირჩეოდა მხედართა შორის. მოურავის მარჯვნივ მოაგელვებდა თეთრ ბედაურს მისი სიმამრი ნუგზარ ერისთავი. მარცხნით კი მიაცურებდა წითელ არაბულ ტაიჭს ზორბა ტანის ზურაბ ერისთავი, უპირველესი სარდალი სააკაძის შემდეგ. ამათ მოსდევდნენ თან წაყოლილი ასამდე რჩეული ქართველნი, რომელთაც საარაკო სიმამაცით ასახელეს შორეულ აზიაში თავისი სამშობლო. ამათში ირჩეოდნენ მოურავის მუდამ თანმყოლნი ორი პაპუნა, ლომი ჩრდილელი და გელა, აგრეთვე რამდენიმე თავად-აზნაური. ქართველებს ხელთ ეპყრათ დამარცხებულ მტერთა დროშები და ციხე-ქალაქთა ოქროს გასაღებნი, ხოლო გელას ხელში ფრიალებდა ივერიის ვარდისფერი დროშა; რაზედაც იყო ამოქარგული თეთრ რაშზე მჯდომი წმ. გიორგი, რომლის წვეტიანი შუბი ერჭო დაღრეხილ ხახაში შავ გველეშაპს.

მამაცი ქართველნი მოაგელვებდნენ ბედაურთ ქედაზიდულნი, ბრწყინვალე სახით. მათ ბაგეთგან აღმომხდარი „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“ და სხვა მხედრული ჰანგები ზრიალით ეფინებოდა ირანის ფართო ტაშირს, ათას ფერებად ამზეურებულს.

ივერთა უკან მოდიოდნენ ცხენებით ირანის სარდლები; მათ მოჰყავდათ ტყვედ წამოყვანილი მტრის ჯარების უფროსნი, იარაღაყრილნი და ხელებგაკრულნი. ხოლო მათ უკან ორი ათასამდე მხედარს მოჰყავდა ხუთასი ტურფა ტყვე ქალწული და ხუთასი ჯორ-აქლემი, ოქრო-ვერცხლით, თვალ-მარგალიტით და ფარჩეულით მძიმედ ტვირთულნი.

ამ ცხენოსანთ უკან ასიოდ ნაბიჯის დაშორებით მწყობრაე მოდიოდა ქვეითი ლაშქარი, სამოცათასამდე მებრძოლი, იარაღასხმული, გაშლილი დროშებით; მათ შუაში ჩაყენებულ ოცათას ტყვეს მოჰყავდა ორიათასი არაბული ცხენი, მდიდრულად კაზმული, აგრეთვე ოციათასი ჯორ-აქლემი ძვირფასი ნოხ-ფარდაგებით, ჭურჭელით, სამოსით და სამხედრო იარაღით მძიმედ ტვირთული, — ეს იყო მტერთაგან ნადავლი.

მიუახლოვდნენ თუ არა შაჰის ბანაკს, ორივე მხრიდან აჰქა ბუკმა და ახმაურდა ზურნა. მხედარნი გადმოხტენ ცხენებიდან და გასწიეს ფეხით. ყვითელი ოქსინოს კარვიდან გამობრძანდა საზეიმოდ მორთული ირანის ბატონი. შაჰის სახე სიხარულით იყო გაბრწყინებული. ირანის ბატონს უკან მოსდევდა მისი ამალა. სწორედ იმ დროს, როცა ორივე მხარე უახლოვდებოდა ერთმანეთს ნელი ნაბიჯით, ცაზე საკმაოდ მაღლა გამოჩნდა უზარმაზარი არწივი, მას ლაღად გაეშალა განიერი ფრთები, თავზე დასტრიალებდა ირანის ძბრძანებელს და ფართო წრეს აკეთებდა. შეჩერდა სვლა ორთავე მხარეს ყურადღება მიიპყრო ფრთოსანთა მეფემ. კარგ ნიშნად არ მიიჩნიეს მისი თავზე ტრიალი. შაჰმა იხმო თავისი ამალიდან საუკეთესო მსროლელნი და უბრძანა როლათ სათითაოდ. გავარდა თანმიყოლით ათამდე თოფი საუკეთესო ჩუბინთა ხელში, მაგრამ ამაოდ. არწივი კვლავ ნებიერად უვლიდა წრეს გაშლილი ფრთებით. ფრიად დაღონდა შაჰი; მიმოიხედა ირგვლივ. არავინ ჩანდა სროლის მსურველი. საუკეთესო მსროლელთ დარცხვენით ჩაეღუნათ თავი. ამ დროს გავარდა თოფი დიდ მოურავის უკან და ზეცის ნებიერი მეფე გულში ტყვიით განგმირული დაეცა ერანის შაჰის ფერხთა წინაშე. შაჰაბაზის აღტაცებას არ ჰქონდა საზღვარი. შაჰმა ეს მიიჩნია მტერზე გამარჯვების ნიშნად და მაშინვე მოითხოვა არწივის მკვლელი.

ის აღმოჩნდა კავკასიონის მთების ასული, უპირველესი ჩუბინი მამაცი ცარო, ვაჟად ჩაცმული მარად რომ თან ახლდა გიორგი საკაძეს.

ცარო მაშინვე ეახლა ყაენს თოფით ხელში და მძიმედ მოხარა ქედი მის წინაშე.

— შენ მოჰკალ ეს არწივი? — შეეკითხა შაჰბაზი ქართულად მის წინაშე მდგომ ჩაბალახწაკრულ მშვენიერ ეაუკაცს.

—დიახ, აზიის დიდო მბრძანებელო! დიახ, მე გავბედე და მოვკალ იგი თქვენდა სადღეგრძელოდ, რაკი ვიხილე შორით თქვენი შეწუხება!

— ვინა ხარ, შენ, მამაცო ჭაბუკო?

— მე გახლავარ თქვენი მონა, ივერიის მთების შვილი, გელა ჩრდილელი.

—ვისთან ხარ?

— მე ვახლავარ თქვენ ერთგულს, ივერიის გმირს, დიდ მოურავს.

— კეთილი! სწორედ მას შეჰფერის შენსავით მამაცი თანმხლები. დარჩი მასთან და იყავ მისი ერთგული გუშაგი. აჰა, მთიელო გელავ, ჩემი ფეშქეში! — ამ სიტყვებით შაჰმა გადასცა ოქროებით სავსე სამი ქისა.

გელა მადლობის ნიშნად ეამბორა შაჰის გამოწვდილ ხელს და სიხარულით აღტაცებულმა ძლივს წარმოსთქვა:

— ერანის ბატონო, თქვენი მონა-მორჩილი მთიელი გელა არ არის ღირსი ესოდენ წყალობისა!

— მე უკეთ ვიცი, რისი ღირსიც ხარ! შენ მოჰკალ შავი არწივი, რომელიც ბნელ ლანდად დამტრიალებდა თავზე ამ დილით და მიფარავდა დიდებულ მზეს, ამით შენ კეთილად ამიხდინე ჩემი წუხანდელი ცუდი სიზმარი... ყორჩიბაშ! — მიუბრუნდა იგი თავის სიძეს, უპირველეს ვეზირს, — ჩაიწერე რაყიმში ამ მამაცი ვაჟის ვინაობა; უბრძანე მიუბოძონ მას ძვირფასი თვლებით მოჭედილი ოქროს თოფი, დამბაჩა და ხმალ-ხანჯალი, თანაც მდიდრული ხალათი და შეკაზმული საუკეთესო არაბული ცხენი.

— შენი ბრძანება მყის იქნება შესრულებული, ერანის დიდო მნათობო! — მძიმე თავდახრით მოახსენა ყორჩიბაშმა.

— მამაცო გელავ! ამიერით უფლება გეძლევა მოხვიდე ჩემთან, სადაც კი ვიყო, და მთხოვო, რაც გწადს. აჰა, ამის ნიშანი! — ამ სიტყვებთან ერთად შაჰმა წამოიძრო ნეკიდან ძვირფასი ბრილიანტის ბეჭედი და გადასცა გელას. შემდეგ

ხელის აქნევით გასცა ბრძანება და ორივე მხრიდან დაიძრა ასაბია.

პირველად მიუახლოვდა ირანის შაჰს ივერიის გმირი გიორგი სააკაძე და მიმართა შემდეგი სიტყვით:

— მბრძანებელო! ამ წლინახევრის მანძილზე შენი ძლევამოსილი მხედრობა, ჩემი მთავარსარდლობით, და ივერთა ეს მცირე რაზმი მამაცად ებრძოდნენ ერანის მტერთ აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით და მოუპოვეს ერანის დროშას ბრწყინვალე გამარჯვება. აჰა, დიდებულო შაჰო, ავღანყანდაარის, სინდეთის, ერაყისა და ქურთისტანის ხანები და სულთანები ტყვედ მოყვანილნი და დამხობილნი შენს ფერხთა წინაშე! აჰა, მათ ციხე-ქალაქთა ოქროს გასაღებნი, ოქროს ლანგრით მორთმეულნი! აჰა, უამრავი ტყვე, მათ შორის ხუთასი უმშვენიერესი ქალწული! აჰა, სპილონი და არაბული ცხენები, ოცდათასი ჯორ-აქლემი, ძვირფასი ლარით, განძით, ნოხ-ფარჩეულით და სამხედრო იარაღით ტვირთული! ამიერით იხარე, ილხინე! იყავ დღეგრძელ და ბედნიერ უკუნისამდე!

უზომოდ გახარებულმა შაჰმა უსიტყვოდ გაშალა მკლავები, ჩაიკრა გულში ივერიის გმირი და ეამბორა მის შუბლს. შემდეგ კი მიმართა აღელვებით:

— იკურთხოს დედა, რომელმაც გშობა და გაწოვა ძუძუ! ამ მცირე დროს განმავლობაში შენ ჩაიდინე თვით სასწაული. შენ დამიმარცხე უამრავი მტერი! შენ დამიმონე მრავალი ქვეყანა! შენ განადიდე ქვეყნის ოთხივე კუთხემდე ჩემი დროშა, ხმალი და ჩემი სახელი! შენ მოასხი უამრავი ტყვე და ოთხფეხნი, განამდიდრე ჩემი ხაზინა, გაამართლე ჩემი იმედები, სანაქებოდ შეასრულე ამ მოკლე ხანში შენი სიტყვა და დაპირებანი... ამიტომ აღარ ვიცი, რარიგ დაგაჯილდოვო, რისი ღირსი ხარ ესოდენ საქმეთა ჩამდენი! მიბოძებია შენთვის ერაყ-ქურთისტანის სულთნობა; მთელი ნადავლიდან მეოთხედი წილი შენა და შენ მამაც ქართველებს. ამიერიდან შენ პირველი კაცი ხარ მთელს ერანში

ჩემს შემდეგ. გიწვევ დღეს ჩემს დიდ ნადიმზე შენი მაჭა-
ცი გურჯებით. შაბაშ თქვენს საარაკო გმირობას!

შემდეგ შაჰმა მოიკითხა და დიდი მადლობა უბრძანა და-
ნარჩენ ქართველთ, მათ შორის მეტი ყურადღებით მოეპყრო
ძოხუც ნუგზარ ერისთავს და მის შვილს ზურაბს.

ამის შემდეგ სააკაძემ წარუდგინა შაჰაბაზს ირანის სარ-
დლები და ის ჯარისკაცნი, რომელთაც ისახელეს თავი
ომებში, შეაქო ისინი და მოკლედ მოახსენა მათი სიმამაცე.

შაჰაბაზმა მადლობა უბრძანა მათ და ყველანი დააჯილ-
დოვა მდიდრულად.

მან შეიწვია თავის კარავში სააკაძე რამდენიმე წარჩინე-
ბული ქართველ-ირანელით, თვით დაბრძანდა ოქროს ტახტ-
ზე, გვერდით მოისვა დიდი მოურავი. ხსვებიც დასხდნენ
ფეხმოკეცით, ხარისხის მიხედვით, ირგელივ ჩამწკრივებულ
ტახტებზე. მცირე საუბრის შემდეგ მოურავის განკარგულე-
ბით შაჰს ოქროს ლანგარზე მოართვეს მტერთაგან წართმე-
ულ ციხე-ქალაქთა გასაღებნი და ნადავლის ვრცელი ნუსხა.
რაც შეიცავდა უამრავ სიმდიდრეს. შემდეგ შემოიყვანეს
ხელებგაკრული მთავარი ტყვეები. ისინი დაემხვნენ მიწაზე
შაჰაბაზის წინაშე და არ იძროდნენ ადგილიდან. ფრიად
გახარებული შაჰი ლმობიერად მოეპყრა ყველას, უბრძანა
ადგომა, გაახსნევინა ხელები და დასვა ტახტებზე ხარისხის
მიხედვით.

შემდეგ მოასხეს ძვირფასად დართული ხუთასი უმშვე-
ნიერესი ქალწული, სინდეთ-თურქეთ-ერაყიდან ტყვედ მოყ-
ვანილი. მათ შორის ბლომად იყვნენ საუკეთესო მგოსან-
მუტრიბნი და კეკლუცად მროკავნი. ტურფა ასულთა დანახ-
ვაზე შაჰს გაუბრწყინდა თვალები. მან აირჩია ამ ქალებ
შორის ასამდე საუკეთესონი და გადასცა ხოჯებს თავისი
ჰარემის დასამშვენებლად, ხოლო დანარჩენნი დაურიგა თა-
ვის სარდლებსა და ხანებს.

ამასობაში ჩუხჩერახის განკარგულებით სუფრაჯებმა გა-
შალეს სუფრები, დაალაგეს ნაირნაირი ნამზადები და ტკბი-
ლეული. გაიმართა სპარსული ნადიმი თარ-ჭიანურით, დაირა-
დუდუკით, შიქასტა-ბაიათით და ცეკვა-შუშპარით. ფეხმარ-

დი მერიქიფენი დაქროდნენ სუფრებს შორის, მალიმალ ავსებდნენ თას-აზარფეშებს შერბეთითა და კახური ღვინით. აშულ-მუტრიბნი დამღერდნენ თარზე ირანის ლაშქრის დიდ გამარჯვებას და საკაძის ზღაპრულ გმირობას.

გავიდა სამი დღე ამ უწყვეტ ლხინსა და ქეიფში. შაჰის ბრძანებით მთელი ნადავლი გაპყვეს ოთხ წილად: ერთი წილი უძღვნა დიდ მოურავს და მის ქართველებს, ორი ნაწილი გადასცა ლაშქარს, ხოლო მეოთხე წილი ხაზინას. თვით შაჰმა-კი დაიტოვა ასი საუკეთესო არაბული ცხენი და უძვირფასესი თვალმარგალიტნი. ტყვეებშორის დიდი ნაწილი დაურიგა თავის ერთგულ კარისკაცებსა და მოხელეებს, ხოლო დატყვევებულ ხანებსა და ფაშებს ჩამოართვა ერთგულების ფიცი, გაანთავისუფლა და დააბრუნა თავ-თავის ქვეყნებში.

მეოთხე დღეს აიშალნენ ყველანი და მივიდნენ დედაქალაქს, სადაც მთელი კვირის განმავლობაში იყო ფართო ზეიმები და ჩირაღ-შუშხუნებით ხალხის ღრეობა, ლხინი და ქეიფი. ილხენდა ისპაჰანთან ერთად მთელი ირანი. შაჰმა გასცა უხვი საბოძარი ქვრივ-ობლებსა და ხეიბარ-გლახებზე, ააგო მათთვის ხანაგნი და ურწყავ ალაგას გაიყვანა არხები.

XIII. ლეილას შუშპარი

ზეიმობდა გამარჯვებული ჯარების დაბრუნებით მთელი ირანი. ილხენდა გახარებული შაჰაბაზი. უცხო ხეებით დაჩრდილულ, ყვავილნარით, ხასხასა მოლით, კოხტა თალარებითა და ფერადი მარმარის კოშკებით შემკულ დიდ წალკოტში ნებივრობდნენ შაჰის ჰარამხანის ნაზი ტურფანი. მათი სხეულის ქორფა ნაკვთები სამაცდუროდ ჰვირდა აბრეშუმის სიფრიფა სამოსში. ბროლის შიშველა მკლავები და ღია გულ-მკერდი თვალს იტაცებდა. თარ-ჭიანურის ჰანგებზე ან დოლ-სალამურის საამო ხმებზე სრიალებდნენ ქაშანის აბრეშუმის ხალზე ვარდისფერი შიშველა პაწია ფეხები. ვნებით სავსე უზუნდარას ცვლიდა ნარნარა მირზაია, ამათ კი ცელქი ლეკური. ძვირფას თვალმარგალიტით ნოოჭვილ ოქროს ბეჭდებს, საყურე-სამაჯურებს და ფარღულ-ფარმავლებს, ირანის ბატონის მიერ უხვად მოძებულს, უზომოდ გაეხარებინა მშვენიერ ფერიათა ნორჩი გულები.

აქვე იყვნენ აზია-ევროპისა და აფრიკის ტურფა ასულნი. ტყვეობაში მყოფნი, მეგობრობდნენ ერთმანეთს და ხშირად გალობდნენ თავიანთ ეროვნულ ჰანგებს. ამ საამო სიმღერით იქარვებდნენ სევდა-კაეშანს თავის შორეულ სამშობლოზე და მშობელ-ნათესავთა მიმართ, რომელთა ხილვას ერთი მათგანი თუ ეღირსებოდა ოდესმე. ნაზი ასულნი წააგავდნენ ოქროს გალიაში დამწყვდეულ ლამაზ ჩიტუნებს, და მკაცრ გუშაგებად დღე და ღამ უდგნენ მახინჯი ხოჯების ხარბი თვალები.

ღამდება. ცის კამარაზე ნელა მოცურავს პირბადრი მთვარე; მოსავს სამყაროს ვერცხლის სხივებით. ჩაღდება ლხინი მარმარის დიდ აუზებთან. აქა-იქ გაშლილ ხალებს ამკობენ ძვირფასად ნაქარგი ხავერდის ბალიშ-მუთაქები. სუფრებს ალაზათებს რჩეული ხილი, ტკბილეული, შერბეთით სავსე ოქროს სურები და ფიალები. იქვე გაისმის თარ-ჭიანურის მკვნესარე ჰანგი. სმენას ატკბობს მუტრიბთა ნაზი გალობა. იშლება ვნებით თეთრი მკლავები. როკვენ მოხდენით ქალთა ფეხები. შორით მოისმის ბულბულთა სტვენა... ელიან ბატონს, შაჰს ბედნიერს, ასეულ ქალთა სურვილის საგანს. ბედნიერია, ვინც სამას ქალში შეიჩერებს ბატონის მზერას, აღძრავს მის ვნებას და იგემებს მის ვაჟურ ლტოლვას, ფეხ-მძიმედ ქმნილი მიუბოძებს შაჰსა მემკვიდრეს. ამიერიდან იგი ხდება შაჰის მეუღლე, დიდი უფლებით და ფუფუნებით უხვად მოსილი, სხვა ქალებს შორის შურის აღმძვრელი. ხოლო ის ტურფა, ვინც იგემებს შაჰის ტკბილ ალერსს და უნაყოფოდ დარჩება, იგი ოთხი თვის შემდეგ გადაეცემა ფეშკაშად ვინმე დიდებულს, ვით ამიერით ურგები ნივთი დიდებულ შაჰის ჰარამხანაში...

აი, სვე-ბედი იმ ასეულ და ათასეულ ტურფა ასულთა, რომლებიც უწყვეტ ნაკადად მომდინარეობენ ყოველი მხრიდან შაჰის წალკოტში.

მაგრამ ამ საღამო ჟამს არავინ ფიქრობს, თუ რა მოელის! გატაცებულან მხოლოდ აწმყოთი, ტკბილი ნადიმით, საამო ხმებით, საკრავთა ჟღერით; ვნებააღძრულნი მთვარის სხივებზე, ბულბულის ხმაზე, ქირმანის ხალზე მოცეკვავენი ელიან მიჯნურს, შაჰს დიდებულს!

მხოლოდ არ ფიქრობს ირანის შაჰზე ერთი ასული, ფერიებს შორის უტურფესი, უუნაზესი. განშორებია მხიარულ სუფრას, შეფარებია უსურვაზებით მოვლებულ თალარს, წალკოტის ბოლოს, და მოუთმენლად ელის ვიღაცას.

მცირე ხნის შემდეგ იღება ფრთხილად მაღალი ზღუდის ფარული კარი და შემოდის ორი არსება შავად მოსილი.

— შენ ხარ, ზაირავ? ხომ მოიყვანე, ვინცა მინდოდა? — შეეკითხება ახლადმოსულს მსუბუქი ხმითა თალარში მყო-

ფი. — აქ არის ჰასან, ყაჩაღთ ბელადი ფრიად განთქმული ძლივას ვიპოვე და მოგიყვანე, ჩემო მშვენებავ! — და ამ სიტყვებთან შავჩადრიანმა მოხუცმა ქალმა ნელა წასწია უზარმაზარი ტანის თათარი, თვით გამოვიდა; დადგა გუშაგად იქვე მახლობლად.

— ჰასან, ხომ გწადის ბევრი სიმდიდრე და უტურფესი ქალის ალერსი! ჰა. შემომხედე!

ამა სიტყვებით ქალმა მოიხსნა პირსაბურავი და მთვარის შუქზე ყაჩაღის თვალებს დაეხატა სახე ციური.

— ჰალაჰ! ეს ხომ ჰურია, ჰური! უტურფესი, თვით ედემიდან მოვლინებული! სადა ხარ, ჰასან! ეს სიცხადეა, თუ სიზმარეთი?! — შესძახა იმან აფრთოვანებით.

— ჰასან, ხომ გწადის ასეთი ქალის ალერსთან ერთად სულ ბევრი ოქრო?!

— იამან! მნათობო ცისავ! იამან! უბრძანე შენ ყულს, ჰური, რა გწადის? — მუხლმოდრეკითა შებღავლა ტურფას ყაჩაღ-ჰასანამ.

— ჰა, ამჟამად ორასი ოქრო! როს შეასრულებ ჩემ დავალებას, ეს ტურფა სახე, ეს კოკბები, ჩემი სხეული შენი იქნება სამარადისოდ! ხომ გესმის, ჰასან!

— მესმის, ციურო! მიბრძანე, რა გსურს?

— აი ამ ხანჯლით გული გაუპე გურჯსა დიდებულს! — და ამ სიტყვებით ქალმა გადასცა ბასრი მახვილი.

— ვისა, მშვენებავ? ვერ გავიგე, კარგად მაუწყე.

— გურჯისტანიდან ერანში მოსულს ჯარების სარდალს, დიდსა მოურავს, ინდოეთიდან და ერაყიდან ახლადჩამოსულს. ხომ გესმის, ჰასან! ამ სიტყვების გამგონე ჰასან გაოცებული იდგა მდუმარედ.

— რას სდუმხარ, ჰასან! ხმა ამოიღე! განა იმ გურჯის მარტო სახელმა ასე, ამრიგად შენ შეგაშინა, ყაჩაღთ ბელადი სახელგანთქმული?!

— არა, ცისკარო, პირბადრო მთვარევ! ნუ მეხუმრები! მოურავი ხომ გმირია დიდი და უძლეველი მთელ დუნიაზე! ის ხომ თვით შაჰის სპასალარია უახლოესი; უსაყვარლესი! მე ვით გავბედო მისი მოკვლა, ვიღაც ყაჩაღმა?!

— გრცხვენოდეს, ჰასან, ეგრე ლაჩარი როგორ ატ[illegible] სპარსელ ყაჩაღთა უფროსის სახელს! სირცხვილი შენი! კაცი კი არა, ქალი ყოფილხარ. სულით ჯაბანი. მე [illegible] ნე დიდი ვაჟკაცი. შე ლაჩარო! წადი, გამშორდი! ალარ გიხილოს ჩემმა თვალებმა! და ამ სიტყვებთან ჩერქეზთ ასულმა მრისხანე სახე მას შეანათა. ამ გააფთრებით უფრო დამშვენდა ტურფა ლეილა.

ველარ გაუძლო ამ დამცირებას, ლანძღვას, გაქირდვას და ამ მშვენებას ყაჩაღის გულმა. ვნების სახმილით სრულად აღიგზნო მისი არსება. დაემხო დიაცის წინ ქალის სიტყვებით გარინდული და მოწიწებით ეამბორა კოპწია ფეხებს.

— კარგი, მნათობო ზეცის! კარგი, მეუფეო სულის! აჰა, მივდივარ მძიმე საქმეზე ყაჩაღთ ბელადი, ემაგ მშვენებით გახელებული, და დაგიმტკიცებ, რა ვაჟკაცი ვარ! ვფიცავ შენს თავს, რომ ხვალ დილითვე მზის ამოსვლამდე ან მკვდრად მიგულე. ან ამავ ბაღში, აქ, ამ ალაგას, მოგართმევ, ტურფავ, იმ დიდი გურჯის მოკვეთილ თავსა შენივ მახვილით. მივალ, მშვენებავ! ოღონდ ერთ კოცნას გთხოვ შენი ყული თან წამატანო, რომ ვიქცე ლომად და უფრო მტკიცედ შენი ბრძანება მე შევასრულო!

უცებ მუხლმოყრილ ყაჩაღს ვნებიანს ჩაეტკბნენ მწვანეულ ქალის ბაგენი.

— წადი, საჩქაროდ! არ დაგინახონ! ალაჰი იყოს შენი მფარველი! წადი. იმ გურჯის მოკვეთილ თავით მე გამახარე, თუ გწადს რომ ვიყო სამარადისოდ შენი სატრფო შენი მხევალი... ხომ გესმის! წადი! როს ამ ხანჯლითა გაუპო ბული გურჯსა მომაკვდავს ასე ჩასძახე: „გიაურ! კვდები ჩერქეზთ ასულის, ტურფა ლეილას ბასრი მახვილით!“ მსურს, რომ გამწარდეს სიკვდილისა ჟამს ის გიაური... ზაირავ! გაიყვა ჰასან და გასაღები შეინახე. დილის რიჟრაჟზე ამ ფარულ კართან იდეგ დარაჯად. ჰასანის ძღვენი ამავ თალარში შენ მომაწოდე, თუ გწადს აგავსო თვალ-მარგალიტით. ჰასან! შენი ლოდინით მე არ მომივა თვალებზე რული. წადი, მამაცო! გაბარებ ალაჰს და მის ფეჰამბარს...

ამ სიტყვებით მთების ასული, შურისძიებით აღბორგებუ-

ლი განშორდა თალარს. სწრაფად მიმალა შავი აჯიღა იქვე ბუჩქებში და საოცნებოდ გამოწყობილი დიდ შადრევანთან ცეკვა-შუშპარით და ლხინით დამთვრალ ტურფა ფერიებს ის შეუერთდა.

ამ დროს გაისმა მოშორებით რაღაც ხმაური. ზურნა-დუდუკმა, საზანდარმა დაჰკრეს რააბი. მსუქან ხოჯებით და საოცნებო ჩირაღ-ლიფლიფით გარემოცული გამოჩნდა შორით ბრწყინვალე გვირგვინით შაჰაბაზი. მას შეეგებნენ ცეკვა-შუშპარით, სავსე თასებით ნაზ ფერიები, ვით მენადები ზღაპრულ დიონისს...

მეფე მობრძანდა დედოფალთ შორის, გაჩაღდა ლხინი... ზეცას სწვდებოდა საკრავთა ხმები, მუტრიბთ გალობა...

მთვარისა შუქით აელვარებულ ვარდ-ყვავილებით გარემოცულ დიდ შადრევანთან ცადტყორცნილი კიპარისების და სურნელოვან ლეილაღების საფარველ ქვეშა ქორფა მდელოზე ფართოდ გაშლილა ქირმან-ქაშანის ძვირფასი ხალნი; უხვად ბნეულან ირგვლივ სამ წყებად ფაქიზნაქარგი ფარჩა-ხავერდის მუთაქები და ბალიშები. შუა ალაგას დიდ-ჯად დაბრძანდა სვებედნიერი ირანის ბატონი, უუტურფესი ფერიებით გარემოცული.

იწყეს ალერსი, ცელქი ხუმრობა. შეექცეოდნენ ნაირნაირ საამო ხილით, შაქარლამებით, ცივი შერბეთით, ცივი ვეენინით, რაც კი ელაგა მათ წინ მოხდენილ დაბალ პატარა შავ მაგიდებზე. იქვე ამკობდა დიდებულ ქეიფს ძვირფას ვაზებში ვარდყვავილების სურნელოვანი თაიგულები: შორი ახლოს კი უსურვაზებით შელამაზებულ თალარიდან ისმოდა მუტრიბთ საამო ხმები, საკრავთა ჟღერა. უხვად იკმოდა შირაზის ვარდის ტკბილ-სანეტარო სურნელოვნება...

შაჰის ბრძანებით იქვე დუდუკმა და საზანდარმა ნელ-ტკბილი ხმებით უზუნდარა ამოაკვნესა. საკრავთ მთვლემარე, მტკბარი ზუზუნი იქ მყოფთა შორის ჟინს აღვიძებდა, თანაც იწვევდა სურვილით თრობას...

იშვებდა შაჰი. გამძაფრდა ლხინი, ზეცის ამულით დათქორებული. ამ დროს საზანდარის ხმათა თილისმით გარინდებული წამოდგა ქალი, ვით სიზმრად მყოფი. ნელი ზმორე-

ბით გაშალა ხელი. ნარნარი რხევით და გოგმანით მან დაუარა... ზეციურ სახეს უციალებდა ნაზი ღიმილი. თეთრი მკლავები, თითქო ფაროსის მარმარი, ტურფა სახეზე მოელვარე შავი თვალები, ღურღნა წამწამთა ჩერო ფრქვეული, ოდნავ პობილი მარჯნის ბაგენი, ბროლისა მკერდი, ცელქად მომზირი ვარდის კოკბები — ტრფობის სურები, ქირმანის ხალზე მოსრიალე წაპა ფეხებით და სრულად მისი ზილფოვანი ნარნარა ტანი, სიფრიფა ფარჩით ოდნავ ფარული, იწვევედნენ ოცნებას.

რალაც წარმტაცი აღტაცებით შესტრფოდა შაჰი ხალზე მოხდენით მროკავ მენადას.

თვით მოცეკვავე, შორეული მთების ასული, ხან შეიფრენდა მკერდაზიდვით, ვით შევარდენი, და დაუვლიდა ველურ სისწრაფით, ხან კი მოსხლეტით, ვნების ფრთებზე მისვენებული, ყელმოღერებით მოგოგავდა მკლავების რხევით. სახეს უმკობდა ნაზი ღიმილი და სურვილებით სავსე თვალები. და ეს სურათი — მომჯადოები, ქალის შუშპარი სისხლს აგიეებდა...

კვლავ ზუზუნებდა ნელი მუსიკა ვნებიან ჰანგებს, კვლავ იტაცებდა იქ მყოფთა მზერას ქალის შუშპარი, მთვარისა შუქზე ასხივებული. ხან ეშხით სავსე თვალებით მისრიალებდა მკლავებგაშლილი ნარნარი რხევით, თითქო შესტრფოდა მიჯნურს შორეულს, ხან უეცარი შეტრიალებით უვლიდა დავლურს. მცირე ხნის შემდეგ ისევ ნელინელ იხევდა უკან.

მთების ასულის ამ გასაოცარ როკვა-შუშპარში ჭვირდა ფერადი აღმოსავლეთი უშრეტი ცეცხლით და უუტკბესი ალერსით...

ბევრჯერ უცეკვავს ტურფა ლეილას აქ უზუნდარა შაჰის წინაშე, ხოლო ამ ღამით მისი შუშპარი იყო უწვდენი, სურვილებით ალმოდებული...

ცეკვის დასასრულს შორის ტყორცნილი ქალის თვალები თითქო ხედავდნენ ჩუმად შეპარულ ყაჩაღ ჰასანას და იმის ხელში ელვარე მახვილს. მზერს, რომ ხანჯალი გასაგმირა-

ვად უახლოვდება მძინარე ვაჟკაცს; უახლოვდება იმ გულს, რომელმაც არ მოისურვა ამ დიაცის ხვევნა-ალერსი და სიყვარული. ჰა, შერცხვენილი ჩერქეზთ ასული შურს იძიებდა, რაც თვით ვნებაზე უუტკბესია! თითქო ხედავდა მოურავის გულს სისხლმოთქრიალეს. თითქო ამ წუთას თვრებოდა იგი „გურჯ-გიაურის“ წითელი სისხლით...

უცნაურია და საშინელი ხელნაკრავ ქალის შურისძიება!

კვნესდნენ საკრავნი ხმებს მინაზებულს. როკავდა ქალი. შორს მზერდნენ თვალნი ვნებით ლესილნი, შურისძიების ცეცხლით ნთებულნი. და ამ შუშპარით ნელით და ჩქარით თვით ითვრებოდა. თვრებოდნენ მზერით შაჰის კეკლუცნი. თვრებოდა ტრფობით შაჰის თვალები, მთელი არსება...

შეწყდა საზანდრის ჰანგი მკვნესარე და მასთან ერთად ირანის შაჰის ფეხთა წინაშე უცებ მოსხლეტით დაეცა ქალი; ვით ჯეირანი ისრით დაჭრილი, გულის სიღრმიდან აღმოხდა გმინვა და ლამაზ თვალებს წასკდა ცრემლები...

XIV. ცარო

ისპაჰანიდან სამი ეჯის დაშორებით, ტყით დაბურულ ბორაკებს შორის, მომცრო ტაშირზე გაშლილა ბაღებში ჩაფლული ლამაზი აგარაკი. სპარსულად აგებულ ორსართულიან თეთრ სახლებს ამშვენებს ფართო ბან-წინგარდები. შაჰის ბრძანებით ეს კოხტა აგარაკი მთლიანად გადაეცა ბინებად დიდ მოურავს და თანმყოლ ქართველებს. აგარაკს შუაზე სერავს პაწია ცელქი მდინარე, თევზებით სავსე. მთებიდან კიდევ აქა-იქ მორაკრაკებენ ანკარა წყარონი. ეს კოპწია აგარაკი მდებარეობით მეტად წააგავს ქართლის რომელიმე კუთხეს, რაც ფრიად ახარებს ივერიიდან გადახვეწილთ.

საღამო ჟამია. ახლადჩასული მზის ნაცვლად მთებიდან ამოწვერილა გაბადრული მთვარე და მიდამოს ხვევს ციალა სხივებში. დღის პაპანებას ცვლის გრილი ნიავი. სახლის ბანები სავსეა ქართველებით. ომგადახდილნი ხარობენ თავიანთ ცოლშვილში. სერობის ჟამია. მათ წინ გაშლილ სუფრებს ამკობს ნაირნაირი ნამზადები და ტკბილეული.

შუა ალაგს მდებარე ყველაზე უფრო დიდი სახლის ბანზე გაუშლიათ ფართო ნოხები ხავერდის მუთაქა-ბალიშებით. მათზე ფეხმოკეცით სხედან გიორგი სააკაძე თავის ცოლშვილით და ახლო ნათესავ-მეგობრებით. დიდ მოურავს მხარს უშვენებენ მოხუცი ნუგზარ და ორი ცოლისძმა — ზურაბ და დათუნა, აგრეთვე უფროსი ძმა ბეჟან სააკა-

ძე და მისი ვაჟი, ფრიად ნიჭიერი და გამბედავი როსტომ, ხოლო დიასახლისის გვერდით სხედან დედამისი — დიოფალი გულქან და დედამთილი თამარ. ამათთან კი სხედან 5 და 6 წლის მშვენიერი ვაჟები ზურაბი და ავთანდილი, უფროსი ვაჟი კი, 7 წლის პაატა, განუშორებლივ გვერდით ჰყავს თავის „გმირ ბაბას“, როგორც ეძახდა ბავშვი მამას. აქვე არიან მოურავის უახლოესი მეგობრები და ძმადფიცულნი — ორი პაპუნა, ლომი და გელა ჩრდილელი.

ტკბილი საუბრით იგონებენ სტუმარ-მასპინძელნი გადახდილ ომთა ამბებს, მეტარდე ორი წლის წინათ მიტოვებულ სამშობლოს. მათ წინ გაშლილ სუფრას უხვად ამკობენ ქართულ-ირანული ნამზადები: ლულაქებაბი, ბოზბაში, ქათმის ჩიხირთმა, შემწვარი ვარიები, ფლავი და ბატკნის შუშხუნა მწვადები, აგრეთვე ხილი და ტკბილეული. სუფრას ახალისებს თეთრი და წითელი ღვინოები. კულა-თასები გადადის ხელიდან ხელში. ხანდაზმით აუკიდებენ „სუფრულს“ ან კახურ „მრავალჟამიერს“.

დიასახლისი თამარ წყნარად აძლევს განკარგულებას მწდესა და ფარეშთ.

— ნეტავ რა ისმის საქართველოდან? — იკითხა ბოხი ხმით ნუგზარ ერისთავმა და დინჯად გადისვა ულვაშებზე ხელი.

— კარგი არაფერი, ჩემო ბატონო! — უპასუხა სიძემ. — ჩვენ მოსისხლე მტრებს, დიდ თავადებს: შადიმან ბარათაშვილს, ფარსადან ციციშვილს და ქაიხოსრო ჯავახიშვილს, ჩაუგდიათ ხელში უნიათო მეფე ლუარსაბი და როგორც სურთ, ისე ათამაშებენ. სხვა თავადები კიდევ კინკლაობენ ურთიერთ შორის, ართმევენ ერთი-ძეორეს მიწა-მამულს და უხვად ღვრიან მოძმეთა სისხლს. ხოლო შუაგულ ქართლში გაბატონებულა ზვიადი თავადი ანდუყაფარ ამილახორი — ეს ქრისტეს სჯულისა და სამშობლოს გამყიდველი, თვით შაჰის სიძე, მისი ერთგული მონა, და რაც სურს, იმას ჩადის. დაუპყრია ჩემ მიერ ახლადდასახლებული გლეხობა, მთელი ტირიფონა, აგრეთვე ორთავ ლიახვ-მეჯუდის ვრცელი ვაკენი ქსნამდე და აწიოკებს მშრომელ ხალხს; ანდუ-

ყაფართან ერთად სამშობლოს რისხვად მოვლენია იასე ქსნის ერისთავიც...

— ვერ გვამცნე კარგი ამბავი, შენმა მზემ! მართლაც რომ უბედური ხალხი ვართ ქართველნი: ვიღუპავთ ჩვენსავე თავს, ვახარებთ შინ შემოხიზნულ და გარე მტრებს, რომლებიც თავს გვესხმიან და ლამობენ ჩვენს მოსპობას.

— მართალს ბრძანებთ, ბატონო მამავ, — დაიწყო დათუნამ.—ამბობენ, კახეთში კიდევ უარესი ამბებიაო, იქაც შფოთი და არეულობა სუფევსო.

— ეჰ, ამას კი ვიტყვი, რომ სანამ რვად დაგლეჯილი პატარა საქართველო არ გამთელდება და მას არ დაეუფლება დიდი გონების და მძლავრი მარჯვენის ადამიანი, მანამ არაფერი გვეშველება. ჩვენ გვეჭირვება დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალეს მსგავსი ძლიერი, ქვეყნის მოჭირნახულე მეთაური. აი, მხოლოდ მაშინ არ დაგვჭირდება იქითაქეთ ხელის პოტინი, მხოლოდ მაშინ გავხდებით სულით მაღალნი, დოვლათით სავსენი, ჯანით ძლიერნი და ლაღ მეზობელთა მიმართ ზარის დამცემნი, ისეთნი, როგორიც ვიყავით ძველად ოქროს ხანაში! — დაამთავრა აღფრთოვანებით დიდმა მოურავმა.

— ეე, შორსა სწევ ხელებს, ჩემო სიძე და ძმად-ფიცულო! — შეეკამათა ზურაბ ერისთავი. მას არაფრად ეამა საქართველოს განდიდება ერთი ძლიერი მეფის ფაენის ქვეშ, — საქართველოს ყველა ტომის ერთად შექუჩება მეტად დასცემს დიდი თავადების გავლენასა და ქედმაღლობას, ეს კი არაფრად საამოა მამაჩემის ოჯახისათვისაც. ყველამ კარგად უწყით, რა დამართა დიდებულ თავადებს დავით აღმაშენებელმა, ანდა გიორგი ბრწყინვალემ.

— მართალია, ძმაო, ორთავე მეფემ სასტიკად დასაჯეს ურჩნი და ქვეყნის მოღალატენი, ხოლო იმავე დროს აღამაღლეს ხალხის ერთგულნი. მოგეხსენებათ, რომ ლიპარიტი და რატი ორბელიანები, ანდუყაფარ ამილახორი, იასე ქსნის ერისთავი და მისთანები მარად ჟამს გამთიშავი ძალებია. ისინი მზად არიან შესწირონ სამშობლო თავის პირად კე-

თილდღეობას. ასეთი კაცნი კი ფრიად მავნენი არიან ქვეყნ-სათვის. სახელმწიფო მაშინ შედის წარმატებაში, როცა მისი დიდებულნი დაგმობენ პირადულს და შეეწირვიან ხალხის კეთილდღეობას. ასეთნი იყვნენ ძველად ვახტანგ გორგასლანი, დავით კურაპალატი, დავით აღმაშენებელი, პირიმზე თამარ, ცოტნე დადიანი, დიმიტრი თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე და სხვა მრავალნი. ამიტომ ჩვენც უნდა წავბაძოთ ამ დიდსულოვან ადამიანთ, თუ კი მართლაც გვიყვარს ჩვენი სამშობლო.

მოურავის სიტყვებმა სიხარული გამოიწვია მისი დედის, მეუღლის, მდაბიო ძმადფიცულთა, ძმასა და ძმისწულს შორის. ამ სიტყვებმა განსაკუთრებით გაიტაცა გელა, რომელიც აღტაცებით მისჩერებოდა ივერიის გმირს და ნთქავდა მის თვითეულ სიტყვას. ხოლო საკაძის ასეთი აზრები სრულებით არ ესიამოვნათ ნუგზარ ერისთავს და მის ვაჟებს. რომ ასცილებოდა ამ უსიამოვნო ბაასს, ნუგზარმა იკითხა კვალად:

— ნეტავ ჩვენს მთაში როგორიღა ამბებია?

— ცუდი, შენი კვნესამე, ცუდი, — უპასუხა ლომიმ: — უბნობენ, აიშვეს თავი და ესხმიან ქისტ-ჩეჩენი უპატრონოდ დაყრილ ფშავ-ხევსურთა და საქონლის ტაციობით დიდ ზიანს აყენებენ თურმე.

— ვინ მოიღო ასეთი უსიამოვნო ამბები? — იკითხა ზეერაბმა.

— ჩემი ძმა ვაჟა ჩამოვიდა საქართველოდან და იმან, შენი კვნესამე, — უპასუხა ლომიმ, — ბაბაი და დედაი დაგვხოცია სახადით. ესეც აღარ გაჩერებულა მთაში ჩვენის ნატვრითა და წამოსულა აქეთ. ცხორი ბიძისათვის ჩაუბარებია.

— ეეჰ, მომწყინდა ამდენი თრევა ამ უცხო ქვეყნებში! ეს ავღანეთი, ყანდაარი და ინდოეთი, ეს ერაყი და ქურთისტანი ხომ მოვთელეთ. იმოდენა ქვეყნები დავუპყარით შაჰს, არ დავზოგეთ ჯანი და ღონე. მისი დროშა და სახელი გავადიდეთ მთელ დუნიაზე. რაღა სურს მეტი?! დაგვაბრუნოს ჩვენს ივერიაში და მოგვცეს ფირმანი, რომ არა რაი

გვევნის. ოჰ, რარიგ მენატვრის ჩემს ანანურში დაბრუნება და მთებში ჯიხვებზე ნადირობა! — წარმოსთქვა ნაღვლიანად ზურაბმა და გადახედა სიძეს.

— ეგეც მალე იქნება, ჩემო ზურაბ, — უპასუხა მოურავმა, — შაჰაბაზ თვითონ აპირებს საქართველოში წასვლას და, უეჭვოა, თანვე წაგვიყვანს. ხომ გახსოვს, რა თქვა ამასწინათ! უხვი ქონებითაც ხომ ყელამდე აგვავსო ქართველები. მაშ, მცირე მოთმინება კიდევ და წავალთ ყველანი.

— ნეტარძი მალე გავშორდებოდეთ ამ უცნაურ ქვეყანასა! ვერ შევეგუე კავკასიონის მთებში გაზრდილი სპარსეთის პაპანებასა და გარუჯულ მთებსა, თუმცა ამ ჩვენს აგარაკს არა რაი უშავს! — წარმოთქვა მოურავის მეუღლემ.

— კეთილად ბრძანებ, შენი კვნესამე! ი თოვლიანი მთების ხილვა და ბროლის ჩანჩქერით გულის გაგრილებაი სრულად მირჩევნის ყველაფერსა! ჯიხვ-არჩვებზე ნადირობა ხომ სიცოცხლეა, ჩემო ბატონო! — წამოიძახა ლომმა აღფრთოვანებით.

მთიელის მგზნებარე კილომ ყველას გაუძლიერა წყურვილი სამშობლოს ნახვისა, განსაკუთრებით გელას, რომელიც სრულიად ვერ შეეგუა ამ ცხელ ქვეყნებს, ოხრავდა ბუნებით შემკულ ივერიასა და უმწეოდ დაგდებულ ხალხზე, რომელსაც ისერიგად აწიოკებდენ შინაურნი და გარეშენი.

ამ მცირე მოგონება-საუბრის შემდეგ გაისმა მწყობრი „მუმლი მუხასა“ და სხვა ხალხური სიმღერები ფანდურზე; მასზე კარგად უკრავდა გელა.

თითქმის შუაღამე იქნებოდა, როს აიშალნენ მოსასვენებლად, ხოლო თამარმა ადრევე გაიყვანა სამივე ვაჟი, ჩააწვინა ლოგინში, მოუწვა გვერდით და დააძინა ზღაპრების მოყოლით.

სტუმრები დაემშვიდობენ მასპინძელს და წავიდნენ თავთავის ბინაზე.

ქალებსა და ბავშვებს ჩვეულებრივ ეძინათ ზემო სართულში, ხოლო მამაკაცებს ქვემოთ. დიდი მოურავი შევიდა თავის საწოლ ოთახში, გაიხადა ტანს და მიწვა ვეფხვისტყავგადაფენილ ფართო ტახტზე; გვერდით დაიდო მუდამ

განუშორებელი ბასრი კალდიმი და გატენილი დამბაჩა, შაჰის ნაჩუქარი. მცირე ხანს შემდეგ საამო ძილმა შეიპყრო იგი. მალე მიეძინა ყველას; სახლში გამეფდა სრული მდუმარება. არ ეძინა მხოლოდ ერთ არსებას. ის ფეხაკრეფით შევიდა მოურავის ოთახში, მიუახლოვდა ტახტს და მგზნებარე თვალებით დააცქერდა მთვარით გაშუქებულ მძინარე სახეს. კარგა ხანს უმზირა უზენაესი ტრფობით გატაცებულმა. შემდეგ ძიიყუჟა სკამ-ლოგინზე ბნელ კუთხეში, ამოიკვნესა და მხურვალე ცრემლები დააფრქვია.

— ცხრა წელია, რაც ვიტანჯები მე უბედური! ცხრა წელია რაც ძწვავს სიყვარულის ცეცხლი! ცხრა წელია ვლოცულობ მასზე... ამან კი არ იცის არაფერი და ვერც გაიგებს, — ფიქრობდა იგი თავის გულში. — დე ასე იყოს! მე ბედშავს ისიც მეყოფა, რომ ვხედავ მის ღმირულ სახეს მარად-დღე, მესმის მისი ხმა და საუბარი, ვგრძნობ მის მეგობრობას. აბა, ვინ ვარ ბეჩავი! ერთი მწყემსი ქალი, მთებში გაზრდილი, ის კი — ხალხის მოთავე, ქვეყნის დიდება... ბეჩავს ისიც მეყოფის, რომ იგი ბედნიერია თავის ცოლშვილში. მისი სახელი მოფენილია მთელ ქვეყანაზე. მეუღლეც ხომ შესაფერი ჰყავს: ნაზი, კეთილი, მშვენიერი... ო, რა კარგებია მისი სამივე ვაჟი, განსაკუთრებით უფროსი, პაატა! როგორა ჰგავს თავის ბაბას! როგორ უყვართ ერთიმეორე! ლაშქრობის ჟამსა სულ იმას იგონებდა მოურავი...

ამ ფიქრებში გართულმა ქალმა სრულებით ვერ შენიშნა, თუ როგორ მოადგა სარკმელს ვიღაც ახმახის შავი ლანდი და დააცქერდა მძინარე მოურავს. მცირე ხანს შემდეგ ფრთხილად გაიღო კარი და იგივ ახმახი ლანდივით შემოვიდა ოთახში, შეჩერდა ოდნავ, მიმოიხედა ირგვლივ და ფეხაკრეფით გასწია საწოლისაკენ.

შავი ნაკვთის შემოსვლა არ გამოეპარა ყურმახვილ ცაროს. იგი თვალს ადევნებდა მის მოძრაობას.

ახმახი ერთხანს დააცქერდა მძინარე მოურავს. მყის მთვარის შუქზე იელვა ხანჯალმა მის ხელში და გადადგა ბიჯი, რომ გულში ჩაესო ივერთ დიდებისათვის.

ელვის სისწრაფით სტაცა უკნიდან მაჯაში ხელი ვეფხვი-

ვით ჩაუქმა ცარომ და ამ უეცრობით თავზარდაცემულ ყაჩაღს მეორე ხელით გამოსტაცა ბასრი მახვილი. მალე მოვიდა გონს შავი ახმახი, მყის იძრო ბებუთი საცვეთის ყელიდან და დაჭრა ქალი მარცხენა მკლავში. გამწარებულმა მთიელმა ტარამდე ჩაუსო გულში ყაჩაღს მისივე ხანჯალი. იგი ბრაგვანით დაეცა იატაკზე.

ხმაურზე გაეღვიძა მოურავს, ლომივით წამოიჭრა ზეზე კალდიმით ხელში.

— ვინ არის?! — ძლივს მოასწრო ამ ორი სიტყვის წარმოთქმა, როს მთვარის შუქზე დაინახა ძირს გართხმული, შავად მოსილი ზორბა არსება და გვერდით მდგარი გაფითრებული გელა; მას მარჯვენა ხელი წაეჭირა მარცხენა მკლავში და ცდილობდა შეეჩერებინა სისხლის დენა. იგი მწვავე ტკივილებს გრძნობდა.

მოურავი მიხვდა ყველაფერს, დასწვდა მომაკვდავ ყაჩაღს, დასვა მერხზე და ჰკითხა სპარსულად:

— ვინ ხარ? ვინ გამოგგზავნა ჩემს მოსაკლავად? სთქვი სიმართლე!

— მე ვარ ჰასან... ყაჩაღთ ბელადი... შენთან მომგზავნა ლეილამ... ჩერქეზთ ასულ...

ვეღარ მოასწრო სიტყვის დამთავრება, დაეცა მკვდარი. მოურავმა აზიდა იგი და გადისროლა გარეთ, ამავე დროს გელამ მიაწოდა მოურავს ძვირფასად მოოჭვილი ოქროსტარიანი პატარა ხანჯალი, რომელიც მაშინვე შეიცნო მან.

სიკვდილს გადარჩენილი საკაძე გადაეხვია თავის მხსნელს, ჩაიკრა გულში და გრძნობით აკოცა ამ სიტყვებით:

— გმადლობ, მეგობარო, ჩემო ერთგულო! გმადლობ დიდად! ვითარ გიძღვნა მუქაფა შენი ესოდენ თავდადებისათვის! რომ შენ არა, ეჭვს გარეშეა, მძინარს მომკლავდა ის არამზადა! ვითარ მოხდა, რომ ასეთ ჟამს გაჩნდი ჩემს ახლოს?

მეტის აღელვებით და სისხლის დენით დასუსტებულ გელას უკვე წასვლოდა გული და მოსხლეტით ესვენა გმირის მკერდზე.

შეამჩნია თუ არა მოურავმა გულის შეღონება, ფრთხილად მიაწვინა თავის ლოგინზე, აანთო ჭრაქი, გახადა ჯუ-

ბა, პერანგი, რათა ენახა ჭრილობა და შეეკავებინა სისხლის დენა. მოურავის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ოდეს გულწასულ ჭაბუკის თეთრ მკერდზე იხილა ქალის კოკობი ძუძუები. გელას მოფუშოდა თავზე ჩაბალახი, დიაცის ლამაზ სახეს უალერსებდნენ მუქი კულულნი.

მოურავმა ასხურა წყალი გულწასულ ქალს, მოიყვანა გონს და ჯანის გასამაგრებლად დაალევინა შარბათნარევი მაგარი ღვინო, შემდეგ ფრთხილად მობანა ჭრილობა სუფთა ბამბით, გასინჯა კარგად, სისხლის შესაწყვეტად მოაფრქვია დანაყილი დენთი, დააფარა ნარმა და შეუხვია მაგრად. შემდეგ მიუჯდა გვერდით, დააცქერდა ძმური ალერსით და ჰკითხა ვინაობა, ან რამ აიძულა, რომ ვაჟურად ცმული იფარავს თავსა და ატარებს გელას სახელს.

პასუხის ნაცვლად ქალმა გულში ჩაიკრა მოურავის მარჯვენა ხელი და დაუწყო მხურვალე კოცნა. იმავე დროს მის თვალებს მოსწყდა ცრემლები. ის იყო იმ დროს უსაზღვროდ ბედნიერი. ქალის ასეთმა საქციელმა კიდევ უფრო გააოცა საკაძე. ის უზომო სინაზითა და გაკვირვებით მისჩერებოდა ქალს, შემდეგ შეეკითხა ალერსით:

— მამცნე ვინა ხარ, მშვენიერო, გმირო დიაცო, ჩვენს ქალებს შორის საკვირველებავ, ვინაიდან სიმამაცით საუკეთესო ვაჟკაცებსაც-კი გადააჭარბე. მითხარ გულახღით. ჩემო მხსნელო, ვინა ხარ შენა? რომელ კუთხიდან? რად იმალები ვაჟად ჩაცმული? ვისღა ემალვი?

— არავის სხვასა, დიდო სარდალო! ჩემს თავს ვემალვი, მხოლოდ ჩემს თავსა, რადგან თვით ზეცამ ჩემი გაჩენა ქალად ინება, მომცა ვაჟკაცის ძალი, ღონე და გულადობა, იმავ დროს-კი მაქვს მე უბედურს ქალის სხეული, ნაზი გრძნობანი... მე მთიელი ვარ, მკვიდრი და ლომი ჩრდილოელის. იქ, ჩვენსა მთებში, მწყემსობის ჟამს მეძახდნენ ცაროს. ახლა ვარ გელა, ვაჟად ჩაცმული. და ეს სახელი მე თვით დავირქვი, როს ჩემს ძმას ლომის დიდის ვედრებით გამოვყე თანა შენს თანამყოლად, ხალხის მტრებზე მუდამ საბრძოლაო... ოდეს გიხილე შენა პირველ ლამისყანაში მყის შემიყვარდი ჩემს უნებურად, გმირო, მდევკაცო! და

ამ სიყვარულს მწვავეს, უტკბილესს, ცხრაი წელია ყველას ფარულად ვატარებ გულში. ამიერიდან სამი ხატი მყავს მე სამლოცველო, წმინდა სამებად შედეგებული: ტურფა სამშობლო, ბალბი ბედმავი და მოურავი — გმირი ზღაპრული...

თქვა ეს სიტყვები მან აღელვებით, გმირის მარჯვენა ჩაიკრა გულში, დაუწყო კოცნა, თან დაასველა მწვავე ცრემლებით...

ქალის სიტყვებმა აუჩუყა გული მოურავს, იმან სინაზით მოხვია ხელი მთებისა ასულს და მიიხუტა ფართო მკერდზე ძმური ალერსით. იყვნენ კარგახანს ასე მდუმარედ. იმათი გულნი ერთიმეორეს შეეღერებოდნენ, უსაზღვროდ ბედნიერ ცაროს სახეზე კი ციალებდა ნეტარების შარავანდედი და ამშვენებდა ქალწულის სახეს. მცირე ხანს შემდეგ ქალმა აღახვნა ბაგე და გაუმეღავნა დიდსა მოურავს, ვით აღსარება, თავის განცდები გულის კვნესანი...

ღრმად ჩაფიქრებული საკაძე აღელვებით ისმენდა ცაროს აღსარებას და ეს სიტყვები, გულის სიღრმიდან ამონახეთქი, სწვავდა გმირის არსებას. ქალმა ისიც კი უამბო ვითარ შეიქნა მტკვრის პირას უნებლი მოწამე მოურავისა და ნუგზარის ასულის ურთიერთ პირველ ნახვისა, საუბრისა და მიჯნურობისა, ან რარიგ იტანჯებოდა იმ ჟამად ბუჩქებში მიმალული, რარიგ განიზრახა თამარის მოკვლა; ხოლო გმირისადმი უზენაესმა სიყვარულმა შეაჩერა და ააცდინა კაცის მკვლელობას.

— მაშ, შენა, ჩემზე ეგზომ შეყვარებული, ვითარ მიწყობდი ხელს თამარის გატაცებაში?! — წამოიძახა გაოცებით მოურავმა.

— ამას მამხელდა იგივ შენდამი უსაზღვრო სიყვარული... ასეთ მოქმედების ჟამსა ცხრებოდა ჩემი შფოთარე გული და ივსებოდა უსაზღვრო სიხარულით... ვნეტარებდი შენი ბედნიერების სხივებში გახვეული... ამჟამად შენთან ერთად მიყვარს უზომოდ შენი მშვენიერი, სათნო მეუღლე თამარ და ტურფა ვაჟები; მზად ვარ გავწირო მათთვის სიცოცხლე, ხოლო შენს ნაცვლად სიკვდილი ჩემთვის უდიდესი ნეტარებაა და ახლაც, შენი გადარჩენის ჟამს, ამ ყაჩაღს რომ

მოვეკალ, ჩემი სული ნეტარებით გაფრინდებოდა ზეცას შენ-და მიმართ სიყვარულის უზენაესი ლოცვის მღაღადებელი...

ფრიად შეაკრთო ამ სიტყვებმა სააკაძე. იგი სავსებით შეეპყრო ამ ქალის სიტყვებს. ცაროს ასეთ უმაგალითო სიყვარულში ის მზერდა რაღაც დიად მოვლენას.

— „მხოლოდ კავკასიონის მაღალ მთებს ძალუძს წარმოშვას ასეთი საზღაპრო მოვლენა ერის უზენაესი განსაცდელის ჟამს“... — ასე ფიქრობდა მოურავი და შეესტრფოდა ქალის მგზნებარე სახეს. — დიადმა ბუნებამ ქართველი ერის სულიერ ძლევამოსილობის ჟამსა წარმოშვა პირიმზე თამარ, ქვრივ-ობოლთა ნუგეში, ხალხის მფარველი, მტერთა ზარმცემი, ერის დიდება, ციურ მშვენებით და მეფური სიბრძნით გაშუქებული, საუკუნეთა უწყვეტელ სვლაში შუქურ ვარსკვლავად მანათობელი, და ახლა კიდევ, ამ საშინელ სისხლის წვიმების ჟამსა, როს ჩვენში ძმა აღარ ინდობს საკუთარ ძმასა და გარე მტრები ემუქრებიან განადგურებას რვა ნაწილად დაფლეთილ ჩვენსა სამშობლოს, კავკასიონის მთები ცაროს სახით გვიგზავნიან გმირსა ქალწულსა დიადი ტრფობით სავსე გულითა, მახვილით ხელში, რათა ააფეთქოს და ააფრთოვანოს ერისა სული, შეაგნებინოს ძმობა-ერთობის დიადი ძალა, თან შთაბნთოს ქვეყნის სახსნელად გმირობის ცეცხლი...

ფიქრობდა ამას დიდი მოურავი და ნელი ნაბიჯით მიმოდიოდა თავის ოთახში. შემდეგ მიუბრუნდა ცაროს:

— მაგ წმინდა გრძნობით ასხივებული და მაგ გმირობით გაოცებული მუხლს იდრეკს შენს წინ ივერ-ერანის მთავარსარდალი, კავკასიონის მაღალი მთების ტურფა ასულო! ერის გმირობის დიადო სულო, ქალის სხეულში განსახებულო, მაგ უზენაეს სიყვარულის არა ვარ ღირსი მე მიწიერი! ვერც-კი მივსწვდები მაგ დიად გრძნობას... და, თუ გწადია, ძმად შეევეფიცოთ ერთიმეორეს. შენ და, მე-კი ძმა სამარადისოდ! არა, ორთავე ძმები, ძმადფიცულები, რადგან ამჟამად შენა ხარ გელა, ვაჟად ჩაცმული, გწადს დარჩე ვაჟად, ეგეთ დიდ გრძნობას განაშორო მიწიერ ვნების ბნელი ბურუსი, დარჩე უმანკოდ, იყო ქალწული...

და ამ სიტყვებთან მოურავმა მოხვია ხელი ძმეყსიერ ცა-
როს, ჩაიკრა გულში და მის თეთრ შუბლსა ეამბორა ფაქი-
ზი გრძნობით. შემდეგ ორთავე შეეფიცნენ ერთიმეორეს გა-
ნუყრელ ძმებად. ამ შეფიცვის ყამს მათ სდიოდათ ნელი
ცრემლები...

დილის რიჟრაჟმა ერთიმეორეს გაჰყარა ძმები. ორთავეა
გულში ღრმად ჩაიძირა მთების ასულის ალსარება-სოლოვ-
ლონი.

XV. თეიმურაზ მეფე და შაჰ-აბაზის ვერაგობა

ზამთრის პირია. უკვე დაუთოვია კავკასიონის მაღალი კალთები და ციგ-გომბორის მწვერვალნი, ხოლო ბარად ისევ თბილა, ისევ ხვნა-თესვაა გაჩაღებული. მზიანი დღეები ხასხასა სხივებში ხვევს ალაზნის ველს. ფუსფუსებს მშრომელი ხალხი: სხლავენ საზამთროდ ზვარ-ვენახებს, შესევიან ტყეებს და ამზადებენ შეშას. იხვნება ანეული, შვიდ-შვიდი უღელი ხარ-კამეჩი ზლაზვნით მიიწევს წინ. სმენას ატკბობს მეხრეთა ოროველა. თუშური ცხვარი კარგახანია გაპენტილა თეთრად შირაქის ველზე. თოვლით დამფრთხალი ნიამორნი ჩამოსულან დაბლა, შეჰხიზნებიან ამწვანებულ მინდვრებს. იწყება ნადირობა და უმწეო ცხოველთა ულმო ჟლეტა.

დილაა. მზე უკვე ხასხასებს. გრემის სასახლის აივანზე გამოსულა მაღალი, შუახნის დარბაისელი დედა, ქათიბმოსხმული, თავდახურული; ზის ფეხმოკეცით ტახტზე და გასცქერის აღმოსავლეთით, თითქო ელის ვიღაცას. სათნოებით აღსავსე დიდებულ სახეს ჩრდილავს სევდა-კაეშნის ბურუსი. შავი თმის ორი გრძელი ნაწნავი დაშვებულა ძირს. თვალები ცრემლით ავსებია. ჩაფლულია ღრმა ფიქრებში. მან ვერ შეამჩნია, როგორ გაიღო ოთახის კარი და აივანზე ნელი ნაბიჯით გამოვიდა ახოვანი, ჭარმაგი მოხუცი ნახევრად თეთრად შესირმებული თმა-წვერ-ულვაშით. ის მიუახლოვდა ტახტზე მჯდომს და მოკრძალებით დახარა თავი.

— შენა ხარ, შარმაზან? — გაისმა ქართველი დედის საამო ხმა.

— მე გახლავარ, დედოფალო!

— ნუთუ დღესაც არ დაბრუნდება ჩემი ვაჟი, მეფე თეიმურაზი?! უკვე მესუთე დღეა წასულია! ხომ არაფერი შეემთხვა?!

— ნუ რაიმე გეფიქრებათ, დედოფალო! მეფეს არარა უჭირს. თვით უპირველესი მამაცია, თანაც ახლავან საუკეთესო ვაჟკაცნი: დავით ჯანდიერი, ნოდარ ჯორჯაძე, თამაზ და ედიშა ვაჩნაძენი...

ამ სიტყვებით დამშვიდებულმა ქეთევანმა სიამით გადახედა შარმაზანს და უბრძანა დაჯდომა.

მეფის ლალა ტახტზე ჩამოჯდა ცოტა მოშორებით.

— ღმერთო ჩემო! რას გადაჰყვა ამ წყეულ ნადირობას პაპამისივით! კარგს არას ველი აქედან!

— ნურას სწუხდებით, დედოფალო! ჩვენი თეიმურაზ მეფე ჭაბუკია, ძლივს არის 25 წლისა; სისხლი უდუღს; სწყურია ბოძრაობა, ვარჯიში, სიჩაუქე — გულადობის გამოჩენა და, აჰა, ნადირობით ერთობა!

— ჩემო შარმაზან, განა სხვა უფრო საგულისხმო საქმეები არა აქვს მეფეს, თვინიერ ნადირობისა?! წაგიკითხავს და იცი ჩვენი მატიანე, „ქართლის ცხოვრებაი!" როგორ ფიქრობ, განა მარტო ნადირობაში ალამებდნენ წუთისოფელს ან ვახტანგ გორგასლანი, ან დავით ალმაშენებელი და ან გიორგი ბრწყინვალე?! მათთვის ნადირობა იყო მხოლოდ მცირე შესვენება ხალხზე ზრუნვისა და შემოსეულ მტერთა შემუსვრის შემდეგ...

— დამშვიდდით, დედოფალო! იმათ ხელში გადვიდა მტერთაგან ძლეული, განადგურებული საქართველო, ამიტომაც მის აღდგენა-განმტკიცებას ეჭირვებოდა ხანგრძლივი შრომა, მხნეობა, გმირული თავგანწირვა... ჩვენი თეიმურაზი კი 13 წლის ასაკიდან გახდა ხალხით და ქონებით მდიდარი აყვავებული პატარა კახეთის მეფედ. მას არ ემუქრებოდა და ახლაც არ ემუქრება შინა და გარე მტერი; მრავალნაყოფიერი მიწა, მუდამ უხვი მოსავალი ლალად ხდის ბალნსა და ყმებსა. რაღა დაგვრჩენია, თუ არა ნადირობა, ლხინი და ქეიფი?!

— შენს პირს შაქარი, ჩემო ბრძენო შარმაზან! ვშიშობ, რომ მტრად ვიხდით შაჰბაზს მოსკოვის მეფესთან ელჩების გზავნით.

—ეგ მეც მაშინებს, ჩემო ხელმწიფევ, მაგრამ რა ვქნათ! მეფე თეიმურაზის თვალში შაჰმა დაჰკარგა ნდობა... ამიტომაც ეძებს ღონიერ მფარველს, საიმედო მომხრეს... ასეთად კი სახავს ერთმორწმუნე რუსეთს...

— მართალია, თურქნი და სპარსნი არიან მაჰმადის სჯულისანი, სულთანსა და შაჰს სწადიათ ჩვენი, ქართველების, გამუსულმანება; ძველ დროიდანვე ამ მიზანს სახავენ... სწორია ისიც, რომ რუსეთი, მთლიანად მოსკოვის სამეფო, მართლმადიდებელი ქრისტეანეა ჩვენსავით. ამიტომაც ერთმორწმუნე ხალხის მფარველობა ათწილ გვირჩევნის ამათ მეგობრობასა... ხოლო უბედურება ისაა, რომ მოსკოვის სამეფო ფრიად შორსაა. ხუთი და ექვსი თვე სჭირდება მოსკოვში მისვლას ან იქიდან ჩვენამდე მოღწევას. ამიტომაც ამ სიშორიდან ჩვენი დახმარება მოსკოვის მეფეს არ შეუძლია, კიდეც რომ სწადდეს. ამავე დროს კი ერანი და თურქეთი კარზე გვადგია! ორთავე საქართველოს მეზობლებია. მესაზღვრენი...

— მართალი ბრძანებაა, ჩემო ხელმწიფევ! ყოველივე ესა კარგად მაქვს შეგნებული. ამიტომაც მუდამ იმის საცადში ვარ და ვურჩევ მეფე თეიმურაზს, მოსკოვში დესპანთა გზავნით ნუ აღიზიანებს სულთანსა და მეტადრე შაჰბაზს.

სწორედ ამ დროს შორით გაისმა ბუკის ხმა, რაც ნიშნავდა თეიმურაზ მეფის დაბრუნებას ნადირობიდან.

ბუკის ხმამ გაახარა ყველანი, აივანზე გამოვიდა მთელი ამალა, ყველაზე უმალ კი ხორეშან დედოფალი თავისი ორი ვაჟით. ესენი იყვნენ 5 წლის ლევან და 3 წლის ალექსანდრე. ამათ გამოჰყვა თეიმურაზის ასული პირველი ცოლიდან, 8 წლის დარეჯანი. ბავშვები მიცვივდნენ აივნის მოაჯირთან და იწყეს მხიარული ყივყივი. ეშურებოდნენ ჩაკვროდნენ გულში გვირგვინოსან „ბაბას“.

— ბაბაი მორძანდება! ბაბაი მორძანდება! — ამ სიტყ-

ვებით ჩაირბინეს ბავშვებმა ძირს. მათ მიჰყვნენ ყველანი.

აჰა, მოახლოვდნენ კიდეც! ფართოდ გააღეს ალაყაფის კარები. ეზოში შემოაქროლეს ცხენები მეფემ და მისმა ასაბიამ.

კარისკაცებმა მიულოცეს მეფეს მშვიდობით დაბრუნება და დაუწიეს აბჟანდა. თეიმურაზი გადმოხტა მარდად და ჩაიკრა გულში ჯერ დედა, შემდეგ ცოლშვილი. ბავშვების სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი. ისინი უსხდებოდნენ მუხლებზე, უკოცნიდნენ სახეს...

— რა მოგვიტანე, ბაბაი, რა მოგვიტანე?! — გაიძახოდნენ ისინი. მთელი ოჯახი შესცქეროდა მეფის მხიარულ სახეს და ელოდა სასურველ პასუხს.

— ბევრი რამ, შვილებო! ბევრი რამ! ხოხბები, დურაჯნი, კურდღლები... სწორედ რომ კარგ ფეხზე გავედით სანადიროდ. ბლომად დავხოცეთ ეშვები, ნიამორები, შვლები, მეტადრე კურდღლები, ფრინველნი. მოაქვთ ურმებით. მალე მოვლენ, ორი ისეთი ტახი მოვკალით, რომ განახათ, გაოცდებით! — ამბობდა გახარებული თეიმურაზი და თანაც ეალერსებოდა შვილებს.

— დიდებულია ჩემი ყირიმული თოფი, ნიშანს არ აცდენს, რასაც ვესროლე, იქვე გავაგორე...

ყველანი ამოვიდნენ აივანზე... სუფრა უკვე გაეშალათ დიდ დარბაზში. თავში დაჯდა თეიმურაზი, მის გვერდით დასხდნენ მარჯვნით დედამისი ქეთევან, მარცხნით კი ცოლი, ხორეშან დედოფალი. იმავე სუფრაზე დასხდნენ მეფის თანმხლებნი და კარისკაცნი. შეიქნა პურობა, სმა და ქეიფი. მეფე და მონადირენი მადიანად დაეწაფნენ გემრიელ ნამზადებს და მაგარ საფერავს. თან ყვებოდნენ ნადირობის ამბავს.

თითქმის ათავებდნენ სადილს, როცა ძოხსენდა მეფეს, ირანიდან ესეცაა მოვიდა იფრინდა ფრიად საიდმულო დავალებითაო. წამოდგნენ სუფრიდან შეშფოთებულნი. შაჰის შიკრიკი მეორე ოთახში მიიღო მეფის ლალამ.

— საიდან მოხველი?! — შეეკითხა შარმაზანი.

— ერანიდან, ბატონო! — იყო იფრინდას პასუხი.

— ვისი დავალებით?

— თვით დიდებულმა შაჰმა გამომგზავნა საჩქაროდ. უსტარი მაქვს კახეთის მეფისადმი.

— მომეცი!

— არა ბატონო! არ შემიძლია... დიდი ყეინის ბრძანებაა მე თვით მეფეს გადავცე ეს ფრიად საიდუმლო რაყიმი, რომელიც თვით შაჰმა დასწერა თავის ხელით.

შარმაზანმა ყოველივე აუწყა თეიმურაზსა და დედამისს. ესენი მაშინვე შევიდნენ ოთახში.

მეფის დანახვაზე შიკრიკი განერთხო მიწაზე, შემდეგ წამოდგა, მოიხადა ქუდი, ამოიღო დარაიაში გახვეული მცირე გრაგნილი და მოწიწებით გადასცა თეიმურაზს. მეფემ გადაუგდო ერთი ქისა ოქრო, რაც მარდად დაიჭირა იფრინდამ, და გაისტუმრა სასახლის ქვემო სართულში. გახარებული იფრინდა კვალად განერთხო მიწაზე და მოწიწებით გავიდა გარეთ.

ოთახში დარჩნენ სამნი: თეიმურაზი, ქეთევანი და შარმაზანი. ორივე მხრივ ჩაკეტეს შესავალი კარები და დასხდნენ ტახტზე.

— წაგვიკითხე, ჩემო ლალა, რას იწერება ბებერი მელა, — თქვა დაბალი ხმით მეფემ და გადასცა ჩოლოყაშვილს შაჰის გრაგნილი.

შარმაზანმა გახსნა უსტარი და წაიკითხა ნელი ხმით ქართულად შემდეგი:

— მე, სრულიად მპყრობელი და მბრძანებელი დიდი ერანისა, რან-შირვანისა, ავღან-ყანდარისა და ერაყ-ქურთისტანისა, შაჰაბაზ პირველი, გწერ ჩემ ერთგულ მოხარკეს, კახეთის მეფე თეიმურაზ პირველს: ესეცაა დანამდვილებით ვცანი, რომ ქართლის მეფე ლუარსაბ გიპირებს დიდი ჯარით უეცარ თავდასხმას. სწადის მოგკლას და შეიერთოს მთელი კახეთი, ამრიგად კი გააძლიეროს თავის სამეფო, რათა გახდეს მბრძანებელი მთელი ივერიისა... გამცნევ რა ამას ფრიად საიდუმლოდ, გიბრძანებ: საჩქაროდ შეკრიბო რჩეული ჯარი, დაეცე მოღალატე ლუარსაბსა და მოჰკლა იგი. მთელი ქართლი შენთვის დამილოცნია... შაჰაბაზ.

თავზარი დასცა სამთავეს შაჰის უსტარის შინაარსმა. დუმდნენ, ვერ იღებდნენ ხმას, შესცქეროდნენ ერთმანეთს უზომოდ გაოცებულნი...

— ხედავ, რას მემუქრება ჩემი ცოლისძმა! მოკვლას! სამეფოს წართმევას!—წამოიძახა გამწარებით თეიმურაზმა და წამოიჭრა ტახტიდან ფრიად აღელვებული.

— დამშვიდდი, შვილო! აქ რაღაც სხვა ამბავია! შეუძლებელია ლუარსაბს სწადდეს შენი სიკვდილი და სამეფოს წართმევა! მას თავის ქართლისთვისაც კი ვერ მოუვლია! — წარმოსთქვა წყნარად ქეთევან დედოფალმა.

— მეც მაგ აზრისა გახლავარ, ჩემო ბრძანებელო! — დაიწყო ხმადაწევით შარმაზანმა. — გული მითხრობს, რომ ლუარსაბ მეფე აქ არაფერ შუაშია. ეს სულ შაჰის მოგონილია. აქ იფარვის მისი ჩვეულებრივი ოინბაზობა. მას სურს წაჰკიდოს ერთიმეორეს ივერის მეფენი და ამღვრეულ წყალში დაიჭიროს თევზები... რა ვიცით, რომ ამგვარივე უსტარი მეორე იფრინდას ხელით არ გაუგზავნა ლუარსაბ მეფესაც!

— მართალი ხარ, ბრძენო შარმაზან! შენი ბავები ღალადებენ ჭეშმარიტებას, — თქვა დინჯად ქეთევანმა.

ამ ორი ბრძენი ადამიანის სიტყვებმა მეტად ჩაიფიქრა ეჭვიანი თეიმურაზი, ის ფეხმოკეცით დაჯდა ტახტზე და დაეყრდნო მუთაქას.

— თქვენ ორთავენი მართალი ბრძანდებით! — დაიწყო მცირე სიჩუმის შემდეგ თეიმურაზმა. — შაჰაბაზს რომ კარგი არაფერი სურს არც ჩემთვის და არც ლუარსაბისათვის, ეს კარგად ვიცი. რომ იგი ცბიერია, ორპირი, მზაკვარი და უნდო, ესეც ძლიერ კარგად მესმის! ტყვილა კი არ ვიყავით მის კარზე მე და შარმაზანი სრული ხუთი წელიწადი. ვგონებ, საკმაო დროა, რომ გავცნობოდით იმ ყიზილბაშის ხრიკებსა და ოინბაზობას! მაგრამ რა ვიცით, ეშმაკს თვალი არ უჩანს! სიფრთხილეს კიდევ თავი არ სტკივა! მე და ლუარსაბს ძმებივით გვიყვარს ერთიმეორე, მაგრამ კაცნი ვართ; ვინ იცის, რა სწადია, რა უდევს გულებში! ნუ ვიქნებით ხელდაკრეფით! ჩვენც მოვემზადოთ და დავხვდეთ აგრე! ვგონებ, ასე აჯობებს! — დაამთავრა თეიმურაზმა და წამოდგა.

ქეთევანმა და შარმაზანმა მოუწონეს მეფეს ასეთი აზრი და შეჯერდნენ ამაზე. ისინი გავიდნენ ოთახიდან და შეუდგნენ სამზადისს. ერთ კვირაში შეკრიბეს ხუთიათასამდე საუკეთესო მებრძოლი და დადგნენ საზღვარზე.

ორი დღის შემდეგ გამოჩნდა ლუარსაბ მეფე საკმაო ჯარით. ქართლის მეფემ დაინახა თეიმურაზის რაზმები, დაუახლოვდა საზღვარს, შეჩერდა და იწყო გამაგრება.

ამრიგად გაჭრა შაჰის სატანურმა ხერხმა. ორივე მეფე გაეება მის მახეში. კიდევ ერთი მოუფიქრებელი ნაბიჯი — და უნდა ამოწვდილიყო ქარქაშიდან ალესილი ხმალი, უნდა დაღვრილიყო ძმათა სისხლი. მაგრამ ორივე სამეფო გადაარჩინა საშინელ ხიფათს შარმაზან ჩოლოყაშვილმა. მან შეაჩერა თეიმურაზი, წავიდა ლუარსაბთან და აჩვენა შაჰაბაზის უსტარი, თეიმურაზთან მინაწერი. ლუარსაბის გაოცებას არ ჰქონდა საზღვარი. ამანაც აჩვენა შარმაზანს ყეინის უსტარი, იმავე შინაარსის. ამრიგად გამოაშკარავდა ყველაფერი. სიძე-ცოლისძმა, სამტროდ მოსულნი, მოყვრად გადაეხვიენ ერთიმეორეს და განშორდნენ დიდი ლხინის შემდეგ.

სცნო რა ეს ამბავი შაჰაბაზმა, მიმართა მეორე ხერხს: მიიწვია სანადიროდ თეიმურაზი და ლუარსაბი, რათა ორთავე ჩაეგდო ხელში. აქაც გადაარჩინა ისინი ამ ხიფათს იმავე შარმაზანმა. მან დაარწმუნა ორივე მეფე, რომ შაჰი სასიკეთოდ არ იწვევს მათ, ამათაც დაიშალეს წასვლა.

როცა ყეინი ვერას გახდა ამ ოინითაც, მაშინ შეაგროვა დიდი ჯარი და მოადგა ივერიის საზღვრებს, ვითომდა თურქეთზე სალაშქროდ.

არც ერთი მეფე არ შეეცადა მომზადებას და მტრის დახვედრას.

განჯიდან შაჰმა შეუთვალა თეიმურაზს: ოსმალეთზე მივალ საომრად, შენს ქვეყანაზე უნდა გავიარო, ამიტომ ნიშნად ერთგულებისა გამომიგზავნე ძეკლად შენი ვაჟი, რათა შენგნით არაფერი ზიანი მიეცეს ჩემს ჯარსაო.

თეიმურაზი ჩავარდა ყოყმანში, აშკარად გრძნობდა, რას ნიშნავდა ეს შემოთვლა. არ სწადდა შვილის გაგზავნა, მაგრამ კახეთის დიდებულებმა დაატანეს ძალა, აიძულეს გაეგ-

ზავნა შაჰისათვის უმცროსი ვაჟი ალექსანდრე; თან გააყოლეს სახელოვანი სარდალი დავით ჯანდიერი. შაჰმა იწყინა და შეუთვალა თეიმურაზს: ძიძა ხომ არა ვარ, ძუძუმწოვარ ბალღს რო მიგზავნი! თუ ცუდი რამ არ გიდევს გულში, რად არ გამომიგზავნე შენი უფროსი ვაჟი?! გამომიგზავნე იგი, თან გამოაყოლე დედაშენიც. შვილს ღირსეულად გაგიზრდი, დედაშენს ქეთევანს მოველაპარაკები ერთ საქმეზე და გამოვუშვებ, თან გამოვატან შენს უმცროს ვაჟსაო.

— გვატყუებს წყეული შაჰაბაზ! გვატყუებს უსათუოდ! — შესძახა გამწარებულმა თეიმურაზმა. — მას სწადია ჩაგვიგდოს ხელში!

კახეთის თავადნი კი გადაჭრით თხოულობდნენ უფროსი ვაჟის გაგზავნას.

— უნდა შესწირო ქვეყანას ეგ შვილიც, თორემ ის ვეშაპი მთელ კახეთს ააოხრებს! — გაიძახოდნენ კახეთის დიდებულნი.

დიდი მუდარის შემდეგ თეიმურაზი დაჰყვა ნებას, გაუგზავნა ყეინს თავისი დედა ქეთევანი და უფროსი ვაჟი ლევანი, თან გააყოლა მათ თავისი და ელენე და დიდებულთა მრავალი ქალ-ვაჟი.

ამის შემდეგ შაჰაბაზმა დაიბარა თვით თეიმურაზი. დაიბნა კახეთის მეფე. ჯარის მოწვევისა და საომრად მზადების ნაცვლად ის ეძებდა გასაქცევ გზა-ბილიკებს იმერეთისკენ. მასზე ვერ გაჭრა კახთა ვედრებამ, რომ ხლებოდა შაჰს და მით ეხსნა ოხრებისაგან ქვეყანა. თეიმურაზი დარჩა ურყევად. მან შეკრიბა თავად-აზნაურთაგან დიდი ამალა, ამ ამალით და მთელი ოჯახობით გადვიდა ქართლში, აქედან გავარდა იმერეთს, თან წაიყვანა მეფე ლუარსაბიც.

შაჰაბაზი თავისი ლაშქრით შევიდა კახეთში. ამავე დროს მან უყელ ა დიდი რაზმით თეიმურაზს დასაჭერად. მაგრამ თეიმურაზის ასაბიამ საარაკო სიმამაცე გამოიჩინა: ეკვეთა მტერს გმირულად, ცხარე ბრძოლით გააპო ირანთა მხედრობა და ორთავ მეფითურთ გადვიდა იმერეთს.

მტრის ჯარების შემოსევამ შიშის ზარი დასცა მთელ კახეთს. გავარდა ხმა: თეიმურაზ მეფე დიდი ამალით გაიქცა

იმერეთს და უპატრონოდ დააგდო ქვეყანაო. ამ ამბავმა კიდევ უარესი ელდა დასცა ხალხს.

— „გაიხიზნეთ! თავს უშველეთ! გადამალეთ ჯალაბნი და ქონება! არიდეთ თავი ბეტრის საშინელ რისხვას!“

ეს სიტყვები გლოვის ზარივით მოედო ალაზნის ველს.

აჰა, იანვრის საშინელ ყინვა-სიცივეში დაიძრა მთებისაკენ მთელი კახეთი! ქალი და კაცი, ყრმა და მოხუცი, ცხენი და ურემი ათასობით იჭედებოდნენ ვიწრო გზა-ბილიკებზე და იყო უსაშველო ვაება და ჟრიამული! საშინელება იყო ამ სასტიკ ზამთარში ამოდენა ხალხის მთებისაკენ დაძვრა და შეფარება. მაგრამ რა უნდა ექნათ, როცა სხვა გზა არ იყო! უმწეოდ დარჩენილმა ხალხმა დაკარგა თავგზა და გარბოდა ტყე-ღრეში ცხვრის ფარასავით დამფრთხალი. ასეთ საშინელ განსაცდელში ჩავარდა კახეთი.

ქართლ-კახეთის მეფეთა იმერეთში გაქცევამ კიდევ უფრო გააბრაზა ერანის შაჰი. მან გადაწყვიტა ორთავ სამეფოს აოხრება. შაჰის ერთი ნიშანი, ერთი შეძახება საკმაო იყო, რომ ირანის ლაშქარი მშიერი მგლებივით დარეოდა ივერიას და ქართველთა სისხლით მოერწყა ქვეყანა...

მაგრამ უცებ დაცხრა მძვინვარე შაჰაბაზი. მან ქარქაშში ჩააგო ამოწვდილი ხმალი. მისი რისხვა ლმობიერებად შეიცვალა.

ვინ იმოქმედა ირანის ბატონზე? ვინ იხსნა ივერი დაღუპვისაგან? ვინ ჩაიღინა ეს სასწაული?

ქვეყნის გადამრჩენი შეიქნა გიორგი საკაძე.

სამშობლოდან გაძევებული დიდი მოურავი იმ დროს თან ახლდა ერანის ბატონს. როგორც ვიცით, მან უამრავ ომში თურქეთ-ავღან-ყანდაართ და სინდთა წინააღმდეგ საარაკოდ ასახელა ირანის დროშა, დაუმტკიცა შაჰს თავისი ერთგულება. საკაძე პირველი კაცი შეიქნა ყეინის სასახლეში. მისი ღიდებული გარეგნობა, რიხი, დარბაისელი კილო, მაღალი გონება და სამხედრო ოსტატობა ხიბლავდა შაჰაბაზს. ყეინი ხშირად ჰკითხავდა რჩევას დიდ მოურავს. ირანის შაჰი იჯერებდა მის სიტყვებს.

ახლაც, ამ მძიმე დროს, შაჰმა მიმართა საკაძეს. ივერიის ქებულმა შვილმა ნათლად დაუმტკიცა მრისხანე შაჰს, რა განსაცდელში აგდებდა თავის ლაშქარს.

მან აუხსნა, რომ ბრძოლის დაწყებით ფეხზე დადგებოდა მთელი ქართლი და მესხეთი, მათ ჰყავდათ გამოცდილი სარდლები, ხელთ ეპყრათ ციხე-სიმაგრენი და შეუვალი ალაგები. ომის დაწყება აამხედრებდა აგრეთვე იმერეთსა და გურია-სამეგრელოს, ისინი მოეშველებოდენ თავის ძმებს, აამოძრავებდენ მასთან მთის ხალხებს. ამ ბრძოლაში ჩაერეოდნენ თურქებიც, ისინი ისარგებლებდნენ ასეთი შემთხვევით. ამიტომ ამ ბრძოლის დაწყებით დიდ ხიფათში ვარდებოდა ირანის ჯარი. საკაძის აზრით, ირანის ბატონმა უნდა დააცხროს თავისი მრისხანება. ლმობიერად მოექცეს ქართლ-კახეთს, ხალხსა და დიდებულთ, რათა მოიგოს მათი გული, ააღებინოს ხელი სხვა მფარველის ძებნაზე.

დიდი მოურავის ასეთი ბრძნული რჩევა ჭკუაში დაუჯდა შაჰაბაზს. მან დაიცხრო გული და დაადგა მშვიდობიან გზას, დაუტკბა ივერიის დიდებულთ, დაურიგა საჩუქრები, გასცა ბრძანება თავის ლაშქარში, რომ არავის ჩაედინა ცარცვა, რბევა და ძალმომრეობა. რამდენიმე დამნაშავე ასეთ საქმეში სასტიკად დაასჯევინა თავის თვალწინ და მით შიშის ზარი შეიტანა თავის მხედრობაში.

კახეთიდან შაჰაბაზი ქართლში გადავიდა. მისი მიზანი იყო როგორმე ჩაეგდო ხელში ორთავე გაქცეული მეფე, ლუარსაბი და თეიმურაზი. შაჰმა გაუგზავნა იმერთა მეფე გიორგის თავისი ვეზირი სარუხოჯა, მეტად გაქნილი, და მისწერა უსტარი, რითაც სთხოვდა გადმოეცა მისთვის ორივე გაქცეული, მასთან შეფარებული მეფე.

გიორგი მეფემ დიდი პატივით მიიღო შაჰაბაზის დესპანი, განგებ შეაჩერა დიდხანს, აჩვენა ქვეყნის სიმდიდრე და ძლიერება, გაიწვია ოდიშში, ლუარსაბ მეფის ნიშნობაში დადიანის ქალზე, სადაც სარუხოჯამ ნახა ისეთი ციუხვე, რომ განცვიფრდა. შემდეგ იმერთა მეფემ მისწერა, შაჰს მეტად ბრძნული პასუხი. იგი სწერდა შაჰს, რომ ორთავე მეფე მი-

სი ახლო ნათესავია; გარდა ამისა, ქართული ჩვეულება არ აძლევს ნებას გააგდოს სახლიდან სტუმრები. გიორგი სთხოვდა შაჰს აპატიოს ივერთ მეფეებს მათი „დანაშაული", დგებოდა თავდებად, რომ ამიერით ისინი ერთგული ყმები იქნებიან ირანის ტახტისა, აღარ გაბედავენ მის ურჩობას.

ვერ დააკმაყოფილა შაჰაბაზი ასეთმა პასუხმა. მან დააპირა გალაშქრება იმერეთზე; დასძრა კიდეც ჯარები, ხოლო გიორგი მეფე არ დახვდა ლაჩრად, მან სასწრაფოდ შეკრიბა ჯარები, გაამაგრა გადმოსასვლელი ალაგები და სთხოვა დახმარება აფხაზეთ-გურია-სამეგრელოს. მანვე გაგზავნა კაცები ქართლ-კახეთში, მოიწვადინა მათი აჯანყება.

შაჰაბაზმა რაკი სცნო მეფე გიორგის ასეთი მზადება და სიმამაცე, ველარ გაბედა ომის დაწყება, მით უმეტეს რომ ამ ბრძოლაში უსათუოდ ჩაერეოდნენ თურქებიც. ამიტომ შაჰმა ისევ დაიცხრო გული და მოინდომა რაიმე ხერხით ლუარსაბის ხელში ჩაგდება, რა მიზნითაც შეუჩინა პირველად სარუხოჯა, ხოლო შემდეგ მისივე ლალა შადიმან ბარათაშვილი, რომელსაც დაჰპირდა დიდ წყალობას. თეიმურაზ მეფეს კი შეუჩინა მკვლელი. იგი დაიჭირა კახთა მეფის კარის მცველთა უფროსმა ბახუტაშვილმა.

ბოროტი შადიმან შეუჩნდა თავის გაზრდილს ლუარსაბს და იმდენი უჩიჩინა, რომ დაიყოლია კიდეც, ხოლო ქართლის მეფემ მოითხოვა შაჰისაგან ფიცის სიგელი, რომ მას არა ევნება რა. შაჰაბაზმა სიხარულით გაუგზავნა ასეთი რაყიმი, სადაც ეფიცებოდა მაჰმადის საფლავს, რომ მისგან ლუარსაბს არაფერი ევნებოდა, პირიქით მოეპყრობოდა როგორც შვილსა და ახლო მოყვარეს.

ამ ფიცის შემდეგ ლუარსაბი გაჰყვა შადიმანს. შაჰაბაზს შეუსრულდა დიდი ხნის წადილი: ერთი გაქცეული ფრინველი უკვე ჩაიგდო ხელში. შაჰი მოეგება ქართლის მეფეს იმერეთის საზღვარზე, ჩაიკრა გულში, აცრემლდა განგებ და მიმართა საყვედურით: ჩემო ძვირფასო ცოლისძმავ, ჩემო შვილივით გაზრდილო ლუარსაბ! როგორ აჰყევი ჩემს მოღალატე თეიმურაზსა და გადიკარგე იმერეთსაო.

მალე სცნო ლუარსაბმა, რომ მახეში გაება, მარა გვი-
ღა იყო. დააპირა გაპარვა — ვერაფერს გახდა. შაჰს მისთ-
ვის მიჩენილი ჰყავდა მარჯვე მცველები. ისინი ...
თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ამ იშვიათ ტყვეს.

დიდი პატივით ეექცეოდა ლუარსაბს შაჰაბაზი, მეფემ
გვერდით მოისვამდა ნადიმზე და სთავაზობდა საჩექრებს.
მანვე დაადგა თავზე ძვირფასი სამეფო გვირგვინი და მი-
უბოძა განგებ მრავალი ქვეყანა. ტკბილი საუბრით, შექცე-
ვითა და ნადიმით ცბიერი შაჰი თანდათან იტყუებდა ირა-
ნისკენ ქართლის მეფეს.

უმეფოდ დარჩენილ ქართლსა და კახეთს კი განაგებდნენ
შაჰაბაზის მიერ დაყენებული მოხელენი. კახეთის გამგედ
შაჰმა დაადგინა გამაჰმადიანებული იასე, თეიმურაზ მეფის
ბიძაშვილი, რომელსაც მისცა ვეზირებად დავით ჯანდიერი
და ნოდარ ჯორჯაძე. ქართლი კი ფარსადან ციციშვილს
ჩააბარა. ასე დასცა პირსისხლიანმა ირანელმა მტარვალმა ერთ
დროს ძლიერი ივერია.

ამავე დროს არ ისვენებდა იმერეთს მყოფი თეიმურაზი,
ის გზავნიდა დესპანებს მოსკოვში, სწერდა რუსთა ხელმწიფეს
ერცელ პატაკებს, ევედრებოდა დახმარებას, ამხელდა ვერა-
ვობას გულმხეცი შაჰაბაზისა, რომელმაც დაატყვევა მისი დედა
და შვილები, ახლა კიდევ გაიტაცა ქართლის მეფე, მან ჩაით-
რია იმერთა მეფე და გურია-ოდიშის მთავრები.

XVI. კახეთის აჯანყება და შაჰაბაზის ბოროტებანი

შაჰაბაზის მიერ მეფედ დაყენებული იასე მეტად მკაცრად ეპყრობოდა კახეთს, ავიწროებდა დიდებულთ და აწიოკებდა ხალხს. მას ბაძავდნენ ირანელი მოხელენი და ჯარისკაცნი. ამათ თარეშს და უდიერ საქციელს არ ჰქონდა საზღვარი. ამას არ ჯერდებოდა ბოროტი იასე. ის ანგრევდა ტაძრებს, სდევნიდა სამღვდელო პირთ, უპატიოდ ექცეოდა ბერებსა და მონასტრებს, ავრცელებდა მაჰმადის სჯულს.

მაჰმადიანი მეფის ასეთი საქციელი ფრიად აღელვებდა კახეთს. ის მზად იყო იარაღით ხელში მოესპო მტარვალი და მოეშორებინა ირანელთა ბატონობა. ამას ხელს უწყობდა თეიმურაზის კაცების ჩამოსვლა და ხმის გავრცელება, თურქეთის დიდი ჯარი მოდის სპარსელებთან საბრძოლველადო. ახლა კახნი ეძებდნენ გმირს, მოთავეს, მას უნდა აეფრიალებინა აჯანყების დროშა.

აჰა, გამოჩნდნენ ისინიც!

აჯანყების სათავეში ჩადგა კახეთის განთქმული სარდალი დავით ჯანდიერი; მას მიემხრნენ არა ნაკლებ ცნობილი ნოდარ ჯორჯაძე, თამაზ ვაჩნაძე და დელი მამედი. ეს უკანასკნელი, ტომით შირვანელი, წინათ შაჰის სამსახურში იყო, ხოლო ულალატა მას და მიემხრო ქართველთ, რადგან შაჰაბაზი უდიერად მოექცა შირვანელთ, აყარა ისინიც თავისი მიწა-მამულებიდან და სხვაგან გადაასახლა.

აი, ამ ოთხმა გმირმა მოაწყო შეთქმულება, მათ მიიმხრეს თუშ-ფშავ-ხევსურნი და ალავერდობა დღეს მოახდინეს აჯანყება.

როგორც ვიცით, კახეთში ყველაზე უფრო შესანიშნავი ტაძარია ალავერდი, წმ. გიორგის სახელზე აგებული, ყოველი წლის 14 სექტემბერს ამ ეკლესიაში იმართება დიდი დღეობა. მის გალავანში და წინ გაშლილ ალვანის ვრცელ მინდორზე იმ დღეობის დროს იკრიბება აუარება მლოცველი. მთელი კახეთი და მთის ხალხები აქ იყრიან თავს სალოცავად. აქვე იმართება დიდი ბაზრობაც. აი, სწორედ ეს დღე აირჩიეს შეთქმულებმა აჯანყების მოსახდენად.

კახეთში პირველი შემოსევის დროს შაჰაბაზმა შემოავლო ალავერდის ტაძარს ვრცელი, მაღალი გალავანი და გადააკეთა ციხე-სიმაგრედ. აქვე ჩააყენა ჯარი, რომელიც უწესოდ ეპყრობოდა მლოცველთ და დასცინოდა მათ სარწმუნოებას. დადგა ალავერდობა. უამრავი ხალხი მოაწყდა ტაძარს. მოვიდნენ მთის არწივნი, ჯუბა-ჯავშანში ჩამსხდარნი, თუშნი, არაგვნი და ფშავ-ხევსურნი. აქვე იყო შეთქმულთა მოთავე დავით ჯანდიერი თავისი ამხანაგებით. ქართველები ელოდნენ ნიშანს, რომ დარეოდნენ და გაეჟლიტათ ირანელნი. ატყდა პატარა კინკლაობა ირანელ-ქართველთ შორის. მეციხოვნეებმა დაჭრეს რამდენიმე კახი და მთიელი. ეს იყო საკმაო.

— სიკვდილი მტარვალთ! — შესძახა ჯანდიერმა და იძრო ხმალი. ამ დროს გავარდა თოფი. ეს იყო შეთქმულთა ნიშანი. გამწარებული ქართველნი ეძგერნენ მტრის მეციხოვნე ჯარს და იწყეს მუსვრა. ქართველის ელვარე ხმალი თვრებოდა ირანელთა სისხლით. რამდენიმე ჟამი — და გაწყდა ერთიანად მტერი, დახოცილი ირანელნი ეყარნენ ეკლესიის გალავანში.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ კახეთს. შეიქნა მოძრაობა და საომრად მზადება. კახთ მიემხრნენ შირვანელნი. ამ ამბავმა შიშის ზარი დასცა იასეს. მან იწყო მაგრება და ირანელი ჯარის შეგროვება. დღითიდღე ელოდა თავდასხმას.

როცა ასეთი საქმენი ხდებოდა კახეთში, თეიმურაზი იმერეთს იყო შეხიზნული. ამ დროს ეახლნენ კაცები კახეთის გმირთაგან. ისინი აუწყებდნენ ფრიად სასიამოვნო ამბებს: შაჰის ჯარების გაწყვეტას და კახეთის განთავისუფლებას; იწვევდნენ მეფედ.

ამ ამბავმა ააფრთოვანა თეიმურაზი, მაშინვე გაემართა კახეთს დიდი ამალით. ანანურთან მიეგებნენ შეთქმულთა მოთავენი 22.000 მეომრით და მიიღეს მეფე დიდი ზეიმით. ამ ჯარით თეიმურაზი დაეცა იასეს და სასტიკად დაამარცხა. ცხარე ბრძოლაში მოკლეს თვით იასე. აქედან დავით ჯანდიერი გადუხტა ზეგანში გამაგრებულ ირანის ჯარს. მტერი დანებდა უომრად...

ამრიგად კახეთმა გადიგდო მონობის უღელი. იშვებდა და ხარობდა ხალხი. კახეთის ტახტზე დამკვიდრდა თეიმურაზი.

გამაგრდა თუ არა ტახტზე, თეიმურაზმა ხელი მიჰყო იასეს მომხრე კახეთის დიდებულთა ამოწყვეტას. იმავე დროს მისცა შაჰის მტერს დელი-მამედს 10.000 მებრძოლი და შეუსია ირანის საზღვრებს.

დელი-მამედი დაეცა ირანის განაპირა კუთხეებს, ააოხრა ისინი და გაწყვიტა მრავალი ხალხი, ხოლო ირანის ორ ქალაქს, არეშსა და ქამელს, სამუდამოდ მოუღო ბოლო.

ამავე დროს თეიმურაზი გზავნიდა დესპანთა რუსეთში, ევედრებოდა მოსკოვის ხელმწიფეს მიეღო კახეთის სამეფო თავის სრულ მფარველობაში.

ეს ამბები ჩაუვიდა შაჰაბაზს, რამაც გაარისხა უზომოდ. ის მზად იყო თავის კბილებით დაეგლიჯა თეიმურაზი. მისგან დაჯილდოებული და ვეზირებად დაყენებული კახნი, დავით ჯანდიერი და ნოდარ ჯორჯაძე, ღალატობდნენ მას. ამის შემდეგ რა იმედი უნდა ჰქონოდა დანარჩენების! აშკარად მზერდა, რომ დღეს თუ ხვალ მთელი ივერი ჩაუვარდებოდა ხელში დიდ რუსეთს, რომლის ასეთი გაძლიერება და მოახლოვება დაღუპავდა ირანს. ირანის მეფეს ახლავე უნდა მიეღო მკაცრი ზომები, რომ ეს აეცდინა. მან გადაწყვიტა კახთა სასტიკად დასჯა, მთელი ივერიის ხალხის აყრა და მათ ნაცვლად თათრების დასახლება. ამით შაჰს სურდა

საბუდამოდ აეცილებინა თავიდან ეს დიდი საფრთხე. მას სწადდა ჩაეგდო ხელში და მაგრად ჩაეკეტა კავკასიონის კარი, — დარიალის ხეობა, საიდანაც უნდა გადმოსულიყვნენ რუსნი საქართველოში.

შაჰი შეუდგა საქმეს, იწყო დიდი მზადება და ჯარების შეგროვება, ის კარგად იცნობდა ქართველთ, იცოდა, თუ რა მამაცი ხალხი ესახლა ივერიაში. თუმცა ქართლი იყო უმეფოდ, თუმც თეიმურაზი მაშინვე გაიქცეოდა იმერეთს და უპატრონოდ დააგდებდა კახეთს, მაგრამ ამ ორ ჰატარა სამეფოს ჰყავდა ისეთი გამოცდილი სარდლები, ჰქონდა ისეთი ბუნებრივი და ხელოვნური სიმაგრენი, რომ მათი დამარცხება არ იყო აღვილი საქმე. ამას გრძნობდა შაჰაბაზი და იღებდა ზომებს, შაჰის იდუმალი განზრახვა გაიგო დიდმა მოურავმა. ის ხედავდა მის საშინელ რისხვას. ხედავდა, რა გულმოდგინედ იწვევდნენ ჯარებს ირანის ყოველი კუთხიდან. ეს დიდი ლაშქარი უნდა წასულიყო ივერიაში; უნდა გაეჟლიტა კახნი; უნდა აეყარა ქართლის მცხოვრებნი... ამიერით ქართველის სახელი უნდა მოსპობილიყო ივერიაში. ამიერით იქ უნდა დაესახლებინათ სპარსნი და მუღანლოს თათრები...

გმირის გული აივსო ცეცხლით. აშკარად მზერდა ივერიის დაღუპვას. კახეთს კიდევ არ უჭირდა ისე; მას ჰყავდა მეფე და გულშემატკივარი გმირი სარდლები: ქართლი კი სრულიად უპატრონოდ იყო დაგდებული.

საკაძე ეახლა შაჰაბაზს. ყაენმა მიიღო საიდუმლო სენაკში. მოისვა გვერდით, გადახედა თავისი მხვრეტი თვალებით და დაიწყო აღელვებით:

— ივერიის გმირო, ჩემო ერთგულო მოურავო! ხომ სცანი, რარიგ მიღალატეს ჩემი ბრძანებით განდიდებულმა ჯორჯაძემ და ჯანდიერმა! მათ მოაწყვეს აჯანყება და გაჟლიტეს ჩემი მეციხოვნენი. ხომ სცანი აგრეთვე, რაებიც ჩაიდინა ჩემმა მოსისხლე მტერმა თეიმურაზმა! დიდი მხედრობით დეცა ჩემს ერთგულ იასეს, მოჰკლა იგი. ესეც არ იკმარა! ჰგზავნის ელჩებს ჩრდილოეთით, ემუდარება მოსკოვის მეფეს მფარველობასა და ჯარებით დახმარებას

ჩემ წინააღმდეგ... ახლა შენ თვითონ განსაჯე, რისი ღირსიც არიან ესოდენ ბოროტებათა ჩამდენი თეიმურაზ მეფე და მისი სარდლები! იცი, მოურავო, რას ნიშნავს ურუსების ჩამოსვლა ივერიაში? ისინი გადამიკეტავენ გზას კავკასიისაკენ. რას ფიქრობ, ამ მოსალოდნელ ხიფათს გულზე ხელდაკრეფილი უნდა ვუმზირო? არა, ჩემო გიორგი-ხან! მე ერანის ლომს მეძახიან და საქმით უნდა დავამტკიცო ეს სახელწოდება! მწადს გავჟლიტო მთელი კახეთი... ო, რა წამებით მოვკლავდი იმ არამზადას, თეიმურაზ მეფეს, თუ კი ალაჰმა ინება და ჩამიგდო ხელში! რაც შეეხება ქართლსა, მას ერთიანად ავყრი და გადმოვასახლებ ფერეიდანში, ხოლო ივერიაში დავასახლებ ჩემ ერთგულ ადერბილერ თათრებს...

ფრიად მღელვარე შაჰმა შესვა ფიალით შერბეთი და ზურგით მიესვენა მუთაქებს. ის დუმდა. დუმდა აგრეთვე მოურავიც, ღრმა ფიქრებში ჩაფლული, თანაც ცდილობდა არ დაჩნეოდა ცეცხლი, რაც მძაფრად იგზნებოდა მის გულში. შემდეგ ასწია თავი მაღლა, შეანათა ყეინს არწივის თვალები და დაიწყო დინჯად:

— აზიის მბრძანებელო, მესმის შენი უსაზომო რისხვა და გამწარება, თეიმურაზ მეფის მეოხებით გამოწვეული... ის ღირსია ყველაფრისა... არ ვამართლებ აგრეთვე არც ჯანდიერსა და ჯორჯაძეს... ხოლო ვინ იცის, რით იყო გამოწვეული აჯანყება. ამბობენ, იასე მეტად მკაცრად ეპყრობოდა კახეთის მცხოვრებთ და ამასვე ბაძავდნენ მოხელენი და თვით სპარსთა რაზმებიო... აი, ამ გარემოებამ გამოიყვანა კახნი მოთმინებიდან და წარმოშვა მათი აჯანყებაო..

შაჰაბაზი დუმდა და გულდასმით უსმენდა სააკაძეს. მოურავი მიუხვდა და განაგრძო:

— ქვეყნის დიდო მბრძანებელო! გენუკვის შენი ერთგული მოურავი, ნუ ინებებ და ნუ გადიტან მთელ ივერიაზე ორიოდ ბოროტი ადამიანისადმი შურისძიებას... ნუ გასწირავ ქართლსა და კახეთს! გებრალებოდეს უდანაშაულო ხალხი. დიდო მეფევ! შენ უწყი კარგად, რა ჩავიდინეთ ამ

ხუთი წლის წინათ მე და ჩემმა ქართველებმა! ჩვენ დავუპყარით დიდებულ ერანს ავღანი და ყანდაარი, ქურთისტანი და მდიდარი ერაყი: ჩვენ მოვხარეთ სინდეთის ამაყი რაჯა და თურქეთის სულთანი. ჩვენ ვასახელეთ ერანის დროშა აღმოსავლეთით და დასავლეთით! დიდებულო შაჰო! გაიხსენე შენი სიტყვა და ფიცი ევერიის მიმართ!

საკაძე შეჩერდა, ცდილობდა არ დაჩნეოდა მღელვარება მის ხმასა და სახეს. შეეცადა კვლავ მოელბო შაჰის გული ქახეთის მიმართ, მაგრამ ვერას გახდა... შაჰმა შეაწყვეტია სიტყვა და აგრძნობინა, რომ დამთავრდა მათი საუბარი. შეწუხებული მოურავი დაემშვიდობა და გავიდა ოთახიდან.

შაჰაბაზმა გააყოლა თვალი და კვლავ ჩაიფლა ღრმა ფიქრებში...

რამდენიმე დღის შემდეგ შაჰაბაზმა გაგზავნა საკაძე მისი ქართველებით ირანში, თვითონ კი დიდი ლაშქრით გაემართა ევერიაში, რათა მოესრა მთელი ქახეთი.

XVII. სისხლიანი პასექი

— დიდებულო მეფევ! ესეცაა გულის ხეთქებით მოირბინა ჩვენმა იფრინდამ და გვამცნო საზარო ამბავი: დიდი ლაშქრით მოდის კახეთზე გაბრაზებული შაჰაბაზი და გვიპირებს სრულ განადგურებას. დავხვდეთ მტერს, როგორც ეკადრება! — მოახსენა ბზობა დილით მთავარსარდალმა დავით ჯანდიერმა თეიმურაზ მეფეს. გრემის სასახლეში მალე მოიყარეს თავი სხვა ცნობილმა სარდლებმაც: ნოდარ ჯორჯაძემ, ლამაზ ვაჩნაძემ და დელი-მამედმა.

— მე კი ვამბობ, რომ უნდა განვერიდოთ პირდაღრენილ ვეშაპს, — ჩაფიქრებით წარმოსთქვა თეიმურაზმა,—მყის მოვემზადოთ ხელდახელ და გავსწიოთ თიანეთით იმერეთისაკენ.

ის კი არ უწყოდა ამ მეფემ, რომ მაშინ და ახლა სულ სხვადასხვა პოლიტიკა ამოქმედებდა შორსმჭვრეტ დიპლომატს, შაჰაბაზს! პირველ შემოსვლის დროს კიდევ თან ახლდა ივერიის გმირი, ხალხის მოთავე, დიდი მოურავი. მისი მეოხებით ასცდა კახეთს შაჰის რისხვა. ახლა-კი არც საკაძე ახლდა ირანის შაჰსა და თანაც უზომოდ გაბრაზებული იყო კახეთში მომხდარი ამბებით. მეტადრე თეიმურაზ მეფის მოქმედებით. ახლა შაჰი ცოფს ყრიდა კახეთის მიმართ და ემუქრებოდა სრულ განადგურებას. ეს არ იცოდნენ კახეთის ხალხმა და მეფე თეიმურაზმა.

თეიმურაზი მართლა გადაიხვეწა იმერეთს თავისი ცოლშვილით და დიდი ამალით.

აღდგომა თენდებოდა. მთვარე და კაშკაშა ცისკარი მხიარულად დასცქეროდნენ უდაბნოში დავით გარეჯის დიდ მონასტერს; უგზავნიდნენ მკრთალ სხივებს. სხვადასხვა კუთხიდან აქ შეკრებილი ექვსასი ბერი აგზნებული სახით უვლიდა ტაძარს ლიტანიას, ანთებული კელაპტრებით ხელში, და გალობდნენ „ქრისტე აღსდგას“. ეს ღაღადი გუგუნით ეფინებოდა მიდამოს ამ მყუდრო ღამეში. ექვსას კელაპტარს გაჰქონდა პრიალი...

— ეს რა ჩირაღდანია?! — წამოიძახა მრისხანე შაჰმა.

— უდაბნოს ბერები დღესასწაულობენ თავის პასექს, დიდებულო შაჰო! — იყო პასუხი.

— გაქლიტეთ მთლიანად! გაქლიტეთ გიაურები! — დაიღრიალა მტარვალმა.

შაჰაბაზის ბრძანებაზე ხუთასი ცხენოსანი დაეშვა უდაბნოსაკენ ამოღებული ხმლით და დაერია უმწეო ბერებს. შეიქნა საზარო მუსვრა. მშიერი აფთრებივით ეძგერნენ ირანელნი უიარაღო მოხუც ბერებს და დაუწყეს ჟლეტა-არ შეაკრთო მორწმუნე ივერნი ამ ველურმა თავდასხმამ, ისინი ისევ დამშვიდებით უვლიდნენ ტაძარს და ღაღადებდნენ „ქრისტე აღსდგას“, იხოცებოდნენ ჯვრით და კელაპტრით ხელში... ერთსა და იმავე დროს დიადი და საზარი იყო ეს სურათი: კიდევ ათიოდე წამი — და ექვსასი ბერი ეყარა დახოცილი ტაძრის ირგვლივ მონასტრის ზღუდეთა შორის. არც ერთი კვნესა არ აღმოხდა მათ ბაგეს. ეს ბერები შეიქნენ ყეინის რისხვის პირველი მსხვერპლნი ივერიის საზღვრებს შიგნით. ამათი სისხლით მოირწყო კახეთში შესავალი გზა. ეს იყო მცირე საწყისი საშინელი ტრაგედიისა, რაც იმ ხანებში დატრიალდა ალაზნის ველზე...

კახეთის ხალხმა არად მიიჩნია მეფის გადახვეწა. ის იყო სრულიად დამშვიდებული და იმედოვანი, რომ შაჰაბაზი არ ერჩოდა მას, მოექცეოდა ლმობიერად და დაყვავებით. როგორც ეს ჩაიდინა პირველი შემოსევის ჟამსა.

საშინლად მოტყუვდა გულუბრყვილო ხალხი! მან არ უწყოდა, რა გაბრაზებული მოდიოდა კახეთზე ვერაგი შაჰაბაზი, ან რა ფარული ზრახვანი ამოქმედებდა ირანის ბატონს.

უკვე ათასფერებად ყვაოდა ალაზნის ველი, გაზაფხულის თილისმით გაღვიძებული. ნებივრობდა იგი აპრილის მზის სხივებში უხვად მცურავი. ზურმუხტად შეფოთლილი ტყენი მთა-გორაკებზე, ამწვანებული ველ-მინდორი და შუაში მდორედ გაშლილი ალაზანი თავისი გიჟმაჟი შენაკადებით ამკობდენ პატარძალივით შემკულ კახეთის ბუნებას. მინდერად სამუშაოდ გამოფენილი ხალხი, მრავლად გაშლილი გუთნეული, მათზე მოღიღინე „ურმული“ და „ოროველა“, გაცხარებული ხვნა-თესვა, აქა-იქ ამწვანებული ჯეჯილები, ზვრებში აცრემლებული ვაზები, უკვე გასხლული და ჭიგოებზე გაკრული, ქმნიდნენ სიტკბო-სიცოცხლეს სოფლის მყუდრო ცხოვრებაში.

ამ გადაშლილს აღმოსავლეთის გეზით დიდებულ ველს ალამაზებდა აგრეთვე ფართო ქსელებად გაშლილი თამარ მეფის თაოსნობით მეთორმეტე საუკუნის დამლევს აგებული დედოფლის არხი, რომელიც რწყავდა ასიათასამდე დღიურ ნოყიერ მიწებს, აძლევდა მათ გვალვის დროს საჭირო ლამს და ყოველწლივ უმცდარად უვსებდა პურ-ღვინით ბეღლებსა და მარნებს კახეთ-ქიზიყის ნახევარ მილიონ მცხოვრებთ...

დღეს-კი მოხდენით ასევადებდა ოქროს ფერებად ამ ტურფა ედემს დიდი მნათობი. დღეს მუშაობდა მინდორ-ველად გლეხი მშრომელი, დღეს რწყავდა უხვად ხოდაბუნებს არხი თამარის, დღეს რაკრაკებდა „ოროველას“ და „მუმლი მუხას“ მშრომელი ხალხი, დღეს ნეტარებდა და იშვებდა მთელი კახეთი... არავინ უწყოდა, თუ რა რისხვას დასცემდა ხვალე.

საშინელებას უმზადებდა უბედურ კახეთს ხვალინდელი დღე.

ქართლის საზღვარზე კახეთიდან გამოქცეულ თეიმურაზს შეეფეთა სპარსთა რაზმები. შორსმჭვრეტმა შაჰმა წინასწარ გამოგზავნა მის დასაჭერად ორი გამოჩენილი სარდალი: ისპანდიარ-ბეგი და ალიყულა-ხან 15 ათასი მეომრით. ამათ უყელეს ქართლიდან თეიმურაზს და შეუკრეს გასაქცევი გზები.

დიდ საფრთხეში ჩავარდა თეიმურაზი. მას მოელოდა ტყვეობა და სიკვდილი. მან ადრევე შეკრიბა ერწო-თიანე-

თში სამიათასამდე მებრძოლი, და თავის დიდ ამალასთან ერთად 5 ათას კაცამდე ჰყავდა და სულ ამ ჯარით ეკვეთა მტერს ისეთი გამწარებით, რომ საშინლად დაამარცხა სამჯერ მეტი ირანის ჯარი და გამარჯვებული გადავიდა იმერეთს, საიდანაც გაუგზავნა სულთანს ფეშკაშად ირანელთა 2500 თავი, რათა ამ სახით მოეგო თურქთა ფადიშას გული.

ამ ამბავმა კიდევ უფრო გააბრაზა მძვინვარე შაჰი, იგი შემოვიდა თბილისში, დასვა ქართლის მეფედ ლუარსაბის ბიძა, თავისი ერთგული გამუსულმანებული ბაგრატმირზა, დაუყენა მთავარ ვეზირად დიდი მოურავის უფროსი ძმა ბეჟან სააკაძე, თვითონ კი ურიცხვი ჯარით გადავიდა კახეთს, რათა მთლიანად მოესპო ეს მხარე.

XVIII. კახეთის აოხრება

სამი მხრიდან მოედო კახეთს ირანის ლაშქარი ცეცხლითა და მახვილით ხელში. ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა ალაზნის ველზე. გამხეცებული მტერი მოედვა სოფლებს, დაბა-ქალაქებს და უმოწყალოდ ჟლეტდა ქართველ ხალხს. მათი სისხლით წითლად იღებებოდა მთა, ველი და მინდორი. რასაც ვერ სწვდებოდა ირანელთა მახვილი, მას ანადგურებდა ცეცხლი. საშინელი ხანძარი მძვინვარებდა ალაზნის ველზე, სპობდა ივერთ ქონებას და სარჩო-საგანძურს. ულმო სტიქიონის უმაძღარი ხახა ნთქავდა ყველაფერს.

იწოდა ქალაქები, სოფლები, ბაღ-ვენახები, ინგრეოდა მკვიდრად ნაგები ციხე-კოშკები, ტაძრები და მონასტრები... ამ საშინელ ჯოჯოხეთში ისმოდა თოფ-ზარბაზნების გრიალი, მტრის მახვილის ჩახაჩუხი და ქართველი ხალხის სისხლის თქრიალი. მომაკვდავის მწარე კვნესა, ჩვილის უმწეო ჩხავილი და ნამუსახდილი ქალწულის საზარო კივილი სწვდებოდა თვით ზეცას, მაგრამ ზეცა დუმდა. მას არ აშფოთებდა ქართველის სისხლი და ცრემლები, არ აშფოთებდა სპარსთა მხეცობა და ველურობა...

კახნი არ მოელოდნენ ასეთ ჯოჯოხეთს. მათ არ ესმოდათ, რა ფარული ზრახვანი ამოქმედებდა ირანის შაჰს. მათ კარგად ახსოვდათ შაჰის პირველი შემოსვლა. სწორედ ამის გამო, კახეთის მცხოვრებნი სრულიად მოუმზადებელი დახვდნენ მძვინვარე მტერს. ახლა კი ამ უმაგალითო მუსვრამ

ღა ცეცხლმა შიშის ზარი დასცა მთელ კახეთს. ხალხი თავისი ცოლშვილით და სარჩო ქონებით ეცა მთებს, სამალავ ალაგებს, მარა გვიანღა იყო! წინდახედულ მტერს უკვე შეეკრა მათთვის გასაქცევი გზები, ამიტომ ათასობით უვარდებოდნენ ტყვედ ან იელიტებოდნენ მტრის მახვილით. ვინც კი ასწრებდა მთებში შეფარებას, უარესი დღე ადგებოდათ იქ ლეკებისაგან. შაჰაბაზმა კახეთს დასარბევად მიუსია ისინი. ლეკთა ბრბონი უტევდნენ მთებიღან და ბარიდან დამფრთხალ ივერთ და მუსრს ავლებდნენ, იტაცებდნენ ქალებს და ბავშვებს, ართმევდნენ სარჩოს, ჯოგსა და მთელ ქონებას.

80 ათასი ქართველი ქალი და კაცი გაწყდა ერთ თვეში ალაზნის ველზე ამ საშინელი მუსვრის დროს, 150 ათასი ქართველი კი ტყვედ ჩაუვარდა გალაღებულ მტერს.

ბევრი საზარო უბედურება განიცადა საქართველომ თავის ხანგრძლივ ისტორიაში, მაგრამ ამგვარი რამ არ ენახა არასდროს. შაჰაბაზის მტარვალობის წინაშე გაფერმკრთალდნენ მურვან ყრუს, არპასლანის, მალექშაჰის, ჯელალედინის, ლანგთემურის და აზიის სხვა მბრძანებელთა მხეცური მოქმედებანი ქართველთა მიმართ. შაჰაბაზმა გადააჭარბა ყველას. მან მოიწადინა კახეთის მოსპობა და მიზანს მიაღწია თითქმის.

— გონს მოდით, ძმებო! შესდექით! ნუ გარბიხართ უგზო-უკვლოდ ცხვრის ფარასავით დაფრთხალნი! გამხნევდით! ქართველს არ შეჰფერის ეგეთი ლაჩრობა! შეერთდით! შეიარაღდით! დავუხვდეთ მტერს მამაცად! ან ვაბრუნებინოთ პირი, ან შევაკვდეთ გმირულად! ნუ შევარჩენთ ყიზილბაშთ ჩვენი ქვეყნის დარბევას, აოხრებას, ოჯახის აწიოკებას, ხალხის ტყვევნა გაელეტეს! — გაიძახოდა მჭექარე ხმით გურჯანელი გლეხი ილო ჯალიაშვილი, თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი, ზორბა ალინგობის, შავგვრემანი სახის ვაჟკაცი.

— ძმებო, ხომ ხედავთ რა გვიყვეს მეფემ და თავადებმა! თვითონ ადრევე გაიქცნენ ცოლ-შვილით და თავი შეაფარეს იმერეთს, ჩვენ-კი დაგვყარეს უპატრონოდ. დღეიდან ჩვენ თვითონ ვართ ჩვენი თავის პატრონი და ჭირისუფალი. მოქუჩდით ჩემთან, კახეთის ვაჟნო, ვისაც კი გიდუღთ ძარღვებში ვაჟკაცობის სისხლი! მოგროვდით ჩემთან, ვისაც კი გიძგერთ ძველი ქართველის მამაცი გული! „ჭირსა შინა გაძაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“ — ბრძანებს დიდი რუსთაველი; ამაზე მეტი ჭირი და ვაება არ დასდგომია და არც დაადგება უბედურ კახეთს... ოჯახს გვინგრევენ, ცოლ-შვილს გვიტყვევებენ, გვიუპატიურებენ, სახლებს და ბაღ-ვენახებს გვიწვავენ, ყანებსა და სარჩოს გვისპობენ, ჩვენ თვითონ ცხვრებივით გვჟლეტენ... ასეთ დროს შებრძოლებისა და გმირულად შეკვდომის ნაცვლად გარბიხართ ლაჩრად, ძვრებით თაგვის სოროში. სირცხვილი თქვენი! გონს მოდით! შეიარაღდით, შეერთდით, მოქუჩდით ჩემთან და, აჰა, საერთო ძალით მივიტანოთ მედგარი იერიშები გამხეცებულ მტერზე! „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია“ — ბრძანა დიდმა შოთამ, და ჩვენც, თუმცა ცოტანი, ვაჯობებთ ათჯერ უმეტეს მტერსა, თუ გამოვიდებთ თავს და შევებრძოლებით მედგრად... განვაგდოთ, ძმებო, შიში, ვიქცეთ ლომებად და გამარჯვებაც ჩვენია!

ასე გაიძახოდა თავისი მჭექარე ხმით იგივე მამაცი ილო და დაქროდა თავის ლუში ცხენით დაბა-სოფლებში. მისი მძლავრი ხმა, ვითარცა ბუკი, გრგვინავდა მძლავრად და უდგამდა მის გამგონთ გმირობის სულს. მოდიოდნენ ილო ჯალიაშვილთან კახეთის გლეხის შვილები, მამაცი ვაჟნი ასობით იარაღჟურვილნი და დგებოდნენ მის დროშასთან იმ რწმენით, რომ ან გაეძევებინათ მტერი, ან გმირულ ბრძოლაში შეჰკვდომოდნენ ძას. გმირი ილოც სანაქებოდ ბელადობდა ამ გლეხთა რაზმებს, ისინი ხელდახელ აგებდნენ სიმაგრეებს, ანუ სიგნახებს, მფრინავი რაზმების სახით ეცემოდნენ მოულოდნელად ალაზნის ველზე სათარეშოდ გაბნეულ მტერს და საგრძნობ ზიანს აყენებდნენ მოულოდნელი თავდასხმით. მეტ წილად რიჟრაჟზე ართმევდნენ

მტერს ტყვეებსა და ნადავლს, სურსათს, იარაღს და ელეტ-
დნენ საკმაოდ. იმუსრებოდა კახეთის ხალხი, იმუსრებოდნენ
ილოს მფრინავი რაზმები, მაგრამ იელიტებოდა მტერიც...
ამან საგონებელში ჩააგდო ვერაგი შაჰაბაზი; მან გადასწყ-
ვიტა დროით გასცლოდა კახეთს, რომლის მოსპობასაც ის
აპირებდა.

თითქმის ერთ თვეს დარჩა შაჰაბაზი კახეთში. ერთი თვის
მანძილზე იწოდა, იელიტებოდა და ფეხქვეშ ითელებოდა
მდიდარი ქვეყანა. წყდებოდნენ კახნი თავისი ცოლშვილით,
მაგრამ წყდებოდნენ მტრებიც. ქართველებმა იაფად არ და-
უსვეს მტერს თავის დაღუპვა. უკიდურესმა გამწარებამ კახ-
ნი გმირებად აქცია და ისინი იბრძოდნენ, როგორც დაჭრი-
ლი ლომნი თავის ბუნაგში. უთავბოლო, გაბნეული უიარა-
ღო ხალხი ბევრს ვერას აწყობდა შაჰის გააფთრებულ რაზ-
მებთან. მათ ბელადობდნენ გამოცდილი სარდლები და იყვ-
ნენ აღჭურვილი საუკეთესო იარაღით: თოფებით, ზარბაზ-
ნებით და ზამბურაკებით...

ასე დამთავრდა ეს საშინელი ტრაგედია...

ეს უმაგალითო ამბები გლოვის ზარივით მოედო მთელ სა-
ქართველოს, ყველა გლოვობდა კახეთის აოხრებას, განად-
გურებას და ხალხის ველურად გაჟლეტას. კოლხ-მესხეთ-
ივერიის ვერც ერთმა კუთხემ ვერ შეძლო დახმარებოდა თა-
ვის მოძმე კახელთ იმ საბედისწერო ბრძოლებისა და ჟლე-
ტის დროს! აი, რას ნიშნავდა დაქსაქსვა წვრილ სამეფო-
სამთავროებად! ხოლო ამ დროს ირანში იყო ერთი გადახვე-
წილი ქართველი, ის ყველაზე მეტად გლოვობდა კახეთის
დაღუპვას. შაჰის უმაგალითო მტარვალობამ და მისი ჯარე-
ბის ბარბაროსობამ შურისძიებით აავსო მისი გული და მან
გადაწყვიტა სამაგიეროს გადახდა. ის ეძებდა მარჯვე დროს
და ეს ჟამიც მალე დადგა...

XIX. ქართველი ტყვეები

შაჰაბაზმა იჯერა გული. მან აოხრა მთელი კახეთი და ქიზიყი, გაწყვიტა ოთხმოციათასი მცხოვრები და დაატყვევა 150 ათასამდე ქალი და კაცი. დაჰყო ისინი ურდოებად და დაუპირა ირანში გადასახლება. ტყვეებს შორის ჭარბობდნენ ქალები. ამათში შაჰის ბრძანებით არჩეულ იქნა სამიათასი ულამაზესი ქალწული, ასაკით 13 წლიდან 18 წლამდე. მათ შორის ას ოცი უტურფესი ასული შაჰის ბრძანებით ადრევე გაიგზავნა თეირანს, მისი ჰარემის დასამშვენებლად, დანარჩენები-კი შაჰმა ჯილდოდ დაურიგა ჯარების უფროსებს, რითაც ფრიად ასიამოვნა და მოიგო მათი გული.

ივნისის დამდეგს გავარდა ხმა — ორი კვირის შემდეგ ქართველ ტყვეებს გზავნიან ირანშიო. ეს ხმა ელვის სისწრაფით მოედო მთელ ივერიას. ამ საზარო ამბავმა ელდა დასცა კახეთ-ქიზიყის დაბა-სოფლებში უპატრონოდ დაყრილ მოხუც-დავრდომილთ. ამ ამბავმა მწარე ბოლმით აავსო მთებში შეხიზნულნი; აქ საუკეთესო ბიჭები დაფაცურდნენ, შეითქვნენ, შეეფიცნენ ძმებად ერთმანეთს, შეადგინეს რაზმები და გადაწყვიტეს დასცემოდნენ ღამე ირანის ჯარს, გუშაგად გამყოლს და რათაც არ უნდა დასჯდომოდათ გაეთავისუფლებინათ, თუ ყველა არა, ქართველი ტყვეების ნაწილი მაინც.

ივნისის 15-ს დილით ადრე უჩვეულო მოძრაობა შეიქნა ირანელთა მთავარ ბანაკში. ამ დღეს მიჰყავდათ ქართველი ტყვენი.

ირანის ბატონმა ისურვა თავისი თვალით ენახა ეს ტყვეები. ამიტომ მთავარი ბანაკის გადაღმით გორაკზე ააგეს მდიდრული ჩარდახი, რომელიც ამაყად დაჰყურებდა ვრცელ მინდორს. აქ უნდა შეეკრიბათ ყველა ბანაკიდან ქართველი ტყვენი, რიცხვით 150 ათასამდე. და ეს ამოდენა ხალხი—ქალი, კაცი და მოზარდი, ამ სიცხეში უნდა გაერეკათ ცხვრის ფარასავით შორეულ ირანში.

აჰა, გამოვიდა თავისი ძვირფასი კარავიდან ვერაგი შაჰაბაზი, თავისი ცოლებით და ბრწყინვალე ამალით გარემოცული! ოქროს ტახტრევანით მივიდა იგი ოქსინოთი მოფარდაგებულ ჩარდახში! დასვეს იგი ძვირფასი თვლებით მოოქვილ ოქროს სევანზე. ამ დროს ვრცელი მინდორი ივსებოდა ტყვეებით. ბოლმა და სიბრაზე ელავდა შაჰის ბოროტ თვალებში. მოშავო ფერი დასცემდა მის მკრთალ შავწვერა სახეს. მისი ბრძანებით განადგურდა ივერიის საუკეთესო ნაწილი, მან ნაცარტუტად აქცია იგი.

ამ ფიქრებში იყო გართული შაჰაბაზი, ოდეს გაისმა ზურნა-დუდუკის ხმები. უკრავდნენ რააბს ყეინის სადიდებლად. მალე გამოჩნდნენ დროშებით ხელში თეთრ არაბულ ცხენებზე მსხდარი მდიდრულად მორთული და იარაღასხმული შაჰსევანები — შაჰის გვარდია. ჩარდახის წინ დროშების დახრით მწყობრად ჩაიარა ათასმა მხედარმა. ამათ უკან მოდიოდნენ ხროვად და არეულად, თავდახრით, ზურგზე ტვირთმოდებული, ზოგი ერთმანეთზე გადაბმული ქართველი ტყვენი, მოდიოდნენ ჯგუფებად, ზოგიც ხროვად, ფართოდ უწყვეტ მდინარედ. მოდიოდნენ ფეხშიშველნი, დაფლეთილი სამოსით, მოდიოდნენ ერთ საზარო გლოვად და ვაებად ქცეულნი... მოდიოდნენ... ქალებს მოჰყავდათ ხელჩაკიდებით ბავშვები, ზოგიერთს კიდევ ხელში ეკავათ ხამის ფალასებში გახვეული ძუძუთა ბავშვები. ტყვეების სახეზე იხატებოდა უსაზღვრო ჯავრი და განწირულება. ისინი სამუდამოდ სტოვებდნენ იმ მიწა-წყალს, იმ ტურფა მხრეს, სადაც დაიბადნენ და აღიზარდნენ, სადაც ეგულვოდათ წინაპართა საფლავნი, სადაც გრძნობდნენ თავს ბედნიერად; ტოვებდნენ თავის საყვარელ ველსა და მინდორს, მთებსა

და მდინარეს... ტოვებდნენ ზვრებსა და ბაღებს და, აჰა, ერეკებიან... სად? შორეულ, ხრიოკ, შხამიან გველ-მორიელებით სავსე ცხელ ქვეყანაში... და იქ მონებად ქცეულებმა უნდა ათრიონ ტანჯვა-წამებით თავისი ძაღლური ცხოვრება...

შაჰმა შორიდანვე შენიშნა ქართველი ტყვენი... წამოდგა ზეზე, გააოცა ამ სიმრავლემ. ამ პაპანება სიცხეში ამ უბედურ ხალხს მოელოდა გრძელ მგზავრობაში აშკარა დაღუპვა, სიკვდილი... გადარჩენილთ კი — სიტიტვლე, შიმშილი, გაჭირვება, დამცირება, ძალადობა, ნამუსის ახდა...

ჩარდახს მიუახლოვდნენ ქართველი ტყვეები. ამათ იცნეს მტარვალი, უცებ შედგნენ ყველანი და შებღავლეს გამწარებით:

— შაჰაბაზ! გვაკმარე ესოდენი ტანჯვა-წამება და დამცირება! ნუ გვღუპავ ამოდენა უდანაშაულო ხალხს! ნუ გვგლეჯავ მამა-პაპეულ მიწა-მამულიდან! ნუ გვერეკები შორეულ ქვეყანაში! დაგვტოვე აქვე! შეიბრალე ჩვენი უბედური ცოლ-შვილი: შეიბრალე შინ ოხრად დაყრილი ჩვენი მოხუცი მშობლები... მოიღე მოწყალება, შეგვიბრალე! ან ბრძანე და აქვე დაგვხოცონ ბარემ... ჩვენთვის ათასწილ სჯობია აქ, ჩვენს ქვეყანაში, სიკვდილი, ვინემ შორეულ გზაზე ტანჯვა-წამებით დაღუპვა... არ წავალთ! აქვე დაგვხოცე ყველანი!

ხალხი დაემხო მიწაზე... გაისმა ყრუ ქვითინი, გაისმა ქალთა და ბავშვთა საშინელი წივილ-კივილი.

პირსისხლიანმა მტარვალმა მოიბრუნა დაღმეჭილი სახე, უხმოდ ანიშნა ეჯიბთ განეგრძოთ გზა ირანისაკენ... შოლტ-მათრახების ცემით არეკეს დამხობილი ხალხი... საზარო ბღავილი აღმოხდა უბედურ ტყვეებს... გაისმა დედაკაცების წყევლა-კრულვა და გლოვა-ტირილი.

— მტარვალო! სისხლის მღვრელო! საზიზღარო! ულმობელო! ურჯულო! ვერაგო! დამღუპველო! — ყრუდ ისმოდა ეს სიტყვები ხალხის საშინელ გმინვასთან ერთად...

უგულო მზე მხიარულად იცინოდა კრიალა ცაზე და უხვად ჰფენდა მიდამოს მხურვალე სხივებს, ძირს, მიწაზე კი 150 ათასი ქართველი ტყვე მწარედ მოთქვამდა, იგლეჯდა

თმასა და წვერს. უხეში ძალმომრეობა მათრახის ცემით ერეკებოდა მათ სამშობლოდან შორეულ ირანში.

ეს უამრავი ხალხი ზლაზვნით გაშორდა შაჰის ჩარდახს, განვლო მინდორი და გრძლად გაიშალა ფართო შარაგზაზე. მინდვრის ბოლოს მათ დახვდნენ კახეთ-ქიზიყის სოფლებიდან ჩამოსული მოხუცი მშობლები და ახლო ნათესავნი. ერთმანეთის დანახვაზე ორივე მხრიდან გაისმა საშინელი ქვითინი. მიიწიეს, რათა უკანასკნელად მაინც ჩაჰკვროდნენ ერთიმეორეს დედ-მამა და შვილები, ბებია-ბაბუა და ბადიშები, მაგრამ სარანგ-ეჯიბთა შინდის შოლტებმა, ცხენოსან ჯართა მწვავე მათხარებმა, ქვეითი ჯარის შუბებმა და თოფის კონდახებმა არ მისცეს მათ საშუალება უკანასკნელი ხვევნა-ამბორით სამუდამოდ განშორებოდნენ ერთმანეთს. მხოლოდ ისმოდა ორივე მხრიდან მწარე მოთქმა და გოდება, რასაც ბანს აძლევდა ახლო სოფლებიდან უპატრონოდ დაყრილ ძაღლთა საშინელი ყმუილი... მისცეს ნიშანი და დაიძრა ამოდენა ხალხი. წინ მიდიოდა მწყობრად და ნელი ნაბიჯით ათასი ცხენოსანი შაჰსევანი. მათ უკან ჯგროდ და წელმოწყვეტით მიდიოდნენ ქართველი ტყვენი, სიმრავლის გამო სამ-ოთხ ეჯზე გაშლილნი. ესენი ადრევე დაეყოთ ურდოებად, თითოში ოც-ოცი ათასი ქალი და კაცი. თვითეულ ურდოს გარს ეხვივნენ ხელჯოხიანი სარანგ-ეჯიბნი და მათრახით ხელში ცხენოსანი ჯარი, რიცხვით ორიათასი მხედარი. სულ უკან კი მოჭრიალებდა ათიათასი ურემი და მოჩაქჩაქებდა უამრავი ჯორი და აქლემი, ნადავლით მძიმედ ტვირთულნი. ამათ მოერეკებოდნენ ისევ ქართველი ტყვენი. ხოლო ამათ მცველად და გუშაგად გამოეყოთ სამიათასი ქვეითი და ორიათასი ცხენოსანი ჯარი. ამრიგად, ტყვეებსა და ნადავლს გუშაგებად მიჰყვებოდნენ სულ ხუთიათასი სარანგ-ეჯიბი, ოციათასი ცხენოსანი და ქვეითი ჯარისკაცი, გურგენ-ხანის სარდლობით.

მზე უკვე ჩასვლაზე იყო, როცა ისინი კარგად დაშორდნენ მტრის ხელით აოხრებულ გარეჯის უდაბნოს (მონასტერს) და მიაწიეს სასვენ და გასათევ ალაგამდე მდინარის პირას. მალე გაკეთდა უზარმაზარი ბანაკი; აქ შეჩერდნენ

ყველანი, დასხდნენ, შეისვენეს. მთელი დღის სიარულით მწარედ დაქანცული ტყვენი, მეტადრე ქალები და ბავშვები, მკვდრებივით დაეყარნენ მიწაზე. დაღამდა კიდეც, ლუში უმთვარო ცა გაიჭედა ვარსკვლავებით. ჯარისკაცებმა აქა-იქ დაანთეს ცეცხლი, უფრო თავის შესაქცევად. შეუდგნენ ვახშმის ჭამასა და მასლაათს. იმათ ნაბრძანები ჰქონდათ მეტად ფხიზლად ყოფილიყვნენ პირველ ორ-სამ ღამეს მაინც, რადგან მთებში შეფარებულ კაცებგან ეშინოდათ თავდასხმის. ასე ამხილა ადრევე თვით შაჰაბაზს ჯაშუშის ენამ.

შუაღამეს კარგად გადასცილდა. ტკბილად ეძინა გურგენ-ხანის ჯარს გაშლილ მინდორზე. ეძინათ ქარიველ ტყვეებს, მწარე დაქანცულთ. დროგამოშვებით ისმოდა გმინვა და კვნესა, იმათ გულის სიღრმიდან აღმოხეთქილი, თანაც ხანდაზმით სმენას ბზარავდა გუშაგთ ყივილი. აჰა, მოსწყინდაო ამათაც ამ კუნაპეტ ღამეში გუშაგობა, წაგორდნენ მოლზე, მილულეს თვალი... მათაც დაეუფლა მძლეთა-მძლე მორფეი; მალე ჩაიფლნენ გუშაგნიც ძილის ლუმბრაში.

ძინავს გურგენ-ხანის უზარმაზარ ბანაკს გაშლილ მინდორზე. ამ ძილს ტკბილ ნანას უგალობს ფართო მდინარე ნელი დუდუნით... შორეული სოფლებიდან მოისმა ოდნავ გასაგონად მამალთ პირველი ყივილი. თითქო ამას უცდიდენო, მინდვრის სამი მხრივ შემორტყმულ მაღნარიდან გამოჩნდნენ შავი ლანდები. მოდიოდნენ, შეჩერდნენ, შეჯგუფდნენ. შეეფარნენ ისევ ტყეს. ელოდებიან ვიღაცას. ბანაკის მხრიდან გამოჩნდა სამი შავი ლანდი, ფორთხვით მომავალი, მიუახლოვდნენ ტყეს, შეეფარნენ ისინიც. — რა ჰქენით? რა გაიგეთ? კარგად დაზვერეთ?

შეეკითხა მოსულთ რაზმის უფროსი გიგა აფციაური ჩურჩულით.

— შევედით ბანაკში, დავხოცეთ ხანჯლით ოთხი მძინარე გუშაგი, ავართვით იარაღი და ტყვია-წამალი. მშვიდობით განვლეთ ჯარის რგოლი. მივაღწიეთ ტყვეებს. ფრთხილად გავაღვიძეთ მამაკაცები, ვამცნეთ ჩვენი მიზანი, გადავეცით იარაღი, რომელიც ავართვით მოკლულ გუშაგთ, აგრეთვე გადავეცით ხანჯლები თან წაღებული. უსაზღვრო იყო მა-

თი სიხარული. მაშინვე დასჭრეს თოკები, რითაც იყვნენ ერთმანეთზე გადაბმულნი სამი და ოთხი ერთად. საუკეთესო ვაჟკაცნი ასე მიჰყავთ იმ წყეულებს, ასევე ერთმანეთზე გადაბმულნი მიჰყავთ ლამაზი ქალებიც...

— ეს მითხარი, გაიგეთ რამე ჩვენს გოგოებზე? — შეეკითხა გულის ფანცქალით ერთი ჭაბუკი.

— სანუგეშო ვერაფერი; არ იციან, რომელ ურდოში არიან... ერთმა ისიც კი გვითხრა, რომ ამ ორი კვირის წინათ ყეინმა სამიათასამდე ულამაზესი ქალწული დაურიგა თავის სარდლებსა და იმ ჯარისკაცებს, რომელთაც თავი ისახელეს კახეთის აოხრებაშიო.

საშინელი გმინვა აღმოხდათ ჭაბუკებს, ბრაზით აენთოთ თვალები. ერთხანს დუმდნენ ყველანი.

— მაშ, ტყვილა ჩაგვიარა ამოდენა ცდამ?! — გამწარებით წაიფუჩუნა მაღალი ტანის ჭაბუკმა.

— რას ბრძავ, ბიჭო! შეუძახა გიგამ. — განა ამისთვის მოვსულვართ? ჩვენი უმთავრესი მიზანი ხომ ტყვეთა განთავისუფლებაა... განა ამისთვის არ წამოგვყვენ კიდევ ჩვენი ძმადფიცულნი, ლომივით ვაჟკაცნი, 600-მდე თუშ-ფშავ ხევსური?

ჭაბუკმა დარცხვენით ჩაღუნა თავი.

— მაშ, ასე, ძმებო, დაყოვნების დრო აღარაა! — დაიწყო ისევ გიგამ, მთელი რაზმი უკვე გაყოფილია სამ ნაწილად და სამი მხრივ უნდა დავეცეთ ბანაკს. თოფ-დამბაჩების სროლით, სამხედრო ყიჟინით და ბუკთა ბღავილით შიშის ზარი დავცეთ მტერს, ავრიოთ უეცარი თავდასხმით მათი რაზმები და შევიტანოთ მათში ჟლეტა და სიკვდილი. იმავე დროს გავამხნეოთ ტყვეები, გადავცეთ თან წამოღებული ზედმეტი იარაღი თავის დასაცავად, ვამცნოთ თავშესაფარი ალაგები. ამრიგად დიდ ზიანს მივაყენებთ მტერს და ბლომადაც გადავარჩენთ ქართველ ტყვეებს, — დააბოლოვა მამაცმა გიგამ.

— აბა, მომყევით, ძმებო! შესხედით ცხენებზე, დაეწყვეთ რაზმებად, მიუახლოვდით ბანაკს სამი მხრივ. ჩემი ნიშანი იქნება თოფის გასროლა და თქვენც თოფ-დამბაჩების სრო-

ლით, ყიჟინით მამაცად შეუტიეთ მტერს! — წამოიძახა მანვე და ელვის სისწრაფით მოახტა თავის ლურჯას. სხვებმაც მიბაძეს მას. გააქანეს ცხენები ბანაკისაკენ. გავარდა თოფი გიგას ხელში; მას მიჰყვა რამდენიმე ასეული თოფ-დამბაჩების გრიალი. აბღავლდა ათეული ბუკი და ნაღარა. გიგამ რჩეული რაზმით სამი მხრივ იერიშით შეუტია მტერს და შეიტანა ირანელთა ბანაკში შიში და სიკვდილი. ქართველის შუბი, დამბაჩა, ხმალი და კალდიმი ასობით სპობდნენ ყიზილბაშთ.

წამოცვივდნენ ზარდაცემული მტრები და ეცნენ იარაღს. ძილით გაბრუებულნი, მოულოდნელობით უსაზღვროდ შიშატანილნი ამ სიბნელეში ვეღარ სცნობდნენ მტერსა და მოკეთეს, შეცდომით ჟლეტდნენ ერთმანეთს.

იკადრა გამოსვლა თავისი კარავიდან დიაცთ ალერსით დამთვრალმა გურგენ-ხანმა.

— რა ამბავია?! რა მოხდა?! — იკითხა მან და სწრაფად შეიმოსა ბექთარით და ჯუბა-ჯავშნით.

— ქართველები დაგვესხნენ... გვჟლეტავენ... ტყვეები მიჰყავთ... იყო პასუხი.

ერთი წუთი — და გიგას რაზმებმა რამდენიმე ალაგს გააპეს მცველთა რგოლი და ცხენდაცხენ მიიჭრნენ ტყვეებთან, გადუყარეს იარაღი და შესძახეს:

— თავს უშველეთ, ძმებო და დებო! შედით ყველანი ე იმ ტყეში... იქ დაგხვდებიან ჩვენი ეტიკნი და გეტყვიან, რა გეზით უნდა წახვიდეთ, რომ თავი დააღწიოთ ამ საშინელ ყოფას... გასწიეთ სამგორისაკენ. იქიდან უშიშრად მიაღწევთ შესაფარ ალაგებს, სადაც დაგხვდებიან ჩვენები...

— ვინ ხართ, მადლიანებო, რომ ასე თავი გასწირეთ ჩვენთვის! — შეეკითხა ერთი ცნობისმოყვარე დედაკაცი.

— თქვენი მოძმენი, მთებში ადრევე შეფარებულნი და ჩვენი ძმადფიცულნი ზამაცი თუშ-ფშავ-ხევსურნი, მოიელნი და მოხევენი, — იყო პასუხი.

— იკურთხოს თქვენი მარჯვენა! გფარავდეთ წმ. გიორგი, ჩვენო დამხსნელნო!

აბღავლდა ხალხი მეტის სიხარულით და მიღებული იარაღით შეუდგნენ საქმეს.

— შაჰსევანები! — დაიღრიალა გურგენ-ხანმა.

ველარ მოასწრო გაგრძელება, რომ იქვე გაჩნდნენ ცხენზე მსხდარი ასისთავები. მათ უკან მოსდევდა მწყობრად ათასი რჩეული ცხენოსანი.

— ხედავთ, რას სჩადიან გიაურები! ასეთი თავხედობა განა გაგონილა?!

— ამას მოველოდით კიდეც, მაგრამ დროზე ვერ მივიღეთ ზომები...

— რამდენი არიან?

— ვფიქრობთ, 1500-მდე იქნება. აჰა, თენდება კიდეც. ჯარი უკვე მოვიდა გონს და იბრძვის მედგრად.

— ხედავთ, ტყვეები გარბიან! გარბიან! — წამოიყვირა გურგენ-ხანმა.

— დიახ, გარბიან... მაგრამ ვერსად წაგვივლენ; ზომები მიღებულია, ახლა კი ველით შენს ბრძანებას.

უპასუხეს ასისთავებმა და დახარეს თავი ბელადის წინაშე.

— ცხენი! მომყევით!

დაიღრიალა ისევ გურგენ-ხანმა და სწრაფად მოაჯდა თეთრ არაბულ მერანს.

— სიკვდილი გიაურებს! — დასჭექა მანვე და ხმალამოწვდილი გაქანდა იქით, სადაც ჯგუფად იბრძოდნენ ქართველი რაზმები. მას დაედევნა ათასი შაჰსევანი.

ასეთ თავდასხმას ამოდენა ჯარით არ მოელოდნენ ქართველი რაზმელნი, სამ ნაწილად გაყოფილნი და ჯგუფებად გაბნეულნი 2-3 ეჯის მანძილზე. ისინი შედრკნენ, დაიხიეს უკან და შეჯგუფდნენ. მათ შემოერტყნენ ერთი მხრით შაჰსევანები, ხოლო მეორე მხრით ირანელთა ცხენოსანი და ქვეითი ჯარები, ტყვეთა მცველნი. შეიქნა მედგარი, უზოგველი ბრძოლა, უმეტესად ხმლითა და შუბით. დაჭრილ-დახოცილი ცხენი და კაცი ცურავდნენ სისხლში. ამით ისარგებლეს ტყვეებმა, გარბოდნენ ათასობით და ეფარებოდნენ ტყეებს. მათ დაედევნენ სარანგ-ეჯიბნი და ქვეითი ჯარი, მაგრამ ტყვეთა ერთი ნაწილი იარაღით ხელში სასტიკად უძალდებოდა მტერს და იბრძოდა თავგანწირვით.

თავისუფლების წყურვილმა გმირებად აქცია ისინი. იბრძოდნენ ქალებიც კი და ამხნევებდნენ ქმრებსა და ძმებს. საუბედუროდ, ტყვეებში ათას კაცს თუ ჰქონდა იარაღი, ისიც ზოგს თოფი, ზოგს დამბაჩა, ზოგსაც შუბი, ხმალი ან კალდიმი. ირანის სარანგ-ეჯიბნი და ჯარი კი იყვნენ თავით ფეხამდე შეიარაღებულნი, რიცხვით ამათზე 5-6-ჯერ მეტნი. ამიტომ უპირატესობა აშკარად მტრისაკენ იყო. ეს ათასი ტყვე ქართველი გაწყდა თითქმის მთლიანად, ხოლო თავგანწირული ბრძოლით საკმაოდ შეაკავეს მტრის ჯარი და მით მისცეს საშუალება თავიანთ მოძმეთ, მეტადრე ქალებსა და ბავშვებს, შეფარებოდნენ ტყეებს და გაქცეულიყვნენ ადრევე ნათქვამ მიმართულებით. გაქცეულთ დაედევნენ ირანელნი და დიდი უმეტესობა უკან დააბრუნეს ცემატყეპით.

შაჰსევანებით და ცხენოსანი ჯარებით გარს შემორტყმული გიგა აფციაურის რაზმი ლომივით იბრძოდა, მაგრამ რას გახდებოდა თითქმის ათჯერ მეტ მტერთან! წყდებოდა მტერი, ხოლო წყდებოდნენ ათობით და ასობით გიგას რაზმელნიც. ერთი ჟამის ბრძოლით რაზმი უკვე განახევრდა.

— უაზროა აქ ჩვენი სიკვდილი, ბიჭებო! თავს ვუშველოთ! როგორმე დავაღწიოთ თავი და მივხედოთ ტყვეებს!— შესძახა გიგამ რაზმელთ. — აბა, მომყევით! გავგლიჯოთ მტრის სალტა, გავიშალოთ ფართოდ, დაფანტვით და შევეფაროთ ტყვეებს. იქ ესენი ვერაფერს გვიზმენ. ორასი კაციც რომ გადავრჩეთ ცოცხალი, დიდ დახმარებას გავუწევთ გაქცეულ ტყვეებს. აბა, მარჯვედ, ბიჭებო!

ამ შეძახებასთან ერთად გიგამ შემოატრიალა ცხენი, ელვის სისწრაფით დაეძგერა ზურგით მოქცეულ მტერს, გააპო იგი და ასი კაცით გავიდა სამშვიდობოს. ასევე ჩაიდინეს სხვა ასისთავებმაც, გააპეს მტრის ჯარები, გავიდნენ სამშვიდობოს, გაიფანტნენ სწრაფად და მათრახის ტკაცუნით გააფრინეს ტყვეებისაკენ თავისი პაწია მთიული ცხენები. თოფისა და დამბაჩის სროლით მათ დაედევნენ შაჰსევანები და ცხენოსანი ჯარი. ბედად, ტყე არ იყო შორს და უმეტესობამ მოასწრო შეფარება. ხოლო ნაწილს მოეწიენ სპარსნი

და შაჰსევანები თავის მფრინავ არაბულ ცხენთა მეშვეობით და აკაფეს ხმლით ცხარე ბრძოლაში.

აჰა, წამოეწია გიგას შაჰსევანთა ასისთავი, მოუქნია კიდეც ხმალი, აჰა, უნდა გაგორდეს ძირს გიგას თავი! გიგამ შეიგრძნო, ელვის სისწრაფით გაუხტა განზე და შემოუბრუნდა ხმალამოწვდილი. შეხედეს ერთმანეთს, შედგნენ გაოცებულნი, დაუშვეს ხმალი, მათ იცვნეს ერთიმეორე.

— ძმაო გიგა, შენა ხარ?! — შესძახა შაჰსევანმა.

— ვის ვხედავ, ჩემს უფროს ძმას გულბაათს! — წამოიყვირა გიგამ.

ხუთი წლის უნახავი ძმები გადაეხვივნენ ერთმანეთს.

— ბიჭებო, რას უდგეხართ მანდ! აქეთ მოიწიეთ! — შესძახა გულბაათმა არა ნაკლებ გაოცებულ სამოცამდე შაჰსევანთ, თავის მხლებელთ, — ხედავთ, ბრიყვები რას ჩავდივართ? ჩვენს საკუთარ ძმებს ვეღლეტავთ! აი, როგორ დაგვაბრმავა შაჰაბაზის ოქრომ და ჯილდო-პატივმა! აი, ეს ჩემი ღვიძლი ძმაა, გიგა აფციაური, მე კი მისი ძმა ვარ, გულბაათ, ირანში ჰასან-ბეით წოდებული. ამ წუთას უნდა დაგვეღვარა ერთმანეთის სისხლი. რისთვის? რატომ? ხოლო განგებამ შეგვიბრალა და არ გამხადა ძმის მკვლელი.

— ნუთუ შაჰსევანები ქართველები ხართ? — გაიოცა გიგამ.

— განა არ იცი? თითქმის ყველანი, ხოლო მაჰმადის სჯულმიღებულნი. ერანის ჯარებში საუკეთესო ვაუკაცნი ქართველები არიან. ჩვენ პირადად შაჰის მცველნი ვართ, რიცხვით სულ ათიათასამდე. შაჰაბაზი არ ენდობა არავის, თვინიერ ქართველთა. შთამომავლობით იგი ხომ ადერბილერი თათარია, შიხის გვარისა, მასთან ქართველი დედის შვილი! მას არ უყვარს სპარსნი და არც დიდი გვარის სპარსთ უყვართ იგი. ორჯერ შეთქმულებაც კი იყო მის წინააღმდეგ, მაგრამ ადრევე გაიგო და წამებით დახოცა შეთქმულთა ბელადნი.

— ახლა რას აპირებთ, ძმაო გულბაათ და თქვენც, მამაცო შაჰსევანებო? მოდიხართ ჩვენთან, თუ დაბრუნდებით სპარსთა ბანაკში? — შეეკითხა გიგა.

— მოვდივართ ყველანი! — შესძახეს ერთხმად — რა გვინ-

და მტარვალთან, რომელმაც ასე აოხრა ჩვენი ქვეყანა და დაღუპა ამდენი ხალხი! წაგვიყვა ჩვენ უბედურ მოძძეებთან, გვეყო სიბრმავე! გვეყო უსჯულო მტრის სამსახური!

ამ სიტყვებით ყველანი შემოეხვივნენ გიგას. ქართველი რაზმის უფროსი გადაეხვია მათ ძმურად და თვალცრემლიანი გაუძღვა წინ. ისინი მალე შეეფარნენ ტყეს.

მცირე ხნის შემდეგ ტყის მეორე მხრიდან გაისმა ქალის საშინელი კივილი. ეს კივილი მისწვდა გიგას ერთი რაზმელის სმენას. იგი ჩამორჩენოდა ამხანაგებს და ბორიალობდა ტყეში, თითქოს ეძებს ვიღაცასო. ქალის კივილზე ვაჟმა გაქუსლა ცხენი. ორს ეჯიბს ჩაეგდო ხელში გლეხის ლამაზი გოგო, წაექციათ მიწაზე და უპირებდნენ ნამუსის ახდას. ქალი იბრძოდა გააფთრებით, უკაწრავდა სახეს გამხეცებულ მტრებს, ჰკბენდა ხელებზე და თან გაჰკიოდა ცივი ხმით, ითხოვდა შველას, აჰა, მოქანცეს გოგო, შეუკრეს ხელფეხი თოკით, და ისიც იყო ერთი შათგანი უპირებდა პატივის ახდას, როს იელვა ხმალმა რაზმელის ხელში და ორივე ეჯიბის თავი ერთიმეორეზე გაგორდა ძირს.

ვაჟი სწრაფად გადმოხტა ცხენიდან, მიიჭრა გონდაკარგულ ქალთან და გაუხსნა ხელები, დააცქერდა გაოცებული, იცნო თავის საცოლო.

— ღმერთო! ვის ვხედავ! მელანო, შენა?—წამოიყვირა ვაჟმა.

ქალმა შეიცნო ხმა, ოდნავ გაახილა მიბნედილი შავი თვალები და მიაჩერდა ვაჟს.

— ჩემო მალხაზ! ჩემო სიცოცხლე... ჩემო... ქალი ჩაეკრა ვაჟს და მეტის სიხარულით წაუვიდა გული...

ნაზი კოცნა-ალერსით მალხაზმა მალე მოასულიერა თავისი სატრფო.

— რარიგ გაჩნდი აქ, ჩემო ყველავ?! — რომელმა ანგელოზმა გამოგგზავნა ჩემდა საშველად?!

ეკვროდა ქალი ამ სიტყვებით, თან უკოცნიდა სახეს, უკოცნიდა კოკობ ულვაშებს...

ეს მწვავე კოცნა, ქალის ალერსი, ნაზი ხმები შარბათივით ესხმოდა გულში, აღიზიანებდა ჟინსა და ლტოლვას. მალხაზი ძლივს იკავებდა თავს.

— შენ გეძებდი აქ, ამ ტყეში, ჩემო სიცოცხლევ! გული მითხრობდა, აქ იპოვი შენს მელანოსო. აჰა, გიპოვე კიდეც, ჩემო სამოთხევ! გიპოვე, ჩემო ნეტარებავ!

— წავიდეთ, ჩემო სიცოცხლევ, თავს ვუშველოთ! არ მოგვისწრონ იმ წყეულებმა! — წაიფუჩუნა ქალმა და ალერსით შეხედა ვაჟს.

— წავიდეთ, ჩემო ნეტარებავ! წავიდეთ!

ამ სიტყვებით ვაჟმა შემოისვა ცხენზე თავისი სატრფო და გაუდგა გზას ადრევე აღნიშნული მიმართულებით. ერთი საათის შემდეგ ისინი გავიდნენ სამშვიდობოს და წამოეწიენ შაჰსევანებით გარემოცულ გიგას, სამხედრო სიმღერით ნელა მიმავალთ.

უკვე გაშუადღევდა, ოდეს ტყვეთა მოსაგროვებლად გაფანტული მტრის ჯარი და სარანგ-ეჯიბნი დაბრუნდნენ. იმათ საშინელი ცემა-ტყეპით მორეკეს ქართველი ტყვენი, დააბინავეს, დათვალეს; აღმოჩნდა 129 ათასამდე ქალი და კაცი და მოზარდი. თავს უშველა ოცი ათასმა, ათასამდე ვაჟკაცი კი დაიღუპა ბრძოლაში. ამ ბრძოლაში დაიღუპნენ ცხრაასამდე თავდამსხმელი გიგას რაზმელნი, ოთხასამდე შაჰსევანი და სამიათასამდე ირანელთა ჩვეულებრივი ჯარი და სარანგ-ეჯიბნი. სამოცამდე შაჰსევანი და მათი ასისთავი ჰასან-ბეი დაიკარგნენ უგზო-უკვლოდ; გურგენ-ხანმა ვერა გაიგო რა მათ შესახებ.

მესამე დღეს საღამო ჟამს ეს უზარმაზარი ურდო-ქარავანი მიუახლოვდა საზღვარს. დაბინავდნენ ვრცელ მინდორზე მტკვრის პირას. მდინარის გაღმით იწყებოდა განჯის სახანო, იგი შედიოდა შაჰის სახელმწიფოს ფარგლებში. აქ თავდებოდა ივერია. შეაქუჩეს ერთად ქართველი ტყვეები, გარს შემოარტყეს ჯარი ორ-სამ სალტად სიფრთხილისათვის და შემოავლეს ბლომად საიმედო გუშაგნი.

დაღამდა. ბნელი ჩადრი გადაეფარა მიდამოს. ცა ალამაზდა ციმციმა ვარსკვლავებით. სარანგ-ეჯიბებმა და ჯარისკაცებმა აქა-იქ დაანთეს ცეცხლი, მიუსხდნენ და იწყეს ლაზღანდარობა, შეუდგნენ კვეხნას, თუ ვინ რამდენი ტყვე გააუპატიურა, გაცარცვა, დაჭრა ან მოკლა კიდეც.

ქართველი ტყვეები კი დიდ-პატარიანად მისცემოდნენ უსაზღვრო სევდას, ჯავრსა და კაეშანს. უკანასკნელად ათვალნენ ისინი ღამეს საქართველოს მიწა-წყალზე. ხვალ დილით ადრე იმათ გადაიყვანდნენ ამ ფართო მდინარეზე, რომლის გაღმით იწყება შაჰის სამფლობელო, და გაირეკენ ულევ გზა-შარაზე შორეული ირანისაკენ... ამიერით ველარ იხილავენ თავიანთ ქვეყანას, თავიანთ სოფლებს, ციხე-კოშკებს, აქოჩრილ მთებსა და ცელქ მდინარეებს. ველარ იხილავენ თავიანთ მოხუც მშობლებს, იქ ობლად დაყრილთ, ამიერით ველარ იხილავენ მოყვრებსა და ნათესავთ, ადრევე მთებში შეხიზნულთ...

ასე ფიქრობდა თითოეული მათგანი, ევსებოდათ გული ცეცხლით, შხამით, ნაღველით.

— ოჰ, ნეტავ იმათ, ვინც ახლა მთებშია შეხიზნული! — ღრმა ამოოხვრით წაიფუჩუნა ერთმა.

— ოჰ ნეტავ იმათ, ვინც თავი დააღწიეს გუშინწინ და გავიდნენ სამშვიდობოს!—წამოიძახა მეორემ მძიმე ამოკვნესით.

— ოჰ ნეტავ იმათ, ვინც დაიხოცნენ ბრძოლაში და გადურჩნენ იმ საშინელ ტანჯვას, რაც მოგველის ყველას ამ შორეულ გზაზე! — ამოიხვნეშა მწარედ მესამემ.

ამ სიტყვებმა გამოიწვიეს ქალებს შორის გულამოსკვნილი გოდება-ქვითინი. ისევ მიწყნარდნენ, მიყუჩდნენ... გამეფდა სამარისებური სიჩუმე. შუაღამე მოახლოვდა, მაგრამ არავის ეკარებოდა ძილი... ისევ საერთო უსაზღვრო კაეშანი და მწუხარების შავი ლუმბრა...

აჰა, ამ სიბნელეში გაისმა ფანდურის ხმა, სიჩუმე დაარღვია სიმთა მკვნესარე ჰანგებმა. სიმებს აჰყვა ადამიანის სევდიანი ხმები. მღეროდა დაბალი ხმით ჭარმაგი მოხუცი, ერთ დროს ფრიად მამაცი მინდია წიკლაური, ძველთა-ძველ გლოვის სიმღერას. მძიმე ჰანგებს ექსოვებოდა ცრემლი და ვაება... ამ ხმებში გამოსჭვივოდა მთელი ქართველი ერის ტანჯვა-წამებით სავსე წარსული. მინდიას ლექსში ქართლოსის მოდგმა ედარებოდა ამირან-გმირს, კავკასიონის კლდეზე მიჯაჭვულს. გმირს — ბუმბერაზს უფლეთავს გულღვიძლს უმაძღარი ძერა, მაგრამ იგი არ იხრის ქედს, ითმენს

ათას წელთა მანძილზე ტანჯვა-წამებას. ის ელის მხსნელს, ელის საბოლოო გამარჯვებას... უმაძღარი ძერა კი ის უამრავი მტერია, რომელიც შავბნელ ტალღებად გარს აბვევიან ქართველ ტომებს, ებრძვიან საუკუნეებით და უპირებენ შთანთქმას... ხოლო ქართველი ერი, გმირული თავგანწირვით ებრძვის შემოსეულ მტერთა ურდოებს... ებრძვის საუკუნეებით, ათასი წლობით, არ იხრის ქედს, არ იტეხს გულს, არ აგდებს ხელიდან იარაღს, ის ელის მხსნელს, ელტვის დიდებულ მომავალს, ელის თავისუფლებისა და უზენაესი კულტურა განათლების ბრწყინვალე მზეს...

მაგრამ დღეს ხომ ეს ერი იტანჯება! დღეს ხომ ამირანის ძერასავით ეფლეთავს გულ-ღვიძლს გარსშემოხვეული ორი ვეშაპი—ძლიერი ირანი და კიდევ უფრო ძლიერი თურქეთი.

აი, ამ ძველთა-ძველ ზღაპარს, ამ ლეგენდას, ლექსად ასახულს, მღერის ბერი მინდია; ამას აკვნესებს თავის ფანდურზე და ეს ხმები, იპყრობს მთლიანად ტყვეების სმენას. კვნესის ძველი ფანდური, მოთქვამს სიმღერით და აზუზუნებს თითქო ძველთა-ძველ ამბავს ბერი მინდია, ეს მთის არწივი, და ამ ზუზუნს, ამ მოთქმა-სიმღერას ბანს აძლევს ასიათასი ქართველი ტყვე... შორს გაისმის ეს ყრუ ზუზუნი... ზუზუნებს ხალხი დატყვევებული, მონად ქცეული, ოხვრა-ქვითინით, ცრემლების დენით ამ შავ-ბნელ ზუზუნს თითქო ბანს აძლევს ბუტბუტით მტკვარი, ფართოდ გაშლილი, თითქო ბანს აძლევს მძიმე დუმილით მთელი ბუნება — ცა, დედამიწა ჩაბნელებული...

და ეს ზუზუნი, ლოდივით მძიმე, შავი და ბნელი, გაბზარა ჰანგმა იმედოვანმა, იქ მოშორებით, შუაგულ ურდოში მწყობრად გაისმა ჩანგურის ჟღერა. მას ჩაექსოვა ჭაბუკის ხმები, სუფთა, კრიალა... მღეროდა რეზო ყარალაშვილი, თავის სიმღერით ფრიად განთქმული:

„იყავ მამაცად, ქართველო, გული ნუ შეგიშინდების...
არ შეუდრკების ვაუკაცი კარგი მახვილთა კვეთასა...
ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია...
ჭირსა შინა გამაგრეპა ისე უნდა, ვით ქვიტკირსა...“

ეს სიმღერა, ეს საიმედო ხმები, ვით ბალზამი სიცოცხლის მგვრელი, მოედო სწრაფად ბედშავთა ურდოს, იმედ-ნუგეშით ააფრთოვანა. შეწყდა ქალებში ტირილი, შეშრა და გაქრა ვაჟკაცთა თვალებზე მომდგარი ცრემლი. ასწიეს თავი, განშორდა სახეს სევდის ბურუსი...

ყარალაშვილის ჩანგურ-სიმღერის პასუხად, აჰა, აღერდა კიდევ ჩანგური, ზედ ამღერდა არა ნაკლებ ძლიერი ხმა. უკრავდა, მღეროდა მთაში განთქმული ბერო ჯიღაური.

— ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი, — გაისმა ჯიღაურის მაღალი ბანი.

— ბოლოს შეჰყარეს მიწამან ერთგან მოყმე და მცხოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი, — გაიკრიალა პასუხად ყარალაშვილის საამო ხმამ. და, აჰა, შეიქმნა ერთგვარი შეჯიბრება ამ ორ მომღერალს შორის.

— საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდების... დაიწყო ერთმა.

ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების... დაამთავრა მეორემ.

აჰა, ჩაენთო გულში იმედის შუქად ასიათას ტყვე ქართველს ხუთასი წლის წინათ მოვლენილი დიდებული მგოსნის უკვდავი სიტყვები! შოთას უზენაესმა პოეზიამ ამ საშინელ ღამეს ჩანგურზე დამღერებულმა, დროებით დაუხშო უსაზღვრო ჯავრი, შავბნელი სინამდვილე და ააფრთოვანა სამშობლოს მოწყვეტილი ასიათასი ქალი და კაცი...

შეწყდა სიმღერა, მიყუჩდა ხმები, დუმდა ჩანგური, დუმდნენ ათასეულნი, გალურსული იმედის სხივით გულს ჩანთებულნი...

— იკურთხოს დიდი მგოსანი, რომლის სიტყვებმა დროებით მაინც დაუამა გული ასიათას ტანჯულთ და მოასხურა უტკბესი შარბათი მათ გაწამებულ სულს, — ჩაილაპარაკა ჯიღაურმა და შეახვია სათუთად თავისი ჩანგური.

ეძინა უბედურ ხალხს. დიდი რუსთაველის სიტყვებით დამტკბარს, ხოლო არ ეძინათ მინდიას, ბეროს და რეზოს, ისინი ღვრიდნენ იდუმალ ცრემლებს... იმათ თვალწინ კვლავ იხატებოდა აოხრებული ტურფა კახეთი, გაელეტილი უამრავი ხალხი და ეს საბრალო ამ დროს მძინარე 130 ათასი ტყვე ქართველი, რომელთაც ხვალ დილას რიყრაყზე ცემატყეპით გარეკავდნენ შორეული ირანისაკენ.

მართლაც, დილის რიყრაყზე არეკეს შოლტ-მათრახებით ეს ამოდენა ხალხი, გადაიყვანეს მტკვარზე ბორან-ტივგბით და გაუყენეს ირანის გრძელ შარას.

აქ ალარ ავწერ იმ საშინელებას, თუ რა შეემთხვა უბედურთ ამ მგზავრობაში, ან რა ტანჯვა-წამება განიცადეს, ან რამდენი გაწყდა.., აი რას სწერს ისპაჰანიდან რომის პაპს მისი ელჩი პიეტრო დელავალე ამ ტყვე ქართველთა შესახებ:

„საშინელი შედეგი მოჰყვა ქართველი ხალხის ასე გადასახლებას, რამდენი სიკვდილი უზომო გაჭირვების გამო, რამდენი ადამიანის გაელეტა, გახრწნა და ბილწვა სპარსთა ჯარის მიერ, რამდენი ჩვილი ბავშვი დაარჩვეს მამებსა თავისივე ხელით, ან ჩაყარეს წყალში, რომ არ ეცქირათ მათ ტანჯვისათვის, რაკი ყოველ ღონეს იყენენ მოკლებულნი მათ საპატრონოდ! რამდენს ელეტდა გზა-გზა დაცვენილთ სპარსთა მხედრობა! რამდენი ბავშვი მოგლიჯეს დედის ძუძუს და დაჰყარეს გზაზე მხეცთა საჭმელად, ცხენთა, ჯორთა და აქლემთა ფეხქვეშ სათელად; ჯარი და პირუტყვი უწყალოდ გადადიოდნენ გზაზე დაცვენილ მომაკვდავ ტყვეებზე. რამდენი ამ ტყვეთაგანი დააშორეს სპარსებმა მამა-შვილს, ცოლ-ქმარს, და-ძმას და გაფანტეს შორს ქვეყნებში, ასე რომ ეს საბრალონი საუკუნოდ არიან იმედმიხდილნი, რომ ნახონ ოდესმე ერთიმეორე. რამდენი ქალი და კაცი იყიდებოდა პირუტყვზე იაფად! რამდენი სხვა ამისთანები ხდებოდა ღირსი სიბრალულისა, მაგრამ ყველას ვინ მოსთვლის!

ქართველ ტყვეთა რიცხვი ისე დიდია, რომ დღეს არ მოიპოება არც ერთი სახლი მთელ სპარსეთში, რომელიც არ

იყოს სავსე ქართველებით, კაცით თუ ქალით. აქ არ არის ისეთი დიდი კაცი, რომელიც არ ცდილობდეს, რომ ყველა მისი ცოლები იყვნენ ქართველები, რადგან ქართველი ქალები არიან მშვენიერნი. თვით შაჰის სასახლე სავსეა ქართველი ქალებითა და ვაჟებით"...

როგორც გვაუწყებენ იმ დროის ისტორიკოსნი, ქართველ ტყვეთა თითქმის ორი მესამედი გაწყდა მძიმე მგზავრობაში, დანარჩენები გაიყიდნენ მონებად, ზოგიც დაასახლეს დაცემულ ჭაობიან ალაგებში, სადაც მეტი ნაწილი დაიღუპა შიმშილისა და ციებისაგან; ზოგნიც დაძრწოდნენ ყარდაკარ მშიერ-შიშველნი და მათხოვრობდნენ.

XX. დედოფლის წინააღმდეგობა

იმერეთს შეხიზნული კახეთის მეფე ორიათასამდე თავადაზნაურით და მათი ცოლშვილით მძიმე ტვირთად დააწვა მეფე გიორგის. ცოტა ხანს შემდეგ მოუსავლიანობის გამო იმერეთში გაჩნდა შიმშილი და თეიმურაზი თავის უზარმაზარი ამალით იძულებული შეიქნა სწვეოდა თავის სიძე მამია გურიელს. იმავე დროს გაუგზავნა დესპანი თურქეთის სულთანს, სთხოვა საცხოვრებლად ადგილმამული და თანაც საკმაო ჯარი, რათა შესეოდა ირანს და სამაგიერო გადაეხადა შაჰაბაზისათვის. სულთანმა შეიწყნარა თეიმურაზის თხოვნა, მისცა გურიის მეზობლად მდებარე ადგილები, აგრეთვე ქალაქები: გონია, ოლთისი, არტანუჯი და სხვა, თანაც გაუგზავნა ჯარი.

თეიმურაზი თავისი ოჯახობით და ამალით დასახლდა ოლთისს. აქედან თავისსა და თურქთა ჯარით იგი შეესია ირანის საზღვრებს. თეიმურაზი მიუახლოვდა ქ. არდებილს, სადაც იყო სეფიდთა დინასტიის აკლდამა, მას სურდა როგორც თვით ქალაქის, ისე შაჰაბაზის საგვარეულო აკლდამათა დანგრევა, მაგრამ არ დაცალდა, სცნო თუ არა ყეინმა თეიმურაზის არდებილზე გალაშქრება, მაშინვე გამოსწია ჯარით. თეიმურაზმა მიანება თავი არდებილს და გამობრუნდა. ამრიგად, არდებილი გადარჩა დანგრევას. შაჰაბაზმა უბრძანა ერევნის ბეგლარ ბეგს ამირ გურიხანს, საკმაო ჯარით დახცემოდა ჩუმად ოლითსს და შეეპყრა თეიმურაზი

თავისი ოჯახობით. ერევნის ხანმა შეასრულა შაჰის ბრძანება. შეკრიბა საკმაო ჯარი, საშინელ ზამთარში გადაიარა მაღალი მთები და მიადგა ჩუმად ოლთისს.

თეიმურაზ სრულებით არ ელოდა მტრის თავდასხმას, მეტადრე ამ უცნაურ ზამთარში. მან გაისტუმრა თურქთა ჯარი, კახეთში გაუშვა აგრეთვე თავისი ჯარის მეტი ნაწილი ოჯახობით, თვითონ კი ჩაჯდა ხომალდში და ვასწია სტამბოლს სულთანთან; ოლთისში დატოვა თავისი ცოლშვილის მცველად ნოდარ ჯორჯაძე მცირე რაზმით. ეჭვი არაა, ოლთისი ამირ გურიხანის მსხვერპლი გახდებოდა და მასვე ჩაუვარდებოდა ტყვედ თეიმურაზის ცოლშვილი, რომ ისინი არ ეხსნა თვით დედოფლის წინდახედულება. წინადამეს დედოფალმა ბევრი იფიქრა და მიხვდა, რომ მტერი არ მოისვენებდა, შეიძლებოდა აქაც თავს დასხმოდნენ, ზომების მიღება იყო საჭირო. დილით დედოფალმა მაშინვე დაიბარა ნოდარ ჯორჯაძე და უბრძანა მთელი რაზმით ციხეში გამაგრება მტრის დასახვედრად. რა სცნეს ეს ამბავი ოლთელებმა, მაშინვე იწყეს საომრად მზადება, და ქალაქის გამაგრება.

ირანელნი ღამით მიუახლოვდნენ ოლთისს და დილის რიჟრაჟზე აპირებდნენ უეცრივ თავდასხმას, მაგრამ ამირ გურიხანის გაოცებას არ ჰქონდა საზღვარი, როცა ნახა ციხე-ქალაქი გამაგრებული და მცხოვრებნი საომრად მომზადებული. მოხდა ცხარე შეტაკება. მძიმე მგზავრობით მოქანცულმა ირანელებმა ვერ გაუძლეს კახ-ოლთელ ჯარის სიმამაცეს და სასტიკად დამარცხდნენ. გაიგო ეს ამბავი შაჰაბაზმა და მისი გული ბრაზით აივსო. მტარვალმა მაშინვე იყარა ჯავრი მძევლად წაყვანილ თეიმურაზის ვაჟებზე: შაჰის ბრძანებით ორივე ბავშვი დაასაჭურისეს. ამ ბარბაროსულ წამებას ვერ გაუძლო უმცროსმა ვაჟმა და ჯალათის ხელში მოკვდა, ხოლო უფროსი შეიშალა.

თეიმურაზი დაბრუნდა ოლთისს და გაიგო თავისი ცოლშვილის გადარჩენა. მან მაშინვე გაგზავნა მოსკოვში ელჩად მთავარ ეპისკოპოსი თეოდოსი და არქიმანდრიტი არსენი,

ვაატანა მათ ვრცელი ეპისტოლე, აბრალებდა თავს რუსის ხელმწიფეს, აუწყებდა შაჰაბაზის მტარვალობას, ატყობინებდა თავის უნუგეშო მდგომარეობას, კოლხეთის მეფე-მთავართა კარზე ხეტიალს და გაჭირვების გამო ოლთისში შეფარებას; მუხლმოყრით ევედრებოდა შველასა და მფარველობას.

იმერეთს ყოფნის დროს თეიმურაზი დაუცხრომლად უქადაგებდა კოლხეთის მეფესა და მთავრებს რუსეთთან შეერთების საჭიროებას, რუს ხელმწიფის მფარველობაში შესვლას. ამ მხურვალე ქადაგებამ ნაყოფიც გამოიღო: გიორგი მეფემ, გურიელმა და დადიანმა მისწერა მორჩილების პატაკი რუსის ხელმწიფეს და სთხოვეს მიეღო ისინი თავის მფარველობაში. იმავე დროს თეიმურაზი ატყობინებდა ხელმწიფეს შაჰაბაზის მიერ კახეთის აოხრებას, ევედრებოდა ჩარეულიყო მის საქმეში და მიეღო შუამავლობა შაჰის წინაშე, რათა მას გაეთავისუფლებინა მეფე ლუარსაბი, აგრეთვე მძევლად წაყვანილი თეიმურაზის დედა და ვაჟნი.

მოსკოვის მეფემ შეისმინა თეიმურაზის ვედრება, გაუგზავნა დესპანები შაჰაბაზს და მოსთხოვა ლუარსაბ მეფისა და ქეთევან დედოფლის განთავისუფლება. მაგრამ მათ ჩამოსვლამდე შაჰაბაზმა დაიბარა ასტრაბადის ხანი, ვისთანაც ჰყავდა მიბარებული მაჰმადის სჯულზე მოსაქცევად ქართლის მეფე, როცა დარწმუნდა მისი სიტყვიდან, რომ ლუარსაბი ისევ მტკიცე უარზეა, არ სურს უარჰყოს ქრისტე და მიიღოს მუსულმანობა, უბრძანა ხანს მოეკლა მეფე რაც შეიძლება საჩქაროდ.

შინ დაბრუნების უმალ, ასტრაბადის ცბიერმა ხანმა გაიტყუა ბედშავი ლუარსაბი, ვითომცდა სათევზაოდ. მიადგნენ მდინარეს. ხანმა აიღო ბადე და განგებ ისროლა ცუდად. ლუარსაბმა დაუწყო დაცინვა, გამოართვა ბადე, აიკრიფა მარჯვედ და, ის იყო უნდა ესროლა წყალში, რომ მის უკან იელვა ხმალმა ირანელის ხელში და ქართველი მეფის თავი ჩაგორდა მორევში. მეფის მოკვეთილი თავი ხანმა მაშინვე მიართვა შაჰს.

ასე დასრულდა ლუარსაბის ცხოვრება*. ივერიის ეკლესიამ ის წმინდათა შორის შერაცხა.

ამას შემდეგ მძვინვარე შაჰი შეუდგა ქეთევან დედოფალის საჯაროდ წამების საქმეს. მანამდე კი მედგრად შეეცადა მიეღო დედოფალს მაჰმადის სჯული. ყოველივე ცდა და დაპირება ამაო შეიქნა. ქეთევანი მტკიცედ იდგა ქრისტეს მცნებაზე და არ სურდა მისი გმობა.

---

* ზოგის თქმით, შაჰის ბრძანებით, ლუარსაბ მეფე თითქო მოაშთეს თოკით გულაბყალის ციხეში 1622 წელს.

ავტორი.

XXI. ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲬᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘ

სექტემბრის საოცნებო დილაა. ბუნებას დასცქერის ცის კაშკაშა ლაჟვარდი. მზის ოქროს სხივებში გახვეულა ამწვანებულ ბაღებში ჩაფლული შირაზი, ირანის უტურფესი ქალაქი. ჰაერში გამდნარა ვარდების უტკბესი სურნელი და მიდამოს ეფინება ნიავის ფაქიზი ფრთებით. ვიწრო ქუჩები სავსეა ხალხით. ქარვასლების ვრცელი ეზოებიდან მოჩანან, ვით უცნაური ქიმერები, აქლემთა უშნო თავები. შორით კიდევ ჩანს მომავალი გრძელი ქარავანი.

შირაზის მცხოვრებნი, ქალი თუ კაცი, ყრმა თუ მოხუci, მიეშურებიან დიდი მოედნისკენ, სადაც შუა ალაგას წამების ამბიონთან აზიდულა მხეცური სახის ჯალათი, ინით შეღებილ წვერ-ულვაშით, დაკაპიწებული ბანჯგვლიანი მკლავებით. იქვე მდგარ გაღვიებული ნახშირით სავსე ქურაზე ხურდება რკინის შანთები, მარწუხები და წამების სხვა იარაღნი, რაც კი შექმნა ათასი წლობით ბარბაროსმა აზიამ.

საჩქაროდ იხურება დუქნები და ქარვასლა-ქულფაქები. ვაჭარ-ნოქრები და სოვდაგრები მიეშურებიან იქით, სადაც გარბიან მცხოვრებნი. ვრცელი მოედანი ივსება ხალხით, ისინი მიუზიდავს ველურ ცნობისმოყვარეობას. განსაკუთრებით სავსეა ქალებითა და ბავშვებით სახლების ბან-წინგარდები. არის საერთო ყივყივი და მიმოთქმა. მეტკბილენი დაძრწიან ხალხში და მარდად ყიდიან ქადა-ნაზუქებს, ლავაშებში გახვეულ ლულა-ქებაბს, ქიშმიშ-ლაბლაბს, ხილს, პუნგიას და სხვა მრავალ ტკბილეულს, აგრეთვე ცივ შერბეთსა და დაშაქრულ ვეჟინს.

ხალხში აქა-იქ ისმის: „გურჯისტან... ბეიუქ ხანუმ... ქეთევან... შაჰაბაზ... გურჯი მოურავ“... და სხვ.

რაშია საქმე? რა ამბავია?

ამ მშვენიერ დილას სისხლის მოედანზე შაჰის ბრძანებით უნდა აწამონ ქრისტეს სჯულისთვის ქართველი დედა, ბრძენი, მაღალგონიერი და უზენაესი სათნოებით შემკული კახეთის დედოფალი ქეთევანი.

მცირე ხანს შემდეგ მოგროვდნენ შირაზში მცხოვრები, ტყვედ წაყვანილი და მონებად გაყიდული ქართველნი. მათ გამხდარ, დაღვრემილ სახეს აღბეჭდოდა უსაზღვრო სევდა და უიმედობა. აქვე გამოჩნდნენ ირანში მყოფი რომის მისიონერნი დელავალეს მეთაურობით. ისინი დადგნენ ჯალათის ახლო, რათა თავისი თვალით ენახათ ქეთევან დედოფლის წამება. მისიონერთა სახეზე კრთოდა მძიმე კაეშანი.

მცირე ხანს შემდეგ გაისმა ბუკის მჭექარე ხმა, მან ამცნო ირანის მეფის მოახლოვება. ამ ხმის გაგონებაზე შეტორტმანდა ხალხი და შეიქნა ჩოჩქოლი. უცებ გაჩნდნენ წესრიგის-დამცველი ეჯიბ-სარანგნი ჯოხ-მათრახებით ხელში და ცემა-ტყეპით გააქარაფეს გზა. ვაი იმას, ვინც დროით ვერ ძოასწრო გაცლა-გაქცევა: მარჯვედ მოქნეული ჯოხი ან მათრახი უწვავდა ზურგის კანს.

ამავე დროს რამდენიმე ალაგს ზურნამ დაუკრა რააბი და ოვშარი. აჰა, მოედნის თავში გამოჩნდა ირანის დიდი მბრძანებელი, გადახდილ ოქროს ტახტრევანში მჯდომი; ორი წყვილი თეთრი არაბული რაშები ება მის ტახტრევანში, მას მოსდევდა დარახტული ბედაურებით ბრწყინვალე ამალა. ხოლო დახურული ტახტრევნებით — ჰარემის ტურფანი, თეთრად მოსილი ხოჯებით გარემოცულნი. აქვე იყო შაჰის არიფი, ჩერქეზთ ბატონის ასული მშვენიერი ლეილა, უკვე დაქალებული და კიდევ უფრო მშვენიერი.

გზადაგზა შაჰის დანახვაზე ხალხი ემხობოდა მიწაზე და ამ სახით სალამს აძლევდა ირანის ბატონს.

მოედნის შუა ალაგას წამების ამბიონთან გადმოაბრძანეს ტახტრევნიდან მდიდრულად მორთული შაჰაბაზი და შეაბრძანეს იქვე გამართულ დიდ ჩარდახში, რომელიც შეემკოთ

ოქსინოს სალაფარდებით და მოეგოთ ქირმანის ხალებით. დიდებით დააბრძანეს ძვირფასად მოოქვილ ოქროს სევანზე, აქედან ჩანდა მთელი მოედანი. ირანის ლომის ირგვლივ ბარისხის მიხედვით დასხდენ შაჰის ამალის დიდებულნი, ხოლო შაჰის ზურგს უკან ძვირფასად მოგებულ გრძელ ტახტზე დასხდნენ ჰარემის ტურფანი პირსაბურავით და აბრეშუმის ფერად აჯილებში ხვეულნი.

შაჰაბაზს უკრთოდა გამხდარი სახე. მის მხვრეტავ თვალებში გამოსჭვივოდა ბრაზი და ბოროტება. კიდევ მცირე ხანი — და ხელმეორედ გაისმა ბუკის მჭექარე ხმა, რასაც მოჰყვა ღოროტოტოს უსიამოვნო კვნესა.

ხალხი კვლად შეინძრა ჩოჩქოლით. გამოჩნდა შავცხენებშებმული თავახდილი შავი ტახტრევანი. მასზე იყო დაჩოქილი თეთრად მოსილი ქეთევან დედოფალი, საწამებლად გამზადებული. თავზე ეხურა მეფის გვირგვინი. მარჯვენა ხელში ეპყრა პატარა ჯვარი. შავი ნაწნავები ჰკოცნიდნენ მიწას. ქართველ დედას ზეცად აღეპყრა თვალი ზენაარი საოებით. მშვენიერ სახეზე კრთოდა ნათელი. მისი სპეტაკი სული განშორებოდა თითქოს სხეულს და ფოფინებდა ციურ გთერში. დედოფლის მარჯვნით იყო დაჩოქილი ოლარმოსილი მისი მოძღვარი. იგი მხურვალე ცრემლით ავედრებდა თაუის ღმერთს საწამებლად განწირულ ქართველ დედას...

ამ უჩვეულო სურათმა მთლიანად შეიპყრო ხალხი, ბევრს მათგანს აუჩუყა გული და აუცრემლა თვალები.

ნელი რონინით მიუახლოვდა წამების სისხლიან დაბირს შავი ტახტრევანი. გარს შემოერტყნენ მოლები. აქვე შეექუჩდნენ ბედშავი ტყვე ქართველებიც. ამათ იწყეს თავში ცემა და მწარე ქვითინი. დედოფალი ჩამოსხეს ტახტრევნიდან და აიყვანეს წამების ამბიონზე. ამ დროს ქეთევანს მიუახლოვდა მოლების უფროსი თეთრჩალმიანი და მიმართა ამ სიტყვებით:

— კახეთის დედოფალო! სრულიად ირანის და ეროაეის მაღალი მბრძანებელი, სვებედნიერი ბრწყინვალე შაჰაბაზ დიდი კვლავ გირჩევს უარყო ქრისტე და თაყვანი სცე ჩვენს დიდ ფეჰამბარს მაჰმადს. ამით შეირჩენ სიცოცხლეს,

დიდებას, შაჰის უხვი წყალობით აღსავსე დაუბრუნდებ-
მშვენიერ კახეთს. და თუ არ ისურვებ მიიღო ეს მაღალგო-
ნივრული რჩევა, მაშინ, დედოფალო, მოგელის აქ, ამ ალა-
გას, უამრავი ხალხის წინაშე, წამებით სიკვდილი. გულით
გირჩევთ კარგად გაზომო ყოველივე და მოგვცე პასუხი.
ალაჰმა უწყის, რომ არა გვწადს შენი სიკვდილი! ნუ ვვაი-
ძულებ დავღვაროთ ამ მოედანზე შენი სისხლი.

— მტარვალნო და ქრისტიანეთა ტანჯვით უმაძღარნო!
ჰქენით, რაც გწადდეთ! დიდება ამქვეყნიური ვერ შეცვლის
ჩემს რწმენას და უსაზღვრო თაყვანებას ქრისტე მაცხოვრის
მიმართ, რომელიც ეწამა ჯვარსა ზედა ადამის მოდგმათა
სახსნელად და საუკუნო ცხოვრების მისანიჭებლად სასუფე-
ველსა შინა. ღვთისმშობლის წილხდომილ ივერს და წმ. ნი-
ნოს ქადაგებით ნათელღებულ ერსა ჯვაროსანს არა ეშინის
სიკვდილისა თავის ღმერთის სადიდებლად. არ ვუფრთხი-
ამა ქვეყნიურ სიკვდილსა არცა ჩვენ, ქართველი დედანი.
რამეთუ გვამხნევებს წმ. ნინო კაბადოკიელი ვაზის ჯვრით
ხელში... უსჯულონო! თქვენ ააოხრეთ მთელი კახეთი! გაჟ-
ლიტეთ და ტყვედ წარიტაცეთ საბილწად უამრავი ხალხი
ქრისტიანენი! თქვენ აწამეთ ჩემს თვალწინ ორი უმანკო
ბავშვი, — მეფე თეიმურაზის ვაჟნი. თქვენ მოჰკალით
ლუარსაბ მეფე! რაღაი ვარ ამათ შემდეგ მე უბედური?!
აჰა, მომკალით მეცა! მიმეცით ჯალათს, რათა დასტკბეს ჩე-
მის წამებით შაჰაბაზ მტარვალი! დეე ვეწაჰო მეც, ულირსი
მხევალი ღვთისა და ასული მუსლიმთა მიერ წამებულ ივე-
რიისა, ვითარცა ერთი ხიმსალი იმ ზღვა უმანკო სისხლისა,
რაც გაწევთ კისრად. ხოლო ცისა და ქვეყნის გამჩენი ღმერ-
თი არ შეგარჩენთ ამ ბოროტებას და უზენაესი მფარველი
ივერიისა მოავლენს თქვენსა თავსა ზედა რისხვას საშ-
ინელს!

უპასუხა დამშვიდებით დედოფალმა და კვლავ აღაპყრა
თვალნი ზეცად. მისი ბაგენი ძლივ გასაგონად გალობდნენ
ფსალმუნს...

ამ დროს მოედნის თავში შეიქნა ხმაური და დიდი ჩოჩ-
ქოლი. ასამდე ცხენოსანმა გააპო ხალხი და მიუახლოვდ-

წამების დაბირს. აქ გადმოხტნენ ყველანი ოფლით გაღვარულ ბედაურთაგან, თაყვანი სცეს ჯალათის გვერდით მდგარ კახეთის დედოფალს, შემდეგ მიუახლოვდნენ სამეფო ჩარდახს და მოიყარეს ცალი მუხლი შაჰის წინაშე.

ესენი იყვნენ დიდი მოურავი და მისი ქართველნი; ამათ გვიან გაეგოთ შაჰაბაზის განაჩენი ქეთევან დედოფლის წამების შესახებ და გამოეშურნენ იმის სახსნელად.

— დიდებულო შაჰო! — დაიწყო საკაძემ, — შენთვის და დიდი ერანისათვის თავგანწირული ასი ქართველი, რომლებმაც ვღვარეთ სისხლი შენი ძლევამოსილი დროშის განსადიდებლად შორეულ აზიაში, მუხლმოდრეკით გენუკვით დაეცხრო შენი რისხვა და შეიწყნარო ეს სათნო ადამიანი! გევედრებით გვაჩუქო სიცოცხლე ქართველი დედის ქეთევან დედოფლისა! მას შენს წინაშე არ მიუძღვის რაიმე ბრალი...

წარმოსთქვა ხმამაღლა ეს სიტყვები დიდმა მოურავმა და შეხედა მტკიცედ შაჰაბაზს.

ძლიერ იმოქმედა შაჰზე ქართველთა უეცარმა მოსვლამ და მხურვალე ვედრებამ. უკვე მზად იყო იგი დაეცხრო გულის წყრომა და გაეცა პატიების ბრძანება, როს მიუახლოვდა ყვითელაბრეშუმჩადრმოხვეული დიაცი, შურისძიებით ალბორგებული, დაიჩოქა შაჰის წინაშე, ასწია ოდნავ პირსაბურავი და მიმართა ამ სიტყვებით:

— „დიდებულო შაჰო! გაფიცებ შენს პირველ სიყვარულს, არ გახდე გულსუსტი და არ შესცვალო შენი ბრძანება! აქ, შირაზის მოედანზე, უნდა მოკვდეს წამებით დიდი ერანის საკეთილდღეოდ დედოფალი ივერიისა ქეთევან. ქრისტეს თაყვანისმცემელი და დიდი ფეჰამბარის უარმყოფელი. მთელი სპარსეთი შენ შემოგყურებს, დიდო ბატონო, და სწყურის გურჯი ხანუმის წამების ხილვა. ნუ დაუხშობ მას ამ უზენაეს სიამოვნებას! ნუ დაივიწყებ, დიდებულო შაჰო, რა ჩაიდინა ქეთევანმა შენ მიერ კახეთში გაგზავნილ კონსტანტინეს მიმართ, რარიგ ჩაფუშა შენი გეგმები!

თქვა ეს დიაცმა და ბრაზით გადაიედა ცალ მუხლზე დაჩოქილ დიდ მოურავს, რომლის თვალებში კრთოდა ცრემლები.

მაშინ წამოდგა შაჰბაზ, ცალი ხელი მოხვია თავის მშვენიერ არიფს და დასვა ტახტზე, ხოლო მეორე ხელით მისცა ნიშანი...

გადაწყდა ქეთევან დედოფლის ბედი... დიდბუნებოვანი ქართველი დედა გადასცეს ჯალათს...

ამ სახით იძია შური ჩერქეზთ ასულმა. უსაზღვრო იყო ამ წუთას მისი სიხარული. ლეილამ დაინახა ცრემლი მოურავის თვალებში და სახეზე უზომო გამწარება. ეს საკმაო იყო: დაცხრა მისი მბორგავი სული... ხოლო ვეღარ გაუძლო დიაცის თვალებმა ივერთ დედოფლის წამების ცქერას. შეიპყრო იგი სინიდისის უსაზღვრო ქენჯნამ. შაჰის არიფმა ამოიღო ბეჭდის თვალიდან მგესლავი შხამი, რასაც მუდმივად თან ატარებდა, და შეისრუტა მთლიანად ლალის ბაგენით. მცირე ხანს შემდეგ შეჰკივლა ცივად, გაიზმორა უცნაურად და დაეცა მკვდარი...

არ ავწერ აქ იმ საშინელებას და უმაგალითო წამებას, რაც მიაყენეს ბარბაროსებმა ივერიის დიდებულ ასულს!.. ამ საზარელ სურათს მზერდნენ რომის პატრები და იღვრებოდნენ ცრემლად. ამ საშინელი სურათის ხილვით მწარედ გოდებდნენ იქ დამსწრე ქართველნი. ეს საზარო სურათი ბადებდა მათ გულში მტარვალთადმი უსაზღვრო ბრაზს და შურისძიებას. ამ სურათის მოწმე იყო დიდი მოურავი. ის იდგა მცირე მოშორებით მუნჯად გარინდული, როგორც კლდის ქანდაკი. ვინ უწყის, თუ რა საშინელი ბოღმა ქუხდა იმ დროს მის გულში...

კათოლიკე ბერებმა დროებით დაასვენეს თავის ეკლესიაში ქეთევან წამებულის ნეშტი, შემდეგ-კი გაუგზავნეს იგი მეფე თეიმურაზს. დიდებით დაკრძალეს დედოფალი ალავერდის დიდ ტაძარში. ორმოც დღეს იყო გლოვა და ცრემლთა დენა მთელ კახეთსა და ქართლში.

— —

XXII. საიდუმლო თათბირი

ჩაიდინა რა შაჰაბაზმა ზედიზედ ეს საზარო საქმენი თეიმურაზის დედის, ვაჟებისა და ლუარსაბის მიმართ, მისი არსება შეიპყრო კიდევ უარესმა ფიქრმა: მან გადაწყვიტა მთელი ქართლ-კახეთის სრული მოსპობა. პირსისხლიან მხეცს, ამავე დროს კახეთიდან მოსდიოდა არასანუგეშო ამბები: მისგან მოსპობილი ქვეყანა კვლავ ახლდებოდა. მთებში გაბიზნული ხალხი ბრუნდებოდა ბარად და საოცარი ენერგიით აშენებდა განადგურებულ სოფელ-ქალაქებს, ქმნიდა ახალ ცხოვრებას; კახეთის ხალხი საარაკო სისწრაფით მრავლდებოდა და უმკლავდებოდა ფეიქარ-ხანის ჯარებს.

ქართლიდან კიდევ უარესი ცნობები მოსდიოდა შაჰს. იქ იყო გამეფებული რბევა და კინკლაობა დიდ მებატონეთა შორის, სვავთა ნამდვილი თარეში. მოკვდა ქართლის მეფედ დაყენებული ბაგრატ-მირზა. ყეინმა მეფედ დანიშნა ბაგრატის ვაჟი სვიმონ, სუსტი, უნიჭო და სრულიად გამოუცდელი ჭაბუკი. მასვე დაუყენა სამეფოს გამგედ და მზრუნველად გიორგი საკაძე, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ქართლის საქმეებს, პირიქით, დიდი მოურავი განგებ ხელს უწყობდა არეულობას, რადგან ამით სურდა დაემტკიცებინა შაჰისთვის სვიმონ მეფის უნიჭობა და უვარგისობა. საკაძეს უკვე ჰყავდა არჩეული ირანში ქართლის მეფედ შესანიშნავი კაცი — ხოსრო მირზა ბაგრატიონი, დი-

დი სვიმონ მეფის ძმისწული. მაგრამ ყეინი განგებ არ აძლევდა მას ქართლის მეფობას, რადგან იცოდა, რომ მის ხელში ქართლი შესამჩნევად გაძლიერდებოდა, ეს კი სრულებით არ შედიოდა შაჰაბაზის გეგმებში. ამ მიზეზებმა ირანის შაჰი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ უნდა მოესრა მთლიანად კახეთი, აეყარა ქართლის მცხოვრებნი და გადაესახლებინა ირანში. იგი შეუდგა მზადებას. ამავე ეროს მან მოახდინა დიდი სამხედრო თათბირი.

დიდებული სასახლე. შაჰის დარბაზში გაუმართავთ საიდუმლო თათბირი. შუაგულ ალაგას ოქროს სევანზე ზის შაჰაბაზი. ირგვლივ ტახტებზე უსხედან ვეზირნი, ემირნი, ხანები და სხვა დიდებულნი: ყორჩიბაში, ყორჩიხანი, ამირგურიხანი, შაბადახანი, ქუჩუკხანი და სხვანი. აქვეა სამი ქართველი დიდებული: დიდი მოურავი გიორგი საკაძე, ზოსრო მირზა ბაგრატიონი და ზურაბ ერისთავი.

ყველას სახეზე იხატება სიდინჯე და ღრმა ჩაფიქრება. დუმდა შაჰაბაზი და დუმდნენ ყველანი. აშკარად ხედებოდნენ, რომ ირანის ბატონმა შეკრიბა ისინი რაღაც დიდ საქმეზე, რაც უნდა ყოფილიყო დაცული ფრიად საიდუმლოდ. ყველანი კრძალვით მისჩერებოდნენ ირანის ბატონს და ელოდნენ მისგან რაღაც დიდი საიდუმლოს გამჟღავნებას.

აჰა, სამარის დუმილი დაარღვია ირანის ბატონმა, მან გადახედა კრებულს თავის მხვრეტი თვალებით, ჩაახველა წყნარად და დაიწყო:

— დიდებულნო! ჩემო ერთგულნო ვეზირნო და ჩემი საზელმწიფოს ჰერქვეშ შეფარებულნო სახელგანთქმულნო გურჯნო! მოგიწვიეთ აქ ყველანი, რათა გაუწყოთ ჩემი საიდუმლო ზრახვანი და მოვისმინო თქვენი აზრი. ყველამ კარგად უწყით, რომ ყოველ ღონეს ვხმარობდი ამ 18 წლის მანძილზე, რათა დამეახლოვებინა ქართლ-კახეთის მეფენი და გამეხადა ჩვენი ერთგულნი. დიდმა ალაჰმა უწყის, რომ გულით ვცდილობდი გამენასკვა ჩემსა და მათ შორის უახლოესი, მეგობრულ-ნათესაური კავშირი, რა მიზნითაც ამ ათი წლის წინათ შევირთე ცოლად ლუარსაბისა და თეიმუ-

რაზის დები, ხოლო ვერავითარი დაყვავებით და დაპირებაფეშკაშებით ვერ მოვიგე ამ ორი მეფის გული. ისინი დაუბამს ეშმაკის ბადეს, გაუშვერიათ ხელი ჩრდილოეთით და დაეინებით ემუდარებიან რუს ხელმწიფეს მფარველობას, რასაც ადვილად ვიგებთ აეშაგთა მეოხებით, როცოლაბიც საკმაოდ გვყავს მოსკოვისა და ივერთ მეფეთა კარზე. ჩვენდა საუბედუროდ, დარუბანდს გარდა, კავკასიონის გრძელი ქედის ყველა გადმოსასვლელი ყელი, ანუ ხევ-ულელტეხილნი ხელთ უპყრიათ გურჯისტანის სამეფოებს, იმერეთსა და ქართლ-კახეთს, რომლებიც ვედრებით ეპატიჟებიან ბატონ-მფარველად ურუსებს და ფართოდ უღებენ კავკასიონზე გადმოსასვლელ კარებს...

აქ შეჩერდა ირანის ბრძანებელი, შესვა ბროლის ფიალით ცივი შერბეთი და გადახედა კრებულს, რომელიც მისჩერებოდა შაჰს და ნთქავდა მის თითოეულ სიტყვას. მცირე ხნით გამეფდა ისევ სამარის დუმილი.

ამ დროს ფრთხილად გაიღო კარი და დარბაზში შემოვიდა ეჯიბთ ემირი. — რა ამბავია, ჰუსეინ? — შეეკითხა წყროლით და წარბებმოღუშვით ირანის ბატონი.

— ირანის დიდო მნათობო! ბედავს და ჰკადრებს უკანასკნელი მონა ურუსთა ელჩების ხლებას. ესეცაა ჩამოვიდნენ მოსკოვიდან და ისწრაფიან შენს ხილვას, აზიის მზეო, — უთხრა ჰუსეინმა მძიმედ, თავდახრით, და ხმის ცახცახით.

რუს ხელმწიფის ელჩთა ხსენებაზე სიბრაზით აენთო თვალები შაჰს, მაგრამ მალე შეიკავა თავი ცბიერმა ყიზილბაშმა და ბრძანა მათი შემოყვანა.

ფართოდ გაიღო დარბაზის კარები და პატივით შემოიყვანეს სამი ზორბა აღნაგობის კაცი, ოქრომკედითა და ბუზმენტებით შემკულ გრძელ ხალათებში მოსილნი. მათ წითურ სახეს ამკობდა ქერა თმა და გრძელი წვერი. ესენი იყვნენ მოსკოვის ხელმწიფის ელჩნი. ამათ თაყვანი სცეს შაჰს და ძიართვეს პატაკი. შაჰაბაზი წამოდგა მათ პატივსაცემად და მოიკითხა რუსეთის დიდი ხელმწიფე. მოსკოვის ელჩებს თარჯიმნად ახლდათ ასტრახანელი სომეხი გეურქ ხითარიანცი, რომელმაც საკმაოდ იცოდა ორივე ენა, რუსუ-

ლი და ირანული. ამიტომ თარჯიმნობდა გასაგებად. ამანვე წაიკითხა აღნიშნული უსტარი. რუსეთის ხელმწიფე სწერდა შაჰაბაზს შემდეგს:

— მე, დიდი ხელმწიფე და მბრძანებელი სრულიად რუსეთისა, ჩრდილო ქვეყნებისა, დიდი ციმბირისა და მრავალთ სამთავროთა, მიხეილ თეოდორეს-ძე, გწერ და გატყობინებ შენ, სპარსეთის ყეინს შაჰაბაზს, შემდეგს: ადრევე გაუწყეთ, რომ ქართლ-კახეთის მეფენი და სრულიად ქრისტიანე ერი ივერიისა ბორის გოდუნოვის დროიდან შემოვიდნენ მოსკოვის სახელმწიფოს საფარველ ქვეშ და ამჟამად ითვლებიან ჩვენს ქვეშევრდომად. ამ ოთხი წლის წინათ ირანის ჯარები შეესივნენ კახეთის სამეფოს და დაარბიეს საშინლად, გაჟლიტეს და დაატყვევეს უამრავი ხალხი. ამასთანავე, როგორც მატყობინებს ჩემი ქვეშევრდომი კახეთის მეფე თეიმურაზი, კიდევ ადრე გაგიტყუებია მისი ღედა და ვაჟები, აგრეთვე ქართლის მეფე ლუარსაბი. ეხლა ვიმედობ, რომ არ დაარღვევ კეთილ მეზობლობას, რაც სუფევს ჩვენს ორთავ სახელმწიფოს შორის, და ამ უსტარის მიღებისთანავე განათავისუფლებთ და პატივით დააბრუნებთ თავ-თავის ქვეყნებში ლუარსაბ მეფესა და თეიმურაზ მეფის, დედასა და ვაჟებს".

ამ უსტარის კითხვის დროს ირანის ყეინს საშინელი სიბრაზის გამო ეცვლებოდა ფერი, იგი ხან წითლდებოდა, და ხან ყვითლდებოდა, მაგრამ თავს იკავებდა. მან ყიზილბაშური ცბიერებითა და მოქარგული ენით მოხიბლა რუსეთის ელჩები და თითქო დაარწმუნა თავის სიმართლეში. უხვად დასაჩუქრა მდიდრული ხალათებითა და თვალმარგალიტით. აღუთქვა, რომ დღესვე დაამზადებს უსტარს რუსეთის დიდ ხელმწიფისადმი და ეცდება შეასრულოს ყოველი მისი თხოვნა. ამავე დროს უბრძანა ეჯიბთა ამირს უხვად გამასპინძლებოდა რუსეთის ელჩებს, თანაც ჩასჩურჩულა ყურში დაეთრო ისინი მაგრად და დაეცდინა მათთვის ყოველგვარი ფარული ზრახვა და საიდუმლო.

ჰუსეინმა გაიყვანა მოსკოვის ელჩნი.

კარები ჩაიკეტა შიგნიდან და განახლდა საიდუმლო თათბირი.

— ხომ ნახეთ, ერანის დიდებულნო, ჩრდილოეთის მეფის ქედმაღლობა! — დაიწყო შაჰბაზმა ბრაზით სავსე თვალებით და კბილების ღრჭენით, — ხომ ხედავთ, რომ არ ხუმრობენ, ივერიას გვედავებიან, სწადიათ ეს გემრიელი ლუკმა ჩაიგდონ ხელში, ფეხი მოიდგან კავკასიონის ქედის გადმოღმით. ნათლად ვმხერ ამ ფარულ ზრახვებს... მაგრამ ვერა, ვერ მიაღწევენ მიზანს! უმჯობეს არს გაწყდეს სრულიად მთელი ივერი, ვინემ ვიხილოთ ჩვენს მეზობლად მოდგმა ურუსებისა! — წამოიძახა შაჰმა საშინელი ბრაზით და გადახედა კრებას. დიდებულებმა ვერ გაუძლეს ამ უცნაურ მზერას და ჩაღუნეს თავი.

— რას იტყვით თქვენა, ერანის დიდებულნო — შეეკითხა მათ ყეინი.

— ჩვენ რა გვეთქმის, აზიის მნათობო! ვითარ გავბედავთ და გკადრებთ რასმეს შენ ფეხის მტვერნი და უკანასკნელი ყულნი, ერანის ძლიერო ლომო! შენ უკეთ იცი ყველაფერი, ბრძენთა-ბრძენო და ქვეყნის დიდო მბრძანებელო! გენებოს გაულიტე მთელი ივერი, გენებოს — აჰყარე და მთლიანად გადმოასახლე აქ, მათ ნაცვლად კი სპარსნი დაასახლე, — წარმოსთქვა ფრიად მოწიწებით, წელამდე მოხრით და გულზე ხელდაკრეფით თვით შაჰის სიძემ მთავარმა ვეზირმა ყორჩიბაშმა.

— კარგად სთქვი შენა, ჩემო ყორჩიბაშ! ივერნი უნდა ავყაროთ და გადმოვასახლოთ ერანში, ხოლო მათ ნაცვლად უნდა დავასახლოთ იმ მშვენიერ ალაგებში სპარსნი და მეტადრე ადერბაიჯანის თათრები. ამ სახით კავკასიონის ქედის ყველა გადმოსასვლელი ყელი, გარდა ვოლხეთში მდებარე მამისონისა, უნდა ვიპყროთ ხელთა და მათ გუშაგებად ვიყოლიოთ ჩვენი ერთგული ხალხი. ხოლო ივერიის მცხოვრებთა ერთი ნაწილი, კახეთის მკვიდრი, უნდა გავქლიტოთ მთლიანად და ამით ვიძიოთ შური ვერაგ და მუხანათ თეიმურაზ მეფეზე. მაშ ნუღარ ვაყოვნებთ! ახლავე შევუდგეთ თადარიგს და დიდი ლაშქრით შევესიოთ ივერიის ორ-

თავ სამეფოს სამი მხრიდან. დავცეთ მათ თავზე რისხვა ზეციისა! აბა ვნახოთ, რარიგ მოეშველებიან მათ ახალი მფარველნი!

შაჰაბაზის ასეთ სატანურ განზრახვაზე დიდმა მოურავმა ფრთხილად გადახედა ზურაბ ერისთავს, რომელიც ისე მისჩერებოდა ირანის მბრძანებელს, თითქო ნთქავდა მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს.

ეს ოდნავი გადახედვა არ დარჩა შეუნიშნავი ცბიერ ყეინს. მან მიაპყრო თვალნი ივერიის გმირს და დინჯად შეეკითხა.

— აბა, შენ რაღას გვირჩევ?

გიორგი სააკაძე შეეკრთო ამ მოულოდნელმა შეკითხვამ. იგი წამოდგა დინჯად, გადახედა კრებას, შემდეგ მიაპყრო თვალნი შაჰაბაზს და დაიწყო:

— აზიის ბრწყინვალე მნათობო! უსაზღვროა შენი სიბრძნე და უწდომელი შენი ზრახვანი. მოსკოვის სამეფო ხელთ იგდებს პატარა ივერს, აჰა, სავალალოდ კარებს უღებენ მათ და გზას აძლევენ ქართლ-კახეთის მეფენი. მათ არ უწყიან, თუ რა ხიფათს, რა საშინელ განსაცდელს უმზადებენ ამ მოქმედებით თავის ერს... სწორედ ამის გამო უნდა ემსხვერპლოს პატარა ქვეყანა დიდ სახელმწიფოს! დიახ, უნდა მოისპოს მთელი ივერი დიდი ერანის და სრულიად აზიის საკეთილდღეოდ! მაგრამ როგორ? ივერიაში ჯარების შესევით ჩვენ ვერ მივაღწევთ სასურველ მიზანს. ქართველებს არ დავიწყებიათ შენ მიერ კახეთის აოხრება. ამიტომ როგორც კი სცნობენ აქედან ჯარების დაძვრას, მაშინვე გახიზნვენ მთებში ცოლშვილს, დაიჭერენ ციხეებს და გაამაგრებენ შესავალ გზებს. მოხდება დიდი ბრძოლანი, დაღვრება უზომო სისხლი და მიზანს მაინც ვერ მივაღწევთ. ამის საუკეთესო მაგალითი გახლავთ თვით კახეთი, რომელსაც ემსხვერპლა იმოდენა სპარსთა ჯარები. ვფიქრობ, ბევრად აჯობებს, რომ ვეჩვენოთ ივერიას მეგობრის სახით, ნელინელ ოსტატობით შევიყვანოთ ჯარები ქართლ-კახეთში, დავიკავოთ სხვადასხვა ხერხით ციხე-სიმაგრენი და სამალავი ადგილების გზები, რათა ამრიგად მოვამწყვდიოთ შუაში ქართველი ხალხი, მოვუსპოთ მათ გაქცევა-დამალვის სახსა-

რი. მაშინ ივერთა მთლიანად მოსრა, ან აყრა და გადასახლება ფრიად ადვილი საქმეა... მოგახსენებ, დიდო ყეინო, რომ აი ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა ქართლის ნორჩ მეფე სვიმონს ცოლად შევრთოთ თვით შენი შვილიშვილი, ყორჩიბაშის ასული, და თან დიდი ჯარიც გავაყოლოთ, ვითომდა მაყრად, თანაც გავატანოთ ბლომად ფეშკაშები ივერთა დიდებულთათვის. ამით ადვილად მოტყუვდება ქართლ-კახეთი. ეგონებათ, რომ შენ მოყვრობა გწადის მათი და არა მტრობა. მცირე ხან' შემდეგ გავგზავნოთ კიდევ ჯარები, ვითომდა მისალოცად. ამის შემდეგ კიდევ წავლენ ჯარები დიდი ფეშკაშებით, ისევ მილოცვის მიზნით: გაიმართება საყოველთაო ლხინი და ქეიფი. ამავე დროს ჩვენი ჯარები თანდათან მოახდენენ ივერიაში სამხედრო აღლუმებს, დაიჭერენ გასაქცევ გზებს, ჩადგებიან. ციხეებში და შეუმჩნევლად მოამწყვდევენ შუაში მთელ მცხოვრებთ ცოლ-შვილიანად. ამის შემდეგ ივერიის ბედი ხელთ გეკავება, დიდო მეუფევ! გენებება — მოსპობ მთლიანად, გენებება — აჰყრი და გადაასახლებ, სადაც გწადია...

ეს იყო სწორედ ჯოჯოხეთური გეგმა. ამ გეგმას იძლეოდა თვით დიდი ივერიელი, შაჰაბაზის უერთგულესი მეგობარი და ირანის მტერთა დამლეწი. აღტაცებაში მოიყვანა ამ სატანურმა გეგმამ ყველა დამსწრე და განსაკუთრებით შაჰაბაზი. შაჰი გადაეხვია საკაძეს, ჩაიკრა გულში, ეამბორა შუბლზე და მიუბოძა ჯილდოდ უამრავი ლარი და ქონება. დიდი მოურავის ასეთმა ერთგულებამ უსაზღვროთ მოხიბლა იგი.

შაჰაბაზმა გამართა იმ დღეს საზეიმო ლხინი, უხვად დაასაჩუქრა ლატაკნი და ქვრივ-ობოლნი ამ დიდებული თათბირის აღსანიშნავად, მეორე დღეს კი გასცა სათანადო ბრძანება. ყოველივე შესრულდა იმ გეგმით, რაც მისცა საკაძემ. დაიბარეს ქართლიდან სვიმონ მეფე, შერთეს ცოლად ყორჩიბაშის ქალი, გადიხადეს სანაქებო ქორწილი და დიდის პატივით გაისტუმრეს ივერიაში, თან გააყოლეს, ვითომდა მაყრად, დიდი ჯარი, უამრავი ჯილდო-ფეშკაშებით ქართლელ დიდებულთათვის. შემდეგ ყოველ ორ კვირაში მიდიო-

დნენ ქართლში ფეშქაშებით, თითქო მისალოცად, ირანის ჯარები საუკეთესო სარდლების ბელადობით. ამ მიმყოლ ჯარებს შაჰმა სარდლად ღა მრჩევლად დაუნიშნა თვით დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, რომლის უფროსი ვაჟი პაატა დაიტოვა მძევლად ყოველი შემთხვევისათვის. ამავე მიზნით დაიტოვა მძევლად მეუღლე ზურაბ ერისთავისა, რომელიც შაჰის ბრძანებით თან გაჰყვა ირანის ჯარს ერთ-ერთ სარდლად. შაჰაბაზი ფრიად აფასებდა დიდ მოურავთან ერთად მისი ცოლისძმის, ზურაბ ერისთავის, სამხედრო ნიჭსა და ერთგულებას.

მართლაც უზომოდ მოტყუვდნენ ივერნი, ისინი მოხიბლა და დააბრმავა შაჰაბაზის დამოყვრებამ და ჯილდო-ფეშქაშებმა. ირანის ჯარებმა ქართლ-კახეთის მრავალ კუთხეში გამართეს სამხედრო აღლუმნი და ამ ოსტატობით დაიკავეს ხელში ქართველების ციხენი და სახიზნი გზები. ამრიგად ქართველი ხალხი მოემწყვდა შუაში. — ირანის ჯარები რგოლივით შემოერტყნენ მთელ ივერს.

ახლა-კი მიხვდნენ ქართველნი თავის საბედისწერო შეცდომას. მიხვდნენ, რომ ეს ოინები — ლხინი, ქორწილი, ფეშქაშები და აღლუმები — თურმე მათ დასაღუპავად იყო მოწყობილი. ზარდაცემული ხალხი თავის ცოლშვილით ეცა სამალავ გზებს. მაგრამ ყველა გზა ხელთ ეკავათ მტრებს... ახლა უსაზღვრო ელდამ მოიცვა მთელი ივერი. იგი აშკარად მზერდა თავის აღსასრულს, მზერდა მის ქედზე ადმართულ ირანის ულმობელ მახვილს...

— ან გამარჯვება აურაცხელ მტერზე, ან გმირული სიკვდილი მახვილით ხელში! — აი ის აზრი, რამაც გაიელვა ქართველის გონებაში. აბობოქრდა მუსლიმთა მღელვარე ზღვა. მისი შავი ზვირთები, ქურდულად შემოჭრილნი, ირგვლივ შემოერტყნენ და შთანთქმას უპირებდნენ მთელ ივერიას...

XXIII. შეთქმულება

1623 წლის თებერვლის დამდეგს მთელი ივერი აივსო ირანის ჯარებით. მათ უკვე ხელთ ეპყრათ ყველა ციხე-სიმაგრე და სამალავი გზები. ამ დროს კახეთი იყო თითქმის მთლიანად განადგურებული; შიგ თავისუფლად თარეშობდნენ ირანელნი ფეიქარხანის თაოსნობით და აწიოკებდნენ უპატრონო ხალხს. უკეთეს სურათს არ წარმოადგენდა ქართლიც, მას ძირს უთხრიდნენ შინა მტრები... უმეფობამ წახსნა ლაგამი მსხვილ თავადებს, ისინი მშიერი მგლებივით დაესიენ ხალხს და ერთმანეთს. გამდიდრება-განდიდების მადა-სურვილი უზენაეს წერტილზე ავიდა. ისინი ესხმოდნენ ერთიმეორეს თავისი დაგეშილ მოთარეშე რაზმებით, ართმევდნენ ყმასა და მამულს, იტაცებდნენ ლამაზ ქალ-ვაჟებს ირან-თურქეთში გასაყიდად, უხვად ღვრიდნენ მოძმეთა სისხლს. ისინი არ უდებდნენ თავს შაჰის მიერ დადგენილ ბაგრატოვანთა გვარის მაჰმადიან მეფეებს და თარეშობდნენ დაუსჯელად.

ასეთ ვაებასა და ანარქიას განიცდიდა ქართლი და კახეთი, როცა თავს დაატყდათ საშინელი რისხვა. ისინი მიხვდნენ, რომ დადგა მათი დაღუპვის ჟამი, რომ უნდა გაწყდნენ მთლიანად და აღიგაონ ქვეყნის პირიდან. ეს იყო ენით უთქმელი, საბედისწერო მოვლენა, რომლის მსგავსი ბედშავ ქართველ ერს არ განუცდია თავის ტრაგიზმით სავსე ისტორიაში.

საღამო ჟამია. თებერვლის ჩამავალი მზე ციატი სხივებით ემშვიდობება მცხეთის მთა-გორაკებს. თეთრი სასახლის დერეფანში ნოხით მოგებულ სკამლოგინზე ზის მოხუცი ბერი და ჭმუნვარე სახით გასცქერის იქ, სადაც ცელქი არაგვი უერთებს თავის ლურჯ-კამკამა ზვირთებს გულამღვრეულ მტკვარს. იქვე ამართულა გოროზად სვეტიცხოველის დიდებული ტაძარი, მკერდზე ეფინება მოხუცს პატრიარქის სპეტაკი წვერი. დიდებულ სახეს აშუქებს სიბრძნე-სათნოების შარავანდედი. ეს არის ივერიის კათალიკოსი ზაქარია, ქვეყნის მოყვარე და ხალხის ერთგული. მსხვილი გიშრის კრიალოსანი გაყინვია ხელებში. მოხუცი ჩაფლულა ღრმა ფიქრებში. ამ დროს გაისმა ოდნავ კარის ჭრიალი და ოთახიდან გამოვიდა ზორბა აღნაგობის ჭარმაგი ბერი. ეს იყო წილკნელი ეპისკოპოსი. კარის ხმაურზე შეკრთა მოხუცი.

— ოჰ, შენა ხარ, მურმანოზ? დაჯექ ჩემს გვერდით, — შეეხმაურა დაბალი ხმით კათალიკოსი. — როგორ მოგწონს ამოდენა ჯარების შემოსევა ივერიაში? ვითომც მართლა მოყვრობას გვიპირებს კახეთის გამეფლეტი მტარვალი შაჰაბაზი, თუ მოსპობას გვიქადის? არ მჯერა მისი კეთილი ზრახვანი ჩვენდა მიმართ, რაღაც ცუდად გმინავს ჩემი გული. ხომ ხედავ, ციხე-სიმაგრენი სულ ხელში ჩაიგდეს და მთებში გახიზნვის საშუალებაც კი მოუსპეს ბედშავ ხალხსა.

— ეჰ, ბატონო ჩემო, რაღა ეჭვებია საჭირო, სულ აშკარაა ყველაფერი. ერანის ბრძანებელი აღბორგებულა საშინელი შურისძიებით ქართლოსანთა მიმართ და განადგურებას უქადის უბედურ ივერიას.

— სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებენ შენი ბაგენი, ჩემო მურმანოზ. შაჰაბაზმა ამ მიზნით მოსრა კახეთი და ახლა ამასვე უქადის ქართლსაც, ამიტომაც მოგვევლინა იგი ასე მოხერხებით, მოყვრის ნიღაბით; აჰა, სისხლდაუღვრელად ჩაიგდო ხელში მთელი ქართლი, თავისი ჯარებით ალყა შემოარტყა მას, შეზღუდა მაგარი სალტეებით. ახლა კი ან გაულეტს მთლიანად, ანდა დედიან-ბუდიანად მოაბნევს ერანში, ხოლო მათ ნაცვლად ამ ჩვენს ქვეყანაში დაასახლებს რანშირვანის თათრებს, განა ამასვე არ სჩადის კახეთში?!

— მართალი ბრძანებაა, დიდო მეუფევ, და მალე ჩვენი ტაძრები შეიცვლება ჯამეებად, მაღალ სამრეკლოთაგან ზარების ნაცვლად გაისმის მოლას უშნო ყივილი, ხოლო წმინდა სახარების ადგილს დაიჭერს მუსლიმთა ყურანი...

— ნუთუ მართლა ასე მოხდება, მურმანოზ?! — წამოიძახა გამწარებით კათალიკოსმა და წამოიჭრა ზეზე. — რაღაც არ მჯერა, არა! მაღალი ღმერთი ასე არ გასწირავს ერსა ქრისტიანს! წმინდა ქალწული არ გაიმეტებს თავის წილხდომილ იელრიას! წმინდა ნინო ვაზის ჯვრით ხელში წინ აღუდგება მის მიერ განათლებული ერის ურჯულო მტერთა და ძლიერი წმინდა გიორგი ძახვილით ხელში გულსა გაუპობს შავსა გველეშაპს, რომელიც გარს მოვლებია ჩასანთქავად მის საქართველოს...

— უფალმა გისმინოს, დიდო მეუფევ! გისმინოს ცისა და ქვეყნის გამჩენმა ღმერთმა! მეც არა მჯერა, რომ ასე გაოხრდეს რიცხვით მცირე, ხოლო სულით ძლიერი ჯვაროსანი ერი, რომელმაც საუკუნეთა სრბოლაში გაუძლო ისტორიულ გრიგალს, უამრავ გასაჭირს, მუსლიმთა ბნელ ტალღებს და მოვიდა დღემდე ცოცხალი, სულით ძლიერი... ხოლო რად ინება ღმერთმა ტურფა კახეთის ასე უწყალო აოხრება?! განა რა ბრალი მიუძღოდა მის წინაშე უმწეო ხალხსა?!

— ნუ ჰგმობ უფალსა, მურმანოზ ჩემო! მაღალი ღმერთის ფარულ ზრახვებს ვერ მიწვდება მომაკვდავის სუსტი გონება. მწამს, რომ ამ საშინელ გასაჭირის ჟამს გამოჩნდება ჩვენთვის რაიმე ნუგეში, ამასვე მამხელს ეს ჩემი გული, თუმცა ამავე დროს კვნესის და გმინავს.

ამ სიტყვებით კათალიკოსმა იწყო ნელი სიარული გრძელ დერეფანში და უნებლიედ ათამაშა ხელში გიშრის მარცვლები.

შეღამება. მწუხრი ზანტად უთმობდა ადგილს ღამის სიბნელეს. ამ დროს მოისმა მძიმე ფეხის ხმა და ჯოხის ნელი ბაკუნი. კვერთხით ხელში კიბეზე ამოვიდა მხრებში მოხრილი ვინმე მოხუცი ყარიბის შავი სამოსით. სარტყელს ჰკოცნიდა სიბერისაგან გაყვითლებული გრძელი წვერი. მოხუცმა მძიმედ დახარა თავი კათალიკოსის წინაშე, თაყვანი სცა სული-

ერ მეუფეს, გამოსთხოვა შენდობა და მოწიწებით ეამბორა მის მარჯვენას. ასევე მოექცა მურმანოზ წილკნელს. შემდეგ მიმოიხედა ირგვლივ ფრთხილად და მდუმარედ გაჩერდა კათალიკოსის წინაშე.

— „შენა ხარ, საბავ? ძლივს გიცან! საიდან მოხვედ? — შეეკითხა კათალიკოსი.

— მოველ შორეთით, მეუფევ, უცხო ქვეყნიდან, მომაქვს თქვენდამი კარგი ამბები, გასახარელი, — თქვა ეს მოხუცმა ფრიად ნელი ხმით და ისევ ფრთხილად მიმოიხედა.

— საიდუმლოა?

— ფრიად, დიდო მეუფევ! მასზე ჰკიდია ქვეყნის და ერის ბედი... გთხოვთ მიმიღოთ ფარულ სენაკში და იქ გაუწყებთ ყოველივეს. დია ვშიშობ, არავინ გვნახოს და არ მოგვაყუროს, აეშაგებით სავსე არის ჩვენი ქვეყანა.

— მურმანოზს შეუძლია ჩვენთან დარჩენა?

— დიახ, მეუფევ, ეგრე მიბრძანა.

კათალიკოსი დინჯად შეუძღვა ორთავეს თავის სენაკში, აანთო პაწია თაფლის სანთელი და გადარაზა კარები.

საბამ ფრთხილად მოხადა მორგვალო თავი კვერთხს, ამოიღო შიგნიდან ჯერ ბამბაში და შემდეგ ნარმაში გახვეული პატარა გრაგნილი და მიაწოდა კათალიკოსს. მან ძლივ გასაგონად წაიკითხა შემდეგი:

— ივერიის წმინდა მამას და კათალიკოსს თავდაბლად ესალმება და მის მარჯვენს მოწიწებით ეამბორება მისი მარად ერთგული სულიერი შვილი „განი“. დიდო მეუფევ! კარგად უწყით, რა რისხვაც დაატყდა უბედურ კახეთს ამ ხუთი წლის წინათ. ამასვე უქადის ახლა ქართლსაც დიდი მტარვალი. ხომ ხედავთ, რა ცბიერად შემოაპარა მანდ უამრავი ლაშქარი, ხელთ იგდო ციხე-სიმაგრენი და გასახიზნი გზები. ხალხს მოესპო მთებში გაქცევის საშუალება. ამ სახით მთელ სამეფოს შემოერტყა გველეშაპივით და შუაში მოამწყვდია უმწეო ხალხი. გაამხნევეთ ხალხი, წმ. მეუფევ. ნუ გეშინით! თქვენთან არიან ძალნი ციურნი და თქვენთან ვარ მეც, ძე ივერიისა. უკვე მოდის ერანით ახალი ჯარი და მეც მოვდევ მას. გზიდან გწერ უსტარს, ყოველივე აუწყე

ფრიად საიდუმლოდ წილკანელს, მროველს, ზაზა ციციშვილს და აღათანგ ხვრხეულიძეს, აგრეთვე ხოსრო ქარსიძეს და გიორგი ქავთარაძეს. დეე იმათ ჩემს მოსვლამდე გაამხნეონ შეშინებული ხალხი, მისცენ იმედი. მოაწყვეთ როგორმე საიდუმლო თათბირი. მეც მალე მანდ გავჩნდები. გწერთ მხოლოდ თქვენა, რადგან სულიერმა მამებმა უკეთ იციან საიდუმლოს დაცვა, ვინემ ერისკაცებმა. მარად თქვენი ძორჩილი „განი"...

ფრიად გაოცებული და თან აღფრთოვანებული კათალიკოსი შეეკითხა საბას:

— ვინა მწერს ამას, ვეღარ მივმხვდარვარ ?

— ვინც ორჯერ იხსნა დაღუპვისაგან ჩვენი ქვეყანა, ღიდო მეუფევ.

— გიორგი, დიდი მოურავი, ერის მოთავე! — უნებლიედ წამოიძახა ზაქარიამ.

— დიახ, ის გახლავთ, წყნარად, დიდო მეუფევ, არ გაიგონონ.

— დიდება უფალს! ევლინება ქვეყანას მხსნელი, ყველაფრის შემძლეა იგი. ხომ გითხარ, ჩემო მურმანოზ, ღმერთი არ მოიძულებს ივერიას-მეთქი! აჰა, აღსრულდა ჩემი წინათგრძნობა! — წამოიძახა აღტაცებით კათალიკოსმა.

— მართლაც რომ დიდება ღმერთსა!

ბანი მისცა წილკნელმა პირჯვრის წერით. წმ. გიორგი გზავნის ჩვენდა სახსნელად თავის სეხნიას. ყველაფრის შემძლე არს ღალატით დევნილი დიდი მოურავი. მჯერა, რომ იგი დათურგნავს ურჯულო სპარსთა. მწამს ამიერით გადარჩენა ჩვენი ხალხისა. ხოლო, საბავ, სად იყავ შენა და როგორღა ნახე ერის მოთავე?

შუამთის მონასტრის მოხუცი ბერი ამ ხუთიოდ წლის წინათ გავყევ კახეთიდან ტყვედ წაყვანილ ხალხსა სანუგეშებლად და გასამხნევებლად; ენით აუწერელი ტანჯვა-წამება განვიცადეთ მგზავრობასა და თვით ერანში. უამრავი გაწყდა გზაში, გადარჩენილთა შორის კარგები ტყვეებად გაიყიდა, დანარჩენი კი, მეტწილად მოხუცნი და ხეიბარნი, დაასახლეს დაცემულ ალაგებში და ნახევარზე მეტი გაწყდა შიმ-

შილითა და სახადით. მეც მათთან ვიყავ და ჩუმად ვასრულებდი მღვდელმსახურებას. ამ ბოლო დროს ოთხმოცდაათი წლის მოხუცმა ვიგრძენ სიკვდილის მოახლოვება და დავაპირე ევერიაში დაბრუნება, რათა მივბარებოდი სამშობლო მიწას. აჰა, გზაში წამოვეწიე ერანის ლაშქარს, ნელად მომავალს ჯარსა და ვიხილე იქ საკაძე. მან მიცნო მაშინვე, გამენდო ფრიად საიდუმლოდ ღამით უღრან ტყეში და დამავალა კათალიკოსის წინაშე ხლება, თან გადმომცა ეგ უსტარიც, რომელიც თავის ხელით ჩასდო ამ კვერთხის გულში. ახლა კი რას მიბრძანებთ, მეუფევ? — შეეკითხა მოხუცი საბა კათალიკოსს.

— ამაღამ აქ მოისვენე ამ ჩემს სენაკში, ხოლო ხვალ დილის რიჟრაჟზე წარვედ მშვიდობით შენს მონასტერსა, რათა არ გნახონ აქა და არ აიღონ რაიმე ეჭვი. დანარჩენს თვით მოვაგვარებ. გლოცავ, ძმაო საბავ! იკურთხოს სახელი შენი, ცხონდი უკუნისამდე, ამინ! — ამ სიტყვებით გადასახა ჯვარი მოხუცს და ეამბორა სახეზე. მოხუცი-კი ემთხვია ხელზე, სიხარულის ცრემლით აევსო თვალები. ასევე ლოცვა-კურთხევით დაემშვიდობა წილკნელიც. ორთავე მეუფენი გავიდნენ სერობის მისაღებად და მოსასვენებლად მეორე ოთახში, ხოლო მოხუც საბას თავისი ხელით მიაწოდეს სერობის ჯერი და საგზაო ნუშლი...

მოხერხებული გეგმით საკაძემ ბანგებ დაქსაქსა და მით დაასუსტა სპარსთა ძალები, იმავე დროს სამალავი გზების დაჭერით მოუსპო ქართველ ხალხს გახიზვნის სახსარი, რითაც გამოიწვია მათში უზენაესი თავგანწირვა და სიმამაცე, აქცია ისინი გმირებად და ააღებინა ხელში მახვილი თავისი არსებობისა და ცოლშვილის დასაცავად. ხოლო ამ განკითხვის ჟამს ერს ეჭირვებოდა სარდალი და, აჰა, აღმოჩნდა კიდეც!

ჩამოვიდა თუ არა საქართველოში, მოურავმა ფრიად საიდუმლოდ ინახულა კათალიკოსი ზაქარია, წილკნელი ეპისკოპოსი მურმანოზ, ზაზა ციციშვილი, ალათანგ ხერხულიძე, ხოსრო ქარსიძე, გიორგი ქავთარაძე, ნორად ჯორჯაძე, დავით ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრან-ბატონი და სხვა საუკე-

თესო მამულიშვილნი და მათი დახმარებით მოაწყო შეთქმულება ირანის ჯარების წინააღმდეგ. ამ შეთქმულთა პირით მან ფრთხილად გაამხნევა ხალხი, მისცა ხსნისა და გადარჩენის იმედი.

აღფრთოვანდა სასოწარკვეთილი ერი. ამიერით აღარ ეშინოდა მძვინვარე მტრის: იგი გრძნობდა დიდ ქომაგს.

ამ მძიმე საქმის შესასრულებლად კი საკაძეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა ერთი კაცი — ეს იყო მისი ცოლისძმა ზურაბ ერისთავი. მოურავის შემდეგ ის იყო მთელ ივერიაში უპირველესი სარდალი. ნუგზარის მიცვალების შემდეგ საკაძის დახმარებით შაჰბაზმა ზურაბს დაუმტკიცა არაგვის ერისთაობა, თუმც კანონით იგი ეკუთვნოდა მის უფროს ძმა გიორგის. ამის გამო ზურაბ დიდად დავალებული შეიქნა შაჰისაგან, ამიტომ იგი არასგზით არ ჩაიდენდა ირანის ბატონის საწყენ საქმეს. ხოლო ამავე დროს ზურაბს ეკავა ხელში საქართველოს სამხედრო გზა და ხევის კარიმას ჰქონდა დიდი გავლენა მთის ხალხებზე. მხოლოდ მისი ნებართვით და შემწეობით შეეძლოთ გადმოფრენა მთის არწივებს, თუშ-ფშავ-ხევსურთ და არაგველთ, რომელთა მთავარ-სარდლად უნდა ყოფილიყო თვით ზურაბ ერისთავი. ისინი იყვნენ მტრის სალტის გარეშე, ამიტომ ივერიის ხსნა პირველად სწორედ იმათგან უნდა დაწყებულიყო... იმათ უნდა მიეტანათ პირველი ივერიში მტრის ჯარებზე. აი, ამ პატივ-დიდებით დამთვრალს, ზვიად ერისთავს, ამ შაჰბაზის ერთგულ პიროვნებას მიმართა გიორგი საკაძემ. უნდა ითქვას, რომ ზურაბ ერისთავი იყო იმ დროს ნამდვილი სვავი მებატონე. ამ დიდ სარდალს, მამაცობით განთქმულს, ჰქონდა აღძრული ფრიად განდიდების და გამდიდრების მადა. მას ოდნავაც არ ხიბლავდა ერი და სამშობლო. ის იყო ვიწრო ეგოისტი, პირადი ინტერესებით გაჟღენთილი ადამიანი. ასეთები იყვნენ იმ დროს ივერ-კოლხეთის და მესხეთის თავად-აზნაურთა მეტი ნაწილი. საკაძის წყალობით ზურაბი დაიახლოვა შაჰმა, მოხიბლა იგი პატივ-დიდებით და უამრავი ჯილდო-საჩუქრით; ყეენისავე წყალობით ის გახდა არაგვის ერისთავი. ირანის შაჰის ასეთ მეგობრობას დიდად

აფასებდა. მისგანვე მოელოდა ახალ ჯილდო-წარმატებას. ამიტომ ის იყო შაჰის ერთგული მთელი არსებით. ამის გამო შაჰაბაზის საღალატო საქმეში ზურაბ არასგზით არ გაერეოდა. პირიქით, სასტიკად დაგმობდა ასეთ მოღალატეს, დაგმობდა მოურავის მიერ საიდუმლოდ მოწყობილ შეთქმულებას, მაშინვე გაამჟღავნებდა მას და მით დაღუპავდა შეთქმულებთან ერთად მთელ ივერიას. ამაზე ოდნავაც არ შეფიქრდებოდა. ყოველივე ეს კარგად იცოდა სააკაძემ. მაგრამ მიუხედავად ამისა, გაბედა მაინც და მიმართა ამ ფრიად უნდო და საშიშარ ადამიანს!

ორთავენი მტრის მთავარ ბანაკში იყვნენ მუხრანის ველზე. მათ ეხვიენ ირგვლივ შაჰის აეშაგნი (ჯაშუშნი), სასტიკად ზვერავდნენ მათ ყოველ ნაბიჯს და მოქმედებას. მიუხედავად ამისა, საკაძემ მოახერხა და ფარულად მიიწვია ზურაბი ერთ საიდუმლო ალაგს. გმირმა მეტად ფრთხილად გაანდო ივერთა შეთქმულება და სთხოვა დახმარება ამ დიად საქმეში. გიორგიმ გაახსენა ზურაბს შაჰის სატანური ზრახვანი, აურაცხელი მტრის შემოსევა ქართლ-კახეთში, მათ მიერ ციხე-სიმაგრეთა და სამალავი გზების დაკავება, დაუხატა სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობა, მისი არსებობის უკანასკნელი წუთები.

მან მიმართა შემდეგი სიტყვებით:

— „ზურაბ, ნუთუ უნდა განადგურდეს მთელი ივერი?! ნუთუ უნდა მოისპოს საუკუნოდ ქართველი ერი? — ნუთუ ამ ტურფა ქვეყანაში უნდა აღმოიფხვრას ქრისტიანობა?! ნუთუ მამაცსა და მშვენიერ ქართველთა ნაცვლად ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ სამშობლოში ამიერით უნდა დაბინავდნენ სპარსნი და მუღანლოს თათრები, — ეს ჩვენი ერის უძინარი მტრები?! ნუთუ ჩვენს თვალწინ უნდა მოხდეს ეს საშინელება, ჩვენ კი ამ დროს ხელდაკრეფილნი უნდა ვისხდეთ მტრის ბანაკში და შევცქერდეთ ამ უმაგალითო ამბებს?! შემდეგ ამისა რაღად ვატარებთ ქართველის სახელს, რაღად გვკიდია წელზე ხმალი და გულზე ჯვარი?! ან რა პირით წარვუდგეთ საიქიოს ჩვენს ქებულ წინაპრებს, რომლებიც გმირულად ებრძოდნენ ათას წელს მძვინვარე

მუსლიმს. შეირჩინეს სამშობლო სჯული და თავისუფლება?! რა პასუხი გავცეთ როცა გვეტყვიან: „ჰეი, თქვე მოღალატენო! რად დაღუპეთ ქართველი ერი?!“ ზურაბ, იცოდე, ჩვენი სული ვერ მოისვენებს ვერც სააქაოს, ვერც საიქიოს! ამიერით ჩვენს შუბლზე ეწერება: ერის ღალატი... ზურაბ, ჩაუკვირდი ამ საშინელ სიტყვებს! ნუ გავხდებით სამარადისოდ წყევის ღირსნი! ნუ შევიქმნებით სამშობლოს გამცემნი! ნუ გამოვჭრით ყელს ჩვენს საყვარელ დედას! ნუ დავღუპავთ ჩვენს ხალხს, ჩვენს ტურფა საქართველოს!

ეს მწვავე სიტყვები ჩქეფდა მოურავის გულის სიღრმიდან. ამ მხურვალე ქადაგებამ ააღელვა გულქვა ზურაბი. ქუხდა ერის მოთავე ამ მძლავრი სიტყვებით და ტიროდა ზურაბ ერისთავი; მის გაყინულ გულში ჩაისახა აქამდე უცნობი ძლიერი გრძნობა — სამშობლოს სიყვარული...

ზურაბმა გაუშვირა ხელი მოურავს და თვალცრემლიანი ჩაეკვრა გულში.

— გიორგი, თუ ასეთი საქმე გქონდა ფიქრად, რად არ გამანდვე სპარსეთშივე? მაშინ არ დავტოვებდი იქ ჩემს მეუღლეს. გააფთრებული შაჰაბაზი ხომ წამებით მოჰკლავს ჩემთვის საყვარელ არსებას! მერე ხომ ჩავვარდი მის ცოდვაში!

— ადრე გამხელა, ერანშივე თქმა ასეთი საიდუმლო რამისა შეუძლებელი იყო, ჩემო ზურაბ. იქ კედლებსაც კი ყურები ესხა; გაგვიგებდნენ ამ საქმეს და ჩაიშლებოდა ჩვენი გეგმა, მაშინ ჩვენც დავიღუპებოდით ტყუილ-უბრალოდ და ერსაც დავღუპავდით. ახლა შენ სწირავ ცოლსა ამ დიდებულ საქმეს, მე-კი ჩემს საყვარელ პირმშო ვაჟს, ჩემს პაატას. იგი ცბიერმა შაჰმა მომგლიჯა გულიდან, მძევლად დაიტოვა, მას კი მზად ვარ შევწირო ჩემი საკუთარი ათასი სიცოცხლე...

ამ სიტყვებთან ერთად გმირს ცრემლით აევსო თვალები. იგი საშინლად აღელდა. ცოტა ხანს შემდეგ მოითქვა სული, მოიწმინდა ცრემლი და განაგრძო:

— ეჰ, გავიმაგროთ გული, ძვირფასო ძმაო! ჩავიდინოთ ეს საგმირო საქმე! შევწიროთ სამშობლოს ხსნის საკურთხე-

ველზე ცოლი და შვილი... ივერი ბევრს იმგვართ და კიდევ უკეთეს ქართველთ წარმოშობს, ხოლო ისინი ვერ შექმნიან საქართველოს!

ზურაბ ყოყმანობდა ისევ და წუხდა ცოლის დატოვებას. მაშინ ბრძენმა სააკაძემ მეორე მხრივ მოუარა და სხვაგვარი სიტყვა გაუტარა:

— ზურაბ, ნუ სწუხარ, ძმაო! შეეჩვიე ამ საშინელ აზრს. ნუ გაიტეხ იმედს! დამშვიდდი, ძმაო! მოვაწყობ ისე, რომ შეგრთავ ცოლად თვით ლუარსაბ მეფის დას ელენეს, შაჰ-ბაზის ნაცოლარს და ამჟამად ფეიქარხანის მეუღლეს. ხომ გესმის, ზურაბ? ამით შენ გახდები ქართლის სამეფოს მემ-კვიდრე...

შარბათზე უტკბესად იმოქმედა ზურაბზე ამ სიტყვებმა და სწრაფად დააცხრო მისი გული. ამ დიდების მოყვარე არსებას უცებ დაავიწყდა თავისი ნამდვილი ცოლი. იგი კვლავ გადაეხვია დიდ მოურავს, შეფიცა ერთგულება და სრული თავდადება ამ დიდ საქმეში.

ამ დღიდან ისინი მხნედ შეუდგნენ ქვეყნის ხსნას და მტრის დამარცხებას. მეორე დილით ადრე ზურაბმა გასწია თავის საყმოში და ბეჯითად შეუდგა მზადებას. ფრთხილმა მოურავმა მასვე გააყოლა გელა და ლომი ჩრდილელი, რა-თა მათ საიდუმლოდ ედევნებინათ თვალყური ზურაბისათ-ვის, იმავე დროს კი დახმარებოდნენ მას თუშ-ფშავ-ხევსურ-თა რაზმების შეკრებაში, სადაც დიდი გავლენა ჰქონდა ორივე და-ძმას, როგორც იმ კუთხის შვილებს. დიდი მოუ-რავის მიერ ასე ფრთხილად მოწყობილი საქმე საიდუმლოდ არ დარჩა გაიძვერა შაჰაბაზის ერთგულ აეშაგთა მეოხებით. შაჰმა შეიტყო ყველაფერი და ფარულად მოსწერა თავის ჯარების უფროსს ყორჩიხანს მოეკლა ჩუმად სააკაძე, იმავე დროს დაჩქარებით შესდგომოდა კახეთის მცხოვრებთა მთლიან გაჟლეტას, ხოლო ქართლის აყრას და გადასახლე-ბას.

რაღაც განგებით შაჰის ეს ბარათი ხელთ ჩაუვარდა თვით მოურავს. ნადირობის დროს ლოჭინის ველზე მან თვალი მოჰკრა ირანის მხრიდან მომავალ იფრინდას, დაედევნა მა-

შინვე ცხენით, შეიპყრო იგი, უნახა ქუდში დამალული შაჰის ბარათი, წაიკითხა და რაკი სცნო ყველაფერი, მოკლა იფრინდა და იქვე ჩაფლა მიწაში, თვითონ კი საჩქაროდ შეუდგა საქმეს.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, შაჰმა უკვე იცოდა ყველაფერი და ამ პირველ შიკრიკს ხვალ-ზეგ დაადევნებდა მეორესა და მესამეს. ამრიგად ეს დიდი შეთქმულება ჩაიშლებოდა და მოისპობოდა მთელი ივერი. ყოველივე ეს სწრაფად მოისაზრა საკაძემ და გააქროლა ცხენი სამუხრანოსაკენ. დაიბარა თავისი ძმადნაფიცი ორივე პაპაუნა, ჩივაძე და ვაშაყაშვილი, აუწყა საქმის ვითარება და მათი მეოხებით სასწრაფოდ მოიწვია საიდუმლოდ უმთავრესი შეთქმულნი. ორი დღის შემდეგ შუაღამისას ყველანი უნდა შეკრებილიყვნენ შეიარაღებულნი და შავ ნაბადჩაბალახ შებურულნი უფლისციხის ქვედა დარბაზში.

ეს დიდებული ნაშთი ქართული ხუროთმოძღვრებისა, უფლისციხე, მდებარეობს შუაგულ ქართლში, მტკვრის პირად, ექვსი ეჯის მანძილზე ქ. გორიდან და მთელი ციხე-ქალაქი გამოტეხილია კლდეში რამდენიმე სართულად. შიგ არის სხვადასხვა ზომის ქვის მრავალი დარბაზი და სენაკები, ჩუქურთმებით შემკული, ქვისავე ტახტ-მერხებით და მაგიდებით; კლდეშივეა გამოტეხილი ქუჩები და ქუჩაბანდები, წყალსაცავი აუზები და სხვა... იქვეა გვირაბი მტკვარზე ჩასასვლელად და წყლის ამოსაზიდად. ნამდვილად არავინ იცის, რომელ საუკუნეში აგეს, ანუ, უკეთ, გამოტეხეს კლდეში ეს ფრიად იშვიათი ისტორიული ნაშთი. ჩვენი ძველი მატიანე „ქართლის ცხოვრება“ გვამცნევს, თითქო იგი აეგოს ქართველი ერის ზღაპრული მამამთავრის ქართლოსის ვაჟს უფლოსს და თავისი სახელი ეწოდებინოს. ხოლო როგორც ეს უფლისციხე, ისე მეორე ასეთივე დიადი ნაშთი, გიორგი მესამის მიერ დაწყებული და დიდი თამარის მიერ დამთავრებული ვარძიის დიდი მონასტერი, აგრეთვე მტკვრის პირად ჯავახეთის კლდეში გამოტეხილი ტაძრებით და უამრავი დარბაზ-სენაკით უდიდეს აღტაცებას იწვევს დღესაც მეცნიერ-მოგზაურთა შორის.

აი, სწორედ ამ დიდებულ უფლისციხეში მოაწყო დიდმა მოურავმა შეთქმულთა კრება. მართლაც შეუძლებელი იყო მოეძებნა კაცს შუაგულ ქართლში უფრო მყუდრო და ფარული ალაგი.

ბნელი, ღრუბლიანი, უმთვარო ღამე. თქორავს. უფლისციხის შესავალ კართან აქეთ-იქით დგას იარაღ-ასხმული ორი გუშაგი. ეს ზორბა ტანის არსებანი, შავი ჩაბალახით თავწაკრულნი, შავნაბადმოხურულნი და მაღალტარიან შუბზე დაბჯენილნი, გაგონებთ შავი კლდის ქანდაკთ.

შუაღამე გადავიდა. გაისმა მამლის შორეული პირველი ყივილი. ამავე დროს გუშაგთა თვალწინ აიმართა შავი უზარმაზარი ლანდი. იგი დინჯად და ფეხაკრეფით უახლოვდება მათ. გუშაგებმა აღმართეს შუბნი და შეეკითხნენ წყნარად:

— ვინ მოდის?

— მოკეთე.

— ნიშანი?

— „ხარება“.

„იხარე მარად“. მობრძანდი, ბატონო!

ეს იყო მოურავის მიერ მიცემული საიდუმლო ნიშანი, რომელიც გუშაგ-შეთქმულთა გარდა არავინ იცოდა. ამავე ნიშნით ხვდებოდნენ ერთმანეთს ციხის დარბაზში თვით შეთქმულნი იმ მოსაზრებით, რომ შემთხვევით რომელიმე გარეშე პირი არ შეჰპაროდათ რაიმე ხერხით. ამ მოკლე კითხვა-პასუხის შემდეგ ერთი გუშაგი ჩაუძღვა ქვის კიბეზე ახლადმოსულს და შეიყვანა დიდ დარბაზში, სადაც მოფარებით მდგარ ქვის მაგიდაზე ოდნავ ბჟუტავდა პატარა ჭრაქი.

პირველ შეთქმულს მალე მოჰყვა მეორე, მესამე და სხ. მოვიდნენ ცალცალკე. სულ შეგროვდა ათი კაცი. მათ შორის იყვნენ ზურაბ ერისთავი, ლომი ჩრდილელი და მთაში სახელგანთქმული მამაცი თუში და ხევსური: ბერდია და გოგოთური, ყველანი იყვნენ მოსული ჯუბა-ჯავშნით, მუზარადით და იარაღასხმულნი, თანაც შავ ნაბად-ჩაბალახით შებურვილნი. მათ შორის გამონაკლისს წარმოადგენდა ორი ახოვანი ბერი; ერთი იყო ივერიის კათალიკოსი ზაქარია,

ხოლო მეორე — წილკნელი ეპისკოპოსი მურმანოზი. ამათ კი შავი ნაბდის ქვეშ ემოსათ ბერის შავი ანაფორა და თავს ეხურათ დიდლბანდიანი შავი კოთხო. მურმანოზს ხელთ ეპყრა მცირე აბგა, რომელიც ფრთხილად დადვა დარბაზში ქვის ბაგიდაზე. აბგაში იდვა სუფთა დარაიაში სათუთად გახვეული ბარძიმი, ჯვარი და სახარება.

ყველაზე ბოლოს გაჩნდა შემოსასვლელ გვირაბთან სხვებივით მოსილი, გოლიათის აღნაგობის რაინდი. თუმც მაშინვე იცვნეს გუშაგებმა, ვინც იყო იგი, მარა მაინც მიმართეს დათქმული შეკითხვით, ამართული შუბებით ხელში, და მოსთხოვეს საიდუმლო ნიშანი. უკვე ხვდებით, რომ ეს იყო თვით დიდი მოურავი. მან მოუწონა გუშაგად მდგარ შეთქმულ ორივ პაპუნას ასეთი სიფრთხილე და შეეკითხა, ყველანი მოვიდნენ თუ არა?

— ათივე გეახლნენ და დიდ დარბაზში გელოდებიან, — იყო გუშაგთ პასუხი.

— კეთილი, ჩავალ, თქვენ კი აქვე დარჩით და თუ რაიმე საეჭვო შეიცნოთ, მოგვეცით ნიშანი ჭოტის ძახილით, სასწრაფოდ მივიღებთ ზომებს. თქვენც ეცადეთ მზვერავი ვინმე არ გაუშვათ ხელიდან.

ამ სიტყვებით საკაძემ ფრთხილად ჩავლო კიბე და შეავიდა დიდ დარბაზში, სადაც დამხვდურთ შეკითხვაზე მისცა სათანადო პასუხი დათქმული ნიშნით, შემდეგ ემთხვია ხელზე კათალიკოსს და ეპისკოპოსს. — აბა, ძმებო! დრო აღარ ითმენს! შევუდგეთ საქმეს!

უთხრა შეთქმულთ ნელი ხმით მოურავმა და ამოიღო უბიდან შაჰაბაზის უსტარი, რომელიც წაართვა ლოჭინის ველზე სპარსელ იფრინდას და წაუკითხა შეთქმულთ ჭრაქის შუქზე შემდეგი:

„ყორჩიხან, ამით გიბრძანებ, მოჰკალ ახლავე ჩვენი მოღალატე გურჯი მოურავი და მისი მოკვეთილი თავი აქ გამოგზავნე, ამავე დროს დააჩქარე კახეთის ხალხის მთლიანი გაჟლეტა, ხოლო ქართლელთა აყრა და გადმოსახლება.

სრულიად ირანისა და ერაყის, რან-შირვანისა და ივერიის ბრძანებელი შაჰაბაზ“.

ვინც-კი ირახულა არ ცოდა, იმათ გადაუთარგმნა ქართულად. ყველანი აშკარად დარწმუნდნენ, რომ შაას ეკაპ გაგებული აქვს ეს შეთქმულება და, ეჭვი არაა, დაუყოვნებლივ ძიებებს ზომებს, ამიტომ საჭიროა დასწრება.

— ძმებო! — დაიწყო საკაძემ. — ხომ ხედავთ, რა საშინელ ხიფათში ჩაგვყარა ჯაშუშის ენამ! ჩანს, ვიღაც იუდა ჰგიებს ჩვენს შორის, ან სირეგვნით წამოცდა ვისმეს ოჯახში და ამრიგად სცნო რომელიმე ჯაშუშმა. აეშაგ-მოლალატენით ხომ სავსეა მთელი ივერია. ახლა ნუ შევუდგებით ამის ძიებას. თავის დროზე ვცნობთ ყველაფერს და იუდა-გამცეძი ძიებებს შესაფერ ჯილდოს. ამჟამად კი საჭიროა უფრო ფრთხილი და სწრაფი მოქმედება. დადგა ჩვენი მიზნის განხორციელების ჟამი. ივერიაში შემოსეული მტრის ჯარები სულ 100 ათას კაცამდეა, ისინი დაქსაქსული არიან ხუთ-ექვს ალაგას: ამ ჯარებიდან მუხრანის ველზე, მთავარ ბანაკში, იმყოფება 40 ათასი მებრძოლი ყორჩიხანის მთავარსარდლობით. 20 ათასი ფეიქარხანის სარდლობით ბანაკად დგას გარეკახეთში სოფ. მარტყოფთან, 5 ათასი კაცი იმყოფება მცხეთასთან ახლად აგებულ ციხეში, თბილისის ციხეებში ჩაყენებულია 15 ათასამდე მებრძოლი, ხოლო დანარჩენი 20 ათასი სპარსი დაქსაქსულია ქართლ-კახეთში სხვადასხვა ციხე-სიმაგრეებისა და სამალავი გზების შესაკრავად. ზოგი მათგანი გასულია დაბა-სოფლად სათარეშოდ და საალაფოდ. ამიტომ ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ზომა და უსათუოდ ერთ დღეს შევმუსროთ მტრის მთავარი ძალები მუხრანის ველზე, მცხეთასთან, თბილისში და მარტყოფთან. ესენი არიან სულ 80 ათასი მებრძოლი. ამათი დამარცხებით ვიხსნით დაღუპვისაგან ჩვენს სამშობლოს. მტრის დანარჩენ დაქსაქსულ რაზმებს, 20 ათას კაცამდე, ხომ სულ ადვილად გავექლეტავთ იმ დიდი გამარჯვების შემდეგ! ამრიგად მოვსპობთ მტრის ძალებს და სულ თუ არა, დიდი ხნით მაინც მოვუსპობთ ვერაგ შაჰაბაზს ივერიაში შემოჭრის წადილს.

— ბრძანეთ, მოურავო, რა ძალებით უნდა შევმუსროთ მტრის ამოდენა ლაშქარი? — შეეკითხნენ საკაძეს.

— მოგახსენებთ, ბატონებო! პირველ ეხდი დავეცეო ქტრის მთავარ ბანაკს მუხრანის ველზე ხურაბ, რამდენ-გყავთ მზად შენა და მთიელთ?

— ჩემს საყმოში მზად არის ორი ათასი საუკეთესო ძებრ-ძოლი, ხოლო თუშ.-ფშავ-ხევსურთა ჯარი ლომის, ბერღილას, უჯოსა და გოგოთურის სარდლობით იქნება სამიათასამდე რჩეულნი ვაჟკაცნი, ომში ნაცადნი. სულ ხუთი ათასი მეომარი. ყველანი მზად არიან, ხოლო ელიან ნიშანს, რომ დაიძრან მთებიდან.

— ძალიან კარგი, ეგ დიდი ძალაა. 5 ათასი მთის არწივი ხუმრობა არ გეგონოთ. ახლა თქვენ ბრძანეთ, ზაზა და ბაადურ, რამდენ კაცს ვოგვაშველებთ საციციანოს მხრიდან?

— ჩვენ ხერხეულიძეებს, მაჩაბლებს და ამირაჯიბთ შეგ-ვიძლია მოვიყვანოთ ოითქმის სამი ათასი. კარგი მებრძო-ლი, — იყო ორივეს პასუხი.

— ბარაქალა, ღირსეულო მამულიშვილო!

შემდეგ მოურავი შეეკითხა თეიმურაზ მუხრან-ბატონს და ქსნის ერისთავ იასეს. აღმოჩნდა, რომ ამათ უკვე მზადა ჰყავთ 1.500-მდე მებრძოლი.

— ორივ პაპუნას, ხოსრო ქარსიძეს და გიორგი ქავთარა-ძეს კიდევ ტირიფონაზე და ლამისყანისაკენ ირგვლივ სოფ-ლებში აზატ გლეხთაგან, აგრეთვე კავთისხევსა და მის ახლო დაბა-სოფლებიდან გამოჰყავთ 1.500 კაცი. მაშ გროვდება სულ თავდამსხმელი ჯარი თერთმეტი ათასი საუკეთესო მებრძოლი. ეს ჯარი სრულიად საკმაოა მტრის ორმოცი ათას მეომრის დასამარცხებლად უეცარი თავდასხმით მუხრანის ველზე. გაგახსენებთ, რომ ცხირეთ-ტაშისკართან თათარხა-ნის ლაშქარი აღეძატებოდა 30 ათას კაცს, რომელიც მთლი-ანად გავანადგურეთ, ჩვენ კი გვყავდა მხოლოდ ექვსი ათა-სი მებრძოლი. ღმერთი მოწყალეა და წმ. გიორგი ჩვენი შემწე. თერთმეტი ათასი საუკეთესო მეომრით თვით სას-წაულებს ჩავიდენთ...

ამ საიმედო სიტყვებით დაამთავრა ბაასი მოურავმა. ყვე-ლანი გულდასმით უსმენდნენ ხალხის მოთავეს. მამაც სა-

ხეზე ეჰჩნეოდათ აღტაცება. შემდეგ საკაძემ მიმართა ჯანდიერს:

— დავით, რამდენი მეომარი გყავთ მზადა მარტყოფზე თავდასასხმელად?

— მე, ნოდარ, თამაზ და დალი მამედი გამოვიყვანთ ექვსი ათასამდე კარგ მებრძოლს, — იყო ჯანდიერის პასუხი.

— სრულებით საკმაოა. ჩვენც მოგეშველებით იქვე ოთხი ათასი კაცით დანიშნულ დროს. ამრიგად 10 ათასი მეომრით სავსებით გავანადგურებთ ფეიქარხანის შეშინებულ ლაშქარს, მეტადრე თუ გაიგეს ერანის მთავარი ძალების დამარცხება, — დასძინა მოურავმა.

— აბაი, როდის შევუდგეთ საქმეს, გივარგივ? როდის მოგაშველოთ ჩვენაი ლაშქარი? — შეეკითხა გოლიათი ხევსური გოგოთური.

— ახლავე მოგახსენებთ, რადგან დიდ საფრთხეში ჩავცვივდით ყველანი გაცემის გამო და დროც ალარ ითმენს, ამიტომ ეს დიდი საქმე, მტრის ბანაკებზე თავდასხმა უნდა მოეწყოს უეჭვოდ ამ ხუთი დღის შემდეგ. ეს იქნება 25 ამ თვეს, ზედ ხარება დილით. მით უმეტეს, რომ ჩვენი ნიშანიც ხომ ხარებაა! პირველ უნდა დავესხათ მტრის მთავარ ბანაკს მუხრანის ველზე დილის რიჟრაჟზე. ერთი მხრით, ზემოდან, მიიტანენ იერიშს ზურაბის ჯარი და თუშ-ფშავ-ხევსურნი, ხოლო მეორე მხრივ, ქვემოდან, ქართლელი რაზმები ზაზას, ბაადურის, იასეს, თეიმურაზისა და ორივ პაპუნას სარდლობით. იმ ღამეს მე თვით ვიქნები ოთხი მამაცით მტრის ბანაკში და ვეცდები თქვენი მოახლოების ჟამს გავქლიტოთ სპარსთა სარდლები, რითაც ხელს შევუწყობთ მტრის ძალთა განადგურებას. ხოლო თქვენ ყველამ, მეტადრე ზურაბისა და მთიელ ჯარებმა, შორითვე უნდა აყვიროთ მრავალი ბუკი და ღოროტოტო, რათა მტერს ეგონოს, თითქო საომრად მოდის მეფე თეიმურაზ იმერ-ოსმალთა დიდი ლაშქრით, რომ ამ ხერხით თავზარი დავცეთ სპარსთა ჯარებს, შევიტანოთ მათში შიში და ძრწოლა... როგორც კი მოვრჩებით ამ მძიმე საქმეს მუხრანის ველზე, მაშინვე თავს დავესხმით მცხეთასთან ახალ ციხეში ჩამდგარ სპარსებს და

ობილისის ციხეებს. ჯარის ნაწილს გავგზავნით მარტოყოფი-საკენ კახთა საშველად ფეიქარხნის წინააღმდეგ. მეორე მხრით კი მტერზე იერიშს მიიტანს დავით ჯანდიერი თავისი ამხანაგებით და, ღვთით, იქაც გავანადგურებთ მტერს. აი, ძმებო, ჩემი გეგმა. და სწორედ ხარება დღეს უფალი ღმერთი მოუვლენს ურჯულო მტრის ლაშქარს ზეციურ რისხვას. ხოლო ივერთა ერს მომადლებს გამარჯვებას და უზომო სიხარულს! — დაამთავრა მოურავმა თავისი გეგმის განმარტება.

— გისმინოს მაღალმა ღმერთმა და წმ. გიორგიმ! გისმინოს! — მიაძახეს შეთქმულებმა ერთიანულ გმირს.

— გისმინოს, ჩვენო დიდო სარდალო, ლაშარის ჯვარმა და ლომისის წმ. გივარგიმ!—დაიგრგვინეს ლომი ჩრდილელმა და გოგოთურმა.

მცირე სიჩუმე ჩამოვარდა. მაღალგუმბათიანი დარბაზის ჭერსა და კედლებზე ბარბაცებდა შეთქმულთა შავი ლანდები, ჭრაქის შუქით გამოწვეული.

— ახლა კი შევფიცოთ ერთმანეთს ძმობა და ერთგულება ჭირსა და ლხინში! დაეფიცოთ, რომ არ ვუღალატებთ ჩვენს დიდებულ საქმეს, თანაც არავის გავუმჟღავნებთ ამ შეთქმულებასა და ჩვენს გეგმებს, — დაიწყო ისევ დიდმა მოურავმა.

— ვფიცავთ ყველანი! ვფიცავთ! დედა შეერთოს ცოლად, ვინც სამშობლოს უღალატოს! ვინც დიანანის მისთვის სიკვდილი, მას დაემხოს ოჯახი! თავს დაატყდეს ციური რისხვა! იყოს წყეული უკუნისამდე! — დაიგრიალეს ერთხმად შეთქმულებმა ფეხზე ადგომით და ამ მგზნებარე სიტყვებს ბანი მისცა ყრუ ხმაურით დარბაზის თაღებმა...

— ახლა კი განვსპეტაკდეთ, ძმებო, სულით და ხორცით, მივიღოთ წმ. ზიარება თვით ჩვენი მაღალი მეუფე კათალიკოსის ხელით; ვინ უწყის, რომელი ჩვენგანი დარჩება კიდევ ცოცხალი! — თქვა ოდნავ მღელვარე ხმით ზაზამ, მოიხადა მუზარადი და მოიყარა მუხლი კათალიკოსის წინაშე. მასვე მიჰბაძეს დანარჩენმა შეთქმულებმა.

კათალიკოსმა მიმართა გმირებს მხურვალე სიტყვით. იგი შეეხო მოკლედ საქართველოს წარსულს, დაასურათა ივერიის საბედისწერო ჟამი, გულით დალოცა იქ მყოფნი, გაამხნევა და ყველას მიაღებინა წმ. ზიარება.

— გლოცავთ, ივერიის ქებულნო გმირნო, ამ უძველეს კლდოვან ციხეში საიდუმლოდ შეკრებილთ. იკურთხოს თქვენი მაღალი მიზანი და ის დიადი საქმე, რომელსაც სწირავთ სიცოცხლეს! იკურთხოს თქვენი მარჯვენა და ხმალი მტრის შემმუსვრელი! გწყალობდეთ მაღალი ღმერთი და წინ გიძღოდეთ ზეცის ქალწული! წმ. გიორგიმ მოგმადლოთ გამარჯვება საქრისტიანოს ურიცხვ მტერთა ზედა! გაიხსენეთ, სულიერო შვილნო, თქვენი განთქმული წინაპრები! მიჰბაძეთ მათ! იქეცით თქვენც გმირებად! დასდევით თავი სჯულისა და ქვეყნისათვის, რათა უფალმა ღმერთმან დაგიმკვიდროთ სასუფეველი ცათა შინა... გახსოვდეთ, გმირნო, რომ ასეთი განსაცდელი აროდეს დასდგომია მრავალწამებულ ივერთა ერს! მტარვალი შაჰაბაზი უპირებს მას აღგვას დედამიწის პირიდან! აჰა სულიერო შვილნო! მოტყუებით და მოყვრის ნიღაბით შემოიჭრა მტერი ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში! იგი დაეუფლა ჩვენს ციხე-სიმაგრეთ და გასახიზნ გზებსა. მან უკვე აღმართა ბოროტი მკლავი და ბასრი მახვილი, რათა ერთიან, წაწყმინდოს ერი ქრისტეანე. ხოლო არ გაემარჯვის ურჯულო მტარვალს! არ გაემარჯვის თესლთა ფილისტიმელთა ღვთის მოსავ ისრაელთა ზედა! ნორჩი ყრმა დავით მოჰკლავს შურდულით მძლავრსა გოლიათს! უკვე ვგრძნობ, რომ ხარება დილით იხარებს ერი ქართველი თავის სასწაულებრივ გადარჩენას. მწამს, რომ ივერთა ველნი და მინდორნი შეიღებება უხვად მტრის სისხლით... მუხლმოყრით ვევედრები უფალს, რათა მოგანიჭოს თქვენ და ივერთა ერს მტერთა ზედან ბრწყინვალე გამარჯვება...

ამ სიტყვებთან ერთად კათალიკოსმა მოიხადა კოთხო, დაიჩოქა იქვე და სასოებით აღაპყრა თვალნი ზეცად. მხურვალე ლოცვა-ვედრების გუნდრუკს აფრქვევდნენ მისი ბაგენი; უბრწყინავდა ნათელი სახე მოხუც მღვდელმთავარს.

ძის წინაშე იყვნენ მუხლმოდრეკით ათივე შეთქმულნი. მა-თაც მუზარადმოხდილთ აღეპყრათ თვალნი ზეცად და მამაც საბეზე სდიოდათ ცრემლი. მაი სულიერი არსება მთლიანად შთანთქმულიყო უხილავის უსაზღვრო არსში. ეს იყო დი-ადი წამი.

ბოლოს წამოდგა კათალიკოსი, წამოდგნენ გმირნიც. წმ. მამამ გაშალა მკლავნი, სათითაოდ ჩაიკრა გულში სამშობლო-სათვის თავდადებულნი და ყველას ეამბორა შუბლზე, ხო-ლო ესენი ემთხვივნენ ჯვარსა და ხელზე, შემდეგ ძმურად ჩაეკვრნენ ერთმანეთს და ფრთხილად გაუდგნენ გზას ცალ-ცალკე, დიადი გრძნობით აღტყინებულნი.

გუშაგად მდგარმა ორივ პაპუნამ ჩააქრეს ჭრაქი და გას-წიეს შინისაკენ. კვლავ მოიცვა წყვდიადმა და სამარის სიჩუ-მემ უფლისციხის დიდი დარბაზი.

შეთქმულთა წასვლის შემდეგ არ გასულა ნახევარი ჟამიც, როს ათასი მხედრისაგან შემდგარი სპარსთა რაზმი, ორივ მხრივ მოადგა უფლისციხეს... შემოარტყეს ალყა, აანთეს ქინაღილები, შევიდნენ შიგნით და იწყეს გულდასმით ჩხრე-კა, ხოლო ვერ ნახეს ისინი, ვისაც ეძებდნენ. ნაცვლად და-აფრთხეს უშნო ღამურები.

აშკარად ჩანდა, რომ ჯაშუშის ენამ აქაც შეასრულა, თუმც უნაყოფოდ, თავისი სამარცხვინო როლი.

— ოჰ, დონღუზ ჯაშუშ! ოჰ! გიაურ ჯაშუშ!

გაიძახოდა გზა-გზა მუქარით ირანის ცხენოსანი რაზმის სარდალი ისუპ-ხანი და უკმაყოფილო ბუზღუნით მიაქროლებდა მთავარი ბანაკისაკენ შავ მერანს.

XXIV. ივერიის გადარჩენა

შუაღამე კარგა ხანია. გადავიდა. გათენებამდე მხოლოდ ორი საათი იყო. მთვარე ეფარებოდა აშვერილ მთებს და ეთხოვებოდა მძინარ ბუნებას თავისი ციატა სხივებით. დუმდა მიდამო. ტკბილად ეძინა ირანის ლაშქარს მუხრანის ველზე. სთვლემდნენ გუშაგნი. მხოლოდ ერთ მდიდრულ კარავში ფხიზლობდა ხუთი ვაჟკაცი, ჯუბა-ჯავშან-მუზარადით მოსილნი და იარაღჭურვილნი. ეს ხუთი გმირი, სიბნელეში სულგანაბული, გულის ფანცქალით მისჩერებოდა აღმოსავლეთს და ელოდა განთიადს. ისინი თითქო უცდიდნენ რაღაც ნიშანს. აჰა, ამოვიდა კიდეც ცისკარი; იწყო კაშკაში. ცოტა ხნის შემდეგ დაბერა დილის ნიავმაც. არ ჩანდა ნიშანი, არ ისმოდა ბაიბური. ამ დუმილს არღვევდა მხოლოდ არაგვის ჩხრიალი და ჭოტის სევდიანი ხმა.

— ნუთუ გვიღალატა ზურაბმა?! გათენებამ მოატანა კიდეც... ნეტავ საღ არიან ამდენი ხანი?! — უკმაყოფილოდ წამოიძახა ბუმბერაზმა რაინდმა.

— მოვლენ, მამილო! მოვლენ უსათუოდ! ცოტაღა მოვითმინოთ, — უთხრა ჭაბუკმა და მოეხვია მამას.

ვინ იყვნენ ესენი? ვგონებ, ხვდებით კიდეც: ესენი გახლდენ მოურავი და მის მიერ არჩეული ოთხი მამაცი: ელია დიასამიძე, პაატა ხერხეულიძე, პაპუნა ვაშაყაშვილი და თვით საკაძის 16 წლის ვაჟი ავთანდილი. გარდა თავის ვაჟისა, ეს პირნი ნაცადი ჰყავდა დიდ მოურავს მრავალ ომში, ამი-

ტომ აირჩია ისინი. ამ ოთხი ვაჟკაცით საკაძე უნდა დარეოდა მტრის სარდლებს და გაეჟლიტა მთლიანად.

ეს იყო საბედისწერო ჟამი. ოდნავი შეგვიანება, ოღნავ გონს მოსვლა მტრის ლაშქრისა სრულიად დაღუპავდა საქმეს, დაღუპავდა მთელ საქართველოს. აქ, მუხრანის ველზე, ამ ხარება დილას წყდებოდა ივერიის ბედი: ან მტრის დამარცხება და სრული თავისუფლება, ან გამარჯვება და მთელი ქართლ-კახეთის გაჟლეტა. საქართველოს მომავალი ბეწვზე ეკიდა.

აჰა, შეფერადდა ცა, მოატანა დილის რიჟრაჟმა! სწორედ ამ დროს მოისმა შორით ბუკის ხმა. იგი თანდათან ახლოვდებოდა და გუგუნით ეფინებოდა მიდამოს. შეტორტმანდა ხუთი მამაცის გული. უსაზღვრო სიხარულის ელფერმა გადაჰკრათ სახეზე.

—ზურაბია, ზურაბ მამაცი ჯარით! აღტაცებით შესძახა მოურავმა და წამოვარდა ზეზე.

— ახლა კი დადგა, ცბიერო, შაჰაბაზ, შურისძიების ჟამი! დღეიდან შენ გაიგებ, თუ რას ნიშნავს ქართველი ერი! შენ უმზადებ მას სიკვდილს, მონობას, გაჟლეტას, მაგრამ არა! გაწყდება დღეს შენი ლაშქარი, პატარა საქართველო კი დარჩება ისევ ცოცხალი!

ამ აღფრთოვანებული სიტყვების შემდეგ გმირმა აღმართა აბრეშუმის ვარდისფერი დროშა, მოიხადა მუზარადი და დაიჩოქა. მას მიჰბაძა ოთხივ ვაჟკაცმა.

— ძლიერო ღმერთო და ჩვენო მფარველო წმ. გიორგი! თქვენ შეიბრალეთ ესეოდენ ტანჯული ქართველი ერი! თქვენ იხსენით ხიფათისაგან! თქვენ მომადლეთ მას გამარჯვება უამრავ მტერთა ზედა!

ღაღადებდა ამ მხურვალე ვედრებას ხელაპყრობით ერის ბელადი.

— ძმებო! — მიმართა თავის გმირებს. — დადგა თავგანწირვის ჟამი... ან სიკვდილი, ან გამარჯვება! მოზღვავებულა მტერი! იკი უპირებს შთანთქმას ჩვენს სამშობლოს! დღეს ჩვენ ვართ მისი ქომაგნი. დღეს ჩვენ გვარგუნა ბედმა მისი ხსნა და მფარველობა! გალაღებული მტერი ემუქ-

რება ჩვენს ხალხს გაჟლეტას... გამხნევდით, ძმებო! სამშობლოს უზენაესმა სიყვარულმა დეე შთაგვბეროს ყველას გმირული სული! ნუ შეგვაშინებს მტრის სიმრავლე! ან მოვკვდეთ ნამუსიანად, ან მოვუპოვოთ ტანჯულ სამშობლოს სანეტარო თავისუფლება! აბა, ძმებო, დროა მოქმედებისა! მომყევით... სიკვდილი მტარვალთ! — შესძახა სააკაძემ მგრგვინავი ხმით, ემთხვია დროშას და იძრო ხმალი, სხვებიც მოწიწებით ეამბორნენ დროშას და იძრეს მახვილი. ამ დროს შემოვარდა კარავში გაფითრებული შიკრიკი.

— მოურავო, ყორჩიხანი გიხმობს საჩქაროდ! — ძლივს წარმოსთქვა მან გულისხეთქებით.

გმირი და ოთხივ ამხანაგი სწრაფად შესხდნენ შეკაზმულ ცხენებზე და გააქროლეს მთავარსარდლის კარავისაკენ, სადაც მოედანზე თავი მოეყარათ კიდეც სარდლებს და ფერდაკარგულნი შესცქეროდნენ ერთიმეორეს.

უკვე თენდებოდა, ქრებოდა ბინდი და მთებიდან ჩამოწოლილი ნისლი. რამდენიმე ასეული ბუკნაღარისა და ღორღოტოს მჭექარე ხმები ახლოვდებოდა ყოველი მხრიდან, საშინელი გრიალით ეფინებოდა მთებსა და ველს. ეს მზარავი ხმები შიშის ზარს სცემდნენ მტრის უზომოდ დაფეთებულ ლაშქარს.

— ეს რა ხმებია მოურავო? — მისვლის უმალვე შეეკითხა ცახცახით ყორჩიხანი.

— ეს ის ხმებია, რომ დადგა ჟამი შურისძიებისა! დადგა ჟამი სპარსთა გაჟლეტისა და საქართველოს განთავისუფლებისა მტრის ბრჭყალებისაგან. სიკვდილი მტარვალთ! — დაიგრგვინა ლომივით სააკაძემ და ელვის სისწრაფით გაუტარა გულში ყორჩიხანს წვერალესილი შუბი. მტრის მთავარსარდალი იქვე დაეცა მკვდარი. ეს იყო ნიშანი. ხუთივე გმირი მახვილით ხელში ეძგერა სპარსთა სარდლებს და გაავლეს მუსრი. შემდეგ ისინი ცხენდაცხენ გადაეშვნენ მტრის ზარდაცემულ ლაშქარში და იწყეს უწყალოდ ჟლეტა. ამ დროს მოაღწია მაშველმა ჯარმაც ზურაბ ერისთავისა და ლომი ჩრდილელის სარდლობით. თუშ-ფშავ-ხევსურნი და არაგველნი საშინელი ყიჟინით დაერივნენ მტერს. შეიქნა

ელეტა. დიდი მოურავისა და ზურაბ ერისთავის ერთი შეტევით იფანტებოდნენ მტრის რაზმები. მამაცად იბრძოდნენ აგრეთვე ლომი, ცარო, ბერდია, უჯო, გოგოთურ, ედიშერი და სხვა ქებული მთიელი არწივნი.

ამ დროს ორ-სამ მხრივ მიიტანეს მტერზე მედგარი იერიში ქართლელ ჯარებმაც თეიმურაზ მუხრანბატონის, იასე ქსნის ერისთავის, ზაზა და ბაადურ ციციშვილთა, აღათანგ ხერხეულიძის, ესტატე ამირეჯიბის და პაპუნა ჩიკაძის სარდლობით. ისინი შემოერტყნენ მტრის ბანაკს, შეუკრეს გასაქცევი გზები და იწყეს სპარსთა ჟლეტა.

ყველაფერი ხდებოდა სააკაძის მიერ წინასწარ შედგენილი გეგმით. საშინელი რისხვა დაატყდა თავზე ირანის ლაშქარს ამ ხარება დილას. ქართველთ მახვილი ულმობლად მუსრავდა ირანელთ. უზომოდ დაფრთხალნი და გონებაარეული სპარსნი ხოცავდნენ ერთმანეთს. კიდევ ორიოდ ჟამის ხელჩართული ბრძოლა-და გაწყდა მთლიანად მტერი. მხოლოდ რამდენიმე კაცმა უშველა თავს გაქცევით. მტრის მთელი ბანაკი, უამრავი განძი და ქონება დარჩათ ჯილდოდ ქართველთ, ისინი მეტი სიხარულით ეხვეოდნენ ერთმანეთს და ულოცავდნენ ბრწყინვალე გამარჯვებას.

ივერიის გმირმა მცირე ხნით შეასვენა ჯარი, ასაუზმა და შემდეგ გაემართა მცხეთისაკენ, რომლის მეზობლად ახლად აგებულ ციხეში იყო ჩამდგარი სპარსთა ჯარი, 5.000 კაცამდე. სააკაძემ მიიტანა იერიში ციხეზე, ერთი ჟამის ცხარე ბრძოლით აიღო იგი და გაჟლიტა სპარსნი.

აქ მოხდა საოცარი რამ: როცა მოურავი ბრძოლაში იყო გართული, უკანიდან მიეპარა ჭაბუკი სპარსი და მიაძახა: „მოკვდი, მოღალატე!“ — და მოუქნია ხმალი. კიდევ წუთი — და უდიდესი გმირი უნდა გამხდარიყო მტრის სითამამის მსხვერპლი. სწორედ ამ დროს იელვა ხმალმა ნორჩი ქართველის ხელში და სპარსელის თავი გაგორდა ძირს, თან მიაძახა:

„მამაჩემმა მოჰკლა მამაშენი და განა ჩემს საყვარელ მამას მოგაკვლევინებდი?“

სპარსელი იყო ყორჩიხანის ვაჟი იმამვერდი, ხოლო ქართველი—სააკაძის 17 წლის ვაჟი ზურაბ, რომელიც ახლდა ზურაბ ერისთავს და ჩამოჰყვა მის ჯარს.

აქედან მოურავი მიადგა თბილისს. ცხარე ბრძოლით აიღო ყველა სიმაგრე, მეტეხის გარდა. ჩააყენა აღებულ ციხე-სიმაგრეებში თავისი გუშაგნი, შევიდა თბილისში, გაჟლიტა სპარსნი და მრავალნიც კიდევ დაატყვევა. სვიმონ მეფემ მოასწრო გაქცევა ოჯახობით.

დიდად გამაგრებულ მეტეხს სააკაძემ ალყა შემოარტყა. ეს მაგარი ციხე უწყლობით უნდა აღებულიყო. მაგრამ თბილისში აღმოჩნდა ორი მოღალატე, რომლებმაც დიდი სამსახური გაუწიეს მეციხოვნე სპარსებს და მით დააბრკოლეს ციხის აღება. ეს მოღალატენი იყვნენ თბილისის მოქალაქენი: გიორგი გორგიჯანიძე და გარსო ჯანუაშვილი. დიდმა მოურავმა გაუგო რრთავეს ღალატი და მისი ბრძანებით ერთი მათგანი ჩამოახრჩვეს საჯაროდ, ხოლო მეორეს მოჭკვეთეს თავი. იმ ხარება დღესვე სააკაძემ თავისი ჯარის ნაწილი ზურაბ ერისთავის სარდლობით გაგზავნა გარე-კახეთს ფეიქარხანის ჯარზე თავდასასხმელად.

თვითონაც სამხრობის ჟამს მიადგა მარტყოფს. მეორე მხრიდან დაეცნენ მტერს დავით ჯანდიერი, ჯორჯაძე, ვაჩნაძე და დალი მამედი კახ-შირვანთა რაზმით; შეიქნა აქაც ხელჩართული ბრძოლა. გალაღებული ივერნი აწვებოდნენ მტერს ორი მხრივ და ავლებდნენ მუსრს.

ვეღარ გაუძლო ქართველთა სიმამაცეს შუაში მომწყვდეულმა მტრის ლაშქარმა, დაფრთხა და დაეცა სულით. ზოგმა მოასწრო გაქცევა, ხოლო მეტი ნაწილი ტყვედ ჩაუვარდა ქართველებს; მათვე დარჩათ დავლად სპარსთა მთელი ბანაკი და ქონება: უამრავი სურსათ-სანოვაგე, თოფ-ზარბაზნები, ტყვია-წამალი, ცხენი და ჯორ-აქლემები.

თვით ფეიქარხანმა მოასწრო გაქცევა თავისი ცოლშვილით. მან ადრევე გაიგო მუხრანის ველზე სპარსთა ჯარების დამარცხების ამბავი და უშველა თავს.

ამ საარაკო გამარჯვებათა შემდეგ სააკაძემ დაჰყო რაზმებად თავისი მამაცი ჯარი და გაგზავნა ზოგი კახეთს, სა-

თარეშოდ გასული სპარსთა ჯარების გასაქლეტად, ზოგიც კიდევ ქართლს მტრის რაზმების მოსასპობად, რომელთაც ხელთ ეკავათ ხეობანი და სახაზინო გზები. თვით სააკაძე კი ზურაბ ერისთავის თანხლებით სასწრაფოდ დაედევნა ფეიქარხანს და მიეწია მდ. მტკვართან, როცა იგი ფონში გადიოდა. ყიზილბაშმა ძლივს გაასწრო მათ თავისი ცოლით და ორიოდ ფარეშით. მთელი მისი ამალა ტყვედ ჩაუვარდათ ივერიის სარდლებს. მათვე დარჩათ ფეიქარხანის მთელი ქონება.

მეორე დილით სააკაძე და ზურაბ ერისთავი თავისი რაზმით გავიდნენ მტკვარში და გაედევნენ ფეიქარხანს, მაგრამ ვერ მისწვდნენ. ნაცვლდ ამისა შეესივნენ ირანის სახანოებს და დაიპყრეს განჯა, ყარაბახი, ბარდა, ქაბალუ, არეში, ყაზახი, შაქი და შამშადილი, ჩაუყენეს ციხეებში თავისი გუშაგნი და უამრავი ალაფით დაბრუნდნენ შინ.

ქართლ-კახეთი აივსო დოვლათით. ირანის ჯართა მთელი ქონება, უამრავი სურსათი, განძი, სამოსი, თოფ-ზარბაზნები, ტყვია-წამალი, სხვადასხვა იარაღ-საჭურჭლენი, ცხენი და ჯორ-აქლემნი დარჩათ ქართველებს. ამათ დაერთო მოურავისა და ზურაბის მიერ მოტანილი დიდი ალაფიც.

იშვებდა ქართველი ერი. მთელი ივერი ზეიმობდა უსაშინელეს ხიფათისაგან გადარჩენას და ბრწყინვალე გამარჯვებას. ქართლისა და კახეთის ყოველ კუთხეში ისმოდა დიდი მოურავის უსაზღვრო ქება-დიდება.

XXV. გლეხთა თათბირი

25 მარტს ერთი დაკვრით ირანის დიდი ძალების განადგურებამ და ივერიის გადარჩენამ დაღუპვისაგან უზენაესი აღფრთოვანება გამოიწვია ქართველ ხალხში. თავისუფლად ამოისუნთქა ქართლ-კახეთმა. ერის გული აივსო შვებით, სიამაყით. იგი მთლიანად განიცდიდა იმ უსაზღვრო სიხარულს, რასაც განიცდის ადამიანი სიკვდილისაგან უცებ გადარჩენით. ზეიმობდა მთელი ივერი.

დუმდნენ მოურავის პირადი მტრები, ეს ბოროტი არსებანი, დარცხვენით ქედმოხრილნი და ამ უზარმაზარი მოვლენით გაბრუებულნი.

მოურავის პირადი მტრები: შადიმან ბარათაშვილი, ქაიხოსრო ჯავახიშვილი, ფარსადან ციციშვილი და მათი მომხრენი, იყვნენ ამჟამად სულიერად ძლეულნი. გმირმა არ იძია შური, არაფერი ცუდი არ შეამთხვია მათ, თუმც შეეძლო ერთი თითის განძრევით მოესპო ისინი ოჯახობით. პირიქით, ამ სულგრძელმა ადამიანმა ბოროტის ნაცვლად მიუზღო კეთილი, რითაც გააოცა ქვეყანა. დუმდნენ აგრეთვე დიდი მოურავის შიშით ქართლის სვავები: ანდუყაფარ ამილახვარი, იასე ქსნის ერისთავი, ბარათაშვილნი და მათი დამქაშნი. ისინი შეიმალნენ თავის ყაჩაღურ ბუნაგებში. ვერ ბედავდნენ ვისმეზე თავდასხმას და აკლება-აწიოკებას. წყნარად იყო აგრეთვე მთის აფთარი — ზურაბ არაგვის ერისთავი; მას სწადდა ჩაეგდო ხელში ოუშ-ფშავ-ხევსურეთი და

ყმად გაებიდა ეს თავისუფალი ძალაი ხალხნი, რაც კიდეც განახორციელა შემდეგ ხანებში და უხვად ღვარა მოძმეთა სისხლი.

დღეს მთელი ივერიის ნამდვილი გამგე. ბატონ-პატრონი, ქმაგი და ჭირისუფალი იყო მარტოოდენ გიორგი საკაძე. იგი შეიქნა ორთავ სამეფოს მბრძანებელი, ის იყო ქვრივ-ობოლთა და გლახაკთა შემბრალე მამა. საკმაო იყო დიდი მოურავის ოდნავი სურვილი, რომ მისგან ესოდენ დავალებულს, მის მაღმერთებელ ხალხს ეცნო იგი მეფედ და დაედგა თავზე ივერიის სამეფო გვირგვინი.

მაისის ბოლო რიცხვები, საღამო ჟამი. მზე თითქმის ჩასვლაზეა. მუხრანის ტყე არაგვის პირას. შუაში მომცრო მინდორი, სხვადასხვა მხრიდან მოდიან ცხენოსნები და ფრთხილად ბანაკდებიან მინდორზე. უნაგირიდან სხნიან ხურჯინებს, სადაც უდევთ საგზალი. მოდიან ჯგუფ-ჯგუფად, ესალმებიან და ეცნობიან ერთმანეთს, სხდებიან იქვე მდელოზე დაგებულ ნაბადზე და მასლაათობენ წყნარად. უკვე შეგროვდა სამოცამდე კაცი. ესენი იყვნენ: ქართლის სხვადასხვა თემებიდან გლეხთა ყველა ფენის წარმომადგენელნი: აზატი გლეხების, სახაზინო, სამონასტრო და საბატონო გლეხთა, შინაყმების, ხიზნების და სხვადასხვა ხელობის საამქროებიდან. აქვე იყვნენ თუშ-ფშავ-ხევსურთა მოთავენი — ბერდია, უჯო, გოგოთურ და სხვანი, ათამდე კაცი. აგრეთვე აქ იყვნენ და თაოსნობდნენ თათბირს თვით დიდი მოურავის ძმადნაფიცნი: ორივ პაპუნა, ლომი ჩრდილელი, გიორგი ქავთარაძე და თამაზ ქარსიძე. გელა ჩრდილელი კი თან ახლდა დიდ მოურავს, რომელიც იმჟამად ათი დღით ისვენებდა ცოლ-შვილში თავის ცოლისძმა ზურაბ ერისთავთან.

პაპუნა ჩივაძემ დაცვალა ადრევე დაყენებული გუშაგნი სხვადასხვა საზვერავ წერტილებზე, მისცა მათ შესაფერი დარიგება, დაბრუნდა უკან, დაჯდა, როგორც უფროსი, საპატიო ალაგას და მიმართა კრებას:

„ძმებო, თქვენ მოგიწვიეთ აქ თავი კაცები ქართლის სამეფოს სხვადასხვა კუთხიდან, რათა ვიქონიოთ საიდუმლო თათბირი ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ვითარებაზე. მოგეხსე-

ნებათ, რომ ფრიად ძძიძე ულელი გვაწევს კისრად ᲫᲨრომელ ხალხს, გლეხობას. ჩვენ მივკრივართ მიწას. ᲔᲨრომობთ დღე და ღამ, ზამთარ-ზაფხულ, ვღვრით შრომის ოფლსა, ჩვენი ნაშრომნადაგით კი ვკვებავთ სხვადასხვა ᲯᲣრის ბატონებს, რომლებიც გვაზიან თავზე; ესენი არიან: თავადნი, აზნაურნი, თვით მეფე ᲗᲐᲕᲘᲡᲘ დიდი ამალით, სასულიერო პირნი და ჩარჩ-ვაჭრები; რომელ ერთს გაუძლოს საწყალმა ხალხმა!"

„ჰაი, ჰაი, რომ ეგრეა, ჩემო პაპუნა!" წამოიძახეს აქეთ-იქიდან ზოგიერთებმა.

„გარდა ამისა, ძმებო, — განაგრძო ისევ პაპუნამ, — ყაჩაღად დაგვსევიან გლეხებს შინაურნი და გარეშენი. შინ — მრავალი თავადი და აზნაურნი, გარედან კი მთის ხალხები: ოსნი, ლეკნი, ქისტ-ჩეჩენი და სხვ... გვესხმიან თავს, გვაცლიან ქონებას, სარჩოს, საქონელს, ცოლშვილსაც კი, ზოგს ბილწავენ ჩვენს თვალწინ, ზოგსაც ᲰᲧᲘᲓᲘᲐᲜ ტყვეებად ჩარჩებზე სპარსეთსა და ოსმალეთში გადასაკარგად" — ეგეც სრული სიმართლეა, შენი კვნესამე! — წამოიძახეს კიდევ თათბირზე მოწვეულებმა.

— ძმებო! ამას დაუმატეთ კიდევ ორი დიდი პირდაღებული ვეშაპი — სპარსეთი და ოსმალეთი. ისინი მოგვᲫალებიან სამი მხრივ და ჩანთქმას უპირებენ მთელ საქართველოს! — ჩამოართვა სიტყვა პაპუნა ვაშაყაშვილმა.

— ეგეც სრული ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲐ! — იგრიალა ხალხმა.

— დაწყნარდით, ძმებო, ფრთხილად, არავინ მოგვაყუროს! — განაგრძო ისევ ჩივაძემ, — ერთი ეს მითხარით, აბა რა გვეშველებოდა ბედშავ გლეხობას, რომ ღმერთს არ მოევლინა ჩვენთვის მᲮᲡᲜᲔᲚᲐᲓ და მფარველად დიდებული გმირი გიორგი სააკაძე, ჩვენი ძმა, ჩვენი წრიდან გამოსული?!

— სრული სიმართლეა, ძმაო პაპუნა! უმისოდ ჩვენ მოვისპობოდით. დიდი მოურავია ჩვენი პატრონი და ნუგეში, ჩვენთვის თავდადებული! ეგ ჩვენი მფარველი წმ. გიორგია! — ერთხმად შესძახეს მოწვეულებმა.

— დღეს, ძმებო, ქართლსა და კახეთს აღარ ᲰᲧᲐᲕᲡ მეფენი, — განაგრძო ჩივაძემ, — ლუარსაბ მეფე ხელში ჩაიგ-

დო შაჰბაზმა და მოაკელეინა, ხოლო კახეთის მეფე თეიმურაზ შეჰფარებია იმერეთს და იქიდან რუსეთს აპირებს წასვლასო. აქ, ჩვენში, კი უმეფობამ წახსნა ლაგამი მრავალ თავადს, აგრეთვე გარს მოხვეულ მტაცებელ ხალხებს, დაგვესხმოდნენ ყოველ მხრიდან და გაგვანადგურებდნენ მთლიანად, მაგრამ, საბედნიეროდ ჩვენდა, მეფის მაგიერობას გვიწევს ჩვენი დიდი მოურავი. მისი შიშით რომ კრინტსაც ვერ სძრავს ვერავინ. ის ჩვენი ნამდვილი მეფეა, უგვირგვინო მეფე!

— მართალია, პაპუნავ! მართალს უბნობ! დიდი მოურავი ჩვენი მეფეა, ჩვენი პატრონი, ზეცით ნაკურთხი და კიდეც უნდა დავსვათ ქართლ-კახეთის მეფედ! დავაღგათ თავზე გვირგვინი! — შესძახეს აღტაცებით ერისმამ. ან რაღა საჭიროა ჩვენი გივარგის მეფედ კურთხევა! იგი ხომ ისედაც ჩვენი სარდალია, ჩვენი მეთაური! — ჩაურთო სიტყვა თამაზ ქარსიძემ. — ყველა დიდსა და განათლებულ ერს მეფე ჰყავს. აი, მაგალითად: დიდი ოსმალეთის მეფე ხონთქარია, სპარსეთის მეფე — ყეენი, მთელი რუსეთის მეფე მოსკოვის ხელმწიფეა, აგრეთვე ევროპის ყველა სახელმწიფოსა ჰყავს თავ-თავის მეფენი. მეფე აერთიანებს ერის შემადგენელთ, აძლევს მათ მთლიანობას, ჰკრავს როგორც ფიქალს, ლაგმავს შიგნით თავადთა ძალმომრეობას, ამარცხებს შემოსულ მტერთ; კარგი მეფე ამდიდრებს და აძლიერებს თავის სამეფოს. ჩვენმა ძლიერმა და ჭკვიანმა მეფეებმა — დავით აღმაშენებელმა, თამარმა და გიორგი ბრწყინვალემ — გააერთიანეს დაფლეთილი საქართველო, გაათავისუფლეს თურქთა და თათართა მონობისაგან, გაამდიდრეს, გაანათლეს და გაძლიერეს დიდად. ამასვე ჩაიდენს ჩვენი გიორგი მეფე! ბაგრატიონთა სამეფო გვარი ამიერით შეიცვლება გლეხის წრიდან გამოსულ სააკაძიანთ გვარით. მაშ გაუმარჯოს, ძმებო, ჩვენს ახალ მეფეს — ხალხის მოთავეს გიორგი სააკაძეს!

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს ჩვენს ახალ მეფეს გიორგის, ერის მოთავეს გაუმარჯოს! — იგრიალა ფეხზე წამომდგარმა ხალხმა.

აირჩიეს ხუთი კაცი მოურავთან მისაგზავნად მისი გამე-

ფების შესახებ. არსენელ პირთა შორის არის შორეული ხე-
ვიდან ფეხით მოსული, ძველი ომების გმირი, ასოცი წლის
მოხუცი, ოდესღაც ბრგე, ახოვანი ვაჟკაცი ღვთისავარ მინ-
დიაშვილი, ამჟამად ღრმა სიბერის გამო წელში მოხრილი
და ორივე თვალით დაბრმავებული. იგი ცალი ხელით ებჯი-
ნება შინდის მაგარ კვერთხს, ხოლო მეორე ხელი ეყრდნობა
თავისი შვილის ბადიშის, თორმეტი წლის ბიჭის მხარს. ბრმა
მოხუცს სწადია ხელით მაინც შეეხოს იმ ადამიანს, რომელ-
მაც ორჯერ იხსნა ქართლ-კახეთი დაღუპვისაგან. თათბირის
დამთავრების შემდეგ მან გამოართვა თავის ყრმა ეტიკს
ფანდური, მომართა სიმნი და დაიმღერა ძველთაძველ ომთა
ამბები, ოქროს საუკუნის მზის ჩასვენება, პირიმზე თამარის
სიკვდილი, ლაშა გიორგისა და რუსუდანის მეფობის შავ-
ბნელი ხანა, ხორასნის ხანის ჯელალ ედინის მიერ თბი-
ლისის განადგურება და უამრავი მცხოვრების გაჟლეტა,
შემდეგ თათართა შემოსევა მრავალჯერ და მთელი ივერის
რბევა და ცარცვა მთელი საუკუნის მანძილზე, საქართვე-
ლოს გათიშვა ორ სამეფოდ, შემდეგ გიორგი ბრწყინვალეს
მიერ საქართველოს გაერთიანება და ხანმოკლე მზიანი დღე-
ნი, შემდეგ ისევ შავი ნისლი და სისხლის წვიმები, ულმო
ლანგთემურის შვიდჯერ შემოსევით გამოწვეული და სხვა
ასეთები.

ხალხი გატაცებით უსმენდა მოხუცის ფანდურზე ღიღინს,
ტკბილ-მწარე ჰანგებს. მოხუცი კვლავ განაგრძობდა სეე-
დიან ერთფეროვან გალობას და უთუთქავდა მსმენელთ
გულს ქართველი ერის შავ-ბნელი წარსულით. მოხუცის
სიმღერის დასრულების შემდეგ გახსნეს აბგა-ხურჯუნები,
ამოალაგეს საგზალი, დააწყვეს იქვე დაკრეფილ ნეშოებზე
და შეუდგნენ საერთო პურის ჭამას. პატარა ყანწებით სთა-
ვაზობდნენ ერთმანეთს იყსა და ღვინოს, სვამღნენ სმა-
რებს; ამას მოჰყვა სუფრულები და სხვა ხალხური სიმღერე-
ბი, საერთო ლხინს შეუერთდნენ გუშაგნიც.

ამ დროს შორით მოისმა დუდუკის საამო ხმები. ზუზუნა
ჰანგები თანდათან უახლოვდებოდა გლეხთა ყრილობას. ამ
ირანულ საკრავმა მყის გაბზარა ხალხის ყურთასმენა. ხალ-

ხი შეტოკდა, ასწია თავი მაღლა და წამოიბაღა. მეორეულ წრეში შემოიჭრნენ საამქრო დროშით ათამდე ზორბა ყარაჩოღელნი, შავ ჩოხა-ახალუხ მოსილნი, მუშტის ოდენა ყოველებიანი ვერცხლის ქამრებით და შავი დიდრონი ფაფახებით ბურვილნი. ამათ სალამი ჰკადრეს იქ ღამსწრეთ, უსურვეს სიამით შექცევა, გაშალეს უცებ სუფრა, დააწყეს ზედ თიბინის პურები, ყველი, დოში, მოთალი, ცივად მოხარშული ცხვარი, დაყარეს უხვად წვანილი, მოაგორეს ტიკით კახური ღვინო, აავსეს პაწია ყანწები, დაცალეს იქ მყოფთა სადღეგრძელო და გულუხვად მიიპატიჟეს ხალხი. ყარაჩოღელთა ჯგუფს მეთაურობდა და სუფრას თამადობდა ცნობილი საქო, მთელ თბილისში განთქმული თავისი კრივით, ქეიფითა და დარდიმანდობით. ზურნა-დუდუკის დავლურზე ამ ზორბა ვაჟკაცმა გაშალა გრძელი მკლავები და დაუარა მოხდენით, თანაც ჩაბუქნა კიდეც; მარჯვენა ხელში მას ეპყრა ღვინით სავსე ყანწი, ხოლო მარცხენა ხელში ფრიალებდა აბრეშუმის ჭრელი ხელმანდილი. ცეკვის შემდეგ დუდუკის საამო ხმაზე დაამღერა:

„სანამ ცოცხალ ვარ, ვქეიფობ.
ვახარებ ჩემსა იასა,
მოვკვდები, გაუხარდება
სამარის კარსა ჭიასა!“

— აზარუშ! აბზანდარუმ! — მიაძახეს დამქაშებმა.

— გაუმარჯოს აქ დამხვედრთ ყველას ერთობლივ! გაუმარჯოს ჩვენს ძმებსა შრომის შვილებს, მშრომელ გლეხობას! გაუმარჯოს ჩვენს სარდალს დიდ მოურავს!—დასჭყივლა საქომ და მას ბანი მისცა ყველამ ერთხმად.

საქომ ისევ ააყოლა დუდუკს საამო დვრინით:

„სამი რამ მიყვარს ამ ქვეყნად:
ღვინო, დუდუკი, ქალები...
ღვინოს ვსვამ, დუდუკზე ვცეკვავ
და ქალებს ვენაცვალები...“

— ჰაჯან, საქულ! ჰაჯან! — მიაძახეს ამფსონებმა. ქეიფს შემდეგ ზურნამ დაუკრა საქორწილო და მცირე ხნით გაიმართა ჭიდაობა. ერთი ზორბა ყარაჩოღელი მარდად დაეტაკა ჩასკვნილ გლეხის ბიჭს ჭობისხევიდან. მრავალი ფანდი სცადა მასზე, მაგრამ ვერა რა დააკლო, ვერ გაშალა ზურგით ძიწაზე.

ამ ყარაჩოღელთა შემოკრამ გლეხთა ყრილობაში, ზურნის, დოლის, ღუდუკის ხმებმა, ღვინით სავსე ყანწების ტრიალმა, საქოს ცეკვა-სიმღერამ და შემდეგ ჭიდაობამ დიდი მხიარულება გამოიწვია იქ შეკრებილ გლეხთა შორის, ყველანი ფრიად კარგ გუნებაზე დააყენა.

უკვე ჩასულიყო მზე. ორი კვირის ბადრული მთვარე კაშკაშით დასცქეროდა მხიარულ სუფრას და ხალხის ღრეობას. მისი სხივები ეთამაშებოდნენ იქვე არაგვის ცელქ ზვირთებს და ქმნიდნენ ლიგლიგა ჭავლს.

ხმაური და სიმღერა მოესმა იარაღასხმულს და აბჯარში ჩამჯდარ ერთ ზორბა რაინდს, რომელიც მოაგელვებდა სამხედრო შარაზე თავის შავ მერანს. უკან მოსდევდა ცხენითვე სამი მხედარი.

— ეს რა დღეობაა? — გაიკვირვა რაინდმა. — დღეს არავითარი დღეობაა, ეკლესიაც კი არსად ჩანს, მაშ რამ შეკრიბა ეს ხალხი ამ ტყეში? უნდა გავიგო, რა ხდება აქ.

რაინდმა შეაჩერა თავისი შავი რაში და მიუბრუნდა ერთ მხლებელს.

— გელა, ჩამოხედ ცხენიდან, შედი ჩუმად იმ მუხნარში და გამიგე, რა ხდება. ჩვენც მოგყვებით ნელა ცხენებით.

მხედარი სწრაფად გადმოხტა ცხენიდან, გადასცა იგი ამხანაგს, თვითონ კი გასწია ტყისაკენ მგლური ნაბიჯით და მალე შევიდა მაღნარში. დანარჩენები მიჰყვნენ უკან ტყის პირას და შეაჩერეს ცხენები. მცირე ხნის შემდეგ ვამოჩნდა გელა და მიმართა რაინდს:

— კარგად დავზვერე, ბატონო. არაგვის პირას, შუაგულ ტყეში, პატარა მინდორზე სხედან სამოცამდე კაცი და ლხინობენ. რაღაც დიდი სიხარული ემჩნევა ყველას სახეზე. ხშირად იმეორებენ შენს სახელს და სმენ სმურებს. მათშივე

დავინახე შეხი ერისგული და ძმადფიცულნი ორივ პაპუნა, ლომი ჩრდილელი, აგრეთვე ქარსიძე და ქავთარაძე, ვიცან აგრეთვე ფშავ-ხევსურთა ბელადნი ბერდია, უჯო და გოგოთური. ცხენები იქვე ახლოს ჰყავთ ხეებზე მიბმული.

რაინდი ფრიად დაეჭვა ამ ამბავმა. მან შეცვალა გეზი და არაგვის მხრიდან მოულოდნელად წაადგა თავზე ქეიფში შესულ ხალხს.

იგი მაშინვე შენიშნა ლომიმ და ზეზე წამოიჭრა ამ სიტყვებით:

— ერის მოთავე მობრძანდა!

ყველანი წამოცვივდნენ მხიარულად.

— ხალხსა და ჯამაათს გაუმარჯოს! — შესძახა მისვლის უმალ დიდმა მოურავმა.

— ღმერთმა და წმ. გიორგიმ გამარჯვება ნუ მოაკლოს ჩვენ მფარველსა და ნუგეშს — ერის მოთავეს!

იყო საერთო პასუხი.

— აქ რას აკეთებთ, ძმებო? — ღაეკითხა ივერიის გმირი. ჰაა, ყველანი აქ ყოფილხართ ჩემი ძმადფიცულნი, ფშავ-ხევსურთა და სხვადასხვა თემთა თავი კაცები. რას ნიშნავს ესა, ძმებო? აბა, რას დგეხართ, დასხედით.

— ბევრს არაფერს, ჩვენო იმედო! — უთხრა ბერდიამ, — პაწაი თათბირი მოვაწყვეთ შუა ალაგას, მეფე ავირჩიეთ.

— როგორ თუ მეფე, ვინა? — გაიკვირვა საკაძემ.

— ვინა და შენა! — წამოისროლა უჯომ როყიოდ. — რაღად დავმალოთ, ძმებო! ბარემ ვუთხრათ და ის იქნების! — მიმართა მან ხალხსა.

მაშინ წამოდგა ზეზე მთელ ქართლში ცნობილი თავის მამაცობით და სიტყვა-პასუხით ბერო კენჭოშვილი, დაებჯინა ჯოხს და მოახსენა:

— დიახ, ერის დიდებავ, განგებ მოვაწყეთ ეს თათბირი ამ არაგვის პირას. მეფე გვწადია ქართლ-კახეთისა და, აჰა, ავირჩიეთ კიდეც ერთბაშად. ეს შენ ხარ, ღიდო სარდალო! შენზე შეჩერდა ყველას აზრი და გონება. შენ გამოხველ ჩვენი წრიდან, შენ დაიმსახურე მეფური პატივი და დიდება. შენ გუშაგობ ესოდენ ხანია ივერთა ერსა, შენ ქომაგობ უმ-

ᲬᲔᲝ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐᲡ. ᲨᲔᲜ ᲩᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲗ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲗᲐ-ᲮᲔᲕᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲚᲔ ᲒᲐᲨᲚᲘᲚ ᲛᲘᲬᲐ-ᲛᲐᲛᲣᲚᲗᲐᲜ. ᲨᲔᲜ ᲨᲝᲐᲨᲝᲠᲔᲗ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲘᲓ ᲗᲐᲕᲐᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲠᲐᲪᲮᲔᲗ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲓ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲰᲧᲐᲕᲗ ᲐᲖᲐᲢᲐᲓ, ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲚᲔ ᲓᲐᲑᲐ-ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲔᲗ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲥᲠᲔᲑᲨᲘ. ᲨᲔᲜ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲝᲑ ᲡᲐᲡᲢᲘᲙ ᲑᲐᲢᲝᲜᲗᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲥᲪᲔᲣᲚ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲫᲚᲔᲕ ᲛᲐᲗ ᲛᲘᲬᲐ-ᲛᲐᲛᲣᲚᲡ. ᲨᲔᲜ ᲒᲕᲘᲮᲡᲔᲜ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ ᲗᲐᲗᲐᲠᲮᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲔᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲨᲔᲜ ᲘᲮᲡᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲮᲔᲗᲘ ᲨᲐᲰᲑᲐᲑᲐᲖᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲝᲡᲔᲕᲘᲡ ᲟᲐᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ, ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲕᲘᲜ ᲒᲐᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲐ ᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲘᲮᲡᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘ ᲡᲠᲣᲚ ᲛᲝᲡ-ᲞᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲨᲔᲜ, ᲓᲘᲓᲝ ᲒᲛᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲕ! ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲘᲕᲔᲠᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲓ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲔᲠᲘ, ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜᲓᲐᲛᲘ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲘᲠᲩᲔᲕᲡ ᲨᲔᲜ, ᲓᲘᲓᲝ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ, ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲓ! ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ, ᲫᲛᲔᲑᲝ, ᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲐ ᲯᲐᲛᲐᲐᲗᲝ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲛᲔᲤᲔᲡ, ᲓᲘᲓ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔᲡ!

— ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲛᲔᲤᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ! ᲒᲐᲣᲛᲐᲠ-ᲯᲝᲡ! — ᲘᲒᲠᲘᲐᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲤᲔᲮᲖᲔ ᲬᲐᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲗ.

ᲛᲝᲮᲣᲪᲛᲐ ᲑᲔᲠᲝᲛ ᲒᲐᲐᲕᲡᲝ ᲦᲕᲘᲜᲘᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲧᲐᲜᲬᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲐ-ᲬᲝᲓᲐ ᲓᲘᲓ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲡ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ:

— ᲡᲣᲤᲠᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲚᲝᲪᲔ, ᲡᲣᲤᲠᲐᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚᲝ ᲛᲔᲤᲔᲕ! ᲔᲥᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲜ ᲘᲧᲐᲕ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ, ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲣᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝ ᲛᲔᲤᲔ, ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲗ ᲨᲔᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲥᲐᲠᲗᲚ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲛᲔᲤᲔ! ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲘᲡ ᲡᲣᲠ-ᲕᲘᲚᲘ! ᲮᲛᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲛᲐ ᲔᲠᲘᲡᲐᲝ, ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ ᲓᲐ, ᲐᲰᲐ, ᲔᲠᲘᲡ ᲮᲛᲐ ᲨᲔᲜ ᲒᲘᲠᲩᲔᲕᲡ ᲛᲔᲤᲔᲓ ᲓᲐ ᲐᲛ ᲮᲛᲐᲡ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲖᲔᲪᲘᲔᲠᲘ ᲛᲐᲛᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ!

ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔᲛ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲝ-ᲮᲣᲪᲡ ᲧᲐᲜᲬᲘ, ᲓᲐᲚᲘᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲫᲛᲐᲓᲤᲘᲪᲣᲚᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲖᲔᲓᲐᲪ ᲐᲘᲦᲝ ᲔᲤᲕᲘ ᲐᲛ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲗ ᲓᲐᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲡ ᲜᲘᲨ-ᲜᲐᲓ ᲩᲐᲦᲣᲜᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ. ᲖᲔᲛᲝᲓᲐᲜ ᲦᲐᲓᲦᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲞᲘᲠᲑᲐᲓᲠᲘ ᲨᲗᲕᲐ-ᲠᲔ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲐᲗ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲨᲮᲣᲝᲓᲐ ᲪᲔᲚᲥᲘ ᲐᲠᲐᲒᲕᲘ, ᲔᲡ ᲑᲣᲛᲑᲔᲠᲐᲖ ᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲣᲥᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ; ᲛᲘᲡ ᲮᲛᲐᲣᲠᲡ ᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲑᲣᲩᲘᲥᲔᲑ-ᲨᲘ ᲨᲔᲤᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲑᲣᲚᲑᲣᲚᲗᲗ ᲡᲢᲕᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲢᲘᲐ-ᲢᲘᲐ...

ერისა ძოთავე ჩამოჯდა ძისთვის ძიგორებულ ხის ძორზე, გადახედა მძიმედ კრებულს და დაიწყო დინჯად:

— ტყვილა შომცდარხართ, ძმებო! ცუდი რაშ გიფიქრიათ, ცუდად გიაზრიათ: მაგ არჩევანით მეც მღუპავთ და თქვენს თავსაც იღუპავთ... ტყვილა შეუყვანიხართ შეცდომაში იმათ, ვინც აქ მოგიწვიათ. ხანდახან კეთილ სურვილებსაც კი დიდი ზიანი მოაქვს ერისათვის. უჭკუოდ და ნაჩქარევად ნააზრევი ცუდად თავდება ხოლმე. მაკვირვებს დიდად, როგორ შეხვედით შეცდომაში, აქ მოსულთა შორის ბევრი ბრძენი და დარბაისელი გლეხნი, თუნდაც ჩვენი ბერო კენჭოშვილი. რას ფიქრობდით, განა? ნუთუ ქართლსა და კახეთში თვინიერ გლეხობისა სხვა წოდებანი აღარ არიან? როგორ გგონიათ, ძმებო, თავადნი და აზნაურნი, ვაჭარნი, მოხელენი და სასულიერო წოდებანი განა მოიწონებენ თქვეს არჩევანს? განა შეიწყნარებენ მეფედ თქვენ მიერ არჩეულ გლეხის წრიდან გამოსულს გიორგი სააკაძეს, თუგინდ ათჯერ იხსნას ცან მთელი ივერი დაღუპვისაგან?! მათ თვალში მე ხომ გლეხის შვილი ვარ, ჯავახიშვილის ყმის შიოშ სააკაძის საშუალო ვაჟი, და ეს საკმარისია...

აქ შეჩერდა მცირე ხნით დიდი მოურავი და გადახედა კრებას. ხალხი მდუმარედ მისჩერებოდა მას და ნოქავდა გმირის თვითეულ სიტყვას.

— ხომ გახსოვთ, ძმებო, რა აურზაური ასტეხეს თავადებმა და აზნაურებმა, ოდეს ჩემი და მაკინე ითხოვა ცოლად ლუარსაბ მეფემ! რვა თვის შემდეგ მეფეს გააშვებინეს ცოლი, ჩაკეტეს მონასტერში, მე-კი დამიპირეს ღალატით სიკვდილი მთელი ოჯახობით და გადავრჩით სულ შემთხვევით. ახლა-კი რომ გაიგონ გლეხებს სწადიათ მეფედ გიორგი სააკაძეო, ხომ ამხედრდნენ მთლიანად გაბატონებული წოდებანი გლეხთა წინააღმდეგ და ხომ შეიქმნა ქართლში ძმათა შორის სისხლის ღვრა! და ეს უნდათ სწორედ ჩვენს შინა და გარე მტრებს, ხომ აგვიკლეს, ხომ მოგვსპეს მაშინ სულ ერთიანად! აბა, რად არ განშვრიტეთ ჭკვიანმა თავმა კაცებმა ეს შედეგები!? გარდა ამისა, კახეთის ხალხი განა შეიწყნარებს თქვენ მიერ არჩეულ კაცსა?! განა კახეთი დაგმობს

ბაგრატიონთა გვარის მეფეს, ქეთევან წამებულის ვაჟსა, და იწამებს მეფედ ვიღაც გიორგი საკაძეს?! არა, ძმებო, ნუ სტყუვდებით! ნუ აყოლიხართ გრძნობას. ზოგი რამ გონებასაც დაეკითხეთ!

— მაშ, შენ უარს უბნობ მეფობაზე? — დაეკითხა ხევსური უჯო. — ეგ როგორ იქნების, გივარგი! ხალხს არ უნდა აღუდგე. ხალხს სწადია შენი მეფობა და შენც უნდა მიიღო....

— „არა, ჩემო უჯო, ეგ არ ეგების, ეგ არ მოუხდების ჩვენს ქვეყანას, ასეთი წადილი მეც დამღუპავს და თქვენცა, ვაუწყეთ კვალად.

— მაშ, შენა რად გწადის დარჩე?—შეეკითხა გოგოთურ.

— იმად, რაცა ვარ, ისევ ქართლის მოურავად და ჯარების უფროსად. ამაზე შორს საკაძიანთ გვარი ვერ წავა. ესეც ფრიად დიდი ჯილდოა მისთვის, ესეც კი ვერ მოუნელებიათ ჩემს პირად მტრებს — დიდ თავადებს, სხვა უფრო დიდ რამეზე ფიქრი მარტოოდენ სიგიჟეა, ან ბავშვური ოცნება...

ამ სიტყვებთან ერთად გმირმა ამოიოხრა და ჩაღუნა თავი.

— მაშ, ვინ გწადია ივერიის მეფედ?—შეეკითხნენ აქეთ-იქიდან.

— ვინა და რომელიმე ღირსეული პირი ისევ ბაგრატიონთა გვარიდან, რომელსაც უკვე შეჩვეული არიან ყველა წოდებანი, ასეთი კაცი კიდეც მეგულვის, იგი არის სვიმონ მეფის ძმისწული, როსტომ ბატონიშვილი, ხოლო სპარსეთში მას ეძახიან ხოსრო-მირზას. დიდი ჭკუისა და გონების კაცია, მასთან მამაცი, სამართლიანი და მტკიცე ხასიათის, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი სულით მაჰმადიანია, შაჰაბაზის ფრიად ერთგული და ახლო მეგობარი, ამიტომ მას ივერთა ერი ამჟამად არ ისურვებს მეფედ და ჩვენც ანგარიში უნდა გავუწიოთ ამას.

— სხვა ვინმე კიდევ გეგულვის მეფედ, დიდო გიორგივ? — შეეკითხნენ ზოგიერთნი.

— სხვა კი არავინ, თვინიერ კახეთის მეფე თეიმურაზისა. მისი დადებითი მხარე ის არის, რომ ის უკვე მეფეა კა-

ხეთისა, ქრისტეს მორწმუნე, ქეთევან წამებულის ვაჟი, თანაც დაკავშირებული ქართლის სამეფო ტახტთან მოყვრობით; როგორც იცით, მას ცოლად ჰყავს ალუარსაბ მეფის და ხორეშანი. ამ სახით მის გამეფებას ჩვენშიაც ვერ აღუდგებიან ვერც მღვაბრონი და მეტაღრე ვერც გაბატონებული წოდებანი. აი, მისი მეშვეობით შესაძლოა გაერთიანდეს ორი საუკუნის წინათ გათიშული ქართლი და კახეთი. ამასთან ერთად მწადია დავამყვრო თეიმურაზს დიდი სარდალი, ჩემი ცოლისძმა ზურაბ ერისთავი, და მით გავნასკვო ერთურთ შორის მოყვრობა-მეგობრობის კავშირი.

ამ სახით თეიმურაზი იქნება გვირგვინოსანი მეფე ივერიისა, ხოლო მე, თქვენი ძმა და მეთაური, ივერიის გამგე და მოურავი, ივერიის სპალაშქართა მთავარსარდალი. მაშ რაღა გსურთ მეტი?!

— მაშა, შენვე დარჩები, ჩვენო დიდო გავარგივ, ივერიის უგვირგვინო მეფეო, ისევ ჩვენს ნუგეშად და მფარველად! — წამოიძახა ბერდიამ.

— ეგრე, ჩემო ბერდიავ. ახლა კიდევ ნუ გავიწყდებათ, ძმებო, რომ ომი ერანთან არ ღამთავრებულა მისი ჯარების განადგურებით ხარება ღღეს. სპარსეთი დიდია, თითქმის ოცჯერ მეტი ივერიაზე. ამიტომაც უნდა ველოდეთ ამ მოკლე დროში ახალ თავდასხმას. გაბრაზებული შაჰაბაზი ივერიის მოსასპობად გამოგზავნის ორჯერ მეტ ლაშქარს უპირველესი სარდლებით, ამის გამო ახლავე უნდა მოვიწვიოთ თეიმურაზ და ვაკურთხოთ ივერიის მეფედ და მასთან დაჩქარებით უნდა შევკრიბოთ ქართლსა და კახეთში საკმაო ჯარი, რათა მზად დავხვდეთ ჩვენს უძინარ მტერს. ახლაც ამ მიზნით ვიყავ ანანურს ზურაბ ერისთავთან; უნდა ვნახო თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ზაქარია კათალიკოსი, იასე ქსნის ერისთავი, ზაზა ციციშვილი და სხვა გავლენიანი დიდებულნი, ხოლო კახეთიდან უკვე დაბარებული მყავს კახეთის გმირნი: დავით ჯანდიერი, ნოდარ ჯორჯაძე და თამაზ ვაჩნაძე. დანიშნულ დროზე ესენი ჩამოვლენ თბილისში. მაშ, ძმებო, გამარჯვებით!—ეს სიტყვებთან ერთად მარდად წამოდგა დიდი მოურავი და მოითხოვა თავისი მერანი.

— კარგია, რომ შემთხვევით გსახეთ აქა. ახლავე მეეცადეთ ყველანი ომისათვის მზადებას. ნახვამდის, ძმებო!

ამ სიტყვებით. გმირმა შემოჰკრა ლეზი თავის ბედაურს და მიეფარა ტყეს.

უკან მიჰყვნენ გელა და ორი თანმხლები.

იმედმიხდილი თეიმურაზი უკვე ჯდებოდა გემში და აპირებდა წასვლას რუსეთისაკენ, როს მიიღო ფრიად სასიხარულო ამბავი ივერიის მეფედ მოწვევის შესახებ. იგი მაშინვე გამოეშურა თავისი ცოლშვილითა და ამალით. ქართლ-იმერეთის საზღვარზე მას შეეგებნენ გიორგი სააკაძე. ქართლ-კახეთის დიდებულნი, მაღალი სამღვდელოება და აზნაურნი, მდიდრულად მორთულნი. მიიღეს მეფე დიდი პატივით და მოიყვანეს მცხეთას, სადაც დახვდა კათალიკოსი ზაქარია სასულიერო კრებულით. აქ, უამრავი ხალხის თანდასწრებით, სვეტიცხოვლის ტაძარში საგანგებო ზეიმით აკურთხეს თეიმურაზ პირველი ივერიის მეფედ და დაადგეს თავს ძვირფასი გვირგვინი.

ამრიგად შეერთდა თითქმის ორასი წლის წინათ გათიშული ქართლი და კახეთი.

XXVI. მონასტრის ზღუდეთა შორის

ქართლის ერთ მყუდრო ხეობაში მორცხვად შეჰფარებია მთის უბეს ქვათახევის დედათა მონასტერი, სადაც იმყოფება სამოცამდე მორჩილ-მონაზონი იღუმენ ნინო ამირეჯიბის უფროსობით. საკმაოდ მოზრდილსა და ვაკე ალაგას შუაში აუმართავთ ლურჯი ქვის გუმბათიანი ტაძარი სამრეკლოთი. გვერდით დგას ქვის ორსართულიანი დიდი შენობა ფართო აივან-დერეფნებით. ქვემო სართულში მოთავსებულია სკოლა, სერობის ოთახი და სახელოსნო, ხოლო ზემო სართულში — შეგირდ ქალთა საწოლი და სამეცადინო დარბაზები. იქვეა იღუმენიისა და მისი მოადგილის სენაკებიც.

მონასტრის ეზოს ავლია ქვის მაღალი ზღუდე, რომლის ოთხივ კუთხეში აუმართავთ საგუშაგო ბურჯები. ზღუდის ირგვლივ შიგნიდან ჩამწკრივებულა მორჩილ-მონაზონთა სენაკები. იქვე გადაღმით მაღალ ყორე მოვლებულ ფართო ეზოში აუგიათ ხულა-ბეღლები, მარანი, სახაბაზო, სამზარეულო, აბანო და სხვა საჭირო ნაგებნი. ორივე ეზოს ამკობს კაკლის და ცაცხვის უზარმაზარი ხეები და მწვანე მოლი. ეზოებშივე მოჩუხჩუხებენ ანკარა წყარონი ქუქანქმკმაზავთა მიერ მთებიდან თიხის მილებით გამოყვანილი. ორივე წყაროს ამკობენ თლილი ქვის აუზები. იქვე ჰკიდია მაგარი ძეწკვით სპილენძის მოდიდო სარწყულნი. მეორე ეზოს გვერდით კი ხევში ჩაუდგამთ ხის წისქვილი.

მონასტერს გარს აკრავს საკმაოდ ვრცელი ბაღ-ბოსტანი, ვაზნარი და საყანე ადგილები. მათ უკან კი გოროზად ამარ-

თულა ტყით დაბურული, ამწვანებული მთები. ბაღ-ბოსტანში მუშაობენ მორჩილ-მონაზვნები და მოწაფე ქალები, ხოლო ყანებსა და ვენახში — მონასტრის ყმები, რომლებიც ცხოვრობენ იქვე პატარა სოფლად. ბაღში მოუწყვიათ საფუტკრე და დგას ასამდე სკა. თაფლს საზრდოდ ხმარობენ. ხოლო ცვილიდან აკეთებენ სანთელ-კელაპტრებს.

მონასტერში აღსაზრდელად არის ასოცამდე ქალი, როგორც თავად-აზნაურთა, ისე სასულიერო პირთა და გლეხთა ასულნი, ასაკით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე. ამათ ასწავლიან წერა-კითხვას, ხაზვა-ხატვას, ანგარიშს, გალობას, საღვთო სჯულსა და ქართლის ბატიანეს. აგრეთვე ასწავლიან სხვადასხვა ხელსაქმეს, ე. ი. ჭრა-კერვას, ქსოვას, ქარგვას აბრეშუმ-ოქრომკედით, ხეზე ჩუქურთმების ამოკვრას და სხვ. ამასთან ერთად ავარჯიშებენ და აჩვევენ სამეურნეო და საოჯახო საქმეებს: მებოსტნეობას, ბაღოსნობას, მეფუტკრეობას, აბრეშუმის მოწევას, ხორბლეულის გარეცხვას, დაფქვასა და გამოცხობას, ხილის მოკრეფა-შენახვას, წნილის დამზადებას, ტკბილისკვერ-ჩურჩხელების და ჩირის კეთებას, სხვადასხვა ჭამადის შემზადებას, რეცხვა-გაუთოებას, პარკის ძაფად ამოღებას, ბამბა-მატყლის დართვა-დაგრეხას, შალეულისა და ხამ-დარაიის ქსოვას და სხვ. ზოგიერთებს კიდევ, უფრო ნიჭიერთ, ასწავლიან მკურნალობას და საჭირო წამლეულის შემზადებას.

მოწაფე ქალთა ოსტატნი არიან აღნიშნულ საგნებში კარგად მომზადებული და გაწვრთნილი მონაზვნები... შეგირდ ქალებს თალხი კაბები აცვიათ. საზრდოობაში დაცულია ზომიერება. აქ დიდი ყურადღება ექცევა შეგირდ ქალთა ყოფაქცევას და ზნეობრივ აღზრდას.

ასეთი წესები იყო დაცული საქართველოს ყველა მონასტერში და მათგან გამოდიოდნენ მწერლობასა და მეოჯახეობაში კარგად დახელოვნებული ქართველი დედები, რომლებიც საზრიანად მართავდნენ ოჯახს და უზრდიდნენ სამშობლოს ღირსეულ შვილებს, ამავე დროს იყვნენ სულით მტკიცენი და ზნეობით ფაქიზნი. ამიტომაც ქართველ დედას დიდი პატივი ჰქონდა მოპოებული შინ და გარეთ. მხოლოდ

ქართველი დედის ზეგავლენით უნდა აიხსნას ის საარაკო გმირობა-სიმამაცე. სულიერი ძალა, ხასიათის სიმტკიცე, ზრდილობა და საერთოდ რაინდული თვისებანი, რითაც დაჯილდოებული იყო ქართველი ხალხი და რისი მეოხებითაც ასეთი ბედგრობით ებრძოდა იგი შემოსეულ უამრავ მტერს და უძლებდა ათას წლობით სასტიკად მჭროლავ ისტორიულ გრიგალს.

კარგად იყო დაყენებული ძველად სწავლა-აღზრდის საქმე მონასტრებთან არსებულ ვაჟთა სემინარია-აკადემიებში, საიდანაც გამოდიოდნენ გამოჩენილი მწიგნობარნი რიტორნი, მკვლევარნი და მწერლები, რომლებმაც მეთორმეტე საუკუნეში აიყვანეს ქართველი ერის ნივთიერი და მეტადრე სულიერი კულტურა ფრიად შესამჩნევ სიმაღლემდე, ხოლო პოეზიაში წარმოშვეს ისეთი დიდი გენიოსი, როგორიც იყო შოთა რუსთაველი, რომელმაც მსოფლიო გენიოსთა შორის პოეზიის დარგში დაიკავა დიდად საპატიო ალაგი.

აი, ამ ქვათახევის მონასტერში დამარხეს ცოცხლად ლეარსაბ მეფის უბედური მეუღლე, გიორგი საakაძის და ტურფა მაკინე. ეს ქალი თავადებმა ძალად გააშვებინეს სუსტი ხასიათის მეფეს. მაკინემ არ ისურვა აეგოთ მისთვის ცალკე სახლი და მოთავსდა მონაზვნის უბრალო სენაკში. იგი დიდხანს მოსთქვამდა უნუგეშოდ მონასტრის ბნელ თაღებ შორის თავის უნაზეს გრძნობას, ასე სასტიკად გათელილს ქართლის მეფე-დიდებულთა მიერ. ხშირად ისმოდა ქორფა გულიდან აღმომხდარი უიმედო გმინვა, ხშირად ნამავდა მშვენიერ თვალებს მწარე ცრემლები.

მაგრამ, მოგეხსენებათ, დრო მკურნალია. მაკინეც შეეჩვია თავის ხვედრს, ვარამს და კაეშანს. იგი მზერდა თავის ამხანაგ-მონაზვნებში სულის სიწმინდეს, მაღალ სათნოებას, მტკიცე რწმენას და უზენაეს სასოებას ჯვარცმულის მიმართ. მათი ბაძვით მაკინემაც გაიმაგრა გული. დაუცხრა უპედურ ქალს მწვავე ენებანი. ხორციელი სიყვარული შეიცვალა ზეციურ გრძნობად, მეტადრე კი მას შემდეგ, როს გაიგო თავის ესოდენ საყვარელ ლუარსაბის წამებით სიკვდილი. დიდხანს იგლოვა მონაზვნის ძაძით მოსილმა თვისი ბედშავი მეუღლე, ასე უდროოდ განშორებული ამ ქვეყნით

და შაჰაბაზის ბრძანებით მოკლული. ხოლო შეუდეგ ძხურ-ვალე ლოცვა-ვედრებით მაკინემ თითქო დაუკავშირა თავის სულიერი არსი ლუარსაბის სულს, მით იგემა უტკბესი შვე-ბა. ხშირად ევლინებოდა ქალს, ცხადად თუ სიზმრად, ბედ-შავი მიჯნური, მოწამის გვირგვინმოსილი. იგი იდგა ხოლ-მე მაკინეს წინაშე მუხლმოდრეკით მდუმარე და ცრემლით სავსე თვალებით თითქო ემუდარებოდა პატიებას. ამ დროს უზენაეს სიტკბოსთან ერთად უზომო წამებას განიცდიდა შეყვარებული ქალის სულიერი არსება...

წირვა-ლოცვის დროს მონასტრის ტაძარში მაკინეს საოც-ნებო ხმა მკაფიოდ ისმოდა მგალობელთ შორის და უსაზღვ-რო სიტკბო-სინაზით წკრიალებდა ობლად ეკლესიის თაღებ-ში, ვით ციური ზარი. უამრავი ხალხი აწყდებოდა მონას-ტერს მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ესმინათ მაკინეს გალობა. ხანდახან ამ გალობას უნებლიედ ჩაექსოვებოდა უსაზღვ-რო სევდის მკვნესარე ჰანგი; უცებ წყდებოდა მკვნესარე ხმა და მონაზონთა მწყობრ გალობაში გაისმოდა მიწაზე დამხობილი მაკინეს მწარე ქვითინი, რაც იწვევდა მლოც-ველთა შორის უზომო სიბრალულს და ცრემლთა დენას.

უამრავი შესაწირავი მოსდიოდა მონასტერს ყოველ მხრი-დან მაკინეს მეოხებით. თავისი წმინდა ცხოვრებით, მაღალი სათნოებით და სინაზე-სიკეთით უსაზღვრო პატივისცემა მოიპოვა მორჩილ-მონაზონთა და მოწაფე ქალთა შორის. მდაბიო ხალხი ხომ აღმერთებდა მაკინეს და თვლიდა წმინ-დანად. თვით იღუმენი ნინო ხშირად შედიოდა ამ ქალთან მის სენაკში, ტკბებოდა მასთან საუბრით და ანუგეშებდა სულიერად დასჯილს.

მაკინე იყო აღზრდილი მცხეთის წმ. ნინოს დედათა მო-ნასტერში და ამ ფრიად ნიჭიერ ქალს საუკეთესოდ ჰქონდა შესწავლილი საერო და სასულიერო მწერლობა, მხატვრო-ბა და ნაირნაირი ხელსაქმე. უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ ხომ ზეპირად იცოდა მან. ამ ქალის ხელი ერთი წუთითაც კი არ ჩერდებოდა. ის იყო დაუზარებელი მუშაკი და ყვე-ლას ეხმარებოდა, ბაღ-ბოსტანშიაც კი მუშაობდა; ხოლო სკოლაში ასწავლიდა სიტყვიერებასა და მხატვრობას. მაკი-

ჩემ კარგად იცოდა მკურნალობაც, ჰქონდა კარაბადინი და მრავალი სნეულნი მიდიოდნენ მასთან საკურნოდ.

მაისის ტკბილი საღამო. ჩამავალი მზე ღიმილით ემშვიდობება მობიბინე მთებსა და მდელოს. ცელქი ნიავი ფაქიზი ფრთებით არხევს პურეულს და აშრიალებს ხის ფოთლებს. კოპწიად გაშლილი ყაყაჩო ალამაზებს მწვანე ყანებს. ბუნების მყუდროებას არღვევს მხოლოდ მთის პატარა მდინარე. კავთურა თავისი ჩხრიალით და უამრავი ფუტკარი, რომლებიც ბზუილით მოსდებიან ველსა და ბაღებს.

ამ საოცნებო ბუნებას თითქო შესტრფის მშვენიერი სახის ფერმკრთალი მონაზონი. იგი მარტოდ ზის ამწვანებულ კორდზე ხის ქვეშ, მონასტრის გადაღმით. ღრმა ფიქრებში შეცურებულა მისი გონება. რალაც სევდანარევი შვება-სიამით აღვსილა მისი თვალები. ის თვალები თითქო მზერენ ვიღაცას. ქალის არსება ამჟამად შეუპყრია ტკბილ-მწარე მოგონებებს. მის თვალწინ იშლება სხვადასხვა მხიბლავ ფერებად წარსულის სურათები: დიდებული ნადიმი თავისი ძმის ბაღში; მოხდენით გაშლილი სუფრები; უამრავი სტუმარი, მდიდრულად დართულნი; ლამაზი მეფე, ნორჩი ჭაბუკი. ტრფობით აივსო ვაჟის თვალები, ოდეს უტურფესი ასული ივერიისა აწვდიდა მისივ სიმღერით მოხიბლულს ღვინით სავსე ოქროს ფიალას. შემდეგ მთვარის შუქზე ბაღის თალარში სიყვარულის ახსნა...

— ოჰ, ღმერთო! რა ტკბილი, რა ნეტარებით სავსე იყო ის პირველი შეხვედრა! შემდეგ მოხშირებული სიარული, ერთმანეთის ნახვა, უმანკო ტრფობა, საალერსო სიტყვები, სასახლეში მიწვევა, ძვირფასი საჩუქრები...

ოჰ, ზეცავ! რა სანეტარო იყო ის წამები! რა ბედნიერი ვიყავ იმ ხანებში მე უბედური!

უნებლიედ წამოიძახა ქალმა ეს სიტყვები და გამოერკვა ოცნებიდან. მიმოიხედა; არ ჩანდა სულიერი. მზე უკვე გადასცდენოდა მთებს და ბუნებას მოესხა მწუხრის მოლურჯო ბლონდი. ამოწვერილიყო პირბადრი მთვარე და მორცხვად ახვევდა თავის სხივთა ვერცხლოვან ქსელში მთებსა და მდელოს.

ქალს დაეუფლნენ კვლავ წარსულის მოგონებანი.

— შემდეგ შუამავალთა ორჯერ მოგზავნა, თანხმობის მიღება, ჯვრისწერა ამავ მონასტერში, მცირე ქორწილი. პირველი ღამე ცხირეთის სასახლეში... ო, სეტარებავ ამ-ქვეყნიურო, მწვავევ და ტკბილო, ხოლო იმავ დროს მაცდურო და წამიერო! მალე ჩამშწარდა ეს სიტკბონი მე უბედურსა. ჩვენს წინააღმდეგ მალე აზღვავდნენ დიდი თავადნი, ქალნი თუ კაცნი. იუკადრისეს მდაბიო გვარის ასულისა დედოფლად ყოფნა. განრისხდნენ ღიდად უძლურ მეფეზე და აიძულეს ის ბედშავი გაეშვა ცოლი... და განმიტევა იმ უბედურმა... შეშინდა, დამთმო... ძალამ მოღრიკა, დიდებულთ ძალამ, რისხვამ, შუქარამ... ოჰ, მახსოვს ის ღამე დაუ-ვიწყარი, როს უკანასკნელ ტრფობა-ალერსით ერთიმეორეს ვეთხოვებოდით, ვემშვიდობებოდით სამარადისოდ... რარიგ გმინავდა მეფე ივერთა! რარიგ ვსტიროდით ჩვენ ორთავენი! როგორ მოვთქვამდით მწარე ცრემლებით, როგორ ვალტობდით მიჯნურთ სარეცელს... თითქო ვმარხავდით ერთიმეორეს ორივ ცოცხლადვე მიცვალებულნი... და ამ ტირილსა, ამ ვაებაში ჩვენ გავათენეთ... მწარედ დაღლილნი და დაქანცულნი იქვე ვესვენეთ... სიკვდილის ფერი გვედო ორთავეს. როს ირაკ-რაკა და სარკმელიდან შემოაშუქა დღისა სინათლემ, კარებ-თან მოდგა ლალა შადიმან, ბოროტი სული, უხმობდა მე-ფეს... გადამეხვია უკანასკნელად ის უბედური, ჩამიკრა გულ-ში, იწყო ქვითინი... კვლავ დაუძახა მეფეს ლალამ უფრო ხმამაღლა. „მოვალ, ჯალათო!“ — ეს უპასუხა მან გამწარე-ბით, ერთიც მაკოცა მწვავედ, შმაგურად და შეშლილივით გავარდა გარეთ. ჩემს ყურს მოესმა მისი ქვითინი... ორი ჯალათი — ქაიხოსრო და ფარსადანი — მოიჭრა ჩემთან, წა-მავლეს ხელი და ტახტრევანით აქ მომიყვანეს, ამ მონას-ტერში, მე ცოცხალ-მკვდარი, რათა ამ ქვეყნად მწარედ დას-ჯილმა ბნელ თაღებ შორის დავლიო სული, ვზიდო ცხოვ-რება ეს უამური...

ატირდა ქალი. ამ მოგონებამ მას აუშალა ძველი ჭრილო-ბა. დიდხანს ტიროდა გულამოკვნესით. ცრემლით ახშობდა აგიზგიზებულ ცეცხლის გენიას. შეჩერდა ბოლოს, შეიშრო

თვალნი შავი მანდილით, მიმოიხედა გონდაკარგულად და კვლავ შეცურა მოგონებათა მწველსა მორევში.

— იმ ულმო რისხვის ორი წლის შემდეგ გაზაფხულისა ტურფა საღამოს აი აქ ვიჯექ, ამავე ადგილს, მწარე ფიქრებით გარემოცული, როს დავინახე — ჭაბუკი ვინმე მოაგელვებდა ჩემკენ ბედაურს. ვიცან მაშინვე, ის იყო მეფე, ლუარსაბ მეფე, ჩემი მიჯნური... წამოვიჭერი, ვით შეშლილი, გონდაკარგული, უსაზღვრო ტრფობით აღტყინებული, და დავაპირე ქვემოთ დაშვება შესაგებებლად, გულს ჩასაკვრელად... და დაეწია ცხენის ჭენებით ორი მხედარი მოხუცებული, გადაუღობეს მას სავალი გზა. ერთმა მათგანმა ცხენის სადავეს უტაცა ხელი, ვითარცა ბავშვი ის შეაჩერა და მიაძახა გესლი სიტყვები... ვიცან ორთავე, — ჩემი ჯალათნი... ერთი მათგანი იყო შადიმან, ხოლო მეორე — თვით ფარსადანი... დავემხვე იქვე გამწარებული და ამოუშვი მწვავე ქვითინი... შემდეგ უეცრივ გულს შემიღონდა, ვეგდე კარგახანს მოლზე უსულოდ... როს გონს მოვედი, მიმოვიხედე, არავინ იყო; მზე ჩასულიყო და ბნელს მოეცვა აქ არემარე. ამ დროს მომესმა მონასტრიდან მონაზონთ ხმები; მე მეძახოდნენ. გამოსულიყვნენ გალავნიდან დიდი თუ მცირე და დამეძებდნენ ჟინჟღილით ხელში. ხმა ვერ გავიღე: არ მქონდა ძალი; ვიყავ ამ ხესთან მისვენებული. მხოლოდ ვსტიროდი გულამოსკვნილი... ტირილის ხმაზე იმათ მიპოვეს და წამიყვანეს. არ მივყვებოდი, მომძულდა თავი, მძაგდა სიცოცხლე, სიკვდილს ვნატრობდი, ხოლო არ ჩანდა ის ულმობელი... მზად ვიყავ იმ დროს დამეხრჩო თავი ან მაღალ კლდიდან გადაჩეხვით მომეღო ბოლო და შემეწყვიტა მწარე ცხოვრების ტანჯვათა ძეწკვი. დების ალერსმა და იღუმენის თანაგრძნობამ, ნუგეშის ხმებმა ძლივს დამამშვიდეს. მათ მიმითითეს ტანჯულს, მამხილეს ქრისტე, კაცთა სახსნელად ის წამებული... ვადიდე ღმერთი. ამ სოფლის ვნება მიწიერი ჩაიხშო გულში. ჩემ სულს მოეფრქვა ცის ნეტარება და აფოფინდა ფრთაგაშლილი ერთერთ სფეროში სპეტაკადქმნილი...

ქალი შეჩერდა; ზეცას მიაპყრა ნათელი სახე და კვლავ განაგრძო ფიქრთა ხვეული:

— გარბოდნენ წლები. აჰა, მოვიდა ერანიდან ხმა საზარელი: მოჰკლეს მეფეო ქართლიდანა გატაცებული! მტარვალის ხმალმა მუხანათად მოუღო ბოლო ჩემსა ლუარსაბს, მიჯნურს უბედურს... თავზარი დამცა ამ ამბავმა სმენად საზარომ. დაეეც მკვდარივით და სამი თვე ვიწექ ლოგინად. არვის ეგონა, თუ მოვრჩებოდი. ღმერთმა ინება მეცოცხლა ისევ, ახალ ტანჯვებით განმეწმინდა ეს ჩემი სული, მოვრჩი ბედშავი. ვხედავ: ლოცვის ჟამს ჩემსა სენაკში წინ დამესახა ჩემი მიჯნური, საიქიოდან მოვლინებული და წმინდანისა შარავანდედით გაშუქებული... გაჩერდა ჩემ წინ და დაიჩოქა... გულს დაიკრიფა ორივე ხელი... ცრემლითა სავსე ნაზი თვალებით მან შემომხედა... ოჰ, მათში კრთოდა უსაზღვრო სევდა და კაეშანი! თითქო მესმოდა ხვეწნა, მუდარა, მაპატიეო — თითქო ამბობდნენ მისი ბაგენი... და ეს ჩვენება ჩემი მიჯნურის ხშირად მას შემდეგ მეევლინება სიზმრად თუ ცხადად... მესაუბრება და მანუგეშებს საამო ხმებით... აჰა, აგერაც მუხლმოყრილი ჩემს წინ მდუმარე! ხელდაკრეფილი, თვალცრემლიანი, თითქო რაღაცას მემუდარება... მესმის მიჯნურის ბაგეთ ფაჩუნი!

წამოიძახა გაფითრებით ქალმა უეცრივ და მიაპყრა სივრცეს მგზნებარე თვალნი.

— აჰა, გაშალა ორთავე ხელი! ალბათ თუ სწადის გულს ჩამიკრას თავისი სატრფო... მოვალ, გენაცვა, ჩემო მეუფევ, ჩემო მიჯნურო! მოვალ ახლავე, რომ გულს ჩაგეკრა და ვიყავე შენთან განუშორებლივ სასუფეველში!

წამოიძახა ეს სიტყვებიც და ვით შეშლილი ზე წამოიჭრა... მან მიაშტერა რაღაცას თვალი, შეჰკივლა ერთი უცნაურად ქალმა ენებულმა და იქვე მოლზე დაეცა მკვდარი..

ქალის კივილზე მიიჭრა ხესთან შავი მერანით შავად მოსილი ზორბა რაინდი. ჩამოხტა ცხენით, მივარდა სწრაფად მიწაზე გდებულს ტურფა მონაზონს, დახარა თავი და მთვარის შუქზე იცნო მაკინე. სახეს მშვენიერს დაციალებდა

ზეცის ტრფიალი და ფართოდ გაშლილ უძრავსა თვალებს აელვარებდა ნეტარება იმქვეყნიური...

— დაო მაკინე! ჩემო ძვირფასო! განა შენ გიმზერს ჩემი თვალები?! რა მოგვიდა, მითხარ, ბედშავო?! ხმა ამოიღე! იქნებ შეშინდი ჩემი დანახვით! სხვა თუ გეგონე! ნუთუ ვეღარ მცნობ შენს ძმას გიორგის?! ან იქნებ სევდა მოგაწვა რამე, გულს შეგიღონდა?!

ამ სიტყვებით დიდი რაინდი დაწვდა მონაზონს ასაყენებლად და როს შეეხო ხელს გაცივებულს, მიხედა ყველაფერს... ქალის წინაშე უცებ მეხლი მან მოიყარა და ცრემლთა დენით დაუკოცნა სახე, ხელები... ღრმა მწუხარებით აევსო გული... ამ დროს გაბზარა მყუდროება მონასტრის ზარმა, ტკბილად მოისმა მონაზვნების მწყობრი გალობა...

XXVII. შაჰის ნოგათი

ჩაუვიდა შაჰაბაზს ივერიის ამბები. სცნო სპარსთა ჯარების განადგურება, ქართლ-კახეთის სამეფოთა გაერთიანება, მეფედაც კი მისი დაუძინარი მტრის თეიმურაზის მოწვევა.

და ეს ყველაფერი ჩაიდინა ვინ? ათ წელს ცოლშვილით ირანს შეფარებულმა, შაჰის წყალობით ყელთამდე აღსავსე გიორგი სააკაძემ.

— ოჰ, გურჯო გიაურ! გურჯო დონღუზ! — წამოიძახა გამწარებით ირანის ბატონმა და დაუწყო თავისსავე ტუჩებს კვნეტა. მის ბოღმა-აღშფოთებას არ ჰქონდა საზღვარი. ამიერით საქართველო ხდებოდა უკვე საშიშარი. მოურავის გენიოსობით გაერთიანდა ორად გაგლეჯილი ივერი. იგი სრულიად განთავისუფლდა ირანის ბასრი ბრჭყალებისაგან. ხვალ-ზეგ სააკაძე ადვილად მოგლეჯდა თურქეთს კოლხეთ-მესხეთს და შეიერთებდა; ამრიგად აღადგენდა მთლიანად საქართველოს ძველ დიდებას, დავით აღმაშენებელის და თამარის ბრწყინვალე ხანას, რაც ფრიად საშიშარი და შესაძლოა საბედისწეროც გამხდარიყო ირანისათვის. ყოველივე ეს კარგად განჭვრიტა ყიზილბაშმა და ჩაფიქრდა მძიმედ. შაჰის აზრით, საჭირო იყო დიდი მოურავის ასეთი გაბედული გეგმის ამთავითვე დამსხვრევა, სანამ განახორციელებდა მას მთლიანად; საჭირო იყო დიდი ლაშქრით შესევა და ივერიის სამხედრო ძალთა განადგურება, ციხე-ქალა-

ქების დაპყრობა, თავშესაფარ ალაგებისაკენ გზების შეკვრა და მთელი ხალხის ხელში ჩაგდება, მათი ქონების განადგურება და თვით ქართველი ხალხის ზოგის გაჟლეტა, ზოგისაც მონებად გაყიდვა ირანში.

ამრიგად, შაჰაბაზის სატანური განზრახვით, ივერიაში უნდა მოსპობილიყო მთლიანად ქართველი ხალხი, ერთ მილიონზე მეტი ქალი და კაცი, მათ ნაცვლად კი ქართლ-კახეთის მიწა-მამულზე უნდა დასახლებულიყვნენ შაჰის ერთგული ირანელნი და მუღანლოს თათრები, რომელთაც უნდა დაეხშოთ როგორც დარიალის, ისე კავკასიონის სხვა გადმოსასვლელი კარები, რათა „ურუსებს" არ ჰქონოდათ საშუალება ჩრდილოეთიდან გადმოსვლისა ივერიაში.

შაჰაბაზმა მეორე დილითვე მოიწვია დიდებულთა თათბირი ამ მწვავე საკითხის გადასაწყვეტად. თათბირმა ერთხმად დაადგინა: შეიკრიბოს ახლავე მთელ ირანში კარგად გაწრთვნილი ჯარები და საუკეთესო სარდლების მეთაურობით საჩქაროდ გაიგზავნოს ივერიაში დაკისრებული მიზნების განსახორციელებლად. შაჰმა გასცა ბრძანება ჯარების შესაკრებად.

ამავე დროს მისივე ბრძანებით აწამეს მძევლად დატოვებული დიდი მოურავის პირმშო ვაჟი პაატა, რომელიც გმირულად შეხვდა წამებას და სიკვდილს საყვარელი სამშობლოს გამო. მისი მოკვეთილი თავი „ფეშკაშად" გაუგზავნეს უბედურ მამას.

სააკაძემ ადრევე იცოდა, თუ რას ჩაიდენდა გაბრაზებული შაჰაბაზი. ამიტომ მალე შეუდგა ჯარების შეკრების თადარიგს. შეიტყო თუ არა აეშაგთაგან, ირანის შაჰი ივერიაში გზავნის უამრავ ჯარსო, მოურავმა აფრინა კაცები ყველგან და მოიწვია მხედრობა. ზაფხულის სიცხის გამო ქართველმა ჯარებმა იწყეს შეკრება გრილ ადგილებში, კოჯორსა და ტაბახმელაზე. აქ უნდა დახვედროდნენ მტერს.

ქვეყნის ზრუნვაში გაბმული მოურავი ისიც იყო დაბრუნდა ნოსტეს ცაროს თანხლებით, როს ამცნეს, ამ დილით სპარსელმა იფრინდამ მოიღო „შაჰის ნობათიო". ამასთან

ერთად ქეშიკმა მოართვა დალუქული აბგა ზეწარწერით სპარსულ ენაზე: „დასტკბი, მოღალატეე“...

გულის მწარე კვნესით გახსნა ივერიის გმირმა აბგა და ამოიღო უსაყვარლესი ვაჟის მოკვეთილი თავი, სხვადასხვა წამლებით შემურვილი...

ამ საშინელ სურათის დანახვაზე გაშეშდა უბედური მამა. შემდეგ დაემხო იქვე და წასკდა მწარე ცრემლები.

დიდხანს იტირა გულამოსკვნით თავისი უდროოდ დაღუპული საყვარელი პირმშო უნუგეშო მამამ. თავზე ადგა პირგამშრალი ცარო და უხმოდ ღვრიდა ცრემლებს.

მოურავს არ ჰყავდა აქ ცოლშვილი. ისინი იმჟამად ანანურში ზურაბთან იყვნენ საზაფხულოდ.

ამიტომ სააკაძის უსაზღვრო მწუხარებას აორკეცებდა მისი გამამხნევებელი მეუღლის ამ დროს აქ არ ყოფნა.

რაკი მოიოხა გული ცრემლებით, დაიჩოქა მოკვეთილი თავის წინაშე, დაეწაფა ვაჟის შუბლს მხურვალე გრძნობით და მიმართა:

— უსაყვარლესო შვილო პაატავ! საუკუნოდ დატანჯული მამა მზერს და მწარედ დასტირის შენს მოკვეთილ თავს... გრძნობს, თუ რა წამებანი განიცადე, გმირო ჭაბუკო, შაჰაბაზ მხეცის მეოხებით... შენ შეეწირე ტანჯულ სამშობლოს, ბედშავმა მამამ თავის ხელით დასდო ზვარაკად შენი სიცოცხლე ივერიის საკურთხეველზე, რათა ეხსნა იგი დაღუპვისაგან... სხვა გზა არ მქონდა მე უბედურ დღეზე გაჩენილს... ან შენ, ან სამშობლო! აჰა, გადარჩა სიკვდილს და მოსპობას ტანჯული ივერი, შენ კი შეეწირე მას!

ბედშავმა შეგნებულად შეეწირე ქართლ-კახეთს ის ნორჩი სიცოცხლე, რომლის გულისთვის მზად ვიყავ ასჯერ მემსხვერპლა თვით ჩემი არსებობა...

ასე მკაცრია და ულმობელი სააკაძიანთ გვარის ბედის ჩარხი... შენ შეეწირე, შვილო პაატა, უბედურ სამშობლოს, მაგრამ ვიფიცავ შენს წმინდა სახელს, რომ ეს მარჯვენა საკვდავ მახვილს ჩაუსობს გულში თვით მტარვალ შაჰაბაზს, თუ ცოცხალი ვიქენ!

ამ სიტყვების შემდეგ დიდი მოურავი კვლავ დაემხო შვილის მოკვეთილი თავის წინაშე და მწარე ქვითინი დაიწყო.

დიდხანს დასტიროდა უნუგეშო მამა თავის უსაყვარლეს პირმშოს. გმირის მწარე ცრემლებს ერთვოდა მის უკან უხმოდ დაჩოქილი ცაროს ცრემლები. ბოლოს ცარო წამოდგა, სათუთად მოხვია ხელი დაჩოქილ მამას, ააყენა ზეზე და გაიყვანა იქვე აივანზე, დასვა ტახტზე, მოურბენინა წყაროს ცივი წყალი, დიდი ხვეწნით მოასმევინა მცირეოდენი და ანუგეშა ტკბილი სიტყვებით.

აივნიდან იშლებოდა დიდებულ სურათებად ქართლის ლამაზი ბუნება. მოურავმა მიაპყრა ცრემლიანი თვალები მის მიერ გადარჩენილ სამშობლოს, სადაც ამ დროს დუღდა სიცოცხლე და საშინელი გმინვა აღმოხდა გულის სიღრმიდან. იგი მიეცა ღრმა ფიქრებს.

ცოტა ხნის შემდეგ მოურავს მოესმა დარბაზიდან ვიღაცის მწარე ქვითინი. წამოდგა იგი, შეაღო ფრთხილად კარი და დაინახა პაატას მოკვეთილი თავის წინაშე დამხობილი ცარო. ის მწარედ მოთქვამდა უდროოდ დაკარგულს თავის საყვარელ გაზრდილს და წყევლა-კრულვას უგზავნიდა გამხეცებულ შაჰს. კავკასიონის მთების გმირი ასული ფიცს სდებდა მოკვეთილი თავის წინაშე, რომ შურს იძიებდა, როგორც მთიელი, და ბასრი კალდიმით გულს გაუპობდა საზიზღარ ჯალათს, მტარვალ შაჰაბაზს... ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა იგი, მხურვალედ დაეწაფა პაატას შუბლს და ლასლასით გავიდა აივანზე... უბედური მამა კი ისევ დაემხო მოკვეთილი თავის წინაშე და აქვითინდა.

ამ დროს შორით გამოჩნდა ორი მხედარი, ქალი და ჭაბუკი, ისინი მოაგელვებდნენ ბედაურებს. მათ უკან მოსდევდა ხუთი იარაღასხმული თანმხლები. აჰა, მიუახლოვდნენ მოურავის სასახლეს, გუშაგმა გაულო მათ ალაყაფის კარები, შემოუძღვა ეზოში და უშველა ქალს ცხენიდან გადმოხტომა. აივანზე მდგარმა ცარომ შორითვე იცნო ისინი, სწრაფად ჩაირბინა კიბეზე, მიეგება ეზოს კარიბჭესთან და ჰკადრა მდაბიო სალამი.

— გამარჯვება, გელავ! ხომ კარგადაა მოურავი? შინ ბრძანდება თუ არა?

შეეკითხა საკაძის მეუღლე თამარ, რომელიც ჩამოვიდა დუშეთიდან თავის ძმა დათუნასთან ერთად.

— ერის ბელადი კარგად ბრძანდება ქალბატონო. ამჟამად შინ გახლავთ თავის სენაკში... რაღაც უსიამო ამბავი მიიღო ამ დილით ერანიდან, — უპასუხა გელამ მოწყენით...

გელას პასუხის კილომ და დაღვრემილმა სახემ მეტად შეაკრთო თამარ. მას ეცვალა ფერი, გულზე მწარედ უკბინა რაღაცამ.

— გელა, შემომხედე თვალებში! შენ რაღაც საშინელ ამბავს მიმალავ! გაფიცებ ყველაფერს, მითხარ გულახდით, რაც იცი!

გელას ეცვალა ფერი და დაიბნა. იგი ჩავადრა ფრიად უხერხულ მდგომარეობაში. ალარ იცოდა რა ეთქვა, რა მოეგონა, რით ენუგეშებინა უბედური დედა. მთიელი დუმდა თავჩაქინდრული.

— რად სდუმხარ, გელავ? ხმა ამოიღე! მითხარ სიმართლე! ნურას მიმალავ, თუ გიყვარს ჩვენი ოჯახი! მითხარ, გული მაგარი მაქვს, ყველაფერ უბედურებას გავუძლებ...

— მე რაიღა მოგახსენოთ, გმირის ღირსეულო მეუღლევ! თავად აბრძანდით ზევით და იქ სცნობთ ყველაფერს. თვით გიამბობთ ერის მოთავე.

ფრიად შეშფოთებული თამარ საჩქაროდ ავიდა აივნის კიბეზე და ფეხაკრეფით შევიდა დარბაზში.

მას გაედევნენ გელა და დათუნა.

ქალი წყნარად მიუახლოვდა ქმარს; იგი დამხობილიყო ტახტის წინ და მწარედ ქვითინებდა. გაშლილ ფარჩაზე იდვა პაატას მოკვეთილი თავი. უბედური დედა გაოცებით დააშტერდა მას; იცნო თავისი პირმშო. ერთი შეჰკივლა უცნაურად და იქვე ჩაიკეცა ქმრის გვერდით. საშინელი გმინვა და ქვითინი აღმოხდა მის გულსა და ბაგეს, იგი დაეკვდა შვილის სახეს...

უბედური მამა შეკრთა ამ საშინელ კივილზე; მან დაინახა ტახტზე დამხობილი მეუღლე. დედის უნუგეშო ქვითინს

მოურავმა მისცა ბანი მწარე ქვითინით. კარგახანს იტირეს ორივემ და აფრქვიეს ცრემლები გმირულად დაღუპული ვაჟის მოკვეთილ თავზე.

— საყვარელო შვილო პაატავ! შენ შეეწირე ზვარაკად შენსავით ტანჯულ სამშობლოს!

შენი უმანკო სისხლი დაიღვარა ივერიის თავისუფლების სამსხვერპლოზე. შენი მოწამებრივი სიკვდილით გადარჩნენ სრული მოსპობისაგან ქართლი და კახეთი, შენ კი...

ოჰ, შენ, ალბათ, გრძნობდი, ალბათ, ხვდებოდი კიდეც ამ დიად დავალებას, რაც გედო კისრად, ოდეს მტარვალი შაჰბაზის სურვილის თანახმად უბედური მშობლები გიშორებდნენ მკერდიდან და გტოვებდნენ პირდაღრენილი გველეშაპის ბრჭყალებში... ამიტომაც იყო, რომ გამოთხოვების ჟამს ჩაგვეკარ გულში და გვკოცნიდი დიდხანს... გეძნელებოდა ჩვენი განშორება... გვეველდრებოდი კიდევ დარჩენას, გვიმზერდი თვალცრემლიანი და თითქოს საუკუნოდ გვეთხოვებოდი. „საყვარელო ბაბავ, საყვარელო დედუ, ნუ მტოვებთ აქა! მეც წამიყვანეთ ჩემს ძმებთან ერთად, არ მინდა ყეენთან დარჩენა, გულს ზარავს მისი მრისხანე სახე“ — ამ სიტყვებით გვეველდრებოდი ივერიაში წაყვანას. ჩვენ კი, უბედურნი, გამშვიდებდით, რომ შენი დარჩენა სწადია თვით დიდებულ შაჰს, რომ მას უყვარხარ ფრიად და მალე გიბოძებს მაღალ ხარისხსა და სამსახურს. აბა, როგორღა გეტყოდით იმას, რომ შენ გაგწირა ივერიის სახსნელად შენმა უბედურმა „ბაბამ“, რომ შენ დაგიტოვა მძევლად ერანის მტარვალმა, რომ მამის ღალატი შაჰისადმი უნდა გეზღო შენ, წამებულო გმირო, საკუთარი სისხლით, საკუთარი სიცოცლით... და, აჰა, შენი მოკვეთილი თავი, მტარვალ ყეენის მიერ ნობათად მიძღვნილი! ოჰ, შვილო პაატავ! შვილო საყვარელო, ტანჯულო, წამებულო! — ამ მწარე სიტყვებით მოთქვამდა უბედური დედა, იკაწრავდა სახეს და ღვრიდა ცხარე ცრემლებს.

გულის სიღრმეში ხვდებოდა ეს მწარე მოთქმა უბედურ მამას და იფერფლებოდა მისი სული; იგი განიცდიდა ენით აუწერელ სულიერ ტანჯვებს. ესმოდათ ეს მოთქმა-გოდება

კარებთან მდგარ გელას და დათუნას და ისინიც იღვრებოდნენ ცრემლად.

— საყვარელო მეუღლევ! უბედურო მამავ! აჰა, ვაჟის მოკვეთილი თავი! აჰა, ჯალათის მიერ დაღვრილი უმანკო სისხლი, ივერიის სამსხვერპლოზე შეწირული უძვირფასესი ტარიგი! ხედავ, რა მხეცობა ჩაიდინა მტარვალმა?! ხედავ, რა ძვირად დაგვიჯდა სამშობლოს ხსნა და გადარჩენა?! ხედავ, როგორ იძია შური ერანის ყეენმა?! ოჰ, ჩვენ, შავ დღეზე გაჩენილნი, განა ამას მოველოდით?! ივერთა ერის გამარჯვების დიდი ზეიმი ხარება დღეს შეიცვალა ჩვენთვის, გიორგი სააკაძის ოჯახისთვის, უსაზომო გლოვის ზარად. და შენ, ერისთვის თავდადებულო დიადო გმირო, შენ თვითონ განზრახ და შეგნებულად მიუძღვენ ზვარაკად ივერიის სახსნელად შენი უსაყვარლესი პირმშო, შენი უფროსი ვაჟი, შენი სულზე უტკბესი პაატა...

იტირე ახლა, ბედშავო მამავ! იგლოვე მწარე ცრემლებით უსაყვარლესი ვაჟი, იტირე და ამავე დროს იამაყე მისი გმირული სიკვდილით! გახსოვდეს მარად, რომ ამ მოწამებრივმა სიკვდილმა უკვდავჰყო პაატას სახელი, რომ ქართლის მატიანე ხარება დღეს სასწაულებრივ გადარჩენილ ივერიის ხალხთან ერთად მოიხსენიებს დიდი მოურავის უფროს ვაჟს პაატა სააკაძეს! ამიერით საქართველოსთან ერთად იქნება უკვდავი მის სადღეგრძელოდ შეწირული პაატას ნათელი ხსოვნა. იტირე და იმავე დროს იხარე, ბედშავო და ბედნიერო მამავ! შენ გასწირე ხივერიისათვის შენი უსაყვარლესი ვაჟი და მშვენიერი ჰაბუკი პაატა. იგი შეეწირა დიდებულ საქმეს, შეეწირა ქართველი ერის დაღუპვისაგან გადარჩენას.

კვლავ ასეთი გამგმირავი სიტყვებით მოთქვამდა უბედური დედა; ეს მოთქმა-გოდება წვეტიან დაშნასავით ესობოდა გულში. ერის მოთავეს, ტახტის წინაშე დამხობილ უბედურ მამას, და აღვრევინებდა მწარე ცრემლებს.

უკვე კარგახანია ჩასულიყო მზე, ბნელოდა გარეთ, ბნელოდა მოურავის დარბაზში. ახალი მთვარის მკრთალი შუქი, სარკმლით შეჭრილი, შარავანდედად ეფრქვევოდა წამებული ჰაბუკის მოკვეთილ თავს.

კიდევ კარგახანს ისმოდა დიდი მოურავის დარბაზში უბედური მშობლების უნუგეშო კვნესა, მოთქმა და ქვითინი...

წამებული პაატას გვამი კარგად შემურვილი და კუბოში ჩადებული რომის მისიონერთა მიერ ესვენა კათოლიკეთა ეკლესიაში. სცნო თუ არა ეს ამბავი დიდმა მოურავმა, დიდი საფასური გაუგზავნა კათოლიკე ბერებს და მოატანინა ირანიდან შვილის ნეშტი. ეს ნეშტი მოკვეთილ თავთან ერთად პატივით იქნა დაკრძალული ნოსტეს სიახლოვეს ერთაწმინდის ტაძარში.

XXVIII. მარაბდა

შაჰაბაზმა დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება შეეკრიბათ მთელს ირანსა და ერაყში საუკეთესო ჯარები. მან მოწოდებით მიმართა მაჰმადიან აზიას და მუფტ-მოლების დახმარებით გამოუცხადა ევერიას სარწმუნოებრივი ომი. გააფთრებულმა შაჰმა მთელი ირანი და ერაყი, მთელი მუსლიმი აამხედრა პატარა ქრისტიანი ერის წინააღმდეგ. ყველნი შეუდგა დიდ სამზადისს.

შაჰაბაზს შეუგროვდა სულ 120 ათასამდე მეომარი. აქედან ადრევე გამოგზავნა ევერიაში 80 ათასი მებრძოლი საუკეთესო სარდლების თაოსნობით, ხოლო მთავარსარდლობა ჩააბარა საკუთარ სიძეს, სამხედრო ვეზირს და განთქმულ სპასალარს ყორჩიბაშს. თვით შაჰაბაზი ირანში დარჩა. ის მოერიდა სააკაძეს. იქნებ შეაფრთხო იგი მოურავის სამხედრო გენიოსობამ?

ევერიის გმირმა კარგად იცოდა, რომ ირანელთა ჯარების განადგურებას მოჰყვებოდა შაჰაბაზის მხრივ საშინელი შურისძიება და დიდი ლაშქრის გამოგზავნა ევერიის მოსასპობად. ამიტომ ქართლ-კახეთის გაერთიანებისა და თეიმურაზის მეფედ მიწვევის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, იგი მაშინვე შეუდგა საჭირო თადარიგს და შეკრიბა 20 ათასი საუკეთესო მებრძოლი, გაამაგრა ციხენი და შემოსასვლელი გზები. ამ დიდი განსაცდელის დროს, სავალალოდ, ისევ იჩინა თავი პირადმა შურმა და მტრობამ. სააკაძის სახელი,

დიდება და მის მიერ ქვეყნის მართვა-გამგეობა შურით ავსებდა ივერიის თავადებს. გაერთიანებული ორივ სამეფოს მზრუნველი და ფაქტიური მეფე ისევ მოურავი იყო.

ის მართავდა ივერიას, ის ცვლიდა და აყენებდა მოხელეებს.

გმირის ასეთი დიდება შურით ავსებდა თვით მის ცოლისძმას, ზვიად ფეოდალს ზურაბ ერისთავს, აგრეთვე მეფე თეიმურაზს. ზურაბიც ხომ მონაწილე იყო ივერიის განთავისუფლების საქმეში, მაგრამ ყველგან ქუხდა მხოლოდ მოურავის სახელი. თეიმურაზ იყო მეფე, მაგრამ ხალხი იცნობდა მეფედ მხოლოდ სააკაძეს. არა ნაკლებ ბრაზობდნენ მოურავის წინააღმდეგ მისი ძველი მტრები: შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი და ქაიხოსრო ჯავახიშვილი.

აი, ამ შურმა და მტრობამ იჩინა თავი სწორედ იმ დროს, როცა ყველაზე უფრო საჭირო იყო თანხმობით მოქმედება საშიშარი მტრის წინააღმდეგ.

ირანის დიდი ლაშქარი შემოვიდა ქართლში პაპანება ზაფხულში და დაბანაკდა მდ. ხრამისა და ალგეთის ნაპირებზე სოფ. შულავერსა და მარაბდას შორის. ივერთა ჯარი კი იდგა კოჯორსა და ტაბახმელაზე. აქ ელოდნენ შემოსეულ მტერს. სიცხეების გამო შეუძლებელი იყო ამ გრილი ადგილებიდან დაძვრა, სააკაძეს სურდა ამ ვიწროებში შემოეტყუებინა მტრის ლაშქარი და აქ დაეცა მათთვის თავზე ციური რისხვა.

აი, სწორედ ამ საბედისწერო ჟამს ივერთა ჯარის ბანაკში იჩინა თავი დიდ მოურავისადმი მტრობამ. ქართლ-კახეთის თავადებმა ჩამოართვეს მთავარსარდლობა ამ სამხედრო გენიოსს და გადასცეს ჯარის უფროსობა მეფე თეიმურაზს. ამ გარემოებამ დაღუპა დიადი საქმე.

კოჯორში მოხდა დიდი თათბირი. მას ესწრებოდა თვით მეფე თეიმურაზი. დგება შადიმან ბარათაშვილი და მიმართავს კრებას: „ბატონებო, დღეს ივერიის სათავეში სდგას მირონცხებული მეფე თეიმურაზ, ფრიად განათლებული და რიტორ-პიიტიკოსი. აი, ეს ქებული ყლორტი ბაგრატიონთა გვარისა უნდა იქნეს ჩვენი ჯარების მთავარსარდალი; იგი უნდა წარუძღვეს ჩვენს ძლევამოსილ ლაშქარს მარაბდისა-

კენ და, ვით შევარდენმა, განფანტოს ტრედის გუნდივით ერანიდან მოსულნი მუსლიმთა ბრბონი. მრჩეველებადაც აირჩიოს მეფემ, ვინცა მას სწადდეს.

შადიმანს კვერი დაუკრეს ფარსადან ციციშვილმა, ქაიხოსრო ჯავახიშვილმა და თვით ზურაბ ერისთავმაც. გველის ენამ დაგესლა მწვავედ დიდი მოურავის გული. ის აშკარად მზერდა, რომ მისდამი პირადი მტრობა დაღუპავდა საქმეს, დიდ საფრთხეში აგდებდა მთელს ივერიას. მას არ შეეძლო ასეთ დროს გაჩუმება. იგი წამოდგა დინჯად, გადახედა კრებას არწივის თვალებით და დაიწყო:

— ბატონებო! გვირგვინოსანი მეფე ივერიისა, სვეტიცხოველი თეიმურაზ, უზენაესი მბრძანებელია სამხედრო და სამოქალაქო ძალთა და ხელისუფალთა. და მეც ქედს ვიხრი მეფის წინაშე, ვითარცა მისი ერთი ხელქვეითთაგანი. ხოლო ნუ გავიწყდებათ, რომ შემოსეული მტერი მეტად ძლიერია, ფრიად მომზადებული და ამიტომაც გვმართებს დიდი სიფრთხილე. ამ პაპანება სიცხეში ჩვენი ჯარების ჩაყენება იქ, დაცემულ ალაგებში, შუძლებელია, საშინელი სიცხე დათენთავს ჩვენს საუკეთესო ლაშქარს, მთის არწივებსა, ქართლ-კახეთის შვილებს, დაუკარგავს ძალსა და მხნეობას, მაშინ როდესაც სიცხეს ჩვეული სპარსნი მედგრად იბრძოლებენ. ამას დაუმატეთ კიდევ ჩვენი ჯარის სიმცირე და მტრის ლაშქრის სიმრავლე. ისინი ოთხჯერ მეტი არიან ჩვენზე და გაშლილ ვაკეში მათზე თავდასხმა უაზრობაა, ეს წინასწარ ომის წაგება და ქვეყნის დაღუპვაა! იქ მტრის ჯარები ადვილად გაშლიან ფრთებს, შეიმწყვდევენ შუაში ჩვენს მცირე რაზმებს და მოაშთობენ სიმრავლით. ეჭვს გარეშეა, ადვილად დაგვამარცხებენ... მეფევ და დიდებულნო! ნუ ვიქმთ ასეთ საქმეს! ნუ დავღუპავთ ჩვენს მხედრობასა და მასთან ერთად ქართლსა და კახეთს! მუხლმოყრით გენუკვით მიიღოთ ჩემი რჩევა: გავმაგრდეთ აქ, კოჯორსა და ტაბახმელაში, ამ გრილ ალაგებში, ვეცადოთ და შემოვიტყუოთ მტერი ამ ვიწროებში და მაშინ რაც მოხდება, მე ვაგებ პასუხს. ღვთითა და თქვენის შეწევნით მათ დავმართებთ უარეს საქმეს, ვინემ შეემთხვა სათარხანს ტაშისკართან!

— ხედავთ, ბატონებო რას გვირჩევს ჩვენი ფრთხილი ჭირისუფალი, — წამოიძახა ზურაბმა და დააბრიალა თვალები, — როდის აქეთ შეგიკრთა გული, სპასპეტო და დიდო მოურავო? განა ასე მალე მოხუცდი? ჩვენ არ გვეშინის მტრის სიმრავლის. თავს მოვევლებით შევარდენივით და ავკაფავთ მხალივით... ნუთუ არ უწყი, სიძევ, რომ ერთი შევარდნის წამოქროლვით იღუპება ასი და ორასი მტრედი?! მაშ რაღას ვაყოვნებთ, გავსწიოთ მარაბდისაკენ! ჩავუხტეთ მტერსა და დავცეთ თავსა ზედა ღვთის რისხვა და შიშის ზარი!

— წავიდეთ! გავსწიოთ! გავსწიოთ! გაგვიძეხ წინ, ჩვენო მთავარსარდალო, დიდებულო მეფევ თეიმურაზ, ვით დიდი სარდალი ალექსანდრე მაკედონელი, ბუცეფალსა ზედა მჯდარი, დამპყრობელი სრულიად აზიისა! — დაიღრიალეს დიდმა თავადებმა — სააკაძის მტრებმა — და შემოერტყნენ მეფეს სამეფო დროშით.

დამთავრდა კრება. გადაწყდა მტერზე მიხტომა. ეს იყო სიგიჟე, ქვეყნის ღალატი, ხარობდნენ უგნური და ქვეყნის ორგული მტრები მოურავისა, სწუხდნენ გონიერნი და ქვეყნის ერთგულნი. ბორგავდა მწარედ მშრომელი ხალხის მოჭირნახულე გიორგი სააკაძე.

დაიძრა დაბლობისაკენ ქართველი ჯარი. მას მიჰყვებოდა გულის კვნესით დიდი მოურავი... იგი წინასწარ გრძნობდა ივერთა ჯარის დამარცხებას...

იალღუჯის მთებიდან წითლად ამოცურდა დიდი მნათობი და მოჰფინა მიდამოს მხურვალე სხივები. დაგუბებული ჰაერი სულს უხუთავდა ადამიანსა, ხრამ-ალგეთის ველზე თანდათან მატულობდა სიცხის ბუღი.

ამ დროს გამოჩნდა ქართველი ჯარი. ის სამხედრო სიმღერით მიდიოდა მტრის ბანაკზე დასაცემად. მოწინავე ჯარის წინ მიაქროლებდა მერანს ორი განთქმული სარდალი: დავით ჯანდიერი და აღათანგ ხერხეულიძე. ესენი არ შეუშინდნენ მტრის თოფებსა და ზარბაზნებს, თამამად მიიტანეს იერიში და მიადგნენ ირანელთა ჯებირებს. მისცეს - ცეცხლი; მოწინავე ჯარის სარდლები გმირულად გადაეშვნენ ჯები-

რებზე ბაბვილით ხელში და ეძგერენ მტერს, მათ მიყვნენ მამაცი რაზმები და მშიერი ლომივით დაერივნენ ირანის ლაშქარს.

მტერი არ შეუშინდა ასეთ გაბედულ იერიშს და თამამად დახვდა ქართველთ. შეიქნა ხელჩართული ბრძოლა. მზის სხივებზე ლაპლაპებდა სისხლიანი შუბი და ხანჯალი, ისმოდა მებრძოლთ ყიჟინა და იარაღის ჩახაჩუხი, ჰაერში ტრიალებდა მძიმედ დაჭრილთა საზარო კვნესა და გმინვა. მატულობდა სიცხე, ბრძოლის ველზე ჩამოწვა მხურვალე ბუღი; შეგუბდა სული, საშინელმა პაპანებამ მოსხლიტა ქართველი ჯარი, მან დაკარგა მხნეობა, ამას ხელს უწყობდა მტრის სიმრავლე. ირანელნი მედგრად ებრძოდნენ ქართველთ და აწვებოდნენ ყოველი მხრიდან. გალაღებულმა მტრებმა ბოლო მოუღო ივერთა მოწინავე ჯარის სარდლებს და მრავალ ქებულ ვაჟკაცს. გმირულად დაიხოცნენ დავით ჯანდიერი და აღათანგ ხერხეულიძე. ამ ამბავმა შეაკრთო ჩვენი მოთენთილი ჯარი, მან თითქმის იბრუნა პირი და მზად იყო გასაქცევად, მაგრამ ამ დროს მოხდა ერთი რამ: უცებ შეიქნა დიდი არევ-დარევა მტრის რაზმებში: ვიღაც ბუმბერაზის აღნაგობის მხედარი მუზარადმოხდილი დააქროლებდა შავ მერანს ირანის ჯარებში, მედგრად იქნევდა ხმალს; თავისი მჭექარე ხმით და მძლავრი მარჯვენით ყველგან შეჰქონდა შიში და სიკვდილი.

ეს იყო გიორგი საკაძე. მის დანახვაზე გარბოდნენ შეშინებული მტრები. რა შეატყო მოურავმა, რომ ქართველი ჯარი განსაცდელშია და საქმე იღუპება, ველარ მოუთმინა გულმა და გასწირა თავი. მან მოიხსნა ჩაფხუტ-მუზარადი და პირახდილი შეიჭრა მცირე გუნდით მტრის რაზმებში. მძლავრი მკლავით და მგრგვინავი ხმით ყველგან შეიტანა შიში და რისხვა, დაუხოცა მტერს საუკეთესო სარდლები. მტრის ჯარებმა იცვნეს იგი.

— „ჰალაჰ! ბეიუკ მოურავ! შაითან! შაითან! თავს ვუშველოთ!

ეს სიტყვები ელვის სისწრაფით მოედო მტრის ლაშქარს და დასცა შიშის ზარი. გმირის ასეთმა სიმამაცემ ააფრთო-

ანა ქართველი ჯარი; ძნელად შეუტია ძან გალალებულ ირანელთ. დიდ მოურავს კი ცხარე ბრძოლაში მხარდამხარ მისდევდნენ თავისი რაზმებით ზურაბ, ლომი ჩრდილელი, ცარო, ორიე პაპუნა, ზაზა, გოგოთურ, ბერდია და სხვანი.

ველარ გაუძლო მტერმა საკაძის და მისი ამხანაგების თავგანწირულ კვეთებას და იბრუნა პირი გასაქცევად. ყველაზე წინ გარბოდა სპარსთა ცხენოსანი ჯარი, მას დაედევნენ ქვეითნიც. მათზე არ მოქმედებდა სარდლების ბრძანება, ხვეწნა, მუქარა. არეულად გარბოდა შიშით პყრობილი ირანის ლაშქარი.

ამასობაში დალამდა კიდეც ეს არ იყო მტრის სრული დამარცხება. დამარცხდა მხოლოდ მტრის ერთი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილს ისევ ხელთ შერჩა მთელი ბანაკი და სიმაგრენი.

დილით ადრე ქართველმა ჯარმა მედგრად შეუტია ირანელთ. წინა დღის გამარჯვებით გალალებული ივერნი თამამად აწვებოდნენ მტრის რაზმებს. მათ ველარ უძლებდნენ ერთხელვე შეშინებული მტრები, რომელთაც ყველგან ელანდებოდა ჩაფხუტმოხდილი დიდი მოურავი. მედგარი ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ დამარცხდნენ სპარსნი და იწყეს გაქცევა. მთელი მათი ქონება და ბანაკი დარჩათ ქართველებს. ივერთა გმირნი მოურავის მეთაურობით დაედევნენ მტერს და გაავლეს მუსრი. ზარდაცემული ირანელნი გზა-გზა ყრიდნენ თავის იარაღს, თოფებს, ზარბაზნებს, სურსათს, ტყვია-წამალს და სწრაფად გარბოდნენ. ყველაზე წინ მიაქროლებდა არაბულ მერანს მათი სპასპეტი ყორჩიბაში.

დამარცხდა მარაბდის ველზე ურიცხვი მტერი. სასწაულებრივ გაიმარჯა ივერთა ჯარმა, ეს კი მოხდა უმეტესად საკაძის გმირული თავგანწირვით.

ჩამოწვა შუადღის ბუღი და პაპანება. გახურებულ თორნეს დაემსგავსა მარაბდის ველი. უზომო სიცხით დიდად შეწუხებული ქართველნი წვებოდნენ ზოგი წყალში, ზოგიც ხეებქვეშ ბალებში; ბევრიც აბინავებდა ალაფს. ამ სახით

ივერთა ჯარი იყო გაბნეული 10 — 15 ოთხკუთხი ეჯის არეზე.

ხოლო ერთ ალაგას შეჯგუფებულიყვნენ მთიელთ რაზმები და ჰქონდათ რაღაც ჩოჩქოლი. მათი მამაცი სარდალი ზურაბ ერისთავი დაჭრილიყო ბრძოლაში და გარს ეხვივნენ ერთგული ყმანი.

ამ დროს მარაბდის სერის წვეროზე გამოჩნდა რაღაც შავი ღრუბელი. იგი მოძრაობდა და სწრაფად ეშვებოდა ძირს. გაოცებულმა ქართველებმა ამ ღრუბელში იცვნეს მტრის ახალი ლაშქარი.

ის მედგრად მოდიოდა ზურაბ ერისთავის ჯარზე დასაცემად. წინდახედულმა შაჰაბაზმა თავის პირველ ლაშქარს დაადევნა მეორე ჯარი, 40 ათასი კაცისაგან შემდგარი, განთქმული სარდლების ხოსრო მირზას, შაბადახანის და ამირგურიხანის მეთაურობით. ეს ახალი ჯარი მხნედ ეკვეთა ზურაბის რაზმებს და ირგვლივ შემოერტყა. ირანელნი ეცნენ ბრძოლით დაქანცულ და სიცხით მოთენთილ ერთ მუჭა ქართველთ. შეიქნა ხელჩართული ბრძოლა. როგორც ლომი თავის ბუნაგში, ისე გამწარებით იბრძოდა დაჭრილი ზურაბ. აწყობდა რაზმებს და მუსრავდა მტერს.

რა დაინახეს ივერთ მეომრებმა სპარსთა ასეთი თავდასხმა, მაშინვე იწყეს დენა ყოველი მხრიდან. მათ მედგრად შეუტიეს ერანელთ, მაგრამ მტერი ფრიად ძლიერი იყო თავისი სიმრავლით. ზურაბს მეტად გაუჭირდა საქმე. იგი ითხოვდა შველას. უამრავი მტრის ასე მოულოდნელმა თავდასხმამ თავზარი დასცა თეიმურაზ მეფეს.

დაირღვა ბრძოლის გეგმა, აღარ იყო მოთავე, მთავარსარდალი. ყველა მოქმედებდა ისე, როგორც სწადდა. საშინელ ხიფათში ჩავარდა ივერთა ჯარი... დაეცა მტრის შუაგულ რაზმებში სისხლის დენით გულწასული ზურაბ ერისთავი. იგი ძლივს გაათრიეს სამშვიდობოზე თავგანწირულმა მთიელებმა. უგეგმოდ მებრძოლ ქართველ ჯარს დაებნა დავთარი. შედრკა იგი და იწყო უკან დახევა. კიდევ ნახევარი საათი — და უეჭვოდ დამარცხდებოდა ჩვენი ჯარი, რომ ამ დროს არ მოვლენოდა მხსნელი.

ამ საერთო ყიჟინში გაისმა მოურავის მჭექარე ხმა. სააკაძე და ბარათა ბარათაშვილი თავისი რაზმებით დაედევნენ ყორჩიბაშს და ისიც იყო დაბრუნდნენ უკან სამხედრო ალაფით სავსენი. ამათ ახლდა სამცხედან ახლად ჩამოსული კარგი ვაჟკაცი მანუჩარ ათაბეგი სამასი კაცით. განახლდა ბრძოლა. ქართველებმა მოიცეს გული დიდ მოურავის დინახვაზე. ისინი იქცნენ გმირებად და საარაკო სიმამაცით შეუტიეს გალაღებულ მტერს. სააკაძის იერიშებმა და მეხივით მჭექარე ხმამ შიშის ზარი დასცა მტრის მხედრობას. შედრკა მტერი. მან დაკარგა სიმამაცე. კიდევ ერთიღა ჟამიც ასეთი ბრძოლა — და უსათუოდ დამარცხდებოდნენ ირანელნი, მაგრამ ბედად უსწრო ღამემ და გაჰყარა მებრძოლნი.

საბედისწერო შეიქნა ივერთათვის ეს ბნელი ღამე. მათ შემოერტყა ზურგიდან ყორჩიბაში თავისი ლაშქრით. ამას გაეგო მაშველი ჯარის მოსვლა და მაშინვე დაებრუნებინა თავისი დამარცხებული ლაშქარი, უკვე დასვენებული და რაზმებად დაწყობილი. აუწერელი ელდა დასცა ქართველთ ამ ამბავმა. ახლა კი მიხვდნენ სააკაძის მტრები თავის შეცდომას, მაგრამ გვიანღა იყო. ქართლ-კახეთის მთელი მხედრობა და მასთან მთელი ივერი ხდებოდა მათი სიბეცის, პირადი შურისა და უნიჭობის მსხვერპლი... ახლა-კი გაცლა სჯობდა ბევრად, მაგრამ წასვლა შეუძლებელი იყო, რადგან რიცხვით ექვსჯერ მეტი მტერი შემოხვეოდათ რკინის რგოლივით. მხოლოდ ერთი-ღა შთენოდათ ქართველთ: ან ტყვედ ჩავარდნა, ან სრული გაჟლეტა...

დაუვიწყარია ეს ღამე ქართველი ერის ცხოვრებაში... აქ იფეთქა საოცარი მძლეობით ქართველთ გმირობამ და სულის სიდიადემ. სიკვდილის ლანდმა საარაკო გმირად აქცია ივერთა ჯარი... შეითქვნენ ვაჟკაცნი. მათ შეფიცეს ერთიმეორეს, რომ გაწყდებიან მთლიანად, ხოლო მტერს არ აჩვენებენ ზურგს, არ დანებდებიან ლაჩრულად. ასეთი გმირობის მაგალითს აძლევდნენ ჯარს სულიერი მამანიც-კი, მაგ. რუისის მიტროპოლიტი დომენტი, ფრიად განათლებული პირი, მარტყოფის მიტროპოლიტი, ხორჭაშნელი, ალავერდელი და სხვანი. ეს მღვდელმთავრები მახვილით ხელში ემზა-

დებოდნენ მტერთან საომრად, ქრისტეს სჯულის დასაცავად.

მოეწყო სამხედრო თათბირი; დაესწრნენ სარდლები და ეპისკოპოსნი. ყველანი დუმდნენ და მისჩერებოდნენ დიდ მოურავს. იგი წამოდგა, უკმაყოფილოდ გადახედა თავის პირად მტრებს და დაიწყო დინჯად:

— ხომ ხედავთ, ბატონებო, რაოდენ მართალი ვიყავ, ოდეს გირჩევდით მტრის შემოტყუებას კოჯორსა და ტაბახმელას ზეგნებში, სადაც ასერიგად ვიყავით გამაგრებულნი და სადაც ადვილად დავამარცხებდით ამაზე ბევრად მეტ მტერსაც! თქვენ არ მიიღეთ ჩემი კეთილი რჩევა და აჰა ნაყოფიც!

ამ საშინელ მარცხს ვგრძნობდი! და ახლა კიდევ, სიცხით დათენთილ და ბრძოლით დაჭრილ ღაქანცულ ქართველ მხედრობას რკინის რკალივით შემოგვერტყა ირგვლივ ექვსჯერ მეტი მტერი და გვემუქრება სრულ გაჟლეტას. სხვა გზა არ არის: ან სამარცხვინო ტყვეობა, ან ნამუსიანი სიკვდილი... და მწამს, რომ ქართველი მხედრობა მეორეს აირჩევს. დიახ, ჩვენ გავწყდებით მთლიანად, შევაკვდებით მტერს, ხოლო ტყვედ არ ჩაუვარდებით ხელში. ასეთია ძველადვე ქართველი ლაშქრის წესი. მაშ განთიადის ჟამს ვეკვეთოთ მტერს თავგანწირვით, ვიბრძოლოთ გმირულად და ძვირად დავუსვათ ვერაგ სპარსებს ჩვენი სიკვდილი!

დაამთავრა მოურავმა და კვლავ მრისხანედ გადახედა თავის მტრებს. იმათ ჩაექინდრათ თავი და არ იღებდნენ ხმას.

ერთხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ეს დუმილი დაარღვია რუისის მიტროპოლიტის დომენტის ხმამ:

— ქრისტეს მიერ სულიერო შვილნო, ივერიის ქებულო მეფეო, დიდებულო და სახელოვანო სარდალნო! არა ერთგზით ჩავარდნილა ასეთ მძიმე განსაცდელში ქართველი მხედრობა შემოსეულ მტერთა მიერ, ხოლო ძალითა უფლისათა გამოსულა ცოცხალი და გამარჯვებული ქართველი ერი ჯვაროსანი, მურდალ სარკინოზთა შორის განგებით შუაგულ მოქცეული.

ის ობოლი ვაზია, მას ყურას აკლებს საშინელი ბორიო-გრიგალი, რომელიც ძირფესვიანად გლეჯს უზარმაზარ მუხებს... აწ იგივე იქნების ახლაც. საქართველოს მფარველი წმ. გიორგია, ჩვენი შემწე და ღვთით გადავრჩებით უვნებელნი ამ განწირვის ჟამსა. და აჰა, ჩვენც, სულიერი მამანი მიტროპოლიტნი, ალავერდის, მარტყოფისა და რუისის ქრისტეს ჯვარის ნაცვლად ხელთ ვიპყრობთ მახვილსა, რათა თქვენთან ერთად ვებრძოდეთ ჩვენს სამშობლოში შემოჭრილ მტერთა ქრისტეანეთა, ხოლო მანამდე ვიღებთ ბარძიმს და მოგმართავთ ყველას, სულიერო შვილნო, რათა მიიღოთ წმ. ზიარება ხელითა ჩვენითა, რამეთუ არ ვუწყით, თუ ვინ დარჩების ჩვენს შორის კვალად ცოცხალი"...

ამ სიტყვებთან ერთად წამოდგა ახოვანი მოძღვარი, მოიძრო შავი კოთხო და აღახვნა თვალნი ზეცად. მისი ბაგენი ღალღებდნენ ლოცვას. მის გვერდით დადგნენ ბარძიმით ხელში მიტროპოლიტნი მარტყოფ-ალავერდისა და რამდენიმე არქიმანდრიტი თავღიად. გაისმა მწყობრი სასულიერო გალობა. მათ წინაშე კი მუხლმოყრითა და ქუდმოხდით იდგნენ მეფე, სარდლები და მხედრობა. ეს იყო დიდებული წამი. სულიერ მამათა ღვთისადმი ღაღადს უერთდებოდა მათ თვალთაგან უხვად ნადენი მხურვალე ცრემლები. გათავდა ლოცვა. წამოდგნენ ყველანი. სარდლები და მხედრები მწყობრად მიდიოდნენ სულიერ მამებთან და იღებდნენ ზიარებას, შემდეგ ეხვეოდნენ ერთმანეთს და ეთხოვებოდნენ თითქო სამუდამოდ. ყველას სახეზე ეწერა გმირული თავგანწირვა.

დაბერა ღილის ნიავმა და ააშრიალა ფოთლები. აკყიპინდა ზურნა ირანელთ ბანაკში. ახმაურდა ბუკ-ნაფირ-ნაღარა ივერთა შორის. დაიგრიალა თოფმა, იწყო საზარო ლრიალი ჯარბაზნის მშიერმა ხახამ. აიშალნენ მწყობრად რაზმები. აპრიალდნენ შუბნი, იელვა ხმალმა.

სიმრავლით გათამამებული მტერი და სიმცირით თავგანწირული ქართველნი დაეტაკნენ ერთიმეორეს სამკვდროსასიცოცხლოდ. გაჩაღდა საშინელი ბრძოლა. სისხლის ღვარო-

ქაფს მიჰქონდა კაცი და ცხენი. მძიმედ დაჭრილის კვნესა და მომაკვდავის მწარე გმინვა სწვდებოდა ზეცას...

ზეცა კი დუმდა იმ დროს. იგი გულცივად დაჰყურებდა მარაბდის სისხლიან ველს თავის ფირუზა სახით... ამ დროს მთების წვეროდან უზარმაზარ წითელ ბურთივით ამოგორდა დიდი მნათობი და დააშტერდა ბრძოლის ველს თავის სისხლიანი თვალებით.

აქ იღვრებოდა კაცის სისხლი... აქ ადამიანი ჰკლავდა ადამიანს...

გაშუადღევდა. გაჭირდა საქმე. ერთგვარი მხნეობით იბრძოდა ორივე მხარე.

ექვსჯერ უმრავლესი მტერი ყოველი მხრიდან აწვებოდა ქართველთ. სიცხე მატულობდა. იგი უხუთავდა სულს და ართმევდა ძალას დაქანცულ ივერთ. სიცხეს ჩვეული ირანელნი-კი მედგრად იბრძოდნენ. მოურავი დაჰქროდა თავისი რაშით ქართველთ გუნდებში და ამხნევებდა მათ, თანაც მიჰქონდა იერიში მტრის რაზმებზე, შეჰქონდა შიში და სიკვდილი. მასვე ბაძავდნენ სხვა გმირებიც, მაგრამ მტერი იყო ფრიად მრავალი, ქართველნი კი მეტად მცირენი...

ამ საშინელ ბრძოლაში გაწყდნენ ცხრა ძმა ხერხეულიძენი, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი. აქვე მოჰკლეს სახელოვანი ვაჟკაცი ბაადურ ციციშვილი, მარტყოფის მიტროპოლიტი, ხორჭაშნელი, ათასობით გაწყდა გლეხობა. განახევრდა ივერთა ჯარი. გაწყდა აგრეთვე 18 ათასი ირანელი, მაგრამ ბრძოლას არ უჩანდა ბოლო. სააკაძეს მოუკლეს ცხენი და შემოერტყნენ მოსაკლავად. სწორედ ამ დროს მისი მხსნელი შეიქნა მთის არწივი ლომი ჩრდილელი. თავგანწირული ძგერებით ორივემ გაჟლიტეს თავდამსხმელნი, ამავე დროს ლომიმ მიართვა თავისი ცხენი მოურავს, თვითონ კი ქვეითად განაგრძო მედგარი ბრძოლა. სააკაძე მისწვდა ცხენის მკვლელს, შუაზე გააპო ხმლით, მისი ცხენი კი გადასცა ლომის და მით გადაუხადა სამაგიერო.

დიდად გაჭირდა საქმე, შედრკნენ ივერნი, პაპანება სიცხე უხუთავდა მათ სულს და უკვეთდა მუხლებს.

მათ იბრუნეს პირი, სწადდათ გასვლა მტრის რკინის სალ-

ტედან, მაგრამ გასავალი გზა არსად იყო. მაშინ მოურავის ბრძანებით ეძგერნენ მტრის უფრო სუსტ მხარეს თავის რაზმებით საკაძის ვაჟი ავთანდილი და ცოლისძმა დათუნა ერისთავი. მედგარი ბრძოლით გააპეს მტერი და ამრიგად მისცეს ქართველ ჯარს გასავალი გზა. ივერთ მოითქვეს სული და განაგრძეს ისევ მედგარი ბრძოლა.

ამ დროს გავარდა საბედისწერო ხმა: მოჰკლეს თეიმურაზ მეფეო. ეს ხმა ელვის სისწრაფით მოედო ქართველ რაზმებს და დასცა სულით. მათ გაუწყვიტეს და მძიმედ დაუჭრეს საუკეთესო სარდლები, ახლა მოუკლეს მეფეც. შიშმა აიტანა დაჭრილ-დაქანცული და განახევრებული ქართველი ჯარი. მან ვეღარ შესძლო მეტი და იბრუნა პირი გასაქცევად. მოეკლათ თურმე თეიმურაზ მუხრან-ბატონი. ბევრს ეცადა მოურავი შეეჩერებინა ივერთა ჯარი, მაგრამ ვერას გახდა: მათზე არ სჭრიდა არც თხოვნა, არც მუდარა. მაშინ ხალხის გადმოცემით, გმირმა საკაძემ ჩაასო თურმე მიწაში თავის ხმალი და გადატეხა შუაზე ამ სიტყვებით: ასე მოეღოს ბოლო მათ, ვისი მიზეზითაც დღეს საქართველო იღუპებაო!

ასე დასრულდა ეს უმაგალითო ბრძოლა მარაბდის ველზე.

XXIX. მფრინავი რაზმები

გამარჯვებული ირანელები, რიცხვით ასი ათასამდე, შევიდნენ ქართლში. თბილისში მათ მეფედ დასვეს გაქცეული სვიმონი და იწყეს ციხე-სიმაგრეთა ხელში ჩაგდება. თეიმურაზ მეფე ძველებურად გავარდა იმერეთს. დარჩა ისევ უპატრონოდ მთელი ივერი. ქართველი ჯარი აღარ იყო, რადგან ოცი ათასიდან ცხრა ათასი გაწყდა ბრძოლის ველზე, დანარჩენი კი ზოგი მძიმედ დაიჭრა და წამლობდნენ შინ, ზოგიც თავის ოჯახს მიეპატრონა.

მტრის შემოსევით შეშინებული ხალხი ეცა სახიზნ ალაგებს, დიდმა თავადებმა კი ჩვეულებრივ განუცხადეს მტერს მორჩილება, იწყეს მათ სარდლებთან მოყვრობა და მეგობრობა, ამათ დაავიწყდათ ერი და სამშობლო. ქვეყნის პირველი მოღალატე შეიქნა თვით ზურაბ ერისთავი: იგი ხოსრო მირზას შემწეობით დაუახლოვდა ყორჩიბაშს. სააკაძის წყალობით ზურაბ ადრევე შეიქნა თეიმურაზ მეფის სიძე: მეფემ მიათხოვა მას თავისი ასული დარეჯანი. მიუხედავად ამისა, ამ უნდო ადამიანმა ზურგი აქცია სიმამრს და იწყო ისევ შაჰაბაზის ერთგულება. ამას ითხოვდა მისი პირადი ინტერესი.

მრისხანე შაჰმა გასცა ბრძანება მოესრათ ერთიან მთელი ივერი. ეს ბედშავი ქვეყანა უარეს ხიფათში ჩავარდა. მას არ ჰყავდა ჯარი, სარდლები, მეთაური. საუკეთესო ვაჟკაცნი და ერის შვილები გაწყდნენ ბრძოლის ველზე. მეფე გაიქცა

იმერეთს. გამარჯვებული მტერი შევიდა ქართლში და იწყო თარეში. ირანელნი ფხიზლად და ხერხიანად მოქმედებდნენ. უმწეოდ დარჩენილი ხალხის ერთადერთი ნუგეში იყო მთა. აჰა, იწყეს მთისკენ დენა სახიზნად ცოლშვილით და სარჩო-ქონებით! ქართლ-კახეთს ახლა უარესი რისხვა ეოელოდა: ის წითლად უნდა შეღებულიყო, მტერს უნდა გაეჟლიტა მთელი ივერი.

ამ შავბნელ დროს ქართლში იყო ერთი კაცი, რომელიც არ შეუშინდა მტრის სიმრავლეს, არ დამორჩილდა მას, არ გააგდო ხელიდან მახვილი. ეს დიადი გმირი შეიქნა განწირული ხალხის ქომაგი. მან შეაგროვა პირველ ხანებში 60-მდე საუკეთესო მამაცი და ამ მცირე რაზმით შეეჭიდა ირანის უზარმაზარ ლაშქარს. მან გაუმართა მტერს სათარეშო ბრძოლა. სარგებლობდა მარჯვე შემთხვევებით, ვიწრო ხევებით, ბნელი ღამეებით, თავგანწირვით ესხმოდა სხვადასხვა ალაგს დაბანაკებულ მტერს და ადენდა მუსრს, ართმევდა სურსათსა და იარაღს.

მოურავმა მიმართა თავის ძმად ფიცულთ, ხალხის წიაღიდან გამოსულ მამაცებს: ორივ პაპუნას, ლომის და გელას.

„აბა ძმებო! ხომ ხედავთ, რა ხდება! ჩემდამი პირადი მტრობით და მეფე-დიდებულთა უგნურობით დღეს იღუპება ბედშავი საქართველო! ზურგიდან გვერეკება და გააფთრებით მოგვდევს უამრავი მტერი... აბა ვუშველოთ ხალხს! დაეფაცურდეთ! მივცეთ გახიზვნის და სარჩო-ქონების გადამალვის საშუალება! გაფრინდით სწრაფად! აირჩიეთ გამოცდილ მხედრებში ხელდახელ საუკეთესო მებრძოლნი, ასამდე კაცი, სულ ცხენოსნები. ამ მცირე რაზმით ახლავე უნდა დავეცეთ მტრის მოწინავე ჯარს და შევაფერხოთ მათი სვლა სათარეშო ბრძოლით. ამავე დროს მივიღოთ ზომები და შევკრიბოთ ათასამდე მაინც საუკეთესო ვაჟკაცნი, ერთი რომ ათსა და ოცს სჯობდეს, დავყოთ ისინი მცირე გუნდებად, შევქმნათ მფრინავი რაზმები, მოულოდნელი თავდასხმით სიცოცხლე გავუმწაროთ შემოსეულ მტერს და შევზღუდოთ მისი თარეში... აბა, ჩემო შევარდნებო, გაფრინდით!

დრო აღარ ითმენს. ხომ იცით, რა ბრძანა დიდმა შოთამ: „დიდსა რას ვაქნევთ ლაშქარსა, კარგი გვინდა და ცოტანი“, აგრეთვე: „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია“... მაშ ასე, გასწით! დღეს უჭირს ჩვენს უბედურ სამშობლოს და დღეს გამოჩნდება, ვის უფრო გვიყვარს, ძმანო მამული...

და მართლაც გაფრინდნენ მოურავის შევარდნები და მეორე დღესვე საღამო ჟამს მოჰგვარეს სამოცამდე მხედარი, ფიცხნი, ქარივით სწრაფნი, ომში უდრეკნი და ლომივით ძებრძოლნი.

მოურავი ამ მცირე რაზმით, 60 კაცით, უმკლავდებოდა მტრის ლეგიონებს. ერთი მუჭა რაზმით დიდი მოურავი ელვის სისწრაფით ეცემოდა თავზე შუაგულ ქართლში უამრავ მტერს და ადენდა მუსრს. მან მრავალ ალაგას მისცა მტრის მოწინავე რაზმებს დიდი ზიანი, მაგ. ტფილისთან, ავჭალასთან, წიწამურთან, ღართისკართან, არაგვზე და სხვა. საკაძე მამაცი რაზმით შევარდენივით ესხმოდა მტერს ყველგან და ადენდა სისხლის ღვართქაფს. ეს იყო რაღაც სიგიჟე, ზეშთაგონებით ნამოქმედარი. მოურავის ასეთმა უმაგალითო თარეშმა შეაფრთხო ირანელნი და ჩააგდო საგონებელში. პირიქით, საკაძის ასეთმა გმირობამ გაამხნევა ივერნი. იწყეს მასთან დენა საუკეთესო ვაჟკაცებმა. მალე შეგროვდა რამდენიმე ასეული.

საკაძის ძალამ ერთი-ათად იმატა. ჩქარა დაბრუნდნენ მასთან თავისი რაზმებით მთისა და ბარის არწივნი: ლომი ჩრდილელი, გოგოთურ, ბერდია, გელა, პაპუნა ჩივაძე და პაპუნა ვაშაყაშვილი. თითო მათგანს მოჰყვა ომში გაწვრთნილი ას-ასი მამაცი, საუკეთესო ბედაურებზე მსხდომნი. ხოლო ცაროს რაზმი შედგებოდა განსაკუთრებით მთიელ და ბარელ ქალწულთაგან; ჯუბა-ჯავშან-მუზარადში ჩამსხდარნი და ლუშ ცხენებზე მოჯირითენი, თოფებით, გრძელი შუბებით და ბასრი კალდიმით ჭურვილნი, ეს ივერთა ასულნი გაგონებდნენ უძველესი დროის მამაც ამორძალთ.

ამრიგად გმირს შეუგროვდა ხუთიოდ ღღეში 600-მდე მებრძოლი. ეს მცირე მხედრობა მან დაჰყო 40-50 მეომართაგან შემდგარ წვრილ გუნდებად, უწოდა მათ მფრინავი

რაზმები და წინასწარ დასახული გეგმით სხვადასხვა მხრივ მიუსია გალაგებულ მტერს უეცარ თავდასაცემად.

— „რა გაჭირდის, უკეთ შევძლი, ასე მქონდა ომის ჩვევა“... ათქმევინებს ამ სიტყვებს დიდ მოურავს არჩილ მეფე თავის პოემაში. და სწორედ სამშობლოს ასეთ საშინელ გასაჭირის დროს გიორგი სააკაძე თავისი მფრინავი რაზმებით ჩადიოდა უდიდეს საგმირო საქმეებს. დიღი მოურავის გეგმა-ხელმძღვანელობით ეს რაზმები ელვის სისწრაფით ესხმოდნენ რამდენიმე ალაგას დაბანაკებულ მტერს მოულოდნელად, ყოველ მხრიდან, უმთავრესად ბნელ ღამეში ან რიჟრაჟზე და აყენებდნენ დიდ ზიანს: ჟლეტდნენ, მუსრავდნენ, ართმევდნენ ტყვე ქართველთ, — ირანში გასაგზავნ ულამაზეს ქალ-ვაჟთ. იტაცებდნენ ბარგს, სურსათს, სამხედრო იარაღს, დატვირთულ ჯორ-აქლემებს და ოთხფეხ საქონელს. გონს მოსული ირანელნი გამოუდგებოდნენ ხოლმე ამ თავდამსხმელ გუნდებს, მაგრამ სწორედ ამ დროს მათ უკანიდან დაესხმებოდნენ ტყესა და ხევში ადრე ჩასაფრებული მფრინავი რაზმები და ადენდნენ მუსრს. გარბოდნენ ზარდაცემული ირანელნი და თან მიჰყვიროდნენ: „ჰალაჰ! გურჯი — გიაურ!.. ჰალაჰ! გურჯი — შაითან! შაითან!“

ბნელი უმთვარო ღამე. ღართისკართან ბანაკად იდგა სამი ათასი კაცისაგან შემდგარი მტრის ჯარი ქუჩუკ-ხანის სარდლობით. მათ ჩაეგდოთ ხელში ეს ვიწრო ყელი და შეეკრათ გასაქცევი გზა სოფლის ხალხისათვის. შუაღამეს კარგა გადასცილდა. ტკბილად ეძინა ირანელთ ჯარს. თვლემდნენ გუშაგნიც. ამ დროს ოთხივ მხრივ გაისმა საშინელი ყიჟინა და თოფის გრიალი. შიშის ზარი დაეცათ მძინარე ლაშქარს. წამოიშალნენ, ეცნენ იარაღს, ხოლო სიბნელეში ვერ არჩევდნენ მტერს და ჟლეტდნენ ერთმანეთს. ადრევე დამფრთხალთ ყველგან ელანდებოდათ „დელი მოურავი“ მისი მფრინავი რაზმებით. მართლაც, ეს გაბედული იერიში მიიტანა მტერზე განთიადის მოახლოების ჟამს გიორგი სააკაძემ რაზმებად დაყოფილი სამასი კაცით, გაანადგურა მტერი და გაუხსნა მთებში შესაფარებლად გზა უკან მომდევნო ხალხს.

სწორედ ამავე ღამეს ასეთივე გაბედული თავდასხმა მოხდა სოღანლუღთან, სადაც ითევდა ღამეს ორი ათას მებრძოლთაგან შემდგარი ირანის რაზმი, რომელსაც მიჰყავდა ირანში ქართლ-კახეთში ნაალაფარი ხუთასი ულამაზესი ქალ-ვაჟი. განთიადის ჟამს მძინარე მტერს თავს დაესხნენ სამივ მხრივ თავის მფრინავი რაზმებით ლომი ჩრდილელი, ცარო და პაპუნა ჩივაძე. ამათ დიდი ზიანი მიაყენეს მტერს, გამოსტაცეს ტყვეები და შეეფარნენ ტყეებს; დამარცხებული მტერი ხელცარიელი გამორბოდა თბილისისაკენ.

გარეჯის მონასტრის სიახლოვეს ბანაკად დგას მტრის რაზმი, ხუთასი კაცისაგან შემდგარი, სამასი აქლემით და ხუთასი ჯორ-სახედრით. რაზმს მოაქვს განჯის მხრიდან ჯარის სურსათი. დილის რიჟრაჟზე აიშალნენ და გაუდგნენ გზას თბილისისაკენ. დაუახლოვდნენ თუ არა ტყიან ალაგებს, ანაზდად ორი მხრივ მათ დაესხნენ თავს პაპუნა ჩივაძე და პაპუნა ვაშაყაშვილი ორასი მამაცით, დასცეს საშინელი ყიჟინა და დაახალეს თოფები. მივარდნენ მტერს ხმალ-დახმალ. ერთი საათის ხელჩართული ბრძოლით შემუსრეს მტრის რაზმი და გაიტაცეს მთლიანად სურსათით ტვირთული ოთხფეხნი.

ირანელნი ფრიად გააბრაზა დიდი მოურავის მფრინავი რაზმების მოქმედებამ. ყორჩიბაშმა გასცა ბრძანება ეაეულიტათ ეს „თავხედი“ და „აბეზარი“ რაზმები. ამ მიზნით მან გამოყო თავისი ლაშქრიდან საუკეთესო ცხენოსანი ჯარი, ხუთი ათასი კაცისაგან შემდგარი, გამბედავ ქუჩუკ-ხანის სარდლობით, დაყო ეს ჯარი დამსჯელ რაზმებად და მიუსია საკაძის მფრინავებს, თანაც აამოძრავა ჯაშუშნი. უხვი ჯილდოს დაპირებით, თუ კი ამცნევდნენ დიდი მოურავის მფრინავ რაზმელთა ბინებსა და სამალავ ალაგებს.

გასჭრა ყორჩიბაშის ხერხმა. ბევრს არამზადას გაეხსნა მადა ეშოვა ბლომად ოქრო, მოეპოვა შაჰის წყალობა. ამათ ურცხვად გასცეს ქვეყნის დამცველნი და მით საგრძნობი ზიანი მიაყენეს ივერთა მფრინავ რაზმებს, აგრეთვე ფრიად დააზარალეს მშვიდობიანი მცხოვრებნიც.

ქუჩუკ-ხანის დამსჯელი რაზმები, რიცხვით ათი, თითო ხუთასი კაცისაგან შემდგარი, არბევდნენ ქართლ-კახეთის დაბა-სოფლებს, ართმევდნენ გლეხობას ჭირნახულს, ოთხ-ფეხს, ფრინველს, მეტადრე კი ნადირობდნენ ლამაზ გოგო-ბიჭებზე, მიჰყავდათ ისინი ტყვედ ათობით და ასობით. იდგა სოფლად მშვიდობიანი ხალხის ტირილი და ვაება.

დამსჯელ რაზმთა უხვი ნადავლი გროვდებოდა სპარსთა მთავარ ბანაკებში, რომელთა შორის ერთი იყო გარე-კახეთ-ში (ლოჭინოს ველზე), მეორე კი სამუხრანოში (არაგვის პი-რას). ამასთან ერთად ირანელთ ხელთ ეკავათ მთელი ივე-რიის ციხე-სიმაგრენი.

მოურავი ადრევე მოელოდა ასეთ ფანდებს ყორჩიბაშის მხრივ. იგი სრულიად მომზადებული შეხვდა დამსჯელ რაზ-მებს. შეიქნა ერთგვარი შეჯიბრება და დავლური მოპირდა-პირეებს შორის. ისინი ნადირობდნენ ერთიმეორეზე და უზოგველად ჟლეტდნენ ერთმანეთს. აეშაგოა მეშეეობით ადრევე იგებდნენ ერთმანეთის ბინებს, სამალავ ალაგებს და სასვლელ გზებს, ესაფრებოდნენ ერთმანეთს, თავს ესხმოდ-ნენ მოულოდნელად და აყენებდნენ საგრძნობ ზიანს. ისინი არ ინდობდნენ ერთი მეორეს. იყო მათ შორის ბრძოლა მძაფრი, სასტიკი და ულმობელი. მტერს არ ნებდებოდნენ ცოცხალი, რადგან კარგად იცოდნენ, რაც მოელოდათ ტყვე-ობაში, ამიტომ ორივე მხარე იბრძოდა უზოგველად, სისხ-ლის უკანასკნელ წვეთამდე.

ჩამავალი მზის სხივები წითლად აფერადებს შორეულ მთებს. აგერ მტკვრის პირას პატარა მინდორზე დაბანაკებუ-ლა პაპუნა ჩივაძის მფრინავი რაზმი, ასოც კაცამდე. ამ მწვა-ნე მინდორს გარს აკრავს სქელი ტყე. რაზმი ფრიად ქმაყო-ფილია რომ ამ დილით კარგად ინადირა, გააბა მახეში მტრის ერთ-ერთი დამსჯელი რაზმი და მედგარი ბრძოლით მიაყე-ნა დიდი ზიანი, თანაც დააყრევინა უხვი ნადავლი და ტყვედ წამოყვანილი ორმოცამდე ქალ-ვაჟი, რომლებიც დაგზავნა კიდეც თავიანთ სოფლებში, აგრეთვე საიმედო ალაგას დაა-ბინავა ნადავლიც. შეღამდა კიდეც. მიდამომ მოისხა მწუხ-რის ნაბადი. აჰა, მთვარე ამოიწვერა მთის თხემიდან და

ვერცხლით აასევადა თალხით მოსილი ბუნება. გაიშალა მინდორზე ლურჯი სუფრები, უხვად დალაგდა ცივად მოხარშული თოხლის მსუქანი ნაჭრები, თუშური ყველი და თორნის პურები. მარდად მოუსხდნენ რაზმელნი და მადიანად შეექცნენ ვახშამს. მზად კაზმული, ხოლო მოსართავმოშვებული მათი ცხენები ფრუტუნით ძოვდნენ იქვე ბალახს. მოხსნეს თავი ორჩაფიან ტიკს. ღვინით სავსე პატარა ყანწები გადადიოდა ხელიდან ხელში.

ამ დროს გაისმა სამი მხრივ გუშაგთ განგაში. ამას მალე მოჰყვა თოფების სროლა.

მამაცი პაპუნა ჩივაძე ლომივით წამოვარდა ზეზე.

— აბა, მხნედ, ბიჭებო! გაგვცეს! მტერი მოგვადგა სამი მხრივ. სწრაფად, ზურგით მტკვრისაკენ... წაიყვათ ცხენები... ჩასაფრდით ტყეში... ძვირად დაუსვათ ჩვენი სიცოცხლე... არც ერთი ტყვედ! ან შეაკვდით მამაცად, ან სცადეთ თავის დაღწევა, ვისაც გწადიათ...

გაისმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად პაპუნას ბრძანება.

რაზმი აიშალა, ელვის სისწრაფით ამოძრავდა და შეასრულა მეთაურის ბრძანება.

ამ დროს სამივე მხრიდან გავარდა თოფები. მალე გაჩნდნენ მინდორზე ხმალამოწვდილი ირანელნი, ექვსას კაცამდე, თვით ქუჩუკ-ხანის სარდლობით.

— გზები შეკრულია, ვერ წახვალთ! დაგვრჩით, გურჯებო!

გაისმა ქუჩუკის მჭექარე ხმა.

პასუხად გავარდა მტკვრის მხრიდან სამოცამდე თოფი. ოცამდე მტერი გადმოვარდა ცხენებიდან მკვდარი და ზოგიც დაჭრილი.

ყიზილბაშებმა იკადრეს უკან დახევა და შეაფარეს თავი ტყეს.

— განა უნდა გავექცეთ ამ წუნკლებს! აბა ბიჭებო, მომყევით, ვისაც გული გერჩით! გავარდეთ სწრაფად და სამივე მხრივ შევუტიოთ მტერს. აქ ცხენებთან დარჩება თამაზი ოცი რაზმელით. თუ ნახოთ გვიჭირს და ჩვენი ხსნა ძნელიღაა, თავს უშველეთ! მიაშურეთ მტკვარს ცხენებით, გადით

სამშვიდობოს... ამცნეთ დიდ მოურავს ჩვენი დაღუპვა.
მამაცად, ძმებო! — მიმართა პაპუნამ დანარჩენთ: — თოფით, დამბაჩებით და შუბით ხელში ეძგერეთ მტერს! შემდეგ კი ხმალდახმალ... ჰკა მაგათ!

წამოიძახა პაპუნამ და გაქანდა თოფით ხელში. მას მიჰყვა ასამდე კაცი.

მტერმა იცოტავა, სწრაფად გამოვიდა საფრიდან და შემოერტყა ირგვლივ. ორივე მხარემ დაახალა ერთმანეთს თოფ-დამბაჩები. მალე შეექმნათ ხელჩართული ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოდ. ირანელნი ქვეითად იბრძოდნენ. მკვდრები და მძიმე დაჭრილნი პანტასავით ცვივოდნენ ძირს. ივერნი იბრძოდნენ გააფთრებით, მაგრამ ვერას აწყობდნენ ექვსჯერ მეტ მტერთან, რომელიც რკინის სალტესავით ეკვროდა ირგვლივ.

დაიხოცნენ საუკეთესო ბიჭები პაპუნას რაზმიდან. აჰა, დაეცა თვით მამაცი პაპუნა მძიმედ დაჭრილი!

— მოკვდი, გიაურო!

ამ სიტყვებით მიიჭრა პაპუნასთან ქუჩუკ-ხანი და დაახალა მომაკვდავს გულში დამბაჩა.

პაპუნას სიკვდილმა წელში გაწყვიტა განახევრებული ივერნი, იმავე დროს კი ფრიად გაამხნევა ყიზილბაშნი. ამათ დასცეს სიხარულის ყიჟინა და შემოერტყნენ ქართველთ უფრო ვიწროდ.

მამაცად იბრძოდნენ გამწარებული ივერნი, ხოლო არა ნაკლები სიმამაცით იბრძოდნენ ირანელნი, სიმრავლით გამხნევებულნი.

კიდევ ოციოდ წუთის ხელჩართული ბრძოლა — და ასევე ქართველ რაზმელმა ჰპოვა ვმირული სიკვდილი თავის მამაცი მეთაურის გვერდით. არც ერთი კი არ დანებდა მტერს ცოცხალი. მათ იმსხვერპლეს სამასამდე მტერი.

რა ნახა ადრევე თამაზმა, რომ საქმე სჭირს, პაპუნას რაზმელებით მოელის სრული დაღუპვა და შველა შეუძლებელია, ანიშნა თავის ოც რაზმელს ცხენზე შეჯდომა. იმათ სწრაფად გაირეკეს წინ მარქაფა ცხენები და შეცურდნენ მტკვარში. გვიან გაიგო ბრძოლაში გართულმა მტერმა, და-

ახალეს თოფები, ბოლო ტყვია არ მოხვედრია ორის მეტს, ჰათში ერთი დაიჭრა მძიმედ, მეორე კი მსუბუქად.

მალე ამცნეს დიდ მოურავს ეს მძიმე ამბავი, ეს დიდი ბარცხი. უზომო იყო მისი მწუხარება. ამიერით მას აღარ ჰყავდა თავისი საუკეთესო ძმადფიცული, თავისი მარჯვენა ხელი — მამაცი პაპუნა ჩივაძე.

უფრო გამძაფრდა სარდალი, შეუდგა ახალ ხერხებს, თუ როგორ მოესრა ან დაესუსტებინა მაინც შემოსეული მტრის ლაშქარი.

აგრეთვე დიდ ზიანს აყენებდა ირანელთ მთიელი გელა; მისი რაზმი მთლიანად შედგებოდა 150 ცხენოსან ქალწულთაგან, რომელნიც თვით ცარომ შეკრიბა ივერიის სხვადასხვა კუთხიდან. იმათ ემოსათ ვაჟურად მუქი სისვი ფერის შალის მოკლე ჯუბა-შარვალი, ზემოდან რკინის მჩატე ჯავშანი. ფეხზე კი ეცვათ მაღალყელიანი უქუსლო წაღები. რაზმელებს შეეკრიჭათ თმები და თავზე წაეკრათ იმავე შალის ჩაბალახნი. მათი საჭურველი იყო ბასრი ხმალი და ხანჯალი, თოფი, დამბაჩა და პაწია მორგვალო ფარი. ერქვათ ვაჟური სახელები. ეს ქალები იყვნენ საუკეთესო მხედარნი, ფრიად დახელოვნებული ნიშანში სროლასა და ხმალ-ხანჯლის ხმარებაში, გულით მამაცნი და ხალხისათვის თავგანწირულნი. გელასთან ერთად იმათ შეფიცეს ერის მოთავეს: ან გაწყდებოდნენ მთლიანად ამ უეცარ თავდასხმებში, ან ბოლოს მოუღებდნენ მტრის თარეშს ივერიაში. მოურავი ხომ აქეზებდა და ხელს უწყობდა მათ რჩევა-დარიგებითა და იარაღ-სურსათით. ეს ამორძალთა რაზმი შეიქნა საკაძის მარჯვენა ხელი.

კუნაპეტი ღამე. მცხეთის ვიწროებში დუმილს არღვევს მტკვრის დუდუნი და არაგვის ჩხრიალი. ტყესა და ბუჩქნარში ჩასაფრებულა ას ორმოცამდე მხედარი. მათ არ სძინავთ, ელიან ვიღაცას. ამ დროს რაზმიდან ას ნაბიჯზე მდგომ ორ გუშაგს მოესმა ჭოტის ხმა. ამავე ხმით უპასუხა ერთმა მათგანმა. გამოჩნდა ახლო შავი ლანდი.

— ვინ მოდის? — შესძახა წყნარად გუშაგმა და შემართა დამბაჩა.

— მოკეთე! — იყო წყნარი პასუხი.

— ნიშანი?

— მცხეთა.

— კეთილი! მოახლოვდით! — ამ სიტყვებით გუშაგმა დაუშვა დამბაჩა.

— შენა ხარ, რეზო? — შეეკითხა იგივე ახალ მოსულს — რა ამბავი მოგაქვს?

წამიყვანეთ რაზმის უფროსთან და იქ ვიტყვი.

— ვინ მოხველ? — შესძახა წყნარად გელამ.

— რეზო მზვერავი, სარდალო!

— რაი ამბავი?

— განთიადის ჟამს აქ იქნებიან, საცაა ამოვა დავახშმებული მთვარე.

— კეთილი, რამდენი არიან სულ?

— სპარსთა რაზმი ხუთას კაცამდე იქნების. მოპყავთ ხელფეხშეკრული და ერთმანეთზე გადაბმული ექვსასამდე ულამაზესი ქალ-ვაჟნი, ყველანი შუა ქართლში ნათარეშევი.

— ეგრე. სად დასტოვე ისინი?

— ძეგვთან ბანაკად დგანან.

— კეთილი. აბა, ჩემო ვაჟკაცნო, — მიმართა გელამ ჯგუფთა უფროსებს, — თქვენ, გენო და ბესო, ორმოცი მხედრით დაეცით მტერს მარჯვენა მხრიდან; თქვენ, კაკო და სოლო, ორმოცი მხედრითვე დაეცით მარცხენა მხრიდან; თქვენ კიდევ გიგო და შაქრო, ოცდაათი მხედრით დაუარეთ თავი და მოექეცით უკნიდან. შენვე მოგეშველება ხუთი მზვერავი, რომლებიც შორიახლოდან დაედევნებიან მტერს. ხოლო მე ჩემი ოცდაათი მამაცით მივიტან იერიშს პირდაპირ. კარგად მოზომეთ მანძილი და საფარი ალაგები, ელოდეთ ჩემს ნიშანს. ეს იქნება თოფის გავარდნა. მაშინვე უმიზნეთ კარგად, დასცალეთ თოფები, შესხედით ცხენზე, დასჭყივლეთ და გადუხტით ხმლითა და დამბაჩით. ეს თავდასხმა უნდა იყოს სწრაფი და უეცარი. უნდა გაიმუსროს მტერი, სანამ გონს მოვიდოდეს. ტყვეებს გადაუსროლეთ ხანჯლის დანები, რომ დასჭრან თოკნი და დაიხსნან ხელფეხი. ტყვეები გაიტაცეთ სამხედრო გზით ანანურისაკენ,

ჩაბარეთ ისინი უჯრს და ბერდიაა; ასეა ერის მოთავის განკარგულება. მაშ ასე, ძმებო, იყავით მარჯვედ!

ამ სიტყვებით გასცა ბრძანება მამაცმა გელამ.

ყველაფერი შესრულდა თანახმად მისი გეგმისა. მოახლოვდნენ ირანელნი ქართველი ტყვეებით, გელამ და. ჯგუფთა უფროსებმა ოთხივე მხრიდან დასცალეს თოფები, დასჭყივლეს და მიიტანეს მედგარი იერიშები. თავზარი დაეცა მტერს ამ უეცარი თავდასხმით. იგი დაიბნა, დაფრთხა, დაყარა ტყვეები და იწყო უთავბოლოდ დაფანტვა ტყესა და ღრეში. მაგრამ ბედშავ მტრებს ყველგან სწვდებოდა მამაც ამორძალთ ტყვია და მახვილი. ისინი გაიმუსრნენ თითქმის მთლიანად. განთავისუფლებული ქართველი ტყვენი (ქალვაუნი) წაიყვანეს სამხედრო გზით. ჩაუვიდა ეს ამბავიც ტფილისში ყორჩიბაშს. მის გამწარებას არ ჰქონდა საზღვარი. იგი იგლეჯდა ხორცს თავისივე კბილებით, დიდ საგონებელში ჩავარდა. ასეთმა გარემოებამ უკარნახა მას შეეცვალა პოლიტიკა და სიმკაცრე-ძალმომრეობიდან გადასულიყო დაყვავებაზე.

ხოსრო-მირზას მეშვეობით მან დაიახლოვა ივერიის გავლენიანი თავადნი და სასულიერო წოდება, უწყალობა მათ შაჰის სახელით ძვირფასი ნობათი. ასევე მოექცა ცბიერი ყიზილბაში მდაბიო ხალხსაც. ამ ფანდებით ირანის მთავარსარდალმა ყველას გული მოიგო და აამხედრა ისინი დიდი მოურავის წინააღმდეგ.

გაიმარჯვა ირანულმა პოლიტიკამ. მონურმა გრძნობამ შეიპყრო წარჩინებული ივერნი. ამათ გაუგზავნეს საკაძეს დესპანებად ტფილელი მიტროპოლიტი დიონისე და მცხეთის სამთავროს ეპისკოპოსი ტროფილე. ესენი მივიდნენ დიდ მოურავთან, დაიჩოქეს მის წინაშე, შეეევედრნენ ჩაეგო ხმალი და აეღო ხელი უმიზნო სისხლის ღვარზე.

— არა არს ოჯახი მთელ ივერიაში, სადაც არ ისმოდეს გლოვა და ტირილი ომში დაკარგულ ძმებსა, ქმარსა და შვილებზე. მთელი ქართლი და კახეთი შემოსილია შავი ძაძით. დიდი ხანია, რაც შევეჩვიეთ სპარსთა მონობას, დიდი ხანია ქართველი ერი ასრულებს შაჰის ბრძანებას. აბა,

სადა გვაქვს იმოდენა ძალი, რომ გავუმკლავდეთ დიდებულ ერანს და შევებრძოლოთ ყეინის ლაშქარს! დიდო მოურავო, მუხლმოყრით გევედრებით ჩააგო ხმალი და მისცე მშვიდობა წამებულ ერსა, გვეყოფის ამდენი სისხლი და უსარგებლო მსხვერპლი!

ამ სიტყვებით ევედრებოდნენ საკაძეს ივერიის მღვდელმთავრები. გმირი მოწიწებით ეამბორა ხელზე სულიერ მამებს, დასვა ტახტზე პატივით და მოახსენა:

— სულიერო მეუფენო, ვწუხვარ, რომ ტყუილად გარჯილხართ. მოგახსენებთ: მე შევწყვეტ ბრძოლას მხოლოდ მაშინ, როცა ქართლი და კახეთი შეიქნება სრულიად თავისუფალი. ქარქაშში ჩავაგებ სისხლიან მახვილს მხოლოდ მაშინ, როცა ჩემს სამშობლოში არ იქნება არც ერთი ირანელი მებრძოლი! აი ეს გახლავთ ჩემი საბოლოო პასუხი!

წყევლა-კრულვით გაშორდნენ მღვდელმთავარნი დიდ მოურავს. საკაძემ უმატა მხნეობას. მან მიიმხრო ქსნის ერისთავი იასე, ბარათაშვილები, ზურაბ ერისთვის ძმები — გიორგი და დათუნა, აგრეთვე ზემო ქართლის რამდენიმე თავადი. მანვე აფრინა ყველგან კაცები და შეუდგა საერთო ამბოხებას.

მოურავის ასეთი საარაკო მხნეობა ყველას ედგამდა გმირულ სულს და იზიდავდა მასთან ერთად საომრად მტრის წინააღმდეგ.

ირანელთა ლაშქრის სპასალარ ყორჩიბაშს, ქართლში ჰყავდა სიძედ ფრიად გავლენიანი თავადი ანდუყაფარ ამილახვარი, სჯულშეცვლილი, სამშობლოს მოღალატე და შაჰის დიდი ერთგული. ჯერ კიდევ ადრე, ირანელთა პირველი შემოსევის დროს საკაძემ შეიპყრო ანდუყაფარ მისი ცოლშვილით და დაამწყვდია არშის ციხეში მყინვართან, რომ არ შეეშალა ხელი ივერიის განთავისუფლების საქმეში. ამ თავისი სიძის ოჯახობით არშის ციხიდან გამოყვანა მოიწადინა ყორჩიბაშმა. ამ მიზნით გაგზავნა 12 ათასი საუკეთესო მებრძოლი უპირველესი სარდლების მეთაურობით. ესენი იყვნენ ხოსრო მირზა, შაბადახანი და ამირგურიხანი. ეს ჯარი სამხედრო გზით, ე. ი.

არაგვის ხეობით უნდა ასულიყო არშის ციხეში და გაენთავისუფლებინა ტუსაღნი. ამ სახით ჯარს უნდა გაევლო ზურაბ ერისთავის სამფლობელოზე. ყორჩიბაშის თხოვნით ზურაბმა დართო ნება. ჯარი აჰყვა არაგვის ხეობას, მივიდა არშის ციხეში და გაანთავისუფლა ანდუყაფარი.

სწორედ აქ გაბა მტერი მახეში დიდმა მოურავმა. მან მიიმხრო ზურაბის ძმები. ესენი დახვდნენ მათ მთიელთა რაზმებით და არ მისცეს უკან ჩამოსვლის ნება. მაშინ ირანელთ ჯარი იძულებული შეიქნა ჩამოსულიყო ქსნის ხეობით. ჯარს წინ უძღოდა თვით ანდუყაფარი, რომელმაც კარგად იცოდა გზები, მაგრამ მტერს ქსნის ვიწროებში დახვდნენ თავისი რაზმებით საკაძე, ქაიხოსრო მუხრანბატონი და იასე ქსნის ერისთავი. აქ ირანელთ მოუხდათ საშინელი მარცხი. ისინი წუწკი თაგვივით გაებნენ მახეში. წინიდან ჰყავდათ ულმო მტერი დიდი მოურავი, უკნიდან კი აწვებოდნენ თავისი ვაჟკაცებით ზურაბის ძმები, გიორგი და დათუნა, აგრეთვე თუშ-ხევსურნი. მტერნი მოემწყვდნენ შუაში. გასაქცევი გზა არსაით იყო. გააფთრებული ივერნი მისცვივდნენ ირანელთ და გაავლეს მუსრი. მთელი ორი დღე ყლიტეს მტერი. მათი ლეშით აივსო ვიწრო ხეობა. მდ. ქსანი წითლად შეიღება. გაწყდა მთლიანად მტერი, დაიხოცნენ მათი სარდლები: შაბადახანი, ამირგურიხანი და სხვანი, გადარჩნენ მხოლოდ ანდუყაფარი თავისი ცოლშვილით და ხოსრო მირზა. ამ საშინელ ბრძოლის დროს ამათ მთის ბილიკებით გადაასწრეს სამშვიდობოს და მივიდნენ ყორჩიბაშთან, რომელსაც ამცნეს ზარდამცემი ამბავი.

ეს დიდი მარცხი დამართა მტერს გიორგი საკაძემ. ამ საშინელმა დამარცხებამ, ისკანდერ მუნშის აზრით, წელში გაწყვიტა მტრის ლაშქარი. არც ეს აკმარა დიდმა მოურავმა. ირანელთ ხელში ეკავათ იმ ჟამად მთელი ჯავახეთი, თურქთაგან წართმეული. საკაძე გადვიდა ჯავახეთს, მიიმხრო მესხეთის გმირი ელია დიასამიძე და მოახდინა აჯანყება; მან ზედიზედ დაამარცხა ირანელი მეციხოვნენი და წართვა ციხეები: აწყვერი, ასპინძა, ახალციხე, ხერთვისი, ფარავანი და სხვა. მოურავს სწადდა ჯავახეთი გაეთავისუფ-

ლებინა მტრისაგან და მეამბოხე ჯარით თავს დასხმოდა ყორჩიბაშს. სააკაძის ამ სამხედრო ხერხმა დავთარი დაუბნია ირანელთ. ყორჩიბაშმა გაგზავნა ჯავახეთს დიდი მაშველი ჯარი. ამ ჯარს ერთ მხრიდან დახვდა ელია დიასამიძე თავისი მამაცი რაზმით, მეორე მხრით კი დიდი მოურავი თავისი ვაჟკაცებით. შეიქნა ხელჩართული ბრძოლა. ირანელნი დამარცხდნენ სასტიკად. სააკაძემ აფრინა ელჩი სულთანთან და მოულოცა გამარჯვება. ამ სახით მოხიბლა თურქთა მბრძანებელი და ჩაითრია ომში.

სულთანმა ისარგებლა ამ მარჯვე დროთი და იწყო მზადება ირანის წინააღმდეგ, ერაყისა და ქურთისტანის წასართმევად. ამასთან ერთად ივერთა გმირს შემოუთვალა დიდი მადლობა და უძღვნა ძვირფასი საჩუქრები, თანაც დაპირდა მაშველ ჯარებს.

ჯავახეთიდან სააკაძე გადვიდა კოლხეთს, დაიარა იმერეთი, გურია, სამეგრელო და მოუწოდა მათ ივერიის დასახმარებლად. ისინი დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ ამ მოწოდებას და იწყეს მზადება.

ამ ამბებმა მეტად დააფრთხო მტერი. ყორჩიბაში ჩავარდა საგონებელში. თუმცა მას ეკავა ხელში ივერიის ციხესიმაგრენი და მისი მომხრე იყო თავადთა მეტი ნაწილი, მაგრამ დიდი მოურავის ერთი გამოჩენა საზღვარზე კოლხეთის ჯარით საკმაო იყო, რომ ქართლ-კახეთი მთლიანად გადასულიყო მისკენ. ამავე დროს მან გაიგო თურქთა ამხედრებაც. თვით სააკაძე უწყობდა მათ ხელს. ივერთა დიდი ბრძოლებით ფრიად დაქანცულ ირანს კი იმ ჟამად აღარ ჰქონდა იმდენი ღონე, რომ გამკლავებოდა სულთანს. ამის გამო ყორჩიბაშმა კარგად გაამაგრა ტფილისის, გორის, ბირთვისის და სხვა ციხენი, თანაც მოემზადა ერანში წასასვლელად.

სააკაძემ გაიგო თუ არა ეს ამბები, აღარ მოუცადა კოლხეთის ჯარის შეკრებას, გადმოხტა ქართლში თავისი რაზმით, დაეცა გორის ციხეს, აიღო იგი და მიაშურა ტფილისს. აქ შეიტყო მტრის განახევრებული ლაშქარის გაქცევა. უკან გადევნება გვიანღა იყო. ამ დროს ყორჩიბაში უკვე გადასუ-

ლიყო მდ. არეზს გაღმა და გარბოდა თავისი ჯარებით რო-
გორც ნამდვილი დამარცხებული, გარბოდა გულის ხეთქით
ეს ერანის ქებული სპასალარი. მას ყველგან ელანდებო-
და მოურავის მრისხანე სახე, ყურში ესმოდა მისი მუქარე
ხმა.

ამრიგად მესამედ გადარჩა მთელი ივერი საშინელ ხი-
ფათს. ახლაც მისი მხსნელი შეიქნა გიორგი საკაძე. მან
შეასრულა თავისი სიტყვა.

XXX. სვავები

ხევებითა და მთა-გორაკებით დასერილი საქართველო უხვად იყო მოფენილი ციხე-სიმაგრეებით, სადაც ბუდობდნენ კოლხეთ-ივერიის და მესხეთის დიდებულნი, ანუ ღიდი თავადნი. ძველ დროს ეს ციხე-სიმაგრენი მედგრად იცავდნენ სამშობლოს საზღვრებს და უცხო ქვეყნებიდან შემოსასვლელ გზებს გარე მტერთაგან. ხოლო ბოლო ხანებში, ბეტადრე საქართველოს დაქუცმაცების შემდეგ წვრილ სამეფო-სამთავროებად, ე. ი. მე-15 საუკუნიდან, ამ ციხე-სიმაგრეებს დაპატრონებული მთავრები და თავადები არაიშვიათად ეურჩებოდნენ და ებრძოდნენ თავიანთ მეფეებს, გამოდიოდნენ მათი მორჩილებიდან, მძლავრდებოდნენ, თარეშობდნენ შინაურ-გარეშეებზე და დაუსჯელად ჩადიოდნენ ათასგვარ ბოროტებას. ისინი ხშირად ესხმოდნენ ერთიმეორეს, უზოგველად ღვრიდნენ მოძმეთა სისხლს, არბევდნენ დაბა-სოფლებს და ქალაქებს, მით აფერხებდნენ მეურნეობას და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. ასეთი მოქმედებით ისინი ფრიად ასუსტებდნენ ნივთიერად, კულტურულად და პოლიტიკურად, ისედაც რვა ნაწილად დაფლეთილ პატარა საქართველოს.

ამრიგად, ამ ციხე-სიმაგრეებმა მეტ წილად დაკარგეს თავისი მთავარი დანიშნულება და თანდათან იქცნენ უმაძღარ სვავთა და ზვიგენ-ვეშაპთა, ე. ი. ყაჩაღად ქცეულ არსებათა, ბუნაგად, რითაც აუწერელი ზიანი მიაყენეს საუკუნეთა სვლაში ბედშავ საქართველოს. ასეთი იყო თავადთა დიდი უმეტესობა.

ეს მადააღძრული სვავები, მიუვალ ციხეებში შებუდრულნი და წვრილ აზნაურებით გარემოცულნი, კინკლაობდნენ ერთმანეთში, მოულოდნელად ესხმოდნენ ერთიმეორეს, ეელეტდნენ ულმობელად, ართმევდნენ ყმებს, მიწა-მამულს, სარჩოს, მთელ ქონებას და მოძძეთა უბედურებაზე აგებდნენ საკუთარ კეთილდღეობას, სანამ უფრო მძლავრნი არ დაესხმოდნენ ამათ და არ აქცევდნენ მიწა-მტვრად. ეს ქვეყნის დამღუპველი სვავები არა იშვიათად ეპატიჟებოდნენ თავის სამშობლოს დასარბევად გარეშე მტრებს, რათა მოეთბოთ ხელი და უხვად ესარგებლათ ხალხის გაჭირვებით. ეს გარეწარი არსებანი ხშირად წინ მიუძღოდნენ შემოსულ მტერთ, ულოკავდნენ ხელ-ფეხს აზია-ევროპის მტარვალთ და მათ ჯილდო-ხალათებსა და ნასუფრალზე ჰყიდდნენ თავის ერსა და სამშობლოს.

აი, ასეთი უმაძღარი სვავებით სავსე იყო ბედშავი საქართველო იმ ბნელ ხანაში, რასაც შევეხეთ ამ ისტორიულ რომანში.

ეს ბოროტი და გარეწარი არსებანი, ე. ი. დიდი თავადები, თავისი დაგეშილი მეძებრებით — შინაყმა აზნაურებით — ნადირობდნენ აგრეთვე უმწეო გლეხებსა და წვრილ აზნაურებზე, ესხმოდნენ მათ, აწიოკებდნენ, იტაცებდნენ ლამაზ ქალ-ვაჟთ და ათასობით ჰყიდდნენ მათ უცხოელ ვაჭრებზე ირან-თურქეთში გასაყიდად.

ასეთ უგვანო და საზიზღარ საქმეებს უმთავრესად ჩადიოდნენ კოლხეთ-მესხეთში აფხაზეთ-გურია-სამეგრელოს და სამცხე-საათაბაგოს მთავრები და თავადები.

ოთხი საუკუნის მანძილზე კოლხ-მესხ-ივერის მშვენიერი ვაჟნი და ასულნი ყოველწლივ ათიათასობით იყიდებოდნენ ცხვრის ფარასავით სტამბოლ-თეირანისა და ქაირ-ბაღდათის ბაზრებზე, ამკობდნენ ყეინ-სულთნების და ხანებ-ფაშების ჰარამხანებს.

ტყვედ გაყიდულ ან წაყვანილ ვაჟთა უმეტეს ნაწილს ძალით აღებინებდნენ მაჰმადის სჯულს და წრთვნიდნენ სამხედროდ. მათგან შექმნილი იანიჩართა რაზმები სტამბოლში წარმოადგენდა თვით სულთანის საუკეთესო გვარდიას, ხო-

ლო ირანში ქართველთაგან შემდგარ ასეთ რაზმებს ეწოდებოდა შაჰსევანები, ე. ი. შაჰის ლეგიონები და ყული-სპა, ანუ მონათა ლაშქარი. და აი, ამ ქართველ ტყვეთაგან შემდგარი რაზმები საუკუნეთა სვლაში იყვნენ ყველაზე უფრო მძლავრნი და შაჰი-სულთნების ტახტისათვის საიმედონი.

საბედნიეროდ, მე-17 საუკუნის დამდეგს ქართლს გაუჩნდა პატრონი დიდი მოურავის სახით, რომელმაც გიორგი მეათის დროს და ლუარსაბ მეორის მეფობის პირველ ხანებში რკინის მარჯვენით ალაგმა როგორც მოთარეშე ოს-ლეკნი, ისე ქართლის მეტად თავაშვებული თავადები და დაუმორჩილა ისინი მეფეს, საკაძის ასეთმა მოქმედებამ, როგორც ვიცით, გამოიწვია ამ თავადებში საშინელი შურისძიება, რაც დამთავრდა ლუარსაბ მეფის მიმხრობით და დიდი მოურავისადმი შავი ღალატით.

სწორედ ამ ქვეყნისათვის თავგანწირული გმირის ექსორიით ისარგებლეს ქართლის გაყაჩაღებულმა თავადებმა და იწყეს თავაშვებული თარეში. ამათ შორის უპირველესი იყვნენ იასე ქსნის ერისათვი, ზურაბ არაგვის ერისთავი და მეტადრე კი შაჰაბაზის სიძე, ქრისტეს მგმობი, მაჰმადის თაყვანისმცემელი და სამშობლოს მოღალატე ანდუყაფარ ამილახვარი, რომლის მთავარ ბუნაგად იყო მიჩნეული ქართლში სხვილოს მაგარი ციხე და იქედან თავზარს სცემდა ქართლსა და კავკასიონის მთის ხალხებს. ეს ორი ძმადშეფიცული უმაძღარი სვავი, იასე და ანდუყაფარ, კარგად შეიარაღებული რაზმებით, დროგამოშვებით გადადიოდა კავკასიონის ქედს გადაღმაც კი, ისინი ესხმოდნენ ქისტ-ჩეჩენთა სოფლებს (აულებს), არბევდნენ მათ და დიდი ნადავლით, განსაკუთრებით ცხვრისა და საქონლის ჯოგით, ბრუნდებოდნენ შინ. აგრეთვე ჩამოყავდათ ტყვედ იქაური ლამაზი ქალ-ვაჟნი, რომ შემდეგ გაეყიდათ ვაჭრებზე ირან-თურქეთში.

სხვილოს ციხე. საღამო ჟამია. ზედა დარბაზში ტახტზე ფეხმოკეცით ზის ჩოფურა, ჯმუხი სახის ანდუყაფარ ამილახვარი და უდარდელად წევს ნარგილეს. მის ჩასუქებულ სხეულს მოსავს სამალაჯის ხალათი. იგი გართულა რაღაც

ფიქრებშ ირეტი ღა მსუნაგი სახ ელიმის კბილერაღ. უცებ ასწევს თავს და შემოკრავს ტაშს. ფრთხილად შემოდის ფარეში და თავდახრით დგება კარებთან.

— ბიუო, მოურავს დამიძახე?

— ეხლავე, დიდო ბატონო, — და ფარეში გაქრა გარეთ.

მცირე ხანს შემდეგ იღება კარი. შემოღის ჩოხა-ახალუხიანი, იარაღასხმული ზორბა ოსი.

— რას გიბრძანებ, დიდო ბატონო?

— შენ კი არა, მე გიბრძანებ, ბრიყვო! ათ წელზე მეტია ჩვენში ცხოვრობ და აქამდე ქართული ვერ ისწავლე, შე ოხერო, არა გრცხვენია?!

— რა ვქნა, დიდო ბატონო, ვერ ისტავლე და ვერა:

ანდუყაფარს გაეღიმა ოსის პასუხზე.

— რას შვრებიან ჩვენი ტყვეები?

— კარგად არიან, ბატონო.

— სად დაამწყვდიე?

— ციხის დიდ საკანში, ბატონო.

— რამდენი არიან სულ?

— სულ ქალი და კაცი ორმოცამდის იქნების.

— ყველანი ხვალე წაასხი ახალციხეში და მიჰყიდე ფაშას. ეცადე კარგი ფასი მიიღო.

— კი, ბატონო, ვეცდები. ი ლამაზი გოგოც წავასხა? შენ რომ გუშინ თვალში მოგვიდა?

— არა, ის აქ მომგვარე ახლავე.

ოსმა თავდახრით დააპირა გასვლა.

— მოიცა, გიგა, ის სადა გყავს, ჩემი ურჩი გლეხი, საკაძით რომ მემუქრებოდა?

— ისა ციხის ბნელ ჯურღმულში დავამწყვდიე, ბატონო, ჯერ კი კარგად ვცემეთ, როგორც ბრძანე.

— კეთილი. ულუფას რას აძლევთ?

— დღეში ნახევარ ხმელ პურსა და ერთ ხელადა წყალსა.

— მისთვის ეგეც ბევრია. მაშ გასწი და შეასრულე ჩემი ბრძანება.

— ახლავე, დიდო ბატონო!

ამ სიტყვებით ოსი გაქრა ღარბაზიდან.

ამილახვარმა ააბოლა ხარგილე და უშბი ღიღინით ამოუშვა რაღაც ირანული ბაიათი. მცირე ხანს შემდეგ ფრთხილად გაიღო კარი და დარბაზში ფეხაკრეფით შემოვიდა იგივე ოსი მოურავი და შემოიყვანა იშვიათი სილამაზის ქალწული, სუფთად ჩაცმული. იგი საშინლად ცახცახებდა.

— მოიყვანე, ბატონო, გოგო.

— კეთილი. გასწი! — იყო ბატონის მოკლე პასუხი.

ოსი გავარდა დარბაზიდან და მაგრად მოიხურა კარები.

ანდუყაფარმა შეათვალიერა კარებთან მდგარი ქალი და სიამოვნების ნიშნად აუციმციმდა ჭროღა თვალები და აუწკლაპუნდა პირი.

— მოიწი ახლოს, ლამაზო! — უთხრა ტყვე ქალს დაყვავებით ანდუყაფარმა.

ქალი არ იძროდა ადგილიდან. იგი მიჰკვროდა კარებს და მთელი სხეულით ცახცახებდა. განწირულობის ნაპერწკლებს ისროდა მისი შავი თვალები.

— არ გესმის, ქალო? აქეთ მოიწი! — უთხრა თავადმა ხმააწევით.

ქალი დუმდა და არ იძროდა ადგილიდან.

— ყრუ ხარ, თუ რა ღმერთი გიწყრება! არ გესმის, რომ გიბრძანებ?! მოეთრიე აქა!

კვლავ დუმილი და უძრაობა ქალის მხრივ.

ქალის ასეთმა „თავხედობამ“ ფრიად გააბრაზა ბატონი. იგი წამოიჭრა ზეზე და მიუახლოვდა ქალს.

გამხეცებული თავადის მისვლამდე ქალმა სცადა კარის გაღება, მაგრამ უნაყოფოდ: იგი მეორე მხრივ გადაერაზა „შორსმჭვრეტ“ მოურავს.

—არ მოხვიდე! არ მომეკარო! — შეჰკივლა ქალმა თავგანწირვით.

— რა მოგდის, ქალო! რას გაჰკივი ეგრე უცნაურად! რას შიშობ, მგელი ხომ არა ვარ! — უთხრა ანდუყაფარმა დაყვავებით. იგი შედგა შორიახლოს, იმ ფიქრით, ვაითუ რაიმე იარაღი ჰქონდეს ქალს სადმე დამალულიო.

— შენ მგელზე უარესი ხარ, ბრაზიან მგელზე! შენ ძმას

არ ინდობ და მოკეთეს! წვრილ აზნაურებს და მეტადრე საბრალო გლეხობას ხომ ზეციურ რისხვად მოევლინე! ახლა რა გწადის ჩემგან, შე თათარო, შე ქრისტეს მგმობელო!—შესძახა ქალმა განწირული ხმით და ჩაიყო ხელი უბეში.

— რა მსურს და შენი ხვევნა და კოცნა, შენი ალერსი, ჩემო ტურფავ! ჩემო ლამაზო!

— ვერ ეღირსები ასეთ რამეს, შე მსუნაგო და ქვეყნის მოღალატევ! უწინამც დღე დაგელევა!

— აბა, ვნახოთ, ჩემო ჯიუტო! — უთხრა ანდუყაფარმა და გადადგა ბიჯი. ქალი შველივით გადახტა კუთხისაკენ და მის ხელში მყის იელვა ბასრმა ხანჯალმა.

— არ მომეკარო, თორემ, ვფიცავ მშობლებს, ამ ხანჯლით გაგიპობ მაგ ვერაგ გულსა!

მახვილის დანახვაზე შეკრთა და შეჩერდა მსუნაგი თავადი, იგი არ მოელოდა ამას. მან შეანათა ქალს თავისი ჭროღა თვალები. განწირულებას მეტად დაემშვენებია ქალის ლამაზი სახე. ცეცხლივით უელვარებდა მომხიბლავი თვალები. ასეთი სახით იგი ფრიად მიმზიდველი ხდებოდა. ამ სურათმა ააგიზგიზა თავნება თავადში მხეცური ვნება და ვაჟური ენინი. იგი ელვის სისწრაფით მივარდა გააფთრებულ ქალს მარჯვენა მაჯაში, სანამ იგი მოუქნევდა მახვილს, მეორე ხელით კი სწვდა მახვილს და გადაისროლა. ქალმა შეჰკივლა მწარედ და შეებრძოლა მეორე ხელით. იგი უკაწრავდა სახეს და გაღეღილ ბულმკერდს, ხოლო დიდხანს ვერ გასტანა ამ უთანასწორო ბრძოლამ. თასმასავით მოიგრიხა გამხეცებული არსების რკინის მკლავებში ქალწულის სუსტი სხეული, უკვე ტახტზე მისვენებული.

წამოიჭრა ტახტიდან საბრალო ქალი შეშლილის სახით, მოავლო ირგვლივ ელვარე თვალები და რა დაინახა მის წინაშე მდგარი ანდუყაფარის სიამით სავსე მხეცური სახე ერთი კიდევ შეჰკივლა საზარლად, წაიძრო უცებ თითიდან ბეჭედი, მიიტანა ტუჩთან და შესრუტა მასში ადრევე დაცული ძლიერი შხამი. ქალი იქვე დაეცა და იწყო მომაკვდავის უკანასკნელი ზმორება...

ამ დროს ფრთხილად დაუკაკუნეს დარბაზის კარი. თავადის შეკითხვაზე მოურავმა მოახსენა იასე ქსნის ერისთავის მოსვლა ორმოცდაათი რჩეული ვაჟკაცით. იმავე ღამეს ორთავენი უნდა დასცემოდნენ ღაზნელთა ციხეს და გაეყლიტათ მთელი გვარეულობა. გახარებული ანდუყაფარ მიეგება თავის ახლო მეგობარს, მოურავს კი უბრძანა გაეთრია დარბაზიდან პატივახდილი, მიცვალებული ქალი და ჩაეფლა სადმე ციხის გალავნის კუთხეში.

ტირიფონას ზემოდან მდ. მეჯუდას ხეობაში გორაკზე გოროზად ამართულა ტახტის აზნაურ ღაზნელთა ციხე-დარბაზი მაღალი კოშკით და გუშაგად უდგას ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელ ბილიკებს. ვახშმობაა. თხილის ხის ჟინჟღილით განათებულ დიდ დარბაზში სუფრას უსხედან თავიანთი ცოლშვილით ხუთი ძმა ღაზნელი, ხუთი ლომივით ვაჟკაცი, ხოლო მათ შორის საპატიო ალაგს ზის ასი წლის მოხუცი მამა, რომლის სპეტაკი წვერი ფართოდ ეფინება გულმკერდს. იგი ზის პირქუშად, არ ეკარება საჭმელს. რაღაც ღრმა ფიქრს დაუღარავს მისი მაღალი შუბლი. დროგამოშვებით მოხუცს გულიდან ამოხდება გმინვა.

„რად გმინავ, ბატონო მამავ? რად ბრძანდები ეგრე უგუნებოდ? — შეეკითხა მოხუცს მის გვერდით მჯდომი უფროსი ვაჟი. — მიირთვი რამე. აჰა, მშვენიერი ხინკალი! აგერ კიდევ ახლად მოხარშული მსუქანი თოხლი! ან იქნებ ფუცხუნა ღვინომ გიპოვოს გული! — და ამ სიტყვებთან ერთად მიაწოდა მოხუცს ღვინით სავსე კულა, — ჩაარაკრაკე, მამავ! მოილხინე! განა რა გვაქვს საჯავრო!

— არა რაი მინდა, შვილო, ვერ ვარ გუნებაზე. რაღაც ცუდი სიზმარი ვნახე ნასადილევს. მცირედი წამძინებოდა წლებით დაღლილსა, წარმოსთქვა მძიმედ მოხუცმა და ისევ ჩაღუნა თავი.

— ნეტარძი რა იყო ასეთი, რომ შეწუხდი, ბატონო? — შეეკითხა მეორე ვაჟი.

— ნუღარ გამახსენებ, შვილო! რაღაც საშინელება ვნახე... ღმერთო დიდებულო და წმინდაო გიორგი, თქვენ იყავით

ჩემი ოჯახის შემწე და მფარველი! — ქუდის მოხდით და პირჯვარის გამოსახვით წამოიძახა მოხუცმა.

მთელი ოჯახის გულისყური მიიპყრო მოხუცის საქციელმა.

— მაინც რა ნახე ასეთი, ბატონო მამავ? — ცნობისმოყვარეობით შეეკითხნენ შვილები.

— ვითომც ჩვენს ციხე-დარბაზს, ბნელში გახვეულს, ორი მხრით მოსდგომოდა ჩასანთქავად ორი პირდაღრენილი გველეშაპი, შავი და წითელი. ისინი ბდღვნიდნენ ბასრი ბრჭყალებით ციხის ბალავერს, ხოლო მაღლა აშვერილი პირიდან აწვიმებდნენ ცეცხლსა და გენიას. თქვენც, ხუთნივე გმირნი, თქვენი მამაცი ვაჟებით, რკინაში მჯდარნი და თავით ფეხებამდე იარაღასხმულნი. უშენდით მაღალ კოშკიდან შუბებს და ისრებს ორთავეს, ხოლო ვერას აკლებდით იმ წყეულთ. ისინი ციხის ნგრევით მოიწევდნენ თქვენ ჩასანთქავად... ოდეს დააღეს ხახა უზარმაზარი და წამოიწიენ, მყის წამოვიჭერ თქვენს უკან მდგომი და დავიყვირე გამწარებით. ამ ყვირილზე გამომეღვიძა.

მიმოვიხედე გაშტერებით. არაფერი ჩანდა. ვიწექ სკამლოგინზე დერეფანში ტყაპუჭწამოხურული და თავზე დამნათოდა ჩამავალი მზის სხივები. მაშინვე, ფუი ეშმაკს, მივაძახე, გადვისახე პირჯვარი და ვიხმე ჩვენი ოჯახის შემწედ საქართველოს უდიდესი წმინდანი. მიველ ციხის წყაროსთან, გავიგრილე გახურებული შუბლი და თავი ცივი წყლით, ხოლო ვერ ამოვფხარ გონებიდან ის საშინელი სიზმარი, ვერ დავიმშვიდე შფოთარე გული.

მოხუცის სიზმრით შეპყრობილმა შვილებმა და რძლებმა გადახედეს ერთმანეთს და დუმდნენ მცირე ხანს. დუმილი დაარღვია უფროსმა რძალმა, მცხეთის ქალთა მონასტერში აღზრდილმა ოჯახის ჭკვიანმა დიასახლისმა.

— მძიმე სიზმარია, ბატონო მამავ, ხოლო ცუდი და საზიანო მანდ არაფერია. ორი პირდაღებული ვეშაპი, ეჭვს გარეშეა, ჩვენი ორი მოსისხლე მტერია: ქსნის ერისთავი და ანდუყაფარ ამილახვარი. ისინი კარგახანია ილესენ კბილებს ჩვენს წინააღმდეგ, მეტად ანდუყაფარ, რომელსაც

ვერ მოუნელებია ჩვენი დახმარება დიდმოურავისგან. ოდეს შევიპყარით ანდუყაფარ ცოლშვილით სხვილოში და დავამწყვდიეთ მყინვართან არშის ციხეში. შერს იძინებენ ეხლა უფრორე. ვინაიდან ივერიის გმირი იმერეთსაა ამჟამად ჯარების შესაკრებად. აქ კი თარეშობენ ანდუყაფარის მწყალობელი სპარსნი. ხოლო როგორც ბრძანებთ, ბატონო მამავ, ვეშაპებმა ვერ მიაღწიეს მიზანს, ვერ შთანთქეს შენი გმირი ვაჟები და ბადიშები. ყვირილმა შეაკრთო ისინი. ხოლო თქვენ გამოგაღვიძათ. ამით გაჰქრა შიში, სიბნელე და უკმური სიზმარი, თქვენ იხილეთ მზე და სინათლე. ღვთით ბოლო კეთილია. მტრები ვერას ვახდებიან. ხოლო უნდა გავიღოთ უხვი შესაწირავი ერისთავის წმ. გიორგის მიმართ, რათა იყოს ჩვენს შემწედ და მფარველად!

ყველანი დაემოწმნენ დიასახლისს და დამშვიდნენ თითქოს. ამ უსიამოვნო სიზმარმა ყველას ჩაამწარა გემრიელი ვახშამი. ისინი მალე წამოიშალნენ სუფრიდან და მიიღეს სათანადო ზომები ყოველი შემთხვევისათვის, რათა გმირულად დახვედროდნენ მტრებს. ბავშვები, ქალწულნი და მათ შორის მშვენიერი მზია დამალეს მაღალ კოშკში და მცველებად მიუჩინეს რამდენიმე მამაცი ჭაბუკი.

ამასთან ერთად ხუთივე ვაჟკაცი თავიანთი შვილებითა და შინაყმებით, სულ ოცდაათამდე, შეუდგნენ სამხედრო სამზადისს. მიმოვლეს ციხის მიდამო, ააპირქვავეს არხის ხიდი. შეცვალეს გუშაგნი და დამშვიდებულნი დაბრუნდნენ დარბაზში.

— ახლა იასე და ანდუყაფარ კი არა, შაჰის ლაშქარიც ვერას დაგვაკლებს, — იოხუნჯა საშუალო ძმამ.

— მობრძანდნენ თუ ვაჟკაცებია, ის ჩვენი მტრები. აქ დავხვდებით მასპინძლად და ვაცნობებთ, ვინც არიან აზნაური ღაზნელები! — წამოიძახა ამაყად უფროსმა ძმამ.

შუაღამე მოახლოვდა. ყველანი მილაგდნენ თავ-თავის ოთახში თვალის მოსატყუებლად და ელოდნენ ნიშანს გუშაგთაგან. არ ეძინა მხოლოდ იუდას, გამცემს, მოსყიდულ ყმას. ისიც ელოდა ნიშანს, რომ გაეღო მტრისთვის ციხის კარები. ამ დროს გაიელვა ზედიზედ. მას მოჰყვა საშინელი

გრგვინვა. შავად მოგრაგნილმა ცამ დაუშვა თქეში. ყაილო სარკმელი და ქარი ზუზუნით შემოიჭრა დარბაზში. იმატა ელვა-ქუხილმა, გავარდა მეხი, იმატა კოკისპირულ-მა წვიმამ. განრისხებული ზეცა დანგრევას ემუქრებოდა დედამიწას, ზუის გაშმაგებული გრიგალი, ხშირი ელვა-ჭექა, ამათ ერთვის საშინელი თქეში და ღვართქაფი. მთების ადიდებული ღელე-მდინარენი შავი ზვირთებით გაშმაგებით მოაგორებდნენ დიდრონ ლოდებს. შორს გაისმის მათი მძლავრი ჯახა-ჯუხი. ბილიკებზე არ ჩანს სულიერი. ყველანი შემძვრალან ბინებში. ტყის ნადირნიც-კი მოჰრიდებიან ბუნების ამ საშინელ ნგრევას და შეჰფარებიან თავიანთ სორო-ბუნაგებს.

ყველას სძინავს ღაზნელთა ციხე-დარბაზში. ციხის გუშაგნიც კი მიყუჟულან საფარქვეშ და თვლემენ განთიადის მოლოდინში, არ უწყიან, თუ რას უმზადებს ეს ჯოჯოხეთური ღამე.

უცებ გაისმა საზარო ღრიანცელი. ბუნების რისხვას შეუერთდა ადამიანის ბრაზი. ღაზნელთა ციხე-სიმაგრეს ალყად შემოერტყნენ იარაღასხმულნი, შავნაბადიანი ცხენოსანი რაზმები, ასამდე მხედარი, და დასცეს ყიჟინა. შეიქნა თოფების გრიალი, ისინი შეცვივდნენ ციხის გალავანსა და თვით ციხეში, რომელთა კარები ადრევე გაეღო გამცემს. სწრაფად გაჟლიტეს გუშაგნი და შეცვივდნენ სასახლეში, სადაც მამაცად დახვდნენ ძმანი ღაზნელნი თავიანთი ვაჟებითა და შინაყმებით. შეიქნა ხმალ-დამბაჩებით ხელჩართული მედგარი ბრძოლა მოძმეთა შორის. აქ, ამ საშინელ ღამეს, ქართველნი შესეოდნენ ქართველთ, შურისძიებით და ანგარებით აღძრული ქართველი ჰკლავდა ქართველს!

უხვად იღვრებოდა მოძმეთა სისხლი და წითლად იღებებოდა ციხე-დარბაზის იატაკი...

— დამრჩი, ღაზნელო, ან გამოდი ხმალში, შე ლაჩარო! შესძახა მრისხანედ ბოროტი სახის მხედარმა და შეუმართა ხმალი ღაზნელთა უფროს ძმას.

— ლაჩარი და ბოროტი შენ თვითონა ხარ, სამშობლოს გამყიდველო და ქრისტეს სჯულის მოღალატევ! — უპასუხა ღაზნელმა და მოუქნია ხმალი. შეექნათ ხელჩართული

ბრძოლა. ლომივით შეებნენ ერთი მეორეს მოსისხარი მტერნი, გაშმაგებით ლოკავდნენ ერთმანეთს ხმლების ენანი, რკინა-ფოლადს სცვიოდა ნაპერწკლები; ხვდებოდა ფარსა და ჩაჩქანს მახვილთა ბასრი წვერები. გამარჯვება იხრებოდა დამხდურის მხარეზე. ორ-სამ ალაგას დაეჭრა მძიმედ ამილახვარი. მამაცი ღაზნელის ხმლის ერთი მოქნევა კიდევ — და ვერა-რა უშველიდა ბოროტ ანდუყაფარს. აჰ, აღმართა კიდეც ხმალი მოსაქნევად; მაგრამ ამ დროს უკნიდან იგრიალა დამბაჩამ და ზურგში სასიკვდილოდ დაჭრილი ღაზნელი დაეცა ძირს. მისი მკვლელი იყო იასე ქსნის ერისთავი (ანდუყაფარის შომხრე), რომელმაც აღრევე იმსხვერპლა ორი ძმა ღაზნელი და ახლა ბოლო მოუღო მესამესაც...

ვეღარ გაუძლო ოცდაათამდე დამხვდურმა სამჯერ შეტევ შემოსეულ მტერს. კიდევ ცოტაოდენი თავგანწირული ბრძოლა — და ყველანი დახოცილნი ეყარნენ დიდ დარბაზში. მათ შორის იყვნენ ქალებიც, ღაზნელთა მამაცი ცოლები და დედები, რომლებიც გამწარებით შევარდნენ ბრძოლაში მახვილით ხელში, რაკი იხილეს ქმრებისა და შვილების ულმო სიკვდილი. ამათ გასწირეს თავი, იმსხვერპლეს ხმლით რამდენიმე შემოსეული და სასიკვდილოდ დაჭრილნი დაეცნენ ქმრებთან და შვილებთან.

ამ რიგათ დაიხოცნენ თავისი ცოლებითა და ერთგულ შინაყმებით ხუთივე ძმანი ღაზნელნი, ნამესიანი სიკვდილით მესწირეს თავი კერას და მამულს. ხოლო რაფად არ დაუსვეს მტერთ ეს თავდაცემა. მათ ირგვლივ ხორად ეყარნენ იასესა და ანდუყაფარის დახოცილი და მძიმედ დაჭრილნი რაზმელნი, სამოცამდე კაცი.

რაკი მორჩნენ ამ საზარო საქმეს, იასე და ანდუყაფარ ეცნენ გადარჩენილი მხედრებით ციხის კოშკსა და სარდაფებს, სადაც დახვდათ აცახცახებული ლამაზი ბავშვნი და ქალწულნი, მათ შორის მშვენიერი მზია, რომლის იშვიათი სიტუფრე და გალობა შუშპარი ცნობილი იყო მთელს ივერიასა და ირანში. ამ მშვენიერ არსებას მხეცი ანდუყაფარ დიდი ხანია უმზადებდა ფეშკაშად თვით ირანის დიდ ბა-

ტონს, თავის სიმამრს შაჰბაზს. და, აჰა, ეწია მიზანს. მან წაავლო ხელი მზიას. ქალმა შეჰკივლა საშინლად, იძრო უბიდან პაწია ხანჯალი და მოუქნია მტარვალს, ხოლო რკინის ბეგთარმა აირეკლა ნახვილი. მაშინ გამწარებით წამოიძახა ქალმა: „არ დაგნებდები ცოცხალი საბილწოდ მამაჩემის მკვლელს!“

ამ სიტყვებთან ერთად გაუსხლტა ხელიდან ამილახვარს და ელვის სისწრაფით გაიტარა გულში ხანჯალი. ღაზნელთა გვარის და სრულიად ივერიის შვენება იქვე დაეცა მკვდარი. ქალწულის უმანკო სისხლით შეიღება იატაკზე გაშლილი მდიდრული ხალი...

ამავე დროს უზომოდ შეშინებულმა ბავშვებმა და ქალებმა მორთეს საშინელი წივილ-კივილი.

გამხეცებულმა ანდუყაფარმა უბრძანა მხლებელთ გაეჭლიტათ ყველანი, მაგრამ მათ გადაეღობა ხმალამოწვდილი იასე. შეაჩერა მათი მხეცური მოქმედება. ქსნის ერისთავმა გასცა განკარგულება შეებორკათ ყველანი და ტყვედ წამოეყვანათ. იგი დიდ საფასს ელოდა მათი გაყიდვით ახალციხეში.

სვავები ჩამოვიდნენ მაღალი კოშკიდან ძვირფასი ნადავლით, შემოვიდნენ გზად დიდ დარბაზში, სადაც სისხლში ცურავდნენ მათი ვერაგობის მსხვერპლნი. ჟინეღილებით ხელში შეჩერდნენ ისინი დარბაზის შუა ალაგს და მიმოავლეს თვალი, თითქო ტკბებოდნენ ნამოქმედარით. ამ დროს გაიღო კარები და ბარბაცით შემოვიდა თმააბურძგნული მხრებში მოხრილი ღრმა მოხუცი. ბამბასავით თეთრი წვერი ფართოდ ეფინებოდა მკერდამდე. იგი ფეხაკრეფით მიუახლოვდა იასესა და ანდუყაფარს, დააცქერდა მათ შეშლილის თვალებით, შემდეგ მიმოიხედა ირგვლივ და რა იხილა მუსერა-ელეტის საშინელი სურათი, დაიყვირა საზარელი ხმით:

„აცხადდა შავბნელი სიზმარი... ორი საზარო ვეშაპი მოევლინა ღაზნელთა ციხეს და შთანთქა ღაზნელთა გვარი! ვაი, დალუპულო ოჯახო! რაღაც ვარ ცოცხალი ამის შემდეგ!

ამ სიტყვებით მივარდა სარკმელს, გააღო და გადაეშვა ჯურღმულში, სადაც ადიდებული მეჯუდა მიაგორებდა შავს ზვირთებს.

მოხუცის ძვალი და რბილი გაითქვიფა შავს კლდეებზე, იგი გაიტაცა მდინარის აქაფებულმა ტალღებმა.

ამრიგად მოისრა შუაგულ ქართლში ღაზნელთა სახელოვანი გვარი.

ამრიგად იძია შური მხეცმა ანდუყაფარმა. ღაზნელთა მთელი ქონება და ადგილ-მამული ძმურად გაიყო ორმა ვეშაპმა.

XXXI. შავი უმადურობა

კოლხეთიდან ივერიაში დაბრუნებულ დიდ მოურავს დახვდა საზარო სურათი: უმეფობას წაეხსნა ლაგამი დიდი თავადებისათვის. ისინი შესეოდნენ რაზმებით ერთიმეორეს და იკლებდნენ. იყო მოძმეთა შორის კინკლაობა, ბრძოლა და სისხლის ღვრა, რაზედაც მათ აქეზებდნენ ირანელნიც. განდიდების სენით და დიდი ქონების შეძენის სურვილით აღძრული თავადები არ ზოგავდნენ არც მოყვრებს, არც ახლო ნათესავთ. ყველას სწადდა მეტი ,ყმისა და მამულის ხელში ჩაგდება. ქვეყნის დამღუპველ ბრძოლაში უმთავრესად წყდებოდნენ ყმები, უმწეო ხალხი. დიდებულთა ასეთი თარეში უფრო მეტ ზიანს აძლევდა ქვეყანას, ვინემ შემოსეული მტერი. იქ ზურაბ ერისთავს დაეთხარა თვალები თავისი ძმისათვის, დაეპყრო ერწო-თიანეთი, ახლაკი შესეოდა ფშავ-ხევსურეთს და სწადდა ამ მამაცი ხალხის ქედზე დაედო მონობის მძიმე უღელი. იყო ერთიმეორეზე თავდასხმა, სოფლების გადაბუგვა და საშინელი სისხლის ღვრა.

იასე ქსნის ერისთავს ამოეწყვიტა ცოლშვილით თავისი საკუთარი ძმა შანშე და დაესაკუთრებინა მისი ყმა და მამული. იქით კიდევ გამდგარიყვნენ თ-დი ბარათაშვილნი, ასეთივე ამბები ხდებოდა კახეთშიაც. ამ ტურფა ქვეყანას შესეოდნენ ლეკნი, ცარცვა-რბევით და ტყვეთა გატაცებით

იკლებდნენ ოფლებს. ასავე იქცეოდნენ ქართლში ოსებიც. ერთი სიტყვით ყველგან არსებობდა სრული ანარქია.

აი ასეთ უნუგეშო სურათს წარმოადგენდა სისხლის წვიმებით უხვად მორწყული ივერი, როს გადმოვიდა ქართლში თავისი რაზმით ხალხის მოთავე. იგი მაშინვე ეცა გორის ციხეს, რომელიც ეპყრა ანდუყაფარს ირანელთა ჯარით, სასტიკად დაამარცხა მტერი და აიღო ციხე. ანდუყაფარ შეეხიზნა თბილისში თავის ქვისლს სვიმონ მეფეს. იასე ქსნის ერისთავმა იცოდა სააკაძის ძალა და დამორჩილდა მას.

დააცხრო დროებით თავისი უმაძღარი გული მთის აფთარმა, ზურაბ ერისთავმა. მოურავის ჩამოსვლამ ალაგმა დიდებულთა თარეში და მოდრიკა ისინი გმირის წინაშე. სააკაძეც ლმობიერად მოექცა მათ, განსაკუთრებით ზურაბსა და იასეს, რომელთა სამხედრო ნიჭს დიდად აფასებდა, თანაც ახსოვდა მათი ღვაწლი ქვეყნის გადარჩენის საქმეში.

რაკი მტრის მთავარი ძალები ადრევე შემუსრა, ზოგიც გაუსლტა ხელიდან ყორჩიბაშის სარდლობით, სააკაძემ მოინდომა საბარათიანოს განთავისუფლება ირანელ მეციხოვნეთაგან. ამის გამო მისწერა ბარათი და სთხოვა დახმარება გავლენიან თავადს ხოსია ბარათაშვილს, ამან კი მოსწერა პასუხად:

— ქართველებს აბა რა მოუციათ ჩემთვის, რომ ამას მთხოვ! პირიქით, სპარსნი დიდ წყალობას მაძლევენ, მაჯილდოებენ, ამიტომ მმართებს მათი ერთგულება და სამსახური.

მიიღო რა ასეთი უკმეხი პასუხი, დიდმა მოურავმა საჩქაროდ გასწია თავისი რაზმით და დილის რიჟრაჟზე უეცრივ თავს დაესხა ხოსია ბარათაშვილს ტბეთის სიმაგრეში და შეიპყრო იგი. შემდეგ დაეცა ბირთვისის ციხეს, აიღო მედგარი იერიშით და გაულტა 500 მეციხოვნე ირანელი. აქედან სააკაძე ეცა ლორის ციხეს და იერიშით აიღო ისიც. ლორის მელიქებმა მოასწრეს გაპარვა ციხის ხვრელით. შემდეგ აიღო სამშვილდე, დმანისი და გაწყვიტა მათ-

ში მყოფი მტრის რაზმები. თვით სიმონ მეფე კი თავისი ამალით სააკაძემ დაამწყვდია თბილისის უმთავრეს ციხეში, რომლის აღება შეუძლებელი იყო მცირე რაზმებით: რაკი ამრიგად დაამშვიდა ქართლი, გმირმა გადმოიყვანა იმერეთს გაქცეული თეიმურაზი და დასვა ისევ ივერის მეფედ. ამის შემდეგ სააკაძე შეუდგა ოს-ლეკთა ალაგმვას. ჯერ გადვიდა ოსეთს, დაამარცხა სასტიკად, აიღო მათი სიმაგრენი, ჩააყენა შიგ თავისი გუშაგნი და დაბეგრა მცხოვრებნი. შემდეგ შეაგროვა ივერიაში საკმაო ჯარი, გადვიდა კავკასიონის მთებზე და დაეცა ლეკებს. მოურავის მოულოდნელმა შემოსევამ თავზარი დასცა მათ. სააკაძემ გატეხა შეუვალი დაღესტანიც, აიღო მისი მაგარი ციხენი, დაიმორჩილა მთელი ლეკეთი და დაადო დიდი ბეგარა, თანაც გადმოიყვანა ტყვედ გატაცებულნი კახნი.

ახლა კი საჭირო იყო შიგნით მუშაობა, გავერანებული ქვეყნის მოშენება და აღორძინება. ამ მიზნით სააკაძემ ბოგანოდ ქცეულ მრავალ ბლეხობას მისცა საკმაო ადგილმამული, უმთავრესად კახეთში, და დააბინავა ისინი, თანაც დაეხმარა სურსათით, საშენი მასალით, საქონლითა და ნადავლით, ხანგრძლივად გაათავისუფლა სახელმწიფო ბეგარისაგან. ამრიგადვე დააბინავა დიდმა მოურავმა გამაჰმადიანებული ქართველნი, რომლებიც მოიყვანა ლეკეთ-ირანიდან, ამავე დროს გაიყვანა არხები, ააგო ხიდ-ბოგირები, ხელი შეუწყო დაბა-სოფლების აყვავებას. გაშენდა ქალაქ-სოფლები, დამშვიდდა ქვეყანა, ხალხი შეუდგა მუშაობას, დანგრეული ციხე-კოშკებისა და ტაძრების განახლებას, გაშენდა ბაღები და ვენახები, ამწვანდა მინდვრები პურის ყანებით, გაიშალა საძოვარზე ცხვარი და ძროხა, აღორძინდა თანდათან ვაჭრობა და მრეწველობა... მშრომელი ხალხი თამამად დადიოდა ტყესა და ველად, მას აღარ ეშინოდა შინა და გარე მტრებისა. ყველანი დააცხრო დიდმა მოურავმა. იგი შეიქნა კვლავ მთელი ივერიის დამწყნარებელი, ქომაგი, პატრონი და ამშენებელი. მას აღმერთებდა ხალხი, მას შეჰყურებდა დიდი და პატარა, ის იყო ყველას მამა, მზრუნველი, ფაქტიური მეფე.

ივსებოდა საკაძისადმი მტრობა-უმადურობით ზურაბის ღვარძლიანი გული. ამ გულზვიად თავადს გესლით ავსებდა სიძის ასეთი სიმძლავრე და უპირატესობა; თანაც სწყუროდა ფშავ-ხევსურეთის დაპყრობა და სამუხრანოს ხელში ჩაგდება, ამის ნებას კი არასდროს არ მისცემდა მოურავი. მაშ უნდა მომხდარიყო მათ შორის შეტაკება. ბრძოლით ვერას გააწყობდა ზურაბი, საკაძე გასრესდა მას. ეს კარგად იცოდა არაგვის ერისთავმა, ამიტომ იხვევდა გულში გმირისადმი საშინელ მტრობას და სიძულვილს.

სიძე-სიმამრი, ზურაბი და თეიმურაზი, ეს ორი უძლიერესი პირი, შეიქნენ საკაძის მოსისხლე მტრები. ამათ შეითქვეს პირი და იწყეს საიდუმლოდ მოქმედება მოურავის წინააღმდეგ. ამათ სიამოვნებით მისცეს მხარი ზოგიერთმა გავლენიანმა თავადებმა, — საკაძის ძველმა მტრებმა. გაიმართა შეთქმულება საკაძის დასაღუპავად. შეთქმულება მოხდა ცხინვალში, სადაც საზაფხულოდ იყო მეფე თეიმურაზი. ხალხის ზრუნვაში გართული ივერიის გმირი რას წარმოიდგენდა, თუ მის წინააღმდეგ ამხედრდებოდნენ ის პირნი, რომელთა მიმართ იმდენი ამაგი ჰქონდა გაწეული. მას ვერ წარმოედგინა, რომ იმ პირთ შურითა და ბოღმით ევსებოდათ გული ამ უგვირგვინო მეფეზე, რომელიც ასერიგად შეიყვარა ხალხმა და თავის ნებაზე განაგებდა მთელს სამეფოს. ზურაბ ერისთავი შეეპყრო განდიდების სენს, დღე და ღამ ფიქრობდა მასზე, თუ როგორ დაეპყრო თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ქსნის ხეობა და მუხრან ბატონის სამფლობელო, რათა მით მოეპოვა კიდევ მეტი დიდება და სიმდიდრე. ვინ იცის, ერთ დროს თეიმურაზ მეფის ტახტიც ჩაეგდო ხელში და გამხდარიყო სრულიად ივერიის მეფე. ასე ოცნებობდა ზვიადი ერისთავი და აწყობდა გეგმებს.

საღამო ჟამია. გრილი ნიავი სცემს ლიახვიდან ცხინვალის სასახლის ფართო აივანს, საიდანაც იშლება ლამაზ სურათებად ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. გახურებული მკაა, ნამგლის ტრიალი, ოქროსფრად ბზინავს მრავალალაგას მოუმკელი პური. ხალხის თვალი ძღება ბუნების სიუხვით. გლეხს უხარიწ გული როს მზერს ბარაქიანად მოწეულს

თავის ქირსახტლს. ის ლალია, თაძამი, მას ალარ ეშინის ბატონის, ალარ ეშინის ჩასაფრებულ ოს-ლეკთა ბრბოების. ყველა ალაგმა სააკაძემ.

ხწორედ ამ დროს თეიმურაზ მეფე ფეხმორთხმით ზის ლბილად მოგებულ აიკანის ტახტზე და მის წინ გაშლილ სუფრაზე მასპინძლობს სტუმრებს, ქართლის დიდებულთ. მეფის გვერდით მარჯვნით ზის მისი სიძე ზურაბ ერისთავი, მარცხნივ კი უკვე საკმაოდ მოხუცებული შადიმან ბარათაშვილი, ბერად მოსილი. აქვე არიან დიდი მოურავის ძველი მტრები: ქაიხოსრო ჯავახიშვილი, ფარსადან ციციშვილი და ზაალ მაჩაბელი.

— რატომ ამ გაშლილ სუფრაზე ჩვენს დიდ ბატონ თეიმურაზის გვერდით ვერ ვხედავთ ჩვენს უგვირგვინო მეფეს? ხომ ასე ეძახიან მოურავ სააკაძეს!

ასისინა ჩიფჩიფით გველური ენა ბარათაშვილმა.

— იმას ჩვენთვის არ სცალია, ჩემო შადიმან, — გაეხმაურა მასავით მოხუცი ფარსადან, — ის ხალხსა ფურჩნის, ჯარებს ამზადებს, არ ვიცით კი ვისთვის და რისთვის!

— ადვილი გასაგებია, ბატონო ფარსადან, — მისცა პასუხი ზურაბმა, — ადვილი გასაგებია. თვით გლეხის ნაშიერს გლეხებში ამოსდის სული. მათ აქეზებს მეფისა და თავადების წინააღმდეგ. მათ მფარველობს და ქომაგობს. ეს ბრიყვი ხალხიც ხომ უჯერის! ის მიაჩნიათ მეფედ და პატრონად...

— მართალია, ჩემო ძვირფასო სიძევ, მართალია! მე მხოლოდ ხახელითა ვარ მეფე, მოურავი კი მეფობს ქართლსა და კახეთში! მე მხოლოდ გვირგვინი მადგია თავზე, ის კი უგვირგვინო მეფეა ივერიისა, მისი გამგე და ბატონ-პატრონი! ერთი მიმცნეთ რა მქვია მე შემდეგ ამისა! — წამოიძახა წყენით თეიმურაზმა.

— თქვენი არ მიკვირს, დიდო მეფეო! აბა რად უთმენთ ამდენს, თქვენმა მზემ, მეტისმეტად გაალალეთ და გაათამამეთ მეფეებმა. ეს ჩემი ნაყმევი, გუთნისდედა შიოშის-ძე! — შეეკამათა ჯავახიშვილი და შესვა მეფის სადღეგრძელო. მას მიჰბაძეს სხვებმა, დაცალეს კულა-ყანწები და აზარფეშებში [illegible]

— ჩინებული ღვინოა, თქვენმა მზემ, ეს ატენის ღვინო, მაგრამ ჩვენს კურთხეულ კახურს მაინც ვერ შეედრება, — წამოიძახა სახლთუხუცესმა ბიძინა ჩოლოყაშვილმა, — არავინ თუ საქართველოში, მთელს დუნიაზე ღვინო არ შეედრება ახმეტა-წინანდალსა და ყვარელ-კარდანახში დაწურულს დალოცვილ საფერავ-რქაწითლის წვენსა. — დაამთავრა ბან და სიამოვნებით გადახედა მეფეს.

— ეგ კი მართალია, ჩემო ბიძინავ! — დაუკრა კვერი თეიმურაზმა.—აბა, სად არის კიდევ ალაზნის ველისთანა ღვინო. იმისთანა საამო სასმელი, მძლავრი, მაგარი! არსად ქვეყანაზე! ოდესღაც, შაჰის ელჩები მეწვივნენ გრემსა, შევიყვანე ჩემს ქებულ მარანში, მოვახდევინე თავი სამასჩაფიან ჭურსა, ამოვაღებინე მოდიდო ორშიმოთი საფერავის შავი ღვინო. პირველად მე თვით დავცალე დიდი ყანწი და გადავედი მათთან ალავერდს. მათ თითქოს უკრძალავს მაჰმადი ღვინის სმას, მაგრამ თავი ვერ შეიკავეს. უნდა გენახათ, რა მოხდა! დასცალეს თუ არა თითო ყანწი, იქვე წაიქცნენ დახოცილნი, ენას ვეღარ სძრავდნენ: რაღაცას ლუღლუღებდნენ. ძლივს გამოვათრიე მარნიდან უზომოდ დამთვრალნი... ეე, რამდენი ჩვენ მაშინ ვიცინეთ! უნდა გენახათ, ბატონებო, რარიგად აჯავრებს მათ ჩემი მასხარა. ერთი დამიძახეთ, ჩემო ბიძინა!

— გურგენა გორში გეახლა, ბატონო, აკი ამ დილით გაუშვით თქვენ თვითონ!

— ჰო მართალია, სულ დამავიწყდა!

— კარგია, რომ აქ არ არის ამჟამად: ხელს შეგვიშლიდა, ჩაილაპარაკა თავისთვის შადიმანმა.

მას ყური მოჰკრა მეფემ და შეეკითხა:

— განა რარიგად შეგვიშლიდა ხელსა?

— საკმაო საბუთი მაქვს ვიფიქრო, სწორედ მაგან გასცა პაპათქვენი მეფე ალექსანდრე და ქართლის მეფე გიორგი, როცა იმათ პირველად გაუგზავნეს ელჩები მოსკოვის ხელმწიფეს. ამიტომ გირჩევთ დიდათ ერთგული შადიმან ბარა-

თაშვილი ფრთხილად ბრძანდებოდეთ მაგასთან, არ ამცნოთ თქვენი ხვაშიადი და ფარული ზრახვანი.

— მე კიდევ პირველ საკითხს ვუბრუნდები, — დაიწყო ზურაბმა. — რა მოვუხერხოთ ამ გაბატონებულ გლეხს? რო. გორ ავლაგმოთ მისი ზვიადობა? რაკი იმ სათარეშო ბრძოლით დააფრთხო და განდევნა სპარსნი, ეს მეოთხე წელია სულ ერთიანად დაგვაჯდა თავზე. კაცად აღარ გვაგდებს არც მეფესა და არც დიდებულთ. ანგრიშს არ გვიწევს არავის. თავის ნებაზე განაგებს და ბრძანებლობს მთელ ივერიას. ის გახდა მეფეცა და ვეზირებიც. ჩვენ-კი მაჩანჩალა შევიქენით მხოლოდ, მეტი არაფერი! რამდენ ხანს უნდა ვითმინოთ კიდევ ასეთი დამცირება ან მეფემ, ან დიდებულებმა?! როდემდე! აივსო მოთმინების ფიალა...

— ჩვენ, თავადებს, ხომ ენა ჩაგვიგდო, პირში ლაგამი ამოგვდო. შინაყმები გადაგვირია, ჩამოგვართვა მამულები და გააზატებულ გლეხებს დაურიგა. ერთი სიტყვით, რა არ ჩაიდინა და რას არ ჩადის! — წამოიძახა გაცხარებით ზაალ მაჩაბელმა.

— რა იცით, რომ ერთ მშვენიერ დღეს მეფედ არ გამოაცხადებს თავის თავს ეგ მდაბიო და ბაგრატიონთა დიდებულ ტახტზე არ დაბრძანდება ივერიის მეფედ! — წამოიძახა შადიმანმა.

ამ მწვავე, შხამიანმა სიტყვებმა საშინლად დასერა თეიმურაზისა და ზურაბის გული.

— ნუთუ ვერაფერი მოუხერხეთ ამ ერთ კაცს მეფემ და დიდებულებმა?! — წამოიძახა ფარსადანმა.

— აბა რა მოვუხერხოთ?! მოვკლათ?! — შეეკამათა მეფე.

— დიახ, მოჰკალით, თუ სხვაფრივ ვერაფერს უხერხებთ! მოჰკალით! ერთი კაცის მოკვლა სჯობია მეფე-დიდებულთა ამდენ შერცხვენასა და დამცირებას! — წამოიძახა ქაიხოსრო ჯავახიშვილმა.

— ნუ ყვირი ეგრე, ვეჟო, წყნარად... ასეთი დიდი საქმე ყვირილით არ კეთდება, ჩემო ქაიხოსრო! — შეეკამათა დაბალი ხმით ბარათაშვილი. — შეუძლებელია ასეთი თაობირის მოწყობა გაშლილ სუფრასა და მეტადრე აივანზე. ბრძა-

ხეთ მეფეო, და შევიდეთ სათათბიროდ შენ საიდუმლო სენაკში. აქ, ამ ღია ალაგს, არ შეიძლება ასეთ მძიმე საქმეზე საუბარი. ყველაფერს ყური აბია... და თუ მოურავმა გაგვიგო, მაშინ... ჰე, მაშინ გამოეთხოვეთ წუთისოფელს!

— თუ კი ეგეთი საშიშარია მოურავი, მაშ შენ როგორღა გადურჩი, რაც ზიანი მიაყენე? — შეეკითხა ზურაბ ერისთავი.

— მე, ბატონო ჩემო, ბერად შევდეგ მაშინვე, გამოვიცვალე სახელი და ჩავიკეტე ერთ შორეულ მონასტერში. ხომ ხედავ, ბერის სამოსი მაცვია და სახელადაც გენადი მქვია... აბა, ვინ მიხვდება, რომ ამ მოკუნტული და თმა-წვერ გათეთრებული ბერის სახით კიდევ ჰგიებს ამ ქვეყნად ერთ დროს ლაღი და ძლიერი მეფის ლალა შადიმან ბარათაშვილი, უძინარი მტერი გიორგი საakაძისა, რომელმაც ერთ დროს დაჰგმო ჩემი ხმალი და ვაჟკაცობა. განა ეს დამავიწყდება ოდესმე?!

— მაშ რა უხერხოთ იმ კაცს! მივუჩინოთ მკვლელნი?! — შეეკითხა მეფე.

— დიახ, ეგ არის! უნდა მოკვდეს მოურავი, რათა დაშვიდდეს ქვეყანა. უნდა ემსხვერპლოს მეფესა და დიდებულთ ეგ ერთი კაცი, ხოლო წინასწარ უნდა დაარხიოთ ხალხში ხმა, რომ საakაძე მოღალატეა, გამცემია, შაჰის ერთგულია, რომ მაგის შთაგონებით აოხრა შაჰაბაზმა მთელი კახეთი, რომ მაგას ხელები აქვს ვასვრილი ლუარსაბ მეფის უმანკო სისხლში... და ყოველივე ესა უნდა ჩაიწეროს ქართლის ცხოვრების მატიანეში, რათა მოურავს მარადის ჰქონდეს მოცხებული მოღალატის ჩირქი... გარდა ამისა, ბატონებო... — მყის ენა ჩაუწყდა შადიმანს.

მოისმა კიბეზე ამომსვლელთა ფეხის ხმა. ივანზე უცებ გაჩნდა ჯუბა-ჯავშან-მუზარადიანი, იარაღჟურვილი მუზარიმაზარი რაინდი ორი თანმხლებით.

— მოურავი! საakაძე — წამოიძახეს უზომო გაოცებით და შეშფოთებით მეფემ, დიდებულებმა და წამოცვივდნენ ხეზე. შადიმან ბარათაშვილი სადღაც გაიპარა უცებ.

— დიახ, ის გახლავართ, ბატონებო! არ მელოდით, გაინა? — დაიგრგვინა სააკაძემ. ამ გრგვინვაში ისმოდა რისხვა და დაცინვა. — ბოდიშს ვიხდი, რომ შეგიშალეთ სუფრაზე სიამოვნება და ტკბილი, უმანკო საუბარი! — განაგრძო მან იმავე დაცინვის კილოთი. აბა, ის მორიელი სად გაქრა, ბერის სამოსით, ჩემს მოსაკლავად რომ გაქეზებდათ და თანაც შაჰის ერთგულად და ჩემი ქვეყნის მოღალატედ რომ მნათლავდა! სად შეძვრა? სად წავიდა? გელავ, შედი და გამოათრიე ის მოხუცი ბერი, ის გესლიანი მორიელი... პაპუნავ, ვადასძახე ბიჭებს ალყა შემოარტყან სასახლეს! არავინ გაუსხლტეთ ხელიდან... დაბრძანდით, ივერიის მეფევ და დიდებულნო! განაგრძეთ ლხინი და საუბარი... დაჰგმეთ, გაქირდეთ, მოჰკალით თქვენი ერთგული და თქვენთვის თავდადებული მოურავი... რას დგეხართ! დაბრძანდით...

მეფე და დიდებულნი კი იდგნენ ფეხზე ენაგამშრალნი, დარცხვენილნი და უზომოდ შეშინებულნი.

— აი, მოველ მცირე რაზმით თქვენს წინაშე! თვით ბედისწერამ მომაგდო აქა... მიხაროდა, რომ ვნახავთ მეფესა და დიდებულთ, რომელნიც ესეცაა ვიხსენ ტყვეობისაგან. დიახ, სპარსთა ძლიერი რაზმი გემუქროდათ თავდასხმას და დატყვევებას, ხოლო ამ ერთი ჟამის წინ გავფანტე სპარსნი და გამოვეშურე აქეთ სამახარობლოდ, რას ვიფიქრებდი, თუ აქ დამხვდებოდნენ ჩემი ძველი „მოკეთენი“: ბატონი შადიმანი, ფარსადან, ზაალ და ქაიხოსრო, რომელთაც ერთ დროს შემასვეს ბევრი შხამი და სამსალა. მათ შორის კი ჩემს მიერ პირველ კაცად ქმნილი, ჩემი ძმადფიცული ცოლისძმა ზურაბ და თვით მეფე ივერიისა თეიმურაზ პირველი, რომელიც იმერეთს გადახვეწილი ორჯერ ჩამოვიყვანე აქეთ და ორჯერ დავადგი თავზე მეფის გვირგვინი... აი, ჩემს წინააღმდეგ შეთქმულთა თაიგული! და აჰა, მეც მათ შორის ჩემს უნებლიედ გამჩდარი! რას უდგეხართ, სამშობლოს მტრებო, გამოიჩინეთ გამბედაობა და აღმართეთ იარაღი იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელმაც სამჯერ იხსნა ქართლ-კახეთი დაღუპვისაგან და მასთან თქვენ; პირველად თათარხანის შემოსევის დროს 1609 წელსა, ხოლო შემდეგ ორჯერ

შაჰაბაზის რისხვისაგან და ერანის უამრავ სპალაშქრისაგან 1623 და 24 წლებში... ახლა-კი აღარ გინდივართ, განა! მეტი ვარ, ხელს გიშლით! ამიტომ მადლობის ნიშნად და ამოდენ ამაგის მუქაფად მოკვლას მემუქრით, მკვლელებს მიგზავნით მუხანათურად! სირცხვილი შენდა, არაგვის ერისთავო ზურაბ, ჩემო ცოლისძმავ და ადრევე ჩემდამი ძმადფიცულო! სირცხვილი! ზურაბ ერისთავო, აბა სთქვი, ერთი, რა დაგიშავე? ჩემის მეოხებით გახდი არაგვის დიდი ერისთავი და შეიძინე უამრავი ქონება, დაგამოყვრე თეიმურაზ მეფეს და გაგხადე უპირველეს დიდებულად მთელს ივერიაში. შენ არ შეჯერდი ამაებს, დასთხარე, ვერაგო, ერთ საკუთარ ძმას თვალები და გააძევე იმერეთს, ხოლო მეორე ძმა გიორგი მოჰკალი კიდეც. ამათი ყმა და მამული შენ დაისაკუთრე. და როცა არც ესენი იკმარე, უმაძღარო ვეშაპო, დასაპყრობად ხელები გაუწვდინე თუშ-ფშავ-ხევსურეთს, გწადდა დაგედგა მონობის უღელი ამ მამაცი ხალხის კისრად, და არ მოგეც ამის ნება, აგრეთვე როს წინ აღვუდექ შენს მეორე წადილს, რომ ხელში ჩაგეგდო ქსნის საერისთაო და მუხრან ბატონის სამფლობელონი, რათა მით გამხდარიყავ ფრიად საშიშარი მთელ სამეფოში, აი სწორედ ამიტომ შეიქენ ჩემი მოძულე და ჩემი უძინარი მტერი... ახლა კი აშკარად ვხედავ ყველაფერს. ემზერ თქვენ ორთავეს შავს უმადურობას!

— აჰა, ერის მოთავევ, შენი მგესლავი მორიელი, შენი უძინარი მტერი შადიმან! ძლივს ვიპოვე და გამოვათრიე სასახლის ჯურღმულიდან. იქ ჩამძვრალიყო! — წამოიძახა გელამ და ძირს დააგდო ხელფეხგაკრული შადიმან ბარათაშვილი, რომელიც ცახცახებდა, ვით ვერხვის ფოთოლი. მკვდრის ფერი ედო მოხუცის სახეს.

— გაუხსენით ხელფეხი და დასვით ტახტზე!

მყის შესრულდა გმირის ბრძანება. შადიმანი დაემხო მოურავის წინაშე.

— აღსდეგ, მოხუცო! ხმაზევე ვიცან ბებერი მგელი, ცხვრის ტყავში გახვეული, — დაიწყო უფრო დინჯად მოურავმა. — შადიმან ბარათაშვილო! სად იყავ ამდენი ხანი?! სად დამემალე?! გეგონა არ ვიცოდი, სადაც იყავ შეფარე-

ბული ბერ-მონაზონის სქემით მოსილი?! გეგონა, გახა, ვერ მივაგნებდი გენადი ბერსა ზარზმის ლავრაში?! ცდებოდი ძლიერ. არ ვერჩი მტრებსა, რომლებიც გარბიან, არც წაქცეულებს. ამის მოწმენი არიან აი ეს ჩემი მტრები. აბა სთქვით, თუ ვისმე თქვენგანზე ვიძიე შური! პირიქით, ბევრს თქვენგანს სიკეთე ვუყავ!

— სრული სიმართლეა, ბატონო მოურავო! — დაადასტურა ყველამ.

— ახლა შენ თვით აღიარე, შადიმან ბარათაშვილო, ვინ ჩაუგდო ერანის შაჰს ხელში ლუარსაბ მეფე — მე, თუ შენ? სთქვი სიმართლე, მოხუცო!

— მე, ბატონო მოურავო, მე გადმოვიყვანე უბედური მეფე იმერეთიდან და ჩავაბარე შაჰაბაზს. — წაილუღლუღა შადიმანმა აკანკალებული ხმით.

— ჰოო! მაშ ვინ ყოფილა მისი მკვლელობის მიზეზი: მე თუ შენა?

— გამოდის, რომ მე, დიდო მოურავო. ხოლო ვფიცავ ზენას, არ ვიცოდი, თუ წყეული ყიზილბაში სასიკვდილოდ გაიმეტებდა სრულიად უდანაშაულო ადამიანს.

— ახლა ეს მითხარ, მოხუცო შადიმან, რაღად მდებ ბრალს შენ და ბეიმურაზ მეფე ლუარსაბის სიკვდილში, რად მახვევთ თავზე თქვენს საკუთარ დანაშაულს? ნუთუ, წყეულო არსებავ, ველარ გაძეხი ჩემი ამდენი მტრობით და შურისძიებით?! ან რა დაგიშავე ასეთი?!

შადიმანი კვლავ დაემხო მოურავის წინაშე ამ სიტყვებით:

— უსაზღვრო დამნაშავე ვარ შენს წინაშე, დიდო რაინდო, ღირსი ვარ ყოველგვარი სასჯელისა, ხოლო გევედრება, ხალხის მოთავევ, მოხუცი შადიმან ბარათაშვილი, დიდსულოვნებით აპატიო მას ესოდენი დანაშაული და მისცე საშუალება შენ ლოცვაში დალიოს სული ზარზმის მონასტრის თაღებ შორის...

ამ სიტყვებთან ერთად მოხუცი შადიმანი მიიწია ხელზე საკოცნად.

— არ არის საჭირო! მიპატიებია დანაშაული ყველასთვის ეა პირადად შენთვის, მოხუცო მელავ. შემეძლო ახლავე

სულ ყველას ერთობლივ დატუსაღება და სამართალში მიცემა. ვნახავდი, თუ როგორ მოიწონებდა ხალხი თქვენს ასეთ საქციელს! მაგრამ არა, არას გერჩით თავდახრილთა და შეშინებულთ!

დეე, თქვენ სინდისმა დაგდოთ სათანადო სასჯელი! აშკარად ვხედავ, რომ ივერიის მეფე-დიდებულნი ვეღარ ჰგუობთ ჩემისთანა კაცს! ამიერიდან ან მე ან თქვენა! ერთად კი ვერ ვთავსდებით ამ პაწაწა ივერიაში. ვნახოთ! ვიფიქროთ!

ამ სიტყვებით დინჯად ჩავიდა კიბეზე სააკაძე, მოაჯდა თავის შავ მერანს და, ვით მოჩვენება, გაქრა წყვდიადში. მის კვალს აეღევნენ ორივ თანმხლებნი და მამაკი რაზმი.

სასახლის აივანზე კი კვლავ იდგნენ მასპინძელნი და სტუმრები ზარდაცემულნი. შეჩერებოდნენ ერთიმეორეს და ვერ გაერკვიეთ. ცხადად თუ სიზმრად მოევლინა მათ გიორგი სააკაძე.

მიაგელვებდა თავის ბედაურს დიდი მოურავი შავი ფიქრებით გარემოცული. მან ადრევე იცოდა კარგად, რომ მეფე და თავადთა დიდი ნაწილი არ იყვნენ კმაყოფილნი, რაღგან მოურავი თავისი დიადი მოქმედებებით ფრიად აჩერებდა მათ და აჩიოტებდა მათ პიროვნებას, ხოლო ამას კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ისინი მოინდომებდნენ მის ღალატით მოკვლას, თანაც დასწამებდნენ საშინელ ცილსა. ეს იყო მათი მხრივ შავი უმადურობა, უაღრესი ვერაგობა. მას ზურგი აქცია ზურაბმაც-კი, ძმადფიცულმა და ცოლისძმამ, რომლის მიმართ მიუძღოდა იმოდენა ამაგი და სიკეთე. ამის შემდეგ რაღა რჩებოდა?! ან ივერიიდან გაცლა მთელი ცოლშვილით, ან ოჯანყება და ძმათა შორის სისხლის ღვრა. საჭირო იყო ამ მძიმე გარემოების კარგად აწონ-დაწონა. გმირმა მიაშურა ნოსტეს და სასწრაფოდ დაიბარა სათათბიროდ თავისი უახლოესი მეგობრები და ძმადფიცულნი: ელია დიასამიძე, დავით გოგორიშვილი, კახაბერ ხერხეულიძე, გიორგი ქავთარაძე. აგრეთვე დიდი მამულიშვილი, ფრიად განათლებული პირი დომენტი მროველი და თავის მარად თანმხლებნი პაპუნა ვაშაყაშვილი და ცარო.

მესამე დღეს შედგა თათბირი. თითქმის ყველანი იმ აზრის იყვნენ, რომ მოეხდინათ აჯანყება, გადმოეგდოთ ტახტიდან მცონარე თეიმურაზი, შეეპყროთ მისი მომხრენი და ივერიის ტახტზე დაესვათ მეფედ დიდი მოურავი.

— მართალია, შენი გამეფება, დიდო გმირო, გამოიწვევს ძმათა შორის შეტაკებას, დიდ სისხლის ღვრას, მაგრამ უსისხლოდ არაფერი კეთდება. გვირგვინმოსილი, შენ შესძლებ ნებით თუ ძალით შეიერთო კოლხეთ-მესხეთი და მით წარმოშვა ერთი ფაენის ქვეშ გაერთიანებული ძლიერი საქართველო. ამ სახით, ხალხის მოთავევ, ხორცს შეისხამს შენი დიდი ხნის ოცნება; შენი ძლიერი მარჯვენით კვლავ აღსდგება ძველი დიდებით მთლიანი საქართველო, კვლავ გაშლის ლაღად ფრთებს ქართველი ერი, საუკუნეთა მანძილზე გათიშვა-ბრძოლით ესოდენ ტანჯული, დაკნინებული, კვლავ ინავარდებს ერის სული განათლება—შემოქმედების მაღალ სფეროში, წარმოთქვა გრძნობით დომენტი მროველმა.

— გაბედე, ქვეყნის დიდებავ! გადადგი ეს გონივრული ნაბიჯი! უსმინე ბრძენი დომენტის ფრიად გონივრულ რჩევას! ერის უმეტესი ნაწილი: მთელი გლეხობა, მთა და წვრილი აზნაურნი, სულ შენკენ არიან! მაშ რისიცა გეფიქრება! — ჩასძახოდნენ აქეთ-იქიდან მისი მომხრენი.

მოურავი კი იჯდა მდუმარედ ღრმა ფიქრებით გარემოცული. ხმას არ იღებდა. ბუმბერაზს დაეხარა თავი. მწვავე ფიქრებს დაეღარა მისი შუბლი. სამარის მსგავსი სიჩუმე ჩამოწვა დარბაზში, ყველანი შესცქეროდნენ დიდებულ ადამიანს, რომლის გენიოსურ თავში წყდებოდა სრულიად ქართველი ერის ბედი და იღბალი. გავიდა საკმაო ხანი. დუმილი დაარღვია საკაძემ. იგი წამოდგა დინჯად, გადახედა კრებას და დაიწყო:

— ვერა, ვერ ვიზიარებ მაგ თქვენ რჩევას, ძვირფასო ძმანო და მეგობარნო! აჯანყებით და ბრძოლით დიდ უბედურებას შევამთხვევთ ისედაც სისხლით დაწრეტილ ივერიის ხალხს. ეს ძმათაშორისო ბრძოლა არც ისე მალე გათავდება, როგორც გგონიათ. მთელი კახეთი მხარს დაუჭერს მეფე

თეიმურაზს, ხოლო არაგვის ხეობა ზურაბ ერისთავს და შეუკრავს გზას მთის ხალხებს, თუშ-ფშავ-ხევსურთ ჩვენდა დასახმარებლად. შეიძლება თეიმურაზმა იმერთა მეფეც ჩარიოს ამ საქმეში და მაშინ ხომ დაიღუპა ეს ჩვენი საქმე! დამეთანხმებით, რომ კახეთის მკვიდრნი მუდამ არჩევენ მეფედ ბაგრატიონთა გვარის გვირგვინოსანს, ქეთევან წამებულის ძესა, ვინემ მდაბიო წრიდან გამოსულს, შიოშ საакაძის შვილს დიდ მოურავს. და არამცთუ კახეთი, თვით ქართლის აზნაურობა და სასულიერო წოდებაც ამ აზრის იქნებიან. არას ვამბობ ქართლის თავადებზე; მაშ ეს აჯანყება, ეს ნაბიჯი არც ისე ადვილი საქმეა, როგორც გგონიათ თქვენა. გარდა ამისა, ეს ძმათაშორისო ომი აამხედრებს ივერიის წინააღმდეგ მის უძინარ მტრებს: კავკასიონის მთის ხალხებს, ოს-ლეკ-ჩეჩენთ, და ორ დიდ ვეშაპს — სპარსეთსა და ოსმალეთს, რომელნიც მარად გვემუქრებიან ჩასანთქავად... მაშინ ხომ სულ მთლიანად დაიღუპა მთელი ივერია! ხომ ჩვენ გავხდით მისი დაღუპვის მიზეზნი! არა, ძმებო! ჩვენ ჩიხში ვართ მოქცეულნი! უამრავი მტერი გვახვევია შიგნით და გარედან! აი, რაშია ქართველი ერის უბედურება! კიდეც რომ გავიმარჯვოთ ზურაბ-თეიმურაზზე, კიდეც რომ დავამარცხოთ მეფე და დიდებულნი, მაშინ აბა ვინ დავსვათ ივერიის მეფედ?! ვინა გვყავს ესოდენ ღირსეული ადამიანი?! უმეფობა ხომ არ შეიძლება, უმეფობა ხომ აღვირს წახსნის ჩვენში დიდსა და პატარას, გამოიწვევს გაუთავებელ ურთიერთ კინკლავსა და არევდარევას! მაშ მეფეა საჭირო. ახლა ვიკითხოთ, სად არის ეს სამეფო კაცი? ვინ არის ივერთ მეფობის ღირსი ადამიანი?!

— ვინა და შენა, ერის დიდებავ, ქვეყნის ნუგეშო! შენ, უძლეველ გმირო, დიდო მოურავო! შენა! — მიაძახეს ერთხმად.

— მეე?! არა, ჩემო ძმანო და მეგობარნო! მე ვერ გამოვდგები ამ დიდი საქმისათვის! მეფის გვირგვინი არ დაშვენდება საакაძიანთ გვარსა... ბაგრატ მესამის, დავით აღმაშენებლის, დიდი თამარის და გიორგი ბრწყინვალეს დიდებულ ტახტზე ვერ დაჯდება ნოსტეველ გლეხის შიოშის ვაჟი! მო-

ურავის ასეთ განდიდებას ვერ იგუებენ ივერთა მკვიდრნი, დიდნი თუ მცირენი, და შეიქნება მუდამ შფოთი, შეთქმულება და აჯანყებანი ჩემს დასამხობად. გარდა ამისა, კიდეც რომ დიდის სისხლის ღვრით, დიდის მსხვერპლით და მოძმეთა გაჟლეტით შევძლო სიმშვიდის დამყარება ივერიაში, ამით ხომ არ თავდება საქმე. საქართველოს გაერთიანება ხომ მოითხოვს მთელი კოლხეთისა და მესხეთის შეერთებას! როგორ გგონიათ, ძმანო, ოსმალეთი განა უომრად დამითმობს საქართველოს იმ კუთხეს, რომელიც ორი საუკუნის მედგარი ბრძოლით ძლივს ჩაიგდო ხელში?! ან კოლხეთის მეფე-მთავრები ასე გულდინჯად მოიხრიან ქედს მეფე გიორგი საakაძის წინაშე, თუ გაგვიმართვენ ხანგრძლივად გააფთრებულ ომსა და ბრძოლებს?! აბა ვინ იტყვის წინასწარ რომ უსათუოდ ჩვენ გავიმარჯვებთ?! ვინ იცის, თუ რა საბედისწერო შედეგი მოჰყვება ქართლოსის ტომთათვის ამ ძმათაშორისო ბრძოლას! არა, ძმანო, ეს არ ეგების! სჯობს სხვარიგ მოვაგვაროთ საქმე...

თვით მე დროებით უნდა გავეცალო ჩემს ივერიას. უნდა შევეფარო ოჯახობით იმერთა მეფე გიორგის; ის კარგახანია მეპატიჟება კიდეც. დეე, სცადონ აქ უჩემობა მეფემ და დიდებულებმა. დეე, უჩემოდ მოიგერიონ მტრები, რომელნიც თავს აიშვებენ ჩემი გარდახვეწით!

მოურავს ხმა აუთრთოლდა და თვალებზე ცრემლი მოადგა.

— მერე ხომ ბოლო მოეღო შენს დიდებულ მიზნებს საქართველოს გაერთიანების შესახებ! — წამოიძახა ელია დიასამიძემ.

— არა, მეგობარო! პირიქით, უფრო ვუახლოვდებით იმ ჩემს მიზნებს.

— აბა რარიგად, ერის ნუგეშო? — შეეკითხა მროველი.

— უკვე მყავს სახეში ისეთი პირი, რომელსაც ძალუძს ჩვენი დახმარებით ივერთა ტახტის დაპყრობა და საქართველოს გაერთიანება.

— ვინ არის იგი? — შეეკითხნენ ყველანი ერთხმად.

— ჯერ ვერას გეტყვით, ვშიშობ არ გახმაურდეს... მალე გაცნობებთ ყოველივეს ფრიად საიდუმლოდ და მზად იყა-

ვით, ფრთხილად იმოქმედეთ. შეიძინეთ მომხრენი, სურსათი, იარაღი... ელოდეთ ამ მოკლე ხანში ჩემს ნიშანსა და პაემანს... მანამდე კი გამარჯვებით გნახეთ, ჩემო საყვარელო ძმანო! იცოცხლეთ ჯანსაღად და მრავალჟამიერ!

ამ სიტყვებით მოურავი გადაეხვია თავის ძმადფიცულთ და მეგობრებს.

— როგორ, გიორგი! შენ მიხვალ და ჩვენ აქ გვტოვებ?! არა, აქ რაღა გვინდა! ჩვენც ყველანი შენთან მოვდივართ იმერეთს, — მიაძახეს ერთხმად.

— არა, ძმანო, თვით საქმე ითხოვს თქვენ აქ დარჩენას და საიდუმლო მუშაობას. მე წავიყვან მხოლოდ გელას და პაპუნას, რათა მათი მეშვეობით ვავაბა თქვენთან ურთიერთობა. აქ გიტოვებთ გიორგისა და თამაზს, თუ რამე იყოს ისეთი, მაშინვე მაცნობეთ ამათი პირით.

ამრიგად გადაწყდა ეს მძიმე საკითხი. მეგობრები გულისკვნესით დაეთანხმენ მოურავს. ის ამ დღეებში უნდა გასცლოდა ივერიას, უნდა გადასულიყო ცოლშვილით კოლხეთში. მალე მოემზადა იგი და გაუდგა გზას სურამის უღელტეხილით. მწარე ბოღმით გულავსებული მიდიოდა იმერეთს...

ხარობდნენ მისი მტრები, გლოვობდა ხალხი, გიორგის წასვლით დაობლებული... აი, რა მწარე სიტყვებს ათქმევინებს ივერიის გმირს პოემა „დიდ მოურავიანის“ ავტორი იოსებ თბილელი *:

ქართლს მოვავლე გალავანი, აწ ვინ აქცევს
ზღუდეებსა!
ჩემად ნაცვლად ჩემს სამკვიდროს ვინ დაიდებს
ბუდეებსა!
რა შაჰაბაზს მე ვიახელ, არ გამიყვის ნატალები,
რა მიბრძანის, რა მიბოძის, ტკბილი სიტყვის
სათქმელები...
ძათი დავსთმე სიტკბოება, შენთვის ** დავდე თავი
სულა,

* იოსებ თბილელი ცხოვრობდა მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში.
** ე. ი. ივერიისთვის.

შვილი პირმშო საყვარელი, სიცოცხლე და ჩემი
სულა...
ჩემობითა მებრალები, ვაჰმე, ქართლო,
სუსტობისთვის!
გალავანი დაგექცევა, გადგებიან თავთავისთვის...
ეგზომ ჩემი ჭირნახული აწ გადაგდო როგორ,
სხვისთვის?!
ოდეს მტერი წამოგატყდეთ, მომიგონებთ ამ
სიტყვისთვის...
ყველამ იცით, რომე ქართლი ჩემი ხელით
დახსნილია,
თვარ შეიტყობთ ამას იქით, მტერი ისევ ახსნილია,
ჩემი ხმლისა ნაშოვარის გულისპირი წახსნილია...
ამდენ ხანსა ვეღარ გავძლებ, რაც ხანი მაქვს
განასული,
არ დავზოგე ქართლისათვის ძმა, შენი და განა
სული!
თავი დავდე საწამებლად ხორცი საკვდავ
განასული".

XXXII. მშვენიერ კოლხეთში

დიდი მოურავი მთელი ჯალაბით შეეხიზნა იმერეთს. მეფე გიორგიმ დიდებითა და აღტაცებით მიიღო იგი. ჩასვლისთანავე მოურავმა დაუმორჩილა გამდგარი უძლიერესი თავადი ქველი წერეთელი, რითაც უზომოდ გაახარა მეფე და მით დაიმსახურა კიდევ მეტი პატივისცემა.

ამის შემდეგ ივერიის გმირი შეუდგა სამზადისს. როგორც ვთქვით, მისი მიზანი იყო საქართველოს გაერთიანება და ძველი დიდების აღდგენა. მას ღრმად სწამდა, რომ შეერთებული ივერი, კოლხეთი და მესხეთი ადვილად გაუძლებდნენ მუსლიმთა ტალღებს და მოიგერიებდნენ ძლიერ მეზობლებს. ერთობაში იყო ძალა და ბრწყინვალე მომავალი, დაქუცმაცებაში კი უძლურება და სხვისი მონობა. ამის მაგალითებს ხედავდა საკაძე ქართველი ერის წარსულში. მას თავიდანვე არ მოსწონდა თეიმურაზი. არც სურდა იგი ივერიის მეფედ, მაგრამ საქართველოს საარაკოდ გადარჩენის შემდეგ იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა დიდი უმეტესობის ნებასურვილს და მოეწვია მეფედ იმ დროს იმერეთს გადახვეწილი თეიმურაზ პირველი.

სექტემბრის დასაწყისი. ქუთაისი. უქიმერონის მთაზე გოროზად ამართულან ბაგრატ დიდის ციხე-კოშკები, სასახლე და უზარმაზარი ტაძარი. წინ გადაშლილა ბაღებში ჩაფლული ვრცელი ქალაქი. მას შუაზე ყოფს ცელქი რიონი, ეს კავკასიონის მთების ნებიერი შვილი. მისი ზვირთები ვერცხ-

ლივით ბზინავს დილის მზის სხივებზე. შორს კი, სამხრეთით და დასავლეთით, ფართოდ გაშლილა ქვემო იმერეთისა და ოდიშის ვრცელი, ფრიად ნაყოფიერი ვაკე, რომელზედაც ოქროსფრად ბზინავს ღომისა და ფეტვის ყანები, ალაგ-ალაგ სათიბებ-საძოვრებით და დობილოებით ამწვანებული. შუაში კი განივრად ლაპლაპებს მკერდგაშლილი რიონი. ამ ვრცელ ვაკეს სამხრეთით ავლია მაღალ ზღუდედ სურამ-აჭარის ქედი, ტყით დაბურვილი და მოლურჯო ბლონდმოხვეული.

სასახლის ეზოში გუშაგმა შემოუშვა ვიღაც შავნაბადმოხვეული ჭარმაგი მოხუცი, რომლის თეთრად შესირმულ გაჩეჩილ თმას ამკობდა შალის ფაფანაკი. იგი დინჯად მიუახლოვდა სასახლის წინგარდს, მოიმარჯვა იღლიაში ამოჩრილი სტვირის გუდა და ააზუზუნა თვლებით მოოჭვილი ყანწისებური სტვირი; თანაც ააყოლა სხვადასხვა შაირები. ეს იყო საკმაოდ ცნობილი რაჭველი მესტვირე თედორე.

— რაჭიდანა ჩამოვედი, მესტვირე ვარ მე ონელი,
ყველანი ღმერთმა გაცოცხლოთ სტუმარი და
მასპინძელი.
შორი გზიდან მოსული ვარ, გამშრობია მე ყელიო,
ბატონებო, გამომხედეთ, თქვენს წყალობას
მოველიო.

შაირმა და სტვირის ხმამ გამოაფინა გარეთ სასახლის ქვემო სართულიდან სუფთად ჩაცმული ლამაზი გოგო-ბიჭები, ესენი შემოეხვივნენ მესტვირეს და დაუწყეს ჩვეულებრივ ლაზღანდარობა. ერთმა თავხედმა ახალგაზრდამ მიახალა რაღაც უწმაწური შაირი, ამას მოჰყვა გოგო-ბიჭების სიცილ-ხარხარი. ასეთ შაირზე უცებ მიიღო მან მესტვირის პასუხი:

„ახალი ახო ავკაფე ახალი ფაფანაკითა,
თვალით აღარ დამენახო მაგ შენი ამხანაგითა“.

შეიქნა გოგო-ბიჭებში აურ-ზაური. ამათ ხმაურობაზე გამოვიდა ცალთვალა ხაბაზი და მიახალა მესტვირეს: „მაგ ვერ მიაბი მაგაზე, ვირი დააბი ბაგაზე“. ცალთვალა ხაბაზმა მესტვირესაგან უცბად მიიღო შემდეგი პასუხი:

„ახალ გაზაფხულის პირას
ქერსა ვთესდი ქერყანასა,
შენ რომ ორივ თვალი გებას,
დააქცევდი ქვეყანასა“.

— გოგო ფოტინე! გაეშაირე ერთი ამ ქვეჭის, ამ რაჭველ მესტვირეს. შენ ხომ იმდენი შაირი იცი! — შეუჩნდნენ ამხანაგები ერთ გრუზათმიან ლამაზ გოგოს. იგი მართლაც თამამად მიუახლოვდა მესტვირეს და მიაძახა:

„საღამო ჟამი შეიქნა, შეწყდა ხმაური მუშისა,
მესტვირევ, იქით ღაიწი, სუნი მოვიდა ქუშისა“.

გოგო-ბიჭების უცნაურმა სიცილ-ხარხარმა დაფარა ლექსი. მესტვირე დუმდა.

— ჰე, გაჯობა თუ არა ჩვენმა ფოტინემ! მიაძახეს მესტვირეს.

— აბა, უპასუხე, თუ კაცი ხარ!—აქეზებდნენ მას.

— დიახაც ვუპასუხებ, ხოლო არ გამირისხდეთ კი.

— არა, მესტვირევ არ გაგირისხდებით, პირიქით დიდად გვესიამოვნება და თეთრი უზალთუნებით დაგასაჩუქრებთ, ეს ხომ უბრალო ხუმრობაა. ცოტას მაინც გავიცინებთ, აბა უთხარი რამე ჩვენს ფოტინეს! უთხარ, შე ონელო, ხელპირდაუბანელო! — აქეზებდნენ მესტვირეს.

— კარგი, ვეტყვი, ხოლო არ იწყინოთ კი.

მესტვირე მიუბრუნდა მოშაირე გოგოს:

— წითელ ღვინოს ლოყა გიგავს
ჭიქაშიდა მოელვარეს,
სასუფეველი რად უნდა
მაგ შენ მკლავზე მწოლიარეს.

ამ შაირმა მოწონება გამოიწვია გოგო-ბიჭებში.

— ახლა რძალ-დედამთილის შაირი გვითხარი, ჩემო თედორე, — შეეხვეწნენ მესტვირეს. მესტვირემ ჩაბერა გუდას და ააზუზუნა სტვირი, თანაც მიაყოლა მოხუცი დედაკაცის ხმით: „პატარაა რძალო, პატარაა რძალო! ბაატონო! ბატონო! ქათმებს დაუძახე, ქათმებს დაუძახე. — ჯიო, ჯიო, ჯიო... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი... მეთერთმეტე დაკარგულა, აღარ არის ნაცარაო, დიდო ღმერთო, ჩემს დედამთილს აუტეხე ცანცარაო, აღარ არის მეთერთმეტე, წაუღია ძერასაო, ღმერთო, შენ გადამარჩინე დედამთილის მზერასაო! აღარ არის მეთერთმეტე, მელას მიყავს ტყეშიაო, შავო ძაღლო, შენ მიაკვდი ჩემს დედამთილს ყელშიაო.

შაირის ყველა დაბოლოება იწვევდა სიხარულის ყიჟინას და დაუსრულებელ სიცილ-ხარხარს. სასახლის ყმებმა გაუვსეს ვერცხლის უზალთუნებით სტვირის ფართო ტუჩი. აგრეთვე გამოიტანეს ბლომად პურღვინო და ხორცეული.

ასეთმა სიუხვემ ფრიად გაახარა რაჭველი მესტვირე. მან დაუკრა საცეკვაო, რითაც დიდად ასიამოვნა გოგო-ბიჭები.

ამ დროს სასახლის ზედა სართულის აივანზე გამობრძანდნენ მეფე გიორგი, მისი მეუღლე მარიამ დედოფალი და მათი საპატიო სტუმარი დიდი მოურავი, მათ გამოჰყვნენ რამდენიმე კარისკაცნი. ისინი მიიზიდა ეზოში ხმაურმა და სტვირის ზუზუნმა.

მეფე-დედოფლის დანახვაზე მყის დაჩუმდნენ გოგო-ბიჭები და შეეფარნენ წინგარდს. შეწყვიტა დაკვრა მესტვირემ და თავდახრით იდგა მეფე-დედოფლის წინაშე.

— რას გაჩუმდი, მესტვირეე, განაგრძე შენი მოსწრებული შაირები, — უბრძანა მეფემ გასამხნევებლად და გადაუგდო ოქროს ფული, რომელიც მარდად დაიჭირა რაჭველმა სტვირის ტუჩით და თაყვანი სცა მადლობის ნიშნად. მან შთაბერა გუდას და ააზუზუნა სტვირი.

— ნეტა ქება როგორ ითქმის ჩვენ დიდ მეფე
გიორგისა,
თათრის ხონთქარს ეურჩება, მტერსა ხოცავს,
მტერსა ჰგვისა,
ქრისტემ ხელი მოუმართოს, შეეწიოს მადლი
ღვთისა,
წმინდა გიორგი წყალობდეს სამას სამოცდახუთისა...

პი... პი... პი, — დააზუზუნა სტვირი.

— ჰა, ყოჩაღ, თედორე! — მიაძახეს კარისკაცებმა, — ახლა ჩვენს დედოფალზე სთქვი რამე.

მესტვირემ შთაბერა თავის გუდას, შეხედა დედოფალს და დაიწყო:

„მაგის მნახველს, თუგინდ წამით, რაღად უნდა
მეტი ლხენა!
თვალებმა და წამწამებმა ბროლის სახე დაუმშვენა.
ცას გავხედე მოწიწებით. ზევით მზეა მანდაც
მზეა...
რაღა ვკადრო ამის მეტი! დედოფალი პირიმზეა“...

პი... პი... პი, — დააპიპინა სტვირი.

— ჰა, ყოჩაღ, მესტვირე! ჰა, ყოჩაღ, თედორე! — მიაძახეს კიდევ კარისკაცებმა. მეფემ გახსნა ქისა და სათითაოდ გადუგდო ხუთი ოქრო. მესტვირემ ხუთივე დაიჭირა თავისი სტვირით.

თაყვანი სცა მეფეს ასეთი უხვი წყალობისათვის.

— თედორე, ახლა ამ ჩვენს ძვირფას სტუმარს, ქართლიდან მობრძანებულს დიდ მოურავს, შეასხი ქება, — უთხრა მეფემ მესტვირეს და მიუთითა დიდ მოურავზე, რომელიც ბუმბერაზივით იდგა მეფე გიორგის გვერდით.

— ხომ გსმენია ამის გმირობანი!

— კი, დიდო მეფევ, ვის არ სმენია მაგისი საზღაპრო ამბები! — უპასუხა თედორემ.

მესტვირემ მცირე ხანს უცქირა გაოცებით გიორგი სააკაძეს, შთაბერა სული გუდას და დაიწყო:

„ახლა ქება როგორ ვკადრო ჩვენს დიდ სტუმარს
მოურავსა!
გაჭირვებულ ხალხსა შველის, არ შეარჩენს არვის
ავსა.
სულთანს ჯარი გაუწყვიტა ტაშისკარში
ჩამწყვდევითა,
სათარხანმა ძლივს მოასწრო გადარჩენა გაქცევითა.
იქ ყეინის რისხვისაგან სამჯერ იხსნა ქართლ-
კახეთი,
უამრავი მტერი ჟლიტა, ადენია სიმწრის ზეთი.
აქ მიუხტა ქველ წერეთელს, ქართლიდანა
გადმოსული,
გადმოაგდო ციხიდანა, ძირს არ დაჰყვა თურმე
სული,
ასახელა საქართველო, ასახელა იმერეთი...
ეგეთ დიდ გმირს, ერის შემწეს, შეეწიოს მამა
ღმერთი...

პიი... პიი... პიი, — ააპიპინა სტვირი.

— ყოჩაღ, თედორე! ყოჩაღ შენა! — მიაძახეს მეფემ და ყარისკაცებმა. დიდ მოურავმა კი კმაყოფილების ნიშნად გადუგდო მესტვირეს სამი ოქრო. მესტვირემ მდაბლად თაყვანი სცა მას. მეფის ბრძანებით მესტვირეს იქვე ეზოში ჭანდრის ქვეშ მიართვეს საუკეთესო ღვინო და ნაირ-ნაირი საჭმელები.

მოურავი ფრიად გააოცა მესტვირის შაირებმა და შეეკითხა გიორგის:

— ბატონო მეფევ, ამ მესტვირეს წინასწარ ჰქონდა ეს შაირები გაზეპირებული, თუ ახლა ჩვენს წინაშე იგონებდა?

— არა, დიდო მოურავო, წინასწარ კი არა, ახლა იგონებდა ჩვენს წინაშე და ამბობდა კაფიად. ეგ ერთგვარი ალმაფრენაა, პიიტიკოსის მსგავსად — უპასუხა მეფემ. — ეს მეს-

ტვირეები განსაკუთრებით რაჭველებია, სოფელ ფარეხეთიდან. ყველანი კარგად გაწაფული არიან შაირებში. ხოლო მათ შორის არის რამდენიმე, რომელნიც ფრიად მოსწრებულად და ტკბილსასმენად თხზავენ ქაფიად შაირებს, მათ შორის ერთი მოხუცი გოგიაა, სწორედ რომ გაგაოცებს, ისე უცებ და მახვილად ამბობს, როგორც ხოტბას, ისე საოხუნჯო შაირებს. ხელად გალექსავს ვისზედაც მიუთითებ. მერე ისე ოსტატურად, რომ... ალა, უსათუოდ დავიბარებ იმ გოგიას და გაჩვენებ, — ამ სიტყვებით მეფემ გადასძახა მესტვირეს:

— თედორე, სად არის გოგია მესტვირე? კარგახანია არ მინახავს.

— შინ გახლავს, დიდო მეფევ! უპასუხა მესტვირემ ფეხზე ადგომით. მოხუცდა, თანაც საკმაოდ გამდიდრდა თქვენი უხვი წყალობით; ალარ იწუხებს თავს. თავის ბატონ ხოსია წულუკიძისაგან თავი დაიხსნა, ხოდაბუნები შეიძინა, ვენახი გაიშენა ხვანჭკარაში და ცხოვრობს მეფურად. ვაჟებიც მოესწრო, ლომივით ბიჭები.

— რაჭაში რომ დაბრუნდე, ხმა მიაწვდინე, მეფეს სწადია შენი ნახვათქო, მალიად მნახოს, ხომ გესმის!

— კი, დიდო მეფევ, ხვალვე გეახლებით და ვნახავ უსაცილოდ. მაინც გზად ზედ მის კარზე უნდა გავიარო, — უპასუხა მესტვირემ და შემდეგ მორიდებით მიუჯდა თავის საუზმეს.

— ეს რაჭველი მესტვირენი, — განაგრძო მეფემ, ფეხით დადიან იმერეთსა და გურია-სამეგრელოში, მეტადრე ქორწილ-ნადიმებზე და საეკლესიო დღეობებზე, ართობენ ხალხს თავისი შაირებით. აკინებენ და ბლომა ფულს შოულობენ. ვგონებ, ხანდახან თქვენკენაც გადმოდიან ქართლსა და კახეთში საწერეთლოს მოკლე გზით. სწორედ ამ დროს გაშოჯიდა აივანზე სახლთუხუცესი და მოახსენა მეფეს:

— მეფევ, სად ინებებთ საუზმეს: აქა, თუ პურის საკმელ დარბაზში?

მე მგონია, აქ აჯობებს, თქვენ რას იტყვით, ჩვენო ძვირფასო სტუმარო?

— სავსებით გეთანხმებით, დიდო მეფევ. აქ ყოფნას აბა რა სჯობია! ამ ფართოდ გაშლილი დიდებული სურათის მზე-

რით ვერ ძღება თვალი! — მოახსენა დიდმოურავმა და გა-
ნაგრძო: — სწორედ რომ მშვენიერია თქვენი კოლხეთი,
მრავალსახოვან ხალიკით აფერადებული. ლამაზია ივერია,
ტურფაა ქართლი და კახეთი, ხოლო უფრო ერთფეროვანია.
კათეხს როდი აქვს ასეთი გაშლილი არე. მასთან აქაური
ჰავა ბევრად უფრო ნაზია, თბილი, მსუბუქი. ტყვილა კი არ
უყვარდათ ეს მშვენიერი მხარე ძველად ჩვენს დიდ მეფე-
ებს: ბაგრატ მესამეს, დავით აღმაშენებელს, გიორგი მესა-
მეს და პირიმზე თამარს, აქეთ ცხოვრობდნენ მეტ წილად.
მაგალითად, დიდი დავით წელიწადში სამი-ოთხი თვე თუ
ცხოვრობდა ივერიაში, დანარჩენ დროს თურმე სულ აქ და
აფხაზეთში ატარებდა.

სუფრა უკვე გაეშალათ აივანზე, დასხდნენ კიდეც. სწო-
რედ ამ დროს ქვემოთ გამოჩნდა ასამდე ცხენოსანი. ესენი
მოდიოდნენ მწყობრი სიმღერით და მოაჯირითებდნენ ცხე-
ნებს. მხედართ წინ უძღოდა ამაყად და წელგამართულად
თეთრწვერა ჭარმაგი მოხუცი შავ ჩოხა-ახალუხში და დარაიის
ჩაბალახ წაკრული. სასახლიდან მაშინვე იცვნეს იგი.
ეს იყო ოდიშის მთავარი კაცია დადიანი, თავისი ვაჟით და
რჩეული ვაჟკაცებით. იმათ მალე ამოვლეს აღმართი და მი-
ადგნენ სასახლეს, ჩამოხტნენ ცხენებიდან და ქვეითად შევი-
დნენ ეზოში. მათ დანახვაზე ყველანი წამოიშალნენ სუფრი-
დან. კაცია დადიანი თავისი ვაჟით და რამდენიმე რჩეული
თავადით გაჩნდა აივანზე, გადიკვანტილა ფეხები და დახა-
რა თავი მეფე-დედოფლის წინაშე.

— ჩვენს ძვირფას მოყვარეს, ოდიშის ქებულ მთავარს, კა-
ცია დადიანს გაუმარჯოს! — წამოიძახა მეფე გიორგიმ მხია-
რულად.

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოაკლოს იმერეთის დიდ
მეფეს გიორგის! — იყო კაციას პასუხი.

მეფემ გადადგა წინ რამდენიმე ნაბიჯი, სუფრაზე მიიწ-
ვია ახლადმოსული სტუმარი და მოისვა მარცხნით, მარჯვ-
ნით კი უჯდა დიდი მოურავი. კაციას ვაჟი ლევანი და თავადნი
დედოფლის ახლოს დასხდნენ.

შეიქნა სუფრაზე შეპატიჟება. წამოდგა სუფრიდან ოდი-

შის მთავარი და მოახსენა: „გენუკვის თქვენი მოყვარე და სტუმარი კაცია დადიანი, დიდო მეფეო, რათა დამდოთ პატივი და მეწვიოთ ზუგდიდს თქვენი დიდებული სტუმრით, მწადს გაბედნიერდეს ჩემი პაწია ოდიშიც უდიდესი გმირის დიდი მოურავის წვევით!“

მეფემ და სააკაძემ მადლობა გადაუხადეს დადიანს და სიამოვნებით მიიღეს მისი მიწვევა. ამასობაში ათი ჯორის საპალნით მოართვეს მეფესა და დიდმოურავს დადიანის ძღვენი. ეს იყო შალის საჩოხეები, აბრეშუმის დარაიები, თეთრი შალისა და დარაიის ჩაბალახები, მეშისა და სამოგვის წუღამესტები, აგრეთვე, ქორფა სულგუნები და მსუქანი ყვერულები, ნანადირევი ხოხბები და ოჯალეშის განთქმული ძველი ღვინო, სალხინოს დობილოებში დაწურული. ორთავემ დიდი მადლობა გადაუხადეს დადიანს ძღვენისათვის. სამაგიეროდ ამათაც მიართვეს ოდიშის მთავარს — მეფემ ხუთი დარახტული ბედაური, ხოლო მოურავმა შაჰაბაზის ნაჩუქარი ოქროს ხმალი.

დაასკვნეს მეორე დილით წასვლა. იმ საღამოს-კი რიონის პირას გეგუთის მხრივ გაშლილ მინდორზე გაიმართა ჯირითსა და მარულაში დიდი შეჯიბრება იმერთა და ოდიშელთ შორის. ჯირითში სჯობნიდნენ იმერნი, ხოლო მარულაში ოდიშელნი. ამათმა სისწრაფე-სიჩაუქემ და საოცარმა მოქნილობამ განცვიფრებაში მოიყვანა ივერიის გმირი. მართლაც საარაკო იყო და საამო სამზერი გაჭენებულ ცხენებზე კოლხელთა ფეხით შედგომა, ნიშანში სროლა, გვერდზე გადაწოლა, ცხენის მუცელქვეშ მოქცევა, დახრა და ვერცხლის ან ოქროს ფულის მიწიდან ხელით აღება, ცხენიდან უცებ გადმოხტომა, დაწევა და გავაზე ხელის დაკვრით ზურგზე მოქცევა, ჯირითის აცილება და სხვა მრავალი ფანდი.

იშვიათი აღტაცებითა და სიუხვით დახვდა დიდებულ სტუმრებს ზუგდიდის სასახლეში დადიანის ოჯახი. დაიკლა ათი დეკეული, მრავალი გოჭი, ცხვარი და ყვერულები, გამოცხვა ქვის დიდრონ კეცებზე ჭადის-ჭადი, ღვეძილები და ხაჭაპურები, გაკეთდა ღომი უზარმაზარ საარაყე ქვაბებში. ასხის მთის მეჯოგეებმა მოართვეს დადიანს უგემრიე-

ლესი ქორფა, რძიანი სულგუნები, მოიხადა ძველი ოჯალეშით სავსე სამასჩაფიანი ქვევრები. გაიშალა გრძელი სეფა ჭანდრებსა და კაკლებქვეშ სასახლის ვრცელ ეზოში. დაიწყო გაბმული ლხინი, ცეკვა-სიმღერა ზმებითა და კაფიაშაირებით. ჯირითი, ყაბახი და მარულა ხომ ყოველდღე იყო, რასაც ხელს უწყობდა საუცხოო ამინდი. აქ დადიანს ეწვივნენ მისი მოყვრები — გურიის მთავარი მამია გურიელი და აფხაზეთის მთავარი ტატაშ შარვაშიძე. რჩეული ვაჟკაცებით, რითაც კიდევ უფრო გაცხოველდა შეჯიბრება ჯირითსა და მარულაში. აქვე ეახლა იმერთა მეფეს უმშვენიერესი ვაჟკაცი და იშვიათი ტანადი თენგიზ დადეშკელიანი საუკეთესო მსროლელი სვანებით. ამათ მოართვეს მეფესა და დადიანს ოცამდე ნანადირევი ჯიხვი და არჩვი, აგრეთვე დათვისა და მელის ტყავები. აქვე უნდა ითქვას, რომ იმერლებს ეცვათ დარაიის წითელ ახალუხზე მუქი ლურჯი მაუდის მოსირმული გრძელი ჩოხები და მაღალყელიანი წაღები, თავზე კი მოსირმული ფაფანაკები, რაც ფრიად უხდებოდათ გაჩეჩილ თმაზე. გურულები იყვნენ გამოწყობილნი სხვადასხვა ფერის ჩაქურებში, აფხაზები-კი, როგორც ოდიშელნი, შავ ჩოხასა და დარაიის ახალუხში. თავი წაკრული ჰქონდათ დარაიისავე ჩაბალახით, ფეხზე ეცვათ საცვეთები და წულა-მესტები, ცხენებზე კი უნაგირთან მიკრული ჰქონდათ აბგები და დაკეცილი ნაბდები, ხოლო სვანებს ეცვათ შალის ჟღალი მოკლე ჩოხები და შავი ნაბდები. თავზე ეხურათ მეტ წილად თეთრი შალის ფართო ქუდები. ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ ხმალხანჯლითა და ყირიმის კაჟიანი თოფებითა და დამბაჩებით.

თუ ოდიშელნი, აფხაზნი და იმერ-გურულნი ირჩეოდნენ ჯირითსა და მარულაში თავიანთი საარაკო სიმარდე-სიჩაუქით, სამაგიეროდ სვანებს ვერვინ სჯობნიდა თოფ-დამბაჩის ნიშან-სროლაში. ისინი იყვნენ უპირველესი ჩუბინნი და მონადირენი თითქმის მთელ საქართველოში.

ათი დღე დარჩა ოდიშში კაცია დადიანის სტუმრად დიდი შოურავი და ყოველლამე უგებდა ფარჩის ფრიად სუფთა ლოგინს თვით დადიანის ასული, მშვენიერი ცირა, ხდიდა

წაღებს და ჰბანდა ფეხებს, აგრეთვე დაწოლის შემდეგ შემოდიოდა მასთან მარტოდ იგივ ასული ჩანგურით ხელში, მასზე დაკვრით და საამო ღიღინით აძინებდა მას.

ეს იყო მასპინძლის მხრივ უდიდესი პატივისცემა, რაც ფრიად აოცებდა დიდ მოურავს. ამგვარადვე აოცებდა მას გაზრდილთა ძიძა-მორდუების და ძიძიშვილთა ერთმანეთისათვის თავგანწირვა. ეს წესი არსებობდა მთელ კოლხეთში. მეფე-მთავრები აძლევდნენ თავიანთ ვაჟებს საძიძაო-ალსაზრდელად თავადთა ოჯახებს, თავადნი თავის მხრივ აძლევდნენ იმავე მიზნით თავიანთ შვილებს აზნაურთა ოჯახებს, ხოლო აზნაურნი კი გლეხებს. ამ სახით ინასკვებოდა მათ შორის ნათესაური კავშირი და ფრიადი დაახლოვება მათ ოჯახებს შორის. გაზრდილი საკუთარ შვილზე უძვირფასესი იყო ძიძა-მორდუსთვის, ხოლო ძიძა-მორდუ უყვარდათ გაზრდილებს როგორც საკუთარი მშობელი, ძიძიშვილები კი როგორც საკუთარი ძმები და დები. ასეთი ზნეჩვეულება, უძველესი დროიდან დამყარებული, ქმნიდა სხვადასხვა წოდებას შორის წმინდა ნათესაურ ურთიერთობას და აკავშირებდა მათ ძმობა-სიყვარულით, რასაც ფრიადი მნიშვნელობა ჰქონდა წოდებათა უთანასწორობის სიმწვავის შენელებაში.

ამავე დროს სააკაძემ შეამჩნია, როგორც იმერეთში, ისე ოდიშ-აფხაზეთსა და გურიაში, იშვიათი სტუმარმოყვარეობა, უხვი მასპინძლობა და უხვად გაჩუქება. საკმათ იყო მოგწონებოდა რაიმე ძვირფასი ნივთი, ცხენი და იარაღი, რომ მაშინვე ეჩუქებინათ თქვენთვის. ამ მხრივ ყველას აჭარბებდნენ აფხაზნი. შარვაშიძესთან სტუმრად ყოფნის დროს დიდმოურავმა სიამოვნებით შეავლო თვალი სულთანის მიერ ნაჩუქარ მდიდრულად მოჭედილ და საუკეთესო ხელოვნების ოქროს თოფსა და დამბაჩას. იმავე საღამოს ორივე ნივთი იყო ამ იშვიათი სტუმრის ოთახში, ეწყო მაგიდაზე მცირე ბარათით: „დიდო გმირო, შეგატყვეთ, მოგეწონათ ეს თოფი და დამბაჩა, ამიტომ გთხოვთ ინებოთ მცირე საჩუქრად“.

სხვა მრავალთა შორის კიდევ ერთი ზნეჩვეულება შენიშნა სააკაძემ კოლხეშთი ყოფნის დროს. ეს იყო გასათხოვა-

რი ქალის გატაცება მშობლების ოჯახიდან სასიძოს მიერ, სიყვარულის ნიადაგზე, რაც არაიშვიათად თავდებოდა სისხლის ღვრით. ეს წესი იყო დაცული უმთავრესად თავადაზნაურთა შორის და მეტადრე აფხაზეთში. სწორედ დიდმოგრავის ყოფნის დროს სოხუმში სტუმრად ტატაშ შარვაშიძესთან თავადმა ინალიპამ მოსტაცა ქალი თავად ემუხვარს. დილის რიჟრაჟზე შეიქნა ემუხვარის ოჯახში საშინელი კივილი: „ავვაიი, ქალი მოგვტაცეს!“ მაშინვე წამოცვივდნენ მოკეთენი, დაადევნეს მდევარი ქალის გამტაცებელს. მაგრამ უნაყოფოდ: ინალიპამ გაასწრო სამშვიდობოს.

ასეთ რამეებთან ერთად დიდ მოურავმა შენიშნა კოლხეთში, მეტადრე გურია-სამეგრელოში, ერთი ფრიად საგმობი საქციელი: ლამაზ ქალ-ვაჟის მოტაცება ოსმალეთში გაყიდვის მიზნით. ამ სამარცხვინო ხელობას არ თაკილობდნენ მთავრებიც-კი. ეს ზნე-ჩვეულება შთანერგეს დასავლეთ საქართველოში თურქებმა.

XXXIII. დიდი მოურავის გეგმები

მეფის სასახლე. სამხრობის ეამია, სასახლის ფართო და გრძელი აივნიდან წარმტაცად იშლება ქვემო-იმერეთის განიერი ვაკე-დაბლობი, მას კი სამხრეთით ზღუდედ ავლია სურამ-აჭარის მაღალი მთები. წვერვალებზე აქა-იქ მოჩანს თეთრად მბზინავი თოვლი.

მზე საკმაოდ გადახრილა დასავლეთით, ალაპლაპებს რიონის ფართოდ გაშლილ გულმკერდს და აფერადებს კოლხეთის ტურფა ბუნებას, ხოლო აივანზე არ ჩანს არავინ, რომ დატკბეს ამ ფეერიული სანახაობით.

მხნე და გამბედავი მეფე გიორგი თავის მემკვიდრე ალექსანდრეთი და საიმედო დიდებულებით ჩაკეტილა თავის მდიდრულად მორთულ მცირე დარბაზში და რაღაც მძიმე, ფრიად საიდუმლო თათბირი აქვს. აქ არიან სრულიად კოლხეთის კათალიკოსი, დიდი რიტორი და მწიგნობარი ზაქარია ქვარიანი, ფრიად განათლებული მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი, მთავარ სარდალი პაატა წულუკიძე, სახლთუხუცესი პაპუნა წერეთელი, მეჭურჭლეთუხუცესი ბეჟან აგიაშვილი, მსახურთუხუცესი როსტომ ნიჟარაძე, მოლარეთუხუცესი დავით მიქელაძე, მეფის მდივანი მამუკა კვინიხიძე. აქვეა მეფის საპატიო სტუმარი დიდი მოურავი.

ყველანი ხარისხის მიხედვით სხედან ტახტებზე, მათ წინ დგას დაბალი მაგიდა, მას უზის მეფის მდივანი; მის წინ დევს თეთრი ეტრატი და საწერ-კალამი.

— სრულიად კოლხეთის სულიერო მეუფენო და იმერთა დიდებულნო! — დაიწყო მეფემ. — მოგიწვიეთ რა თქვენ ამ საიდუმლო თათბირზე, ვიმედობ, რომ ყოველივე აქ ნათქვამი იქნება კარგად განხილული და შეფასებული, თანაც ფრიად საიდუმლოდ დაცული, რათა არ გახმაურდეს და მით არ მოგვეცეს რაიმე ზიანი ჩვენა და ჩვენს სამეფოს.

მეფე გიორგის ასეთმა შესავალმა სიტყვამ დიდი გავლენა იქონია დამსწრე დიდებულებზე და გაამახვილა მათი გულისყური.

— იმას, რაც უნდა გითხრათ, ჩემზე უკეთ გაეწყებთ თვით ამ ფრიად საგულისხმო აზრის ავქსონი, ჩვენი ძვირფასი სტუმარი, ივერიის დიდებული გმირი დიდი მოურავი, რომლის სახელი და ქება-დიდება გრგვინავს მთელს აზიასა და კავკასიაში.

მძიმედ წამოდგა დიადი სახისა და გოლიათი ტანის დიდი მოურავი. მან დინჯად გადაავლო კრებას არწივის თვალნი და დაიწყო მდაბალი, გუგუნა ხმით.

— იმერეთის დიდ მეფეს, სულიერ მეუფეებსა და დიდებულთ კარგად მოეხსენებათ, რომ დღეს სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ, ანუ რვა ნაწილად დაფლეთილი პატარა საქართველო ერთ დროს იყო ფრიად ძლიერი, დოვლათიანი, მდიდარი და სულიერად განათლებული. ეს ბედნიერი ხანა არსებობდა ხუთას-ექვსასი წლის წინათ, ანუ, უკეთ, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში, დიდი ბაგრატით დაწყებული და დიდი თამარით დამთავრებული. სწორედ იმ დროს მოხდა ძველი დროიდან დაფლეთილი საქართველოს გაერთიანება, კოლხეთ-მესხეთ-ივერიის შეერთება, ქართველ ტომთა და სამეფო-სამთავროთა გაერთიანებამ წარმოშვა ერის სულიერი სიმტკიცე, სახელმწიფოებრივი გამძლავრება, არაბთა ხანგრძლივ მონობის უღლიდან თავის გამოხსნა, თურქთა თარეშის აღკვეთა, კავკასიონის ქედის მტაცებელ ხალხთა დაპყრობა, სასოფლო მეურნეობისა და ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარება, შინა ცხოვრების სიმშვიდე, ხალხის ნივთიერი დოვლათი, სწავლა-განათლებისადმი მისწრაფება, მაღალი მწიგნობრობით გონებრივ-ზნეობრივი განვი-

თარება, მხატვრობა-პოეზიის, ხუროთმოძღვრებისა და საერთოდ ხელოვნების აყვავება და სხვა. ერთ მოზრდილ სამეფოდ ქცეულ საქართველოს დიდი კრძალვა და შიში ეიცა ჩვენს მეზობელ მტრებს, მოთარეშეთ და დამპყრობელთ — მრავალრიცხოვან თურქებს, სპარსებს და სხვა. ამ სახით შეიქმნა ქართველი ერისთვის ძლევამოსილობისა და სულიერი აღმაფრენის დიადი ხანა, ოქროს საუკუნედ წოდებული.

დიდი მოურავი შეჩერდა მცირედ, მოითქვა სული და გადახედა კრებას. იქ დამსწრენი სმენად ქცეულნი ალტაცებით შესცქეროდნენ მას. დარბაზში საოცარი დუმილი სუფევდა. კვლავ გაისმა საკაძის ნელი, მაგრამ მგრგვინავი ხმა.

— ბატონებო, როგორც მოგეხსენებათ, ქართველი ერის დიდება და ძლევამოსილება დასცეს, მისი მთლიანობა გაბზარეს, დიდი თამარის შემდეგ ტახტზე ასულმა მეფეებმა, გიორგი-ლაშამ და რუსუდანმა. მათ მიერ უღირს ადამიანთა სამეფოს სათავეში მოქცევამ, ღირსეულთა-კი განდევნამ, აგრეთვე ქვეყნის ორგული დიდი თავადების აღვირახსნილმა თარეშმა და ურთიერთ შორის კინკლაობამ, მეტადრე-კი მონღოლთა ურდოების მრავალჯერ შემოსევა-თარეშმა და მათ მიერ კისრად დაღგმული მონობის უღელმა მთელი საუკუნის მანძილზე. ამას დაერთო მეხუთმეტე საუკუნეში ბიზანტიის იმპერიის დამხობა ოსმალთა მიერ, რის გამო ჩვენს დასავლეთით და სამხრეთით, განათლების კერა შეიცვალა თურქების მეზობლობით, რომელთაც უკვე ჩაიგდეს ხელში და ისლამის სჯული მიაღებინეს საქართველოს ერთ საუკეთესო ნაწილს-მესხეთს, კოლხეთზე კი მოაქვს მედგარი იერიშები და უკვე ორასი წელია სტანჯავენ, ეძალებიან, ხოლო აქამდე ვერაფერს გახდნენ საბედნიეროდ, კოლხეთის მეფე-მთავრების და თვით ერის სიმამაცე — გონივრობის მეოხებით. ეს არის, რომ ფრიად დასცეს გურია-სამეგრელოს მკვიდრთა მაღალი ზნეობა და ფულის დახარბებით შეაჩვიეს თავის მოძმეთა და ახლო ნათესავებისაც კი ძალმომრეობით მონებად გაყიდვას, რითაც უსაზღვრო ზიანი ეძლევა უმწეო ხალხსა და თვით სახელმწიფოს...

— სრული ჭეშმარიტებაა, გმირო ივერიისავ! წყეულ იყვნენ ერისა მტერნი და მოღალატენი უკუნითი უკუნისამდე ამინ! — წამოიძახა კათალიკოსმა. იკურთხოს, ერის ნუგეშო, ეგ შენი თაფლივით ტკბილი ენა და მაღალი გონება!

ამ სიტყვების შემდეგ ჩამოვარდა მცირე დუმილი. მოურავმა მოსცა წყალი და განაგრძო:

— ხოლო რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, ანუ ივერიას, იგი კიდევ უარეს ყოფაში ჩავარდა აღმოსავლეთით განახლებულ სპარსეთისა და ჩრდილოეთით მეზობლად მყოფ კავკასიონის ქედის ისლამის სჯულმიღებულ ხალხთა ძალმომრეობის გამო, აგრეთვე ოსმალთა თარეშით ყარსიდან და ახალციხიდან. ყველამ უწყით, ბატონებო, რაც ჩაიდინა კახეთში ერანის ყეინმა შაჰაბაზმა! რარიგად მოსრა ეს მდიდარი, მშვენიერი და აყვავებული კუთხე ივერიისა! ყველამ უწყით აგრეთვე, რომ კიდევ უარეს რისხვას უქადდა ის მტარვალი ქართლის სამეფოს და რარიგ გადარჩა იგი ორჯერ... დიახ, გადარჩა ორჯერ, ხოლო გადარჩება კი მესამეჯერ?!

— ვინც ორჯერ გადაარჩინა, იგი იხსნის მესამეჯერაც! მაშ გაუმარჯოს ივერიის, არა, სრულიად საქართველოს ზღაპრულ გმირს, თანამედროვე მძლავრს ამირანს, დიდსა მოურავს! — წამოიძახა აღტაცებით მეფემ და წამოდგა ზეზე.

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს დიდებულ გმირს! გაუმარჯოს ქვეყნის სამჯერ გადამრჩენს! გაუმარჯოს ქართველი ერის მოთავეს, გაუმარჯოს! — ბანი მისცა ერთხმად მთელმა კრებამ, თანაც წამოდგნენ ფეხზე და თაყვანი სცეს გიორგის.

მოურავს მეტის სიამოვნებით სახე გაუბრწყინდა. სიხარულის ცრემლებმა შეუნამა ცეცხლის მფრქვევი დიდრონი თვალები. მას უნებლიედ გაახსენდა ის საშინელი უმადურება და დაუმსახურებელი შურისძიება, რაც განიცადა.

მას, ქვეყნისათვის თავდადებულ ადამიანს, აფასებენ და ადიდებენ ამ, შორეულ კოლხეთში, შუაგულ იმერეთში, რომლის ფხიზელი მეფე და შეგნებული დიდებულნი ზეიმით

ეგებებიან მას, თაყვანს სცემენ, ესალმებიან და იღებენ მეფურ დიდებით... აი, სად აფასებენ მას! აი, რას ნიშნავს სულიერი განათლება და გონიერება!

ასეთმა ფიქრებმა უნებლიედ, გაიტაცა ხალხის მოთავე. იგი დუმდა ერთხანს ტახტზე მჯდომარე, ღონივრად ძგერდა მისი მღელვარე გული. მოსვა კიდევ ცივი წყალი და დამშვიდდა. მცირე ხნის შემდეგ წამოდგა და მიმართა კრებას ოდნავ მღელვარე ხმით.

— კოლხეთის დიდო მეფევ, სულიერო მეუფენო და ზრდილობა-ვაჟკაცობით ქებულნო დიდებულნო! თავბრუ დამასხა და ფრიად ამაღელვა თქვენმა ასეთმა ქება-დიდებამ! არა ვარ ღირსი ესოდენ ქებისა ერთი ეული და სამშობლო ქვეყნიდან ღევნილი ადამიანი. მთელი ჩემი უბედურება იქიდან გამომდინარეობს, რომ მდაბიო წრიდან გამოველ და დავწინაურდი ჩემივე შრომითა და უნარით, ამავე დროს უზომოდ მიყვარს მთელი ივერი, მთელი საქართველო, მიყვარს მდაბიო ხალხი, გლეხობა, ვეურჩები ამა ქვეყნის ძლიერთა პირადულ ზრახვებსა და ზვიადობას, მათ მიერ ერისა და ქვეყნის ღალატს, ამიტომაც ვძულვარ მათ საშინლად და აგულიანებენ ივერიის მეფეებს ჩემს წინააღმდეგ. სამჯერ გადავურჩი მათ მიერ დაგებულ ხაფანგს და ღალატით მოკვლას, მაგრამ აბა რა საჭიროა თქვენი შეწუხება ჩემი პირადი ამბებით! აქ სულ სხვა მიზნით ვართ შეკრებილნი. მხოლოდ დავამთავრებ დიდი რუსთველის უკვდავი სიტყვებით:

„სხვადასხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძველია,
კარგი რამ მჭირდეს — გიკვირდეს, ავი რა
საკვირველია“...

ასეთია, ბატონებო, ჩემი შავი ბედი და ასე ჩავალ საფლავსა შინა... პირადად თქვენ, დიდო მეფევ და დიდებულნო, ფრიად გმადლობთ ჩემდამი ასეთი თანაგრძნობისათვის და ჩემი ასეთი დაფასებისათვის... ახალა-კი ნება მიბოძეთ განვაგრძო ჩემი სიტყვა, რომელიც, ცოტა არ იყოს, შორი-

დან დავიწყე და გრძელი გამოდის, ვშიშობ, არ დაგღალოთ ზედმეტად.

— ბრძანეთ! ჩვენ სმენად ვართ ქცეულნი! — მიაძახეს მეფემ და დიდებულებმა.

— დიახ, უნდა მოგახსენოთ, რომ ოსმალთ-სპარსთაგან შევიწროებული ევერიის მეფენი კარგახანია ეძებენ ღონიერ მოკავშირეს, ძლიერ მფარველს, იმათ ადრევე მიმართეს რომის პაპასა და საფრანგეთს, ხოლო ვერაფერს გახდნენ. იქიდან გამოგზავნეს მხოლოდ კათოლიკე ბერები, რომელნიც თქვენთვის ვილოცებთო — დაგვპირდნენ. ჩვენ-კი სულ სხვა დახმარება გვეჭირვებოდა. ჩვენსა და ევროპას შორის გარდუვალ ზღუდედ ჩამდგარა ველური ოსმალეთი, რომლის წყენას ერიად ერიდებიან დასავლეთის სახელმწიფონი. ვიღა დაგვრჩენია? მუსულმანობა მედგრად მოგვაწვა სამი მხრივ სპარსეთ-თურქეთის სახით, მათ უკვე დალეწეს და შთანთქეს მცირე აზიაში ორი ქრისტიანი სამეფო: ანტიოქია და სომხეთი, შემუსრეს დიდი თამარის მიერ დაარსებული ტრაპიზონის იმპერია შავი ზღვის პირას. დაამსხვრიეს დიდი ბიზანტია, — ეს რომ-ელინთა განათლების და ქრისტეს სარწმუნოების დიადი კერა და მნათობი აზია-ევროპის შორის... ვიღა დარჩათ?! დავრჩით კავკასიაში ჩვენ, ქართველი ტომნი, რვა პატარა სამეფო-სამთავროდ დაგლეჯილნი და ურთიერთშორის მტრულად განწყობილნი. ეჭვი არაა, აქამდე ადვილად ჩაგვნთქავდნენ ეს ვეშაპნი, ხოლო თუ ეს ვერ შესძლეს დღემდე, ამის მთავარი მიზეზებია: პირველი — ჩვენი ქვეყნის მთა-გორიანი ადგილმდებარეობა, მეორე — ქართველი ერის ჭირსა შინა სიმტკიცე და ზღაპრული სიმამაცე, ხოლო მესამე ის, რომ ეს ვეშაპები ერთმანეთს ექიშპებიან ამ გემრიელი ლუკმის მთლიანად ჩასანთქავად.

მართალია, იმათ უკვე გაგლეჯეს შუაზე ჩვენი ქვეყანა, აღმოსავლეთს, ანუ ევერიას, ეპატრონება სპარსეთი, ხოლო დასავლეთ ნაწილზე, ანუ მშვენიერ კოლხეთზე, ხელს იშვერს ოსმალეთი, რომელმაც უკვე ჩაბღუჯა ჩვენი სამხრეთი

ნაწილი — მესხეთი. ამათი დავა-ქიშპობით ჩვენ შეგვეძლო მშვენივრად გვესარგებლა, რითაც ადრევე სარგებლობდნენ ჩვენს სამეფო-სამთავროთა მესვეურნი და ახლაც კი ვსარგებლობთ რამოდენიმედ, მაგრამ დავიღალეთ! დავიქანცეთ! ამდენმა უწყვეტმა ომმა და სისხლის ღვრამ დაგვწრიტა ძთლიანად, ფრიად შეგვამცირა რიცხვით, მეტად დაგვცა ნივთიერად და გონებრივად, დაგვაუძლურა, გაგვალატაკა სულიან-ხორციანად... ჩვენ ფრიად ჩამოვრჩით განათლებულ ევროპას. დიახ, ჩამორჩა მას ის დიდად ნიჭიერი ქართველი ერი, რომელიც ოქროს საუკუნეში გაუთანატოლდა მთელს ევროპას და მთელს მსოფლიოში ყველაზე უფრო განათლებულ სახელმწიფოს—ბიზანტიას, ხოლო ზოგ რამეში გადავაჭარბეთ კიდეც... ადვილი წარმოსადგენია, რა ვიქნებოდით დღეს, რომ ხელშემწყობ პირობებში გვეცხოვრა. არ მოვქცეოდით შუაში ისტორიულ გრიგალს და არ დაგვტეხოდა თავზე ზეცის რისხვა — საუკუნეთა სრბოლაში ჯერ ველურ მონღოლთა და შემდეგ ნახევრადველურ თურქ-ერანთა უამრავი შემოსევა-თარეში! ამ საშინელებას დაერთო ამ ბოლო საუკუნეში ორი დიდი უბედურება: პირველი — გამუსულმანებული კავკასიონის მთის ხალხების ივერიაზე ხშირი თავდასხმანი, დარბევანი, მეორე კი — დენთის მოგონებასთან დაკავშირებით თოფ-ზარბაზნების შემოღება ბრძოლის საქმეებში... თოფი შორიდან ჰკლავს უპირველეს სარდალსა და ვაჟკაცს, ზარბაზანი შორიდან ანადგურებს მხედრობას, საფრებსა და ციხე-კოშკებს... რაღა ვაჟკაცობა გაგივა იქ, სადაც ზღაპრულმა სიმამაცემ ადგილი დაუთმო ცეცხლის იარაღებს! აი, რამ დაგვცა სულით! აი, ბატონებო, რა მოვლენებმა ჩაგვყარა უკიდურეს ყოფაში.

აქ მცირე ხნით შეჩერდა დიდი მოურავი და მოსვა წყალი. სრული მდუმარება სუფევდა. დამსწრეთა სახეზე იხატებოდა გაოცებასთან შეზავებული სევდა და ჭმუნვა. არ იძროდნენ ადგილიდან. ყველანი გაეტაცა ერის მოთავის სიბრძნესა და ენამზეობას. მოურავმა ჩაახველა და განაგრძო:

— ბატონებო, ამჟამად ქართველი ერის წინაშე ბნელი ლანდივით აღიმართა ორი საშიშროება: ან სრული გაწყვეტა — განადგურება ყოველი მხრივ შემოსეულ მტერთაგან, ბრძოლის ველზე ნამუსიანი სიკვდილი, ან ქედის მოხრა, გამუსულმანება, მონობა და სრული გათქვეფა ოსმალ-სპარსთა ბნელ მორევში... ქართველ ერს აშინებს ეს ორი ლანდი. მას არა სურს არც სიკვდილი და არც მონობა. მას სწყურია სიცოცხლე და მშვიდობიანი ცხოვრება. იგი მიისწრაფის მზიან მომავლისაკენ... ამიტომაც ეძებს გამოსავალს, ეძებს ძლიერ მოკავშირეს, მფარველს... ჩვენც ხომ შევიფარეთ ერთ დროს სომხეთის ჩრდილო ნაწილი, ძმასავით შევიგუეთ სომხის ერი, ვიხსენით თურქთა მიერ გაჟლეტისაგან და ვიცავთ დღემდე რაინდული თავგანწირვით.

აი სწორედ თურქ-ერანთა ძალმომრეობის გამო ქართლ-კახეთის მეფენი და მრავალი დიდებული იცქირებიან ჩრდილოეთით, მფარველობას ემუდარებიან მოსკოვის, ანუ რუსეთის ხელმწიფეს, სხვა გზასა და გამოსავალს ვეღარ ხედავენ. პირველი ხელის გაწვდა კახეთიდან დაიწყო. ამ ორმოციოდე წლის წინათ კახეთის მეფე ლეონ პირველმა მიმართა მოსკოვს და სთხოვა ჯარი და მფარველობა. ამის კვალს მიჰყვა მისი ძე ალექსანდრე მეორე. ხოლო რაც შეეხება ჯერ კახეთისა და ახლა სრულიად ივერიის მეფე თეიმურაზ პირველს, როგორც მოგეხსენებათ ის უკვე ოც წელზე მეტია, რაც ჰგზავნის დესპანთ მოსკოვს. ემუდარება რუსთა ხელმწიფეს მფარველობას და შველა-დახმარებას შაჰაბაზის წინააღმდეგ. მაგრამ მოსკოვის სამეფო ამჟამად ნორჩია. ის თანდათან იკრებს ძალას, მოდის სამხრეთით, უახლოვდება სპარსეთსა და ოსმალეთს. ეჭვს გარეშეა, ოდესმე მოხდება მათ შორის დიდი ბრძოლანი. მჯერა, რომ ამ ომში გამარჯვებულნი გამოვლენ რუსი. მწას, რომ

მომავალში საქართველოს შეიფარებს მოსკოვის სამეფო, მაშინ ვეღარ გაბედავენ ველური მუსულმანები ხელი შეახონ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს... მაგრამ ეს მომავლის საქმეა. მანამდე კი ამ საბედისწერო ხიფათისაგან ერთადერთი გამოსავალია ივერია-კოლხეთ-მესხეთის გაერთიანება, ერთ მძლავრ სამეფოდ გახდომა, რათა შესაფერი წინააღმდეგობა გაეწიოს ირანსა და თურქეთს, რომლებიც უქადიან შთანთქვას. ამასობაში რუსეთიც გაიზრდება, გაძლიერდება, მოგვიახლოვდება და ადვილად შესძლებს გაუწიოს გაერთიანებულ საქართველოს ნამდვილი მფარველობა და იქცეს ჩვენი ქვეყნის მძლავრ მოკავშირედ.

ააკაძე შეჩერდა; გადახედა დამსწრეთ. ისინი დუმდნენ სმენად ქცეულნი. ყველანი აღტაცებით შესცქეროდნენ ამ დიდ ადამიანს. მცირე ხანს შემდეგ განაგრძო:

— ბატონებო! აუცილებლივ უნდა შედუღდეს რვა ნაწილად დაფლეთილი საქართველო! აი, ერთადერთი გზა და გამოსავალი იმ საბედისწერო მდგომარეობიდან, რომელშიაც ვიმყოფებით ამჟამად!

ეს ურყევი აზრი და რწმენა ჩამესახა გულსა და გონებაში იმ შორეულ ჟამიდან, როდეს ოცი წლის ჭაბუკი ჩავუდეგ სათაველში ქართლის სამეფოს საქმეებს და საკმაოდ კარგად გავეცან ჩვენი ერის ისტორიულ წარსულსა.

ხოლო შემდეგმა წლებმა, მრავალი ქვეყნის ხილვამ, ხანგრძლივმა ომებმა და გამოცდილებამ კიდევ უფრო განამტკიცეს ჩემს არსებაში ეს აზრი და რწმენა... რარიგად უნდა მოხდეს ეს გაერთიანება?

ძველადაც კოლხეთიდან დაიწყო საქართველოს გაერთიანების დიადი საქმე და, სჩანს, ახლაც სწადია განგებას, რათა ეს დიდებული საქმე აქედანვე მოხდეს...

— ეგ ფრიად საგულისხმოა, აბა რარიგად უნდა მოხდეს

ეს გაერთიანება ჩვენი სამეფოდან? — გააწყვეტია სიტყვა გაოცებულმა მეფემ.

— სულ ადვილად, მეფეო, სულ ადვილად. მოგეხსენებათ, რომ ქართლის კანონიერი მეფე ლუარსაბ უძეოდ აძოწყდა. დღეს ქართლ-კახეთის მეფედ ზის, ერისა და დიდებულთა სურვილის თანახმად, კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი. ხოლო მან ამ ოცი წლის მანძილზე ვერ გააძართლა ხალხისა და დიდებულთა იმედები. იგი ოდნავაც არ ზრუნავს სამეფოს საქმეებზე და მთელ დროს ანდოძებს ქეიფს, ნადირობას, ხატობაზე სიარულს.

ასეთი ადამიანი, ბატონებო, არ არის მეფობის ღირსი და მან ძალით თუ ნებით უნდა დაუთმოს ადგილი ღირსეულ პიროვნებას. ასეთ პირად მიმაჩნიხართ თქვენ, დიდო მეფეო და, თქვენი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე, ჭკვიანი და ნიჭიერი ალექსანდრე, რომელიც დედით ენათესავება ქართლის ყოფილ მეფე ლუარსაბს.

აქ შეჩერდა მოურავი და გადახედა კრებას. მას სწადდა ამოეკითხა დამსწრეთა სახეზე, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მათზე ამ სიტყვებმა. დამსწრენი-კი ისხდენ მდუმარედ და დიდი ყურადღებით ისმენდნენ სააკაძის სიტყვებს. მათ შუბლსა და სახეს ანათებდა ღრმა ფიქრი. ჩანდა, რომ ყველანი გაეტაცნა მოურავის მაღალ აზრს და მის განსაკვრეტად მკვეთრად მუშაობდა მათი გონება.

გმირმა მოსვა წყალი და განაგრძო უფრო მდაბალი ხმით:

— ივერიის ტახტის ღირსეული მემკვიდრე უკვე მოძებნილია. ეს არის ბატონიშვილი ალექსანდრე, მას თეიმურაზმა უნდა დაუთმოს ტახტი ნებით ან ძალით, თვითონ კი აირჩიოს სავანედ რომელიმე მონასტერი, რომლებიც ასერიგად შეჰყვარებია ამ ბოლო ჟამს, დაჯდეს იქ თავის სენაკში და სწეროს ლექსები. აქ კი ამავე დროს უნდა ვეცადოთ და შევუერთოთ იმერეთის სამეფოს სამთავრონი — გურია, სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი. ამრიგად გაერთიანდება კოლხეთი. შემდეგ-კი კოლხეთ-ივერიის გაერთიანება თავისთავად მოხდება. ღმერთმა-ინებოს და დიდხანს აცოცხლოს ამიერით მთელი კოლხეთის მეფე გიორგი, ბრძენი, მამაცი

და ხალხის მოჭირნახულე... რაც შეეხება მესხეთის შეერთებას, ისიც არაა შორეული საქმე. ხოლო გაერთიანებული კოლხეთ-ივერი მალე გაიმართება წელში, გაძლიერდება ნივთიერად და სულიერად, ადვილად მოიგერიებს როგორც მთის ხალხებს, ისე ორ ვეშაპს, უკვე საგრძნობლად დასუსტებულ სპარსეთსა და ოსმალეთსა.

— გისმინოს მაღალმა ღმერთმა და წმ. გიორგიმ, ერის მოთავევ! გისმინოს! — უნებლიად წამოიძახა ყველამ და დუმდნენ გაოცებულნი და გარინდულნი.

მცირე ხნის შემდეგ წამოდგა კათალიკოსი ზაქარია და მეფის ნებართვით მიმართა დიდ მოურავს:

— ქართველი ხალხის დიდო მოთავევ! აქამდე გვაოცებდა ჩვენა და მთელ მსოფლიოს შენი სამხედრო გენიოსობა. სამშობლოს უზენაესი სიყვარული, მდაბიო ხალხის მიმართ ზრუნვა და თავგანწირვა, ახლა კიდევ გვაოცებს ფრიად და მოგვწონს შენი მაღალი, გაბედული აზრი საქართველოს გაერთიანების შესახებ. შენი ბაგენით ღაღადებს თვით ჭეშმარიტება. შენ გადააჭარბე თვით დიდებულ ალექსანდრე მაკედონელს ბრძოლის ველზე, შენ სამჯერ იხსენ დაღუპვისაგან მთელი ივერი და მით მთელი საქართველო, შენ გაბედე და შეებრძოლე ერთი მუჭა რაზმით ივერიაში შემოსეულ უამრავ მტერს, როცა არ მიიღეს შენი მაღალგონიერი რჩევა და მარაბდის ველზე დამარცხდა ჯარების მთავარსარდლად არჩეული მეფე თეიმურაზი. მფრინავი რაზმებით, სათარეშო ბრძოლით შენ დაამარცხე მძვინვარე მტერი და განდევნე ივერიიდან. ჭეშმარიტად შენ შესძელ ისეთი საქმენი, რომელთა მსგავსი არ ჩაუდენია არც ერთ მეფესა და მთავარსარდალს. და ახლა კიდევ გვამცნევ დიდებულ აზრს საქართველოს გაერთიანებისა და განდიდების შესახებ; შენ გვითითებ იმ საშუალებაზე, რითაც უნდა გადარჩეს დაღუპვას ქართველი ერი, რითაც უნდა გაიჭედოს მისი უკვდავება და ბრწყინვალე მომავალი; მწამს, რომ ამ უდიდეს და უძნელეს საქმესაც შესძლებ შენ და მხოლოდ შენ...

ქართველი ერის მოთავევ! შენ უდიდესი გმირი ხარ ამიერით არამცთუ ჩვენს პატარა სამშობლოში, სადაც არ გქონდა გასაქანი, არამედ მთელ მსოფლიოში. შენ დაამარცხე მცირე ჯარებით დიდი ერანი, დიდი ოსმალეთი, დიდი ავღანი და ინდოეთი, შენ მოახრევინე მათ ქედი პატარა ერის წინაშე, შენ სახელი გაითქვი მთელს აზიაში... ამიტომ, სულიერო შვილო, გლოვაც ხელაპყრობით! იკურთხოს უკუნისამდე შენი დიადი სული და ზრახვანი, შენი მაღალი გონება და აზროვნება, შენი საარაკო ძალა, მხნეობა და ძლიერი მარჯვენა!

ამ სიტყვებით თვალცრემლიანი კათალიკოსი გადაეხვია ერის მოთავეს და მოწიწებით ეამბორა შუბლზე. თვით გმირი ემთხვია სულიერი მეუფის სპეტაკ წვერსა და მარჯვენას, ფრიად აღელვებული ასეთი გრძნობით წარმოთქმულ სიტყვების გამო.

შემდეგ წამოდგა განათლებული მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი და მიმართა დიდმოურავს: — ერის დიდებავ და ქვეყნის ნუგეშო! მაღალ მეუფე კათალიკოსის ჭეშმარიტებით აღსავსე სიტყვას დავსძენ მხოლოდ მას, რომ თვით განგებამ მოგავლინა შენ ქართველი ერის ნუგეშად, ქომაგად და მხსნელად ამ .სისხლის წვიმების ხანაში, სასიკვდილო განწირვის ჟამსა, როცა მას დახვევიან ჩრდილოეთით კავკასიონის მთების ტურა-მელები, ხოლო აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით შემოხვევია ჩასანთქავად ორი პირდაღებული დიდი ვეშაპი. იკურთხოს შენი მოვლენა ჩვენს შორის, მსოფლიო გმირო და ზეკაცო!

იკურთხოს შენი აზრი, ზრახვანი, სიმამაცე და ზღაპრული მოქმედებანი! იკურთხოს შენი სახელი, შენი ხსენება უკუნითი უკუნისამდე ამინ!

ამ სიტყვებით მიტროპოლიტი მიუახლოვდა დიდ მოურავს და მოწიწებით ემთხვია სპეტაკ შუბლზე. ზედმეტად აღელვებული საკაძე ხელსა და თეთრ წვერზე ეამბორა ქუთათელს.

ბოლოს წამოდგა თვით მეფე გიორგი და მიმართა დიდ მოურავს:

— დიდო სარდალო! იმერეთის მეფე გიორგი სავსებით იზიარებს ორი მაღალი მეუფის აქ შენდა მიმართ წარმოთქმულ სიბრძნე-ჭეშმარიტებით აღსავსე სიტყვებს და ქედს იხრის შენს წინაშე, უგვირგვინო მეფევ ივერიისავ! შენ მრავალგზით იხსენ დაღუპვისაგან ერი განწირული, ასახელე იგი საქვეყნოდ და დათურგნე მისი მძვინვარე მტრები. შენ მოდრიკე ქართველი ერის წინაშე ერანელი მხეცი შაჰაბაზი და ოსმალეთის სულთანი. 20 წლის ასაკიდან უკვე 25 წელია რაც უდგეხარ გუშაგად ესოდენ წამებულ ივერიის ერს! და ახლა ქვეყნის განკითხვის ჟამსა, შავბნელ ხანაში სისხლის წვიმებისა, ოდეს ბეწვზე ჰკიდია ერის სიცოცხლე, შენ მოგვევლინე ხალხისა შვილო, რომ ააშორო ქართლოსიანთ ტომთა ღამოკლეს ხმალი და გასჭედო ერის დიდება მჯთი თავმოყრით, ერთად შედუღვით... იკურთხოს ეგ შენი მაღალი აზრი, შენი ზრახვანი!..

ამ სიტყვებით მივიდა მეფე დიდ მოურავთან, მხურვალედ ჩაიკრა გულში, აკოცა როგორც ძმასა და დასვა ტახტზე თავის გვერდით.

XXXIV. ბაზალეთი

1

მეორე დღეს იმერეთის მეფე და დიდებულნი მოურავთან ერთად შეუდგნენ თათბირს, თუ როგორ განეხორციელებინათ გეგმა სრულიად საქართველოს გაერთიანების შესახებ; უომრად არ წყდება საქმე, საჭირო შეიქნა ბრძოლა და ძმათა შორის სისხლის ღვრა. საჭირო იყო საიდუმლო და ფიცხელი მოქმედება, რომ არავითარი ეჭვი არ აეღოთ ივერიაში მოურავის მტრებს, მოულოდნელად დასცემოდნენ თავზე, უეცარი შეტევით დაემარცხებინათ მეფე თეიმურაზი, გადმოეგდოთ ივერიის ტახტიდან და დაესვათ მეფედ იმერთა ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე. ამ მიზნით სააკაძე თხოულობდა ხუთი ათას საუკეთესო მებრძოლთაგან შემდგარ ჯარს. იმედი ჰქონდა, რომ მესხეთ-ქართლიდან მას მიეშველებოდნენ სამი ათასი კაცით მისი მომხრენი, იასე ქსნის ერისთავი, ზაზა ციციშვილი, ქაიხოსრო მუხრან-ბატონი, აზატი გლეხნი გიორგი ქავთარაძისა და თამაზ ქარსიძის სარდლობით, აგრეთვე ჯავახნი ელია დიასამიძის და დავით გოგორიშვილის მეთაურობით, რისთვისაც სასწრაფოდ აფრინა მათთან თავისი ძმადფიცულნი. საიდუმლოდ ამცნო თავისი მიზნები, მოსთხოვა ჯარით დახმარება და დაუთქვა პაემანი.

იმერთა მეფე-დიდებულნი უკვე შეუდგნენ სამზადისს და ჯარის შეგროვებას, თანაც დაჰყარეს ხმა, ახალციხიდან მოველით თურქთა ფაშის თავდასხმას და ჯარსაც ამიტომ ვაგროვებთო.

მაგრამ რასაც ასე უმალავდნენ თეიმურაზ მეფესა და ზურაბ ერისთავს, მათ არ დარჩათ საიდუმლოდ.

საღამო ჟამს ვიღაც უშნო მხედარი ცხენით მიადგა დუშეთის სასახლეს, სადაც იმჟამად ცხოვრობდა ზურაბ ერისთავი, გადმოხტა ცხენიდან ჯალავნის წინ ჭიშკართან და სთხოვა გუშაგს ეცნობებინა დიდი თავადისათვის, რომ სწადდა მასთან ხლება. იგი მაშინვე მიიღო ზურაბმა თავის სენაკში. და ტახტზე მჯდომარემ გადახედა თავისი დიდრონი ბრიალა თვალებით, რითაც ააცახცახა ახლადმოსული შუახნის უშნო არსება, მოძველო შალის ჩოხაში გახვეული.

— ვინა ხარ შენა? — შეეკითხა რიხიანად ზვიადი ერისთავი და გააბოლა გრძელი ჩიბუხი.

— მე... მე, დიდო ბატონო, ცხინვალიდან გახლავარ, თქვენი დიდად ერთგული და კეთილის მოსურნე, — უთხრა მან ნელი ხმით, რომელშიაც კრთოდა შიში და კრძალვა.

თანაც მიმოიხედა ირგვლივ — სხვა ხომ არავინ ისმენსო.

— საიდან მოდიხარ?

— იმერეთიდან; ჩხარსა და ქუთაისში გახლდით მთელი კვირა, ცხვრისა და თხის ტყავებს ვყიდულობდი ჩემი დაბახანისათვის მეშად და სამოგვედ.

— ეგ არ არის ჩემთვის სანუკვარი. შენ მითხარი სხვა უფრო საგულისხმო ამბავი, თუ რამე იცი, — დაიგრგვინა ბოხი ხმით ზურაბმა.

შავი სქელი წვერი მოხდენით ეფინებოდა მის ფართო გულმკერდს. ახლადმოსულს კვლავ აუტყდა ცახცახი; თითქოს ნანობდა აქ მოსვლას, მაგრამ გაახსენდა, თუ რა დიდი ჯილდო ელოდა მას, და საამოდ გაუღიტინა გულში. მიმოიხედა კვალად, მიუახლოვდა ერისთავს და ძლივს გასაგონად მოახსენა:

— იქა, ბატონო ჩემო, დიდ მზადებაში არიან იმერთა მეფე და დიდი მოურავი. ჯარებს აგროვებენ... ხმა დადის, თითქოს ოსმალებს ელიანო, მაგრამ ქუთათურ ვაჭრებს არ სჯერათ ეგა. იმათ საიდუმლოდ გადმომცეს — ქართლისაკენ აპირებს ლაშქრობასაო. მეფე თეიმურაზის გადმოგდება სწადიათო...

ამ სიტყვების გაგონებაზე ზეზე წამოვარდა უზარმაზარი ზურაბ ერისთავი, დაიღრიალა რაღაც უცნაურად და მივარდა მას. აცახცახებული აეშაგი დაემხო იქვე.

— ნუ გეშინია, ალსდექ, არაფერს გერჩი, პირიქით, დიდად მადლობელი ვარ მაგ ამბისათვის. აბა, დაიჭი! — ამ სიტყვებთან ესროლა ოქროებით სავსე ქისა, რომელიც ჯაშუშმა მარდად დაიჭირა, აწონა ხელში მისი სიმძიმე და სწრაფად ჩაიგდო უბეში. უზომო სიხარულმა აიტაცა იგი, დაემხო ზურაბის წინაშე და მოწიწებით ემთხვია მუხლებზე.

— არა ვარ ღირსი, ჩემო ხელმწიფეე, ასეთი უხვი წყალობისა. ჯერ არაფერი მითქვამს ასეთი. უბრძანე შენს მონას და მზად არის ცეცხლსა და წყალში გადავარდეს შენი გულისათვის.

ერისთავმა ოდნავ ზიზღით გადახედა და მიმართა წყნარი ხმით:

— სთქვი ყველაფერი, რაც იცი! ნურაფერს დამალავ, ხომ იცი ჩემი სიუხვის ამბავი! კისრამდე ჩაგსვამ ოქროში, კისრამდე!

— დიდო ბატონო, რა ღმერთი გამიწყრება და დავმალავ რასმეს, აბა ვის ვეტყვი სხვასა, თუ არა თქვენ? ჯერ დავაპირე დიდი მეფე თეიმურაზის წინაშე ხლება, მაგრამ გადავიფიქრე და თქვენთან გიახელით, როგორც ჩემს დიდ მწყალობელთან და მეფის სიძესთან.

— კარგად გიფიქრია, ეგრე სჯობდა. საჭირო იყო პირველად მე მცოდნოდა. კახეთში წასვლით დიდ ხიფათს წაეკიდებოდი გზაზე. ხომ იცი, ლეკებითა და ყაჩაღებით სავსეა შარაგზები, გაგცარცვავდნენ, მოგკლავდნენ; შენც გაფუჭდებოდი ტყვილაუბრალოდ და ეს ჩვენი საქმეც წახდებოდა, რადგან ეგეთი ჭკვიანი ყოფილხარ, ამიტომ მიჩუქებია კიდევ შენთვის შეკაზმული ბედაური და ათი ერკემალი. ახლა კი მამცნე ყველაფერი.

უზომოდ გახარებულმა ჯაშუშმა კვლავ დაუკოცნა მუხლები და დაიწყო:

— ბთისა და არაგვის დიდო ბატონო! როგორც მოგახსენეთ, მთელი კვირა გახლდით იმერეთს, იქ ბევრი რამ ვნახე

და ბევრიც გავიგონე, თუმცა, როგორც სჩანს, მეფე და დიდი მოურავი ფრიად საიდუმლოდ მოქმედებენ. ჯარი უკვე შეუკრებიათ ხუთი ათასი რჩეული ვაჟკაცი, ერთიმეორეზე უკეთესნი. აქეთ მოდიან საომრად, მეფე თეიმურაზის წინააღმდეგ, სწადიათ მისი ტახტიდან ჩამოგდება და სხვა მეფის დასმა.

— ვისი? დაუყვავა ზურაბმა.

— ვისი, ჩემო ბატონო, და... — აქ შეჩერდა იგი.

— ჰო, ვისი? თვით იმერთა მეფე გიორგის ხომ არა?

— არა, ჩემო ბატონო, ვგონებ, მისი ვაჟი ალექსანდრე სწადიათ ივერიის მეფედ.

— ალექსანდრე?! ნამდვილად იცი?! — შეეკითხა ვაკვირვებული ზურაბი.

— ასე გადმომცა საიდუმლოდ ჩემმა ნათლიმამამ.

— იმან კი საიდან გაიგო? — შეეკითხა ერისთავი.

— მისი კვიდრი დისწულია გიორგი მეფის მასხარა. აბა იმას რა გამოეპარება სასახლეში, — დიდი ოსტატი და ყურმახვილი არსებაა. აი, ამას უთქვამს საიდუმლოდ ბისთვის.

ზურაბ ერისთავი მეტად ჩააფიქრა ამ ამბავმა. იგი ბიხვდა ყველაფერს. ზურაბმა ადრევე იცოდა დიდი მოურავის გეგმები საქართველოს გაერთიანების შესახებ. ამ გაერთიანებით ეღებოდა ბოლო ივერ-კოლხეთში დიდი თავადების თავაშვებულ ფარფაშს, მათ ურთიერთ რბევას, ხალხის ცარცვასა და ტანჯვას. ამ სახით ბოლო ეღებოდა მის გაღვიძებულ მადას და ბატონობას თუშ-ფშავ-ხევსურებზე. მას თვალი ეკავა აგრეთვე ქსნის ხეობასა და სამუხრანოზე. ამ ზვიადი თავადის მგზნებარე ოცნება კიდევ უფრო ბორს ბიდიოდა. ის სიძე იყო მეფე თეიმურაზისა, მან კარგად იცოდა ამ მეფის სილაჩრე და უნიჭობა. ზურაბს ბევრი გავლენიანი მომხრე ჰყავდა ქართლსა, კახეთსა და ირანშიაც-კი. ვინ იცის, ერთ დროს რა მოხდებოდა, როგორ შეიცვლებოდა მისი ბედი! იქნებ ბაგრატიონთა გვარს ალაგი დაეთმო ერისთავის გვარისათვის ივერიის ტახტზე. და ამ დიდ იმედებს აქარწყლებს ახლა ვინ? მისი საკუთარი სიძე, ძმადფიცული დიდი მოურავი გიორგი სააკაძე... და ამას შესძლებს იგი

თუ დროით არ იქნა მიღებული საჭირო ზომები. ახლა ზურაბი ნანობდა დიდად, რომ გადიმტერა დიდი მოურავი, მაგრამ გვიანღა იყო.

— ხომ კარგად გახსოვს, რაც მითხარ? — შეგრგვინა ერისთავმა ამბის მომტანს.

— როგორ არ მახსოვს, დიდო ბატონო!

— ჰოდა ჩემი სურვილია დაივიწყო! აღმოფხვრა ხსოვნიდან. კრინტი არ დასძრა სულიერთან, არსად წამოგცდეს... არც ის სთქვა, რომ აქ მოხველ. ხომ გესმის?

— მესმის, დიდო ბატონო. დავმუნჯდები, პირში წყალს ჩავიგუბებ...

— ეგრე, ეგრე! ჭკვიანი ყოფილხარ. ამალამ აქ დარჩები, ხვალ დილის რიჟრაჟზე წახვალ.

ზურაბმა შემოკრა ტაში. შემოვიდა ფარეში და დადგა კარებთან.

— ციხისთავს დამიძახე.

— ეხლავე, დიდო ბატონო!—ამ სიტყვებით გავარდა ბიჭი. კარებში უცებ გაჩნდა ხანში შესული ვაჟკაცი.

— ედიშერ, წაიყვანე ეს ჩვენი სტუმარი და კარგად გაუმასპინძლდი. ხვალ დილის რიჟრაჟზე გაისტუმრე; შესვი საუკეთესოდ შეკაზმულ ბედაურზე, თანაც გაატანე ათი ერკემალი, მაგის საჩუქარია.

აეშაგი მადლობის გადახდით გაჰყვა ციხისთავს.

ზურაბი ჩამოჯდა ტახტზე, მოუკიდა ჩიბუხს ცეცხლი კვეს-აბედით, გააბოლა ორ-სამჯერ და უნებლიედ ჩაიფლა ღრმა ფიქრებში.

— ხედავ, რა სწადია მოურავს! ხედავ, რა მახეს გვიგებს! მაგრამ ვინ იცის! იქნებ თვით გაებას ეგ ფრთხილი მელა თავის ხაფანგში... ბედი მწყალობს. რომ არ გამეგო, ხომ მძინარეს დაგვესხმოდა თავზე და მოგვსპობდა ერთიანად. დაილოცოს, უფალო, შენი სახელი! ეხლავე უნდა ვაცნობო ჩემს სიმამრს მეფე თეიმურაზს: დროით უნდა მივიღოთ ზომები... ვისმეს გაგზავნა ან ბარათის მიწერა შეუძლებელია.

ასეთმა ფიქრებმა შორს გაიტაცა არაგვის ერისთავი. უცებ წამოიჭრა ზეზე, რალაც აზრმა გაუბრწყინა სახე.

— ოჰ, რა სიბრიყვეს ჩავდივარ! როგორ შეიძლება მისი გაშვება! ვინაა თავდები, რომ არ გამცემს, რომ არ აუწყებს დიდ მოურავს, რომ ჩვენ უკვე ვიცით იმის საიდუმლო! ამით ხომ კიდევ ბევრად მეტ ჯილდოს მიიღებს, ვიდრე მე მივეცი! არა, ვერ გავუშვებ ჯერ ხანად მაინც... მოვკლა? არა, ცოდვაა, რა დაუშავებია კარგის მეტი. მაშ რამდენიმე ხნით უნდა გავაჩერო, უნდა დავატუსაღო...

ზურაბმა შემოკრა ტაში. შემოვიდა ფარეში.

— მიხმე ციხისთავი.

— ეხლავე, დიდო ბატონო! — და გავარდა გარეთ.

— რას მიბრძანებთ, ბატონო? — შეეკითხა ციხისთავი.

— ის კაცი არ გაუშვა. ჩუმად დამწყვდიე სასახლის სარდაფში და კარგად გაუფრთხილდი არ გაგეპაროს, თორემ დიდ ხიფათში ჩავარდებით ყველანი. ისე კი მოუარე, კარგად ასაზრდოვე, შენს მეტმა არავინ იქონიოს მასთან კავშირი. ხომ გესმის?

— მესმის, ბატონო!

— ხვალ დილით ადრე კახეთს მივალ თიანეთით, ძოძიძზადეთ მხლებელნი, ბევრი არ მინდა, ათი მეყოფის.

— მზად იქნება, ბატონო. სხვას რას მიბრძანებ?

— აქედან ფეხი არ დაძრა, არსად წახვიდე, ტყვეებს გაუფრთხილდი. რა ისმის მთებიდან?

— სიწყნარეა ჯერჯერობით, სიმშვიდე. მხოლოდ კბილებს ილესავენ. მარტოოდენ გვემუქრიან.

— არაფერია, მოვლენ გონს. მიხმე თუშ-ფშავ-ხევსურთა მეთაურნი. მესამე დღეს აქ ვარ გაჩენილი, დრო აღარ ითმენს...

— რა ამბავია, ნეტა, ბატონო?

— ჯერ ვერ გეტყვი, მალე გაიგებ. საიდუმლოა ფრიადი. ხიფათი გველის, დიდი ხიფათი... მზად უნდა ვიყოთ... ჩვენს საყმოდან რამდენს გავიყვანთ, თუ საჭიროებამ მოითხოვა?

— ორი ათასამდე რჩეულ ვაჟკაცს.

— კეთილი. მთა რამდენს მოგვცემს?

— თუშ-ფშავ-ხევსურეთი სამი ათასს საუკეთესო მებრძოლს.

— მაშ სულ ხუთი ათასი; საკმარისია. ერთ ამდენს კახეთში შევკრებთ, ქართლიც მოგვაწვდენს ამდენსავე, თუ საჭირო იქნა, ვფიქრობ კი საჭირო გახდება... ოო, მიფრთხილდი, მოურავო... — გაიფიქრა გუნებაში, გაიარა ოთახში და გააბოლა ჩიბუხი.

ოქტომბრის ხასხასა დილაა. მზე ოქროს სხივებით აცხუნებს კახეთის ტურფა ბუნებას. ხალხს დაუმთავრებია რთველი და მინდვრად გაუბამთ გრძელი გუთნეული. არის შოლტის ტკაცანი და ურმულის ღიღინი. ამ დროს გრემის სასახლის ვრცელ აივანზე ნოხდოშაკებით ლბილად მოგებულ ტახტზე ზის ფეხმოკეცით აბრეშუმის გრძელ ხალათში გახვეული შავწვერა, შუახნის კაცი, თავზე, თათრული წესით ჩალმამოხვეული, ხელთ უპყრია ორბის კალამი და წერს ეტრატზე რაღაც ლექსებს. მის წინ დგას პატარა მაგიდა, გვერდით ორი მხრივ უწყვია დიდრონი მუთაქები ხელების დასაბჯენად. ხანდაზმით შეჩერდება ხიგი რითმის ძებნაში და კვლავ შეუდგება წერას.

— საუზმე მზად გალხავთ, დიდო მეფეო, — მოახსენა აივანზე გამოსულმა სახლთუხუცესმა ჩოლოყაშვილმა, — აქ მიირთმევთ, თუ შიგნით მობრძანდებით?

— ოჰ, რა დროს შემიშალეთ ხელი, ჩემო ბიძინა! როცა მუზა მომიფრინდა და ლექსებიც წყალივით მომდინარეობდა. უხეირო ხალხი ხართ ეს კარისკაცები; მუდამ ხელს მიშლით, ერთი წუთით არ მაცლით დავწერო რამე! ოჰ, ძნელი ყოფილა ერთსა და იმავე დროს მეფობა და მგოსნობა!

— რას სწერთ, ბატონო, ეს ერთი კვირაა, ასე გატაცებით, რომ აღარც ჭამა გახსოვთ და აღარც სმა, არც ძილი და მოსვენება.

— რასა ვწერ და „ვარდ-ბულბულიანს", ჩემო ბიძინა. ო, რომ იცოდე, რა პოემაა, რა პოემა! რა ენა, რა მდიდარი რითმა, რა ლექსთწყობა, რა მუსიკა! რუსთაველის ენა მძიმეა, მდორე, სპარსული სიტყვებით ამღვრეული, მუსიკა ერთფეროვანი, ჩემი კი სულ სხვაა! აი, წაგიკითხავ! მაგრამ

არა, ჯერ დედოფალსა და კარისკაცებს სთხოვე. ჩემს ჭკვიან მასხარას დამიძახე და ყველას ერთგზობად წაგიკითხავთ. აი, ვის უკრის გონება, ვინ აფასებს ჩემს ლექსებსა და პოემებს! დიახ, ის ჯუჯა, ის ერთი ციდა, ასე რომ დასცინით თქვენ ჩემო ვეზირებო და კარისკაცებო. ეე, ეს ვინ მოაქროლებს ბედაურს ასე გამალებით! ნუთუ ზურაბია?! იმას ჰგავს!—წამოიძახა მეფემ გაკვირვებით და შეცვალა საუბრის კილო.

— დიახ, ნამდვილად ზურაბი გახლავთ, თქვენი სიძე, არაგვის დიდი ერისთავი. მეტად მოიჩქარის, ეტყობა, საშური საქმეა.

ამასობაში ზურაბმა შემოაქროლა თავისი მერანი სასახლის ვრცელ ეზოში, მარდად გადმოხტა ცხენიდან და აირბინა კიბე.

— ვაშად მოხველ, ჩემო ძვირფასო სიძე! ფრიად მიამა შენი ნახვა. ესეცაა ჩემი ახალი პოემა „ვარდ-ბულბულიანის“ კითხვას ვაპირებდი და ბარემ შენც დაესწარ. შენ მოგწონს ჩემი „ხილთაქება“. აბა ეხლა ეს ნახე როგორია! ფას ამ ჩემს ლექსთან შენი რუსთველი!

მეფის სიტყვებზე უცნაურად დაიღმიჭა ზურაბ ერისთავი და ოდნავ წყენით მოახსენა:

— ივერიის მეფევ! თქვენ ლექსებით, ნადირობით ერთობით, ამ დროს კი ლამის მოურავმა ტახტი გამოგაცალოს ხელიდან... რა დროს ლექსებია, დალოცვილო...

ამის გამგონე თეიმურაზი მოიღუშა და შეეკითხა:

— რას მეხუმრები, ჩემო სიძევ! მოურავი კარგახანია მოვინელეთ და დავასამარეთ; ის უკვე მეოთხე თვეა იმერეთსაა გადახვეწილი ცოლშვილით.

— და აი, სწორედ იქიდან გვპირდება აკლებას.

— რაშია საქმე, ალბათ, გაიგეთ რამე. ხომ? — შეეკითხა მეფე შეკრთომით.

— დიახ, ვიცი ზოგი რამ, ბატონო ჩემო, და გთხოვთ მომისმინო საიდუმლოდ!

თეიმურაზს ეცვალა ფერი. მან უცებ ჩაკეტა მაგიდის ყუთში თავისი ახალი პოემა, მოხვია ხელი ზურაბს და წაიყ-

ვანა სენაკისაკენ. კარებთან მოიბრუნა პირი და მიაძახა სახლთუხუცესს:

— ბიძინა, სუფრა აქ გაშალონ აივანზე და ჩემი საუკეთესო საფერავიც მოხადონ. ჩვენ მალე გამოვალთ. ხვალ დილით სანადიროდ წავალთ, აცნობე ბაზიერთუხუცეს ბარძიმს.

ამ სიტყვებით მეფემ შეიყვანა ზურაბი თავის საიდუმლო სენაკში და გადარაზა კარები.

— რაშია საქმე, ჩემო სიძევ?

— რაშია და საკაძე მოდის იმერთა რჩეული ჯარით, მოულოდნელ გვიპირებს თავზე დაცემას, დატყვევებას, სამეფოს წართმევას, განადგურებას და იმერთა გაბატონებას.

— მერე, ეის სთავაზობს ჩემსა ტახტს? იმერთა მეფე გიორგის?

— არა ბატონო, მის ვაჟს ალექსანდრეს!

— შეუძლებელია, დაუჯერებელი ამბავია! ვითარ გაბედავს მოურავი ასეთ რამეებს! ან გიორგი მეფე ვითარ შემეცილება ტახტსა?

— საკაძეს აქვს საამისო გამბედაობა. მას დიდი ხანია სწადია საქართველოს გაერთიანება; ეს აზრი კიდეც გამცნო. თუ გახსოვს, ამ სამი წლის წინათ და შენ უკუაგდე, არ ისმინე.

— დაუჯერებელი ამბავია... მერე, იმერთა მეფე თანაუგრძნობს?

— რატომაც არა! რას კარგავს! — იძენს კი ბევრს რასმეს. მისი შვილი ჯერ გახდება ქართლ-კახეთის მეფე, შემდეგ მთელი კოლხეთი თავისთავად შეუერთდება, როგორც კანონიერ მემკვიდრეს. რაც შეეხება მესხეთს, იმასაც ადვილად ჩაიგდებენ ხელში, თუ კი დიდი მოურავი გვერდით ეყოლა, მით უმეტეს, რომ ოსმალეთი საკმაოდ დასუსტებულია ამჟამად და არც სპარსეთია უკეთეს ყოფაში. აი, საუკეთესო ჟამი საქართველოს გაერთიანებისა!

— მერე, ჩვენ რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? — შეეკითხა საკმაოდ შეშინებული თეიმურაზ.

— აი ამისთვის მოველ აქ, რომ ესევე შეგეკითხო ივერიის მეფეს.

— აბა მე რა უნდა მკითხო, ჩემო სიძევ! ასეთ რამეებში შენ უკეთა ხარ დახელოვნებული! მაგ შენი დიდ ნიჭით, გონიერებითა და სიმამაცით აჭარბებ კიდეც დიდ მოურავს. და თუ ის გავწირე სასიკვდილოდ უფრორე შენთვის, რათა უმისოდ უფრო გაშლილიყო ივერიაში შენი დიდი ნიჭი და სამხედრო გენიოსობა, ჩემო ალექსანდრე მაკედონელო!

მოუქონა თავი ზურაბ ერისთავს ამ დათაფლული სიტყვებით. — ხოლო ეგ მაუწყე, რა რიგ გაიგე ეს ამბავი, ან რამდენად მართალია იგი?

— გუშინწინ ღამით ერთმა საიმედო პირმა, იმერეთით ჩამოსულმა, მომიღო ეს ამბავი.

— ის პირი სადაა? რად არ მოიყვანე?

— მისი გაშვება, ან აქეთ მოყვანა ყოვლად შეუძლებელია. არ მწადს გახმიანდეს ეს საქმე. აქ საჭიროა დიდი სიფრთხილე და საიდუმლოს დაცვა, რომ არაფერი მივიდეს მოურავის ყურამდე, რაიმე გუმანი არ აიღოს. დეე იგი ფიქრობდეს, რომ ჩვენ გვძინავს მოსვენებით, რომ არაფერი ვიცით, რათა თვით გავაბათ ჩვენთვის დაგებულ ხაფანგში ის ოსტატი მელა. და თუ მან იყნოსა, რომ ჩვენ უკვე გავიგეთ ეს ამბავი, ო, მაშინ დაიღუპა ჩვენი საქმე! ის ფიცხლავ შეცვლის თავის გეგმას და ისეთ საქმეს დაგვაცხრობს თავზე, რომ ხარება დღე მოგონილი იყოს მასთან. აი, სწორედ მაშინ დაიღუპა ჩვენი საქმე! ხომ იცი მისი დიდი გონების, ფანდებისა და სამხედრო ნიჭის ამბები!

— მაშ როგორ მოვიქცეთ, სიძევ? გვირჩიე რამე, დიდო სარდალო!

— როგორც გავიგე, ის მოდის მცირე ჯარით, ხუთიათას კაცამდე, ალბად, ქართლშიაც მოაგროვებს ხელდახელ სამიათასამდე. სულ ეყოლება რვაათასამდე მხედარი. ჩვენ-კი უნდა ვეცადოთ რომ გვყავდეს არა ნაკლებ 15 ათასი საუკეთესო მებრძოლისა; მასთან უნდა გავმაგრდეთ ბუნებრივად კარგად დაცულ ალაგებში, ვეცადოთ მოვამწყვდიოთ იქა და მივცეთ ცეცხლი ორი მხრივ: ზემოდან მთის ხალხებმა, ხოლო ქვემოდან შენმა ჯარმა. იცოცხლე, ჩვენ მასპინძლობა გავუწიოთ სააკაძის სტუმრებს — თავხედ იმერლებს! ერთ

მთხრობელს არ გავუშვებთ, თუ კაცი ვარ და ეს ულვაში მსხმია! თანაც თვით ჩემს სიძეს, ბატონ მოურავს, ისეთ ხაფანგს უგებ, რომ ცოცხალი იქედან ვერ წამივა!

— რა არის ასეთი, ჩემო დიდებულო სიძევ?

— ჯერ ვერ გეტყვი, სამწუხაროდ, თავის დროზე გამცნევ ყველაფერს.

— ეხლა რა ვიგულოთ, როგორ შევუდგეთ სამზადისს?

— დაუყოვნებლივ უნდა შევკრიბოთ მთისა და ბარის თავი კაცები და ფრიად საიდუმლოდ ვაუწყოთ, რომ თავს გვესხმიან ოსმალნი ახალციხიდან, ამიტომ სწრაფად უნდა შევკრიბოთ 15 ან 20 ათასი საუკეთესო მეომარი, ხოლო დიდი მოურავის მიზნებს მათ გავაცნობ მას შემდეგ, როცა იგი უკვე შემოვა ქართლში იმერთა ჯარით. მაშინ ავუხსნი მთელ ჯარს, რომ ივერიის ხალხს უღალატა მისმა მოთავემ გიორგი სააკაძემ, განგვიდგა ჩვენა, მიესყიდა იმერეთის მეფეს და ახლა მოჰყავს იქაური ჯარი, რათა დაიპყროს მთელი ივერი, გადმოაგდოს ტახტიდან ჩვენი კურთხეული მეფე თეიმურაზი, ქეთევან წამებულის ღირსეული ვაჟი, ხოლო მის ნაცვლად სწადია ტახტზე დასვას მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილი. ამრიგად მთელი ქართლ-კახეთი აქციოს იმერთა ყმად და მონად.

— ოო, რა შთაბეჭდილებას მოვახდენ მათზე: ლომებად გავხდი, მგლებად ვაქცევ! სულ მათივე კბილით დავაგლეჯინებ მოურავსა თავის იმერლებით...

— ო, ვენაცვალე მაგ შენ სიბრძნეს, ივერიის გმირო! — შესძახა აღტაცებულმა მეფემ. — მინდა ვეამბორო იმ შუბლს, სადაც ჩნდება ეგეთი დიადი აზრები.

სიძე-სიმამრი გრძნობით გადაეხვივნენ ერთმანეთს. შემდეგ ფრიად კმაყოფილნი გავიდნენ აივანზე, სადაც ელოდათ საუკეთესო კახური ღვინოები და ნამზადებით აფერადებული სუფრა.

მეორე დღიდანვე შეუდგა ზურაბ ერისთავი მზადებას. მან ყოველ მხრივ აფრინა კაცები. დაიბარა მეთაურნი, ამცნო, თუ რა დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი ქართლ-კახეთი თურქეთისაგან, რომელნიც ემუქრებიან თავდასხმას ახალ-

ციხიდან. ათ ლიეში შეკრიბა თორმეტიათასი რჩეული ვაჟკაცი, კარგად შეიარაღებულნი, და დააბინავა სიმაგრეებში ბაზალეთის ტბის მახლობლად, ხოლო ხუთიათასამდე კაცი დამალა მარქაფად ზემო-ავჭალაში. ამრიგად მომზადებული ელოდა საკაძეს.

მეორე მხრივ იმერთა ჯარები მოგროვდნენ კორტოხთან, გადვიდნენ მთებზე და დაეშვნენ ქართლში. მათ მოუძღოდა ჯუბა-ჯავშანში მჯდარი დიდი მოურავი, შავ რაშზე მჯდომარე. იგი განიცდიდა ენით აუწერელ სულიერ ქენჯნას. მისი მიზეზით უნდა მომხდარიყო კოლხ-იმერთა შეტაკებანი, უნდა დაღვრილიყო მოძმეთა სისხლი. გმირს მიჰყავდა იმერთა ჯარი იმ ხალხის წინააღმდეგ, რომლის მრავალჯერ გადასარჩენად მან არ დაზოგა საკუთარი თავი და ცოლშვილი ოცი წლის მანძილზე.

გმირის გულში საშინელი სახმილი ტრიალებდა; ხაშურთან მას შეუერთდა ხუთასი კაცით მესხეთის განთქმული სარდალი, ფრიად მამაცი და ახოვანი დავით გოგორიშვილი.

ქალაქ გორთან საკაძემ გაიგო, რომ თეიმურაზ მეფემ და ზურაბ ერისთავმა უკვე იციან მისი ფარული გეგმები და კარგად მომზადებულნი დიდი ჯარით ელიან მას სიმაგრეებში ბაზალეთის ზემოთ. ამას კი არ მოელოდა მოურავი; მძიმე საგონებელში ჩავარდა იგი. აშკარად ხედავდა, რომ ეს გარემოება საფრთხეში აყენებდა მის, შედარებით მცირე, ჯარს. იმედი ჰქონდა, რომ მცხეთასთან მას შეუერთდებოდნენ საკმაო დიდი ჯარით მისი მომხრენი, ნამდვილად კი მოუვიდა მხოლოდ ათასი კაცი. ასე მცირე ჯარით ის უნდა შებრძოლებოდა თითქმის სამჯერ მეტ მოწინააღმდეგეს, რომელსაც სარდლობდა დიდი სტრატეგი ზურაბ ერისთავი; ამან კი კარგად იცოდა დიდი მოურავის სამხედრო ფანდები. უკან დახევა ან შეჩერება აღარ შეეძლებოდა, რადგან მსუბუქად და მცირე ნუზლით წამოსული იმერნი იჩქაროდნენ ბრძოლას. მოურავმა მცხეთასთან დატოვა ზურგის გასამაგრებლად ქართველელი რაზმი, ათასი კაცი, იასე ქსნის ერისთავისა და ქაიხოსრო მუხრანბატონის სარდლობით, ხოლო თვითონ ხუთიათას ხუთასი კაცით გასწია დუშეთისაკენ. საკა-

ძე შეჩერდა სამუხრანოს ველზე და სცადა როგორმე ჩამოეტყუებინა ზურაბ ერისთავი, მაგრამ იგი არ იძროდა ადგილიდან. ის მშვენივრად გრძნობდა თავს სიმაგრეებსა და აგებულ ბინებში ბაზალეთის ტბასთან. ზურაბმა კარგად იცოდა, რომ გაშლილ ბრძოლაში დამარცხდებოდა თუნდაც სამჯერ მეტი ჯარითაც. ამიტომ არ ტოვებდა თავის ბანაკს. აქეთ კი საკაძეს სულს უწუხებდნენ იმერნი. მოითხოვდნენ შეტევას და ომის საჩქაროდ გათავებას, მით უმეტეს, უკვე დადგა ნოემბერი წვიმებითა და ცივი დღეებით. ვერავითარმა თხოვნა-მუდარამ ვერ შეაჩერა ისინი! მოურავი იძულებული გადხა დაეთმო მათთვის. იგი გაუძღვა თავის მცირე ჯარს დუშეთისაკენ. ეს იყო საბედისწერო ნაბიჯი. შფოთარე გული კარგს არას ეუბნებოდა მას.

სულიერი წამების საშინელი ცეცხლი ენთო ამ დიდი ადამიანის არსებაში. მას მიჰყავდა ჯარი იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც სამჯერ იხსნა დაღუპვისაგან და იმდენი საგმირო საქმე ჩაიდინა. დღეს კი თავისი ხელით უნდა დაკლას ისინი, უნდა გამოჭრას ყელი, უნდა შეწიროს ზვარაკად...

ამ დიად მსხვერპლს ითხოვს ქართველი ერის გაერთიანების საქმე, ერის მომავალი...

— „წავიდე?! ვითარ აღვმართო მახვილი იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელთაც თავგანწირვით ვგლეჯდი პირიდან ათეული წლების მანძილზე გაცოფებულ მგლებსა და ვეშაპებს?! დავბრუნდე უკან? ხომ დაიმსხვრა მაშინ ეს ჩემი უზენაესი მიზანი! ხომ დაიღუპა ქართველ სამეფო-სამთავროთა გაერთიანების დიადი საქმე! ხომ ჩაუვარდა ქართველი ერი პირში ჩასანთქავად ორ მეზობელ ვეშაპს, — თურქებსა და სპარსებს! რა ვქნა?! როგორ მოვიქცე? რას მამხელ, ჩემო გონებავ?! რას მეტყვი, გულო?!“

აი, ასეთ მწვავე ფიქრებს, ასეთ სულიერ ტანჯვებს შეეპყრო გმირის არსება და ქენჯნიდა მას! ის საშინელ ტრაგიზმს განიცდიდა...

— არა, უნდა აღსრულდეს, რაც სწადია დიდსა განგებას! დეე, მოხდეს ის, რაც უწერია ბედის ეტრატზე ჩვენს უბედურ ერსა! დიადი საქმე თხოულობს დიად მსხვერპლს! ქართველმა

ხალმა თავისი საკუთარი სისხლით უნდა გასჭედოს თავისი არსება, თავისუფლება და ამომავალი დიდება!

დაცხრი, შფოთარე სულო! ნუ გმინავ მწარედ, ჩემო გულო! წამოიძახა გმირმა უნებურად ხმამაღლა ეს ბოლო სიტყვები, მოიწმინდა თვალებზე მომდგარი ცრემლი, შემოჰკრა ფეზი თავის მერანს და გაუდგა გზას დუშეთისაკენ.

მას მიჰყვა მამაცად იმერთა ჯარი...

შუაგზაზე მოიღუშა ცა; დაბერა შემოდგომის ცივმა ქარმა; მთებს მოედო სქელი, შავი ღრუბელი, წამოვიდა თქეში. დასველდა მთლიანად სააკაძის ჯარი. ძლიერი წვიმა სცემდა-მათ თავსა და პირში. ცივი ქარი უვლიდა ძვალსა და რბილში. ცხენი და კაცი ეფლობოდნენ მუხლამდის ლაფში. ამრიგად ფრიად გაწამებული და დაღლილ-დაქანცული ჯარი მიუახლოვდა ბაზალეთის ტბას, რომლის მეზობლად იყო გამაგრებული ზურაბის ლაშქარი, დასვენებული და თბილ ბინებში შეფარებული. სააკაძემ აქ შეაჩერა თავისი დაქანცულ-დალუმპული ჯარი, მოატანინა ბლომად შეშა და ააგზნებინა რამდენიმე ალაგს დიდი კოცონი კაცისა და ცხენის გასაშრობ-გასათბობად.

მზვერავთა მეოხებით ზურაბმა მაშინვე გაიგო დიდი მოურავის მოსვლა. იგი აშკარად ხედავდა, თუ რა საშინელ ყოფაში იყო ეს ახლადმოსული ჯარი. ამიტომ იმ წამსვე დაძრა თავისი ლაშქარი და გამგელებით შეუტია სააკაძის დაქანცულ მხედართ. შეიქნა ხელჩარ.თული ომი, ბრძოლა მედგარი და საზარელი... ქართველები დაერივნენ ერთიმეორეს გასაჟლეტად. ქართველის მახვილი ჰკლავდა ქართველს. სოველი მიწა წითლად იღებებოდა მოძმეთა სისხლით. ზეცა თითქოს მოთქვამდა ამ საშინელებას და ძირს უშვებდა თქეშსა და ღვართქაფს. აი, ამ დროს იყო საჭირო დიდი მოურავის ბელადობა, მისი მჭექარე ხმა და მედგარი იერიშები. და სწორედ ამ დროს აუჩვილდა გული ამ დევკაცს. მან ძირს დაუშვა ამოწვდილი ხმალი; ვერ გაიმეტა ზურაბის ჯარი, ვერ აღმართა ქართლ-კახთა წინააღმდეგ ის მახვილი, რომელიც თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ელეტდა ოვერთ მტრებს — ირანელთ და თურქებს.

ეს იყო დიდი მოურავის უდიდესი შეცდომა. ამას კარგად გრძნობდა თვით იგი; მან იცოდა, თუ რა ხიფათში აგდებდა ამ გულუბრყვილობით თავის მხედრობას და მით ერის მომავალს. მაგრამ, სავალალოდ, გმირის გულმა ამჟამად სძლია გონებას. მან მოახდინა საჭირო განკარგულება ბრძოლის შესახებ და თვით შეეფარა კარავს, რომ არ ემზირა მოძმეთა შორის ბრძოლისათვის. ხოლო ჯარის გასამხნევებლად შემოსა თავისი ჩაფხუტითა და ჯუბა-ჯავშნით მესხეთის სახელოვანი ვაჟკაცი, ბუმბერაზი დავით გოგორიშვილი, მისცა თავისი იარაღი, შესვა თავის ცხენზე და უბრძანა ჯარის სარდლობა. გოგორიშვილი თავისი რაზმებით საოცარი რიხით ეძგერა ზურაბის ლაშქარს, რომელიც აირია მის დანახვაზე, რადგან ორივე მხარემ მიიღო იგი დიდ მოურავად. გოგორიშვილის სიმამაცემ და თავგანწირვით ბრძოლამ მეტად გაამხნევა საკაძის ჯარი. ამან მედგარი იერიშით შეუტია ზურაბის ლაშქარს და რამდენიმე ალაგს არია კიდეც მისი რაზმები. მაგრამ ამ დროს მოხდა ერთი საშინელი რამ: ვერაგ ზურაბ ერისთავს წინასწარ ჩაესაფრა ერთ ფარულ ალაგას საკაძისათვის მკვლელნი ედიშა ვაჩნაძის თაოსნობით. მათი მიზანი იყო რითიმე მოეტყუებინათ დიდი მოურავი და მოეკლათ. ასეც მოხდა და ზურაბმა ოსტატურად წაიტყუა იმ ალაგისაკენ გოგორიშვილი მარტოდ და შემოახვია მკვლელნი.

—შესდეგ მოურავო! — შესძახა მოხევე კობიაშვილმა და ჩასცა შუბი. შეთქმულებმა დაუშინეს გოგორიშვილს შუბი და ხმალი, მაგრამ იარაღი ვერას აკლებდა მის მაგარ ჯავშანს. მესხეთის გმირი ტრიალებდა მათ შორის და ლომივით იბრძოდა. მან იმსხვერპლა კიდეც რამდენიმე კაცი. ამ დროს უცებ დაეტაკა მას გვერდიდან ხმალამოწვდილი ზურაბ ერისთავი, შემოკჭრა მახვილი იმ ალაგს, სადაც არ იყო ჯავშნით ფარული და გააგდებინა ბარკალი. გულწასულ გოგორიშვილს დაესივნენ შეთქმულები და მთლიანად აჰკაფეს სრული რწმენით, რომ ჰკლავდნენ დიდ მოურავს.

— მოჰკლეს გიორგი! მოჰკლეს დიდი მოურავი! — ეს ხმა გლოვის ზარივით მოედო საკაძის ჯარს. იგი აიტანა შიშმა.

მას მოუკლეს დიდი სარდალი, გმირი, მოთავე. ამ ცნობამ სრულიად დასცა ბრძოლითა და ცუდი ამინდით დაქანცული მხედრობა. იგი აირია და დაიხია უკან. პირიქით, ამ ამბავმა უზომოდ ააფრთოვანა ზურაბის ჯარი. იგი საოცარი იერიშით მიესია მტერს. ამ გალაღებულ ლაშქარს წინ უძღოდა ვერაგი ზურაბი, მოაპობდა მტრის რაზმებს და ხმლით კაფავდა კაცს და ცხენს.

დადგა განკითხვის ჟამი. საკაძე აშკარად ხედავდა, რომ აგებდა ბრძოლას და მით ბოლო ეღებოდა მის უზენაეს მიზანს. კიდევ, მცირე ხანი და გათავდებოდა ყველაფერი. გამწარებული გმირი წამოვარდა, როგორც შეშლილი, ელვის სისწრაფით მოახტა ცხენს, იძრო ხმალი და უჩაფხუტოდ, პირახდილი შევარდა ზურაბის ჯარში. ცის გრგვინვასავით მოედო მიდამოს მისი მჭექარე ხმა. ერთი შეტევით არია ერთმანეთში მტრის რაზმები. ადვილად შესაძლოა მოურავის გამარჯვებით დამთავრებულიყო საქმე, რომ ხელი არ შეეშალა ორ გარემოებას: ეს იყო თეიმურაზი და ჩასაფრებული მკვლელნი. ცხარე ბრძოლის დროს საკაძეს წინ შეეფეთა თეიმურაზ მეფე მცველებით, მან მოკურცხლა გმირის დანახვაზე, მოურავს შეეძლო დასწეოდა და მოეკლა იგი, მისი მოკვლით კი თავზარს დასცემდა ივერთა ლაშქარს. მაგრამ, სავალალოდ, აქაც დასძლია გულჩვილობამ. საკაძემ ვერ გაიმეტა იგი: მან ვერ გაიმეტა მოსაკლავად ვერც თეიმურაზი და ვერც ზურაბი, ამათ კი ორჯერ გაიმეტეს იგი და ახლაც დაასხეს თავზე მკვლელნი.

მოურავის დანახვამ და ასეთმა უმაგალითო იერიშებმა განცვიფრებაში მოიყვანა ორივ მებრძოლი მხარე, შედრკა ზურაბის მხედრობა, გამხნევდა საკაძის ჯარი. ზურაბმაც იხილა გმირი, მიხვდა თავის შეცდომას. მან სასწრაფოდ მიუსია დიდ მოურავს შეთქმულნი.

— შესდეგ, მოურავო!—შესძახა გმირს ედიშა ვაჩნაძემ და მოუქნია ხმალი. საკაძე დაიჭრა მკლავში, გამწარებულმა მაშინვე ჩამოაგდო ცხენიდან ედიშა ვაჩნაძე და გაუპო თავი. გმირმა სასწრაფოდ გაფანტა შეთქმულნი და კვლავ შეუტია მტრის რაზმებს.

უკავშნო მოურავი კიდევ მძიმედ დაიჭრა ორ-სამ ალაგას. ის იცლებოდა სისხლისაგან. კიდევ ორ-სამჯერ გაიქნია ხმალი და გულწასული დაეცა ძირს. ერთგულმა ვაჟკაცებმა სტაცეს ხელი, უმაგალითო თავგანწირვით გააპეს ზურაბის ჯარი და გაიყვანეს სამშვიდობოს.

გალალებულმა ზურაბმა მედგრად შეუტია უსარდლოდ დარჩენილ იმერთა მხედრობას...

გადარჩა სიკვდილს დიდი მოურავი, ხოლო დამარცხდა მისი ჯარი.

გმირის გულჩვილობამ იმსხვერპლა დიდი მიზანი. შეწყდა მედგარი ბრძოლა. უსარგებლოდ დაიღვარა მოძმეთა სისხლი. ბაზალეთის ტბის ზვირთებში ჩაიხრჩო საქართველოს ბედის ვარსკვლავი...

XXXV. ექსოდრია

ბაზალეთის საბედისწერო მარცხს შემდეგ გიორგი საკაძეს აღარ ედგომებოდა სამშობლოში. ის უნდა გასცლოდა დროებით მაინც მთელი ოჯახით საქართველოს და შეჰფარებოდა რომელიმე მეზობელ მძლავრ სახელმწიფოს. ასეთი იყვნენ იმ დროს ირანი და თურქეთი. ამათ-კი სისხლი სწყუროდათ დიდი მოურავისა. როგორც ვიცით, 1609 წლის ივნისში ცხირეთ-ტაშისკართან საკაძემ გაანადგურა თურქთა ლეგიონები 30 ათასი მებრძოლი და გადასცა ქართლის სამეფო ხაზინას ალაფად ჩაგდებული უამრავი განძი, ლარი და სხვა ქონება. ხოლო პირველ გახიზვნის დროს ირანში, როგორც შაჰის ჯარების სარდალმა, იმავ თურქეთს მიაყენა უსაზღვრო ზიანი: სასტიკად დაუმარცხა რამდენიმე ალაგას დიდი ჯარები, ჩამოაგლიჯა ერაყი, ქურთისტანი, შუშა-ერევნის სახანოები და მიასაკუთრა ირანს. ამრიგად წააჩოქა ხონთქარი ირანის შაჰის წინაშე. საკაძის ასეთ მოქმედებას განა დაივიწყებდა ოდესმე ოსმალეთის სულთანი?!

დიდი მოურავი ვერ გაბედავდა წასვლას ერანში, სადაც იგი ერთ დროს ზეიმითა და დიდებით მიიღეს. როგორც ვიცით, მან მთლიანად გაანადგურა შაჰის მთავარი ძალები, ივერიაში შემოსულნი 1623 — 24 წლებში, პირველად ხარება დღეს, შემდეგ მარაბდის ველზე და ბოლოს მრავალი სათარეშო თავდასხმით ქართლსა და ჯავახეთში. ამ სახით ხანგრძლივად დაასუსტა დიდი ირანი, მოსპობას გადაარჩინა თა-

ვისი სამშობლო და იხსნა იგი ერანის ბრუყალებიდან. ხოლო ამავე დროს ასეთი მოქმედებით უნებლიედ დიდად ასიამოვნა თურქეთს. შაჰბაზი ვერ ინელებდა სააკაძის ასეთ „საშინელ ღალატს“ და მზად იყო თავისივე კბილებით დაეგლიჯა იგი.

მოურავი ვერ შეეფარებოდა აგრეთვე ვერც იმერეთს ან კოლხეთის რომელიმე მთავრის საფარს, რადგან იმერთა ჯარი სანახევროდ დაიღუპა ბაზალეთის ტბასთან ბრძოლაში. თანაც კოლხეთში არ მოასვენებდენ მისი უძინარი მტრები — ზურაბი და თეიმურაზი.

დიდი მოურავი საგონებელში ჩავარდა. როგორც საუკეთესო დიპლომატმა, ცხოვრებაში კარგად ჩახედულმა და ადამიანის სულის ღრმა მცოდნემ, — მალე მოისაზრა ყველაფერი: მთელი ოჯახით და ორმოცამდე საუკეთესო ქართველი ვაჟკაცით გაუდგა გზას თურქეთისაკენ, ხოლო წინასწარ გაუგზავნა სულთანს დიპლომატიური ფანდებით შეზავებული უსტარი, აუწყა თავისი ვითარება და სთხოვა თავშესაფარი.

მიუხედავად საშინელი ხლართისა, რაშიაც ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალმა ჩაგდო გიორგი სააკაძე, იგი მაინც არ კარგავდა იმედს, რომ შინა თუ გარე ძალებით ოდესმე შეძლებდა რვა ნაწილად დაფლეთილ საქართველოს გაერთიანებას ერთ მძლავრ სამეფოდ და მით აღადგენდა ქართველი ერის ძველ დიდებას. ეს იყო სააკაძის უმთავრესი მისწრაფება, მისი უზენაესი სანატრიონი. მართალია, იგი ამჟამად მეტად მძიმე პირობებში ჩავარდა, მაგრამ ასეთი მდგომარეობა არ აკრთობდა მას.

ამ რწმენით გაუდგა იგი გზას სტამბოლისაკენ. მას უნდა გადაეევლო ახალციხე-ზეკარით იმერეთი, გურია-ქობულეთი და შავი ზღვით წასულიყო სტამბოლს. სააკაძე ამ დროს იყო უკვე 45 წლის ვაჟკაცი, მრავალ ომსა და ცხოვრების უკუღმა ტრიალში გამობრძმედილი. ამიტომაც ამ გაფოლადებულ ადამიანს ლხინად უჩანდა ყოველი ჭირი და ვარამი.

სამშობლოდან გასვლის წინადღეებში გმირთან მოვიდნენ ორმოცამდე საუკეთესო ვაჟკაცნი და ისურვეს მასთან ერ-

თად წასვლა თურქეთში მთელი ოჯახობით. ესენი იყვნენ განსაკუთრებით დიდი მოურავის უახლოესი მეგობრები და თანამებრძოლნი: კახაბერ ხერხეულიძე, ელია დიასამიძე, გიორგი ქავთარაძე, თამაზ ქარსიძე, ქაიხოსრო მუხრან-ბატონი და სხვ. სააკაძეს გაჰყვა აგრეთვე იასე ქსნის ერისთავი; მას ბოლო ხანებში დიდად აუმტერდნენ თეიმურაზ მეფე და ძეტადრე ზურაბ ერისთავი, რომელიც მეფესთან დამოყვრების გამო შეიქნა უძლიერესი მებატონე მთელ ივერიაში.

მოურავს გაჰყვა კიდევ მისი ძმადფიცული პაპუნა ვაშაყაშვილი. რაც შეეხება დანარჩენ ძმადფიცულთ — პაპუნა ჩივაძე შეეწირა სათარეშო ბრძოლას, ლომი ჩრდილელი და დავით გოგორიშვილი — ბაზალეთს, ხოლო გელა, მძიმედ დაჭრილი ამავე ბრძოლაში, გადამალული იყო მოურავის ნათლიმამასთან სოფ. ვაშლოვანში, სადაც მას ჰკურნავდა განთქმული ჯარა ექიმი თურმან თურმანიძე.

სამშობლოდან გასვლის წინა დღეებში სააკაძემ ფარულად რახა ცარო, გრძნობით გამოემშვიდობა, დაუტოვა ბლომადფული, უსურვა მალე მორჩენა და დაავალა მასთან თურქეთს მისვლა, როგორც კი კარგად გახდებოდა.

ცარომ გულში ჩაიკრა დიდი მოურავის მარჯვენა ხელი, ეამბორა გრძნობით და აღუთქვა ყველაფრის შესრულება.

შემდეგ სააკაძემ მოახდინა განკარგულება, სასწრაფოდ მოემზადა ოჯახობით, თანმხლები ქართველებით და თვალცრემლიანი განშორდა ესოდენ ნაამაგარ ივერიას. იმათ ცხენებით გასწიეს ტაშისკარით ახალციხისაკენ, რათა გადაევლოთ ოცხრეს გზით ღადოს (ზეკარის) უღელტეხილი, იქიდან კი ხანისწყლის ხეობით გაევლოთ იმერეთზე, შემღეგ გადაეჭრათ გურია და ქობულეთი, მიეღწიათ ბათომამდე, სადაც უნდა დაექირავებინათ გემი სტამბოლში წასასვლელად.

თუმც უკვე შემოდგომის მიწურული იყო, მაგრამ თბილი, მზიანი დღეები დაიჭირა, რაც არაიშვიათი მოვლენაა კოლხეთში. ერთი კვირის აჩქარებული მგზავრობით ლტოლვილი ქართველნი უკვე მიუახლოვდნენ შავ ზღვას.

ბურუნტაბიეს პაწია კონცხთან მიყუჟულა პაწაწინა ქალაქი ბათომი და კოპწიად გამოიყურება დიდებულ პონ-

ტოს კამკამა ზვირთებს შორის, რომელიც ფირუზისფრად ერტყმის სამი მხრივ, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით · გოროზად ამართულა აჭარის საკმაოდ მაღალი მთები ფიფქითოვლით უკვე ოდნავ ფარული.

ბათომის ბოღაზი სავსეა ამჟამად ცარიელი და დატვირთული სხვადასხვა ზომის ნავ-ხომალდებით, როგორიცაა: ნუშა, კაპანო, კარაპა, კარჭაპა, ხომალდი და კატარღა.

აქვე მახლობლად ნურიის ბაზარზე გურიის თავად-აზნაურთ, ფირალებს და აჭარა-ქობულეთის ბეგებს ბლომად მოეყვანათ მოტაცებული ან ძალით წართმეული სხვადასხვა ასაკის ქალ-ვაჟნი და ურცხვად ჰყიდდნენ სომხისა და ლაზ-თურქთა ჩარჩ-ვაჭრებზე, რომლებიც ბლომად ფუსფუსებდენ აქ ამ დროს, მუშტრის თვალით და ხელის ფათურით უხეშად სინჯავდნენ, გასაყიდად მოყვანილ ხელფეხგაკრულ კოლხეთის მშვენიერ ქალ-ვაჟთ. ყურთასმენას ბზარავდა და სულს აშფოთებდა გასაყიდ და გაყიდულ ტყვეთა უნუგეშო მოთქმა-ტირილი, რომელთაც გულქვა ვაჭრები ტლანქად მიათრევდნენ ბოღოზისაკენ და შოლტით ხელში ცხვრის ფარასავით ერეკებოდნენ იალქნიან ხომალდებზე. ამავე ბაზარზე მშობლები და ჭირისუფალნი უნაყოფოდ დაეძებდნენ ყაჩაღთა მიერ გატაცებულ თავიანთ შვილებსა და ახლო ნათესავთ, უიმედონი მოთქვამდნენ მწარე ცრემლებით.

ამ დროს ბაზრის თავში შეიქნა საშინელი წივილ-კივილი. ორი გულქვა ადამიანი ხელის კვრით შიათრევდა ხელებგაკრულ და ერთიმეორეზე გადაბმულ ორ მშვენიერ მოზარდს, 14-15 წლის და-ძმას. ეს საცოდავი არსებანი გაჰკიოდენ საშინელი ხმით, იგლეჯდნენ თმებს და იხოკდნენ სახეს.

— შეგვიბრალე, ბატონო, ნუ გაგვყიდი! ნუ მიგვცემ ხელში სატანჯავად იმ ურჯულოებს! ნუ გაგვყიდი სათათრეში! აქვე დაგვხოცე და იქ ნუ დაგვკარგავ! შეგვიბრალე ობლები, გაფიცებთ შენი მიცვალებულების სულსა! გეეედრები, წაგვიყვანე ისევ ჩვენს გურიაში... მონად გაგიხდებით... შენზე ვილოცავთ, შეგვიბრალე!

ამ სიტყვებთან ერთად ორივე მოზარდი უკოცნიდა ხელებს ერთ მრისხანე სახის შავწვერა თავადს და ღვრიდნენ

ცხარე ცრემლებს. ეს მხეცი არსება კი უხმოდ მიათრევდა ორთავეს ბაზრისაკენ, თავისი შვილის, ოცი წლის ჭაბუკის, დახმარებით.

ამ ყმაწვილთა უზომო გამწარებამ და უმანკო სიმშვენიერემ მიიზიდა უამრავი ხალხი და სიბრალულით ააავსო მრავალთა გულნი. აქვე მოვიდა დიდი მოურავიც თავისი ცოლ-შვილითა და ქართველებით. ამათაც იხილეს ეს საშინელი სურათი და დაეწვათ გული ამ მოზარდთა სიბრალულით. აქ, ნურიის ბაზარზე, მხეცად ქცეული გურული თავადი ცხვრებივით ყიდდა თავის ყმებს, კარგავდა მათ შორეულ თურქეთში. ამავე დროს აეღო კიდეც ბევრი ფული, რადგან ეს ყმაწვილნი თავის სინორჩე-სიტურფით წარმოადგენდენ ძვირფას საქონელს. ლაზ-თურქთა ჩარჩები ძერასავით დასტრიალებდნენ ამ ორ მშვენიერ მოზარდს ხელში ჩასაგდებად.

დიდი მოურავი დინჯად მიუახლოვდა გამყიდველს და შეეკითხა:

— ადამიანო, ნუთუ არ გებრალება ეს უმანკო, მშვენიერი ობლები, რომ ასე ცხვრებივით ჰყიდი ოსმალეთში?! რას ერჩი, ასეთი რა დაგიშავეს ამ ბავშვებმა?!

მხეცმა თავადმა ახედა უცებ მრისხანედ და სწადდა უკმეხად ეპასუხა, ხოლო რა დაინახა მის წინ მდგომარე მამაცი გოლიათი, იარაღში ჩამჯდარი, რომლის არწივის თვალები ხვრეტდნენ მას, შეკრთა საშინლად და დარცხვენით უპასუხა:

— აბა რაი ექნა, ბატონო! ბარემ არ მინდა გავყიდო ეს ცოდვის შვილები, მარა გაჭირვება მატანს ძალას. ამათი ნენე და ბაბა სახადით დაიხოცნენ და მათი დამარხვა ფული დამიჯდა, ვალებში ჩავვარდი. პაწა ხანი მადროვეს; ახლა კვლავ მომდგომიან და დანას მაჭერენ ყელში, აგი და ჩვენი ფარა მოგვეცით, თვარა ასე და ასე-გიზამთო. აბა საიდან უშოვო ქილავ, ეს ფარა!

ამ სიტყვებით იცრუა თავადმა, რათა როგორმე გაემართლებინა თავისი ველური საქციელი.

— მაშ არ იშლი გაყიდვას?

— არა, ბატონო, გადაწყვეტილი საქმეა, უნდა გავყიდო ორივე და-ძმა, — იყო პასუხი.

— რას აფასებ ორივე ყმაწვილს?

— ათ ოქროდ *, ჩემო ბატონო. ნაკლებ არ შემიძლია. ხომ ხედავთ, როგორი ლამაზებია! მთელს გურიაში ვერ ნახავთ ბადალს, ანგელოზებია, ჩემო ბატონო, ნამდვილი ანგელოზები! — და დაუწყო ქება თავის ყმებს, როგორც გასაყიდ ბატკნებს.

— აჰა ფული! გაუხსენ მალე ხელები, ეს ყმაწვილნი დღეიდან ჩემია და შვილივით გავზრდი ორთავეს, თუ ცოცხალი დავრჩი.

ამ სიტყვებთან ერთად დიდმოურავმა ამოიღო ქისა და ჩაუთვალა ფული უგულო თავადს, ამავე დროს მისმა შვილმა შეუხსნა ხელები ყმაწვილებს. ისინი მიცვივდნენ სააკაძეს და დაუკოცნეს ხელები და მუხლები.

მოურავმა და მისმა მეუღლემ გულში ჩაიკრეს ეს უმანკო მოზარდნი, დაუკოცნეს სახე და დაამშვიდეს ტკბილი სიტყვებით.

ასეთი აღმაშფოთებელი სურათები მრავლად იყო ამ სამარცხვინო ნურიის ბაზარზე თითქმის ყოველდღე. აქ იყო ერთი გაუთავებელი ვაჭრობა, ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა და წივილ-კივილი.

საშინელება იყო ამ შემზარავი სურათის ხილვა. მოურავისა და მის მხლებელთა გულმა ვეღარ გაუძლო ასეთ საზიზღარ სანახაობას. აქ, ამ საოცნებო ბუნების წიაღზე, ქართველი ჰყიდდა ქართველს, აქ ანგართმოყვარე მოძმე-იუდა თავის მოძმეთა სულსა და ხორცში იღებდა ვერცხლს, ოქროს, ბინძურ ქანქარს...

ასეთივე საზარო სურათი იყო იმ ბნელ ხანაში კოლხეთის სხვა ბოლოზებშიაც, მაგ. ფოთში, ყულევში, ოჩემჩირეში, სო-

---

* იმ დროს ერთი ოქრო (თათრული ლირა), ანუ ცხრა მანეთი, შეიცავდა საკრძნობ საღირალს, ამ ფასად შეიძლებოდა ორი ძროხის ყიდვა.

ავტორი.

ხუმში, ბიჭვინთაში და სხვ. ხოლო ბათომსა და ართვინ-გონიაში ჯამასობით იყიდებოდა იმერეთ-გურია-აჭარა-ქობულეთიდან გატაცებული ტურფა ქალ-ვაჟნი, დანარჩენ ბოღოზებში-კი ოდიშისა და აფხაზეთის კიდევ უფრო მშვენიერი ძე და ასულნი. აქედან წაყვანილი ულამაზესი ქალ-ვაჟნი მაღალ ფასებში იყიდებოდნენ სტამბოლ-ტრაპიზონის და ქაირო-ბაღდათის დიდ ბაზრებზე.

ამ სამარცხვინო ვაჭრობას აწარმოებდნენ თავადები და აზნაურები. წყეულ ვერცხლსა და ოქროს ცივ ლოდად გარდაექმნა მათი გული. ასეთივე საზარო სურათები იყო იმ ბნელ ხანაში ქართლ-კახეთშიაც, საიდანაც საუკეთესო ქალ-ვაჟნი ათასობით იგზავნებოდნენ გასაყიდად ირანში შირაზისა და ისპაან-თეირანის ბაზრებზე.

აი, სანამდე გაიხრწნა თავად-აზნაურობა.

ნურიის ბაზრიდან ივერნი ბოღოზისაკენ გაეშურნენ. აქ მრავალ ხომალდს შორის თვალში მოუვიდათ ერთი, ყველაზე უფრო დიდი, ორანძიანი ხომალდი, რომლის პატრონი სასიამოვნო სახის ჭარმაგი მოხუცი ლაზი, იჯდა გემის ბაქანზე ფეხმოკეცით და დინჯად შეექცეოდა ყავასა და ნარგილეს. ხომალდზე ფუსფუსებდნენ ხელმარჯვე მეზღვაურნი. დაინახა თუ არა მისკენ მიმავალი იარაღასხმული დიდებული სახის ახოვანი ივერნი, მოხუცი ლამაზი ჰუსეინი მაშინვე წამოდგა, მარდად გადმოხტა ხიდზე, გამოვლო იგი ჭაბუკური სისწრაფით, გადმოვიდა ნაპირზე და ჰკადრა ახლადმოსულთ მდაბალი თათრული სალამი გულზე ხელებდადებით.

დიდი მოურავი შეეკითხა ლაზს, შეუძლია თუ არა ყველანი წაიყვანოს სტამბოლს. ლაზმა სიხარულით მისცა დასტური და არც საფასი ითხოვა ბევრი. ისინი მორიგდნენ და ჩასხდნენ ხომალდში, ხოლო ცხენები დილითვე გაყიდეს ნურიის

ბაზარზე და აღებული ფულით მოიმარაგეს საგზაო საჭირო ნუზლი.

მზე ოდნავ გადახრილიყო, ოდეს ლაზ ჰუსეინას აფრებგაშლილი ხომალდი თეთრი გედივით, ნელი ტოტმანით გაუდგა გზას. ქართველებმა უკანასკნელი სალამი ჰკადრეს მარად მშვენიერ კოლხეთს და შეცურეს ზღვაში. ამჟამად მეტად წყნარი პონტო თავის პაწაწა ანკარა ტალღებით ნელა ანანავებდა ხომალდს. იგი თანდათან შორდებოდა ბათომის არეს. ივერნი მისჩერებოდნენ ამ კოლხეთის კუნჭულს, ეთხოვებოდნენ ცრემლით სავსე თვალებით და გულის კვნესით.

ყველაზე უფრო წუხდა ის ორი მშვენიერი და-ძმა, რომლებიც ამ დილით შეიძინა ბაზარზე დიდმოურავმა. მათ შეეპარათ კიდეც შიში, ხომ არ მივყავართ გასაყიდადო, მაგრამ ისინი მალე დაამშვიდა მოურავის მეუღლემ — კეთილმა თამარმა, რომელმაც მიიღო მათზე ზრუნვა და მფარველობა.

ნაპირ-ნაპირ ცურვით და თურქთა ბოღაზებში შევლით ორი კვირის შემდეგ მიუახლოვდნენ სატანტო ქალაქს. მზიანი დღეები და ამ დროს იშვიათად წყნარი ზღვა ხელს უწყობდა შორეულ მგზავრობას. განვლეს ბოსფორის მშვენიერი სრუტე და აჰა, გამოჩნდა უცებ ზღვის კეკლუცი მზეთუნახავი, კონსტანტინე დიდის გენიოსობით აღმართული დიდებული ქალაქი, თურქთა მიერ სტამბოლად წოდებული! ფართოდ გაშლილა იგი ტურასებად გორაკთა კალთებზე. ცამდე აწვდილან მუქ-მწვანე წოწოლა კიპარისები და ფერადი მარმარის მინარეტები.

თვით ქალაქის შუაგულში კი ამაყად ამართულა აია სოფიას უზარმაზარი ტაძარი, — ეს ბიზანტიური ხუროთმოძღვრების დიდებული ნაშთი, რომლის წვეროზე ოქროს ჯვრის ნაცვლად ბრწყინავს მუსლიმთ ემბლემა — ნახევარი მთვარე. ამ დიდებული ტაძრის მახლობლად აზიდულა აღმოსავ-

ლური სტილის თურქთა მბრძანებლის თეთრი მარმარის ვრცელი სასახლე, ანუ სერალი, ფერადი მარმარის მაღალი კოშკებითა და კიპარისებით გარემოცული. ჩამავალი მზის ოქროვან სხივებზე ლაპლაპებენ ტაძარ-სერალის და კოშკ-ძინარეთთა ოქროს გუმბათნი.

ია-ვარდისფრად აღვივებულა ზღვისა და ზეცის ნაზი ფერები. ლბილი და თბილი ჰაერი ამშვიდებს გულსა და ატკბობს სუნთქვას. ნაირ-ნაირი ნავებით და გემ-ხომალდებით სავსეა ამ დროს ვრცელი ბოღაზი. თვალს იტაცებს ბუნებისა და ხელოვნების სიტურფე ჰარმონიულად შეზავებული. მზად ხარ უცქირო მარადიულად ამ საოცნებო სიმშვენიერეს. თვალი ვერ ძღება ფერთა სინაზით, ხაზთა და მურთა ლივლივ-ალერსით...

— — — — —

XXXVI. ბოსფორის პირას

სტამბოლის ბოლოზში სულთნის ბრძანებით დიდ მოურავს ზეიმით შეეგებნენ იანიჩართა საპატიო რაზმი, ცნობილი ფაშები, ვეზირები და კარისკაცნი, აგრეთვე სტამბოლში მცხოვრები მრავალი ქართველი, რომელთა რიცხვი იმ დროს 30 ათას კაცამდე აღწევდა. ქუჩები, სახლის ბანები და აივანწინგარდები აივსო ცნობისმოყვარე ხალხით. წესრიგს იცავდნენ ხელჯოხიანი ბიმბაშები. ვეზირ-ფაშებმა დიდებით მიიღეს ივერიის უპირველესი გმირი და სულთნის სახელით მიულოცეს მშვიდობით მობრძანება. შემდეგ ჩასვეს ყველანი მდიდრულ ეტლებში, გაატარეს რამდენიმე ქუჩა და მიუჩინეს ბინად შუაგულ ქალაქში საუკეთესო სასტუმრო, მდიდრულად მოწყობილი. მსახურებად აახლეს მრავალი ქეშიკფარეშნი და შიკრიკნი. აქვე ეძლეოდათ სულთნის მიერ განწესებული უხვი საუკეთესო ულუფა და ბლომად სახარჯო ფული. ეს საქმე დავალებული ჰქონდა თვით სულთნის მთავარ მოლარეს, ანუ ფინანსთა ვეზირს, ახალგაზრდა მამუდ ბეგს (აჭარელ ქართველს), ის მალე დაუახლოვდა მოურავის ოჯახს და გახდა მისი სიძე, ცოლად შეირთო საკაძის ასული — ტურფა ქეთინო.

სამი დღის შესვენების შემდეგ სულთანმა ინება მოურავისა და მისი ქართველების მიღება სასახლეში.

შუადღის ჟამს ეროვნული სამოსით ძვირფასად მორთული და იარაღასხმული ივერნი, საკაძის მეთაურობით, ღია

სამეფო ეტლებში მსხდარნი, ფაშებ-იანიჩართა თანხლებით მიადგნენ სულთნის თეთრი მარმარის სერალს, ვრცელი ბაღით, ფერადი მინარეთებითა და წოწოლა კიპარისებით გარემოცულს. სასახლის წინ მათ შეეგება სულთნის მრავალრიცხოვანი ამალა და შეუძღვა იშვიათი ხელოვნებით შემკულ ვრცელ დარბაზში. შუაგულ ალაგას ამართულ თეთრი მარმარის ამბიონზე იდგა მდიდრული ფარჩის სალაფარდით ფარული და ფასდაუდებელი თვალ-მარგალიტით მოოქვილი ოქროს სევანი. მასზე ფეხმოკეცით იჯდა თურქეთის ხონთქარი ფადიშაჰი.

ქართველთა შესვლის ჟამს გაიხსნა შუაზე ფარდა და ივერთა პატივსაცემად მძიმედ წამოდგა ზეზე უკვე ხანშესული სულთანი, მდიდრულად მორთული. მის მოქანცულ სახეს ამკობდა გრძელი თეთრი წვერი და შავი, ოდნავ მიბნედილი თვალები. მათში მოჩანდა მოდუნებულ ვნებასთან ერთად რაღაც მძიმე სევდა... სულთანს თავს უმკობდა დიდებული ჩალმა-გვირგვინი, უძვირფასესი თვლებით შემკული, ხოლო სულ ზემოთ შუაში კიაფობდა თვალწარმტაც ფერებად, ვით შვიდფერი კამკამა ცისარტყელა, ოდნავ მოლურჯო უზარმაზარი ბრილიანტი, დიდ მოღოლად წოდებული.

დინჯად მიუახლოვდნენ თურქეთის ბატონს დიდი მოურავი და ორმოცამდე ქართველი, ჰკადრეს მდაბალი სალამი. ამავე დროს სააკაძემ შესაფერი სიტყვით შეაქო სულთანი, ადიდა მისი ძლევამოსილება, სიუხვე, სვემაღლობა, სულგრძელობა და უსურვა დღეგრძელი, ბედნიერი სიცოცხლე.

მეტად იამა მოხუც ხონთქარს ეს სიტყვები და უბრძანა მადლობა. შემდეგ სულთანის ბრძანებით დასვეს მის სიახლოვეს დიდი მოურავი და მისი ქართველნი ხარისხის მიხედვით. გაიმართა ტკბილი მუსაიფი, რასაც უფრო საამოდ ხდიდა იქვე პაწაწა მაგიდებზე უხვად დალაგებული თურქული სურნელოვანი ყავე, ხილი, პუნგია, რახათლუხუმი, შაქარლამა და სხვა მრავალფერი ტკბილეული.

საუბარი ეხებოდა უმთავრესად საქართველოს ამბებს, ირანსა და კავკასიონის გადაღმა ხალხებს, აგრეთვე „ურუ-

სებს". ეტყობოდა, რომ სულთანი დიდად ჯავრობდა ერაყ-ქურთისტანის დაკარგვას და მათ შაჰბაზის ხელში ჩაგდებას ამ ოცი წლის წინათ თვით მოურავის მეოხებით. ახლა კიდევ აჯანყებოდნენ მცირე აზიაში მამაცი ხალხი თოხატნი და იქით კიდევ უფრო მამაცი ხალხი — არაბნი, აგრეთვე განდგომოდა აზრუმის ფაშაც; იგი მოეხიბლა შაჰბაზის ოქროებსა და დაპირებებს. სულთანს გაეგზავნა უკვე დიდი ჯარები თავისი სიძის (დის ქმარის) ვეზირ-აზამის მთავარსარდლობით და დაეწყო ბრძოლა, მაგრამ უნაყოფოდ, — ორთავე მხარეს მარცხდებოდნენ თურქთა ჯარები; აშკარად ეტყობოდა, რომ სულთნის სიძეს ვერ გამოეჩინა სამხედრო ნიჭი, უნარი და გამჭრიახობა, ეს გარემოება კი დიდ სევდა-კაეშანში ხვევდა მოხუც სულთანს. სწორედ ამიტომაც უზომოდ გაახარა იგი ამ მძიმე დროს ივერიის გმირის გადმოხვეწამ მის კარზე თავშესაფარად. დიდი მოურავის სახელი-კი გრგვინავდა მთელ აზიაში.

თვით სულთანმა საკმაოდ იწვნია საკაძის სამხედრო უნარი და გენიოსობა.

იმ ჟამად ფრიად საჭირო იყო მისთვის დიდი მოურავის მკვეთარე ხმალი.

ამიტომაც სულთანი მიეცა უზომო სიხარულს, როს შეიტყო დიდი მოურავის ექსორია და სტამბოლისაკენ გამომგზავრება. ამის გამო მიიღო საკაძე ასე მეფური დიდებით. დიდ იმედებს ამყარებდა მასზე ბებერი მელა — სწადდა დიდ მოურავთან მოლაპარაკება ფრიად საიდუმლოდ.

ორი დღის შემდეგ სულთანი მართავს სერალში დიდებულ ნადიმს. ვრცელ აივანზე გაშლილ სუფრას, სასმელ-საჭმელით აფერადებულს, ამკობენ ივერიიდან გადმოხვეწილი ლამაზი, ახოვანი და დარბაისელი ქართველნი, ხავერდის ფერადოვან ქულაჯებში გამოწყობილნი. სულთანის ახლოს ოქროს ტახტზე ზის დიდი მოურავი და დინჯად ესაუბრება თურქეთის მბრძანებელს. ლხინს აცხოველებს აღმოსავლური საკრავნი და სიმღერები, მუტრიბთა მიერ საამოდ შესრულებულნი, აგრეთვე ვნების აღმძვრელი როკვა-შუშპარი.

თავდება ნადიმი და აჰა, აივანს ქვემოთ, ვრცელ მოედანზე, იმართება თურქთა საყვარელი შეჯიბრება — ჭიდაობა. ზურნა უკრავს საჭიდაოს. კეთდება დიდი წრე. ბიმბაშები იცავენ წესრიგს. ამ დროს წრეში შევარდება გაცოფებული ბულასავით ბუმბერაზი ჭაბუკი თურქი; მისი წელზევით მიშველა სპილენძის ფერი ტანი, ცხვრის დუმით გაზიპული, ბზინავს მზის სხივებზე. ის არის მთელ თურქეთში ფრიად განთქმული უპირველესი მოჭიდავე ალიმი. ზურნის ხმაზე თურქი შლის ზორბა მკლავებს და უშნოდ უკლის დაკლურს. შემდეგ უახლოვდება წინგარდს და ემხობა სულთნის წინაშე, როგორც უკანასკნელი მონა, დგება და იწვევს საჭიდაოდ ფალავანს.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. მიუხედავად ნოემბრის მიწურულისა, მშვენიერი დარები იდგა. ხასხასა მზე ხვევდა დიდებულ ქალაქს ოქროვან სხივებში. ნელინელ ანანავებდა თავის კამკამა ფირუზა ზვირთებს ტურფა ბოსფორი. ცისა და ზღვის ლაჟვარდი უჩინარი ხაზით შეწნოდა ერთიმეორეს. მათ ბზარავდა ზღვაში ახლადჩაცურებული დიდი მნათობის მოწითალო შუქი და ია-ვარდისფრად აფერადებდა მომხიბლავ დაისს.

აი აქ, ბოსფორის პირას, სევდიანი სახით სეირნობდნენ საღამო ჟამს ივერთ ლტოლვილნი და იგონებდნენ ობლად შთენილ თავის სამშობლოს. აქ, ამ ზღვის პირას. საამო გაოცებით შეცქეროდნენ მათ უცხო ტომები — თურქნი, ბერძნები, არაბ-მისრელნი, ჰაიკნი, ევროპის ხალხნი და ღიმილით აძლევდნენ სალამს „დიდებულ გურჯსა“, მის ასაბიას. იმაფ ხიბლავდა ივერიელთა ახოვანება, გმირული სახე. იშვიათი სილამაზე და მიმოხვრა დარბაისლური.

ერთი კვირის შემდეგ ივერნი ეწვივნენ სტამბოლშივე ქართველ კათოლიკეთა დიდ მონასტერს, რომლის წინამძღვარი პატრი ნიკოლო მთელი კრებულით აღტაცებით შეეგება მათ ალაყაფის კარებთან და მიმართა ქართულად სააკაძეს მშვენიერი სიტყვით:

— უზენაესად ბედნიერი ვარ, როს მზერენ ჩემი თვალები ქართველი ერის დიდებას და ივერიის ბევრჯერ გადამრჩენს დალუპვისაგან, უდიდეს სარდალს, დიდ მოურავს! კე-

თილი იყოს თქვენი მობრძანება მამაცი თანამოძმენით ჩვენს წყნარ სავანეში! იკურთხოს შენი მძლავრი მარჯვენა და შენი ბასრი ხმალი, დიდო ქართველო! უკვდავ ჰყოს ღმერთმა შენი სახელი უკუნისამდე!

ამის პასუხად საკაძემ შემდეგი სიტყვით მიმართა მონასტრის წინამძღვარს:

— მოხარული ვარ ფრიად, რომ ვმზერთ მუსლიმთა დედაქალაქში თქვენი მონასტრის სახით ქართველი ერის სარწმუნოება-განათლების კანდელს, ხოლო შენი სახით — მის ღირსეულ ხელმძღვანელს. მოხარული ვართ ფრიად, როს ამ შორეულ ბოსფორის პირას გვესმის შენს ბაგეთაგან, სულიერო მოძღვარო, ტკბილი, საამო ქართული ენა. სჩანს, რომ ქართული სული ჰგიებს და ღვივის აქაც, ამ უცხო მხარეს, და აფრქვევს თავის სითბო-სიამეს სამშობლოდან ძალით თუ ნებით განშორებულ რამდენიმე ათიათას ქართველს. ქება და დიდება იმ ქართველთ, რომელნიც არ ივიწყებენ შორეულ ქვეყნებშიაც კი თავის ენას, სჯულს და მწერლობას, ზნე-ჩვეულებას და თავის ტურფა პატარა სამშობლოს და რომელნიც ცოცხლობენ თავისი მშობელი ერის ჰირით და ლხინით, მისი ლტოლვით და მისწრაფებით...

ამის შემდეგ წინამძღვარმა თავდაბლად შეიწვია დიდი მოურავი მისი თანმხლებნით მონასტერში, დაატარა და აჩვენა ბევრი რამ საგულისხმო, მათ შორის საუცხოოდ მოწყობილი ქართული სკოლა და სტამბა, სახელოსნო, სამკურნალო, ქსენონი, ხანაგა და სხვ.

აქ პირველად ცვნეს დიდ მოურავმა და მისმა მეგობრებმა, რომ ქრისტიანად დარჩენილ სტამბოლელ ქართველთ, თითქმის ყველას ჰქონდათ მიღებული კათოლიკთა სჯული, უმთავრესად პოლიტიკური მოსაზრებით, რადგან დასავლეთ ევროპის მორიდებით აქ, თურქეთში, სრულიად არ სდევნიდნენ კათოლიკობის მიმდევართ, აგრეთვე არც სომხების რჯულს. ამიტომაც იყო, რომ დიდი მესხეთის (განსაკუთრებით-კი ახალციხე-ჯავახეთის) ქართველობამ, რომელთაც არ ისურვეს მუსულმანობა, მიიღეს ან სომხის რჯული, ან კათოლიკობა.

სააკაძემ უხვი შეწირულება გაიღო მოხსენების სასარგებ-ლოდ, რითაც ფრიად ასიამოვნა წინამძღვარს და მიიღო მის-გან დიდი ძალლობა. მანვე გაიცნო იქ განათლებული იტა-ლიელი პატრი ქრისტეფორე კასტელი, რომელმაც შემდეგ დახატა შავი ფანქრით გმირის ესკიზი ზეწარწერით ლათი-ნურ ენაზე: „დიდი მოურავი, საქართველოს უძლიერესი მთავარი, ამჟამად ღალატით დევნილი“ და სხ. *

ორი დღის შემდეგ ხონთქარმა მიიწვია სერალში დიდი მოურავი, ჩაიკეტა მასთან ერთად თავის საიდუმლო სენაკ-ში, მოისვა ტახტზე გვერდით, დაუყვავა ტკბილად და ანუ-გეშა იმ საშინელი უმადურობის გამო, რაც შეემთხვა გმირს თავის სამშობლოში. შემდეგ მიუბოძა აზრუმის სიახლოვეს მრავალი დაბა-სოფელი, ციხე-ქალაქი, ვრცელი ტყე და მა-მული, აგრეთვე მდიდარი განძი და დიდი მოძრავი ქონება. დაჰპირდა კვალად მრავალ წყალობას. ასევე უხვად დააჯილ-დოვა მასთან ჩასული ქართველებიც.

სულთანის ასეთი სიუხვე შემთხვევითი არ იყო. მას სურდა 'გამოეყენებინა სააკაძე. სულთანმა დიდ მოურავს ამცნო ომის ამბები მცირე აზიასა და არაბისტანში, აზრუმის ფაშის გან-დგომა, თავისი სიძის ვეზირ აზამის უნიჭობა და თურქთა ჯარების ზედიზედ დამარცხება ორივ ალაგას.

— ამ ჟამად კი, ამ მძიმე პირობებში ჩავარდნილს, თვით დიდმა ალაჰმა, — იკურთხოს მისი სახელი, ინება და გამოგ-გზავნა შენ ჩემდა საშველად. მწამს, დიადო გმირო და უძ-ლეველო სარდალო, რომ შენ ადვილად შესძლებ ყოველი-ვეს და თვით სასწაულსაც ჩაიდენ. შენ ჩაუდგამ ჩემს მხედ-რობას გმირობის სულსა, დამიმარცხებ მტერსა და მოღა-ლატეებს, აღადგენ ოსმალეთის ძველსა დიდებას. ჩემი გუ-

---

* დიდი მოურავის ესკიზი რომის სიძველეთა არქივში ამ 22 წლის წი-ნათ იპოვა განათლებულმა ქართველმა პატრმა და ისტორიკოსმა მიხეილ თამარაშვილმა (თამარატიმ). მან იმავე წელს გამოუგზავნა ამ ესკიზის ასლი ამ სტრიქონების დამწერს. ეს ესკიზი 1912 წელს დაერთო ჩემს „ქართვე-ლი ერის ტრაგედია მე-17 საუკუნეში“ და ამჟამად ერთვის ამ ისტორიულ რომანს.

ა ვ ტ ო რ ი.

ლითაცი თხოვნაა კიდევ, დიდო სარდალო, არ ჩამატანო საფლავში იმ ბებერი მელასი, ყეინის ჯავრი. შენი ძლიერი მკლავით და ბასრი ხმლით გთხოვთ და გაფიცებ დამიბრუნო ერთ დროს შენივე მარჯვენით წართმეული და შაპზე გადაცემული დიდი ერაყი ქალაქ ბაღდადით და ქურთისტანი. და თუ ამეებს შემისრულებ, შენ იქნები მაშინ მთელ ოსმალეთში ჩემს შემდეგ პირველი კაცი, შენ გაგხდი დაპყრობილი ქვეყნების ემირად, უხვად აგავსებ ჯილდო-ქონებით და პატივ-დიდებით...

ამ სიტყვებით დააბოლოვა თავისი სურვილი ბებერმა მელამ.

თურქთა უზენაეს ბატონთან საუბრის დროს ივერიის გმირს თავში გაუელვა ერთმა დიდებულმა აზრმა. მან ისარგებლა ამ შემთხვევით, რადგან უფრო მარჯვე დროს თავისი უმაღლესი მიზნების მისაღწევად ძნელადღა იპოვიდა. მოურავი წამოდგა ზეზე და დაიწყო:

— ჩემი ფიქრი და ზრუნვა იქნების, თუ რარიგ დაგიმარცხო მტრები, დავამარცხო აჯანყებანი მცირე აზიასა და არაბეთში, აგრეთვე დავამხო შენი ორგული აზრუმის ფაშა. რაკი მოვრჩები ამაებს, დიდო მეუფევ, ჩემი მახვილი შურისძიებით მიადგება მტარვალ შაჰაბაზს, ჩემს პირად მტერსა. მან ბევრჯერ გათელა ფეხქვეშ ჩემი სამშობლო, ტურფა ივერი, და თანაც წამებით მოჰკლა ჩემი პირმშო ვაჟი, ჩემი პაატა...

პაატას ხსენებაზე გმირი ადელდა მეტად. იგი შეჩერდა ერთხანს, დაიცხრო უზომო მწუხარებით სავსე გული და განაგრძო მღელვარე ხმით:

— მზად ვარ, დიდო მეუფევ, ჩემი მარჯვენით გავუპო გული ბოროტ შაჰაბაზს და საკვდავი მახვილი ჩავსცე მკერდში თვით სპარსეთს. უდიდეს ბედნიერად ჩავთვლი იმ დღეს, როს გამოვგლეჯ ხელიდან ცბიერ ყიზილბაშს ერაყს, ქურთისტანს, დიდებულ ბაღდადს და დავუბრუნებ მათ ისევ ძველ ბატონს! ესეც არ კმარის. მე სხვა მწადია კიდევ, დიდო მეუფევ: ვითარ ამ სამი წლის წინათ წავგლეჯე მას დიდი

მესხეთი, ისე მწვამს ახლა ჩამოვართვა მთელი ივერი, რათა სრულიად საქართველო გადურჩეს მარად სისხლის მსმელ ყეინს. რაკი მოვრჩები ამ ძნელ საქმესაც და მით დავაუძლურებ სპარსეთს, მაშინ ადვილად მოვგლეჯ მას შირვანს კასპის ზღვამდე, თანაც დაგიპყრობ კავკასიონის ქედის ხალხებს, უკვე მუსულმანთ.

ამის შემდეგ ორთავემ შეფიცეს ერთგულება ერთიმეორეს და შეუდგნენ სამზადისს ომებისათვის.

XXXVII. მტარვალის მკვლელი

I

ოქტომბრის ბოლო რიცხვები. შაჰაბაზის დიდი ლაშქარი მოადგა ივერიის საზღვრებს. ჯარებს უფროსობდნენ საუკეთესო სარდლები: ყორჩიბაში, ხოსრო-მირზა და როსტომ ხან სააკაძე.

თეიმურაზ მეფემ ადრევე გაიგო ირანელთ ჯარების შემოსევა და კვლავ გადიხვეწა იმერეთისაკენ. მას დაედევნა ათიათასი მხედრით ქუჩუკ-ხანი, მაგრამ უნაყოფოდ.

თბილი, უმთვარო ღამე. ლუში ცა მოჭედილა ვარსკვლავებით. მტკვრის პირას ფართო ველზე გაშლილა მტრის უზარმაზარი ბანაკი, ფერადი კარვებით მოფენილა ვრცელი მინდორი. ახლადამოსული ცისკარი მოხდენით კიაფობს აღმოსავლეთით. დროგამოშვებით ისმის გუშაგთა ყივილი.

მდიდრულ კარვებს შორის შუა ალაგს აუმართავთ ყვითელი ფარჩის დიდი კარავი, შიგნით მის კუთხეებში ანთია ოთხი ჩირაღი, სიფრიფანა ფერადოვანი ფარჩით ფარული. ოქსინოს მძიმე სალაფარდის წინ ნოხზე მიწოლილა ოთხი იარაღასხმული გუშაგი და ჩაფლულან ღრმა ძილში. ფარდის უკან, ძვირფასი თვლებით მოოჭვილ ოქროს ტახტზე, ფარჩის ლოგინში სძინავს ერანის შაჰს. მისი მოგრძო, გამხდარი სახე ილიმება საამო სიზმრების გამო, ალბათ, თუ ხედავს თავისი ჯარების შესევას ადრევე მის მიერ აოხრებულ ქართლსა და კახეთში; ალბათ, თუ ხედავს სპარსელთა ხმლით და თოფ-ზარბაზნებით გაჟლეტილ ქართველ ხალხს, ივერთ

ასულთა და ყრმათა საშინელ ბილწვას, ღანგრეულ ციხე-ქალაქებს, ცეცხლწაკიდებულ სოფლებს, ზვრებსა და ბაღებს. უმზერს ივერიის სრულ დაღუპვას და ამ სურათით ტკბება მტარვალი. ხედავს ასეთ სიზმრებს გაბოროტებული შაჰი და სიტკბო-სიამით ევსება გული. ის კი არ უწყის, თუ რა ახლოს სდარაჯობს მას შავი სიკვდილი...

დიდი ყეინის კარავს ახვევია ბრწყინვალე ამალის ფარჩის კარვები. ამ დროს ვიღაც შავად მოსილი, წერწეტა ტანის არსება სიბნელეში ფრთხილად უახლოვდება შაჰის კარავს, იძრობს მახვილს, ჩაახევს კარავს გვედრსა და შედის შიგნით. მიმოიხედავს. ცეცხლს აფრქვევს შავი თვალები; მამაც სახეს ემჩნევა განწირულება. გულს სწვავს შურისძიების ცეცხლი, მაგრამ იკავებს თავს. მის წინ ოქროს ტახტზე სძინავს მტარვალს. მწვანე ფარჩის შუქფარის მოსილ ჩირაღის შუქზე სიკვდილის ფერი დაჰკრავს მძინარეს. უკვე გამქრალა საამო სიზმრის ღიმილი და მოხუცის სახეს ემჩნევა მძიმე ურვა. გმინავს და შფოთავს იგი.

შავად მოსილი უახლოვდება ყეინს და დასცქერის შფოთვარე სახეს. მარჯვენა ხელში ელვარებს ბასრი ხანჯალი. მზად არის გააკლოს გულში ხალიბის რკინა. მაგრამ არ ჩქარობს. რაღაცას ფიქრობს, ხოლო არ ფერობს რაინდს მძინარის მოკვლა. ორი წელია, რაც ელის იგი ამ ბედნიერ წამს. ორი წელია, რაც მას სწყურია იხსნას სამშობლო, მოუღოს ბოლო ქვეყნის დამღუპველს. აჰა, უცქერის იგი მძინარე მტარვალს, უიარაღოს. მაგრამ ამართული მახვილი მძიმედ ეშვება შამაცის ხელში... ფრთხილად აღვიძებს ივერიის მტერს...

— აღსდეგ, მტარვალო! იპყარ მახვილი და გაუსწორდი შენს წინ მდგომარეს! აღსდეგ, შაჰაბაზ! ამ შენ საწოლთან მოკვდი ბრძოლაში მახვილით ხელში!

ჩასწვდება ყურში ხმა ამბინელი... წამოვარდა გაფითრებული ირანის მეფე, ხმალსა იშიშვლებს.

— ვინ ხარ, ბედშავო?! ჩვენება რამე, თუ ხორციელი, ჩემს მოსაკლავად შემოპარულ?!.. შესძახებს შაჰი.

— სისხლისა მსმელო! კარგად შემხედე! მიცან თუ ვერა?!

— გელა?!

— ცდები, მტარვალო! მე ვარ ასული შენგან დატანჯულ ივერიისა, შენს მოსაკლავად მოვლინებული! ხოლო ქართველი არ ჰკლავს მძინარეს!

ამის გამგონე შაჰაბაზი გამწარებით მოუქნევს ხმალსა. ქალი აიცდენს და გულს გაუპობს ელვის სისწრაფით. ირანის მეფე ეცემა მკვდარი, უხმოდ, უსიტყვოდ... ალუბლის ფერად იღებება ფარჩის საწოლი... იქვე დგას მკვლელი მახვილით ხელში... უბრწყინავს სახე...

— მოკვდა, გათავდა... აჰა, ასრულდა, ცარო მთიელო, ეს შენი ნატვრა, გულის წადილი!.. დაღუპვისაგან იხსენ სამშობლო!.. მოჰკალ მტარვალი! — ფუჩუნებენ ძლივ გასაგონად ქალის ბაგენი...

დააცქერდა, ვით მთვარეული... უცებ გონს მოდის... იქვე გვამთანა დააგდებს ხანჯალს... გადის კარვიდან და ინთქმება ღამის წყვდიადში...

აჰა, თენდება! ხმა გავარდა: მოჰკლეს შაჰაბაზ! მოჰკლეს ირანის დიდი ყეენი!

ელვის სისწრაფით მოედო ბანაკს, დასცა თავზარი...

სწრაფად შეევიდნენ შაჰის კარავში იარაღასხმული მთავარსარდლები: ყორჩიბაში, ხოსრო მირზა და როსტომ-ხან საადაძე. მათ შეუერთდნენ სხვა სარდლებიც. იხილეს გაბედული მკვლელობის საზარო სურათი და მკვლელის მიერ იქვე დაგდებული სისხლიანი ხანჯალი. როსტომ ხანმა მაშინვე შეიცნო იგი, რადგან მუდამ ხედავდა მასთან შეფარებულ გელას ტანზე. დუმდა შორსმჭვრეტი ადამიანი. მიხვდა ყველაფერს. მიხვდა, რომ მამაცმა გელამ იძია შური. ეროვნული სიამაყე და სულიერი შვება იგრძნო მისმა არსებამ...

დიახ, მოკვდა შაჰაბაზ და თან წარიღო ის საიდუმლო, თუ ვინ მოუღო ბოლო ამ ივერიის საშინელ მტარვალს... მოკვდა შაჰაბაზ და ამ სოკვდილმა ჩაფუშა მისი გეგმები ქართლ-კახეთის მოსპობის შესახებ... მოკლეს შაჰაბაზ! — მისი ლაშქარი გარბოდა ირანისაკენ, როგორც ძლეული...

XXXVIII. ᲓᲘᲐᲪᲘᲡ ᲒᲔᲡᲚᲘ

თურქეთი. სტამბოლი. ახლად ჩასული დიდი მოურავი თავის ქართველებით. სულთანის მიერ საიდუმლოდ მიღების შემდეგ საჭირო შეიქნა საკაძის დაჩქარებით მომზადება და წასვლა ბრძოლის ველზე, რადგან დრო აღარ ითმენდა. ორივე მხრიდან მოდიოდა ცუდი ამბები. როგორც თოხატთა ქვეყანაში, ისე არაბეთშიაც აჯანყებულთ გაემართათ სათარეშო ბრძოლა, მოულოდნელად ესხმოდნენ თურქთა ჯარებს, ხოცავდნენ, ყლეტდნენ და აცლიდნენ სურსათს, ცხენს, ჯორ-აქლემს და სამხედრო იარაღს. ბრძოლის ასეთ ხასიათს ილაჯი გაეწყვიტა უნიჭო ვეზირ აზამისათვის და დიდ გასაჭირში ჩაეგდო. ამის გამო დიდმოურავმა საჩქაროდ შეაგროვა 3.000-მდე მებრძოლი და გაეშურა თოხატისაკენ, თავისი ვაჟებით და 40 ქართველით; იგი სტამბოლშივე გაეცნო ბრძოლის ხასიათს და ვითარებას, ადგილმდებარეობას, ამიტომ თვითვე არ ისურვა დიდი ჯარის წაყვანა.

ამავე დროს სულთანის ბრძანებით ვეზირ-აზამი თავის მხედრობით მოიხსნა თოხატიდან და გაიგზავნა ბაღდადისაკენ, სადაც ირანის შაჰს მიეცა მაშველი ჯარი აჯანყებულ არაბთათვის.

მას სწადდა თავის გავლენის ფარგალში მოექცია ეს დიდი ქვეყანაც. საკაძე თავისი რაზმით მიუახლოვდა თოხატთა უმთავრეს ციხე-ქალაქს. მან ფარულად დაათვალიერა იგი და დარწმუნდა, რომ მცირე ჯარის გამო იერიშით მისი აღება იყო შეუძლებელი, ამიტომ მიმართა ხერხს: ქართველებმა გადიცვეს ვაჭრული სამოსი, გაიგდეს წინ საქონელით ტვირ-

ოული ჯორ-აქლემნი და ამგვარი ოინით შეეიდნენ ციხეში, აქ ისინი განთიადის ჟამს თავს დაესხნენ ციხის გუშაგთ, დახოცეს სწრაფად და დაუღეს კარები თავის ჯარს, რომელიც ღამის სიბნელეში სააკაძის ბრძანებით მიახლოვებოდა ციხეს. ენით აუწერელი რისხვა დატრიალდა თოხატთა თავზე. მოურავმა გაწყვიტა ნახევარზე მეტი მტერი და აიღო ციხე-ქალაქი. ხელჩართულ ბრძოლაში მამაცად დაიხოცნენ აჯანყებულთა მოთავენი. ამ უმთავრეს ციხე-ქალაქის აღებით სააკაძემ ადვილად გატეხა და დაიპყრო სრულიად თოხატის ქვეყანა. „დიდებულმა გურჯმა" ეს ამბავი აუწყა ხონთქარს, თანაც ფეშკაშად გაუგზავნა მტრის დროშები და სამხედრო ალაფი.

სულთნის გაოცება-სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი.

მთელი სტამბოლი და თურქეთი აღტაცებაში მოიყვანა ამ უჯერო ამბავმა. მცირე რაზმით და ორმოცი ქართველით ერთ თვეში სააკაძემ ჩაიდინა ეს მძიმე საქმე. უსაზღვროდ გახარებულმა სულთანმა დიდი მადლობა შეუთვალა გმირს, უბოძა უამრავი განძი და გახადა დაპყრობილი ქვეყნების ემირად.

თურქეთის ყველა ქალაქში გაიმართა ამ გამარჯვების გამო დიდი ზეიმი და დღესასწაული ჩირაღებითა და შეშხუნებით. სტამბოლის მგოსნებმა ნაირნაირი ლექსებით შეამკეს საქართველოს გმირი და იწყეს საკრავებზე მისი ქება-დიდების დამღერება. ეს ჰანგები შეიჭრა სერალის ჰარემში და აღტაცებაში მოიყვანა სულთნის არიფნი. ფერად მარმარის შადრევან-აუზებთან ლეილაღ-კიპარისების ჩეროს ქვეშ დამღეროდნენ ამ ქება-დიდების ჰანგებს სულთნის მშვენიერი შავთვალა არიფნი, თანაც დასცინოდნენ უნიჭო ვეზირ-აზამს. ფრიად ამაყსა და თავმოყვარეს სულთნის დას ფატმა-ხანუმს ესმოდა ეს დაცინვა. მას აბრაზებდა „ვიღაც გურჯის" ქება-დიდება.

დიაცის გული ივსებოდა შურისძიებით.

კიდევ უარესი დღე დაადგა ვეზირ-აზამს ბაღდადის მხარეს.

ირანელებმა სასტიკად დაამარცხეს იგი რამდენჯერმე. ბრაზმორეული სულთანი უგზავნიდა მაშველ ჯარებს, მაგ-

რამ უნაყოფოდ. ბოლის სულთანმა მის შემწედ გაგზავნა სააკაძე 4.000 კაცით. დიდ მოურავს დიარბექირთან დახვდა ერანის ჯარი, რიცხვით 10.000 მებრძოლი. მოხდა მედგარი შეტაკება. სააკაძემ საშინლად დაამარცხა მტერი და თითქმის გაანადგურა მთლიანად. ეს იყო თურქთა ჯარის პირველი გამარჯვება მტერზე.

ჩავიდა სტამბოლში ეს ახალი ამბავიც. სწრაფად მოედო იგი მთელ თურქეთს. „დიდებული გურჯი" იქცა ხალხის თვალში რაღაც ზღაპრულ პიროვნებად, უძლეველ ბუმბერაზად. სერალის ტურფა დიაცნი ოცნებობდნენ ამ შეუდარებელ გმირზე, ხოლო სულთნის და ივსებოდა ბრაზით.

ამ ახალმა ამბავმა კიდევ უფრო შელახა მისი სნეული თავმოყვარეობა. ის მზად იყო კბილებით დაეგლიჯა თავისი ლაჩარი ქმარი.

მეტად ცუდი ამბები მოდიოდა არაბეთის მხრიდან. იქ უფრო და უფრო ძლიერდებოდა აჯანყება თურქთა ბატონის წინააღმდეგ. არაბნი აშკარად იხრებოდნენ ერანისაკენ. ეჭვს გარეშეა, აქ მოქმედებდა შაჰაბაზის ოქრო, უხვი ფეშკაშები და დაპირებანი. საჭირო იყო რითიმე აჯანყების ჩაქრობა და ამ მამაცი ხალხის დაწყნარება. თურქეთი გადაარჩინა ამ ხიფათს ისევ დიდმოურავმა. თავისი მცირე ჯარით მოკლე დროში ჩააქრო აჯანყება და ძლევამოსილი დაბრუნდა უკან.

ამ დროს სასტიკი ბრძოლა ხდებოდა აზრუმთან. როგორც ვიცით, აზრუმის ფაშა აბასი გადუდგა სულთანს და მიემხრო ირანის ყეინს. გალალებული ირანელნი შეიჭრნენ შუაგულ თურქეთში. აზრუმს შემოერტყა უამრავი ჯარით ვეზირ-აზამი, მაგრამ ვერაფერს გახდა. ციხე-ქალაქი მაგრად იდგა და თვით აზრუმის ოლქის მცხოვრებნი ფრიად ავიწროებდნენ სათარეშო ბრძოლით თურქთა ჯარებს. სტამბოლიდან იგზავნებოდა მაშველი ჯარი, ამაოდ. სულთნის გამწრებას არ ჰქონდა საზღვარი.

გავარდა ხმა: დამარცხდა მტერი, აიღეს აზრუმი, ოსმალოს დროშა ფრიალებს ციხის თავზეო.

ვინ ჩაიდინა ეს დიდი საქმე?

აქაც სააკაძის გმირობამ და სამხედრო გენიოსობამ გატეხა მაგარი ციხე, დაამარცხა ორ-სამ ალაგს ირანთა მხედრობა და დასცა გამდგარი ფაშა აბასი.

ასეთი საარაკო ამბები მოდიოდა სტამბოლში და იპყრობდა მსმენელს. სააკაძე იქცა მათ თვალში ლეგენდარულ არსებად. ხალხი აღმერთებდა მას. მოხუცმა სულთანმა აღარ იცოდა რარიგად დაეჯილდოებინა ის პირი, რომელმაც მოკლე ხანში ასე საარაკოდ ასახელა მისი ღირსმა და მოჰფინა მის გვირგვინს ესოდენ დიდების შარავანდედი; იგი მზად იყო მოეწვია დიდი მოურავი და დაესვა თავის გვერდით სულთანის სევანზე. ხონთქრის ბრძანებით სააკაძეს მიუბოძეს უამრავ სიმდიდრესთან ერთად მის მიერ დაწყნარებული და დაპყრობილი ქვეყნების ამირთ-ამირობა; მისი მამაცი ქართველები ხომ ავსეს ყელთამდე ლარით, ქონებით და სხვადასხვა ჯილდო-წყალობით.

მაგრამ, სავალალოდ, ბოროტი მორიელი ანთხევდა გესლს. ბნელეთის ვეშაპი ჩასანთქავად უახლოვდებოდა სააკაძის მნათობს.

აივსო დიაცის შურისძიების ფიალა. სულთნის და ბორგავდა, როგორც აფთარი. „ვიღაც გურჯმა“, სამშობლოდან გაძევებულმა, მეტად დაჩრდილა მისი პატივ-დიდება, სამასხარო ტიკინად აქცია ხალხის თვალში მისი მეუღლე დიდი ვეზირი. ფატმა-ხანუმი გადიქცა სერალში დაცინვის საგნად. აღარ შეეძლო მეტი მოთმენა. უნდა მომკვდარიყო ეს გურჯი, უნდა დაღვრილიყო მისი სისხლი...

ამ ბოროტმა არსებამ მისწერა ქმარს მეტად მკაცრი ბარათი. ის აუწყებდა სულთნის რისხვას, ქალების მიერ დაცინვას, ხალხის თვალში დაცემას და მასხარად აგდებას. „ვიღაცა გადმოხვეწილმა გურჯმა“ თავისი გმირობით დაჩრდილა დიდი ვეზირი, სულთნის სიძე, დასცა მთელ დუნიაზე მისი სახელი, ტიკინად აქცია იგი სერალის თვალში.

— ამას შემდეგ ან შენ უნდა იყო, ან ეგ გურჯი! მოჰკალ! დაღვარე მაგ გიაურის სისხლი და მით აღადგინე დაცემული სახელი!—სწერდა ცოლი ვეზირ-აზამს.

ამ ბარათმა უზომოდ ააშფოთა დიდი ვეზირი. ცოლი აყ-ვედრიდა უმოქმედობას, სიძაბუნეს.

ქალი ეძახდა ლაჩარს, დიაცი იწვევდა ვაჟკაცს შურის საძიებლად. იგი უკვეთდა უდიდესი გმირის მოკვლას. ასეთი მუხანათობა ფრიად ემძიმა პატიოსან კაცს. საპასუხოთ ბარათში ვეზირ-აზამმა სასტიკად გაიცხა ცოლის საქციელი.

მოკლე ხანში დიდმა ვეზირმა მიიღო ცოლისაგან მეორე და მესამე წერილი, ლანძღვა-გინებით და მუქარით სავსე.

არ ისვენებდა ბოროტი ვნებით მბორგავი დიაცი. იგი ეძახდა ქმარს ლაჩარს, ჯაბანს, დედაბერს.

— თუ არ მოგიკლავს ეგ გურჯი, საჯაროდ გაგშორდები, ხელს ავიღებ შენს ცოლობაზე, შეგარცხვენ საქვეყნოდო.

ამ ბარათებმა ვეზირ-აზამი ჩააგდო საგონებელში. იგი კარგად იცნობდა თავის ცოლს — ამ ბოროტსა და არჯალ დიაცს. სულთნის და ადვილად შეასრულებდა თავის მუქარას. საშინელ ყოფაში ჩავარდა აზამი, დიდ ვეზირს ან უნდა მოეკლა თავი, ან თავისი მეტოქე. მან კიდევ მისწერა ცოლს დამამშვიდებელი უსტარი.

უზომოდ გააბრაზა სულთნის და ქმრის ბარათმა. არჯალმა დედაკაცმა ზედმეტი გამწარების გამო დაიგლიჯა თმები და დაიკაწრა სახე. აღარ იცოდა რა ექნა. ერთი მხრით აბრაზებდა ქმრის და თავის ასე შერცხვენა და დამცირება მთელი ქვეყნის წინაშე, ასე მასხრად აგდება, მეორე მხრივ უფრთხოდა განშორებოდა ქმარს საჯაროდ, რადგან ფრიად ეშინოდა თავის ძმისა. მას არ სურდა ემცნო სულთანს განშორების მიზეზი. იცოდა, რომ სულთანს გადამეტებით უყვარს გურჯი საკაძე და კარგს არას შეამთხვევდა თავის დას, თუ კი სცნობდა მის ბოროტ ზრახვებს. ამიტომ არჩია ქმართან წასვლა და პირადად მოლაპარაკება.

მან შეიბურა სახე, მოისხა უბრალო აჯიღა და, ერთი მოახლის თანხლებით, ფრიად საიდუმლოდ გაიპარა სტამბოლიდან, მივიდა აზრუმს, სადაც ამ დროს იყო მისი ქმარი.

ვეზირ-აზამს ისიც იყო გაეთავებია ვახშამი და აპირებდა მოსვენებას, ოდეს ვიღაცამ ფრთხილად დაუკაკუნა კარები.

აზამმა თვითონ გაუღო კარი, შეუშვა ოთახში შავაჯიღამოსხმული ქალი. მის გაოცებას არ ჰქონდა საზღვარი, როცა ქალმა მოიხსნა ჩადრი და პირსაბურავი. მის წინ იდგა ფატმა-ხანუმი, მისი მეუღლე მრისხანე სახით და მოელვარე თვალებით.

— არ მელოდი, განა, ლაჩარო?!—გაისისინა ქალმა ნელი ხმით, რომ არავის გაეგონა. — გაგაოცა, განა, ჩემმა აქ მოსვლამ ამ სუსხიან ზამთარში? და ეს ჩამადენინა შენმა უნიჭობამ და სიმხდალემ. შენ შეიქენ შემარცხვენელი მთელი ოჯახის, შენ იქეც დაცინვის საგნად მთელს ოსმალეთში. შენ ეზიზღები უკვე ჩემს ძმას დიდ სულთანს!

ამიერით შენ გერთმევა ვეზირ აზამობის * მაღალი წოდება და იგი ეძლევა ივერიიდან გამოძევებულ გურჯ საკაძეს, რომელმაც ამ მოკლე ხანში ჩაიდინა საარსაკო გმირობანი და მთლიანად დაჩრდილა შენი სახელი. იქნებ არ უწყი, შეს საცოდავო, თუ რა იქნები მაშინ! სულთნის მეორე სადღაც შორეულ კუთხეში... და მე, ფატმა ხანუმი, დიდი ფადი-შაჰის დაი და მთელი სერალის დედოფალი, ვიღაც მეორის ცოლი... აი, რა ჯილდო დაიმსახურე შენი ლაჩრობა-უნიჭობით.

ვეზირ-აზამი ისმენდა ცოლის გესლიან სისინს და თანდათან უფითრდებოდა სახე, უშრებოდა ჩარბები. ის ხელებდაკრეფილი და თავჩაქინდრული იდგა ცოლის წინაშე, რაღაც უზომო შიშით და გულამღვრევით ისმენდა მის შხამიან სიტყვებს.

— რას სდუმხარ, საცოდავო არსება?! რად არ იღებ ხმას?! რად არ მპასუხობ! რას უპირებ შენი დაღუპვის მიზეზს — გურჯ მოურავს?! დასძარი სიტყვა! ხმა ამოიღე. შეჩვენებულო, სამარცხვინო ლაჩარო! — შეუტია გამწარებით დიაცმა.

— რა უნდა გითრხა! ღირსი ვარ მაგ ლანძღვა-ქირდვისა! ღირსი ვარ სულთნის რისხვისა! ღირსი ვარ, რომ გამშორდე საჯაროდ და მისთხოვდე ვისაც გსურს, თუნდაც იმ დიდებულ გურჯს, თუკი დაიტეხს თავზე უბედურებას და აიყვანს ცოლად შენისთანა მგესლავს, ბოროტს და არჯალს...

---

* მთავარი ვეზირი.

— მაშ ეგ არის შენი პასუხი, საცოდავო? მაშ შურს არ იძიებ მოსისხლე მტერზე?!

მივარდა გაკაპასებული ცოლი ვეზირ-აზამს.

— აბა ვინ არის ჩემი მტერი?

— ვინა და გურჯი სააკაძე!

— ის გმირია და არა ჩემი მტერი. ის დიდებული სარდალია. მან საარაკოდ გაიმარჯვა ყველგან ოსმალეთის მტრებზე. მან დაუპყრო სულთანს დიდი ერაყი, ქურთისტანი და გამდგარი არაბეთი, აზრუმი და თოხატთა ქვეყანა.

— მერე, შენ ხომ მოგსპო ასეთი მოქმედებით!

— სამაგიეროდ ასახელა ფადიშაჰის დროშა და განადიდა მთელ დუნიაზე ოსმალთ სახელი.

— მერე ჩვენ რა! ჩვენ შერცხვენა! დამცირება! მასხრად აგდება! არა, გონს მოდი, დიდო ვეზირო! ეგ არ ეგების! ჩვენ ან უნდა მოვიკლათ თავი, რომ გადავრჩეთ ესოდენ სირცხვილს, ან უნდა მოვკლათ ჩვენი მეტოქე. სხვა გზა არ არის. ასე ჩემო მეუღლევ, ჩემო ძვირფასო და საყვარელო! — ამ სიტყვებით ცბიერი არსება ჩაეკრა გულში ვეზირ-აზამს და აკოცა სინაზით.

აზამი დაათრო ცოლის ალერსმა, ტკბილმა სიტყვებმა ბანგივით იმოქმედა მასზე. მან ალერსითვე უპასუხა სულთნის დას და შეეკითხა წყნარად:

— რარიგად უნდა ჩავიდინოთ ეს ფრიად მძიმე და სახიფათო საქმე? თუ გაგვიგო სულთანმა, ხომ მოგვსპობს ორთავეს! — შეეკითხა ქმარი.

— მაგის ჯავრი ნუ გაქვს, სულთანი ვერაფერს გაიგებს ამ სიშორედან. კიდეც რომ გაიგოს, ვეცდები ცრუ მოწმეებით ბრალი დავდოთ თვით გურჯებს, დავწამოთ სულთნის ღალატი. ეს საკმაოა, სულთანი ჩვენ უფრო დაგვიჯერებს, ვინემ ვიღაც გიაურებს. მით უმეტეს გურჯი სააკაძე აწი აღარაა მისთვის საჭირო, მან უკვე შეასრულა თავისი დავალებანი.

— როგორ? შენ მიკვეთავ მარტო დიდი მოურავის მოკვლას, თუ ყველა გურჯის დახოცვას, ვინც მას ახლავს? — შეეკითხა გაოცებით ვეზირ-აზამი.

— რასაკვირველია, ყველა გურჯის გაჟლეტას, ვინც მასთან არიან, მათ შორის ერთიც არ უნდა დარჩეს ცოცხალი, თუ სიცოცხლე გვწადია.

— ეგ, ჩემო ძვირფასო მეუღლეკ, ფრიად მძიმე საქმეა. იმდენი უდანაშაულო ხალხის გაჟლეტა, მათი ცოდვის თავზე დადება! — სწუხდა და ყოყმანობდა პატიოსანი ადამიანი.

— განა რამდენია! სულ ორმოცამდე თუ იქნება, მეტი ხომ არა! ამ ოთხათეულ კაცზე უეცარ თავდამსხმელად ძილის დროს ერთი ასეული სრულიად საკმარისია, ხომა მეტადრე თუ რჩეული მხედრები გაგზავნე.

— ერთი ასეული კი არა ხუთი ასეულიც მეცოტავება, ისეთ ლომებთან გვაქვს საქმე. ერთი ასეული მარტო დიდ მოურავს თუ გაუძლებს. შენ არ იცი, რა არიან ეს გურჯები! ისინი კაცები კი არა, მდევები არიან, ნამდვილი მდევები! ერთი გენახა, ნეტა, ბრძოლის ველზე და მაშინ დააფასებდი იმათ. ნამდვილი დელიბაშებია. გიჟი, გაოფთრებული მებრძოლნი, ისე შედიან ხელჩართულ ომში და იქნევენ ხმალსა, თითქოს ცეკვავენო. არა, ასეთი საარაკო მებრძოლნი არსად მინახავს, თუმცა მთელი დასავლეთი და სამხრეთი აზია მომივლია და მრავალ ბრძოლას დავსწრებივარ!

— ანებე თავი გურჯების ქებას, ჩემთვის ეგ არაა საჭირო, თუ ერთი ასეული გეცოტავება, ხუთასი გაგზავნე, რჩეული მეომარნი, საუკეთესო სარდლის მეთაურობით. განა ცოტა გვყავს ჯარი?!

— ჯარები კი მყავს საკმაოდ, ხოლო მე მაინც ვუფრთხი ამ ძნელ საქმეს. რა ვიცი, რა მოხდება... რა შედეგი მოჰყვება. ეს ტიალი გული უარს მეუბნება, ცუდად მიკვნესის!

— ნუ ხარ მართლაც ლაჩარი, სულთნის სიძევ და დიდო ვეზირო! იყავ მამაცი, მხნე და გულადი! გაბედე, ჩაიდინე ეგ ვაჟკაცური საქმე და გამარჯვება შენია! აი, მხოლოდ მაშინ აღიდგენ დაცემულ სახელს! მხოლოდ მაშინ იქნები ფადიშაჰის სიძე და ჩემი საყვარელი ქმარი! მაშ გაბედე და ჩაიდინე! ალაჰი იყოს და მისი ფეჰამბარი შენი შემწე, დიდო ვეზირო! — ამ სიტყვებით ქალი კვლავ ჩაეკრა გულში, დაათრო ტკბილი ალერსით, გაიკეთა პირსაბურავი, გაეხვია მავ ჩადრში, გავიდა ლანდივით...

ბოროტმა ენამ, იქონია თავისი გავლენა. ამ სუსხიან ღამეს გადაწყდა დიდი მოურავის ბედი.

კუნაპეტი ღამე. მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავთა მკრთალი ციმციმი. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე. ყინავს. ფიფქი თოვლი თეთრად ალამაზებს მიდამოს. სძინავს თოხატის ციხე-ქალაქს. სძინავს ტკბილად ქართველთ სავანეს, მთის ფერდობზე გოროზად ამართულს თავისი მაღალი ზღუდე-ბურჯებით. არ ისმის გუშაგთ ყივილი. ყველანი შებუდრულან თავიანთ ბინებში და მისცემიან ტკბილ მოსვენებას. არავინ უწყის, რას უქადის მათ ეს ცივი, ბნელი ღამე...

მაგრამ ვინ არიან ის შავი ლანდები, ეგერ მთის კალთაში შეფარებული?! ვინ არიან ის იარაღასხმული ზორბა ვაჟკაცნი?! ათი, ოცი, ასი, რამდენიმე ასეული, სულ ექვსასი. რჩეულ ჯამაცთა რაზმებს ბელადობს უპირველესი სარდალი მუხტარ-ბეი. ფრთხილად, ფარულად, ნელიად უახლოვდებიან ისინი ივერთ სავანეს. იქ ეგულებათ „დიდებული გურჯი“ გიორგი საკაძე ორმოცამდე ქართველით; ამათ ხომ ფრიად ისახელეს თავი ომებში და განადიდეს ფადიშაჰის დროშა. ხოლო დიდი მოურავი არ ელის ამ ცივ ღამეს დაუპატიჟებელ სტუმრებს, არ ელის ღალატს... სძინავს განცხრომით თბილ ბინაზე ზემო სართულში. იქვე სძინავს მის ორ ვაჟს — ზურაბსა და ავთანდილს. იმავე სახლში სძინავთ ხუთმეტამდე ქართველთ. დანარჩენი კი იმყოფებიან იმავ ეზოში აგებულ ორ მომცრო სახლში. ტკბილად სძინავს მოურავს. იგი ჩაფლულია საამო სიზმრებში; უღიმის სახე. არ უწყის გმირმა, რას უქადის ეს საბედისწერო ღამე.

სამშობლოდან დევნილი დიდი მოურავი მოუთმენლად ელის გაზაფხულს, რათა მიიღოს სულთნისაგან დაპირებული ჯარი თავისი უზენაესი მიზნების მისაღწევად. იგი აპირებს კიდევ ამ დღეებში სტამბოლს წასვლას, სურს დატკბეს მეუღლისა და ორი უმცროსი ქალ-ვაჟის ნახვით.

მუხტარ-ბეის რაზმი კი ჯგუფად დაყოფილი ნელი რონინით უახლოვდება ივერთ სავანეს. აჰა მიაღწიეს მაგარ ზღუდეს ორი მხრივ. მიადგეს ხის გრძელი კიბე. სამი მამაცი თურქი მალე მოექცა გალავნის თავზე. აქ კიბის წვეროზე

გამაგრეს თოკის კიბე და სათითაოდ დაეშვნენ შიგნი-
ასევე მოიქცნენ სხვებიც. მალე ორმოცამდე ჯარისკაცი
თვით მუხტარ-ბეის ბელადობით გაჩნდა ეზოში. ისინი სწრა-
ფად მიცვივდნენ საგუშაგოსა და ალაყაფის კარებს; ხანჯ-
ლით მოკლეს მძინარე გუშაგნი, გამოაძვრეს მძიმე ურდულ-
ლები და გააღეს რკინის კარები. იქვე გარეთ მდგარი თურქი
შემოცვივდნენ საშინელი ყიჟინით და თოფების სროლით.

წამოცვივდნენ ზეზე თბილ ბინებში მძინარე ქართველნი.
მალე მოვიდნენ გონს, შეიმოსნენ რკინის ჯუბა-ჯავშნით და
ეცნენ აირაღს.

— ღალატია... უეცარი თავდასხმა... მამაცად, ძმებო და
შვილებო! ღირსეულად დავხვდეთ შემოსეულ მტერთ! ვამცნ-
ოთ ჩვენი ძალღონე! წამოიძახა დიდმოურავმა მღელვარედ.
იგი სწრაფად შეიმოსა რკინის ბეგთარით და ჯუბა-ჯავშან-
მუზარადით, აისხა იარაღი, თოფით ხელში მიიჭრა სარკმელ-
თან. მას მიჰბაძეს სხვებმაც. სამასი კაცი თვით მუხტარ-ბეის
სარდლობით შემოეხვია „დიდი გურჯის“ ბინას და დაუშინა
თოფები. ქვის მაგარ კედლებში ვერ ატანდა ტყვია. სრო-
ლითვე უპასუხეს ქართველებმა სარკმელებიდან. რამდენიმე
თურქი დაეცა მიწაზე მძიმედ დაჭრილი და ზოგიც დახო-
ცილი.

კიდევ სროლა ქვემოდან ასეული თოფით და პასუხი ზე-
მოდან. ივერთა ტყვია იშვიათად აცდენდა ნიშანს. ასევე
ხდებოდა დანარჩენ ბინებთანაც. იქაც მამაცად იბრძოდნენ
გარშემორტყმული ივერნი და ყლეტდნენ თურქებს.

მალე დაიმსხვრა ყველა სარკმლის მინები. აქა-იქ დაიცხ-
რილა კედლებიც. მძიმედ დაიჭრა რამდენიმე ქართველი.
ბედად, ბლომად ჰქონდათ ტყვია-წამალი და იბრძოდნენ
გმირულად, თავგანწირვით.

— დაგვრჩი, მოურავო! დაგვნებდით, გურჯებო!

გაისმა ქვემოდან მუხტარ-ბეის მჭექარე ხმა.

— მუხთალნო! უმადურნო! ღამის ქურდებო! ათასი მო-
დიხართ ორმოცზე! წყეულებო! სირცხვილი თქვენდა, ლაჩ-
რებო! მოდით, თუ ძალა შეგწევთ! მოდით! შელეწეთ ამ
ბინის კარები! აქ დაგხვდებით მასპინძლად... მობრძანდით!

გაისმა ზემოდან მოურავის მგრგვინავი ხმა.

ბრაზმორეული თურქნი ჰალლას ძახილით გამოქანდნენ შენობის კარებისაკენ, მაგრამ ქართველთა მიერ გასროლილ-ძა თოფებმა იმსხვერპლა ათამდე მტერი, ხოლო თორმეტმა თურქმა მოასწრო კარებამდე მისვლა. ისინი ბედგრად დაეტაკნენ ურდულებით გამაგრებულ რკინის კარებს, მაგრამ ვერას გახდნენ. ასევე მოხდა დანარჩენ ორ სახლთან. იქაც მამაცად იბრძოდნენ ივერნი, თუმც ხუთი მათგანი შეეწირა ოსმალთა ტყვიას...

— ცეცხლი გურჯებს! ცეცხლი მაგ გიაურებს! წაუკიდეთ ცეხლი სახლებს!

დაიჭექა ბრაზით მუსტარ-ბეიმ.

თოფების გრიალი უცებ შეიცვალა მშვილდ-ისრის სისინით. კუპრწაცხებული და ცეცხლანთებული ისრები ათობით შეიჭრა ბინებში შუშადამსხვრეულ სარკმელთაგან, გაერჭო ჭერსა და იატაკში.

ამ ველურ ხერხს არ მოელოდნენ ივერნი. მალე გაუჩნდა ცეცხლი ნაშენთა ჭერს. იქიდან მოედო სახურავს. კიდეკ მცირე ხანი — და უზარმაზარი ჟინჟღილების მსგავსად აპრიალდა ეზოში სამი სახლი. ავარდა ბოლი. ალის გრძელმა ენებმა გაანათა მიდამო.

თავზარი დასცა ქართველებს ამ მოვლენამ. თურქთა უზომო სიხარულის მხეცური ყიჟინით აივსო ეზო...

რაღა რჩებოდათ ქართველთ?! ან ცოცხლად დაწვა, ან ბინებიდან გამოსვლა და იარაღით ხელში ნამუსიანი სიკვდილი. მართლაც, მალე გაიღო სამივე სახლის ქვემო კარები და იარაღჭურვილი ივერნი მწყობრად გამოვიდნენ გარეთ; მათ მაშაც სახეს აჩნდა განწირულება. გმირები მზერდნენ აშკარა სიკვდილს.

პირველი გამოვიდა ეზოში დიდი მოურავი.

— მომყევით, ძმებო და შვილებო! გმირულად შევხვდეთ სიკვდილს... ძვირად დავუსვათ მტარვალთ ჩვენი დაღუპვა... პირი მტრისაკენ ოთხივე მხრივ!

შესძახა დიდმოურავმა და დადგა წინ. სწრაფად დარაზმდნენ სამივე სახლთან ივერნი თოფებით და შუბებით ხელში.

თურქნი არ მოელოდნენ ივერთაგან ასე მწყობრად გამოსვლას და დაიბნენ უცებ. ამით ისარგებლეს ქართველებმა, მოურავის ბრძანებით დაახალეს თოფები. დაჭრილ-დახოცილი თურქნი მრავლად დაცვივდნენ მიწაზე.

— სიკვდილი გურჯ მოურავს!

ამ სიტყვებით მუხტარ-ბეი დელიბაშებით გარემოცული უცებ მივარდა საკაძეს და დაახალა დამბაჩა მკერდში. რვალის ბექთარმა აირეკლა ტყვია. გმირი გადურჩა აშკარა სიკვდილს.

— სიკვდილი მუხანათსა და მტარვალის ეონას!

დასჭექა მოურავმა და გაუტარა გულში ფოლადის შუბი. თურქთა სარდალი დაეცა მკვდარი. მეთაურის სიკვდილმა უფრო გააბრაზა მისი დელიბაშები: ისინი შემოერტყნენ საკაძის ჯგუფს და დაუშინეს თოფ-დამბაჩები.

შეიქნა მედგარი ხელჩართული ბრძოლა. ისმოდა ლანძღვა, მუქარა, ყიჟინა და უზოგველი ჩახაჩუხი. დამცემი და დამხვდური, თურქი და ქართველი აირიენენ ერთმანეთში... ხოლო რას გააწყობდნენ ივერნი, როცა თითო მათგანს უტევდა ათი და ოცი მეომარი! წყდებოდა მტერი ათობით და ასობით, მაგრამ წყდებოდნენ ქართველნიც. მათი რიცხვი დნებოდა თანდათან... აჰა, დაეცა მამის გვერდით გულგანგმირული ზურაბ, მას მიჰყვა მეორე ძმა — ავთანდილ სასიკვდილოდ დაჭრილი. უშრეტი ცეცხლი აიგზნო მამის გულში... ცრემლით აივსო მისი თვალები. გამწარებით შეუტია გმირმა შვილების მკვლელთ, მაგრამ მტრის ტყვიამ მოსწყვიტა ფეხი. წაბარბაცდა მოურავი და წაიჩოქა. სისხლი თქრიალით წამოვიდა ჭრილობიდან და აუვსო წალა. ის მალე დაიჭრა მარჯვენა მკლავშიაც. მაგრამ არ გააგდო ხელიდან ხარაღი. ცალ მუხლზე დაჩოქილი გამწარებით იქნევდა შუბს და მუსრავდა მტრებს. მჭექარე მხით ამხნევებდა ცოცხლად დარჩენილ მოძმეთ, მწარედ დაქანცულთ და არაქათგამოლეულთ. ამ დროს გავარდა ერთად სამი დამბაჩა. ტყვიამ შეუნგრია გულმკერდი მოურავს. ივერიის უდიდესი გმირი დაეცა მკვდარი... იგი დააკვდა დახოცილ ვაჟებს...

მცირე ხანიც — და მთლიანად გაიჟლიტნენ ქართველები. ამ თავდასხმამ შეიწირა სამასამდე თურქი.

უკვე გათენებამ მოატანა, აღმოსავლეთით ცაზე აკაშკაშდა შუქურა ცისკარი, ოდეს თურქთა განახევრებული რაზმი განშორდა ივერთ სავანეს. მცირე ხანიც — და იანვრის ციატა მზე სისხლიანი თვალებით დააცქერდა ბრძოლის ველს, სადაც უშნოდ აყუდულიყო გადამწვარ სადგომთა შავად გარუჯული ჩონჩხები. ადამიანის სისხლით წითლად შეღებილ დატკეპნილ თოვლზე ეყარნენ თურქთა სამი ასეული გვამი და გმირულად დახოცილი ორმოცამდე ქართველი... მათ შორის გადარჩა ერთი — ბეჟან გორგასლიშვილი. თათრულად მოსილი გაუსხლტა იგი მტერს, ჩავიდა სტამბოლს და ამცნო საკაძის მეუღლეს ქმრისა და შვილების დაღუპვა, ამცნო დიდი მოურავის სიძესა და სტამბოლში მცხოვრებ ქართველთ იანვრის ღამეს თოხატში მომხდარი საშინელი ტრაგედია.

ფრიად ააშფოთა ქართველნი ამ უჯერო ამბავმა. შეიქნა გლოვა და ტირილი. მალე მივიდა სულთნის ყურამდე ეს საზარო ამბავი: იგი ამცნო მისმა მოლარემ, მოურავის სიძემ. უსაზღვრო იყო ფადიშაჰის რისხვა, მწუხარება.

გამოძიებით მალე აღმოაჩინეს ამ ბოროტების ჩამღენი. სულთნის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს ვეზირ აზამს, სწორედ იმ ალაგს, სადაც ვერაგულად დაიღვარა ორმოც ივერიელთა უმანკო სისხლი.

ბოროტმა დიაცმა ფატმა-ხანუმმა კი მოიწამლა თავი, იგი მოერიდა ძმის რისხვას.

სცნო თუ არა ქმარ-შვილის დაღუპვა, ზარდაცემული თამარ მაშინვე გაეშურა ცხენით თოხატთა ქვეყანაში. მას ეახლნენ თვით ბეჟან გორგასლიშვილი და კიდევ ხუთი ქართველი. ქალი არაფრად იმჩნევდა ამ მძიმე მგზავრობას, არ ეკარებოდა სასმელ-საჭმელს, უღრმეს კაეშანში ჩაფლული იგი მთელი არსებით მიისწრაფოდა იქით, სადაც დაატყდა თავზე საშინელი რისხვა. ჩქარი სვლით მესამე დღეს მიაღწიეს თოხატთა მთავარ ციხე-ქალაქამდე. აქ შეეგებნენ თამარს ქალაქის მელიქი და ციხისთავი დიდი ამალით, უღრმესი მწუხარება განუცხადეს მომხდარი უბედურების გამო. ყველანი ფრიად გააოცა გაქვავებული ქალის სიჩუმემ. იგი ვერ ახერხებდა ხმის ამოღებას, თითქო ვერ სცნობდა, ვერ ხედავდა ვერაფერს.

ძიუახლოვდნენ ივერთ სავანეს; ჩამოხტნენ ცხენებიდან. ვუშაგებმა ფართოდ გააღეს ალაყაფის კარები. შეეიდნენ. თვალებს შეეფეთა გადაბუგული სახლები და ხროვად დაყრილი მკვდრები. დატკეპნილი თოვლი ჭარბად შეეღება ადამიანის სისხლს. ეტყობოდა, რომ აქ გადაეხადა გიჟური ლხინი შავ სიკვდილს.

თამარ მივიდა იმ ადგილს, სადაც შეკვდარმოდნენ მტერს მისი ქმარი და შვილები. საშინელი სურათი დაესახა თვალწინ: სამი ზორბა რაინდი, ერთი ხანშესული, ორი ჭაბუკი, იწვა პირაღმა გულგანგმირული. ირგვლივ კი გროვად ეყარნენ დახოცილი თურქნი... ქალმა იცნო სამივე. იგი გაშეშდა ამ საზარო სურათის ხილვით. სული შეეხუთა. გაქვავებულ სახეს დაეუფლა უსაზღვრო ჯავრი. გამშრალ თვალებს არ მოსწყდა არც ერთი ცრემლი... იდგა კარგახანს მდუმარედ, გარინდებული, გაშტერებული... შემდეგ დაიხარა, დაემხო, მოხვია ხელი ქმარსა და შვილებს, ჩაიკრა სათითაოდ გულში, შეეხო სამთავეს სახეს მწვავე ამბორით... წამოიწია, ჩაიჩოქა მათ წინ, მიმოიხედა შეშლილის თვალებით, ისევ დაიხარა მათკენ.

— ოღარა მყავხართ, სულზე უტკბესნო! ვერაგის ხელმა მოგიღოთ ბოლო... რაღა მშთენია ბედშავს ქვეყნად?! რად მწადს სიცოცხლე შხამად ქცეული?!

გაისმა თამარის ყრუ ჩურჩული ნაწყვეტ-ნაწყვეტად. კვლავ დაიხარა და მოეხვია სამივეს უსაზღვრო სინაზით.

— აჰა, მოვდივარ მეც თქვენთან, ჩემო ყველავ! მოვდივარ! —

წამოიძახა გამწარებით, დასწვდა, აშოგლიჯა უცებ ქარქაშიდან ქმრის კალდიმი, ელვის სისწრაფით დაიკრა გულში... ივერიის მთების ასული დაეკვდა მკერდზე ქმარსა და შვილებს...

ძველი და უცხო სიტყვების ახსნა

ა.

1. არმალანი — საჩუქარი.
2. აეშაგი — ჯაშუში.
3. ავგაროზი — თილისმა.
4. არიფი — საყვარელი, სასურველი, მეგობარი.
5. აშული — მოლექსე, მოსიმღერე.
6. აბა — კაცის გრძელი მოსასხამი.
7. აშარი — უნამუსო ქალი.
8. ამული — უზენაესი სიამოვნება.
9. ამბიონი — ხელოვნურად ამაღლებული ადგილი.
10. აზატი — თავისუფალი.
11. არჯალი — კაპასი.

ბ.

12. ბადიში — შვილიშვილი.
13. ბისიონი — მეფის სამოსელი.
14. ბივრილიონი — ძვირფასი ქვა.
15. ბოლაზი — ნავსადგური.
16. ბიმბოში — თურქეთის პოლიციელი.
17. ბადაზინი — წამალი (ბალზამი).

გ.

18. გენუკვი — გეევდრები.
19. გეთ — წადი.

დ.

20. **დაფიონი** – ალიონი.
21. **დარილი** — ძწვავე შურისძიება.
22. **დენთი** — თოფის წამალი.
23. **დესპანი** — ელჩი.
24. **დამარი** — აორტა.
25. **დარახტული** — კარგად შეკაზმული ცხენი.
26. **დაბირი** — წრე.
27. **დელიბაში** — თავზეხელაღებული.

ე.

28. **ეგზომ** — ეგოდენ.
29. **ეტრატი** — საწერად სახმარი ცხვრის ტყავი ჭაღალ-
დის მაგვარი.
30. **ემბაზი** — ბავშვის მოსანათლავი ჭურჭელი.
31. **ეჯიბი** — სასახლის გუშაგი.
32. **ერაყი** — ირაქი.
33. **ექსორია** — გადასახლება.
34. **ეჯი** — დაახლოებით უდრის 1 კილომეტრს.

ვ.

35. **ვეფინი** — ხილის დაშაქრული წყალი.

ზ.

36. **ზვიგენი** — აკულა.

თ.

37. **თაჯი** — მეფის გვირგვინი.
38. **თალარი** — პაწია კოშკი.

ი.

39. **იყი** — არაყი.
40. **იფრინდა** — მსწრაფლსრბოლელი, შიკრიკი.
41. **იჩქითად** — უეცრად.
42. **იახში** — კარგი.

კ.

43. **კენარი** — კარგი ტანადი.
44. **კაპადონი** — წიგნი.
45. **კვართი** — პერანგი.

ლ.

46. **ლუმბრა** — მორევი.
47. **ლაბადა** — ქალის ქვედა კაბა.
48. **ლალა** — ალმზრდელი.
49. **ლოლო** — ტკბილი ნამცხვარი.
50. **ლეილაღები** — იასამანი.

მ.

51. **მანდილი** — ქალის თავსაბურავი.
52. **მათარა** — მეშის სასმისი.
53. **მუტრიბი** — დამკვრელი, მემუსიკე.
54. **მუქაფა** — სამაგიერო.
55. **მუნ** — იქ ან აქ.
56. **მოოკვილი** — შემკული.
57. **მროკავი** — მოცეკვავე.
58. **მუფტი** — მუსულმანთა სამღვდლოთ უფროსი.

ნ.

59. **ნატი** — სამღვთოდ შეწირულ პირუტყვთა დამკვლელი.
60. **ნატიფი** — ლამაზი, ტურფა.

61. **ნაფირი** — პატარა ბუკი.
62. **ნუზლი** — სურსათის მარაგი.
63. **ნეტარძი** — ნეტავ.
64. **ნუშა, კაპანო, კარაპა, კარჭაპა** და **კატარღა** — ნავთა და გემთა სახელები.

ო.

65. **ოქსინო** — ოქრომკედით მოქარგული სქელი ფარჩეული.
66. **ოქშარი** — სპარსული ჰანგი.

პ.

67. **პატრუცაგი** — მეფისადმი მიწერილი ბარათი.
68. **პაემანი** — დანიშნული დრო და ადგილი.
69. **პუნგია** — ხალვა.

ჟ.

70. **ჟოლო** — მთის მაყვალი.

რ.

71. **რააბი** — სპარსული ჰიმნი მეფისადმი.
72. **რაყიფი** — მეტოქე.
73. **რიტორი** — ორატორი.

ს.

74. **საბელი** — თოკი.
75. **სირი** — ფრინველი.
76. **სფერო** და **ფაენი** — მეფის ატრიბუტები.
77. **სიასამური** — ძვირფასი ბეწვეული.
78. **სინდეთი** — ინდოეთის ჩრდილო ნაწილი.
79. **სუფრაკი** — სუფრის გამგე.

80. სერობა — ვახშმობა.
81. სარანგი — პოლიციელი.
82. სალაფარდა — ფარდა.
83. სევანი — სამეფო ტახტი.

ტ.

84. ტარიგი — სამღვთოდ შეწირული პირუტყვი.
85. უაზნო — გლეხი.
86. უსტარი — ბარათი.
87. უამური — უსიამოვნო.
88. უსურვაზი — ვაზის მაგვარი მცენარე.
89. უნიათო — უვარგისი.
90. ურვა — მწუხარება.

ფ.

91. ფირმანი — ნებართვა.
92. ფეჰამბარი — წინასწარმეტყველი.

ქ.

93. ქიმერი — ფანტასტიკური ცხოველი.
94. ქუქანგი — წყალსადენის გამყვანი.
95. ქაშანი — ცნობილია ქაშანის ნოხი.
96. ქირდვა — ლანძღვა.

ღ.

97. ღოროტოტო — მაღალხმიანი ბუკი.

უ.

98. ყული — მონა.

შ.

99. **შარბათი** — ტკბილი სასმელი.
100. **შუშპარი** — ცეკვა.
101. **შუქფარი** — აბაჟური.
102. **შაჰსევანი** — სპარსეთის მეფის გვარდია.

ჩ.

103. **ჩუბინი** — კარგი მსროლელი.
104. **ჩაუქი** — მარდი, სწრაფი.

ხ.

105. **ხოტბა** — ქება.
106. **ხაბიზგინი** — ოსური ხაჭაპური.
107. **ხეიბარი** — დავრდომილი.
108. **ხანაგა** — გლახაკთა თავშესაფარი.
109. **ხოჯა** — საჭურისი.
110. **ხიმსალი** — ატომი.

ჯ.

111. **ჯილა** — გვირგვინი.

ჭ.

112. **ჭევლი** — მზის ან მთვარის ანარეკლი წყალზე.

ჰ.

ჰური — მუსულმანთა ანგელოზი.

რედაქტორი გ. ნატროშვილი
ტექრედაქტორი ბ. გორდეზიანი
მხატვარი გ. ჯაფარიძე
გამომცემები გ. დონაძე
კონტროლ.-კორ. ბ. ნახუცრიშვილი
კორექტორი ნ. კოკვაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/IX-49 წ. ᲨᲔ 04333. შეკვეთის № 929, ინაწყობის ზომა 5,5 × 9. ქაღალდის ზომა 54 × 84. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 25,75. ტირაჟი 7.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Управления по делам Полиграфии и Издательств при Совете Министров Грузинской ССР
Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.